ქეთევან პავლიაშვილი

# საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში

გამომცემლობა
თბილისი
2008

წიგნი იბეჭდება მისი მაღალუსამღვდელოესობის
ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოსის
სერაფიმეს (ჯოჯუა) ლოცვა-კურთხევით

სამეცნიერო გამოკვლევაში ასახულია საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩო შემოსაზღვრულია ადრეფეოდალური ხანიდან საბჭოთა ეპოქის ჩათვლით. მონოგრაფიაში ეტაპობრივად არის გადმოცემული ყველა იმ საეკლესიო გლობალიზაციის პროექტის ისტორია, რომელსაც ადგილი ჰქონდა ზემოაღნიშნულ პერიოდებში. ამასთან, ნაშრომში ახსნილია საეკლესიო ერთობის იდეის წარმოშობის მიზეზები: პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სარწმუნოებრივი; შეფასებულია საეკლესიო გლობალიზაციით მიღებული შედეგები; გლობალური პროექტების განხორციელებისათვის მეცადინეობის მეთოდები და ხერხები; გლობალიზაციის გეგმების წარუმატებლობის მიზეზები და მათი კანონზომიერების ალბათობის საკითხი.

მრავალრიცხოვან გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ წყაროებზე დაყრდნობით, სამეცნიერო მონოგრაფიებში გადმოცემული სამეცნიერო დებულებების გათვალისწინებით, მათი მეცნიერული შეჯერების შედეგად, წინამდებარე გამოკვლევაში გაშუქებულია შემდეგი საკითხები: 1) ერთიანი

კავკასიური იდეის ევოლუციური გზა; 2) რუსული თეოკრატიულ-საეკლესიო გლობალიზაციური იდეის ისტორია; 3) რუსული მართლმადიდებლური გლობალიზაციური პროექტის მისია და რუსული საეკლესიო დიპლომატია; 4) კავკასიური საეკლესიო გლობალიზაციის რუსული მოდელი და მეფის რუსეთის მოდერნიზაციის პროგრამა; 5) კავკასიური საეკლესიო გლობალიზაციის „ახალი რუსული" სახელმწიფოს მოდელი; 6) საეკლესიო გლობალიზაციის საბჭოური მოდელი და სხვ.

მონოგრაფია გათვალისწინებულია როგორც ზოგადად მართლმადიდებლური ეკლესიის, რუსეთის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის, ისე, კავკასიის ისტორიული წარსულით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისა და სტუდენტებისათვის.

რედაქტორები: სრულიად საქართველოს საპატრიარქოს, მანგლისისა და წალკის ეპარქიის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე).

ოთარ ჟორდანია პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ავტორი მადლობას უხდის შემწეობისათვის, მირქმის სახელობის ტაძრის მოძღვარს მღვდელ ლაზარე (ვარდოსანიძეს)

# შინაარსი

შესავალი ........................................................ 6
თავი პირველი — ერთიანი კავკასიური იდეის ევოლუცია V-XVIII საუკუნეებში 14
თავი მეორე — კავკასიელთა მატერიალურ-სულიერი კულტურის, ეროვნული ფსიქოლოგიის სიახლოვე და კავკასიური გლობალიზაცია 59
თავი მესამე — რუსული თეოკრატიული სახელმწიფოს საეკლესიო გლობალიზაციის ისტორიის მიმოხილვა (XV-XX სს) 92
თავი მეოთხე — რუსული მართლმადიდებლური გლობალიზაცია, კავკასია და საეკლესიო დიპლომატია საერთაშორისო ასპარეზზე (XI-XIX სს.) 113
თავი მეხუთე — კავკასიური საეკლესიო გლობალიზაციის რუსული მოდელის ფორმირება 146
§1. „კავკასიელთა გადარჩენის" რუსული თეორიის პოლიტიკურ-ეკონომიკური საფუძველი 146
§2. „კავკასიელთა გადარჩენის" რუსული თეორიის კულტურულ-სარწმუნოებრივი საფუძველი („ოსეთის სასულიერო კომისია") 162
თავი მეექვსე — რუსული საეკლესიო მოდერნიზაციის პროგრამა კავკასიაში (1800-1917 წწ.) 182
§1. კავკასიის მოდერნიზაციის პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორი 182
§2. კავკასიის მოდერნიზაციის სარწმუნოებრივ-კულტურული ფაქტორი 248
თავი მეშვიდე — საქართველოს ადგილი კავკასიის რუსული მოდერნიზაციის პროცესში (XIX-XX საუკუნეების 10-იანი წლები) 327

თავი მერვე — საქართველო და „ახალი რუსეთის“ კავკასიური საეკლესიო გლობალიზაცია (1918-1921 წწ.) 369
თავი მეცხრე — საბჭოთა სარწმუნოებრივი პოლიტიკა — საეკლესიო გლობალიზაციის საბჭოური მოდელი და კავკასია 392
თავი მეათე — საბჭოთა საეკლესიო გლობალიზაცია, იდეოლოგიური ბრძოლა და სასულიერო ემიგრაცია (XX საუკუნის პირველი ნახევარი) 408
დასკვნა 420
ბიბლიოგრაფია 460

მონოგრაფია ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადებიდან 75-ე და აღსაყდრებიდან 30-ე წლისთავს.

# შესავალი

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციათა შესაყარზე მდებარე კავკასიას იმთავითვე განესაზღვრა გეოპოლიტიკურ-გეოსტრატეგიული დანიშნულება მსოფლიოს სივრცეში. ამ ფაქტორმა შეუმუშავა მსოფლიოს ძლიერ სახელმწიფოებს კავკასიისადმი დამოკიდებულება და ამ უკანასკნელს ერთობ სახასიათო ისტორია შეუქმნა. ეს ისტორია კი მეტყველებს, რომ კავკასიის არსებობისა და მისი განვითარების სამომავლო ბედში აშკარად იყო ჩართული საერთაშორისო ინტერესებით განსაზღვრული ყველა მძლავრი სახელმწიფოს საგარეო მისწრაფებები, მისით გაჯერებული ჩამოქმედო უამრავი გეგმა-პროექტი. ყოველივე ზემოაღნიშნული, პირდაპირ, თუ ირიბად უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კავკასიელი ხალხების კულტურის, სახელმწიფოებრიობისა და სარწმუნოების შემდგომ განვითარებაში.

საერთაშორისო მასშტაბით შექმნილი სხვადასხვა სახის და სხვადასხვა ეპოქების გარემოებანი, საუკუნეების მანძილზე კავკასიის ეთნოსებს თავისთავადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის განსხვავებულ მეთოდოლოგიას უმუშავებდა. ეს უკანასკნელი მომართული იყო იმგვარი მენტალობის ჩამოყალიბებისაკენ, რომელიც კავკასიას გადარჩენის გზას აჩვენებდა, მისი ძიებისაკენ წარმართავდა მოსახლეობის მთელს შინაგან ენერგიას.

საუკუნეების მანძილზე, თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის მეცადინეობამ, კავკასიელ ხალხს საერთო მტრის

წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლისაკენ უბიძგა აღნიშნულმა კი ისინი საერთო იდეოლოგიის ფორმირების აუცილებლობამდე მიიყვანა. ერთიანი იდეოლოგიის ძიების გზაზე მდგომმა კავკასიამ ნებსით, თუ უნებლიედ მრავალ საშუალებას მიმართა: საერთო წარმომავლობის თეორიის ფორმირებას, მატერიალურ-სულიერი კავშირების გაღრმავებას, ნათესაური ურთიერთობების გაფართოებას, ერთობლივ ფიზიკურ დაპირისპირებას საერთო მტრის წინააღმდეგ და სხვ., მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა ახალი იდეის ფორმირებამ, რაც ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს ჩამოყალიბების დიდ მისწრაფებაში გამოვლინდა.

ერთიანი კავკასიის სახელმწიფოს იდეის ფორმირებას რთული, სახეცვალებადი და ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ის პირობითად შესაძლებელია რამდენიმე ეტაპად დაიყოს: 1) IV-XII საუკუნეები, 2) XVII-XVIII საუკუნის პირველი ნახევარი, 3) XVIIII საუკუნის მეორე ნახევარი. ზემოაღნიშნული პერიოდების შესაბამისად მიმდინარეობდა კავკასიაში რთული საზოგადოებრივი პროცესებიც, რაც ბუნებრივია, განპირობებული იყო გარე ფაქტორის ინტერესებითა და აქტიობით კავკასიისადმი. რაც შეეხება იდეის ფორმირების მიმართულებით მუშაობას, მისი სასიცოცხლოდ მამოძრავებლი ძალა იყო კულტურული ფაქტორი, რომელიც ცდილობდა კავკასიის ორივე ნაწილის (ჩრდილო და სამხრეთ) ურთიერთდაახლოებას, ხოლო სამხრეთი კავკასიის მოსახლეობა კი მიისწრაფოდა სარწმუნოებრივი ელემენტის ირგვლივ გაერთიანებისაკენ. ამ უკანასკნელში, უპირველეს ყოვლისა მოიაზრებოდა სომხეთი და საქართველო.

გლობალური კავკასია, უპირველეს ყოვლისა, მისით დაინტერესებული სახელმწიფოებისათვის იყო მისაღები, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე გარემოების შესატყვისად მოქმედებდნენ. ბუნებრივია, ერთიანი კავ-

კასიური სახელმწიფოს იდეური არსი სხვადასხვაგვარად გააზრებოდა თავად კავკასიელი ხალხებისა და მისით დაინტერესებული ქვეყნების ხელისუფალთათვის. თუ შიდა-კავკასიური ძალებისათვის იდეის განხორციელება მათი თავითავადობის გადარჩენას ითვალისწინებდა გარე ფაქტორისათვის კავკასიის ერთიანობაში ფლობა უპირველეს პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა. სწორედ ეს უკანასკნელი იყო ის ძირითადი საფუძველი, რამაც განაპირობა საუკუნეების მანძილზე კავკასიის დაპყრობის მოსურნე იმპერიების მიერ ნაირგვარი გლობალური პროექტების შექმნის და მათი რეალიზაციის მიმართულებითი საქმიანობა.

კავკასიას ერთიანი სივრცით მოიაზრებდა ყველა დამპყრობელი, რომელიც კი მხარეში გაბატონებისაკენ მიისწრაფოდა: არაბები თუ მონღოლები, თურქმენები თუ სპარსელები, რომაელები თუ ბიზანტიელები, ოსმალები თუ სპარსელები, ევროპელი კათოლიკენი თუ რუსეთის სახელმწიფო. თითოეულ მათგანს კავკასიაში საბოლოო გაბატონებისათვის მრავალეროვან-მრავალკონფესიური მისი მოსახლეობის ასიმილაცია ესაჭიროებოდა, რასაც ემსახურებოდა დამპყრობლის მიერ შედგენილი ნაირგვარი პროექტები. უცხო ქვეყნების აგრესიას კავკასია ერთიანობისაკენ მისწრაფებებით პასუხობდა და მისი ხალხების მთელი ისტორიაც. აღნიშნული ინტერესით იყო აღსავსე; და, რაც უფრო მაღალი კულტურის მატარებელი იყო კავკასიის რომელიმე კონკრეტული ეთნოსი, მით უფრო მძლავრი იყო წინააღმდეგობის ფაქტორი. ასეთი ხალხი კავკასიელთა გაერთიანების ინიციატივით და ჰეგემონის ფუნქციით გამოდიოდა.

სრულიად კავკასიის ისტორიამ ცხადჰყო, რომ მისი გაერთიანებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს ეცილებოდნენ სამხრეთ კავკასიის ძველი კულტურების მატარებელი ქვეყნები — საქართველო და სომხეთი. მოცილე ქვეყნებში გამარჯვებული საქართველო გამოდიოდა. ნიშანდობლივია,

რომ ამ უკანასკნელისათვის კავკასიის გაერთიანების იარაღი მართლმადიდებლური ქრისტიანობა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქია იყო. ადრე და შუა საუკუნეების პერიოდში შიდაკავკასიური გლობალიზაციური პროექტების რეალიზება მეტ-ნაკლები წარმატებებით მიმდინარეობდა და მათი სრულყოფილი სახით ჩამოყალიბება მაინც ვერ მოხერხდა. ეს მაშინ, როდესაც გვიან შუასაუკენეებში ერთიანობის იდეა მხოლოდ სურვილის დონეზე დარჩა და კავკასიაც კვლავინდებურად დამპყრობელთა სათარეშო ასპარეზად დარჩა. თუ ადრე და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში კავკასიის შიდა გლობალიზაციური იდეის მამოძრავებელი ძალა მართლმადიდებლური ეკლესიის სახით გარკვეულწილად წარმატებას აღწევდა, რაც გამოვლინდა დავით-თამარის ეპოქაში, გვიან ფეოდალიზმის ხანაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციები აშკარად შესუსტებული იყო და აქედან გამომდინარე, ის ვერც გასწევდა იდეის განხორციელების საქმეში წამყვან ფუნქციას. ასეთი ვითარების ფონზე, კავკასიის ცხოვრებაში გამოჩენილ ახალ ძალას ყველაზე ხელსაყრელი გარემოება ექმნებოდა მისი სრული პოლიტიკური ათვისებისათვის და ეს ძალა მზარდი რუსული სახელმწიფო იყო.

კავკასიისადმი რუსეთის სახელმწიფოს მზარდ პოლიტიკურ ინტერესებში გარკვევისათვის აუცილებლობად მივიჩნევთ რუსული გლობალიზაციის პროექტის არსში გარკვევას. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი იყო საეკლესიო გლობალური პროექტების შემუშავება. ასეთი სახის პროექტებისადმი ინტერესი განპირობებული იყო თავად რუსეთის სახელმწიფო იდეოლოგიით, რომლის წარმმართველი ძალაც იყო რუსული მართლმადიდებლობა და რუსეთის ეკლსია. ეს უკანასკნელი რუსული იმპერიალისტურ-თვითმპყრობელური პოლიტიკის დამცველ-გამტარებელი იყო როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ ყველა

იმ ხალხებში, რომლებზე ბატონობის პრეტენზიასაც რუსული სახელმწიფოებრიობა აცხადებდა.

მართლმადიდებლური ქრისტიანობის დამცველის ეგიდით საერთაშორისო ასპარეზზე გამოსული რუსეთისათვის, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ერთიან, გლობალურ სამყაროზე გაბატონებას. რუსული გლობალიზაციის პროექტში იმთავითვე სერიოზული ადგილი დაიკავა კავკასიის ფაქტორმა, რომელზე ინტერესსაც რუსეთი მისი ხალხების მაჰმადიანური აგრესიისაგან „დახსნის" სურვილით ნიღბავდა. რუსული გლობალიზაციის გეგმა განსაკუთრებული დახვეწილობით გამოირჩეოდა, რომელიც ეპოქების შესატყვის ევოლუციურ პროცესებს განიცდიდა. მასში აქტიური როლი ენიჭებოდა საეკლესიო დიპლომატიას, რომელმაც მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარმართა: აღმოსავლეთ ევროპისაკენ, მახლობელი აღმოსავლეთისაკენ და კავკასიისაკენ.

რუსეთის საეკლესიო გლობალიზაცის გეგმა მოქმედებდა „კავკასიის ხალხების გადარჩენის" თეორიით, რომლის შემუშავებისას მეფის ხელისუფლებამ იმთავითვე გამოყო ორი ეტაპი, ანუ კავკასიის ათვისება დაიწყო ჩრდილოეთიდან და თანდათანობით სამხრეთზეც განავრცო. აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთის სახელმწიფოსთვისაც კავკასია ერთიან, გაუმიჯნავ სივრცედ მოიაზრებოდა.

„კავკასიის გადარჩენის" თეორიას მრავალმიმართულებიანი საფუძვლები გააჩნდა: პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-სარწმუნოებრივი. კავკასიისადმი ინტერესს რუსეთის ხელისუფლება ზემოჩამოთვლილი საფუძვლების განხორციელებით ავლენდა. აღნიშნული თეორიით რუსეთმა იმოქმედა მანამ, სანამ შეძლო კავკასიისათვის მეტოქე ქვეყნების დაჯაბნა, ჩრდილო კავკასიაში გაბატონება და მთლიანად კავკასიის ფლობისათვის თავისი ინტერესების სააშკარაოზე გამოტანა. მთელი ამ პროცესების განვითარე-

ბის მანძილზე, რუსეთის ეკლესია აქტიურად იყო ჩართული იმპერიული გლობალიზაციის გეგმის განხორციელებისათვის მუშაობაში და, როდესაც XIX საუკუნის დასაწყისიდან დაპყრობილ კავკასიაში დაიწყო მოდერნიზაციის მიმართულებითი საქმიანობა, რუსულ ეკლესიას განსაკუთრებული მისია დაეკისრა.

XIX-XX საუკუნეების მანძილზე, მეფის რუსეთის კავკასიური პოლიტიკის გეგმა სისტემატიურ ცვლილებებს განიცდიდა, უცვლელი რჩებოდა მხოლოდ კავკასიის ათვისების გენერალური პროგრამა, რომელიც მტკიცედ იცავდა მთლიანი კავკასიის ფლობას.

წინამდებარე პრობლემაზე მუშაობამ ცხადჰყო, რომ კავკასიის კულტურულ მოდერნიზაციაში ყველაზე რთული სფერო რელიგია იყო. რადგან კავკასიის კონფესიური სიჭრელე იმპერიისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო, ამიტომ კულტურულ მოდერნიზაციაში მან წამყვანი ადგილი რელიგიის ფაქტორს დაუთმო. იმპერიისათვის მისაღები მხოლოდ მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო, რამეთუ ის თვითმპყრობელური რუსეთის სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ შეიმუშავა კავკასიისადმი ისეთი საეკლესიო კურსი, რომელიც საფუძვლად დაედებოდა კავკასიის საეკლესიო გლობალიზაციის პროექტის შედგენას და მასზე მუშაობას.

კავკასიის საეკლესიო გლობალიზაციის პროგრამას, არც მეფის რუსეთის იმპერიის დამხობის შემდგომ დაუკარგავს თავისი აქტიობა. ქვეყანაში მოქმედი ძალები: რუსეთის დროებითი მთავრობა, კონტრრევოლუციურ-თეთრგვარდიული და ბოლშევიკური ძალები გლობალურ კავკასიას კვლავინდებურად მოიაზრებდნენ რუსეთის სახელმწიფო საზღვრებში, იმჟამად, უკვე „ახალი რუსეთის“ იურისდიქციაში. ზემოაღნიშნული სამივე ძალა ძირითადად ეყრდნობოდა რუსეთის ეკლესიას და აქედან გამომდინარე, მათი

ინტერესების შესატყვის საეკლესიო გლობალიზაციის პროექტებს ჰქმნიდა.

მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ, „ახალ რუსეთში" (ბურჟუაზიული, ბოლშევიკურ-სოციალისტური – ქ.პ.) კავკასიის საეკლესიო გლობალიზაციის ორი მოდული შეიქმნა:

1) ბურჟუაზიულ-დროებითი მთავრობის მიერ დადგენილი კავკასიის საეგზარქოსო. ამ უკანასკნელს იგივე დატვირთვა ჰქონდა იმპერიისათვის, რაც თვითმპყრობელობის დროს. ამავდროულად, საეგზარქოსომ თავისი ადგილი შეინარჩუნა კონტრრევოლუციურ-თეთრგვარდიელთა პოლიტიკაში;
2) ბოლშევიკურ-სოციალისტური ხელისუფლების მიერ შექმნილი მოდერნიზებული რუსული ეკლესიის თაოსნობით კავკასიის საეკლესიო გლობალიზაციის პროექტის შემუშავდა, რომელმაც ფაქტობრივად, განხორციელება ვერ ჰპოვა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, წინამდებარე პრობლემის წარმოდგენილი მიმართულებით კვლევა ფაქტობრივად არ მიმდინარეობდა და ისე, როგორც ზოგადად საეკლესიო სფეროს კვლევას ჰქონდა ტაბუ დადებული, ბუნებრივად, მასთან მიმართებაში ამა თუ იმ საკითხის განხილვა იკრძალებოდა; მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ კავკასიური ერთობის პრობლემის კვლევის მიმართულებით არ მიმდინარეობდა მუშაობა; ნიშანდობლივია, რომ მათი ძირითადი ნაწილი ტენდენციურ ხასიათს ატარებდა, რაც საბჭოური იდეოლოგიით იყო განპირობებული.

წინამდებარე მონოგრაფია – „საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში" – შესრულებულია ძირითადად მრავალრიცხოვანი გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი საარქივო დოკუმენტების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. საარქივო მასალების ძირითადი ნაწილი პირველად ჩვენს მიერ იქნა შემოტანილი პრობლემებთან მიმართებით სამეცნიერო ბრუნვაში. მიმოქცევაში შემოტანილი

მასალის ძირითადი ნაწილი დაცულია საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო, საპატრიარქოსა და უახლესი ისტორიის არქივებში.

მონოგრაფიაში დაყენებული პრობლემების გაშუქებაში დიდი დახმარება გაგვიწია რუსულ და ქართულენოვანმა პერიოდიკამ. საყურადღებო ცნობით დაგვეხმარა ხელისუფლების ოფიციალური ორგანოების, პოლიტიკური პარტიების, სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გამოცემები.

მონოგრაფიაში განხილული სხვადასხვა საკითხის შესწავლის პროცესში აქტიურად იქნა გამოყენებული ქართველი და უცხოელი მკვლევარების თითქმის ყველა სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კი შეეხებოდა ჩვენს მონოგრაფიაში დასმულ საკვლევ საკითხს. წარმოდგენილ მონოგრაფიაში კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული სამეცნიერო დებულბები სწორედ ზემოაღნიშნული გამოკვლევების, ძველი ქართული და უცხოური წყაროების, საარქივო მასალისა და პერიოდული გამოცემების ურთიერთშეჯერებით განხორციელდა.

როგორც აღინიშნა, წინამდებარე მონოგრაფია მიზნად ისახავს კავკასიის საეკლესიო გლობალიზაციის ძირითადი ეტაპების წარმოჩენას, მისი ევოლუციური გზის გაშუქებას და პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში კავკასიის გლობალიზაციის საეკლესიო კუთხით შესწავლას. მონოგრაფიის ავტორს არ გააჩნია პრეტენზია ნაშრომში წარმოდგენილი დებულებების აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე და მადლიერების გრძნობით მიიღებს მეცნიერულად და არგუმენტირებულად დასაბუთებულ ყველა სურვილსა და შენიშვნას.

# თავი პირველი

## ერთიანი კავკასიური იდეის ევოლუცია V-XVIII საუკუნეებში

კავკასიის ერთობ თავისებურმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ უძველესი დროიდანვე განსაზღვრა მისი დანიშნულება მსოფლიო ცივილიზაციაში. კავკასია ოდითგან მოიაზრებოდა რამდენიმე ცივილიზაციის შეჯახება-კავშირების ხიდად, რომელმაც საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიოს განსხვავებულ მხარეთა პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

კავკასიის ესოდენ ფართო ფუნქციამ მისი მთელი არსებობის ისტორია განაპირობა, საუკუნეების მანძილზე, ღრმა და მძიმე პოლიტიკური კატაკლიზმებით ხასიათდებოდა.

მსოფლიო ისტორიოგრაფიაში კარგა ხნის დადგენილია, რომ კავკასიის რეგიონი ძველი დროიდან აღმოსავლეთისა და დასავლეთის (აზია-ევროპის) სასაზღვრო ბუფერის როლს ასრულებდა, რამაც განსაზღვრა მისი ხალხების ეთნიკური სიჭრელეც. კავკასიაში მიმდინარე მიგრაციულმა პროცესებმა განაპირობა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ცალკეული ერების ეთნოგენეზის საკითხიც (264, 28-31). ამრიგად, კავკასიასთან მიმართებაში, სამეცნიერო და ფართო საზოგადოებრიობაში ტრადიციულად მიღებულია აზრი, რომ ის ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობს, რაც მის ერთობ თავისებურებასაც აყალიბებს — „აქ გადაეჯაჭვა ერთმანეთს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციები, რამაც თავისი გავლენა მოახდინა კავკასიაზე, მის რელიგიებზე, კულტურაზე, ყოფასა და ცხოვრებაზე" (247, 398-399).

დროთა ისტორიულ მსვლელობაში, კავკასიის სპეციფიკურმა მდებარეობამ, გარკვეული ვექტორების სახე შეიძინა. ისტორიულად, ამ ვექტორებმა აღმოსავლურ-დასავლური და ჩრდილო-სამხრეთული სახასიათო თვისებები იტვირთეს. აღნიშნული კი გამომდინარეობდა იქიდან, თუ რომელი მიმართულებით მოედინებოდა კავკასიისაკენ კულტურულ-პოლიტიკური ზეწოლა — „კავკასიის ყელის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა სწორედ ამ ვექტორების არსებობამ განაპირობა. ხმელთაშუა ზღვისა და წინა აზიის ცივილიზაციები გავრცობის ურთიერშემხვედრი მიმართულებით — აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ხასიათდებიან. ბარბაროსობის საზღვარი ორივესათვის ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობდა. წინა აზიისათვის (ასურეთ-ბაბილონი, ხეთები, ურარტუ, ირანი, საბერძნეთ-ბიზანტია) ჩრდილოეთ საზღვარს კავკასიონის მთაგრეხილი წარმოადგენდა, რომლის ფლობა-გამაგრება აუცილებელი გეოპოლიტიკური უსაფრთხოების დაცვის ისტორიული ამოცანა იყო“ (248, 11).

ზემოაღნიშნული, ნათელი დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ ისტორიის მრავალსაუკუნოვან ქარტეხილებში კავკასია ჩამოყალიბდა ერთგვარ გასაღებად ურთიერთდაპირისპირებული, განსხვავებული სამყაროებისათვის. კავკასიის ფლობის გარეშე, აგრესიულ სახელმწიფოთა ამბიციების დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა, მათი დიდ სივრცეებზე გაბატონება კავკასიის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იყო. ნიშანდობლივია, რომ სწორედ კავკასიის მეშვეობით ხდებოდა დაპირისპირებულ ძალთა თავდაცვიანობის განხორციელებაც.

სამყაროს დაპირისპირებულ ძალთა ინტერესებმა, რომლებიც კავკასიის რეგიონზე იკვეთებოდა, ბუნებრივია, ამ უკანასკნელს მძიმე არსებობის პირობებს უქმნიდა. კავკასია, ნებით, თუ უნებლიედ ამ სამყაროთა შეჯახების პლატფორმად ჩამოყალიბდა და საკუთარი თვითმყოფადობის

შენარჩუნებისათვის ბრძოლის მარადიულ ფეთქებად რეგიონად იქცა. ყოველივემ კი, როგორც აღინიშნა განსაზღვრა კავკასიის რეგიონი და მისი მოსახლეობის თავისებურება, ხასიათი, რაც მენტალობის აპრიორად უნდა მივიჩნიოთ.

ძველი წელთაღრიცხვის I-ათასწლეულის მიწურულს, უდიდესი გარდატეხის პერიოდი იწყება კავკასიის ტერიტორიაზე. განვითარების მხრივ, აშკარად დაწინაურდა კავკასიის სამხრეთი რეგიონი, რაც მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. მათ შორის, ამ ტერიტორიაზე კომპაქტურად დაჯგუფებულმა დიდმა ტომობრივმა გაერთიანებებმა, ხანგრძლივი ეთნიკურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის შედეგად შექმნეს პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები: კოლხეთი, იბერია, სომხეთი და ალბანეთი (243). რეგიონში მიმდინარე სხვადასხვა ხასიის პროცესებმა, ბუნებრივია, ამ ერთეულთა პოლიტიკურ-კულტურული კავშირების განვითარების საკითხი წამოჭრა. ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა, თავის მხრივ, მოითხოვა ჯერ არსებული პოლიტიკური ერთეულების გეოპოლიტიკური ადგილის განსაზღვრა, ხოლო შემდგომ, თავად კავკასიის, როგორც ერთიანი რეგიონის გეოსტრატეგიული ფუნქციის დადგინება.

ამრიგად, ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის მიწურულს კავკასიის რეგიონში, რადგან კონკრეტულად სამხრეთ კავკასია (ამიერკავკასია — ქ.პ.) დაწინაურდა, როგორც პირველი სახელწმიფოებრიობის კულტურის დაბადების ადგილი კავკასიაში, ბუნებრივია, რომ სწორედ ამ რეგიონმა აითვისა განსაკუთრებული გეოპოლიტიკურ-გეოსტრატეგიული ფუნქციის დანიშნულება მსოფლიოში.

ამიერკავკასია, დაწინაურებისთანავე, იმთავითვე იქცა არა მხოლოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთდამაკავშირებელ ხიდად, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის საკონტაქტო ზონადაც (22). მიგვაჩნია, რომ ამიერკავ-

კასიის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ისტორიულად საკონტაქტო ზონად გამოცხადებას ორმხრივი დატვირთვა გააჩნია. პირველი კონტაქტების ზონად დასაშვებია მოვიაზროთ თავად ამიერკავკასიის და ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის საცხოვრისი არეალი, სადაც ეთნიკური სიჭრელის მიუხედავად, მის მკვიდრთ მჭიდრო ისტორიულ-კულტურული სიახლოვე ახასიათებთ, რაც თანდათანობით კავკასიის ერთობის იდეის ფორმირების ჩამოყალიბებაში იჩენს თავს. რაც შეეხება ზოგადად, თავად სამხრეთ კავკასიის ჩრდილოეთისა და სამხრეთის საკონტაქტო ზონად გამოცხადებას, აქ ვფიქრობთ მოსაზრებულია ჩრდილოეთის (სლავების-რუსეთის სახელმწიფო) და სამხრეთის ცივილიზებული ქვეყნების დამაკავშირებელ რეგიონად ამიერკავკასიის გამოცხადება.

ზემოაღნიშნული მდგომარეობის გამო, ამიერკავკასიის რეგიონი მთელი თავისი პოლიტიკური ისტორიის მანძილზე ჩამოყალბდა ურთიერდაპირისპირებულ იმპერიათა ინტერესების გადაკვეთის ასპარეზად. ამიერკავკასიის გეოსტრატეგიული დანიშნულების სათავისო ინტერესებში გამოყენებისათვის საუკუნეების მანძილზე იბრძოდნენ სამყაროს დიდი იმპერიები: საბერძნეთი და აქემენიდური ირანი, პართია და რომი, ბიზანტია და სპარსეთი, ბიზანტია და არაბეთი; ამიერკავკასიაში გაბატონების მძაფრმა სურვილმა შუა საუკუნეების მიწურულისათვის შექმნა დაპირისპირებულ მხარეთა დიდი სამკუთხედი — თურქეთის, სპარსეთის, დასავლეთ ევროპის ცენტრით ვატიკანი (ეს უკანასკნელი სპარსეთთან კავშირით ერთობლიობაში მოიაზრება, სადაც სპარსეთის ინტერესები ვლინდება ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობისათვის, ხოლო ვატიკანის კი ამიერკავკასიის გაკათოლიკებაში — ქ.პ.) და რუსეთი.

ამიერკავკასიის გეოპოლიტიკური მდებარეობით დაინტერესებას დაპირისპირებული მხარეები სხვადასხვა ფორ-

მიი ამჟღავნებდნენ. ამ დამოკიდებულებამ ევოლუციის რთული გზა განვლო, რომელიც ხან სამხრეთ კავკასიისადმი კომპრომისული პოლიტიკით ვლინდებოდა, ხანაც დამსჯელი სახის ექსპედიციებით. პოლიტიკური ისტორიის ამ კატაკლიზმებმა გამოიწვია სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა მუდმივი სწრაფვა ჩრდილო კავკასიასთან სიახლოვეში, მასზე საკუთარი უფლებების განვრცობაში, მასთან ერთობაში, რომლის საფუძველიც ბუნებრივია, საძიებელია იმ ისტორიულ-კულტურულ-რელიგიურ ურთიერთობებში, რომელსაც უძველესი ტრადიციები გააჩნდა. სწორედ ეს უკანასკნელი იყო საუკუნეების მანძილზე კავკასიის მოსახლეობისათვის ერთიანი კავკასიის იდეის შექმნის ხერხემალი.

კავკასიის ისტორიულ-კულტურული ერთობის საკითხი საუკუნეების მანძილზე საზოგადოების ფართო სპექტრისა და სამეცნიერო სფეროთა დიდი ინტერესის ობიექტი იყო. ამ პრობლემის ირგვლივ მეცნიერ-მკვლევარების აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი კავკასიას ერთიან გეოპოლიტიკურ და კულტურულ სივრცედ მოიაზრებს. ამ ერთიანობაში წამყვან მნიშვნელობას ჰეგემონობის როლს ანიჭებს, ხოლო ამ როლის შემსრულებელ პრეტენდენტებად კი ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებს მოიაზრებს, რამეთუ — „ჩრდილოეთით გაშლილი სივრცის აუთვისებლობა, ამიერკავკასიის ქვეყნებს ჩრდილოეთისაკენ უბიძგებდა, რადგან ამის უნარი ჩრდილო კავკასიის ხალხებს არ გააჩნდათ“ (237, 6-8). ასეთ კონცეფციას იძლევა მეცნიერთა ეს ნაწილი და ასეთი სახით მოიაზრებს კავკასიის ისტორიულ-კულტურულ ერთობას. ეს მაშინ, როდესაც მკვლევართა მეორე მხარე კატეგორიულად გამორიცხავს კავკასიის ისტორიულ-კულტურულ ერთობლიობას და ამის მიზეზად მრავალ ფაქტორს ასახელებს: ეთნიკურ სიჭრელეს, ზნე-ჩვეულებათა რადიკალურ

სხვაობითობას, რელიგიურ მრავალფეროვნებას და ა.შ. (259, 5).

ამიერკავკასიის და ჩრდილო კავკასიის ხალხთა მრავალსაუკუნოვანი ისტორია მრავლისმეტყველია იმ ღრმა ისტორიულ-კულტურულ კონტაქტებზე, რომელიც ამ ერებს შორის არსებობდა და მწვავე პოლიტიკური დაპირისპირებულობებით ნაკლებ ხასიათდება. ის ფაქტი, რომ კავკასია თანამედროვე პოლიტიკური ტერმინოლოგიით წარმოადგენდა ერთიან გეოპოლიტიკურ სივრცეს კარგად ჰქონდათ გააზრებული მაშინდელ პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეებს, რომლებიც ცდილობდნენ და ჰქმნიდნენ ამ ერთობის დამადასტურებელ იდეას; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიის არც ერთ ეტაპზე ამ იდეის რეალიზაცია არ მოხერხდა (244, 5-18). კავკასიური ერთობის იდეა აისახებოდა კავკასიის ხალხების ეთნოლოგიურ კონცეფციებში (XI საუკუნის 70-იანი წლების ლეონტი მროველის თეორია), ხალხურ ეპოსში, ზნე-ჩვეულებებში, კავკასიის მოღვაწეთა ეროვნულ მატიანეებში და ა.შ. ყოველივე მოწოდებული იყო კავკასიური სამყაროს ერთობის დასაბუთებისათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, კავკასია თავისი გეოპოლიტიკური არეალით, ბუნებრივი რესურსების სიუხვით და უძველესი, მდიდარი კულტურის წყალობით სამყაროს ყურადღების ცენტრში მუდამ იყო. ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები კი მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური გარემოებების გამო მუდმივ ცვალებადობას განიცდიდნენ, მაგრამ ტერიტორიული დაძაბულობა, საუკუნოვანი ნათესაური ყოფა-ცხოვრება ამ ურთიერთობებს მაინც ინტენსიურ ხასიათს ანიჭებდა. მიუხედავად ამ სიახლოვისა, გარე სამყაროს აგრესია კავკასიაზე არეკვლას მის ორივე მხარეზე ახდენდა და ხშირი ხასიათი ჰქონდა მათ შორის დაპირისპირებებსაც.

კავკასიის მოსახლეობის ისტორიულ-კულტურული ერთობის საკითხში სწორად გარკვევისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წინ წამოვწიოთ ის ისტორიული კავშირები და კულტურული კონტაქტების ელემენტები, რომლებმაც განსაზღვრეს კავკასიის ერთობლიობის იდეის დაბადება. დასახული პრობლემის სრულად გაანალიზებამ მოითხოვა კვლევა ორი მიმართულებით წაგვემართა: 1) წარმოჩენილიყო სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ისტორიულ-კულტურული და სარწმუნოებრივი თანამშრომლობა; 2) ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიულ-კულტურული და ნაწილობრივ რელიგიური კავშირები.

აღნიშნული ურთიერთობების გაშუქება დაიწყო უძველესი დროის ისტორიიდან და გამოიკვეთა დადებითი ნიშნები, რომლებიც ამ რეგიონის ხალხების ურთიერთობებისათვის გახდა სახასიათო.

როგორც აღინიშნა, ამიერკავკასიის სახელმწიფოების ურთიერთშორისი ისტორიულ-პოლიტიკური პროცესები მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათ საგარეო პოლიტიკასთან, საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილ გარემოებებთან. ყოველივე კი გამომდინარეობდა იმ მარადიული პრივილეგირებული მდგომარეობიდან, რომელშიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნები იყვნენ. ისინი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, მასზე გამავალ სავაჭრო-სატრანზიტო გზებს აკონტროლებდნენ, კერძოდ, სამხრეთიდან ჩრდილოეთით, ასევე, იმირკავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპის სამხრეთ სტეპებში მდებარე მაგისტრალებს. ისინი სამხრეთ ამიერკავკასიის ყველა პოლიტიკური ერთეულის უფლებამოსილებაში იყო. კავკასიის გარე სამყაროსათვის ამ გზებს სავაჭრო ფუნქციის გარდა თავდაცვითი მნიშვნელობაც გააჩნდა, რამეთუ ჩრდილოეთიდან ველურ მეჯოგე ტომთა დამანგრეველი ლაშქრობანი მახლობელი აღმოსავლეთის

ქვეყნებისათვის დამღუპველი იყო და აქედან გამომდინარე, ამიერკავკასიის ქვეყნებიც ანგარიშგასაწევი ძალა გახდა დიდი და განვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ძირითადი ფაქტორი არა მხოლოდ არეგულირებდა ეგრის-ივერია, არმენია და ალბანეთის პოლიტიკურ კავშირებს გარე-სამხრეთით აღმოცენებულ იმპერიებთან, არამედ ჰქმნიდა უცილობელ პირობებს მათი მჭიდრო კავშირებისთვის, რამაც თავის მხრივ, მათ არსებობა-განვითარებას ნებსით, თუ უნებლიედ საერთო წანამძღვრები ჩამოუყალიბა. აღნიშნული საფუძვლების პირველი ნიშანი უდაოდ საძიებელი უნდა იყოს მათ ერთობლივ პოლიტიკურ კურსში გარე, აგრესიულ სამყაროსთან მიმართებისას, რაც მათ საშუალებას აძლევდა ამ ურთიერთობისათვის მათთვის სასურველი მიმართულება მიეცათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს ყოველთვის ერთნაირი სიძლიერის გავლენა არ გააჩნდათ გარე ქვეყნების წინაშე, თუმცა დაწინაურებული პოლიტიკური ერთეულის წყალობით და მისი ავტორიტეტით მთელი ამიერკავკასია სარგებლობდა. ამ მხრივ, საინტერესოა VI საუკუნე, როდესაც ეგრისის სახელმწიფო მოხელეთა დამსახურებით, შედგა ეგრის-სპარსეთის პოლიტიკური ალიანსი ბიზანტიის წინააღმდეგ და, რომ მასზე იქნებოდა დამოკიდებული ბარბაროსი ჩრდილოელების თავდაუსხმელობა ბიზანტიის მიწაწყალზე. ბიზანტიელი ისტორიკოსები პირდაპირ მიუთითებენ ლაზიკის კავკასიელი ბარბაროსებისაგან თავდაცვის მნიშვნელობაზე. იგივე აზრს ატარებს ძველი წერილობითი წყაროები სპარსეთის სახელმწიფოს შესახებ (354, 81-94).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სპარსეთისა და ბიზანტიისათვის იბერიასთან სტაბილური პოლიტიკური ურთიერთობა, რამეთუ იბერიის ძალისხმევით ხდებოდა შესაძლებელი ჰუნებს, ალანებს და სხვა ბარბაროსებს არ გა-

დაელახათ დარუბანდისა და დარიალის კარიბჭენი და რომაელთა სამფლობელოები დაერბიათ (353, 216-217).

ეგრის-ქართლის სამეფოთა ესოდენ დიდი უფლებამოსილება და ავტორიტეტი მთელს სამხრეთ კავკასიაზე ვრცელდებოდა და მის ავტორიტეტს კიდევ უფრო აძლიერებდა მეზობელ სახელმწიფოთა შორის. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, რომ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები თავის გადარჩენისათვის ყოველთვის ეძიებდნენ საურთიერთიბო გზებს და მოქმედების მეთოდ-ხერხებს კავკასიის მთიანეთის მიმართ და ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებულ პოლიტიკურ კურსსაც იმუშავებდნენ. ეს პოლიტიკური კურსი კი თავის თავში მოიცავდა სამხრეთ კავკასიის კულტურული და პოლიტიკური გავლენის გავრცელებას კავკასიის ჩრდილო რეგიონზე. აღნიშნული პროცესები ნათლად ვლინდება ქართული მატიანის „ქართლის ცხოვრების“ დოკუმენტური მასალიდანაც (244, 7). სხვა საკითხია, როდესაც ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის იწყება ბრძოლა იმის თაობაზე, თუ ვისი ჰეგემონობით უნდა მომხდარიყო ჩრდილო კავკასიაზე სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ-კულტურული ზეწოლა. ბუნებრივია, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული სახელმწიფო თავად მოახვევდა თავის პოლიტიკურ-კულტურულ გავლენას უპირველესად სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ქვეყნებს და პირველ ეტაპზე, იქვე დაიმკვიდრებდა ლიდერის სტატუსს.

კავკასიის ერთ მთლიანობად დადგინებას, კავკასიურ გლობალიზაციას და მის რეალიზებას ბუნებრივია, სათანადო იდეა და მასზე დაფუძნებული იდეოლოგია ესაჭიროებოდა. სწორედ ამ იდეის ჩამოყალიბების მცდელობამ და მისი განხორციელებისათვის ბრძოლამ ნათლად წარმოაჩინა ის საერთო საფუძველი, რომელიც ამ იდეის საძირკველს გაამაგრებდა.

ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს პოლიტიკურმა იდეამ ძველი დროიდან ჰპოვა დასაბამი და ის, ხანგრძლივი, რთული ისტორიული პროცესების შედეგი იყო. ერთიანი კავკასიის იდეის ჩამოყალიბების საქმეში ერთდროულად ფიგურირებდა როგორც თავად კავკასიის შიდა, ისე საგარეო პოლიტიკური ფაქტორი და განსხვავებულ ეპოქებში მიმდინარე კატაკლიზმების ფონზე იშლებოდა ჰეგემონობისათვის ძალთა გადანაწილების თავდაუზოგავი ბრძოლა.

კავკასიის გაერთიანების ინიციატორებად იმთავითვე სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ერთეულები გვევლინებიან. აქ ელინისტურ ხანაშივე გამოიკვეთა ორი ძირითადი ძალა: იბერია და სომხეთი. რაც შეეხება კოლხეთსა და ალბანეთს,[1] ამ დროისათვის ისინი უკვე დეცენტრალიზებული სახელმწიფოებია, ხოლო იბერიისა და სამხრეთის პოლიტიკურ ლიდერობას კი მათი ამიერკავკასიაში ცენტრალური მდებარეობა განაპირობებდა. პირველ ხანებში ძალთა უპირატესობა სომხეთის მხარეს იხრებოდა, რაც მის მიერ ქართლისა და ალბანეთის სახელმწიფოების სამხრეთ რაიონების მიტაცებაში გამოვლინდა. ამავდროულად, შეინიშნებოდა ანექსირებულ ტერიტორიებზე გაბატონებული კულტურის განვრცობა-შეთვისების პროცესიც; სომხური ენის, ზნე-ჩვეულებების დამკვიდრებამ ლეონტი მროველის გადმოცემის საფუძველი შექმნა — „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს" (356, 16).

---

[1] ალბანეთის სამთავროს ირგვლივ საუბარი შეიძლება მხოლოდ VII საუკუნემდე, რამეთუ პოლიტიკური კატაკლიზმები ალბანეთს ვერ უმართავდნენ ხელს რეალური პრეტენდენტობისათვის ბრძოლაში. მეორის მხრივ, იმავე მიზეზებით, ალბანეთმა, როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა შეწყვიტა არსებობა და გაქრა ისტორიის ასპარეზიდან.

I-II საუკუნეებიდან ქართლის სამეფო დაწინაურდა და რომის მხარდაჭერით სომხეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები დაიბრუნა; შეუტია თავად სომხეთს და ალბანეთსაც. ქართლის სამეფომ მოხერხებულად გამოიყენა კავკასიის გადმოსასვლელებზე კონტროლის დიდი უნარი და რომის ხელშეწყობით მოახერხა დაწინაურება ჰეგემონობის საქმეში. საამისოდ კი, ქართლი მზადყოფნას აცხადებდა, რომ დასავლურ კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციის გზას დაადგებოდა. კავკასიის გაერთიანების ჰეგემონობისათვის მებრძოლი ქართლის მიერ შერჩეული ეს პოლიტიკური კურსი საქართველოს შემდგომი ბედის განმსაზღვრელი გახდა. ამ მოვლენას უკავშირდება ქართლსა და ეგრისში IV საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; საქართველოს ეკლესიის მიერ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მესაჭეობის ტვირთვა და უკვე პირველი ქრისტიანი მეფე — მირიანი კავკასიის მთიანეთში თავისი პოლიტიკურ-კულტურული შემომტკიცების პოლიტიკას ქრისტიანული სარწმუნოების ეგიდით ავითარებდა.

უკანასკნელ წლებში მსოფლიო და ქართულ ისტორიოგრაფიაში შესულმა სამეცნიერო გამოკვლევებმა (მუსხელიშვილი დ., კაკაბაძე ს., ჯაფარიძე ა., მაისურაძე გ., მამულაშვილი მ., და სხვათა სამეცნიერო ნაშრომები) ჩამოაყალიბა აზრი იმის შესახებ, რომ ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს იდეის ფორმირება უშუალო კავშირში იყო ისტორიულად ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება-გაძლიერებასთან. აქედან გამომდინარე, როდესაც ერთიანი კავკასიის სახელმწიფოს შექმნის იდეას ვეხებით, უპირველეს ყოვლისა მოვიაზრებთ ერთიან საქართველოს, სამხრეთ კავკასიის ლიდერს, ამ ტერიტორიაზე ქართული პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაციის დანერგვას, მის საშინაო და საგარეო ფაქტორს, მის დაუცხრომელ ბრძოლას

კავკასიის, როგორც ერთიანი რეგიონის ჩამოყალიბებისათვის.

ზემოაღნიშნული ამბიციის გამო, საქართველოს გარე ძალაც დაუპირისპირდა, რომლის პრეტენზია ასევე ერთიანი კავკასიის შექმნაში ჰეგემონობა იყო. ამ მხრივ, V-XII საუკუნეების მანძილზე, ეპოქების შესატყვისად, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: მაზდეანური ირანი, ქრისტიანული ბიზანტია და მაჰმადიანური სახელმწიფოები (ირანი და თურქეთი). საქართველოს კი, როგორც ჰეგემონობის ყველაზე რეალურ პრეტენდენტს უხდებოდა საშინაო — ამიერკავკასიის ქვეყნების და საქართველოს შიდა ოპოზიციური ძალების და საგარეო ფაქტორის მოგერიება — „... ერთიანი საქართველო შინაურ და გარეშე მტერთან ბრძოლაში გამოიჭედა" — აღნიშნავს აკად. მ. ლორთქიფანიძე (155, 66).

როგორც აღინიშნა, საქართველოს ერთიანი კავკასიის შექმნაში გარეშე ფაქტორი ძლიერ კონკურენციას უწევდა. აქედან, ერთ-ერთი უპირველესი იყო ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური ჰეგემონობის პრეტენზია, რომელიც ამ საქმეში, თავის მხრივ მაზდეანურ ირანს უპირისპირდებოდა; ორივე ერთად კი, საქართველოს ერთიანობა-გაძლიერების პროცესის შეჩერებას და გლობალურ კავკასიაში მისი ჰეგემონობის სურვილის დაკარგვას ცდილობდა.

ისტორია ცხადყოფს, რომ კავკასიის გლობალიზაციის იდეის განხორციელებაში მრავალი ფაქტორი მონაწილეობდა. განვითარების რიგ ეტაპზე წინაურდებოდა თითოეული მათგანი და ამ იდეის რეალიზაციისათვის ბრძოლის განმსაზღვრელიც ხდებოდა. იყო შემთხვევებიც, როდესაც ყველა ფაქტორი ერთდროულად და ერთნაირი წარმატებითაც აქტიურობდა; ზოგჯერ კი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე იყო განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებული.

პოლიტიკურ-იდეოლოგიური, კულტურულ-ეკონომიკური ფაქტორის გვერდით, ერთ-ერთ მოქნილ, მაგრამ

ამავდროულად ფრთხილ და რთულ ფაქტორს რელიგიური ფაქტორი წარმოადგენდა. სწორედ ეს უკანასკნელი ასრულებდა განსაკუთრებულ როლს ერთიანი კავკასიის იდეის განხორციელების საქმეში. მას ერთნაირი წარმატებით იყენებდა როგორც გარე, ისე კავკასიის შიდა ძალა და მეტნაკლები სისავსით აღწევდა დასახულ მიზანს.

ალნიშნულის თანახმად, როგორც გარეშე, ისე შიდა ძალა კავკასიის გაერთიანებას საერთო რელიგიური ნიშნის დამკვიდრებით ცდილობდა. თუ მაზდეანური და მოგვიანებით მუსლიმური ელემენტი უნდა დამკვიდრებულიყო ერთიან კავკასიაში და ის ამ საქმეში მაქსიმალურ ძალისხმევას იყენებდა, მოგვიანებით ამ მიმართულებით მარცხის გამო, ირანი შიდა ფაქტორს იყენებდა სომხეთის სახით და მისი ინტერესების გამტარებელი ქრისტიანული ორიენტაციით ცდილობდა ერთიანი კავკასიის სრულუფლებიან ბატონობას. აქ მხედველობაში გვაქვს სირო-სპარსული ქრისტიანობა, რომელმაც სომხურ სახელმწიფოში სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების სახე მიიღო. ანალოგიური ნიშნით, ილტვოდა ბიზანტია კავკასიაში. მიუხედავად იმისა, რომ ადრეშუასაუკუნეებისათვის ჩრდილოკავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების ჰეგემონებად სამხრეთ კავკასიის ქრისტიანული ქვეყნები გვევლინებოდნენ, ბიზანტია მაინც მეცადინეობდა ამ პრიორიტეტის დაუფლებისათვის (152, 112).

ბიზანტიის იმპერიის ინტერესებში იმთავითვე სერიოზული ადგილი ეკავა კავკასიის ფაქტორს. მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიაში დასაყრდენი ძალის აღმოჩენას. ამით იყო განპირობებული, რომ ისტორიული პროცესების შესატყვისად, ბიზანტიელ კეისართა აქცენტი ხან ჩრდილო და, ხანაც სამხრეთ კავკასიაზე კეთდებოდა; ამ უკანასკნელში ხან სომხეთი იყო პრიორიტეტულ მდგომარეობაში და, ხანაც უმეტესწილად საქართველო, რამეთუ სწორედ საქართველო უწევდა წინააღმდეგო-

ბას ბიზანტიის აგრესიული ზრახვების გამარჯვებას კავკასიის რეგიონში.

ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური ინტერესები კავკასიისადმი, ჯერ მაზდეანური და შემდეგ მაჰმადიანური სპარსეთისაგან განსხვავებით ძირითადად კულტურული მიდგომით გამოიხატებოდა, ხოლო კულტურის სფეროში ბრძოლის ძირითად იარაღად საერთო რელიგია — მართლმადიდებლური ქრისტიანობა იქცა, რომელიც ბევრად უფრო სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა კავკასიელ ეთნოსთა ეროვნულ თავისთავადობას და მიმართული იყო ერთიანი კავკასიური რეგიონის დადგინებისაკენ, ბუნებრივია, ბიზანტიის იურისდიქციის ფარგლებში.

ამიტომ იყო, რომ ბიზანტიელ პოლიტიკოსთა ხელში ქრისტიანობა ყოველთვის ყველაზე ხელსაყრელი საშუალება იყო თავისი უფლებების განვრცობისათვის „ბარბაროს" ხალხებზე, რომლებიც გარს ერტყმოდნენ მათ იმპერიას. დაინტერესებული იყო რა, ბიზანტია თავისი საზღვრების ძლიერი სამხედრო ბარიერის შექმნით, ის დიდ ძალისხმევას იჩენდა ამ ადგილებში თავისი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის — ქრისტიანობის დამკვიდრებისათვის (აქ მხედველობაში გვაქვს ბერძნული მართლმადიდებლობა). უკვე IV საუკუნეშივე მისი ძალისხმევით ჩრდილო კავკასიის რეგიონში შეიჭრა ქრისტიანობა, რაზეც ცხადჰყოფენ უცხოური წერილობითი წყაროები და მონუმენტურ ძეგლებზე შესრულებული ქრისტიანული შინაარსის წარწერები (392, 384-385). 519 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე ფანაგორიის ეპისკოპოსის იოანეს მონაწილეობა მიგვანიშნებს ჩრდილო კავკასიაში საეკლესიო ორგანიზაციის არსებობაზე, რომელიც ბიზანტია-ბოსფორის იურისდიქციაში იყო (392, 384). მიუხედავად ბიზანტიის დიდი მცდელობისა, ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა I ათასწლეულის შუა ხანებშიც ახალი წელთაღრიცხვით ისევ

ტრადიციული კერპთაყვანისმცემლობის ერთგული დარჩა (392, 149). სავარაუდოა, რომ ამ უკანასკნელმა ფაქტორმაც განაპირობა ბიზანტიის ძალისხმევის კრახი ერთიანი კავკასიის ჰეგემონობაში; როგორც ჩანს, კავკასიამ მისი ტრადიციისაგან რადიკალურად განსხვავებული კულტურის მატარებელი ცივილიზაცია მართალია მიიღო, მაგრამ არ გაითავისა, ვფიქრობთ, ბიზანტიის მიერ ქრისტიანობის კავკასიაში დანერგვის წარმატებები უფრო განპირობებული უნდა ყოფილიყო კავკასიელი მაღალი სოციალური ფენის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ბიზანტიასთან დამყარების ინტერესებით.

როგორც აღინიშნა, კავკასიური გლობალიზაციის იდეური ფორმირება ხანგრძლივ და ერთობ რთულ ისტორიულ პროცესს წარმოადგენდა. ადრე შუასაუკუნეებიდანვე სახეზე იყო ქრისტიანული და მუსლიმური სამყაროების ურთიერთდაპირისპირება იდეის თავის სასარგებლოდ რეალიზაციისათვის. აღსანიშნავია ამავდროულად ის გარემოებაც, რომ გლობალიზაციის იდეის განხორციელებაში სერიოზული პრეტენზიები თავად სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებსაც (ქართული და სომხური სამეფო-სამთავროები — ქ.პ.) გააჩნდათ.

ისტორია ცხადჰყოფს, რომ ერთიანი კავკასიის პოლიტიკურ-კულტურული სივრცის დადგინების ჰეგემონობისათვის მებრძოლთა შორის ისევ შიდა ფაქტორმა გაიმარჯვა და დაწინაურდა ქართლის სამეფო, რომლის ამ მიმართულებით ბრძოლა პირდაპირ უკავშირდება ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ერთიანი კავკასიის ჩამოყალიბებაში საქართველოს ბრძოლა ჰეგემონობისათვის შესაძლებელია პირობითად დავყოთ სამ ჯგუფად: IV-VI საუკუნეები, VII-VIII საუკუნები და IX-XII საუკუნეები. საგულისხმოა, რომ ამ საკითხის ირგვლივ ძლიერი საზოგადოებრივი აზრიც ყალიბდებოდა

და ქართული სამეფო ხელისუფლება ამ აზრზე დაყრდნობით იბრძოდა მთელი XVIII საუკუნის მანძილზეც.

როგორც აღინიშნა, IV-VI საუკუნეები უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ხანაა საქართველოსა და მთლიანად კავკასიისათვის. ამ დროის ღირსშესანიშნავი მოვლენაა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; იგივე პროცესს განიცდიან სომხეთი და ალბანეთი, ხოლო ჩრდილო კავკასია კი ქრისტიანობის გაცნობის პროცესშია. ამავე დროს, დაიწყო ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლა, რომელიც თავის განხორციელებას მოგვიანებით ჰპოვებს. მაგარმ, ეს სრულიად არ უშლიდა ხელს საქართველოს ცალკეულ რეგიონებს ებრძოლათ ერთიანი კავკასიის ჰეგემონობისათვის. V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა პირველად გააერთიანა საქართველო და აქტუალური გახადა ერთიანი კავკასიის პრობლემა. ამ მიზნის განხორციელებაში, მის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა ე.წ. „სომხური საკითხი“, რომელმაც დასაბამი ჯერ კიდევ IV საუკუნიდან ჰპოვა. ვახტანგ გორგასალმა ფაქტობრივად მოხსნა კავკასიაში სომხეთის პრეტენზია ჰეგემონობაზე, რასაც მისი მემატიანე ჯუანშერიც იუწყება — „ ითხოვა სპარსთა მეფისაგან ასული ცოლად და მოსცა სომხითი და ყოველნი მეფენი კავკასიანნი ზითვად“ (356, 203-204).

V საუკუნეში, ქართლის სამეფოს მეზობელი სომხეთის სახელმწიფო თავისი არსებობის უკანასკნელ წლებს ითვლიდა; სპარსეთის სამეფო ხელისუფლება მიზანდასახული პოლიტიკით ახორციელებდა სომხეთის სამეფოს ლიკვიდაციას. ამ პროცესს კიდევ უფრო ამძიმებდა ქვეყნის შიდა კრიზისი და სომეხი ნახარარების დაპირისპირება სამეფო ხელისუფლებასთან, რომელიც დასრულდა სპარსეთის მთავრობის მიერ ირანელი მარზპანის დანიშვნით. V საუკუნის 30-იან წლებში სომხეთში მიმდინარე პროცესები საფუძველი გახდა ამ სამეფოს გაუქმებისა. ანალოგიური

პროცესებია სავარაუდო ალბანეთის სამეფოში, რაც კიდევ უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ირანთან ტერიტორიული სიახლოვის გამო (44,138-143).

ამრიგად, ყველა პირობა შეიქმნა იმისთვის, რომ საქართველოს ჰეგემონობით შესაძლებელი ყოფილიყო სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის რეგიონთა დაახლოება-შერწყმა.

VII-VIII საუკუნეები თვისობრივად ახალი ეტაპია ერთიანი კავკასიისათვის ბრძოლაში, ასევე ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაშიც. ამ დროს იქმნება ე.წ. „ყოველი ქართლი", როგორც ერთიანი საქართველოს პოლიტიკური ცნების წინა საფეხური. ამ დროს განხორციელდა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია, ბიზანტიურ-ქრისტიანული ორიენტაციის (დიოფიზიტური ქრისტიანობა — ქ. პ.) არჩევანი; აღნიშნულით იყო გამოწვეული მონოფიზიტურ (სომხურ-გრიგორიანული და სირო-სპარსული ქრისტიანობა — ქ. პ.) სამყაროსთან დაპირისპირება და კავკასიაში ჰეგემონური პოზიციის მყარად დაფიქსირება. ეს უკანასკნელი კი მანიშნებელი იყო საქართველოს მიერ ბიზანტიის კულტურულ-პილიტიკურ მემკვიდრედ გამოცხადებისა და ამავდროულად, მისი ბიზანტიასთან მწვავე დაპირისპირებისა. ფაქტი იყო, რომ ბიზანტიის იმპერიას რეალური საფრთხე შეექმნა საქართველოს სახით კავკასიის გაერთიანების საქმეში. ბიზანტიის წინაშე რეალური გახდა კავკასიის შიდა ძალების ბრძოლა რეგიონის გლობალიზაციისათვის და ამ საქმეში შიდა ძალების ჰეგემონობის მოპოვებისათვის.

IX-XII საუკუნეებში უკვე შეიქმნა ერთიანი საქართველო და ის კავკასიის გაერთიანების ისტორიული მისიის აღსრულების აქტიურ საქმიანობას შეუდგა. ამ დროის ქართული სახელმწიფო პოლიტიკა მიზნად ისახავდა სამ ძირითად ამოცანას:

1) ქართული სახელმწიფოს შინაგანი ერთობის განმტკიცებას;
2) სახელმწიფო მმართველობის ცენტრალიზაციას (როგორც საქართველოში, ისე სრულიად კავკასიაში – ქ.პ.);
3) ქვეყნის საგარეო უშიშროების უზრუნველყოფას.

მთელი V-XII საუკუნეების მანძილზე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკას და მათ ორიენტაციას განსაზღვრავდა ბიზანტიასთან, ირანთან და მაჰმადიანულ სამყაროსთან კავშირი. განსაკუთრებული სახეცვლილებით ხასიათდება ერთიანი კავკასიის ლიდერობისათვის მებრძოლი ბიზანტიისა და საქართველოს ურთიერთობები, რამაც თავისი განვითარების ორი ეტაპი განვლო:
1) აღმოსავლური ქრისტიანობის ორიენტაციაზე არჩევანი და ქართველების მიერ ბიზანტიური კულტურის ათვისების ეტაპი;
2) საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკურ-კულტურული მეტოქეობის ხანა.

ზემოხსენებულ ორივე ეტაპზე, მეტ-ნაკლები გამოვლინებით მიმდინარეობდა მეტოქეთა შორის ძალთა გადანაწილებისათვის ბრძოლა, რადგან, ბიზანტიის ინტერესებში ყოველთვის თავსდებოდა კავკასია და, ისიც ერთიანობაში, ხოლო საქართველო მას ამ საქმეში სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა; ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივი იყო ბიზანტიის მეცადინეობა საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების საწინააღმდეგო მიმართულებით.

ბიზანტია რეალურად ხედავდა საქართველოს მაღალ ავტორიტეტს კავკასიელთა შორის და მის დიდ უნარს კავკასიის გაერთიანების საქმეში. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სიძლიერე, მისი გავლენის განვითარება ჩრდილო კავკასიაში, ფართო სამისიონერო საქმიანობის მიმდინარეობა კავკასიის მთიანეთში და სხვა (61; 349,

18(1) უკიდურესად აღელვებდა ბიზანტიას. ქართული ეკლესიის თანადგომა საერო ხელისუფლებასთან, მათი ჰარმონიული თანამშრომლობა, გლობალურ კავკასიაში საქართველოის ჰეგემონობას მყარ ნიადაგს უქმნიდა (106). არც საქართველოს ეკლესიის აქტიურობა შედიოდა ბიზანტიის პოლიტიკურ ინტერესებში და ამით შეიძლება აიხსნას კონფესიურად განსხვავებული სომხური ეკლესიისადმი ბიზანტიის იმპერიის კომპრომისული პოლიტიკა, მისდამი ლოიალობის გამოვლენა და კავკასიაში მისთვის გარკვეული უპირატესობის მინიჭებაც (106).

ბიზანტიის კავკასიისადმი მიმართული პოლიტიკის ფონზე იშლება საქართველო-სომხეთის ურთიერთობების შეჯასება, რომელიც თავისი ხასიათით ჯერ ამიერკავკასიაში, ხოლო შემდგომ მთელს კავკასიაში პოლიტიკურ-კულტურულ-სარწმუნოებრივი ჰეგემონობისათვის ბრძოლით იყო განპირობებული. სომხეთიც და საქართველოც კავკასიაში ჰეგემონობის პრეტენზიის გამო, იდეოლოგიურ ომს აჩაღებდნენ ერთმანეთში და ცდილობდნენ თავიანთი „კავკასიური პოლიტიკის" დაკანონებას. სომხეთისათვის ამ ბრძოლაში სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიას გააჩნდა პრიორიტეტი და ის მთელი ძალისხმევით იღწვოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შერწყმისათვის. ამგვარი მიმართულებით საქმიანობას საქართველოს საერო და სასულიერო კრებული მძლავრი წინააღმდეგობით პასუხობდა.

ამრიგად, კავკასიის გაერთიანების იდეა ორი ურთიერთსაპირისპირო ბანაკის სახით ჩამოყალიბდა: ერთის მხრივ, შიდაკავკასიური-საქართველო-სომხეთის დაპირისპირების სახით, ხოლო მეორის მხრივ, საგარეო ძალთა შეჯახების სახით, რომელმაც გამოვლინება ქრისტიანულ ბიზანტიასა და მაზდეანურ ირანს შორის დაპირისპირებაში ჰპოვა. ორივე ბანაკის საერთო ინტერესებმა — შეექმნათ ერთიანი კავკასიური რეგიონი თავიანთი ჰეგემონობით, ასა-

ხვა ჰპოვა ცალკეული ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ და კულტურულ სპექტრში. ორივე ბანაკის საზოგადოებრივი აზრი არა მხოლოდ თავიანთ პროვინციებს, არამედ ზოგადად კავკასიასაც ერთიან, გლობალურ სამყაროდ მოიაზრებდა.

ადრეული შუასაუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა ხაზს უსმევს იმ გარემოებას, რომ IV-V საუკუნეებში კავკასიაში უკვე არსებობდა საერთო იდეოლოგიური ბანაკი, რომლის რღვევისათვის გარეშე ძალა ენერგიას არ იშურებდა. ეს გარემოება უპირველეს ყოვლისა ქართულ-სომხური სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურ განხეთქილებაში მოიაზრება, რომელსაც პოლიტიკური ნიადაგი გააჩნდა (345). კავკასიაზე ბატონობის მოსურნე გარე ბანაკს კარგად ესმოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის საეკლესიო განხეთქილებას, რაც მათ უფლებებს შეზღუდავდა ჩრდილო კავკასიაზე.

ამ მიმართულებით მუშაობამ თავისი უარყოფითი შედეგი გამოიღო და ამიერკავკასიის ხალხების დაპირისპირებამ კავკასიის გაერთიანების იდეის განხორციელება ხანგრძლივი დროით გადადო. კავკასიის საეკლესიო განხეთქილებამ საქართველო შორეულ მეზობელს — ბიზანტიას დააახლოვა. მან კონსტანტინოპოლთან გააბა რელიგიურ-პოლიტიკური ქსელი, თუმცა კარგად გაიაზრა მისი ამბიციები კავკასიაში ბატონობისათვის — „ რომელიც უეჭველად სომხეთზე ძლიერია, მაგრამ შორს მყოფი გიგანტი ყოველთვის ნაკლებ საშიშია ..." — აღნიშნავს მკვლევარი ლ. ზაქიანი (235, 51).

IX-XI საუკუნეების ისტორია მნიშვნელოვანი ტეხილია კავკასიელი ხალხებისათვის, რაც გამოიხატა მათი გაერთიანებისაკენ მძლავრ მისწრაფებაში. ამ დროისათვის საქართველო უკვე რეალური ჰეგემონია მიმდინარე პროცესებში. ამავდროულად, როდესაც ქართული მონარქიის,

იგივე კავკასიური სახელმწიფოს ფორმირება მიმდინარეობდა. საქართველო უკვე აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროში ბიზანტიის იმპერიის კულტურულ-პოლიტიკური მეტოქე იყო. ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის შემდეგ, საქართველოს გარშემო გაერთიანდა თითქმის მთელი კავკასიური სამყარო, რომლის მაჰმადიანური ნაწილიც საქართველოს ყნად-ნაფიცობის პირობით დაემორჩილა. მათ შორის: ერზკინის სასულთნო, არზრუმის საამირო, ხლათის სასულთნო; ჩრდილოეთში კი კავკასიის მთიანეთისა და ამიერკავკასიის მთისძირა ზოლის ქვეყნები.

ერთიანი კავკასიის ჩამოყალიბებას, ბუნებრივია, სათანადო იდეური დადასტურება ესაჭიროებოდა და, როგორც კი X-XI საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლა გადაიზარდა ერთიანი კავკასიისათვის ბრძოლაში, ეპოქის წამყვანმა იდეოლოგმა — ლეონტი მროველმა სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესების შესაფერისად გამართა ისტორია და ჩრდილოეთიდან წინა რიგში წამოსწია კავკასიური სამყარო. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს — „ჩაისახა ახალი კავკასიური სამყარო და მას იდეური საფუძველი სჭირდებოდა, რისი შეცნობაც მროველმა და ამ ეპოქის სხვა ქრონოგრაფებმა იკისრეს. არსებობდა კავკასიის მსოფლიო, არსებობდნენ ამ მსოფლიოში „ნათესავები", პოლიტიკურად ეს ნათესავები ურთიერთის მოძმენი იყვნენ, ისე, რომ ერთ დროს მათ საერთო ენაც კი ჰქონდათ: ყველანი ერთი მამის, თარგამოსიანთა ნათესავნი იყვნენ. შემდეგ, ნაგულისხმევია, თითოეული ძმის წილი ქვეყანა ცალკე „ნათესავი" (ცალკე ეთნიკური ერთეული) შექმნა თავისი ენით ხაზგასმულია ქართლის უპირატესობის მომენტი „ჩრდილოეთის" თარგამოსიანებში" (13, 199). ამავდროულად, საყურადღებოა, ის ფაქტიც, რომ ლეონტი მროველი საერთო წარმოშობის ხალხთა ჯგუფში მოიაზრებდა მხოლოდ ადგილობრივ ქრისტიანებს, ან სამო-

მავლოდ გასაქრისტიანებელ მოსახლეობას. ბიშანდობლივია, რომ საქართველოს ხელისუფლება ერთგვარად ლეონტისეული თეორიით მოქმედებდა და ამავე პრინციპით აერთიანებდა კავკასიას: ადგილობრივი ქრისტიანი ხალხები უშუალოდ დაიმორჩილა, დანარჩენთ კი ყმადნაფიცობის პრინციპით დაუკავშირდა.

ზევით უკვე შევნიშნეთ, რომ ორი ურთიერთსაპირისპირო ბანაკი კავკასიის გლობალიზაციის იდეოლოგიას რელიგიის ნიშნით მოიაზრებოდა. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ ყველა შემთხვევაში, ორივე მხარე თავისი ეროვნული რელიგიის განვრცობით ცდილობდა კავკასიაში დამკვიდრებას, რაც ჰეგემონობის აბსოლუტურ გარანტიას იძლეოდა. რადგან IX-XI საუკუნეების მიჯნაზე კავკასიის გაერთიანების საქმეში ფაქტობრივად პრეტენდენტი საქართველოს არ ჰყავდა, ბუნებრივია, სრულიად კავკასიაში ინტენსიობით ვრცელდებოდა ქართული მართლმადიდებლობა (დიოფიზიტობა – ქ.პ.). ჰერთა გაქართველების პროცესის გვერდით, ქართული ქრისტიანობა შეიჭრა ჩრდილო კავკასიის უკიდურეს მთიანეთშიც; იგებოდა ქართული ყაიდის ეკლესია-მონასტრები, რაც ქართული ქრისტიანობისა და კულტურის კავკასიაში დამკვიდრების მანიშნებელი იყო. აღნიშნული ძეგლები არა მხოლოდ კავკასიის მიმართ საქართველოს პოლიტიკურ პრიორიტეტზე მიგვანიშნებენ, არამედ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ე.წ. კულტურულ ასიმილაციაზეც. ამ უკანასკნელის გამტარებელი კი საერო ხელისუფლებასთან ერთად საქართველოს ეკლესიაც იყო, როდესაც ის ცდილობდა კავკასიის ქრისტიანი ხალხების მცხეთის საკათალიკოსოზე დაქვემდებარებას. აღნიშნული, ინგუშეთში დღემდე შემორჩენილი ტყობა-ერდის ტაძრის წარწერითაც საბუთდება, სადაც ქართლის კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ I „აღმოსავლეთის პატრიარქად" არის მოხსენიებული. მოცემული ტიტული „მიგვანიშნებს

ქართული ეკლესიის პრეტენზიებზე, რომ მას განზრახული აქვს თავისი სამწყსოს გაზრდა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში" (1, 75). „როცა ქართული სტილით და ქართული წარწერებით ეკლესიები შენდებოდა სომხეთში, საეპისკოპოსოები არსდებოდა კარის, დვინის, ვალაშკერტის, ანისის ან დაღესტანში საკათალიკოსო, ან ოსეთ-ალანეთში ამას აშენებდნენ არა ქართველი მისიონერები, არა საქართველოს სამეფო ხელისუფლება, არამედ ადგილობრივი ფეოდალური საზოგადოება, რომელიც ამ ნიშნით ქართველობას იჩემებდა, მაგრამ მათ ამ ქართველობაში ახლა უკვე უპირველეს ყოვლისა ქართული ფეოდალური კულტურა იგულისხმებოდა" (13, 91).

ამრიგად, ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმდინარე პროცესებს ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა კავკასიელ ეთნოსთა კულტურული ასიმილაციის პროცესი. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ უნდა იყოს ვახუშტი ბატონიშვილის რუკებზე სვანეთის ჩრდილო კავკასიის საზღვრებში მოქცევა, ე.ი. ვახუშტის ეპოქის საზოგადოებრივი აზრი მტკიცე იყო ერთიანი კავკასიის ისტორიულ-კულტურული გარემოცვის შესახებ — „ როგორც ვახუშტი, ისე სხვა ავტორებიც სვანეთს ჩრდილო კავკასიაში შემთხვევით არ მიუთითებენ. ვახუშტიმ, როგორც ღრმად განსწავლულმა მეცნიერმა საქართველოსა და საერთოდ კავკასიის გეოგრაფიაში, არა გვგონია შეცდომა დაუშვას სვანეთის მდებარეობის განსაზღვრაში. რა თქმა უნდა, ვახუშტი ჩრდილო კავკასიაში სვანეთს აღნიშნავს საქართველოს საზღვრების ჩვენების მიზნით" (238, 155).

ნიშანდობლივია, რომ ძირითადად ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს ფორმირების პროცესი უკავშირდება დავით აღმაშენებლის ეპოქას. მან — „შერთო სახლი სახლსა და წურბლისა მსგავსად ვერ მაძღარი სხვათა სოფლისა კიდეთა ეძებდა დასაპყრობად" (348, 529), ე.ი. დავითი ცდი-

ლობდა აივისებული ტერიტორიები „სამეფოდ დაეჭირა“; და პირველად, ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს იდეის განხორციელებაში, არ იყო მცდელობა ერთიანი რელიგიური პოლიტიკის გატარებისა, ანუ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას არ შეესატყვისებოდა რელიგიური პოლიტიკა — „

ქრისტიანობის გავრცელების პოლიტიკა გამონაკლისს უშვებდა საქართველოს ტერიტორიის იმ მოსახლეობის მიმართ, რომელთაც ძველთაგანვე საკუთარი რელიგია და ეკლესია ჰქონდათ ...“ისეთი ერთეულებისათვის (შირვანი, სომხეთი), რომლებიც სახელმწიფოში საკუთარი ადმინისტრაციული წყობით შემოდიოდნენ, დაცული იყო სარწმუნოებრივ-საეკლესიო თავისუფლება სახელმწიფოში შემავალი არაქართული ეკლესიები, როგორც სომხური, ისე მაჰმადიანური, საგარეო საქმეებში ექვემდებარებოდნენ სამეფო უზენაეს ხელისუფლებას“ (240, 89).

ასეთი პოლიტიკის შედეგად, როდესაც კავკასიაში ქართველების დაწინაურება განპირობებული იყო ალმავალი პოლიტიკური სინამდვილით, სხვა აღმსარებლობა არავის აბრკოლებდა დაწინაურებულიყო ქართულ პოლიტიკურ სარბიელზე და თავი ეგრძნო „ქართველად“, ანუ, როგორც ნ. ბერძენიშვილი იტყოდა „ვეფხისტყაოსნის“ კულტურის მატარებლად“.

აღსანიშნავია, რომ ენის ფაქტორსაც ერთიანი კავკასიის იდეის განხორციელებაში უდიდესი დატვირთვა მიენიჭა. ის მომენტი, რომ საქართველო მოიაზრებოდა იქ, სადაც „ჟამის წირვა ქართულ ენაზე შეიწირვოდა“ ბუნებრივია, ქართული ენის ფუნქციონირების მასშტაბებს აფართოებდა. ყოველივე ეს კი, გადაიზარდა კავკასიური სახელმწიფოს შექმნაში და ქრისტიანობა ქართული ენით კავკასიურ ერთეულთა ქართველიზაციის მასტიმულირებელ ძალად მოგვევლინა. ყოველივე კი ჯერ ზოგადქართულ, ხოლო მოგვიანებით კი ზოგადკავკასიური პრობლემების

მოგვარებას უწყობდა ხელს. მთელს კავკასიაში საქართველო ახდენდა ქრისტიანული კულტურის ნაციონალიზაციას და მისი მეშვეობით უპირისპირდებოდა კავკასიაში ჰეგემონიისათვის გარემომცველ სამყაროს; იბრძოდა კავკასიელთა კულტურული ასიმილაციისათვის, რაც თავის მხრივ, მყარი ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის გარანტი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, ნათელია, რომ კავკასიის ერთიანობისათვის ბრძოლას ძველი დროიდან მოყოლებული მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ამ ბრძოლაში ეტაპობრივად ერთმანეთს ეცილებოდნენ დაწინაურებული სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ერთეულები (ქართლი და სომხეთი) და, რაც უფრო ინტენსიური ხასიათი ჰქონდა გარეშე ფაქტორის ამ საქმეში ჩარევას, ან, რაც უფრო აგრესიული ძალა მოდიოდა კავკასიის დასამორჩილებლად, მით უფრო აქტიური ხასიათი ჰქონდა კავკასიის გაერთიანების იდეის რეალიზაციის მცდელობას, მისი ხალხების ერთიან წინააღმდეგობას აგრესორთან მიმართებაში. ასეთი სახის წინააღმდეგობრივი მოვლენები ბუნებრივია, დღენიადაგ აყენებდა კავკასიელთა დღის წესრიგში გაერთიანების აუცილებლობის საკითხს. ამ საქმეში ჰეგემონობისათვის ბრძოლა პერიოდულად აბრკოლებდა კავკასიის გლობალიზაციის მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას.

კავკასიელი ხალხი იმთავითვე იაზრებდა, რომ ამ მეტად პრობლემატური საკითხის მოგვარებას საზოგადოებრივი აზრის დაბადება-მომწიფება და შემდგომი განვითარება ესაჭიროებოდა; აზრს კი იდეის სახე უნდა მიეღო, რომელიც სამომავლოდ ერთიანი კავკასიის იდეოლოგიაში გადაიზრდებოდა. ერთიანი კავკასიის იდეის ფორმირებას კი ის ქვეყანა იწყებდა, რომელსაც პრეტენზია გააჩნდა ამ საქმეში ჰეგემონობაზე. ასეთ სახელმწიფოებს როგორც აღინიშნა, ტრადიციულად საქართველო და სომხეთი წარ-

მოადგენდნენ; როგორც ზევით შევნიშნეთ ისტორიის განსხვავებულ ეტაპზე და პოლიტიკური ვითარების შესატყვისად, ეს ქვეყნები ერთმანეთს ჰეგემონობაში ინტენსიურად ენაცვლებოდნენ. აქედან გამომდინარე, იდეის ფუძემდებლებიც ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური მოაზროვნენი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ ამ იდეის თანამოაზრენი ჩრდილო კავკასიაში არ მოიძებნებოდნენ.

ნებისმიერ ეპოქასა და სახელმწიფოში იდეის ფორმირების შემზადებას სათავეში მწერლობა ედგა. ამ შემთხვევაშიც, როდესაც კავკასიის ერთობის საკითხს ვეხებით, ბუნებრივია, უნდა დავეყრდნოთ იმ მრავალრიცხოვან წყაროებს, რომლებიც ამ კუთხით მდიდარ ისტორიულ ინფორმაციას იძლევიან. კავკასიის ერთობის საკითხის სრული სისავსით არის გაჯერებული ქართული და სომხური საისტორიო მწერლობა, საერო საგმირო-სახოტბო ეპოსი, ხალხური ზეპირსიტყვიერება, თუ თქმულება-ლეგენდები, კავკასიურ ადათ-წესებში შემორჩენილი იდენტურობა, რწმენა-წარმოდგენათა ერთობლიობის ელემენტები, ხუროთმოძღვრული და ხელოვნების ნიმუშთა მსგავსებანი და ა.შ. შევეცდებით, ცალკეულად წარმოვადგინოთ ისინი და ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტებზე, რომლებიც საფუძველს აძლევდა კავკასიის ხალხებს ერთობლივად ელვაწათ საერთო სახლის — ერთიანი კავკასიის შექმნისათვის და მისი საშუალებით ძლიერი გარანტი შეექმნათ უცხო ძალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ერთიანი კავკასიის იდეის ფორმირების წერილობით დასაბუთებაში ყველაზე მეტად ქართველები დაწინაურდნენ და ამ საქმეში სათანადო სიმაღლეზეც ავიდნენ, როდესაც IX-X საუკუნეებში, რეალურ განხორციელებასთან ახლოს მივიდა ზემოხსენებული მიზანი და, როდესაც სომხური და ქართული სახელმწიფოების დაპირისპირებამ თავისი განვი-

თარების ზენიტს მიაღწია შეიქმნა უამრავი რაოდენობის შეპაეტყვისი თხზულება, სადაც ორივე მხარე ერთმანეთის დაპირებით ცდილობდა საკუთარ შესაძლებლობათა აფიშირებას. ქართველთა მხრიდან ყველა ასეთი ხასიათის ნაწარმოები (ეპისკოპოს სტეფანეს „წამებაი წმინდისა გობრონისა“, არსენ საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ – ქ.პ.) არ შესულა ოფიციალურ ქართულ მატიანეში – „ქართლის ცხოვრება“. აქ იმთავითვე მყარად მკვიდრდება ლეონტი მროველის თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. აშკარაა ავტორის მიერ ნაწარმოებში გატარებული ქართველ-სომეხთა ნათესაობის იდეა (233, 101). იგი ქართველთა და სხვა კავკასიელთა ახლო ნათესაობის – თარგამოსიანობის იდეას აყენებს. სომეხთათვის ასეთი შრომა შეასრულა მოსე ხორენელმა. მართალია, ეს უკანასკნელი ჩრდილოეთის ხალხებს არ ეხება, მისი ისტორია ამიერკავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ფონზე იშლება, ხოლო კავკასიის ხალხები ჩრდილში არიან მოქცეულნი, მაგრამ ლეონტის ისინი ისტორიაში შემოჰყავს და ახალი სამყაროს ცენტრში ქართლს ათავსებს. მას ექვემდებარება იმიერკავკასიაც. ლეონტი მროველი არმენოფილურ მწერლადაა აღიარებული, თუმცა მიგვაჩნია, რომ მისი ერთგვარი ლოიალური დამოკიდებულება სომხებისადმი პოლიტიკური მოსაზრებებით იყო გაჯერებული. თავის მხრივ, სომეხი ისტორიკოსებიც ცდილობდნენ იდეოლოგიურად დაესაბუთებინათ სომეხ პოლიტიკოსთა „კავკასიური პოლიტიკის“ კანონიერება. სომხური ტრადიციის მიხედვით, კავკასიაში პრიორიტეტი ენიჭებოდა სომხურ ეკლესიას, ხოლო სომეხთა სამეფო დინასტიებს გარკვეული უფლებები გააჩნდათ ქართულ პროვინციებზე.

დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების ხანაშიც აქტუალურია „სოხეთის საკითხი“, თუმცა ამ ეპოქის

მატიანეებს არ ახასიათებთ მროველისეული ლოიალობა სომხეთისადმი. აღნიშნულის მიზეზი საძიებელია იმ ფაქტში, რომ იმ დროისათვის საქართველოს ფაქტობრივად საზეზე ჰქონდა ერთიანი კავკასია და მისი გამაერთიანებელი თავად იყო (104, 210; 352). აღნიშნული კარგად ჩანს საქართველოს მეფეთა ტიტულატურაშიც. ნუმიზმატიკური მონაცემებით დავით აღმაშენებელი უკვე არის — „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“ (46, 64). ე.ი. გაერთიანებული საქართველოს, იგივე სამხრეთ კავკასიის განმგებელი — მონარქი იწოდება — „ყოვლისა საქართველოისა და ჩრდილოისა მპყრობელად“ (358). ნიშანდობლივია, რომ ეს ტიტულატურა ბოლოს მხოლოდ ტრაფარეტად იქცა და უკვე აღარ ასახავდა რეალურ პოლიტიკურ სინამდვილეს. მანამდე კი კონფესიურ-პოლიტიკური (არაეთნიკური) მომენტებით გაჯერებულმა ქართველმა შექმნა არა მარტო საქართველო, არამედ ახალი დიდი სამყარო — კავკასია და, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს — „მას ჯერ ისტორიულ-გეოგრაფიული სახელიც კი არ ჰქონდა, მაგრამ ჩანდა, რომ მისი სახელი საქართველო იქნებოდა, ამ ქვეყანაში არა მარტო კავკასიის სამხრეთი და აღმოსავლეთი (სომხითი, შარვანი), არამედ მთის იქით კავკასიონიც (დაღესტან-ჩეჩნეთი, ოსეთი, ჩერქეზეთი) აქტიურად მონაწილეობდნენ. იქმნებოდა დიდი სოფლიო, რომლის მაორგანიზებელი ცენტრი საქართველო იყო“ (13, 643).

XI-XII საუკუნეების ერთიანი კავკასიის ფორმირებამ სერიოზული ზეგავლენა მოახდინა საქართველოს ეგიდით მასში მოაზრებულ ყველა ეთნოსზე. ისინი შეეწყნენ საქართველოს კულტურულ ფენას, რომელთანაც დიდი ხნის მანძილზე აკავშირებდათ არა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, არამედ ასევე სულიერი, სახელდობრ მხატვრული გემოვნება და იდეალები (177, 44).

მაიში მთავარი ადგილი საერთო ფეოდალურ კულტურას ეკავა; სერიოზულად შეინიშნებოდა ქართული საერო ლიტერატურისა და კერძოდ, რუსთაველის გავლენა მათ თანადროულ ხელოვნებაზე, როცა ისინი შესაბამის მხატვრულ ფორმებსა და მიმართულებებს სახავდნენ (189, 305). აღნიშნული განსაკუთრებით ითქმის სომხურ ხელოვნებაზე. გ. ჩუბინაშვილის აზრით, ქართული ფეოდალური კულტურის ეს გავლენა სომხურ ხელოვნებაზე აღნიშნული ხანისათვის თვალსაჩინო იყო (228, 8). ასევე, შეინიშნება სომხურში ქართული ენის გავლენა, რასაც ასაბუთებს სომხეთის მდიდარი ქართული ეპიგრაფიკა.

ამრიგად, ერთიანი კავკასიის იდეოლოგ-ჰეგემონის კულტურა თანდათანობით და მშვიდობიანად შეიჭრა სომხეთში. ეს ტენდენცია კი კიდევ უფრო აშკარად იჩენს თავს მოგვიანებით, როდესაც სომეხი საზოგადოება ქართული სტილითა და ქართული წარწერებით აშენებს სომხეთში ეკლესიებს: კარში, ვალაშკერტში, ანისსა და სხვაგან (56, 83), როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა — „ადგილობრივი ფეოდალური საზოგადოება ამ ნიშნით ქართველობას ჩეულობდა".

ნიშანდობლივია, რომ უკვე XII-XIV საუკუნეებში საერთო კავკასიური ნიშნით გაერთიანებამ ურთიერთობების ისეთი ფორმები და ხასიათი ჩამოაყალიბა სომხებსა და ქართველებს შორის, რომ ის მრავალი საუკუნის მანძილზე გაჰყვა მომავალ თაობებს — „ ამ პერიოდმა ზეგავლენა მოახდინა თანამედროვეთა გონებაზე და მომდევნო თაობებზე და შემდგომშიც (XVIII ს.), როცა სომეხი ხალხის პოლიტიკურ წრეებში განიხილებოდა რუსული იარაღის დახმარებით სომხური მიწების განთავისუფლებისა და სომხური სახელმწიფოს აღდგენის საკითხი, ის მხოლოდ გაერთიანებული სომხურ-ქართული სახელმწიფოს ფარგლებში გაიაზრებოდა" (270, 9).

ამრიგად, ერთიანი კავკასიის იდეა შესაძლებლობის ფარგლებში ნაწილობრივ განხორციელდა, თუმცა, როგორც ზევით აღინიშნა, ერთობ სახასიათო ფორმებში, სადაც კავკასიის ხალხების მრავაფეროვნებანი სხვადასხვა სახით წარმოჩინდა და ეპოქასთან შესატყვისად დადგინდა — XI-XII საუკუნეებში სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ერთიანობას მიახლოებული კავკასიური ერთეული სახეზე გვაქვს. მის საზღვრებში კი მოიაზრებოდა საქართველო, სომხეთი, ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ ალბანეთი, შირვანი. აქედან, ქრისტიანული ქვეყნები ერთ უნიტარულ სახელმწიფოს ჰქმნიდნენ; შირვანი ითვლებოდა ავტონომიურ სამეფოდ, რომელსაც ადგილობრივი დინასტია მართავდა. საქართველოს სახელმწიფოს თავისი პროტექტორატები ჰქონდა ტრაპიზონის, ჩრდილო კავკასიის ქვეყნების, კარნუ ქალაქის სახით. გარდა აღნიშნულისა, ერთიანი კავკასიის ცენტრს — საქართველოს ვასალიტეტის პრინციპით ემორჩილებოდა მუსულმანური ქვეყნები: ირანის (განძის) სასულთნო, ნახჭევანის საამირო, შაჰარმენთა ხლათის სასულთნო, ეზინკის საამირო. ამასთან, საქართველოს იურისდიქციაში ერთიანდებოდა (1208-1209 წლებში) ჩრდილოეთ ირანი — ადარბადაგანი (41, 18-24).

ერთიანი კავკასიის ეს მონარქია, ბუნებრივია, არ წარმოადგენდა კლასიკური პოლიტიკური ერთეულის მოდელს, მაგრამ მის წიაღში უდაოდ არსებობდა აბსოლუტიზმის ელემენტები და იმართებოდა ჰუმანური ტენდენციების შესატყვისად, რასაც მეცნიერთა ერთი ნაწილი „ვეფხისტყაოსნის კულტურასაც" უწოდებს (59, 149-150).

ერთიანი საქართველოს ეგიდით ერთიანი კავკასიური მონარქიის შესაქმნელად და მის შესანარჩუნებლად ქართველებმა დახვეწილი პოლიტიკური იდეოლოგია შეიმუშავეს, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე მოქმედებაში იყო, მაგრამ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ერთიანი კავ-

კასიური მონარქიის სიცოცხლისუნარიანობა ხანმოკლე აღმოჩნდა და ის მარცხით დამთავრდა. ერთიანმა კავკასიამ და მისმა ჰეგემონმა საქართველომ ვერ გაუძლეს გარე ძალთა შემოტევებს (მონღოლთა ლაშქრობები) და მარცხი განიცადეს. მონღოლთა თავდასხმებს ისტორიის მცირე მონაკვეთში მოჰყვა მთლიანად კავკასიის განსხვავებული, აგრესიული კულტურული გარემოცვის არეალში მოხვედრა, რამაც ხანგრძლივი დროის მანძილზე თითქმის სტაბილური ხასიათი შეიძინა. ამავდროულად, დაეცა ბიზანტიის დიდი იმპერიაც, რამაც დიდ ზეგავლენა იქონია თავად საქართველოზე, რომელიც ბირთვის როლში იყო ერთიან კავკასიაში და ყოველივე ამან ბუნებრივია, თანდათანობით ხანგრძლივი დროით დააკარგვინა კავკასიას საერთაშორისო ძარღვის ფუნქცია; ვეღარ გახდა კავკასია დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაკავშირებელი დანიშნულების მატარებელი და ხანგრძლივი დროის მანძილზე გაყინულ მდგომარეობაში დარჩა აგრესიული გარემოცვის მძიმე ზემოქმედების ქვეშ. მონღოლთა მიერ კავკასიის განადგურების დროიდან დაიწყო არა მხოლოდ კავკასიის ერთიანობის დაშლა და მისი ცენტრის სახელმწიფოებრიობის განადგურება, არამედ მან გაანადგურა ამ უკანასკნელის იდეურ-პოლიტიკური გეზი და ხანგრძლივად შეაჩერა ერთიანი კავკასიური იდეის ხელახალი აღორძინების პროცესი.

ერთიანი კავკასიური იდეის ფორმირება-ჩამოყალიბების პროცესმა ხელახალი აღორძინება XVIII საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო. ისევე, როგორც ისტორიის წინა ეტაპზე, ამ იდეის დაბადებას ორი ფაქტორი განაპირობებდა: 1) საგარეო ფაქტორი და 2) საშინაო ვითარება. ამ უკანასკნელში დასაშვებია გავიაზროთ კავკასიის ხალხების ისტორი-

ული ლტოლვა ერთმანეთისაკენ, რასაც მრავალი ნიშანი განაპირობებდა და, რომელსაც ცალკე საგანგებოდ შევეხებით.

როდესაც საუბარია ერთიანი კავკასიის იდეის ხელახალი განხორციელების მცდელობაზე, გვერდს ბუნებრივია, ვერ აუვლით საგარეო ფაქტორს, რომლის გათვალისწინებაც ყოველთვის სასიცოცხლო დატვირთვის მატარებელი იყო კავკასიელი ხალხების თავისთავადობის შენარჩუნებისათვის. განსხვავებული ტრადიციების, კულტურის, აგრესიულ გარემოცვაში მყოფ კავკასიელებს ერთვნული გადაგვარების სერიოზული საფრთხე შეექმნათ მაჰმადიანური სახელმწიფოების (ირან-ოსმალეთი) მხრიდან. ამ უკანასკნელის ძირითადი ზემოქმედების ობიექტი ამიერკავკასიის ქვეყნები იყო, ხოლო ჩრდილო კავკასია უკიდურეს შევიწროვებას განიცდიდა ყირიმელი თათრების მხრიდან ოსმალური თურქეთის პოლიტიკური ინტერესების გამო. ბუნებრივია, ასეთ პირობებში განსაკუთრებულ რეალიზებას განიცდიდა ისტორიული მეხსიერება და ერთგვარი ნოსტალგიაც შეინიშნეოდბა ერთიანი კავკასიის ისტორიული არსებობის ირგვლივ.

ერთიანი კავკასიური იდეის ფორმირების ინიციატორად კვლავინდებურად სამხრეთ კავკასია გამოვიდა. ამ პერიოდში, ისევ დადგა საკითხი კავკასიის გამაერთიანებელ ჰეგემონზე. ამ შემთხვევაშიც, ერთმანეთის პირისპირ სომხეთი და საქართველო აღმოჩნდნენ. განსახვავებით წინა პერიოდისა, საქართველოს პრიორიტეტს ჰეგემონობაში გარკვეულწილად სომხეთი სცნობდა, რაც ვფიქრობთ ისტორიული მეხსიერებით, საქართველოს მესიანისტური ფუნქციის უკვე წარსულში შესრულებიდან უნდა მიმდინარეობდეს; მაგრამ ბუნებრივია, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ამ პროცესს შიდა ამიერკავკასიური დაპირისპირებანი არ მო-

ჰყოლია და სერიოზული სირთულეებიც არ ახლდა. მიუხედავად აღნიშნულისა, ამ დროის სომხური წყაროები კავკასიის (ამ შემთხვევაში, ჯერ ამიერკავკასიის — ქ.პ.) გაერთიანების იდეის პრაქტიკული განხორციელებისათვის ბრძოლას „ქრისტიანულ პოლიტიკას" უწოდებდნენ, მის მებრძოლებს „ქრისტიანებს", ხოლო ქვეყანას — „საქრისტიანოს", „ქრისტიანთა ქვეყანას" (56, 16).

ერთიანი კავკასიის ახალი იდეის ფორმირებისას, საგარეო ფაქტორში ჩნდება კორექტორული ნიშანიც — ასპარეზზე გამოდის ახალი პოლიტიკური ინტერესებით დატვირთული სუბიექტი — ახლადცენტრალიზებული რუსული სახელმწიფოს სახით. ამ ეტაპზე ჩვენ რუსეთის ფაქტორს მხოლოდ კავკასიური იდეის განხორციელების მეორე მცდელობისას შევეხებით, რაც შეეხება რუსეთის პოლიტიკური მიზნების ფორმირება-დასაწყისის წანამძღვრებს, მას ცალკე განვიხილავთ.

ამრიგად, სათანადო წერილობითი წყაროებისა და კავკასიაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ კავკასიის ჰეგემონის ფუნქცია ისევ საქართველოს დაეკისრა. თუ თვალს გადავავლებთ XVIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს საშინაო მდგომარეობას, დავრწმუნდებით, რა შიდა-პოლიტიკურ რთულ კატაკლიზმებს განიცდის ის. ისე, რომ კავკასიის ერთიანობის ჰეგემონობის ფუნქციის აღსრულებას, არც ამ ეტაპზე შეხვედრია საქართველო ერთიანი და მობილიზებული; მაგრამ ეს სრულიად არ მოასწავებდა იმას, რომ საქართველოს აღნიშნული საქმის აღსრულების ამბიცია არ აწუხებდა. ნიშანდობლივია, რომ სავარაუდოდ გარეშე ფაქტორიც საქართველოს მოიაზრებდა ერთიანი კავკასიის ლიდერად და შესაძლებელია, რომ ეს ფაქტორიც განაპირობებდა მისდამი განსაკუთრებულ ინტერესს, რაც ერთგვარი აგრესიით ვლინდებოდა.

ზოგადად კავკასიის და კონკრეტულად, ქართული და სომხური ისტორიოგრაფია ცხადჰყოფს, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარი აღსავსეა ამიერკავკასიის ხალხთა მეცადინეობით საერთაშორისო ასპარეზზე გაეტანათ თავიანთი ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა; ამით, უზრუნველეყოთ გარედან დახმარება (ანტიოსმალური კოალიციები, ევროპის ქვეყნების სუვერენებთან და ვატიკანის ხელისუფლებასთან ელჩობები და ა.შ. – ქ.პ..), მაგრამ ყოველივეს რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ევროპა, ამჯერადაც პრაქტიკული ქმედებების უგულველყოფით გულგრილი დარჩა ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ და მხოლოდ თავისი პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ინტერესებით შემოიფარგლებოდა (კათოლიციზმის გავცელების მიზნით კათოლიკე მისიონერთა შემოსვლა, შორეული აღმოსავლეთისაკენ ევროპის ლტოლვა ვატიკანის მეშვეობით და სხვ. – ქ. პ.).

XVIII საუკუნიდან მოყოლებული ქართველმა და სომეხმა ხალხებმა ძალთა გაერთიანებით ამიერკავკასიის ე.წ. „საქრისტიანო სახელმწიფოს“ ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა დაიწყეს და ამ ბრძოლამ იმთავითვე განვითარების სახასიათო ფაზას მიაღწია. ნიშანდობლივია, რომ ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს განხორციელებისათვის მებრძოლმა ამ ორმა ერმა პირველ ეტაპად ამიერკავკასიის გაერთიანება მოიაზრა. გაერთიანების იდეის ახალ ფაზაში შესვლა ერთის მხრივ, განპირობებული იყო რუსეთის სახელმწიფოს ამიერკავკასიაში გააქტიურებით და მეორის მხრივ, ვახტანგ VI –ის საგარეო პოლიტიკური კურსით. „ქრისტიანობის“აღდგენისათვის ბრძოლამ მას სომხებში დიდი ავტორიტეტი მოუპოვა (27, 151). მისთვის ქრისტიანობა არა მხოლოდ ქართული პოლიტიკური სისტემისა და ქართველობის გადარჩენის იდეოლოგიური საფუძველი იყო მაჰმადიანური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ სომ-

ხეებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებისა და მათი საერთო საქმეში გაერთიანების მყარი გარანტიც.

ვახტანგ VI თავისი მიზნების განხორციელებისათვის პოლიტიკური ორიენტაციის მიმართულებას ეძიებდა, რისი დასტურიცაა მის მიერ დასავლეთ ევროპაში წარმომადგენლობის გაგზავნა (სულხან-საბას ელჩობა 1713 წ. – ქ.პ.). ამ ელჩობას უნდა გაერკვია ვახტანგ VI-ის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის მიმართულება. მას არჩევანი დასავლეთ ევროპასა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის უნდა გაეკეთებინა (82, 353). ევროპული დახმარების გამორიცხვამ, კავკასიას რუსეთი დაუახლოვა და ამიერკავკასიაში „ევროპა" რუსეთის აღმნიშვნელ სინამდვილედ იქცა (231, 125-126). ამ დროიდან, რუსეთისა და „ქრისტიანული კავკასიის" ინტერესები ერთმანეთს გადაეჭდო და ამიერკავკასია რუსეთისათვის აღმოსავლურ პოლიტიკაში პლაცდარმად იქცა (56, 200).

რუსეთის ინტერესების ამიერკავკასიაში რეალიზების შესაძლებლობა ყველაზე ნათლად ამიერკავკასიის ხალხების ერთიანი კავკასიის შექმნის მცდელობის დასაწყისშივე გამოვლინდა. რუსეთის მიზანი იყო ამიერკავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური ბუფერის შექმნა სომხურ-ქართული სახელმწიფოს სახით, რომელიც მას გააერთიანებდა ვახტანგ VI-ის კვერთხის ქვეშ (367), ხოლო ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის კი საკუთარ წიაღში ანტიოსმალური ბანაკის შექმნა. ამ მხრივ, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ყაბარდოელ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის დადებული შეთანხმება (ე.წ. განჯის ხელშეკრულება – 1724 წ. 6. IV). ამ ხელშეკრულების გაფორმებაში ქართველ პოლიტიკოსებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდათ. ორივე მხარე რუსეთის იმპერატორისადმი (პეტრე I – ქ.პ.) გაგზავნილ წერილში აღნიშნავდნენ კახთა მეფისა და

ქართველ პოლიტიკოსთა დამსახურებას აზერბაიჯანელთა და სომეხთა გაერთიანებაში (36, 224). ჰალე, რუსეთის რეალური დახმარების იმედიც გაცრუვდა, როდესაც საერთაშორისო გარემოების გამო, მან მთელი ამიერკავკასია (კასპიისპირეთის ვიწრო ზოლის გარდა) ოსმალეთს დაუთმო (367). ამ დროიდან ამიერკავკასიამ დახმარების იმედი დიპლომატიაზე დაამყარა. ფაქტობრივად, ამიერკავკასიის ბრძოლამ XVIII საუკუნის დასაწყისში ერთიანი კავკასიური იდეის განხორციელებისათვის მარცხი განიცადა. მთელს ამიერკავკასიაში განუყოფლად გაბატონდა ოსმალეთი, ხოლო იქაური ეთნოსების პოლიტიკური ურთიერთობები მნიშვნელოვნად შესუსტდა. ქართველები და სომხები მხოლოდ ლოკალური ხასიათის ბრძოლებს აწარმოებდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ.

XVIII საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს, ირანში მიმდინარე შიდა კრიზისისა და ამიერკავკასიის ხალხების აუტანელი სოციალურ-ეროვნული ჩაგვრის საფუძველზე, მასიური ხასიათი მიიღო ამბოხებებმა. აღნიშნულით ისარგებლა ერეკლე II-ემ და საქართველო გაწმინდა ყიზილბაშებისაგან. ამიერიდან, საქართველოსა და თითქმის მთელს ამიერკავკასიაში აღარ იყო როგორც „ყიზილბაშობა", ისე „ოსმალობა"; თავიდან დაიწყო ე.წ. „ქართველობის შექმნის" პროცესი. ამ მოვლენამ მთელს ამიერკავკასიის ხალხებს განთავისუფლების იმედი აღუძრა (108, 77). ხელახლა იწყებოდა ამიერკავკასიის ხალხებში ერთიანი კავკასიის შექმნისათვის მეცადინეობა, რომლის ჰეგემონადაც ისევ საქართველო ისახებოდა.

ამიერკავკასიის ოსმალო-ყიზილბაშებისაგან განთავისუფლება თავის მხრივ, რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურების მომასწავებელი იყო. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვიდრე ამიერკავკასია რუსეთის

საგარეო პოლიტიკაში მხოლოდ დამხმარე ელემენტს წარმოადგენდა, „ამიერკავკასიის საქრისტიანოს“ შექმნა რუსეთისათვის სამომავლო იდეად რჩებოდა. პარალელურად კი, ამიერკავკასიისათვის უცნობი რუსული ზრახვები ფრთებს ისხავდა და მას თანდათანობით აახლოებდა კავკასიას ამ მხარესთან. ამიერკავკასიელი ერები კი ახალი შემართებით იწყებდნენ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური გაერთიანებისათვის ძალისხმევას.

XVIII საუკუნის პირველ და მეორე ნახევრის მიჯნაზე, გარეშე ელემენტის ბატონობა ამიერკავკასიის ქვეყნებში ფაქტობრივად შეწყდა. აქ დამოუკიდებელი და ნახევრადდამოუკიდებელი ფეოდალური ერთეულები წარმოიქმნა, ხოლო ირანის იმპერიის ტერიტორიაზე გამწვავდა შიდა დაპირისპირებანი. ასეთ ვითარებაში, თეიმურაზ-ერეკლეს პოლიტიკას ფართო ასპარეზი გაეხსნა. დასუსტებული ირან-ოსმალეთი იქცა რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოების დაპირისპირების საგანი; საერთაშორისო გარემოება კი კავკასიის იდეის ხელახალ განხორციელებას დიდ იმედს უსახავდა.

დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის კავკასიამ ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ბირთვის ფუნქცია ხანგრძლივი შესვენების შემდგომ ისევ დაიბრუნა, ხოლო საქართველო კი მოახლოებული რეალობის წინაშე პირისპირ აღმოჩნდა. რუსეთ-თურქეთ-ირანის დაპირისპირებაში თითოეული ძალა საქართველოს ფაქტორს მნიშვნელოვან დატვირთვას ძენდა. ყოველივე კი, ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის საქართველოს კავკასიის გაერთიანებაში ისევ ჰეგემონის პერსპექტივას უსახავდა. ნიშანდობლივია ის, რომ ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს საქართველო უაღრესად დასუსტებული, შინაგანი ძალებისაგან დაცლილი შეხვდა, როგორც ნ. ბერძენიშვილი

აღნიშნავდა — საჭირო იყო საქართველოს საკუთარი ჩამორჩენა გადაელახა და საზოგადოებრივი განვითარების ახალ გზაზე შემდგარიყო“ (12, 247).

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ამიერკავკასიის ხალხებს განთავისუფლება-გაერთიანების მეღროშედ კვლავინდებურად საქართველო ესახებოდათ, ხოლო საქართველოს „გამოხსნა-აღდგომის“ პირობად ერთიანი კავკასიის ფორმირება ეგულებოდათ, რომლის პირველი ეტაპი ამიერკავკასიის ხალხების შეერთება მიაჩნდათ.

მიმდინარე პროცესებში ამიერკავკასიის ხალხებს შორის თავისი აქტიურობით გამოირჩეოდნენ სომხები, რომელთა პოლიტიკურმა ისტორიამ მათ შედეგად „დენაციონალიზაციისაკენ“ მიდრეკილება მოუტანა. ამ პროცესების ირგვლივ ნ. მარიც დაწვრილებით აღნიშნავდა თავის გამოკვლევებში (178, 48). აღნიშნულით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ სომხები აქტიურად უჭერდნენ მხარს ერეკლე II-ის მისწრაფებებს და ძლიერი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის ერეკლესეულ გეგმას იზიარებდნენ, ხოლო სამშობლოს გარეთ მიგრირებულმა სომხურმა მდიდარმა ფენამ ქართულ-სომხური ფედერაციული სახელმწიფოს შექმნაც კი დაგეგმა (56, 240). ზემოაღნიშნული, ბუნებრივია, უმართებულო არ იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ სომხური საზოგადოების ძირითადი ნაწილისათვის საქართველო კულტურულ-რელიგიური თვალსაზრისით მონათესავე ქვეყნად მოიაზრებოდა, რომელთანაც მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი ურთიერთობები აკავშირებდა. ბუნებრივია, რომ აღნიშნული შეხედულება საზოგადოების ყველა ფენისათვის არ იყო მისაღები, მაგრამ ერთ ფაქტია, რომ სომხური საზოგადოების ძირითადი ნაწილი იაზრებდა საქართველოს პრეროგატიულობას სომხეთის გადარჩენისა და ზოგადად ერთიანი კავკასიური სამყაროს შექმნის საქმეში და

მზად იყო ნებაყოფლობით დაეთმო ჰეგემონობის პოზიციები და ქართული სახელმწიფოებრობის გაძლიერების სამსახურში ჩამდგარიყო.

თეიმურაზ-ერეკლეს ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის პოლიტიკა, ვახტანგ VI-ის სომეხ-ქართველთა პოლიტიკური კავშირისგან განსხვავებით დახვეწილი იყო და ამ კონსოლიდაციის მიღწევის შედარებით საიმედო ფორმებით შევსებული. „გურჯისტანის ვალის“, „ირანის სახელმწიფოს წარმომადგენლის“ სტატუსით მოხერხდა ჯერ ქართლ-კახეთის დაერთიანება, შემდეგ მეცადინეობა სომხური მიწებისა და სხვა ქრისტიანი ხალხების შემოერთებისათვის. ასეთი პოლიტიკა კავკასიისათვის ერთგვარად დროის მოგების მომასწავლებელი იყო, მანამ, რუსეთის სახელმწიფო მოიცლიდა კავკასიის საქმეებში ჩართვისათვის. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლება ამიერკავკასიის გაერთიანებისას ქრისტიანული პოლიტიკის რეალიზებას დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა, რათა მაჰმადიანური სამყაროს გაღიზიანება არ გამოეწვია, რომელიც ძლიერ ქრისტიანულ კავკასიას რუსეთის კავკასიაში გაბატონების პლაცდარმად მოიაზრებოდა. ამიტომ, მაჰმადიანური სახელმწიფოები ახალ-ახალი კოალიციებით და ლეკთა გაქეზებით პერმანენტული თარეშისათვის, ცდილობდნენ ქრისტიანული სამეფოს პოლიტიკური განვითარების შეზღუდვას.

მიმდინარე ვითარების ფონზე მოხდა ქართველთა ელჩობის გაგზავნა რუსეთში, რათა ერთიანი ქრისტიანული სახელმწიფო დაცული ყოფილიყო (261,140). ელჩობა ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ საქართველო კავკასიაში უკვე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მისი ხალხების ე.წ. „აღდგომა-გამოხსნის“ სანდო სუბიექტს წარმოადგენდა — „... XVIII საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა მახლობელი აღმოსავლეთის ხალხების „ქართული ორიენტაცია“,

რაც ნათლად გამოიხატა ქართლ-კახეთის სამეფოსთან შეერთების მათ დაუცხრომელ მისწრაფებაში“ (260, 158).

ამრიგად, XVIII საუკუნის 60-იანი წლებისათვის საქართველოს ჰეგემონობით თითქმის მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია ფაქტობრივად ერთ კონტროლს-საქართველოს ხელისუფლებას ექვემდებარებოდა და მისი ხალხების გაერთიანებისათვის მებრძოლი მოღვაწე იყო. ასეთი ვითარება, რუსეთისათვის ფრიად ხელსაყრელ გარემოებას ჰქმნიდა, რათა ამიერკავკასიის ფედერაციულ სახელმწიფოს ბაგრატიონთა დინასტიის მეთაურობით, რუსეთის პროტექტორატის ქვეშ ეარსება.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ამიერკავკასიური ბანაკი სრული ჰარმონიული კავშირით არ გამოირჩეოდა. სერიოზული ოპოზიციური ძალა იყო სომხური გრიგორიანული ეკლესია, რომელიც ერეკლე II-ს არ პატიობდა ევროპასთან კავშირის ძიებას კათოლიკური ეკლესიის მეშვეობით. საარქივო მონაცემები აშკარად მეტყველებდნენ იმ ფაქტებზე, რომ ამიერკავკასიის ერთობა ერეკლე II-ს ეკლესიურადაც ესახებოდა. ამ საქმეში მეფეს სერიოზული საგარეო და რეგიონის შიდა ურთიერთშორის არსებული დაბრკოლებები ეღობებოდა, რომელთა გადალახვა იმ ეტაპზე სირთულეებს უკავშირდებოდა.

XVIII საუკუნის მიწურულისათვის რუსეთის სახელმწიფომ კავკასიისათვის მოიცალა. მის ინტერესებში აღარ შედიოდა „ქრისტიანული კავკასიის“ ფორმირების მიმართულებითი პოლიტიკა. რუსეთისათვის ამ გეზმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა და ის აქტიურ ქმედებაზე გადავიდა. ამ ეტაპზე, რუსეთი კავკასიაში გაბატონებას უკვე არა ერთიანი კავკასიით მოიაზრებდა, არამედ ცალკეულ ნაწილებად დაშლით; რუსეთი მთელი სიმწვავით იწყებდა კავკასიასთან მიმართებაში იმპერიული პრინციპის

— „დაშალე და იბატონეს“ ამოქმედებას, რომელიც მიმდინარეობდა კავკასიის ხალხების ურთიერთდაპირისპირების იდეოლოგიის ფონზე. ისტორიის შემდგომი ფურცლები მეტყველებენ, რომ ამ პოლიტიკისათვის რუსეთს არასოდეს უღალატია მთელი თავისი ბატონობის მანძილზე კავკასიაში.

ზემოაღნიშნულის ნათელი დადასტურებაა 1783 წლის ტრაქტატის შემდგომ განვითარებული მოვლენები, როდესაც ერთი იდეით მებრძოლი კავკასიის ისტორიულად „მონათესავე“ ხალხები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. საქართველო, რუსეთის პოლიტიკის დამსახურებით კავკასიის ხალხებში აღარ მოიაზრებოდა კავკასიის გაერთიანების ჰეგემონად, პირიქით, გარეშე ფაქტორის დიდი ძალისხმევით, საქართველოს მტრის ხატის ფორმირების ინტენსიური პროცესი დაიწყო კავკასიის ხალხებს შორის.

ამრიგად, კავკასიის გეოსტრატეგიულ-გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ იმთავითვე განსაზღვრა მისი ფუნქცია-დანიშნულება საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკაში. ამ მნიშვნელოვანმა ფაქტორმა თავისებური დამოკიდებულება გამოუმუშავა რეგიონისადმი მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებს. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციათა შეჯახების გზაჯვარედინზე მდებარე კავკასიას, არსებულმა რეალობამ მისთვის სახასიათო ისტორიაც შეუმუშავა. მის არსებობა-განვითარებაში პირდაპირ, თუ ირიბად ჩართული იყო გარეშე ფაქტორი და მისი ბედის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლსაც ასრულებდა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, თავისი არსებობის მრავალი საუკუნის მანძილზე, კავკასიას და მის მოსახლეობას თავისთავადობის შენარჩუნება-გადარჩენისათვის

მუდმივი ბრძოლა ესაჭიროებოდა. ყოველივემ, კავკასიის ხალხს გამოუმუშავა თავდაცვის საინტერესო კულტურა და მისი მენტალიტეტი მომართა გადარჩენისათვის გზების საძიებლად. ამ ძიებათა ნათელ დადასტურებად შეიძლება მოვიაზროთ ისეთი საერთო იდეოლოგიის ფორმირება, რომელიც კავკასიის ხალხს გააერთიანებდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იდეოლოგიის ძიებაში კავკასიელმა ხალხმა მრავალ საშუალებას მიმართა: საერთო წარმომავლობის თეორიის ფორმირებას, დინასტიურ ქორწინებებს, მატერიალურ და სულიერ კონტაქტებს და სხვ. ყოველივე ამის შედეგი კი გახლდათ ახალი იდეის ფორმირება, რომელიც ჩამოაყალიბებდა ერთიან კავკასიურ სახელმწიფოს.

ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს იდეის ფორმირებამ მეტად რთული და სახეცვალებადი ევოლუციური გზა განვლო. მისი საერთაშორისო მასშტაბის დატვირთვამ, ამ იდეის დაბადება ადრეული პერიოდიდან განსაზღვრა. იდეის სააშკარაოზე გამოსვლა პირობითად შეიძლება მოვიაზროთ V-ე საუკუნიდან და ის რამდენიმე ეტაპად დავყოთ:

1. ვახტანგ გორგასლის საერთო კავკასიური პოლიტიკა (V ს.);
2. X-XI საუკუნეებში ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს იდეის თეორიული საფუძვლის მომზადების პროცესი;
3. XI-XII საუკუნეებში ერთიანი კავკასიური იდეის განხორციელება — დავით აღმაშენებლისა და მეფე თამარის საერთო კავკასიური პოლიტიკა;
4. ერთიანი კავკასიური იდეის ფორმირებისათვის ბრძოლა XVIII საუკუნეში — ვახტანგ VI, თეიმურაზ II — ერეკლე II-ის საერთო კავკასიური პოლიტიკა.

გლობალური კავკასიური იდეის ფორმირება მიმდინარეობდა საერთაშორისო ვითარების გათვალისწინების ფონზე. იდეის დაბადება მხოლოდ კავკასიის წიაღში არ ხდებოდა. ამ იდეით ინტერესდებოდნენ გარე სახელმწიფოებიც შესატყვისად ეპოქისა, თუ რომელ პერიოდში, რომელი იმპერიული ერთეული აცხადებდა პრეტენზიას მსოფლიოში ბატონობისათვის. კავკასიის ფლობა კი ასეთ სახელმწიფოთა მხრიდან უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა. ეს რეგიონი ორი სამყაროს დაკავშირებით იმპერიული ძლიერების თითქმის აბსოლუტურ გარანტიას წარმოადგენდა.

აქედან გამომდინარე, ისტორიის ცვალებადობასთან ერთად, ერთიანი კავკასიის ჩამოყალიბებასა და მის ფლობაში საუკუნეების მანძილზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: რომის იმპერია და აქემენიდური ირანი, ბიზანტია და სპარსეთი, მონღოლები და არაბები, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, ოსმალური თურქეთი და ყიზილბაშური ირანი და თვითმპყრობელური რუსეთის იმპერია.

ერთიანი კავკასიური იდეის რეალური განხორციელება კი სამხრეთ კავკასიის წიაღში მოხდა. ამ რეგიონში ერთმანეთს იმთავითვე სომხეთი და საქართველო უპირისპირდებოდა. თუ განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში სომხეთის ამბიციები კავკასიაში ჰეგემონობისათვის გარე ფაქტორის ამ საქმეში ჩართვას იწვევდა, XVIII საუკუნეში ისტორიული მეხსიერების (XI-XII საუკუნეებში ერთიანი კავკასიური იდეის განხორციელების მოთავე საქართველი იყო — ქ. პ.) საფუძველზე, სომხეთი საქართველოს, როგორც კავკასიის გაერთიანების ერთად-ერთ ქვეყანას — „გადარჩენა-ხსნის“ რეალურ განმხორციელებლად მოიაზრებს.

მიუხედავად, სამხრეთ კავკასიის ხალხების დიდი ძალისხმევისა, ერთიანი კავკასიური სახელმწიფო სიცოც-

ხლისუნარიანი არ აღმოჩნდა. საქართველოს ჰეგემონობით კავკასიის გაერთიანება გარე, ამ საქმით დაინტერესებულ სახელმწიფოებს უკიდურესად აღელვებდათ და მთელი ძალისხმევით ცდილობდნენ კავკასიის ერთიანი იდეოლოგიის განხორციელება-არსებობისათვის სერიოზული წინააღმდეგობები შეექმნათ.

კავკასიური იდეის განხორციელების რეალურ საფუძვლად ბუნებრივია, უნდა მოვიაზროთ საამისო თეორიის შექმნაც. ამ საქმეშიც საუკუნეების მანძილზე ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ სომხეთი და საქართველო. თუ თვალს გადავავლებთ ამ ქვეყნების სახელმწიფო იდეოლოგების (მოსე ხორენაცი და ლეონტი მროველი — ქ.პ.) თხზულებებს, დავრწმუნდებით, რომ მათ საერთო საფუძველი გააჩნდათ. ამ თეორიათა რეალური განმხორციელებელი კი ის ქვეყანა იქნებოდა, რომელიც შესატყვისი ეპოქის პოლიტიკურ ვითარებას თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენებდა. ასეთად კი, ისტორიაში საქართველო მოგვევლინა.

IX საუკუნიდან საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა კავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში გადაიზარდა. საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის შემდეგ, მის გარშემო გაერთიანდა თითქმის მთელი კავაკსიური სამყარო. ამ საქმეს კი ძლიერი საფუძველი შეუქმნა ეპოქის მთავარმა იდეოლოგმა ლეონტი მროველმა, რომელმაც თავისი თეორია სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესების შესატყვისად გამართა და ჩრდილიდან წინ წამოსწია კავკასიური სამყარო. მროველისეული თეორიის საფუძველზე მიმდინარეობდა საქართველოს მონარქების ძალისხმევით კავკასიის გაერთიანება.

XVIII საუკუნეში, მართალია, ერთიანი კავკასიური იდეის განხორციელება საგანგებოდ შემუშავებული იდეოლოგიური თეორიის საფუძველზე არ მიმდინარეობდა, მა-

გრამ გათვალისწინებული იყო იდეის ჰეგემონის (საქართველო — ქ.პ.) მიერ ყველა ის ფაქტორი, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკისა და შიდარეგიონალური წიაღიდან მომდინარეობდა. საერთაშორისო პოლიტიკური კატაკლიზმების ინტენსიური ცვალებადობის შედეგად, ამ იდეის განხორციელებას სერიოზული დაბრკოლებები ელობებოდა. თუ საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ამიერკავკასიის ინტერესებისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა საგარეო ასპარეზზე და ამიერკავკასიის გაერთიანებას რეალური განხორციელების პირობები ექმნებოდა, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მიწურულს, რუსეთის ფაქტორმა ძირეულად შეცვალა ვითარება.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულში თვითმპყრობელური რუსეთის ინტერესებში თავსდებოდა „ქრისტიანული კავკასიის" შექმნის იდეა და საერთაშორისო გარემოების ანგარიშგაწევით, რუსეთი შორიდან ადევნებდა თვალს ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებს და არ ეროდა მის შიდა საქმეებში. გარემოება რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, როდესაც რუსეთისათვის კავკასიის პრობლემამ პოლიტიკური რეალიზაციის საჭიროება მოითხოვა. ამ დროიდან, რუსეთის იმპერიამ შეცვალა კავკასიის ათვისებისათვის მანამდე მისაღები პოლიტიკური კურსი, მისი განხორციელების მეთოდ-ხერხები და სისტემატიური ხასიათი მისცა მის მეცადინეობას კავკასიაში გაბატონებისათვის.

# თავი მეორე

## კავკასიელთა მატერიალურ-სულიერი კულტურის, ეროვნული ფსიქოლოგიის სიახლოვე და კავკასიური გლობალიზაცია

ჩრდილო და სამხრეთ კავკასია თავისი მჭიდრო ისტორიულ-კულტურული ურთიერთობით ჰქმნიან ეთნოლოგიური თვალსაზრისით ერთ მთლიან რეგიონს, რომელსაც ამავდროულად თავის სამეურნეო ყოფით და კულტურის სისტემაში რიგი თავისებურებანიც ახასიათებს. ეს თავისებურებანი კი განპირობებულია როგორც კავკასიის ისტორიული წარსულით, ისე მისი ბუნებრივი პირობებით.

წარმოადგენდა რა საკაცობრიო ცივილიზაციის უძველეს ცენტრს, რომელიც მდებარეობდა წინა აზიასა და აღმოსავლეთ ევროპის შუა სივრცეში, მრავალი საუკუნის მანძილზე კავკასია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აზიისა და ევროპის ხალხთა კულტურულ ურთიერთობებში.

კავკასია თავისი მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, უძველესი კულტურული ტრადიციებით, ხელსაყრელი გეოგრაფიული გარემოთი ძველი დროიდან მრავალი ქვეყნისთვის საინტერესო და როგორც უკვე აღინიშნა, ძლიერი სახელმწიფოების მოცილე რეგიონს წარმოადგენდა. აღნიშნულის გამო, კავკასია სისტემატიურად განიცდიდა სხვადასხვა აგრესიული ქვეყნების შემოსევებს. გარეშე დამპყრობლები ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ კავკასიურ ცივილიზაციას, მისი ხალხების კულტურულ ღირებულებებს, აუკაცრიელებდნენ რეგიონს, აწარმოებდნენ მკვიდრი მოსახლეობის მასიურ გადასახლებებს, დევნიდნენ მათი კულტურის ეროვნულ ელემენტებს: ენას, ტრადიციებს, სარწმუნოებას. ყოველივე ეს, კავკასიის ხალხთა ისტორიას მძიმე და ტრაგიკულ შინაარსს ჰქმნიდა. მათ არც თუ იშვიათად

სრული განადგურება, ან უკეთეს შემთხვევაში დენაციონალიზაცია ემუქრებოდათ.

მიუხედავად ეროვნული ლიკვიდაციის მცდელობებისა, გარეშე ძალამ მაინც ვერ მოახერხა კავკასიური ეთნოსის გადაგვარება, სარწმუნოებრივი მენტალობის ამოძირკვა. ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის კავკასიელი ხალხები შესაფერის გზებს ეძებდნენ და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებისათვის სხვადასხვა მეთოდებს მიმართავდნენ. ასეთ კავშირებს შორის სახასიათოა მათი ურთიერთობები ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხით. ამ უკანასკნელში მოისაზრება კავკასიური ერთობის იდეის ფორმირება-განხორციელებისათვის მეცადინეობა, რაზეც ზევით უკვე გვქონდა მსჯელობა. მაგრამ, კავკასიის ხალხთა ყველაზე მჭიდრო კავშირების საშუალებად მაინც მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორიულად გამობრძმედილი კულტურული კავშირებია. ამ კავშირებმა ნათელი გამოვლინება ჰპოვა კავკასიელი ხალხების ეთნოგრაფიაში, კერძოდ მატერიალურ-სულიერი კულტურის ელემენტთა დაახლოებაში. კულტურის საერთო ხასიათის ნიშნებმა ძლიერი საფუძველი შეუქმნეს კავკასიის ხალხთა ეროვნული ფსიქოლოგიის სიახლოვეს, მის ფორმირებას. ამ ფაქტორმა კავკასიის მოსახლეობა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ერთ ერთეულად შეკრა გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლასა და ეროვნული თავისთავადობისთვის დაცვის საქმეში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კავკასიელთა გაერთიანების, ერთიანი ბრძოლისათვის საერთო მტრის წინააღმდეგ ეროვნული ფსიქოლოგიის ურთიერთ დაახლოებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ უკანასკნელის განხორციელებისათვის კავკასიელმა ხალხებმა დინასტიურ ქორწინებებს მიმართეს. ამ საკითხს ქვევით დაწვრილებით შევეხებით.

როგორც ზევით აღინიშნა, საუკუნეების მანძილზე, კავკასიის ერთობისთვის საგანგებო იდეოლოგია იქმნებოდა, რომელთა თეორიებით აღსავსეა კავკასიის ხალხთა ზეპირსიტყვიერება, ამიერკავკასიის ხალხების იდეოლოგთა თხზულებები: მოსე ხარენეცის, ლეონტი მროველის თეორიები, ქართულ მატიანეში — „ქართლის ცხოვრებაში" დაცული ცნობები. ლეონტი მროველის თხზულებაში — „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მათთა და ნათესავთა" თვალნათლივ გატარებულია ქართველ-სომეხთა ნათესაობის იდეა; ამავდროულად ავტორი აყენებს სხვა კავკასიელ ხალხთა ახლო ნათესაობის — თარგმოსიანობის იდეას. აღნიშნული კი იმის დასტურია, რომ XI საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრი არა მხოლოდ ქართულ პროვინციებს, არამედ ზოგადად კავკასიასაც ერთიან სამყაროდ მოიაზრებდა. ასეთ აზროვნებას არ შეიძლებოდა მხოლოდ პოლიტიკური საფუძველი ჰქონოდა, კავკასიელი ხალხებისათვის ერთიანობის მყარი გარანტი ძირითადათ მატერიალურ-კულტურული ერთობის ის საერთო ნიშნები იყო, რამაც მრავალი საუკუნის მანძილზე ისინი შეაკავშირა და თანაცხოვრება დაუწესა.

ეპოქათა ქრონოგრაფებმაც ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იტვირთეს ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს იდეის ფორმირება და შეეცადნენ დაესაბუთებინათ, რომ ამ კავკასიურ მსოფლიოში ცხოვრობდნენ „ნათესავები" და პოლიტიკურ-კულტურულად ეს ნათესავები ურთიერთის მოძმენი იყვნენ.

როგორც ცნობილია, ქართული მატიანე — „ქართლის ცხოვრება" უხვად მოიცავს მსოფლიოს, საქართველოსა და ჩრდილო კავკასიელი ხალხის ცხოვრებას. მატიანეში ჩრდილო კავკასიის იგვლივ დაცული ცნობები ასახავს პერიოდს უძველესი დროიდან ვიდრე XVII–XVIII საუკუნეებამდე (1239, 79-82). ნიშანდობლივია, რომ წყარო ლეონ-

ტი მროველის კავკასიის ხალხთა წარმოშობის თეორიას ატარებს და კავკასიის ხალხთა ერთი წარმომავლობის, ნოეს შთამომავალთა მესამე თაობის — თარგომოსისაგან წარმომავალთ მიიჩნევს. ჩრდილო კავკასიაში თარგამოსის ორი შთამომავალი სახელდება — „ხოლო კავკასიელთ ჩრდილოთ არა იყო ხუედრი თარგამოსისა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმკვიდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შედის ზღუასა დარუბანდისასა. ამისათვის გამოიყვანა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი, ლეკან და კავკასი. და მისცა ლეკანს ზღვითგან დარუბანდისათან ვიდრე მდინარემდე ლომეკსა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად და მისცა კავკასიის ლომეკის მდინარითაგან ვიდრე დასასრულამდე კავკასისა დასავლით (239, 11).

მატიანე — „ქართლის ცხოვრების" ისტორიული ცნობები კავკასიელი ხალხების ურთიერთობებზე უფრო კონკრეტული და დამაჯერებელი ხდება ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის ამბებიდან. აქ საგულისხმო ცნობებია დაცული ფარნავაზის ეპოქის ირგვლივ. ამ დროის მონაცემები ეყრდნობა კავკასიელთა სანათესაო კონტაქტებს, ე.წ. დინასტიურ ქორწინებებს. მაგალითად, ცნობა იმის თაობაზე, რომ ფარნავაზს ცოლად ჰყოლია დურძუკი ქალი, რაც ბუნებრივია, ქორწინების პოლიტიკურ მნიშვნელობაზე უთითებს. ასეთი ფაქტი მოგვიანებით, დიდად უწყობს ხელს ფარნავაზის ძეს — საურმაგს სახელმწიფოს წარმატებულ მართვაში. წყარო ასევე იუწყება, რომ ჩრდილო კავკასიასთან ღრმა კონტაქტებისთვის ფარნავაზი დას ოვსთა მეფეზე ათხოვებს (293, 79).

საუკუნეების მანძილზე, საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს პოლიტიკური შეუღლებები წარმოადგენდა. ამ აქტით სიმბოლურად გამოიხატებოდა და მტკიცდებოდა სახელმწიფოთა და ხალხთა ურ-

თიერთობები, ქვეყანათა შორის გავლენის მოპოვებანი და ა.შ. არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა დინასტიურ დამოყვარებებს ცალკეული სახელმწიფოების საშინაო-პოლიტიკური ცხოვრებისათვის. ასეთ დროს პოლიტიკური დამოყვრებანი გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ ისტორიის რთულ მოვლენებში (385, 6-7).

დინასტიურ შეუღლებებს საქართველოში უძველესი ისტორია აქვს. მითიური ეპოსიდან მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, საქართველოს ახლო, თუ შორეულ ქვეყნებთან აქვს კავშირი, რომელიც მრავალმხრივ ხასიათს ატარებდა. მათ შორის ყველაზე მიღებული და ქვეყნის საკეთილდღეოდ ნაცადი იყო პოლიტიკური ხასიათის შეუღლებანი. ამ შეუღლებათა ხასიათში ნათლად იკვეთებოდა საქართველოს სიძლიერე, თუ სისუსტე, ერთიანობა თუ დაქსაქსულობა, საერთაშორისო პრესტიჟი და სხვ.

საქართველოს სამეფო კარი ძირითადად ისტორიულად უნათესავდებოდა მისი გარემომცველი ქვეყნების დინასტიებს. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, კავკასიის ხალხებს, რომელთა ტრადიციებთან სიახლოვე და საერთო პოლიტიკური მისწრაფებანი ამ ნათესაობას მტკიცე ხასიათს ძენდა. ასეთთა რიცხვში იყვნენ: სომხეთის, შირვანის, ოსეთის და ჩრდილო კავკასიის სხვა დინასტიები. საქორწინო შეუღლებანი არა მხოლოდ ხალხებს შორის არეგულირებდა ურთიერთობებს, არამედ ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენდა ქვეყნის პოლიტიკური ვითარების დარეგულირების საქმეში. მაგალითად, როდესაც ფარნავაზის ძეს — საურმაგს დაუპირისპირდნენ ერისთავები — „... ეზრახა მამის დისწულისა ოვსთა მეფესა.... შეკრიბა დურძუკეთიცა“ — და ისინი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის სამსახურში ჩააყენა. საინტერესოა, რომ მსგავსი სამსახურის სანაცვლოდ მეფე საურმაგმა დურ-

მუკთა ნახევარი საქართველოს მთიანეთში დაასახლა — „დიდოეთითგან, ეგრისამდე, რომელი არის სვანეთი". აღნიშნულის დადასტურება საძიებელია მთიანეთის ტოპონიმიკასა და ეთნოგრაფიულ მასალებში (239, 81).

ჩრდილო კავკასიასთან თანასწორუფლებიან ქორწინებად მოიაზრება ქართველ მეფეთა შეუღლებანი ოსეთის სამეფო დინასტიის ქალებთან (გიორგი I — ოსთა მეფის ასული ალდე; გიორგი III — ბურდუხან — „რომელი იყო ასული ოსთა მეფისა, რომელი ჰმატდა დედათა სიბრძნითა და გონიერებითა, და სიტურფითა და შუენიერებითა რამეთუ მისებრი რძალი არა უხილავს ქვეყანასა ქართლისასა ვითარ იგი ჰმატდა ყოველთა სიკეთეთა, ეგრეთვე დედობითა თამარისათა უმეტეს იყო ყოვლითა" (357, 20); ბაგრატ IV — ბორენა — ოსთა მეფის და; გიორგი I — მარიამ სომეხთა მეფის ასული და ა.შ.).

კავკასიის ხალხებს შორის პოლიტიკურ-კულტურული ერთობისა და კავშირების გაღრმავებაში არანაკლებ როლს ასრულებდნენ ქალებიც. თანასწორუფლებიანი პოლიტიკური შეუღლებანი თავისთავად სახელმწიფოთა შორის სამოკავშირეო ურთიერთობებსაც გულისხმობდა. საომარ მოქმედებებში დამოყვრებული დინასტიები ერთგულ სამსახურს უწევდნენ ერთმანეთს. 1070 წელს ბაგრატ IV-ის განძაზე ლაშქრობისას ქართველთა ლაშქარს ოსთა მოკავშირე ჯარი ახლდა, ხოლო გიორგი I-ის მეცადინეობით შეიქმნა ქართველ-სომეხ მეფე-მთავართა კოალიცია, ამიერკავკასიური ბანაკი, რომელიც ბიზანტიის წინააღმდეგ გამოდიოდა.

პროფ. დ. შველიძე პოლიტიკური შეუღლებების რამოდენიმე სახეს ახასიათებს (85,20-22). მათ შორის, კავკასიაში ფართოდ გავრცელებული იყო ვასალურ-ნებაყოფლობითი ხასიათის შეუღლებანი. V საუკუნის შუა ხანებში საქართველო ირანის ვასალური ქვეყანა იყო. ვახ-

ტანგ გორგასლის მეცადინეობა ამიერკავკასიაში წამყვანი პოზიციები მოეპოვებინა, მას ირანთან დამოყვრებისაკენ უბიძგებდა.

საქართველოს ძლიერების, გაერთიანებისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ჟამს, ბუნებრივია, საქორწინო შეუღლებებში პრეროგატივა, არჩევანის უფლება უფრო საქართველოზე მოდიოდა. XI – XIV საუკუნეებში ქართულ სახელმწიფოს ურთიერთობა უხდებოდა მის პოლიტიკურ იურისდიქციაში მყოფ სახელმწიფოებთან, ყმადნაფიც ქვეყნებთან, ხოლო ამ უკანასკნელთა მესვეურები თავიანთი პოლიტიკური უშიშროების, კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნებისა, თუ მოკავშირეობის მიზნით, ცდილობდნენ ქართულ სამეფო დინასტიასთან დანათესავებას. სიუზერენულ-ყმადნაფიცური ხასიათის იყო დავით აღმაშენებლის დანათესავება ყივჩაღთა მთავარ ათრაქა შარაღანის ძესთან და მისი ქალიშვილის ცოლად შერთვა.

XII-XIII საუკუნეებში საქართველოს სამეფო ტახტი ქალებს ეკავათ. საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს სამეფო ტახტი თავისუფალი აღმოჩნდა, რომელიც მრავალი სახელმწიფოსათვის იყო სასურველი. მაგრამ, პოლიტიკური თვალსაზრისით ბაგრატიონთა სიძე უმჯობესი იყო ყოფილიყო ისეთი ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც საქართველოს შესაძლებლობებს კონკურენციას ვერ გაუწევდა. ამასთან, სასურველი იყო სასიძოს მოძებნა ყმადნაფიც ქვეყნებში, რაც კავკასიის სიძლიერის გარანტიაც იქნებოდა. საქართველოს დამოყვრება ოსთა სამეფო კართან კიდევ ერთხელ გახდა მომგებიანი ერთიანი კავკასიური სახლის სიძლიერისათვის. ამრიგად, საქართველო — ერთიანი კავკასიის სამეფო ტახტის მპყრობელად ქართული საზოგადოებრივი აზრი მოიაზრებს დავით წინასწარმეტყველისა და ეფრემის შთამომავალთ.

ცნობილია, რომ მეფე თამარისა და დავით სოსლანის ქორწინებით განმტკიცდა ამიერ და იმიერკავკასიის შეერთება-ერთობის პოლიტიკური საფუძველი. ამ პოლიტიკურ მიზანს სათანადო იდეოლოგიური საფუძველი და თეორია ესაჭიროებოდა, რომელიც ბიბლიური ტრადიციიდან მომდინარეობდა. ქართველი ბაგრატიონები დავითიანებად, ხოლო ოსეთის ბაგრატიონები კი ეფრემიანებად იწოდებიან. ისინი იაკობის შვილების იუდასი (დავით წინასწარმეტყველი და ქართველი ბაგრატიონები) და იოსების (ეფრემი და ოსი ბაგრატიონები) შთამომავლები არიან.

ისტორიულად ცნობილია, რომ იუდასი და იოსების ჩამომავლობა მუდმივ ოპოზიციაში ედგა ერთმანეთს, ისე, როგორც ეს საქართველოს მაგალითზე ჩანს — ოს ბაგრატიონთა წინაპარი დემეტრე გიორგი I-ის ძე და მისი უფროსი ძმა ბაგრატ IV. თამარისა და დავითის შეუღლებით ისპობოდა ეს წინააღმდეგობა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მემატიანენი და მეხოტბენი ხაზგასმით აღნიშნავენ ეფრემიანთა უმცროსობას დავითიანებთან შედარებით (48). აღნიშნული თუნდაც იმაში მჟღავნდებოდა, რომ კ. კეკელიძის მოსაზრებით, დავით სოსლანს სახელმწიფო მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის უფლება არ ჰქონდა (48, 239). ა. ბარამიძის აზრით კი „დავითს ისევე განადიდებდნენ, როგორც ეს ქართველ მონარქს შეეფერებოდა. მისი ქება-დიდების საჭიროება ბუნებრივად გამომდინარეობდა თამარის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კურსის ხასიათიდან, მისი დაცვა ნიშნავდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის დაცვას“ (7, 124).

ამრიგად, ბიბლიურმა თეორიამ გაამყარა ამიერ და იმიერკავკასიის ერთიანობისაკენ ლტოლვა და მის ურყევ გარანტად პოლიტიკური შეუღლება იქცა. ბუნებრივია, თეორიის გათვალისწინებით, თამარის არსების გვერდით, რო-

მელიც ლიტერატურაში გაღვთიურებული იყო, ვერ იქნებოდა რიგით მოკვდავი, ამიტომ „დავით სოსლანმა შეიძინა მესიის იმპულსები და იგი ალეგორიულად ჰანდიდდა „ვეფხისტყაოსანში", „აბდულმესიაში" და სხვ. (18, 218).

ამ „საღვთო"— პოლიტიკურ შეუღლებას განსაკუთრებული ადგილი ეკავა კავკასიის ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში. საქართველოს მთიანეთში, ფშაურ სადიდებელში თამარი მოიხსენიება „ზემდგომ ანგელოზად" და „დიდ დედად", სადიდებელ ლოცვაში კი — „დიდო თამარ მეფეო აქიმ დედოფალო" (100, 96). არანაკლებ საყურადღებოა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ხალხებში დავით სოსლანზე გავრცელებული შეხედულებები: ხალხის რწმენით იგი მკვდრეთით უნდა აღსდგეს და თურქებსე გაილაშქროს. ოსებში, ჩეჩნებში, ადიღებში და სხვა ხალხებში თამარი მთვარეა, სოსლანი კი ღმერთისაგან მთვარეზე მიჯაჭული რაინდი (96, 46-48).

როდესაც ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ხალხთა მატერიალურ-კულტურული ურთიერთობების ელემენტთა საერთოობას ვიხილავთ, იმთავითვე საჭიროა გაშუქდეს ერთი შეხედვით ამიერკავკასიის ხალხებისა და ტრადიციებისგან განსხვავებული ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები მრავალეთნოსის წარმომადგენელი ხალხების კულტურა.იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის ჩრდილოეთში მცხოვრები ხალხები ერთიანობაში თუნდაც იმიტომ მოიაზრებიან, რომ ისინი ერთნაირად და ერთი და იგივე აგრესიას განიცდიან გარეშე ელემენტისაგან და ბუნებრივია, ამ ხანგრძლივმა პროცესებმა თავისი ზემოქმედება მოახდინა ადგილობრივ მოსახლეობაზე, რაც განსხვავებული კულტურული ელემენტების ათვისებაშიც გამოვლინდა. ნიშნდობლივია, რომ იგივე გარეშე ელემენტის ზემოქმედებას განიცდიდნენ ამიერკავკასიის ხალხებიც, რაც თავის მხრივ

გამომახილს ამ ერების ტრადიციულ კულტურაში ჰპოვებდა. ბუნებრივია, ამ ნიშანთა საერთოობა, არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ეროვნული კულტურის დაცვის მიმართულებით მოღვაწეობაშიც აერთიანებდა ამ ხალხებს. თუ ყოველივეს იმასაც დაურთავთ, რომ მიუხედავად ისტორიულად სისტემატიური ძნელბედითი ჟამიანობისა, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიებს შორის მაინც მიმდინარეობდა სოციალ-ეკონომიკური და დინასტიურ-ქორწინებითი ხასიათის კავშირები, გასაგები უნდა იყოს მათ ტრადიციებსა და კულტურებს შორის ურთიერთმიმართების ელემენტთა არსებობა. ყოველივე ეს კი ამ ხალხებს ერთნაირად უყალიბებდა ეროვნულ ფსიქოლოგიას, რომელიც თავისთავადობის დაცვისთვის ბრძოლაში იჭედებოდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ კავკასიის მოსახლეობის ეროვნული ფსიქოლოგია ერთ რიგში განიხილება და ერთნაირი ეტაპებით ვითარდება. ეროვნული ფსიქოლოგიის სიახლოვეს აყალიბებდა და ამწიფებდა კავკასიელ ხალხთა ფოლკლორი, ხელოვნება, ხურთმოძღვრება, თუნდაც სარწმუნოება, რომელიც გარკვეულ ეტაპზე მათ საერთო ჰქონდათ (ამიერკავკასიაში ქრისტიანობა — ქ.პ.) და ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენას ემსახურებოდა. ისტორიული მეხსიერებიდან გამომდინარე, ჩრდილო კავკასიის ხალხები თავს მოხვეულ ახალ რელიგიასაც (ისლამი — ქ.პ.) განავრცობენ და აყალიბებენ.

ამრიგად სამხრეთ კავკასიელთა მსგავსად, ჩრდილო კავკასიელი ხალხიც გარეშე სახელმწიფოთა თავდასხმებს სისტემატიურად განიცდიდა. VI-IX საუკუნეების პერიოდმა სერიოზული კვალი დატოვა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიაში. მომთაბარეთა შემოსევები შეცვალა ხაზართა ხაკანატის გაბატონებამ, რომლის თავდაპირველი ცენტრი იყო დაღესტნის ტერიტორიაზე. ხაკანატი ადრეკლასობრივი

სახელმწიფო იყო, რომელიც მუდმივად ებრძოდა ამიერკავკასიაში გამაგრებულ არაბებს. ჩრდილო კავკასიის ხალხებს თავისუფლებისათვის ბრძოლა უხდებოდათ როგორც ხაზარების, ისე არაბების (113, 183-184) წინააღმდეგ. ამ ორი სახელმწიფოს თანდათანობითმა დასუსტებამ კავკასიელი ხალხების განთავისუფლება გამოიწვია და მის ადგილზე წარმოიშვნენ ადრეკლასობრივი სახელმწიფოები (ალანთა კავშირი და დაღესტნის სახელმწიფოები — ქ.პ.). ეს პროცესები არათანაბრად მიმდინარეობდა და მეტ-ნაკლები ინტენსიობით ვითარდებოდა ის რეგიონები, რომელიც ამიერკავკასიის უძველეს ცივილიზაციებს ეკონტაქტებოდა (124, 65-69).

დროთა განმავლობაში, ჩრდილო კავკასიის ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების შეხებამ ამიერკავკასიის ცივილიზებულ სამყაროსთან მატერიალურ-კულტურული და სულიერი დაახლოება გამოიწვია იქ მცხოვრებ ხალხებთან. X-XII საუკუნეების ჩრდილო კავკასიის ყოფისა და კულტურის მრავალფეროვნება აღნიშნულზე მეტყველებს და ამას ადასტურებს მრავალმხრივი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მონაცემები. მატერიალური კულტურის ძეგლთა შორის განსაკუთრებული ღირებულების მატარებელია ყოფითი ობიექტები — ქალაქები, დასახლებები, საცხოვრებელი სახლები და ა.შ. ისინი მრავალი გარეშე კულტურის ნიშნებს ატარებენ. მათ შორის ბერძნულ-ბიზანტური წარმოშავლობის, თურქულენოვანი მომთაბარე ტომების — ბულგარების, ხაზარების, ყივჩაყების, კომანების კულტურათა ნიშნებს.

ფეოდალური ურთიერთობების დამყარება-განვითარება ჩრდილო კავკასიის ხალხებში თანმდევი იყო მათ შორის მონოთეისტური რელიგიების განვრცობისა. ისე, როგორც მსოფლიოს მრავალ ხალხებში, კავკასიაშიც პრეისტორი-

ული საზოგადოებრივი წყობილებიდან მოყოლებული ადრეული რელიგიური ელემენტები შიდა და ტომობრივი კომუნიკაციების შესანიშნავი საშუალებები იყო. სწორედ ამ დროიდან არის სავარაუდო ის მეტად საინტერესო თავისებურებები, რომელიც მკვიდრი მოსახლეობის მატერიალურ-სულიერი ყოფისათვის არის დამახასიათებელი და მაღალ დონესა და თვითმყოფადობაზე მეტყველებს.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის მთიანეთი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა კონფესიის მატარებელი ხალხებით დასახლებული რეგიონია, კავკასიელების ტრადიციებში, მითოლოგიურ გადმოცემებში, ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ენასა და თვით ანთროპოლოგიაშიც შეინიშნება საერთო ელემენტები.

მსოფლიოს დიდი მონოთეისტურ-კლასიკური რელიგიებიდან კავკასიაში უპირველესად შეაღწია ქრისტიანობამ. ქრისტიანობის განვრცობას კავკასიაში უკავშირებენ ჯერ ბიზანტიის იმპერიას, შემდგომ საქართველოს, ბოლოს კი რუსეთის სახელმწიფოს. ყოველი მათგანის ამ მიმართულებით საქმიანობა პოლიტიკური მოტივით იყო განპირობებული. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ამ მხრივ სხვადასხვა ქვეყანა ლიდერობდა, შესატყვისად იმისა თუ განვითარების რა პროცესებს განიცდიდა ის. მრავალსაუკუნოვანმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და, როდესაც ქრისტიანობას ჩრდილოკავკასიაში მაჰმადიანობა ჩაენაცვლა, ვეინახებმა და ქართველებმა მაინც შეინარჩუნეს ღვთისმსახურების უძველესი ფორმები. რეციდივების სახით შემორჩენილმა „ჯვარის ყრმობის" ინსტიტუტმა (თეოკრატიული სტრუქტურა) კვლავ შემოინახა თავი და სწორედ ამ რეციდივებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ, მოხერხდა რესტავრაცია საერთო კავკასიური ღვთისმსახურების უძველესი მოდელისა, რომელიც კავკასიის რეგიონის სხვადასხვა ეთნიკურ

ჯგუფებს ერთ მთლიან ორგანიზაციად აერთიანებდა და აწესრიგებდა მთიელთა საზოგადოებებს (8). ეს წესრიგი ეფუძნებოდა სხვადასხვა ხალხის საერთო ღვთისმსახურების კულტის ცენტრებში ჩამოყალიბებულ საადათო სამართლის ნორმებს და ადათიც, ანუ „რჯული“ საკრალურ ხასიათს იძენდა, ხოლო ასეთი ადგილები თაობათა მანძილზე ითვლებოდა უწმინდეს ადგილებად, საერთო თაყვანისცემის ობიექტებად და მათი მოლოცვისათვის, წმინდა რიტუალის ჩატარებისათვის თუ ყოველწლიურად არა, რამდენიმე წელიწადში ერთხელ მაინც აუცილებელ ვალდებულებად ითვლებოდა ინდივიდუალურ პირთათვის თუ ტომისთვის.

წმინდა ადგილების მოლოცვისათვის და ამა თუ იმ სახის „საჯარო“ რიტუალის ჩატარებისათვის არსებობდა წმინდა ადგილებთან მისასვლელი სპეციალური „წმინდა გზები“ სათანადო შესასვლელი ნიშებით (პატარა, მშრალად ნაგები ქვის კოშკები).

ტომთაშორისი მოლოცვის საინტერესო რიტუალები ქართველებსა და ვეინახებს შორის XIX საუკუნის 10-იან წლებამდე არსებობდა, რომელიც თანდათან კავკასიაში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ წაიშალა. ქართველ მთიელთა სალოცავად სიარულს ჩეჩნეთ-ინგუშეთში IX-X საუკუნეების მოვლენად მიიჩნევენ, რამეთუ ის ქრისტიანული ტაძარი, სადაც ეს რიტუალი ტარდებოდა სწორედ ამ საუკუნეებით თარიღდება (ინგუშეთში სოფელ თარგიმთასთ არსებული თხაბაერდის ტაძარი). საფიქრებელია, რომ ამ ტრადიციას ბევრად ადრე წინარექრისტიანობის ხანაში უნდა ჩაეყროდა საძირკველი (248, №3,94).

ასეთი სახის ურთიერთობანი, განსხვავებულ ეთნოსთა ერთობლივი ლოცვა ერთი და იმავე სალოცავში, სათანადო მსხვერპლშეწირვით, მომხდურ-დამხვედრთა სტუმარმასპინძლობის ტრადიციები საკრალურ ხასიათს აძლევდა

მაი ურთიერთობას და ტომთაშორისი კომუნიკაბელობა ღვთაებისაგან ხელდასხმულ ურთიერთობად აღიქმებოდა. კეთილმეზობლური ურთიერთობის დარღვევა უბედურებათა მომტან საქმედ ითვლებოდა, ამიტომაც მშვიდობიან ურთიერთობას ერთობ უფრთხილდებოდნენ (179).

როგორც უკვე აღინიშნა, რჯულს საკრალური ხასიათი ჰქონდა, რომელიც აერთიანებდა ძველ საზოგადოებას. მთიელთა რჯულის შექმნას ხალხური გადმოცემები ნახევრად მითოლოგიზებულ პიროვნებათა სახელებს უკავშირებენ. საინტერესოა, რომ „რჯულს“ გადმოცემის მიხედვით ქართველი მთიელები და ვეინახები ერთად ჰქმნიდნენ. ამ რჯულის მიხედვით კი სისხლსა და მესისხლეობის საქმეს საკრალური ხასიათი გააჩნდა (58).

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათელჰყოფს, რომ ჩრდილოი კავკასიაში რელიგიური რიტუალები ორმხრივ დიფუზიას განიცდიდნენ. ამის დადასტურებაა წმინდა ადგილების მიელოცვის ტრადიციების არსებობა კავკასიის სხვადასხვა ეთნოსებისთვის და მას უძველესი ისტორია გააჩნია. ამ ტრადიციებს გააჩნდა როგორც ტომთაშორისი, ისე შიდატომური ხასიათი და მასში ირეკლებოდა კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის სურათი. ეს ფაქტი საშუალებას იძლევა ახლებურად იქნეს გააზრებული კავკასიის ხალხებში რელიგის როლი და მნიშვნელობა.

კავკასიის ხალხების მრავალ ხალხურ ტრადიციებსა და რიტუალებში იგრძნობა ძველი აღმოსავლეთის, მცირე აზიის, გერმანული სამყაროს მითოლოგიურ-რელიგიური რემინისცენციები, ქართული ე.წ. წარმართული თუ ქრისტიანული ეპოქა და ძველი კავკასიის ერთიანი სული. ამ ფონზე პილიგრიმობა წარმოგვიდგება, როგორც სხვადასხვა ხალხთა კომუნიკაბელურობის ღია არხი, რომელიც გარკვეულწილად ხელს უწყობდა სხვადასხვა კონფესიურობის

მატარებელ ხალხთა დაახლოებას, ადამიანთა ურთიერთობის ნორმალიზებას.

ცნობილია, რომ მთიანი რეგიონი ყოველთვის ჩამორჩება სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ბარს. მთიანი რელიეფი კომუნიკაბელობის დაბალი დონე, ძნელად მისადგომი ადგილები, ოდესღაც ხეობებში განლაგებული დასახლებული პუნქტები, რომლებიც სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად უკაცრიელდებოდა, ნაყოფიერ ნიადაგს ჰქმნიდნენ მითოლოგიურ-საკრალური ხასიათის აზროვნებისთვის. ნამოსახლარი ადგილები შემდგომში ცხადდებოდა ტაბუირებულ-სამლოცველო ადგილებად და მათზე სხვადასხვა ხასიათის ხალხური გადმოცემები იქმნებოდა.

მსოფლიოს ყველა მხარეში მთის მოსახლეობა ბარისგან განსხვავებით გამოირჩევა ტრადიციებისადმი განსაკუთრებული ერთგულებით და, ვინაიდან მათი ეთნიკური სახე შედარებით სტატუირებულია, მაშასადმე საზოგადოებაში უწყვეტია წარსულის მეხსიერება. ასეთ დროს მიმდინარეობს ისტორიული პროცესის მითოლოგიზება. რაც უფრო არქაულია საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, მით უფრო ცდილობს ის გადმოცემა-ტრადიციები თაობებს შემოუნახოს პირვანდელი სახით და ყოფით ტრადიციებს მიანიჭოს საკრალური ხასიათი (64; 65).

სამხრეთ და ჩრდილო კავკასიას შორის ამ მიმართებით კონტაქტებს მკვლევარები ჯერ კიდევ ენეოლითის ეპოქაში ხედავენ, რაც XX საუკუნის 70-80-იანი წლების არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება. კავკასიის მაღალ მთიანეთში გამოვლინდა მტკვარ-არაქსის პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები და მეგალითურ-ციკლოპური ნაგებობები ზურგიანი კოშკებისა და სხვადასხვა სათავსოთა სახით (68). ასეთი ძეგლები მრავლად გვხვდება ამიერკავკასიაშიც და მის გარემომცველ

ტერიტორიებზე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მეგალითური ხანის ყველა ძეგლი მდებარეობდა ხეობებში გამავალ გზებზე, სტრატეგიულ ადგილებში; როგორც ჩანს ისინი აკონტროლებდნენ ამიერ და იმიერკავკასიის დამაკავშირებელ გზა-გადასასვლელებს (325).

ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიონზე კარგად ცნობილი დარიალისა და დარუბანდის გარდა, გადიოდა მაკრო და მიკრო სამყაროსთან დამაკავშირებელი დიდი მნიშვნელობის მაგისტრალები, რომლითაც ხდებოდა მათ შორის პოლიტიკურ-სამხედრო და კულტურულ-ეკონომიკური კავშირები. აღნიშნულს ასაბუთებს ქართული (356) და უცხოური წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური მონაცემები (242). ამ დამაკავშირებელი გზებით სარგებლობდნენ არა მხოლოდ სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის ხალხები, არამედ მცირე და წინა აზიის მოსახლეობაც. ქსნისა და არაგვის ხეობებზე გავლით, დარიალის მიმართულებაზე გამავალ გზასთან ერთად, ჩანს რა დიდი როლი და ფუნქცია ჰქონდა ფშავ-ხევსურეთისა და ივრის ხეობის გავლით არღუნის ხეობაზე ჩრდილოეთ კავკასიაში გასასვლელ გზას. აღნიშნულზე მეტყველებს ამ ხეობათა სათავეში განლაგებული მატერიალური კულტურის ძეგლები, სალოცველოები (64; 65;40) (რჯულიან-ურჯულოთა სალოცავის სახელით ცნობილი ხახმატისა და ანატორის ჯვრები. ეთნოლოგიური მასალის მიხედვით აქ „ჯვარი" სალოცველო ნაგებობასაც გულისხმობს — ქ.პ.)

ხახმატის ჯვარი ამიერკავკასიის მთიანეთში, ხევსურეთში, არაგვის ხეობაში მდებარეობს და მასზე გამავალი გზით ხდება მდინარე არღუნის ხეობაში გასვლა. როგორც ზევით აღინიშნა, ეს გზა უაღრესად დიდი მნიშვნელობის ჩანს, რომელიც აერთიანებდა იმიერკავკასიაში ორი მდინარის — ანდაქარჭილოსა და შატილის წყლების შესაყართან

მდებარე ნასოფლარ ანატორთან, რომელსაც იორ-ალაზნის აუზებიდან მომდინარე გზაც უერთდებოდა. ამ გზას, როგორც სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის მქონეს განაპირობებდა ისიც, რომ მისი მეშვეობით ხდებოდა ასის ხეობაში (ინგუშეთში) გადასვლა, საიდანაც გზა რელიეფურად ხელსაყრელი გასასვლელით გადიოდა ცენტრალური წინა კავკასიის ველებზე. როგორც ჩანს, ახ.წ.აღ. VI საუკუნეში ჩრდილო კავკასიიდან ამ გზით შემოვიდნენ ხაზართა ტომი — სარაგურები, რომლებიც ივრის ხეობით ქართლსა და სომხეთს შემოესივნენ, რის გამოც სპარსელები ბიზანტიელებს ივრის ხეობის გამაგრებას გაერთიანებული ძალებით სთავაზობდნენ.

არქეოლოგიური ძიებებით ნასოფლარი ანატორი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა ჯგუფში მოიაზრება. ახ.წ.აღ. X-XI საუკუნეებში აქ საფორტიფიკაციო ხასიათის დასახლება და დარბაზული ეკლესია აუგიათ. ხევსურეთის მოსახლეობა აქ მთავარანგელოზის სახელზე ლოცულობს და მას „ანატორის ჯვარს“ უწოდებს. აქ სალოცავად ჩეჩენ-ინგუშეთის მოსახლეობაც დაიარებოდა (242; 232;52).

როგორც ანატორი, ხახმატიც ერთ-ერთ გზათა შესაყარს წარმოადგენდა. გარდა ჩეჩნეთ-ინგუშეთისა, აქედან გზა კავკასიონის ძირითადი ქედის გაყოლებაზე ფშავს, კახეთსა და თუშეთს ჩადიოდა, ხოლო ეს უკანასკნელი კი დიდოეთს ემეზობლებოდა. „ქართლის ცხოვრება“ ძვ.წ.აღ. II საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით მოიხსენიებს დიდოეთს. მასვე მოიხსენიებს თავის ნაწერებში I საუკუნის მოღვაწე პლინიუსიც. როგორც ირკვევა, ამ მხარეს ადრეული ხანიდან ჰქონდა ურთიერთობა საქართველოსთან. ამ ურთიერთობის დასტურად უნდა მივიჩნიოთ ხახმატის ზემოთ ჯვარში არსებული სამლოცველო — „მწევრის საფლავი“. რომელიც შავი ძაღლის სახით ჰქონდათ წარ-

მოიდგენილი და საქონლის მფარველ ღვთაებად მიიჩნეოდა. „ქართლის ცხოვრების" XIII საუკუნის ერთი ქრონიკა (357) გვამცნობს, რომ დიდოელები უნიშნო შავ ძაღლს სცემდნენო თაყვანს. ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს, რომ დიდოელები დღესაც ამ სალოცავში დაიარებიან.

ამრიგად, ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კავკასიის სამხრეთ და ჩრდილო რეგიონების ურთიერთობას უძველესი ტრადიცია აქვს და ამ ურთიერთობის წარმოშობა-სიმყარის დასტური რელიგიური რიტუალების საერთო ნიშნებიც ადასტურებს, ხოლო ამ უკანასკნელის ერთ-ერთ საფუძვლად დასაშვებია მოვიაზროთ გზათა თავშესაყარი როგორც მთიანეთში, ისე ბარის ტერიტორიებზე.

სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის ისტორიულ ურთიერთობებზე კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ეპიგრაფიკული წარწერები, რომლის ნიმუშებიც უხვად მოიძებნება ჩრდილო კავკასიის მართლმადიდებლური ქრისტიანული კულტურის ძეგლებზე. მართლმადიდებლური ქრისტიანობა და მისი არსებობა კავკასიის ჩრდილო რეგიონში მანიშნებელია ქართული კულტურისა და ორიენტაციის ამ მხარეში გავრცელებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონის განსაკუთრებული გეოსტრატეგიული ფუნქციის გამო, გარეშე ელემენტთა ბატონობის მონაცვლეობა განაპირობებდა აქ რელიგიათა სიჭრელეს, რაზეც ისევ ეპიგრაფიკული მონაცემები მიგვანიშნებენ. XIII-XV საუკუნეებში აქ ვხვდებით (დაღესტანში — ქ.პ.) ქართულ, არაბულ და სპარსულ წარწერებს, თუმცა აქვე შეინიშნება ადგილობრივ ენებზე შესრულებული წარწერებიც. ეპისკოპოსი იოანე (დე-გალონიფონტიბუსი) იუწყება, რომ ადიღეის „გააჩნიათ საკუთარი ენა და დამწერლობა" (378). ავარიაში აღმოჩენილია ორრიცხოვანი ქართულ-ავარიული

წარწერები, რომლებიც ქართული ასოებით არის შესრულებული და მიეკუთვნება XIV საუკუნეს (171)

XIII საუკუნიდან ქრისტიანული ქვეყნების უფლებამოსილებისა და კულტურულ-ცივილიზაციური ზეგავლენის შესუსტებამ ჩრდილო კავკასიაში ხელი შეუწყო ისლამის გავრცელებას. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ჯერ ოქროს ურდომ, შემდეგ თემურ-ლენგის დაწარბეველმა ლაშქრობებმა. „ომი რწმენისათვის" — ქრისტიანებისა და წარმართების წინააღმდეგ ბრძოლა ჩრდილო კავკასიელი მეომრებისათვის ძირითად არსად იქცა და მიუხედავად ამისა, გაბატონებულ რელიგიად ისლამი მაინც ჩამოყალიბდა მხოლოდ სამხრეთ და ცენტრალურ დაღესტანში. XV საუკუნიდან ის გავრცელდა ცენტრალურ კავკასიაშიც — ყაბარდოელებში, თუმცა რიგი რეგიონის მოსახლეობა კვლავინდებურად ქრისტიანულ რელიგიას იცავდა (ყარაჩაის, ბალყარეთის, ჩრდილო ოსეთის, დაღესტნის, ჩეჩენოინგუშეთის მთიანი ზოლები). მართლმადიდებელი სამღვდელოება აქ წარმოდგენილი იყო ქართველების, ბერძნების და ადგილობრივი მოსახლეობის სახით. აქვე მოქმედებდა ქრისტიანული ეპარქიებიც, მაგალითად, 1317 წელს ალანიის საეპარქიო, რომელიც 1347 წელს შეუერთდა ბიჭვინთისა და აბაზგიის ეპარქიას. ალანიის საეპისკოპოსოს იურისდიქციაში იყო აზოვისა და სარაის სამრევლოები (171, 26). მთავარეპისკოპოსი იოანე (დე გალონიფონტიბუსი) დაღესტანზე წერდა, რომ მისი მოსახლეობა „ლეკები" — „მისდევენ სარაცინებს, — მეორენი — ქართველებს, ხოლო ზოგიერთები —ქრისტიანობას" (359, 196-209). საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ევფთიმემ საეპარქიოს დაარსებისას დაღესტანში მოინახულა მართლმადიდებლური ტაძრები: ხუნძახში, ჩეჩნეთში — „ნახჩე" და სხვ. (393, 999-1000).

ჩრდილო კავკასიის ქრისტიანობა კლასიკურ ფორმაშიც არსს არ ატარებდა. როგორც უკვე აღინიშნა, მთის ბართან გართულებული (ბუნებრივი გარემო, გარეშე დამპყრობლების მიერ სამხრეთ კავკასიისგან გამიჯვნა — ქ.პ.) კომუნიკაციის გამო, ბარის ცივილიზაციასთან სისტემატიური შეხების ნაკლოვანება, აქაური ხალხებისათვის თვითმყოფადობის გადარჩენის ერთად-ერთ გზას ტრადიციათა შენარჩუნება წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი კი ჩრდილო კავკასიის ხალხების უძველეს წარმართობას ემყარებოდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ქრისტიან, ან სხვა აღმსარებლობის კავკასიელებში ძლიერად იყო შერწყმული წარმართული ელემენტი. ნიშანდობლივია ისიც, რომ გარემო ზეწოლის გამო, ხშირად კავკასიელები იძულების წესით იცვლიდნენ აღმსარებლობას, რაც ამ რელიგიათა ელემენტების აღრევას იწვევდა. მაგალითად, კათოლიკე მისიონერი პატრი იულიანე აღნიშნავდა, რომ ზიხების მართლმადიდებელი დიდებული მრავალცოლიანობას იცავდა (145, 26). მისი განცხადებით ალანები ფორმალურად იყვნენ ქრისტიანები (145, 26).

ნიშანდობლივია, რომ კათოლიკობამ ჩრდილო კავკასიაში ფეხი ვერ მოიკიდა, ხოლო 1475 წელს ოსმალების მიერ გენიუს ფაქტორის ათვისებამ ვატიკანის წარგზავნილი მისიონერების იქ მოღვაწეობას წერტილი დაუსვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, XVI-XVIII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიელ ხალხთა სარწმუნოება ერთობ ჭრელი იყო, რომელიც მუდმივ სახეცვლილებას განიცდიდა. საქართველოს მეზობლად მცხოვრები მთიელების გარდა, დაღესტნის, ნოღაიდის, ჩეჩნეთის მოსახლეობა ისლამს აღიარებდა, რომელთა ძირითადმა ნაწილმა ეს რელიგია XVII-XVIII საუკუნეებში მიიღო. ოსეთში ისლამი მხოლოდ გაბატონებულ ფენებში გავრცელდა. ადიღებსა და

აბაზებში სარწმუნოება ნარევი სახით იყო წარმოდგენილი. ისინი ნახევრად ქრისტიანები, ნახევრადმუსლიმანები იყვნენ. გამაჰმადიანების პროცესში აქტიურ ძალას ყირიმული თათრები წარმოადგენდნენ.

XVIII საუკუნის შუა ხანებიდან, როდესაც კავკასიის ფაქტორით დაინტერესებულ სახელმწიფოებს პრეტენდენტად მოევლინათ რუსეთის ახლადჩამოყალიბებული იმპერია, კავკასიის საერთაშორისო დატვირთვას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, რუსეთისათვის ჩრდილო კავკასიაში ფეხის მოსაკიდებლად, განსაკუთრებული როლი რელიგიურ მომენტს მიენიჭა. ამ დროიდან, რუსეთმა დაიწყო ქრისტიანიზაცია — საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარების მიმართულებითი მუშაობა კავკასიის მთიან რეგიონში. ქრისტიანიზაციას რუსული ორიენტაციის დამკვიდრება უნდა მოჰყოლოდა ჩრდილოეთის მთიელებში. ამ საკითხს ცალკე თავში საგანგებოდ შევეხებით.

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის სოლიდური ნაწილი არ მისდევდა მაჰმადიანობას და წარმართულ რწმენაში იყო, რომელიც თავის თავში ქრისტიანობის სერიოზულ ელემენტებს მოიცავდა. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფაქტიურად აღიარებდნენ ისლამს და არ უარჰყოფდნენ ისლამამდელ კულტურულ ადათებსა და წარმოდგენებს; ამიტომ იყო, რომ დასავლეთ ევროპელი მოგზაურთათვის გაურკვეველი რჩებოდა რომელი სარწმუნოების მატარებლები იყვნენ მთიელები — კერპთაყვანისმცემლობის, ქრისტიანობის, თუ მაჰმადიანობის (154, 114). ყოველივე ეს იმ ფაქტზე მეტყველებს, რომ ისლამური ქვეყნების ხანგრძლივმა ბატონობამ და ჩრდილო კავკასიელი ხალხების ინტენსიურმა ისლამიზაციის მცდელობამ მაინც ვერ შეძლო ამ ეთნოსებში აბსოლუტური გამარჯვება; ვერ მოხ-

ერისდა ხალხური ტრადიციების განადგურება; ყველაზე პოპულარულმა კულტურებმა განიცადეს ერთგვარად ნაწილობრივი ტრანსფორმაცია, ანუ მოხდა მუსლიმურ დოგმებთან მათი შერწყმა, ან მიეცა მათ მუსლიმური ელფერი და ჟღერადობა; ზოგიერთ შემთხვევაში, განხორციელდა ამ ელემენტთა კანონიზაციაც, მაგალითად, ბელადის კულტის, საყოფაცხოვრებო კულტების, საგანთა გაღმერთების შემონახვის ფაქტები. ეს პროცესები დასაშვებია შედარდეს საქართველოს ტერიტორიასთან მომიჯნავედ მცხოვრებ ქრისტიან მთიელებში მიმდინარე პროცესებთან, რომელთა ქრისტიანობაში დღემდე შემორჩენილია ზემოაღნიშნული წარმართული ელემენტები.

კერპთაყვანისმცემლურ პანთეონში ყველაზე ნათლად შეინიშნება ჩრდილო კავკასიის ხალხებს შორის ღვთაებათა იდენტობის მომენტი; მაგალითად, ოსებისა და ყარაჩაელბალყარების მითოლოგიური ანალოგები, ჩეჩნურ-ინგუშური და ადიღეური კერპები; და ბოლოს, ამ ხალხების საერთო ეპოსი, რომელიც ნართების ეპოსის (154, 495) სახელით შევიდა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში. ზემოაღნიშნულ პროცესებს ახსნა მოეძებნება იმით, რომ ჩრდილო კავკასიელი ხალხის მითოლოგიის სტადიებად განვითარება ისტორიულად ერთ ჩარჩოში და ძირითადად ერთგვარად მიმდინარეობდა.

ამრიგად, გვიანი შუასაუკუნეების პერიოდში (XVI-XVII სს.) ჩრდილო კავკასიის ხალხების რელიგია ძირითადად მრავალწახნაგოვანი იყო. ჩამორჩენილ პატრიარქალურ-გვაროვნულ ყოფით ფორმებს ფეოდალურ-ბატონურ ეპოქაში შეესატყვისნენ კლასიკური რელიგიის ფორმები. კლასიკური რელიგიების გავრცელება-დადგინებისათვის ძირითადად გაბატონებული ფენები იბრძოდნენ, სოციალური ურთიერთობების მათ სასარგებლოდ დარეგულირებისათვის.

კავკასიის ხალხების მატერიალურ-სულიერ კულტურათა ურთიერთ შეჯერების შედეგად აშკარად წარმოჩინდა იმ საერთო ნიშანთა მახასიათებელი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. ეს პროცესი ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში მეტ-ნაკლები ინტენსიობით მიმდინარეობდა და გარკვეულწილად სხვადასხვა ფორმებითაც ვლინდებოდა. მატერიალურ-სულიერ კულტურათა სიახლოვეს სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავდა: 1) გარე სამყაროსგან თავდაცვის მიზნით ერთიანი კავკასიის ფორმირებისათვის ბრძოლა — პოლიტიკური ფაქტორი; 2) სოციალურ-ეკონომიკური კავშირები ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ხალხებს შორის და 3) გარეშე დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ინტერესები — ეროვნულ-ფსიქოლოგიური სიახლოვე. პირველი და მესამე ფაქტორის ირგვლივ ზევით უკვე გვქონდათ მსჯელობა. ამ ეტაპზე საკვლევი ობიექტი სოციალ-ეკონომიკური ფაქტორია, რომელმაც კავკასიელთა შორის მატერიალურ-სულიერი სიახლოვის საქმეში ერთ-ერთი წამყვანი როლი შეასრულა.

ზემოაღნიშნული ყოველი ფაქტორის სიცოცხლისუნარიანობა და სასურველი შედეგი განპირობებული იყო კავკასიაში მიმდინარე პროცესებით. ბუნებრივია, შორს ვართ, იმ აზრისგან, თითქოს სოციალ-ეკონომიკურ ფაქტორს წყვეტილი ციკლი გააჩნდა, მაგრამ ფაქტია, რომ რიგ ისტორიულ ვითარებაში ამ სახის ურთიერთობები სუსტი ხასიათისაც იყო, თუ საერთოდ მის დროებით შეჩერებასთანაც არ გვაქვს საქმე. მაგალითად, თუ V-VII საუკუნეებში მატერიალურ-სულიერი კავშირების უკიდურეს დაახლოებაში წამყვან როლს ასრულებდა პოლიტიკური ფაქტორი (ერთიანი კავკასიის იდეის ფორმირება-განხორციელება — ქ.პ.), XV საუკუნიდან მას ჩაენაცვლება სოციალ-ეკონომიკური ფაქტორი. ამ დროიდან მოყოლებული ეკონომიკური ურ-

თიერთობები ერთად-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა კავკასიის ხალხებს შორის კონტაქტისათვის, რამაც კიდეც განსაზღვრა მათი მატერიალურ-სულიერი სიახლოვის შენარჩუნება. სწორედ ასეთი კავშირები იყო ძირითადად დამახასიათებელი თვით კავკასიის შიდა ეთნოსებისათვის და მით უფრო ჩრდილო კავკასიელ მოსახლეობასთან.

XV საუკუნისთვის ამიერკავკასიის ქვეყნები პოლიტიკური დამცრობის პროცესს განიცდიდნენ. ისინი გარემოცულნი იყვნენ ირანისა და ოსმალეთის აგრესიული სახელმწიფოებით, რასაც თან ერთვოდა ამიერკავკასიის ხალხების შიდა საზოგადოებრივი კრიზისი. მიუხედავათ ამისა, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიას შორის კავშირები მაინც არ შეწყვეტილა. განსაკუთრებული სიახლოვე იყო საქართველოსთან მომიჯნავედ მცხოვრებ ხალხებთან: ოსებთან, ჩეჩნებთან, ინგუშებთან და დასავლეთ დაღესტნის ეთნოსებთან. ეს ურთიერთობები ძირითადად სავაჭრო-ეკონომიკური ფაქტორით განისაზღვრებოდა. სავაჭრო ოპერაციები წარმოებდა ე.წ. „ლეკების გზით", რომელიც გადიოდა უმოკლეს და ხელსაყრელ ადგილებზე მარშრუტით: თბილისი — შირვანი — ჯასარი — სამური — დერბენტი და ა.შ. ძირითადი გზა კი ცენტრალურ კავკასიაში გადიოდა დარიალის ხეობაში, ჩრდილოეთში კი კლუხორის, მარუხის და სხვა გადასასვლელებზე (356;249). სავაჭრო საგნებს წამოადგენდა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, სახელოსნო ნაწარმი, საქონელი (მსხვილფეხა). ჩრდილო კავკასიის მთიელები მრავალი სახის საქონელს საჭიროებდნენ, ამიტომ დარიალის ხეობის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობა შუამავლის ფუნქციით გამოდიოდა ამიერკავკასიის ვაჭრებსა და ადგილობრივ მკვიდრთ შორის. ამ სახის ურთიერთობებზე ნათლად მეტყველებს ნუმიზმატიკური მონაცემები. საქართველოს მეფეთა მიერ მოჭრილი მონეტები უხვად გვხვდება

ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში. ამასთნ, საქართველოს სოფლის მეურნეობის იარაღები ფართოდ იყო გავრცელებული მთიელთა დასახლებებში, მაგალითად, „ქართული გუთანი", „კავ-ცერა" და სხვა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩეჩნებს, ინგუშებს და სხვათა შორის.

ნიშანდობლივია, რომ ჩრდილო კავკასიის ხალხებისა და ამიერკავკასიის ხალხთა შორის ურთიერთობაში შეინიშნება საერთო სოციალური ინსტიტუტების არსებობა. მაგალითად, XIII-XV საუკნეების ოსური, ხევსურული და ჩეჩნური კოშკები აშკარად ერთმანეთის მსგავსებით გამოირჩევიან. აღსანიშნავია მათ შორის ლიგვისტურ-ენობრივი მსგავსებანიც — „ხერხი" — „ხაკ ხალი", „მახა" და ა.შ. საერთო სახასიათო მსგავსებები არსებობდა კავკასიელთა იმ დროის დასახლებებშიც — საერთო იერი, დაგეგმარება, საცხოვრისების მშენებლობის ხელოვნება და სხვ.

ამიერკავკასიის შიდასახელმწიფოებრივ დაპირისპირებათა პროცესებში ჩრდილო კავკასიის ხალხები აქტიურად მონაწილეობდნენ. ამ საქმეში განსაკუთრებით ფიგურირებდა ნათესაური (დინასტიური ქორწინებები — ქ.პ.) ფაქტორი; ხშირ შემთხვევაში, ასეთ დროს, სახელმწიფოს ხელისუფალნი მთიელთა სამხედრო ძალით სარგებლობდნენ (დაქირავებული ლაშქარი — ქ.პ.). იყო შემთხვევები, როდესაც მთიელნი თავს ესხმოდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებს, რაც სტიქიურად მიმდინარებდა მთელი XIII-XVII საუკუნეების მანძილზე.

XVI-XVII საუკუნეების განმავლობაში ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ურთიერთობები უკიდურესად მძიმე შიდაპოლიტიკურ და საგარეო ვითარებათა ფონზე მიმდინარეობდა. მოცემულ პერიოდში კავკასიის ხალთ ბედებისათვის ოტომანური თურქეთი და ყიზილბაშური ირანი ერთმანეთს ეცილებოდნენ. ისინი აქტიურად ერეოდნენ კავკასიის

შიდა საქმეებში და ერთმანეთს უპირისპირებდნენ დიდებულებს. კავკასიის ქვეყნებს შორის მიმდინარე მასობრივი ლაშქრობები პროვოცირებული იყო გარეშე ძალებისაგან (360). ასეთმა პოლიტიკამ გარკვეულწილად უარყოფითი არეკვლა მოახდინა კავკასიის ხალხების საზოგადოებრივ ცხოვრებაზეც. ერთმანეთზე დამოკიდებული კავკასიელები ერთმანეთთან ვერ წყვეტდნენ სასიცოცხლო მნიშვნელობის სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით „დიდოელები ჩამოდიან კახეთში სავაჭროდ და აქედან გააქვთ ტანისამოსი, და ყველაფერი, რაც კი საჭიროებენ" (350,104). საქართველო-ჩრდილო კავკასიელი ხალხების სავაჭრო ურთიერთობებში აქტიურად მონაწილეობდნენ სომეხი ვაჭრები. მათ მთებში თავიანთი ტაბუნები ჰქონდათ და ადგილობრივი ხალხების პოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურად მოღვაწეობდნენ (190).

განსაკუთრებით მჭიდრო სავაჭრო კონტაქტები ჰქონდათ მთიელებს აზერბაიჯანის სავაჭრო ფენასთან. იქმნებოდა მცირე სავაჭრო კორპორაციები ერთობლივი ვაჭრობისათვის კასპიის ზღვაზე, ან სამხედრო გზების გადაკვეთაზე. ვაჭრებისთვის დერბენტში, შემახაში, შირვანში იხსნებოდა საგანგებო ქარავან-სარაიები.

ახლო მეზობლობა, სამეურნეო ურთიერთდამოკიდებულება, მზარდი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ჩრდილო და სამხრეთ კავკასიას შორის ხელშემწყობი ფაქტორი იყო მათ სულიერ და მატერიალურ კულტურათა ურთიერთ ზემოქმედებაზე. აღნიშნულის ნიმუშებს უხვად წავაწყდებით ცალკეულ ეთნოსთა კულტურულ ცხოვრებაში; მაგალითად, ჩრდილო კავკასიის ხალხთა სიმღერები ანალოგიურია საქართველოს (ხევსურების, ფშავების, თუშების) და აზერბაიჯანელების სიმღერებისა. ბევრი საერთო ელემენტი შეი-

ნიშნება ქორეოგრაფიასა და მუსიკალურ ხელოვნებაშიც; საოჯახო ტრადიციებში, ფოლკლორში და სხვ.

XVIII საუკუნიდან ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ეთნოსების კონტაქტებმა კიდევ უფრო ღრმა ხასიათი შეიძინა, რომელიც თავის თავში როგორც უარყოფით, ისე დადებით ელემენტებსაც მოიცავდა. როდესაც აქცენტი დადებით მხარეზე კეთდება, აქ უპირველეს ყოვლისა მოიაზრება სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებმაც ასახვა ამ ხალხების მატერიალური და სულიერი კავშირების გაფართოებაში ჰპოვა; რაც შეეხება უარყოფით მხარეს, აქ ბუნებრივია, იგულისხმება პოლიტიკური კავშირები, რომლებიც ერთის მხრივ, გარეშე ფაქტორის ჩართვით მწვავე დაპირისპირებულ ხასიათს ატარებდა, ხოლო მეორის მხრივ, ისტორიულად მათ შორის არსებულ ტრადიციულ კავშირებს ანკრევდა და ამძიმებდა. ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გარკვეულ შემთხვევებში, ჯანსაღი აზრიც იმარჯვებდა და ისტორიული მეხსიერება, რომელიც მაინც მტკიცე იყო კავკასიის ხალხებში, მათ ერთიანობისაკენ უბიძგებდა. აღნიშნულის შედეგია XVIII საუკუნის დასაწყისში ერთიანი კავკასიური იდეის რესტავრაციის მიმართულებითი მცდელობა.

XVIII საუკუნის დასაწყისის კავკასიის ხალხების ურთიერთობანი ერთობ თავისებურ ხასიათს ატარებდა და საერთაშორისო ვითარების ფონზე მიმდინარეობდა. კავკასიაში გაბატონებისათვის საერთაშორისო პოლიტიკის არენაზე ჩნდება ახალი ფაქტორი, რომელიც ქმედითი ღონისძიებებით ცდილობდა რეგიონში დამკვიდრებას. ეს უპირველეს ყოვლისა მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მისწრაფებებში ვლინდებოდა და გამოიხატებოდა. XVIII საუკუნიდან ამ მხრივ, განსაკუთრებული მიზანსწრაფულობით გამოირ-

ჩეოდა რუსეთის იმპერია. ჩრდილო კავკასიაში რუსი მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია, საფუძველი გახდა რუსეთის ჩართვისა საერთაშორისო სავაჭრო რეგიონში. ასეთი რუსული დასახლებები კი ძირითადად ქალაქებში — ყიზლარსა და მოზდოკში იყო, რის გამოც მას შემდეგ რაც, საქართველოს სახელმწიფოებრიობა რუსეთმა გააუქმა ამ ქალაქებამდე მისასვლელ გზას დარიალის ხეობაზე რუსეთი აბსოლიტურ კონტროლს უწევდა და მათაც განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინეს. მოზდოკი და ყიზლარი ჩამოყალიბდნენ შუამავალ რეგიონად, ერთის მხრივ, სამხრეთ და ჩრდილო კავკასიასა და მეორის მხრივ, მთლიანად კავკასიას და რუსეთს შორის. რუსეთმა ისინი ერთგვარ პლაცდარმად აქცია ამიერკავკასიასთან და სპარსეთთან ეკონომიკური კავშირებისათვის (370,505).

ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ღრმა კონტაქტებს განაპირობებდა ასევე ამიერკავკასიის ერთა მიგრაციული პროცესები. ჩრდილო კავკასიაში შეინიშნება ქართველთა და სომეხთა მიგრაცია, ხოლო სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს ბარსა და მთიანეთში არსებობდა ოსების, ვანახების, ადიღებისა და სხვ. კომპაქტური დასახლებები (227,45-58).

საარქივო მასალების თანახმად, XVIII საუკუნის 70-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში ხელისუფლებამ ჩაატარა აღწერა, რომელმაც გამოავლინა ჩრდილო კავკასიელი მთიელების რიცხვობრივი ოდენობა საქართველოში, განსაკუთრებით კი ოსების, რომელთა რაოდენობა ყველაზე დიდი იყო შიდა ქართლში, მაგალითად, არაგვის საერისთაოში მცხოვრები 3300 კომლიდან, 2000 კომლი ოსების

იყო, ქსნის საერისთაოში 3600 კომლიდან 2000 კომლი; მარტო თავად მაჩაბლის სამფლობელოში 850 ოსთა ოჯახი ცხოვრობდა (379,13-15,103-104,179).

ამრიგად, კავკასიის ხალხების მატერიალურ-სულიერ კულტურათა სიახლოვის მიზეზები უპირველეს ყოვლისა საძიებელია იმ გეოგრაფიულ გარემოში, რომელშიც ამ ხალხებს სამყაროს დასაბამიდან უწევდათ ცხოვრება. განსხვავებულ ცივილიზაციათა გზასაყარზე მდებარე კავკასია მრავალი კულტურისთვის სახასიათო ნიშნის ზემოქმედების ასპარეზი იყო. კავკასიის ხალხები ამ ნიშანთა გაზიარება-გათავისებისაგან არ იყვნენ დაზღვეულნი და საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა მათი ათვისება, გადამუშავება და იმ ელემენტთა შერწყმა ეროვნულ კულტურაში, რომელიც კავკასიელთა მენტალიტეტთან, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებთან ახლოს იყო. განსხვავებულ კულტურათა ნიშნების გათავისებამ, კავკასიელ ხალხებს ერთობ სახასიათო ფსიქოლოგიური მენტალიტეტი ჩამოუყალიბა, რომელიც სხვა დანარჩენი ხალხებისგან მათ განასხვავებდა.

კავკასიის მოსახლეობა არა მხოლოდ განსხვავებულ კულტურებთან მორგების პროცესს გადიოდა, არამედ მას უხდებოდა ერთმანეთის კულტურებთან შეხება და მათი გაზიარება-გათვალისწინებაც. თუ გარე დამპყრობლების კავკასიაში გაბატონებისას ადგილობრივ მოსახლეობას უხდებოდა ნებსით თუ უნებლიედ მათ კულტურებთან დაახლოება და ხშირ შემთხვევაში, ეს პროცესი აგრესიული ხელის ფონზე წარმოებდა, კავკასიის მკვიდრ მოსახლეობასთან კულტურული ურთიერთშეხება ძირითად შემთხვევაში მშვიდობიან გარემოში მიმდინარეობდა. ასეთი ურთიერთობე-

ბი მატერიალურ-სულიერ სფეროში კავკასიელი ხალხის საერთო ნიშან-თვისებებს აყალიბებდა.

კავკასიელი ხალხების მატერიალურ-კულტურული შეაების შესახებ, ქართველი, თუ უცხოელი მკვლევარების მიერ ბევრი დაწერილა; მიმდინარეობს ახალი კვლევები და სამეცნიერო დებულებათა შემუშავებანი. სამომავლოდაც, ბუნებრივია, გაგრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა. დღეს-დღეობით კი, როდესაც ამ საერთო ელემენტთა შეხებაზე ვსაუბრობთ, უნდა გამოვკვეთოთ ამ საერთოობის ის ძირითადი ნიშნები და მისი გამომწვევი მიზეზები, რომლებიც დღემდე არსებობს.

კავკასიელი ხალხების მატერიალურ-სულიერი ერთობის პირველ ნიშნად მოსააზრებელია იმ იდეოლოგიის ფორმირება, რომელიც მათ ერთიანობას დაასაბუთებდა და ამავდროულად, ძლიერ პოლიტიკურ საყრდენს შეუქმნიდა გარეშე დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთიანი კავკასიის იდეოლოგიის დამადასტურებელმა წყაროებმა ნათელჰყო, რომ ასეთი იდეოლოგია შეიძლებოდა შექმნილიყო იმ ხალხებისთვის, რომელთაც კულტურაში მრავალი ნიშანი აერთიანებდათ. სწორედ ასეთ ნიშანთა არსებობის დამადასტურებელია ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები. შემდეგი ნიშანი, რომელიც კავკასიელთა მატერიალურ-სულიერ კულტურათა სიახლოვეზე მეტყველებს არქეოლოგიური მონაცემები და ადათ-წესებში დანერგილი ელემენტების იდენტობაა. ამ უკანასკნელთა მიზეზები დასაშვებია ვეძიოთ კავკასიელი ხალხების ნათესაურ დაახლოებაშიც. აქ მხედველობაში გვაქვს დინასტიური ურთიერთობები, რომელიც ძირითადად პოლიტიკური ფაქ-

ტორით იყო განპირობებული, მაგრამ განსხვავებული კულტურებისა და საოჯახო ტრადიციების მატარებელი წყვილები, როდესაც ისინი თავიანთ სახელმწიფოებრივ მმართველობაში უფლებამოსილნი ხდებოდნენ, ბუნებრივია, ტრადიციული კულტურის ელემენტებსაც შეიტანდნენ უცხო გარემოში და დანერგავდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში.

ალბათ ძნელია მოიძებნონ ხალხები, რომელთაც იმდენი აკავშირებთ ერთმანეთთან რელიგიურ ადათ-წესებში, როგორც ეს კავკასიელ ხალხს აქვთ. პრეისტორიული საზოგადოებრივი წყობილებიდან მოყოლებული ადრეული რელიგიური ელემენტები კავკასიაშიც შიდა და ტომობრივი კომუნიკაციების შესანიშნავი საშუალება იყო. ამ დროიდან არის სავარაუდო ის მეტად საინტერესო თავისებურებები, რომელიც მკვიდრი მოსახლეობის მატერიალურ-სულიერი ყოფისათვის არის დამახასიათებელი და მათ მაღალ დონესა და თვითმყოფადობაზე მეტყველებს.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის მთიანეთი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა კონფესიის მატარებელი ხალხებით დასახლებული რეგიონია, კავკასიელთ ტრადიციებში, მითოლოგიურ გადმოცემებში, ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ენასა და თვით ანთროპოლოგიაშიც კი მათ ბევრი რამ საერთო აქვთ. ამავდროულად, კავკასიის ხალხთა მრავალ ხალხურ ტრადიცია-რიტუალში იგრძნობა ძველი აღმოსავლეთის, მცირე აზიის ბერძნული სამყაროს მითოლოგიურ-რელიგიური რემინისცენციები, ქართული წარმართული, თუ ქრისტიანული ეპოქა და ძველი კავკასიის ერთიანი სული. ამ ფონზე კავკასიელთა პილიგრიმობა ერთმანეთის სალოცავებში წარმოგვიდგება, როგორც სხვა-

დასხვა ერთა კომუნიკაბელურობის ღია არხი, რომელიც ამავდროულად და გარკვეულწილადაც ხელს უწყობს სხვადასხვა კონფესიების მატარებელ ხალხთა დაახლოვებას, ადამიანთა ურთიერთობის ნორმალიზებას.

XIII საუკუნიდან სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურმა დამცრობამ კავკასიის მთიანეთში გზა გაუხსნა აბსოლუტურად უცხო რელიგიას – ისლამს. არც მანამდე ნაცნობ ქრისტიანულ სარწმუნოებას გააჩნდა აქ კლასიკური ფორმა – შინაარსის სახე. აღნიშნულის მიზეზი კი გარეშე ფაქტორი თუ გეოგრაფიული სირთულე იყო. ბარის ცივილიზაციას მოდებული მთიელები თვითმყოფადობის შენარჩუნებას ტრადიციათა დაცვით ცდილობდნენ და, რადგან ეს უკანასკნელი თავის თავში, როგორც ადგილობრივ წარმართობას, ისე ქრისტიანობას (ბიზანტიურს და განვითარებულ შუა საუკუნეებში ქართულ მართლმადიდებლობას – ქ.ა.) მოიცავდა, გასაგები უნდა იყოს ამიერკავკასიის ტრადიციათა სიახლოვე კავკასიის მთიელთა ტრადიციებთან, რომელიც სარწმუნოების ფონზე იშლებოდა. კავკასიის ხალხებში ტრადიციათა საერთო ნიშნები რომ საუკუნეების ურთიერთობითა და ისტორიული მეხსიერებით იყო გამოწვეული და არა იძულებითი ზემოქმედებით ერთის მეორის მიმართ და პირიქით, კარგად ჩანს თუნდაც იმ გარემოებაში, რომ კავკასიელმა მთიელებმა ბარის მოსახლეობის მსგავსად არ მიიღეს მათთვის რადიკალურად უცხო კულტურა – კათოლიკური ეკლესიისა და მრწამსის სახით. მართალია, ამ მოვლენას ღრმა პოლიტიკური მიზეზიც გააჩნდა, მაგრამ ფაქტია, რომ კათოლიკური კულტურა არა მხოლოდ უცხო ფაქტორი აღმოჩნდა კავკასიელებისათვის (განსაკუთრებით

ჩრდილო კავკასიელი ხალხებისათვის), არამედ მათი ეროვნული გადაგვარების მომასწავებელიც, რასაც, როგორც ჩანს კავკასიის საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი კარგად აცნობიერებდა.

ამრიგად, კავკასიის ხალხების მატერიალურ-სულიერ კულტურათა სიახლოვეს სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავდა:

1) გარე სამყაროსგან თავდაცვის მიზნით, ერთიანი კავკასიის ფორმირებისათვის ბრძოლა — პოლიტიკური ფაქტორი;
2) სოციალ-ეკონომიკური კავშირები ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ხალხებს შორის;
3) გარეშე დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ინტერესები — ეროვნულ-ფსიქოლოგიური სიახლოვე.

ყოველი ფაქტორის სიცოცხლისუნარიანობა და სასურველი შედეგი განპირობებული იყო კავკასიაში მიმდინარე პროცესებით. რიგ შემთხვევაში, წამყვან როლს პოლიტიკური ფაქტორი ასრულებდა, ზოგჯერ სოციალ-ეკონომიკური. სწორედ ამ უკანასკნელის მეშვეობით ხდებოდა კავკასიელთა განსაკუთრებული სიახლოვე, რაც მათ მატერიალურ და სულიერ კულტურებში საერთო ნიშნებსაც აყალიბებდა.

# თავი მესამე
# რუსული თეოკრატიული სახელმწიფოს საეკლესიო გლობალიზაციის ისტორიული მიმოხილვა (XV–XX სს.)

საუკუნეების მანძილზე, მართლმადიდებლურ ქრისტიანიბაში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის იდეალურ ვარიანტად მიჩნეული იყო „სიმფონიის პრინციპი", რომელიც მათ კავშირს არეგულირებდა. საერო და სასულიერო ხელისუფლების ამ ვარიანტის სამშობლოდ ბიზანტია მოიაზრება, სადაც ფაქტობრივად მართლმადიდებლური სახელმწიფო განხორციელდა. „სიმფონიის" ტერმინში იგულისხმებოდა სახელმწიფო რელიგიისა და პოლიტიკის შერწყმა, „ვითარცა ადამიანში სხეულისა და სულის ერთობლიობა". ასეთი ტიპის სახელმწიფოში ორივე ხელისუფლება — საეროც და სასულიეროც — ერთ წმინდა მისიას — მართლმადიდებლური სახელმწიფოს აღორძინებას ემსახურებოდა და მიუხედავად აღნიშნულისა, მათ მაინც მოქმედების თავიანთი არეალი გააჩნდათ და გარკვეულწილად ამ საქმეში შემოსაზღვრულნიც იყვნენ.

სახელმწიფო აქტიურად იყენებდა სოციალური მმართველობის ნაირგვარ საშუალებებს: სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ქრისტიანული მორალის დახმარებით ახორციელებდა, რის გამოც მფარველობდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, იცავდა მის მოძღვრებას, კულტს, სიწმინდეებს; ზრუნავდა ეკლესია-მონასტრების აღორძინებისათვის და უზრუნველყოფდა საზოგადოებაში საეკლესიო სამართლის ნორმათა რეალიზაციას. თავის მხრივ, გამოკვეთილი ფუნქცია-მოვალეობანი გააჩნდა ეკლესიას „სიმფონიურ მოდელში". ის წარმოადგენდა სახელმწიფო იდეოლოგიის დამცველ-პროპაგანდისტს საზოგადოებაში და სახელმწი-

ფო პოლიტიკურ კურსს ავსებდა არწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსის იდეოლოგიით (210).

„სიმფონიური პრინციპის" სამართლებრივი საფუძველი პირველად იმპერატორ იუსტინიანეს ნოველაში აისახა და მას შემდეგ, ის აუცილებელ სამოქმედო დებულებად იქცა ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელსაც ამგვარი პრინციპის ათვისების პრეტენზია გააჩნდა. იუსტინიანეს ნოველაში ვკითხულობთ: „ადამიანებზე ღვთაებრივი მადლი გადმოვიდა სამღვდელოებისა და მეფობის სახით, რომელთაგან პირველი ზრუნავს საღვთო, ხოლო მეორე საკაცობრიო საქმეზე... ამიტომ არაფერია მეფისთვის ისე მშობლიური, როგორც სამღვდელოება, რომლებიც, თავის მხრივ, ღმერთს ავედრებენ მეფეს. და თუ ღვთის ნებით, სამღვდელოებასა და ხელისუფლებას შორის სრული თანხმობა იქნება სახელმწიფოს მმართველობაში, ყოველივე მხოლოდ ადამიანთა მოდგმის სასიკეთოდ წარიმართება...."

სამეცნიერო ლიტერატურაში — „სიმფონია" — მიჩნეულია თეოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ორი ძალაუფლების (საერო და სასულიერო) ერთობად. აღნიშნული დებულება მიუღებელია მართლმადიდებელი ღვთისმეტყველებისათვის, რის საფუძველზეც ეკლესია თეოკრატიულ წყობას შინაგანად მიუღებლად მიიჩნევს მართლმადიდებლური ქრისტიანობისთვის. ისტორია კი ცხადჰყოფს, რომ „სიმფონიის" შემთხვევა სახელმწიფოს თეოკრატიულ წყობაზე მიანიშნებს და ფაქტობრივად, შლის ზღვარს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. მათი შერწყმა წარმოქმნის ეკლესიურ სახელმწიფოს, რომლის მაგალითიც ისტორიამ ბიზანტიის იმპერიის სახით შემოგვინახა.

მსოფლიო ისტორიამ ცალსახად გვაუწყა, რომ თეოკრატიული სახელმწიფო მმართველობის მოდელი სამყაროს დიდი იმპერიებისათვის დამახასიათებელი თვისებაა, რომელთაც მსოფლიოში გაბატონების ამბიცია აწუხებთ; და

რაც მნიშვნელოვანია, ისინი ამ მიზნის მიღწევაში ეკლესიას რთავდნენ და მართლმადიდებელი სარწმუნოების საბურველით მთელს მსოფლიოში ძალაუფლების მოპოვებას ლამობდნენ. აღნიშნულის პიონერი ისევ ბიზანტიაა. რუსი მეცნიერი ა. დვორკინი აღნიშნავდა: „ბიზანტიაში არსებობდა იმპერიის გაგება, როგორც საუკეთესო სახელმწიფოებრივი სხეულისა ორი თავით – მსოფლიო პატრიარქი და მსოფლიო იმპერატორი. მათ ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ეს სხეული მოიცავდა მთელ მართლმადიდებელ მსოფლიოს, უფრო ზუსტად, მსოფლიოს, რომელიც გახდებოდა მართლმადიდებლური". საამისოდ, ბიზანტიურმა გლობალიზაციამ თეორიული საფუძველიც შექმნა საერო ხელისუფლებისა და სასულიერო დასის ურთიერთობის სახით, ისეთის, როგორც „სულის და სხეულის ერთარსობაა". აქედან მოყოლებული ბიზანტიამ დაიწყო თეოკრატიული იდეების განვრცობისათვის ზრუნვა, რითიც ის სამყაროს მართლმადიდებლური გლობალიზაციის პიონერი გახდა (210). თეოკრატიულ იდეას მზარდი, ახალგაზრდა სახელმწიფოები უნდა დაეინტერესებინა და ასეც მოხდა, რუსეთის სახელმწიფო, რომელიც ცენტრალიზაციის გზას დაადგა, განსაკუთრებულ ყურადღებას ავლენდა თეოკრატიის იდეის მიმართ. თავის მხრივ, არც ბიზანტია იყო რუსეთის სახელმწიფოსადმი გულგრილი. ბიზანტია თავისი არსებობის დღეებს ითვლიდა და მართლმადიდებელი დიდი სახელმწიფოს თანადგომა მის ინტერესებში შედიოდა. აღნიშნულზე მეტყველებს 1393 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქის ანტონის წერილი მოსკოვის დიდი მთავრის ვასილი დიმიტრის ძისადმი იმპერიის დაცემამდე ნახევარი საუკუნით ადრე: „ყველგან სადაც ქრისტიანია, მეფის სახელი მოიხსენიება ყველა პატრიარქის, მიტროპოლიტისა და ეპისკოპოსის მიერ. არ შეიძლება ქრისტიანებს ჰქონდეთ ეკლესია და არ ჰყავდეთ მეფე, რადგან ეკლესია და მეფე გაუმიჯნავნი

არიან... მეფის კურთხევა ხდება მსოფლიო ეკლესიის მიერ და მხოლოდ მის სახელს იხსენიებენ ქრისტიანები და არა სხვისას“. სწორედ ასეთი სახის ამბიციები გახდა 1054 წლის დიდი სქიზმის მიზეზი ეკლესიაში. ბიზანტია რუსეთის მიმართაც ცდილობდა „თეოკრატიულ-სიმფონიური“ პრინციპის განვრცობას და თავის გლობალიზაციის პროექტში განთავსებას, მაგრამ ბიზანტიამ დასახული მიზნის განხორციელება ვერ მოასწრო. XV საუკუნის შუა წლებში მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან გაქრა „მეორე რომი“, მაგრამ „სიმფონიური მოდელი“ და იმპერიულ-მართლმადიდებლური გლობალიზაციის იდეა არ გამქრალა; „მსოფლიო მართლმადიდებლური იმპერიის“ ამბიციით მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზს მოსკოვის სახელმწიფო მოევლინა (210,37).

ბიზანტიის იმპერიისაგან განსხვავებით, რუსეთი ფაქტობრივად თეოკრატიულ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა, და ვერც კლასიკური სახე მიიღო „სიმფონიამ“, თუ გამოვრიცხავთ ისტორიის ცალკეულ პერიოდში რუსეთის სასულიერო იერარქიის მიერ დროებითი პოლიტიკური ლიდერობის მიღწევას, მაგრამ საერო ხელისუფლებაზე გაბატონება მან მაინც ვერ შეძლო. რუსეთში ფაქტობრივად დადგინდა ცეზაროპაპიზმი, როდესაც საერო ხელისუფლებამ შეითავსა შიდასაეკლესიო მმართველობის ფუნქცია და საეკლესიო იერარქიაც დაიქვემდებარა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ხანგრძლივი დროის მანძილზე, რუსეთის ეკლესიისათვის „სიმფონია“ ორიენტირი იყო საერო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში. შუა საუკუნეების რუსეთსაც თავის მხრივ ბიზანტიური პრინციპების დანერგვის უნარი არ შესწევდა, რამაც, ბუნებრივია, ასახვა ჰპოვა რუსეთში თეოკრატიული მმართველობის დეგრადირებული სახით ჩამოყალიბებაში. რუსეთისათვის თეოკრატიული მმართველობის მოდელი მხოლოდ სააზროვნო საგნად დარჩა და მან

პრაქტიკული განხორციელება კლასიკური სახით ვერ შეძლო.

ეკლესია-სახელმწიფოს იდეა შუა საუკუნეების რუსეთში სხვადასხვა ფორმებში გამოვლინდა: ფილოსოფოსთა და ღვთისმეტყველთა შრომებით, სოციალური უტოპიებით, ზღაპრებითა და ლეგენდებით, და მაინც 1917 წლამდე რუსეთის სახელმწიფო დასაშვებია მივიჩნიოთ თეოკრატიული ტრადიციების მატარებელ ქვეყნად.

თეოკრატიული იდეის მკაფიო გამოვლინებას ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეების დოქტრინაში — „მოსკოვი — მესამე რომი"; ასევე რუსეთის საეკლესიო განხეთქილებაში და XIX-XX საუკუნეების რუს კლასიკოსთა შრომებში.

თეოკრატიული იდეის ჩამოყალიბება და მისი აღორძინება უკავშირდება მოსკოვის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფორმირებას, რომელშიც მცირე მასშტაბებით განხორციელება ჰპოვა რუსული გლობალიზაციის პირველმა პროექტმა, შედეგად კი დასრულდა ცალკეული რუსული სამთავროების გაერთიანება და სამხედრო პოლიტიკურმა ძალებმა თავი მოიყარა ცენტრალიზებულ რუსულ სახელმწიფოში ცენტრით მოსკოვი. მართალია, იმ ეტაპზე გაბატონებულ რელიგიურ მსოფლმხედველობას უკეთესი იდეოლოგიის შექმნის უნარი არ შესწევდა, მაგრამ სახეზე მაინც იყო რუსეთის მზარდ სახელმწიფოში თეოკრატიული მმართველობის საფუძვლების დადგენისაკენ ძლიერი ლტოლვა.

დროთა ვითარებაში, რუსეთის სახელმწიფოში ჩამოყალიბდა თეოკრატიული მსოფლმხედველობის ყველა კომპონენტი: 1) ხილიაზმი — რუსეთის სახელმწიფოს ისტორიული მისიის სახით; 2) ესქატოლოგიზმი — „მესამე რომის" თეორიის ისტორიული პროცესის დასრულების სახით, ანუ „მეოთხე რომი არ იქნება"; 3) მესიანიზმი — ღვთის რჩეული რუსი ერის სახით. ამ დროიდან მოყოლე-

ბული მესიანისტური იდეა რუსული ნაციონალური აზროვნების განუყოფელი ნაწილი გახდა. რუსი სწავლული ნ. ბერდიაევი წერდა: „უძველესი დროიდან არსებობდა აზრი, რომ რუსეთი დიადი საქმეებისთვის არსებული განსაკუთრებული ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოს არც ერთ დანარჩენ ქვეყანას არ ჰგავს. რუსული ნაციონალური აზროვნება იკვეთებოდა რუსეთის ღვთივრჩეულობის იდეით. ეს მომდინარეობს მოსკოვის, როგორც „მესამე რომის" ძველი იდეიდან" (165.57-59).

თეოკრატიული იდეის თეორიულმა ფორმირებამ ასახვა ჰპოვა რუს მოაზროვნეთა შემოქმედებაში. აღნიშნულმა კი რუსეთის სახელმწიფოს იმპერიული პრინციპი მიანიჭა, და გვიანი შუასაუკუნეებისათვის სახეზე იყო ისეთი სახელმწიფო და მმართველობის ისეთი სისტემა, რომელსაც ფაქტობრივად დღემდე არჩეული პოლიტიკური კურსიდან არ გადაუხვევია. რუსეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს იდეალურ ფორმად ყოველთვის „მართლმადიდებლობის „სიმფონიური პრინციპი" მიაჩნდა. ურთიერთობის ამ ფორმაში უპირატესობა ენიჭებოდა მეფის ხელისუფლების უზენაესობას ეკლესიაზე. ბუნებრივია, ეკლესიის იერარქთა მხრიდან „სიმფონიური" პრინციპის მოქმედებას სერიოზული წინააღმდეგობაც ჰქონდა —„ მეფის უმთავრესი მოვალეობაა — ეკლესიის დაცვა, რადგან მეფის ხელისუფლება ვერასოდეს იქნება მტკიცე, თუ ძლიერი არ იქნება დედაეკლესია" — აღნიშნავდა რუსეთის პატრიარქი ტიქონი. ეკლესიის სიმტკიცისა და სამღვდელოების ავტორიტეტის გაძლიერებისათვის, სასულიერო იერარქები მეფის ხელისუფლებას სხვა ქვეყნის სახით მართმადიდებლობის მტრის ხატს უქმნიდნენ და მის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. ზემონახსენები იდეა თანდათანობით თეზისად ჩამოყალიბდა რუსეთის სახელმწიფოებრივ მმართველობის წრეებში, მისი საფუძველი გახდა და მარად აქტუალური

საზე შეიძინა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

„მესამე რომობაზე“ ამბიციამ და ამ იდეის დაფუძნებამ რუსეთის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში უცილობლივ მოითხოვა ქვეყნის მასშტაბებით საერო და საეკლესიო მრავალმიმართულებიანი რეფორმაცია. ამ შემთხვევაში, საეკლესიო სფეროში რეფორმის გატარებას და ეკლესიის საჭერთმპყრობელის პოზიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა — რუსეთი ხომ თეოკრატიულ მმართველობაზე აცხადებდა პრეტენზიას! რუსეთმა მიზნად დაისახა ბიზანტიის ჩანაცვლება მართლმადიდებლობის დამცველ-გადამრჩენის სახელის დამკვიდრებით სამყაროში. საამისოდ, რუსეთში გაიშალა მუშაობა ბერძნულ და რუსულ ეკლესიებს შორის არსებული განსხვავებული საკულტო ტრადიციების მოშლის მიმართულებით — რუსული ეკლესია ბერძნულს უნდა მიახლოებოდა, რათა ის მსოფლიო ეკლესია გამხდარიყო, ხოლო რუსეთი — მართლმადიდებლური იმპერია. ხელისუფლებისა და ეკლესიის ამგვარმა კურსმა მორწმუნე საზოგადოებაში ძლიერი წინააღმდეგობა დაბადა, რამაც ამ უკანასკნელს სარწმუნოებრივი განხეთქილების საბაბი მისცა. მართალია, განხეთქილების მონაწილენი არ უარყოფდნენ „მოსკოვი — მესამე რომის“ იდეას, მაგრამ მათთვის არც გაბერძნებული რუსული ეკლესია იყო მისაღები. ამ უკანასკნელის მიზეზად ისინი მიიჩნევდნენ კონსტანტინოპოლის ეკლესიის მიერ „წესის შეშლას“, ანუ ფერარა-ფლორენციის უნიაში მონაწილეობას, რითიც ბერძნულმა ეკლესიამ მსოფლიო ეკლესიის ტიტული დაკარგა. ამ ტიტულის ტარების ღირსად მოიაზრებდნენ რუსეთის ეკლესიას ნაციონალური ნიშნების აბსოლიტური შენარჩუნებით.

ამრიგად, თეოკრატიული იდეის საფუძველი საეკლესიო განხეთქილება აღმოჩნდა, რამაც სერიოზული დაბრ-

კოლება შეუქმნა საერო და სასულიერო ხელისუფლებას თეოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. მიუხედავად ზემოაღნიშნული ვითარებისა, თეოკრატული იდეის პრაქტიკული განხორციელებისათვის მაინც მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა. სააზროვნო ასპარეზზე გამოვიდა მესიანიზმის იდეა, რომელსაც საფუძვლიანი ნიადაგი უნდა შეექმნა მსოფლიო საზოგადოებაში რუსეთის ღვთიურობისა და ღვთივრჩეულობისათვის. აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა რუს მოაზროვნეთა: დოსტოევსკის, ბერდიაევის, კარსავინის, ილინის და სხვათა შემოქმედებაში. ამავდროულად ისინი, თეოკრატიული პრინციპების დადგინებას სახიფათოდ და რუსეთისთვის მიუღებელ მმართველობად მიაჩნევდნენ; ამავდროულად, თეოკრატიული კონცეფციის კრიტიკით გამოდიოდნენ და მესიანისტურ იდეას რუსი საზოგადოების ილუზიად მოიაზრებდნენ — „მცდარი ყალბი მესიანიზმისგან განდგომით, ჩვენ უცილობლივ მიუახლოვდებით ნაციონალური პრობლემის ქრისტიანულად გადაჭრის საკითხს. ჩვენს ერში დავინახავთ არა ერთიან რჩეულ ხალხს, არამედ ერთ-ერთ იმ ერთაგანს, რომელიც, სხვა ხალხების მსგავსად, მოწოდებულია ღვთის დიდი საქმეებისთვის და ამ საქმეში სხვა ერის მსგავსად იყენებს თავის სახასიათო ღირებულებებს." — აღნიშნავდა ე. ტრუბეცკოი(226, 201-202). თეოკრატიული პრინციპების ნეგატიური შეფასება არგუმენტირებულად იყო დასაბუთებული ნ. ბერდიაევის, ს. ფრანკის ნაშრომებშიც. რუს მოაზროვნეთა დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მათ შეძლეს წინასწარ დაენახათ 1917 წლის რევოლუციის გადატრიალების ღრმა რელიგიური საფუძვლები და ამხილეს რუსეთში მოსალოდნელი კვაზი-თეოკრატიული მმართველობის სისტემის დადგინების საშიშროება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, თეოკრატიული იმპერიის ერთ-ერთი სახასიათო ნიშანი გლობალიზაციური მიზნები

და მისი განხორციელებისათვის შესატყვისი პროექტების შემუშავება იყო. ასეთი პროექტები საგანგებოდ ითვალისწინებდა მართლმადიდებლური მრწამსის ფაქტორს, ეკლესიის როლს და სასულიერო კრებულის ფუნქციას გლობალიზაციის მიზნების რეალიზაციის საქმეში.

ბიზანტიური მემკვიდრეობის ამთვისებელმა რუსეთმა იმთავითვე გაითავისა ბიზანტიური გლობალიზაციის გამოკვდილება და XV საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის იმპერიის დაცემის და „ოქროს ურდოს“ დაშლისთანავე (1480წ.) პირველმა შეიმუშავა გლობალიზაციის პროექტი. აღნიშნულმა მოვლენამ რუსეთი აქცია პოტენციურად ახალ „უმაღლესი რანგის სახელმწიფოდ“ აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში, ხოლო მისი ეკლესია „აბსოლუტური იმპერიის“ იდეოლოგიურ საყრდენად. რუსეთის თვითმპყრობელი მოხელენი დაუფარავად იყენებდნენ ეკლესიას საშინაო და საგარეო ველიკოდერჟავული პოლიტიკის გატარების იარაღად. ფართო ექსპანსიური იდეებით იკვებებოდა რუსეთი რამდენიმე საუკუნის მანძილზე, ვიდრე 1917 წლის სახელმწიფო გადატრიალების განხორციელებამდე. რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერპროკურორი ა.ვ. კარტაშევი აღნიშნავდა: „მეფის ხელისუფლებამ თავად დატოვა პოლიტიკური ბრძოლის არენა; გაჰქრა სახელმწიფო მმართველობის ის ფორმა, რომელსაც ბიზანტიური ტრადიციისამებრ ხელმძღვანელობდა რუსეთის ეკლესია და ახორციელებდა მმართველობას არა საერო, არამედ, „წმინდა ეკლესიის“ ძალით“ (162, 1139). ამრიგად, 1917 წლამდე როგორც რუსეთის მერთმადიდებელ ეკლესიას, ისე საერო ხელისუფლებას დასაშვებად მიაჩნდათ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის თუნდაც არასრულყოფილი „სიმფონიური“ მოდელის არსებობა; მაგრამ, მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, რუსეთის ეკლესიის წი-

ნაშე დადგა საკითხი რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობის ახალი ფორმის ძიებისათვის.

თვითმპყრობელური მმართველობის მარწუხებისაგან განთავისუფლებამ მართლმადიდებელ ეკლესიას დადებითი შედეგი მოუტანა; ეკლესიამ თავისუფლება მოიპოვა, აღსდგა გაუქმებული პატრიარქობის ინსტიტუტი და გაიშალა დისკუსიები სამომავლოდ ეკლესიის სახელმწიფოსთან ურთიერთობის ახალი ფორმის ძიებაზე. ჩამოყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ ეკლესიასა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის არავითარი მოვალეობითი კავშირი არ არსებობს და პირიქით, ასეთმა კავშირებმა ტრაგიკულ შედეგამდე მიიყვანა, როგორც ბიზანტიის, ისე რუსეთის სახელმწიფო. 1917-1918 წლების სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე განცხადდა, რომ ეკლესიას სახელმწიფო მმართველობის არანაირ ფორმასთან არ უნდა ჰქონდეს კავშირი, რომ მისი საქმე მხოლოდ სარწმუნოებაა და არავითარი პოლიტიკა: „არ არსებობს არავითარი უძლეველი კავშირი მართლმადიდებლობასა და ამა თუ იმ პოლიტიკურ წყობას შორის, ამიტომ მართლმადიდებლებს უფლება აქვთ ჰქონდეთ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები და სიმპათიები" — აღნიშნავდა ს. ბულგაკოვი (344, 49-50). მიუხედავად დიდი მცდელობისა, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების წლებში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ახალი მოდელის შემუშავება ვერ განხორციელდა.

1917 წლის პოლიტიკურმა მოვლენებმა რუსეთს გლობალიზაციის ახალი პროექტის დაბადებისაკენ უბიძგა, რომელსაც თავისი გაქანებით კაცობრიობის ისტორიაში მანამდე არსებული ყველა მოვლენა უნდა დაეჩრდილა; და პირველ ეტაპზე, სახელმწიფოს ოფიციალურმა იდეოლოგებმა თავდაუზოგავი ბრძოლა წამოიწყეს საერთოდ რელიგიის და კონკრეტულად მართლმადიდებლობის წინააღმდეგ

– „ბოლშევიზმმა, ე.წ. საბჭოთა საზოგადოების კვაზი-რელიგიამ შეტევითი ომი გამოუცხადა ღვთისადმი რწმენას და მიზნად დაისახა „მიწაზე სამოთხის მოპოვება“ – იუწყებოდა ემიგრანტული პრესა (50, 14). ქვეყნის ახალმა მეპატრონეებმა ლენინ-ტროცკი-ზინოვიევმა მართლმადიდებლურ-იმპერიული „მესამე რომის“ უტოპია შეცვალეს „მსოფლიო რევოლუციისა“ და „მესამე ინტერნაციონალიზმის“ ლოზუნგებით. ამ დროიდან, ფაქტობრივად, მართლმადიდებლობის იდეური ძიებანი სახელმწიფოსთან თანაცხოვრებისა ათწლეულით შეწყდა. მართლმადიდებელი ეკლესია განიცდიდა უმკაცრეს რეპრესიებს, რელიგიურად მოაზროვნე სწავლულები განდევნილ იქნენ ქვეყნიდან და ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ტრადიციულმა მოდელმა სიცოცხლე გააგრძელა რუს ემიგრანტთა აზროვნებაში.

საბჭოთა წყობილების დროს რუსეთში გატარდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნის რეფორმა, რომლის შედეგად ეკლესია სახელმწიფოს კიდევ უფრო მყარად მიეჯაჭვა, ვიდრე ეს მეფის ხელისუფლების დროს იყო.

საბჭოთა ეპოქის საწყის ეტაპზე მიმდინარე ანტისაეკლესიო პოლიტიკამ მორწმუნე საზოგადოების რადიკალური უკურეაქცია გამოიწვია და მართლმადიდებლობისა და ეკლესიის დაცვის ხასიათი შეიძინა. დროთა ვითარებაში, ხელისუფლებას საბჭოური იდეოლოგიის დამკვიდრებისათვის ბრძოლის გზაზე სერიოზული დაბრკოლებები ექმნებოდა. მიმდინარე ვითარებამ აუცილებელ ამოცანად დასახა იმგვარი პოლიტიკური კურსის შემუშავება, რომელიც ტრადიციული მართლმადიდებლური რელიგიის მეშვეობით თეოკრატიულ იდეას ხორცს შეასხავდა და საბჭოთა იმპერიის მშენებლობაში სერიოზულ როლს შეასრულებდა.

ახალი წყობის სახელმწიფოს ერთობ თავისებური ხედვა გააჩნდა სამყაროზე ბატონობისა და გლობალიზაციის პროექტის შედგენაზე, პარალელურად, ის ისტორიული თა-

ვისებურებების გათვალისწინებასაც ცდილობდა. საბჭოთა იმპერიამ სახეცვლილებით კითვისა რუსეთის ისტორიული მისია „მესამე რომობაზე" და საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებაში ერთის მხრივ, მისთვის მისაღები ეკლესია ჩართო და, მეორეს მხრივ, ეკლესიის ავტორიტეტის დაცემისა და მის ადგილზე კომუნისტური იდეის დამკვიდრებისაკენ ილტვოდა. ხელისუფლების „სამცხვარ-მათრახის" ცნობილი პოლიტიკის ახლებურ ვარიანტს უნდა დაეჩქარებინა ახალ იმპერიაში სოციალისტური იდეის გამარჯვება და დაესრულებინა „ახალი ადამიანის" ფორმირება.

XX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულისათვის ფაქტი გახდა, რომ სახელმწიფო მოხელე-ჩინოვნიკებმა ხელისუფლების ნდობის მოპოვების მიზნით, ანტირელიგიური პროგრამის იმდენად უხეში მეთოდოლოგია შეიმუშავეს, რომ მორწმუნე საზოგადოების სოციალისტური იდეოლოგიისადმი დაპირისპირება მიიღეს სახეზე. ზემოაღნიშნულმა პოლიტიკამ, გარდა იმისა, რომ გააჭიანურა საბჭოთა ქვეყნის მშენებლობის პროცესი, მისი ავტორიტეტიც დასცა მსოფლიო საზოგადოების თვალში.

საბჭოთა იმპერიის მშენებლობის პროცესს დაბრკოლებების გარდა რიგი სერიოზული ამოცანის გადაჭრა ესაჭიროებოდა: ინდუსტრიალიზაცია-მრეწველობის, საკოლმეურნეო მშენებლობის და, რაც მთავარია, ეკლესიასთან ურთიერთობის დარეგულირება.

ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლების წრეში გაჩნდა აზრი ეკლესიის რესურსების გამოყენებისა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, რამეთუ მართლმადიდებელი ეკლესიის თანადგომით, საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო დაერეგულირებინა ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო ურთიერთობანი.

XX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს ხელისუფლება აქტიურად შეუდგა საეკლესიო პოლიტიკის რა-

ფინირების მიმართულებით მუშაობას. საბჭოთა მთავრობამ მიზნად დაისახა ე.წ. „საბჭოური მართლმადიდებლობის“ შექმნა, რომელიც ისეთი სახის ეკლესიას შექმნიდა, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდისტი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში, საბჭოთა ხელისუფლებამ ყურადღება შეაჩერა თეოკრატიული იდეის აღორძინებაზე, რომელიც სოციალისტური წყობის სახელმწიფოს სასარგებლოდ იმუშავებდა, შედეგად კი თეოკრატიული სახელმწიფოს სოციალისტური ვარიანტის მმართველობას მიიღებდა. დასახული მიზნის განხორციელებისათვის მთავრობამ რუსეთის ახალი ეკლესიისადმი თავისი ინტერესი ოსტატურად შემოსა საბჭოური იდეოლოგიის საბურველით და მას სოციალიზმის მშენებლობის მისიის აღსრულება დაუკვეთა. რუსეთის ახალი ეკლესია მსოფლიო სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიოგრაფიაში „ცოცხალი ეკლესიის“, მოგვიანებით კი „წითელი ეკლესიის“ სახელით შევიდა. როგორც თანამედროვე ისტორიკოსები მიიჩნევენ, ფაქტობრივად, იმ ეტაპზე განხორციელდა ეკლესიის მიყიდვა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

საეკლესიო პოლიტიკაში ახალი ტაქტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პირველ ნიშნად მოიაზრება 1936 წლის სახელმწიფო დეკრეტი, რომლის ძალითაც სამოქალაქო ომის წლებში არჩევნებში ჩამორთმეული მონაწილეობის უფლება სამღვდელოებას დაუბრუნდა. მართალია, ეს უფლება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ საბჭოთა მთავრობის ეს ნაბიჯი სახელმწიფო ინტერესებს ითვალისწინებდა, რომელიც უცხოეთის ქვეყნებისათვის ოსტატურად იქნა შენიღბული. მალე, მისი რეალური მნიშვნელობა ცხადი შეიქნა როგორც საბჭოეთის საზოგადოების, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის.

მართლმადიდებლური ეკლესიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ურთიერთობის ახალი მოდელის შემუშავება

ხელისუფლებამ ეკლესიის გარდაქმნით დაიწყო. მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა ტრადიციული ეკლესიის მოდერნიზაცია. ეს პროცესი რომ სახელმწიფო აპარატისათვის სახიფათო და მტკივნეული იქნებოდა, მთავრობას ეს კარგად უწყოდა, ამიტომ საჭირო იყო ისეთი გზის მოძიება, რომელიც ხელისუფლებას ნაკლებ პრობლემას შეუქმნიდა და ამ რთულ პროცესს ხანმოკლე დროში დაასრულებინებდა. ხელისუფლებამ არჩევანი შეაჩერა საეკლესიო განხეთქილებაზე, რომელსაც უნდა გაენადგურებინა ტრადიციული ეკლესია და მის სანაცვლოდ ფორმირებულ სასულიერო ორგანიზაციას სახელმწიფო ბიუროკრატულ აპარატს მიაჯაჭვებდა, ისე, რომ არ მოიშლებოდა პატრიარქობის ინსტიტუტი, პირიქით, ეს უკანასკნელი დამაკავშირებელი რგოლი გახდებოდა სახელმწიფო აპარატისა სასულიერო კრებულთან. აღნიშნული, აშკარად ეპოქის შესატყვისი ახლებური ვარიანტის მოდერნიზებული ეკლესია იყო, რომელიც „სიმფონიური“ პრინციპით უკავშირდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს.

XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულისათვის, საეკლესიო განხეთქილების ორგანიზატორისა, ე.წ. „განმაახლებელთა“ («обновленцы») სამღვდელო ჯგუფმა მასზე დაკისრებული მისია ამოწურა და თვითლიკვიდაცია განახორციელა. „განმაახლებელთა“ მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლებამ დაასრულა ეკლესიის მოდერნიზაციის პროცესი და ამით შექმნა ე.წ. „ცოცხალი ეკლესია“. ამის შემდგომ, მთავრობამ საეკლესიო პოლიტიკის მეორე ეტაპისთვის დაიწყო მუშაობა. მართლმადიდებელი ეკლესია უნდა გამხდარიყო საბჭოეთის რუპორი მთელს მსოფლიოში. ამ საქმეში კი უაღრესად დიდი როლის შესრულება შეეძლო პატრიარქობის ინსტიტუტს. სწორედ ამ უკანასკნელის მოსყიდვისათვის დაიწყო მთავრობამ მუშაობა და სულ მალე, რუსეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელები საბჭოთა

იდეოლოგიის დამცველ-აგიტატორები გახდნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. 30-იანი წლების ბოლოს სახეზე იყო მართლმადიდებელი ეკლესია, ანუ ე.წ. „წითელი ეკლესია“ – იგივე თეოკრატიული სახელმწიფოს საბჭოური მოდელი. ამ დროიდან, ზემოაღნიშნული ხასიათის სახელმწიფომ დაიწყო საბჭოური გლობალიზაცის პროექტის შემუშავება და, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ საქმეში მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრა „წითელ ეკლესიას“.

მოსალოდნელი მეორე მსოფლიო ომი, საბჭოთა სახელმწიფოსაგან მრავალი პრობლემატური საკითხის გადაჭრას ითხოვდა. ხელისუფლებისათვის აშკარა გახდა „მსოფლიო საბჭოთა სახელმწიფოს“ შექმნის უტოპიურობა და დაიწყო ახალი გლობალიზაციის პროექტის სათუთი კონტურების მოხაზვა, რომელიც საიმედოდ გაასაიდუმლოებდა საბჭოთა ქვეყნის შორს მიმავალ გეგმებს. ეს უკანასკნელი კი სამყაროს მასშტაბით კომუნისტური იდეოლოგიის გამარჯვებას ითვალისწინებდა. ზემოაღნიშნული პროექტის რეალიზება გადაწყდა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის პროცესში. ამ პროექტის რეალიზაციაში ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კვლავინდებურად რუსულ მართლმადიდებელ სარწმუნოებას და რუსეთის ეკლესიას დაეკისრა.

ახალმა საბჭოთა გეოსტრატეგიულმა გეგმამ, რომელიც მსოფლიოს ორ – სოციალისტურ და კაპიტალისტურ ბანაკებად გაყოფას უკავშირდებოდა, ხელისუფლებას უბიძგა ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაკენ: 1) დათხოვნილ იქნა მესამე ინტერნაციონალი და მასში შემავალ კომუნისტურ პარტიებს ფორმალური დამოუკიდებელი არსებობის საშუალება მიეცათ; და 2) აღდგენილ იქნა მართლმადიდებლური მრწამსის ოფიციალური სტრუქტურები. აშკარა გახდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიზანი

იყო მოსკოვის საპატრიარქოს „მართლმადიდებელ ვატიკანად“ ჩამოყალიბება.

სამყაროს პოლიტიკური გადანაწილება თავის მხრივ ითვალისწინებდა მის რელიგიურ გადანაწილებასაც; ურთიერთანტაგონისტურად განწყობილი ბანაკები ითხოვდნენ თავიანთ სარწმუნოებრივ იდეოლოგიას: სოციალისტურ ბანაკში გაბატონებული „მართლმადიდებლური ვატიკანი“ მოსკოვის საპატრიარქოს სასულიერო უწყებით და კაპიტალისტურში — რომის პაპი და კათოლიკური ცენტრი — ვატიკანი.

ახალ სტრატეგიულ კურსს ესაჭიროებოდა სანდო და ხელისუფლებისათვის ერთგული სასულიერო კრებული, როგორც რუსეთის, ისე მოძმე რესპუბლიკების ეკლესიებში. ამით იყო განპირობებული საბჭოთა კავშირში მოქმედი ავტოკეფალური ეკლესიებისადმი ხელისუფლების განსაკუთრებულად კომპრომისული პოლიტიკა. 40-იანი წლების შუა ხანებში ფაქტობრივად დასრულდა საბჭოთა იმპერიის შიგნით არსებული ავტოკეფალური ეკლესიების „გადაბირების“ საკითხი. კერძოდ, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოიპოვა რუსეთის ეკლესიისაგან თვითმოწესეობის აღიარება და ქართული ეკლესიის გადარჩენის მიზნით, ის ხელისუფლებასთან ლავირების პოლიტიკურ გზას დაადგა. ამავდროულად, სწრაფად გადაიჭრა ეკლესიებში საკადრო პრობლემაც და რეპრესირებული სამღვდელოება ხელისუფლებამ მთავრობის პოლიტიკური კურსის გამტარებელი სასულიერო კრებულით ჩაანაცვლა. აქტიურად დაიწყო მეზობელი ქვეყნების სასულიერო იერარქიის გადაბირების პროცესი, რამეთუ სოციალისტური ბანაკის გაძლიერებისათვის საჭირო იყო ევროპის ქვეყნების კომუნისტებისა და სასულიერო კრებულის თანადგომა. საამისოდ, 1945 წლის მარტში რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. კარპოვმა სამოქმე-

დო გეგმის შემუშავების ბრძანება მიიღო საბჭოთა ხელმძღვანელობისაგან. გეგმა ითვალისწინებდა რუსეთის საეკლესიო დელეგაციის ვიზიტებს ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთსა და იუგოსლავიაში. ეკლესიათა „დიდი დაახლოების" მიზნით ჩატარებულმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღო და მეორე მსოფლიო ომის დასასრულისათვის და 50-იანი წლების დასაწყისში ყველა ზემოაღნიშნულ სახელმწიფოში საბჭოური „სიმფონიის" პრინციპი დამკვიდრდა.

თავის მხრივ, რუსეთის ეკლესიაც იძულებული იყო თავის გადარჩენისა და საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინა სახელმწიფოსთან თანამშრომლობა, რაც მას ფაქტობრივად 1917 წლის მოვლენების შემდგომ აღარ ჰქონდა. ეკლესიის მხრიდან ლავირების პოლიტიკის გატარებისა და სახელმწიფო სამსახურში ჩართვის შედეგად, ომის შემდგომ წლებში გაიზარდა მოქმედი ეკლესია-მონასტრების რაოდენობა და მთელი საბჭოთა იმპერიის მასშტაბებით მათმა რიცხვმა 15 ათასს გადააჭარბა.

პოსტსაბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიაში XX საუკუნის 20-50-იანი წლების სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის „სიმფონიურ მოდელზე" ორი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება არსებობს; თითოეული მხარე მეცნიერული დებულებებით ცდილობს ამ „სიმფონიური პრინციპის" მნიშვნელობის ახსნას და მისეული შეფასების ობიექტურად გადმოცემას. საბჭოური იდეოლოგიური აზროვნებისაგან განთავისუფლებული ერთი მხარე, საეკლესიო ე.წ. აღორძინების სანაცვლოდ მოიაზრებს ეკლესიაზე ხელისუფლების წნეხს და მკაცრ რეპრესიებს; მეორეს მხრივ, აიდეალებს საბჭოთა ეპოქის ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის მოდელს, როდესაც ოცწლიანი მტანჯველი მდგომარეობიდან გამოიხსნა ეკლესია და „აღსდგა ვითარცა ფენიქსი". ასეთ მოაზროვნეთა შორის არიან როგორც სასულიერო იერარქები, ისე მეცნიერ-ისტორიკოსებიც, მა-

გრამ, ფაქტი იყო, რომ საბჭოთა საეკლესიო პოლიტიკის მეორე ფაზაში, დიდი მსხვერპლის შედეგად ეკლესიაში სასიკეთო ძვრებიც განხორციელდა. ეს იყო სწორედ ის ეპოქა, როდესაც ქართველი საზოგადოებისა და სამღვდელოების თითქმის საუკუნენახევრის ავტოკეფალური მოძრაობა წარმატებით დაგვირგვინდა. საქართველოს ეკლესიის მოქნილი პოლიტიკის წყალობით და საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე ვითარების გონივრული გამოყენებით, განხორციელდა ქართული ეკლესიის თვითმოწესეობის აღიარება რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ (1943 წ.).

თანამედროვე ეტაპზე, მართლმადიდებლური რუსეთის ეკლესია და სახელმწიფო ისევ დგანან ურთიერთობის ახალი ფორმების ძიების პრობლემის წინაშე. აღნიშნულზე ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრება არსებობს: *ერთნი* მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის ამერიკული ვარიანტია მისაღები, როდესაც სახელმწიფო უპირატესობას ანიჭებს ყველა კონფესიებთან კავშირს; *მეორე* მოსაზრების მომხრეთათვის მისაღებია მხოლოდ რუსეთის ტრადიციული რელიგიები: მართლმადიდებლობა, იუდაიზმი, ბუდიზმი. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, უპირატესი პოზიცია უკავია მართლმადიდებლობას, როგორც ისტორიულად სახელმწიფოს იდეოლოგიის გამტარებელს და ყველაზე მრავალრიცხოვანი მრევლის პატრონს; *მესამენი* – კატეგორიულად ითხოვენ სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობის დადგინებას.

თანამედროვე მეცნიერთა: ეკლესიის ისტორიკოსთა, კულტუროლოგთა, პოლიტიკოსთა და სხვათა მტკიცებით, საზოგადოების ამგვარ აზრობრივ გახლეჩას თავისი საფუძველი აქვს და იკვეთება ორ ტენდენციაში: 1) სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნაში და 2) სახელმწიფო-ეკლესიის ინსტიტუტის აღდგენაში. ასეთ ურთიერთსაწინააღმდეგო ვითარებაში, არ არის გამორიცხული რუსეთის იმპერიული მიდრეკილებების გამოვლენა, სადაც მნიშვნე-

ლოვან როლს მისი მართლმადიდებლური ეკლესია შეასრულებს, თუნდაც მართლმადიდებლობის თეოკრატიული ტენდენციების გამოვლენით.

ზემოაღნიშნულის დასტურად მოვიაზრებთ 1990-იან წლებში თეოკრატიული იდეის მომხრე სამღვდელოების მიერ ორგანიზაცია – „საყოველთაო რუსული საეკლესიო კრების" დაარსებას, რომლის ფუნქციაც არის შუამავლის როლის შესრულება რუსეთის ეკლესიასა და საზოგადოებას შორის. ორგანიზაციამ თანდათანობით გაიმაგრა ნიადაგი ცენტრსა და პერიფერიებში თავისი სტრუქტურების ამოქმედებით და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ორგანიზაციაში გაერთიანებული სამღვდელოებისაგან განსხვავებული კურსი აიღო მოსკოვის საპატრიარქომ, რაც გამოვლინდა მისი კავშირით მსოფლიო ეკლესიათა საბჭოსთან, თუმცა საპატრიარქო ამავდროულად ცდილობს სახელმწიფო ხელისუფლების იდეოლოგიის გათავისებას და თანამშრომლობას ეწევა სხვადასხვა კონფესიებთანაც.

პარალელურად, „საყოველთაო რუსეთის ეკლესიაში" მიმდინარეობს თეოკრატიული იდეის პროპაგანდითი მუშაობა და გლობალიზაციის პროექტის შედგენის მიმართულებით საქმიანობა. ამ პროექტს თანამედროვე მეცნიერები უწოდებენ „ნეოიმპერიულ-მართლმადიდებლურს", რომელიც თავის თავში სამ ძირითად დებულებას მოიცავს: 1) ძლევამოსილ-მართლმადიდებლურ მესიანიზმს; 2) ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა უნივერსალობის უარყოფას (პიროვნების თავისუფლება – ქ. პ.); 3) „ცივილიზაციის დიალოგში" არბიტრის როლზე რუსეთის პრეტენზიას.

*პირველში* გატარებულია აზრი რუსეთის განსაკუთრებული ისტორიულ მისიაზე მართლმადიდებლობის დაცვაგადარჩენის საქმეში, რომელშიც მართლმადიდებლობა მოიაზრება „თანამედროვე ცივილიზაციის ფუნდამენტად" და კონკრეტულად რუსეთის „სახელმწიფო – იდეად". აღნიშნულის მომხრეებმა გაშალეს ფართო პროპაგანდისტული

მუშაობა რუსეთის ეკლესიის „კანონიკური ტერიტორიული" საზღვრების ფარგლებში ახალი უნივერსალური სახელმწიფოს შექმნის მიმართულებით. ნიშანდობლივია, რომ ამ პროექტში უპირველეს ყოვლისა მოექცა ყოფილი საბჭოთა იმპერიის ფარგლებში მყოფი მართლმადიდებლური ეკლესიები. მათ შორის მოიაზრება ე.წ. აფხაზეთის ეკლესიაც, რომლის რუსეთში ყოფნის კანონიკურობასაც ეს უკანსკნელი მეფის რუსეთის დროიდან ცდილობს დაამტკიცოს.

რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა 2000 წლის აგვისტოში საკმაოდ თავშეკავებული პოზიცია დააფიქსირა მიღებული დოკუმენტით — „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური კონცეფციის ძირითადი საფუძვლები", სადაც დაფიქსირდა რუსეთის ისტორიაში პირველად, რომ „ეკლესიამ არ უნდა აიღოს თავის თავზე სახელმწიფოს ფუნქციები, ხოლო სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს საეკლესიო ცხოვრებაში". ერთი შეხედვით, აღნიშნული დოკუმენტით ეკლესია თავისუფლდება სახელმწიფოზე დაქვემდებარების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისაგან, მაგრამ რეალობა განსხვავებულზე მეტყველებს, რამეთუ ამავე დოკუმენტით რუსეთის ეკლესიამ „ეროვნულობის" სტატუსი აღიარა და კვლავიდებურად სახელმწიფოში ოფიციალური პოლიტიკური კურსის გამტარებლად დარჩა.

„ნეოიმპერიულ-მართლმადიდებლობის" *მეორე* ნაწილში ფიქსირდება გლობალიზაციის პროექტის მიზანი — სამყაროს დაყოფის თეორია ტერიტორიალურ-რელიგიური პრინციპით და მისი გადაჭრის მიზნით დაიწყო თანამოაზრეთა შეძენა საწინააღმდეგო ბანაკში, მაგალითად, რომის ეკლსიასთან დიალოგის დაწყების მცდელობა.

*მესამე* ნაწილი იუწყება, რომ „საყოველთაო სახალხო კრებამ" შეიმუშავა ორი გლობალიზაციის თეორია: პირველი უკვე ისტორიულად გამოცდილი თეზისი, რომელიც ფიქსირდებოდა „ცივი ომის" ხელშეკრულებებში (განსხვავებული სახელმწიფოებრივი წყობის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა, ევროპის გაყოფა „ინტერესთა სფეროს"

პრინციპით სსრკ-სა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის. ამ პრინციპმა შეაჩერა მათ შორის საომარი მოქმედება, მაგრამ სამაგიეროდ, საშუალება მისცა ტოტალიტარული საბჭოთა სახელმწიფოს გაძლიერებას — ქ. პ.). მეორე თეზისია ს. ჰანგთინგტონის ცნობილი ჰიპოთეზა „ცივილიზაციათა შეჯახების" საშიშროებაზე, რომელსაც თეოკრატიკოსებმა პოლიტიკურ-სამართლებრივი შინაარსობრივი დატვირთვა მისცეს. მათი რწმენით „აღმოსავლეთ-ქრისტიანული ცივილიზაცია" აღმოცენდა მართლმადიდებლური რწმენის საფუძველზე და განსხვავებით დასავლეთისაგან, ერთგულია რელიგიური იდეალის" (299).

ამრიგად, რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მოდელზე დღეს ერთიანი პოზიცია არ არსებობს. აღნიშნული ვლინდება იმაში, რომ რუსეთის საეკლესიო კრებული ორ ურთიერთგამომრიცხავ პოლიტიკას ატარებს, ეკლესია ხან სახელმწიფო სამსახურშია, ხანაც მისგან გამიჯვნას ითხოვს. რუსეთის ეკლესიის თანაგრძნობა სახელმწიფოს იმპერიული პრინციპებისადმი ნათლად ჩანს მისი სასულიერო კრებულის უდიდესი და ძლიერი რეაქციული ნაწილის ინტერესებსა და მოქმედების მეთოდებში. რუსეთის სახელმწიფო და მისი ეკლესია კვლავ ერთმანეთისაკენ ილტვიან, ურთიერთდაკმაყოფილებისათვის მეცადინეობენ და პოსტსაბჭოთა ეპოქაში ამ მიმართულებით განხორციელებული მუშაობა აშკარა დასტურია ამისა; არც რესპუბლიკათა და ნაციათა თვითგამორკვევის რთულ პროცესში არ აქვს რუსეთის ეკლესიას ნაკლები დატვირთვა; ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში ის კარგად ჩანს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ირგვლივ განვითარებული მოვლენებით.

# თავი მეოთხე
# რუსული მართლმადიდებლური გლობალიზაცია, კავკასია და საეკლესიო დიპლომატია საერთაშორისო ასპარეზზე (XI-XIX სს.)

რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლებას წარმოშობისთანავე ფართომასშტაბიანი ამბიცია გააჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებისათვის. მისი ინტერესები სამყაროს ხელახალი გადანაწილებისაკენ იყო მიმართული. ქრისტიანული სამყაროს მაჰმადიანური აგრესიისაგან დაცვის დროშით, მსოფლიო არენაზე გამოსულ რუსეთს, მძლავრი იარაღი ესაჭიროებოდა სამყაროზე გაბატონებისათვის და გლობალიზაციის მისეულ პროექტში იმთავითვე სერიოზული დატვირთვა მიენიჭა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას. იმპერიის დამპყრობლურ პოლიტიკაში საეკლესიო დიპლომატიის ჩართვამ, რუსეთის საგარეო პოლიტიკას საეკლესიო მიმართულება მიანიჭა და ერთობ სახასიათო თვისებებიც შესძინა.

რუსული საეკლესიო გლობალიზაცია და დიპლომატია იმთავითვე რამდენიმე მიმართულებით წარიმართა: მახლობელი აღმოსავლეთისაკენ – „წმინდა მიწა", „ათონის წმინდა მთა", აღმოსავლეთ ევროპისაკენ და ა.შ. წინამდებარე თავში კვლევის ძირითადი ობიექტებიც ეს უძველესი ქრისტიანული წმინდა ადგილები და აღნიშნული რეგიონებია.

იერუსალიმს და ზოგადად „წმინდა მიწას", განსაკუთრებულად გამორჩეული ადგილი უკავია ქრისტიანული კაცობრიობის ისტორიაში. მრავალი საუკუნის მანძილზე მსოფლიოს ყველა ხალხები ოდითგან ცდილობდნენ თავიანთი სულიერი და კულტურული წვლილი შეეტანათ „წმინდა მიწი" აღორძინებაში; დაემკვიდრებინათ იქ თავიანთი პოლიტიკურ-კულტურული საფუძველი. ბიზანტიელების,

ქართველების, ევროპის ხალხების, არაბების, სელჩუკების, ჯვაროსნებისა და სხვათა გვერდით, დროთა ვითარებაში „წმინდა მიწაზე“ რუსული მართლმადიდებლური ინტერესებიც გაჩნდა.

ამ უკანასკნელის საფუძველზე მსოფლიო ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა ტერმინი „რუსული პალესტინიანა“, რომელიც მატერიალურად თავის თავში მოიცავს რთულ ინფრასტრუქტურას რუსული ტაძრებით, მონასტრებით, მიწის ნაკვეთებით, მეტოქებით (მონასტრის ეკლესია — ქ. პ.). მათი შექმნა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის დასაწყისამდე მიმდინარეობდა რუსეთის სახელმწიფოს, მისი ეკლესიისა და რუსული მართლმადიდებლური კულტურის დამსახურებით.

რუსეთის იმპერიის საეკლესიო და დიპლომატიური სტრუქტურების დადგინება „წმინდა მიწაზე“ XIX საუკუნის შუა ხანებში განხორციელდა, მაგრამ ამ პროცესს მრავალსაუკუნოვანი წინა ისტორია გააჩნდა, რაც რუსეთ-პალესტინის რელიგიური და სასულიერო კულტურულ ურთიერთობათა დამყარებით და მათი განვითარებით მიმდინარეობდა.

რუსეთის სარწმუნოებრივ-კულტურული მისწრაფებები „წმინდა მიწისადმი“ უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის პოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული და საეკლესიო დიპლომატიური კავშირებით ხორციელდებოდა.

როგორც ცნობილია, რუსეთი მსოფლიო ქრისტიანობის საერთაშორისო ასპარეზზე მოგვიანებით გამოვიდა და, როგორც ქრისტიანულმა ქვეყანამ ახალი მსოფლმხედველობის (ქრისტიანობა — ქ. პ.). სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე (988 წ.) დაიწყო მსოფლიო ასპარეზზე დამკვიდრებისათვის მიზანმიმართული ბრძოლა. ნიშანდობლივია, რომ რუსეთს ამ ბრძოლაში სერიოზული დაბრკოლებებიც ელობებოდა, რაც ვლინდებოდა, როგორც საერო,

ისე სასულიერო სფეროში: რუსეთს უნდა მთლიან ერთეულად შეეკრა ქვეყანა, მოეხდინა მმართველობის სისტემის ფორმირება, შეემუშავებინა სახელმწიფო იდეოლოგია, რაც ბუნებრივია, ეროვნული ტრადიციების — რუსული მენტალიტეტისათვის უნდა ყოფილიყო შესატყვისი. ამგვარი იდეოლოგიის საყრდენად რუსეთის ხელისუფლებამ იმთავითვე ქრისტიანობა შეარჩია, მაგრამ მისი ფორმირების გზა ქვეყნისათვის ისეთივე მტკივნეული და წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოჩნდა, როგორც თავის დროზე სხვა იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც ამგვარი არჩევანი გააკეთეს. ამავდროულად, რუსეთს მსოფლიო ქრისტიანი ქვეყნების გვერდით უნდა დაემკვიდრებინა ღირსეული ადგილი, რაც კიდევ უფრო სერიოზულ სირთულეებს უკავშირდებოდა. ამ უკანასკნელის ძირითადი მიზეზი კი იმ მნიშვნელოვან ფაქტში მოიაზრება, რომელიც რუსეთს გააჩნდა — ეს გახლდათ ის ფაქტი, რომ რუსეთი მანამდე არ ყოფილა სამოციქულო ეკლესია, რის გარეშეც მის ეკლესიას ავტოკეფალურობის პრეტენზიის უფლება არ ჰქონდა. თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფლებას კარგად უწყოდა, რომ ეკლესიის თავისთავადობის მოპოვების გზაზე შექმნილი სირთულეების მიუხედავად, მას უნდა მოეხდინა ჯერ ეროვნული საეკლესიო ორგანიზაციის ფორმირება, მსოფლიო ეკლესიების წინაშე დაემტკიცებინა ქრისტიანობისადმი ერთგულება და თავდადება. ყოველივე ზემოაღნიშნულისათვის კი ქრისტიანობის აკვანი — „წმინდა მთა“ ყველაზე შესაფერისი ადგილი იყო, რამეთუ ყველა ავტორიტეტულ ქრისტიანულ ქვეყანას აქ თავისი სამკვიდრებელი ეკავა. ამ ქვეყნების გვერდით პირველობისათვის ბრძოლაში ამბიციებმოძალებულ რუსეთსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. რუსეთმა X საუკუნის მიწურულიდანვე დაიწყო სამზადისი ამ ბრძოლაში ჩართვისათვის და მთელი საუკუნეების მანძილზე ამ მხრივ ერთ-ერთ აქტიურ და გამორჩეულ ფიგურად ჩამოყალიბდა.

რუსული საისტორიო წყაროების თანახმად, რუსული დიპლომატიის პირველ გამოვლინებად შეიძლება მოვიჩნიოთ რუსული ეკლესიის მამამთავრის, მიტროპოლიტ მიხეილის (სირიელი – წარმომავლობით სირიიდან) პირველი ელჩობა იერუსალიმში, რომელიც მთავარ ვლადიმირის მოთხოვნით შედგა. სამწუხაროდ, დღემდე უცნობია ამ ელჩობის მიზნები და მისით გამოწვეული შედეგები. შემდგომი პერიოდის წყაროები კი იუწყებიან, რომ 1106-1107 წლებში იერუსალიმში გაემგზავრა იღუმენი დანიელი ბერ-მონაზონთა თანხლებით, რომელმაც „რუსეთის ყველა თავადის სახელით" უფლის საფლავზე სანთელი დაანთო. წინამძღვარი დანიელი პირველი რუსი მომლოცველი აღმოჩნდა, რომელმაც აღწერა იერუსალიმში მოგზაურობა, მისი ღირსშესანიშნაობანი და თაობებს დაუტოვა თხზულების სახით – „მიმოსვლა". ამ ნაშრომის მეშვეობით, რუსი საზოგადოება გაეცნო „ღვთიური ცეცხლის გადმოსვლის" ისტორიას. დანიელის მოგზაურობას „წმინდა მთაზე" ერთგვარად დაზვერვითი ხასიათიც ჰქონდა, რაც იმაშიც გამოვლინდა, რომ ამ დროიდან მოყოლებული, პირველ ეტაპზე, რუსეთის მთავრები აქტიურად ცდილობდნენ ინტენსიური მატერიალური დახმარება აღმოეჩინათ იერუსალიმის ძველი ეკლესიებისათვის, პარალელურად, გულმოდგინედ ეცნობოდნენ და ითავისებდნენ სამონასტრო ცხოვრების საღვთისმსახურო, ლიტერატურულ და ასკეტური ყოფის გამოცდილებებს (167).

XVI საუკუნე ღრმად მნიშვნელოვანი გარდატეხის ხანა აღმოჩნდა რუსეთისათვის. ამ დროისათვის, გარეშე დამპყრობთაგან (მონღოლ-თათართა ურდოს ბატონობის რამდენიმესაუკუნოვანი ეპოპეა – ქ.პ.) განთავისუფლებულ რუსეთის ტერიტორიაზე დასრულდა ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობის მოწყობის პროცესი და ამის დასტურად მსოფლიოს გასაგონად რუსეთმა თავი ბიზანტიის მემკვიდრედ გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკ-

ნელზე კრეტენზიას თავის მხრივ, სასოწარკვეთილებაში მყოფმა მართლმადიდებლურმა ქვეყნებმა და მათმა ეკლესიებმაც შეუწყვეს ხელი; სისტემატიური ხასიათი შეიძინა მაჰმადიანური აგრესიისაგან შეწუხებული სასულიერო იერარქების რუსეთის ხელისუფლებისკენ ლტოლვამ დახმარებისათვის. ივანე III-ის, ვასილ III-ისა და ივანე IV-ის (მრისხანე) პერიოდებში რუსეთში აქტიურად მოედინებოდნენ ე.წ. „წმინდა ელჩობები" იერუსალიმიდან, ანტიოქიიდან, ალექსანდრიიდან, სინაიდან, „ათონის წმინდა მთიდან". მართლმადიდებელი ეკლესიების მამამთავრებისაგან რუსეთის ეკლესიამ ჯილდოდ პატრიარქობის ინსტიტუტის დადგინების ნებართვა მიიღო (1589 წ.) ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ ფაქტით მოახდინეს აღმოსავლეთის ეკლესიებმა მართლმადიდებლურ დიპტიხში სერიოზული ცვლილებების შეტანა, როდესაც საქართველოს ეკლესიის კუთვნილი ადგილი რუსულ ეკლესიას დაუთმეს (მე-5 ადგილი) და საქართველოს ეკლესია მე-6 ადგილზე გადაიყვანეს. ნიშანდობლივია, რომ 1619 წელს სრულიად რუსეთის პირველი პატრიარქის ფილარეტის აღსაყდრება თავად იერუსალიმის პატრიარქმა თეოფანემ აღასრულა (394; 112).

XVIII საუკუნემ თავისი რაციონალური ხასიათით დღის წესრიგში დააყენა რუსეთის საეკლესიო — პოლიტიკური კავშირების განსაკუთრებულად გაღრმავება-გაძლიერების საკითხი. თანამედროვე რუს საზოგადოებაში მუსირებდა აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს პეტრე I უფლის საფლავის რუსეთში „გადმოტანასაც" კი აპირებდა. რუსეთის პირველი იმპერატორის განსაკუთრებული დაინტერესება პალესტინით ნათლად გამოჩნდა უწმინდეს სინოდში ფიქსირებული ე.წ. „ცალკე ხაზით", ანუ პალესტინური შტატებით. ამ პერიოდში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომები ოსმალეთს აიძულებდა ეღიარებინა რუსეთის უფლებები, რომ ის გარანტი იქნებოდა ოსმალეთის იმპერიის მართლ-

მადიდებელი მოსახლეობის მშვიდობიანი არსებობისა. ქუჩუკ-კაინარჯის სამშვიდობო ზავის (1774 წ.) მე-7 პუნქტში დაფიქსირებულია — „ ბრწყინვალე პორტა მტკიცე გარანტს იძლევა, ქრისტიანული წესებისა და მისი ეკლესიების დაცვისა", ხოლო მე-8 პუნქტის თანახმად „ რუსეთის იმპერიის სასულიერო და საერო ფენას თავისუფალი უფლება აქვს მოილოცონ იერუსალიმი და სხვა „წმინდა ადგილები". სწორედ ასეთი დადგენილებების საშუალებით აღდგა ნახევრად მივიწყებული პილიგრიმთა სამარშრუტო გზები (394).

მახლობელ აღმოსავლეთს განსაკუთრებული ადგილი ეკავა იმპერატორ ეკატერინე II-ის საგარეო პოლიტიკურ გეგმებში. ფაქტობრივად, ის პეტრე დიდის აღნიშნული პოლიტიკური კურსის გამგრძელებლად გვევლინება. რუსეთის იმპერიის მთავარ „მისიად" ქრისტიანული აღმოსავლეთის მაჰმადიანთაგან განთავისუფლება გახდა, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლაში რუსეთმა პირველ ეტაპზე მოიპოვა თავისუფალი პილიგრიმული მიმოსვლის უფლება „წმინდა მიწაზე" (1774 წლის ხელშეკრულების მე-7 და მე-8 მუხლები), ხოლო შემდგომი ეტაპისათვის კი ის მთელი საუკუნენახევარი იღწვოდა იქ მძლავრად დადგინებისათვის. რუსეთის ამ მიმართულებითი ამბიციების შესანიშნავი დასტურია რუსეთის ფელდმარშალ ბ.კ. მინიხის მიმართვა და სურვილი უფლისწულ პავლესადმი (შემდგომში იმპერატორი პავლე I) — „ გისურვებთ, რომ, როდესაც შეიქნებით 17 წლის მოგილოცოთ თქვენ რუსეთის ჯარების გენერალისიმუსობა და კონსტანტინოპოლის წმინდა სოფიის ტაძარში სამადლობელი ლოცვის ჩატარება ეს იყო დიდი პეტრეს ოცნება 1695 წელს, როდესაც აზოვზე გაილაშქრა, რათა დაეპყრო კონსტანტინოპოლი, გაეძევებინა იქიდან თურქები და თათრები და მათ ადგილზე აღედგინა ქრისტიანულ-ბერძნული იმპერია" (109).

რუსულ ისტორიოგრაფიაში საეკლესიო დიპლომატიის ალმავლობა ეკატერინე II-ის მოღვაწეობას უკავშირდება. სწორედ მისი ძალისხმევით მოხდა ე.წ. „ბერძნული პროექტის“ ფორმირება და მისთვის დიპლომატიური ხასიათის მინიჭება. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს პროექტი განიხილება, როგორც ეკატერინეს ბალკანური პოლიტიკის ჩარჩო-საბურველი. ეს პროექტი ფაქტობრივად შედგა პეტრე I-ის მიზნების სისრულეში მოყვანის მიზნით. აღნიშნულზე მეტყველებს ეკატერინე II-ის მმართველობის ეპოქის დოკუმენტაცია, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული თურქეთის საბერძნეთიდან აბსოლუტური გამოდევნისა და ძველი ბერძნული იმპერიის აღდგენის მცდელობის საკითხი. აღნიშნულზე მეტყველებს ეკატერინე II-ის წერილი ავსტრიის იმპერატორის იოსებ II-დმი (1782 წ. 10 IX). ავსტრიის იმპერატორის საპასუხო წერილებში, რომლებიც თარიღდება 1782 წლის 13.XI-ით და 1783 წლის 13.I-ით ვლინდება ავსტრიის გეოპოლიტიკური ინტერესები და ის შესაძლებელი პოლიტიკური სირთულეები, რომლებიც ამ ინტერესებს მოჰყვებოდა. ეკატერინე II-ის „ბერძნული პროექტი“, შესანიშნავი გამოვლინება იყო ბიზანტიური მემკვიდრეობის პრეტენზიისა და ის XVII საუკუნის შესატყვისად მჟღავნდებოდა. რუსეთის ხელისუფლება არა „ბერძნულ“ (ანუ ელადის) ეკლესიის მოთავედ აცხადებდა თავს, არამედ მისთვის „ბერძნული“ ეკლესია და ბერძნული მართლმადიდებლობა ზოგადად მართლმადიდებლობის სინონიმს წარმოადგენდა და ამით აღმოსავლეთ სამყაროს სრულუფლებიანი ბატონობის პრეტენზიას აცხადებდა. აღნიშნულზე მეტყველებს ეკატერინე II-ის 1771 წლის 3 მარტის წერილი ვოლტერისადმი — „როგორც კეთილი კათოლიკე, თქვენს თანამორწმუნეთ ეტყვით, რომ ეკატერინე II-ის დროის ბერძნულ ეკლესიას არ სურს ვნება მიაყენოს ლათინურ ეკლესიას და არც სხვა რომელიმე ქრისტიანულ

ეკლესიას, ბერძნული ეკლესია მხოლოდ თავს იცავს" – იუწყებოდა ეკატერინე II (109; 395).

ამრიგად, XVIII საუკუნის მიწურულისათვის რუსეთის იმპერიის კულუარებში ჩამოყალიბდა მართლმადიდებლური აღმოსავლეთისადმი მიმართული რუსული საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია, რომლის მიხედვითაც რუსული საიმპერატორო ძალაუფლების ხაზი გადიოდა შემდეგი მიმართულებით – „პეტერბურგი – კონსტანტინოპოლი – იერუსალიმი". აღნიშნულით იყო განპირობებული, რომ რუსეთის ხელისუფლების დიპლომატიური წარმომადგენლობები მახლობელ აღმოსავლეთში (1785 წელს ბეირუთში დაარსებული რუსული საკონსულო) ერთობ მომრავლდნენ.

ეკატერინე II-ის საეკლესიო კურსი საზღვარგარეთ, მემკვიდრეობით აითვისა ალექსანდრე I-მა. მან კიდევ უფრო დაუახლოვა საერთაშორისო პოლიტიკა რუსულ საეკლესიო საკითხს და ქრისტიანობის დაცვის ეგიდით გაერთიანებულმა: რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ სიმბოლურად ჯვართამაღლების დღეს შეკრეს კავშირი, რომელიც „საღვთო კავშირის" სახელით არის ცნობილი. ქრისტიან მოკავშირეთა ინტერესები სამყაროს ცენტრში – იერუსალიმში, უფლის საფლავთან „გადაეჭდო" ერთმანეთს.

ალექსანდრე I-ის მახლობელ აღმოსავლეთში დაწყებული პოლიტიკა, რომ „ბერძნული პროექტის" ნაწილია, თუნდაც იმ ფაქტიდან ვლინდება, რომ რუსეთის მონარქმა ერთდროულად გააგზავნა (1819 წ.) წარმომადგენლობა მახლობელ აღმოსავლეთში (დ.მ დაშკოვი) და კონსტანტინოპოლში. შენიღბული ფორმით წარგზავნილ ელჩობებსევალებოდათ შეეგროვებინათ მიმდინარე პროცესების ირკვლივ ცნობები. ცნობილია, რომ დ.მ. დაშკოვს იერუსალიმში მოგზაურობისას მომლოცველის სტატუსით თან ახლდა საიმპერატორო კარის მხატვარი ა.ვ. ვორობიოვი.

მას დავალებული ჰქონდა საიდუმლოდ შეექმნა იერუსალიმის ამაღლების ტაძრის გეგმა-პროექტი (213).

ამრიგად, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას და მის დიპლომატიას ხანგრძლივი ისტორია და სირთულეებით აღსავსე ეტაპები გააჩნია. რუსეთის იმპერიისათვის საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებას უშუალოდ უკავშირდებოდა ქრისტიანობის წმინდა ადგილზე მისი ფეხის მოკიდება.

როგორც რუსეთის ისტორიოგრაფია იუწყება, XVIII საუკუნის მიწურულისათვის რუსეთის იმპერია მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა, რაც ვლინდებოდა მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური სიძლიერით. სწორედ ამ ეპოქაში, უნდა დასრულებულიყო რუსეთის მსოფლიოზე ბატონობის ამბიცია და საერთაშორისო ასპარეზზე მისი ინტერესები უცილობლივ გატარებულიყო.

ზემოაღნიშნულის განხორციელებისათვის აუცილებელი იყო თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნებისათვის ალღოს აღება, რაც ფაქტობრივად იმპერატორმა ალექსანდრე I-მა შეძლო, რომლის ძალისხმევით გატარებული სახელმწიფო ცხოვრების შიდა რეფორმები თითქმის ყველა სფეროს შეეხო.

XIX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთის იმპერია საერთაშორისო ასპარეზზე უკვე ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. რუსეთს გააჩნდა ძლიერი სამხედრო უწყება, კარგად ორგანიზებული დიპლომატიური ინსტიტუტი, რაც ბუნებრივია, მას ყველა პირობას უქმნიდა თავისი ინტერესების რეალიზება მოეხდინა. ამ დროისათვის, რუსეთის ხელისუფლებას მსოფლიოს ყველა ძლევამოსილი ქვეყნის მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობები აკავშირებდა, მაგრამ ამ ინსტიტუტის სრულყოფილებისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი. თუ XIX საუკუნის პირველსავე წლებში იმპერიაში დაარსდა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა, საგარეო საქმეთა

კოლეგია, მუდმივი და ფარული კომიტეტები, რიგ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების სრულყოფისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა დიპლომატიური წარმომადგენლობის სამსახურები, რაც ბუნებრივია, სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა იმპერიას კოლონიზატორული მისწრაფებების განხორციელებაში.

XIX საუკუნის დასაწყისში „აღმოსავლეთის საკითხი“ მსოფლიოს არა ერთი ძლიერი სახელმწიფოს პრობლემად იქცა. მან გარკვეულწილად დიდი როლი შეასრულა რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაშიც. „აღმოსავლეთის საკითხით“ დაინტერესება, მისი ათვისების მოსურნე პრეტენდენტ ქვეყანათა ურთიერთობებში სერიოზულ ცვლილებებს, ხშირად კომპრომისებს და დაპირისპირებასაც იწვევდა. აღნიშნულმა აშკარა სახე მიიღო ბალკანეთისა და შორეული აღმოსავლეთის ათვისების დროს. რუსეთის იმპერია ერთის მხრივ, ეჯახებოდა მსოფლიოში გაბატონების მოსურნე ევროპის ძლიერ ქვეყნებს და მეორეს მხრივ, თურქეთის ოდესღაც ძლევამოსილ სახელმწიფოს, რომლის პოლიტიკურმა დასუსტებამ ევროპის ბევრ ქვეყანას აღუძრა სურვილი აღმოსავლეთში გაბატონებისათვის. ამ დროიდან, თურქეთის ყოფილი კოლონიების გადანაწილებისათვის ბრძოლამ განვითარების მწვერვალს მიაღწია. რუსეთის იმპერიაც ყველანაირ გზებს ეძიებდა არ ჩამორჩენოდა ევროპის ქვეყნებს მტაცებლურ მისწრაფებებში.

აღმოსავლეთის მიწების ათვისებისათვის ბრძოლაში მონაწილე ქვეყნები იმთავითვე უდიდეს როლს რელიგიურ ფაქტორს ანიჭებდნენ. შუასაუკუნეებიდან მოყოლებული („ჯვაროსნული ლაშქრობები“ — ქ.პ.) შორეული აღმოსავლეთისაკენ მიმართული სამხედრო, თუ სასულიერო (საეკლესიო ორდენები, მისიონერები — ქ.პ.) მისიები თავდაუზოგავად იღწვოდნენ „წმინდა მიწაზე“ თავიანთი იდეოლოგიის დადგინებისა და სამხედრო გამარჯვებისათვის. XVIII საუ-

კუნის მიწურულიდან ამ მიმართულებით მოღვაწეობაში რუსეთის იმპერიაც ჩაერთო და საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „რუსულ პალესტინას", რომელიც ხორციელდებოდა რუსეთის საეკლესიო და სახელმწიფო დიპლომატიური სტრუქტურების ერთობლივი საქმიანობით აღმოსავლეთში ფეხის მოკიდებისათვის. ფაქტობრივად, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნიდან სახეზე იყო რუსული საეკლესიო დიპლომატიური ინსტიტუტები, რომლის სრულყოფილი გამოვლინება პირველად იერუსალიმის მიწაზე განხორციელდა და, რომელიც, როგორც აღინიშნა, იმპერატორ ეკატერინე II-ის მოღვაწეობას უკავშირდება.

XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედიდან, იერუსალიმში საეკლესიო დიპლომატიურ საქმიანობას კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების წარმომადგენლები უძღვებოდნენ. დასავლეთ ევროპის აქტიური ლტოლვა „წმინდა მიწისაკენ" რუსეთის ხელისუფლების უკიდურეს აგრესიას იწვევდა.

იმპერიის ხელისუფლებას შორეულ აღმოსავლეთზე პრეტენდენტ ძალებთან შეფარვითი პოლიტიკის წარმოება და „კეთილმეგობრული კავშირების" დამყარებაც ესაჭიროებოდა, რისთვისაც ნიადაგის შემზადების უნარი იერუსალიმში რუსული დიპლომატიური წარმოამდგენლობის კორპუსს შესწევდა. მას ევალებოდა რუსეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესების დაცვა-გატარება შორეულ აღმოსავლეთში. ვიცე-კონსული მოვალე იყო განსაკუთრებული ავტორიტეტი მოეპოვებინა ევროპის სახელმწიფოთა (ინგლისი, საფრანგეთი) დიპლომატიურ წარმომადგენლობას შორის. ასევე, სამხედრო და სავაჭრო-კომერციული ცნობები შეეგროვებინა მათი საქმიანობის ირგვლივ „წმინდა მიწაზე".

XIX საუკუნის 20-იან წლების მიწურულს, რუსეთი კვლავინდებურად ინარჩუნებდა წამყვან ადგილს ევროპის

პოლიტიკურ ცხოვრებაში. ევროპაში მიმდინარე რევოლუციურმა ტალღამ რუსეთს ხელსაყრელი გარემოება შეუქმნა შორეულ აღმოსავლეთში პოზიციების მოპოვებისათვის ბრძოლაში. პარალელურად, ბალკანეთზე ინტერესებმა კვლავ გაამწვავა დამოკიდებულება რუსეთსა და თურქეთს შორის. რუსეთი დამოუკიდებლად ცდილობდა ამ პრობლემათა მოგვარებას და ურთულეს ვითარებაში ახერხებდა იმპერიის ინტერესების დაცვას. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი რუსეთმა 1820 წელს გადადგა, როდესაც მახლობელ აღმოსავლეთში, ქ. იაფაში გახსნა ვიცე-საკონსულო.

აღმოსავლეთის საკითხის წარმატებით გადაჭრისათვის რუსეთს ძლიერი მოკავშირე ესაჭიროებოდა. იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა აქცენტი ინგლისზე გააკეთა, საგარეო საქმეთა მინისტრის კ. ნესელროდეს[1] ინფორმაციის საფუძველზე, რაც რუსეთის იმპერიის სერიოზულ შეცდომად უნდა დასახელდეს. ნესელროდეს პროექტის თანახმად, 1839 წლის 30 დეკემბერს ნიკოლოზ I-მა დაამტკიცა მისი მოხსენება, სადაც დასაბუთებული იყო პირველი საკონსუ-

---

[1] ნესელროდე კ. ვ. (1780 წ. 2. XII – 1862 წ. 11. III) – გრაფი, დაიბადა ლისაბონში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1816-1856 წლებში. დიპლომატიური საქმიანობა დაიწყო 1801 წლიდან, მონაწილე იყო ვენის (1914-1815 წწ.), ახენის, ტროპაუ-ლაიბახის და ვერონის (1818-1822 წწ) კონფერენციების. 1816 წლიდან ხელმძღვანელობდა უცხოეთის საქმეთა კოლეგიას; 1821 წელს იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი; 1828 წელს ვიცე-კანცლერი; 1845 წ. კანცლერი. ნესელროდე იყო ავსტრო-პრუსიის ორიენტაციის მომხრე და ინგლისთან და საფრანგეთთან რუსეთის დაახლოების მხარდამჭერი. მან ვერ შეაფასა სწორად ავსტრო-რუსული ურთიერთობა და გააღრმავა ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირების შეფასება; ასევე, ვერ შეაფასა ინგლისისა და საფრანგეთის წამქეზებლური პოლიტიკა რუსეთისა თურქეთის წინააღმდეგ. ყოველივეს შედეგად, ყირიმის ომის წინ (1853-1856 წწ.) რუსეთი იზოლაციაში აღმოჩნდა. ომში რუსეთის მარცხმა გამოავლინა რუსული დიპლომატიის სისუსტე და უნიათობა. პარიზის ზავის (1856 წ.) შემდეგ, ნესელროდე თანამდებობიდან გადააყენეს.

ლოს ქ. იაფადან ბეირუთში გადატანის აუცილებლობა. ნესელროდეს მოხსენებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული ბეირუთში კათოლიკური მისიების გააქტიურება. ეს უკანასკნელნი ძლიერი იდეოლოგიურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერით სარგებლობდნენ ევროპის ქვეყნებიდან და ფაქტობრივად, აღმოსავლეთში ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ აგენტებს წარმოადგენდნენ. პროექტის ავტორი ბეირუთის „გადარჩენის"გზად იქ რუსული დიპლომატიური უჯრედის გახსნას მოიაზრებდა.

ბეირუთის პირველ კონსულად დადგინდა კ. მ. ბაზილი,[1] რომელმაც იმპერატორის წინაშე ქვეყნის ერთგულების ბის ფიცი 1841 წლის 20 აპრილს დადო იერუსალიმში. პარალელურად, ქ. იაფაში შენარჩუნებულ იქნა ვიცეკონსულის თანამდებობა.

ბეირუთის გენერალ-კონსულის კ. ბაზილის მოღვაწეობის პერიოდში გამოიკვეთა „რუსეთის სასულიერო მისიის" ამოქმედების საკითხი იერუსალიმში, რაც გამოვლინდა არქიმანდრიტ პორფირის (უსპენსკი) გამგზავრებით „წმინდა მიწაზე" (1843 წ.). ამის შემდგომ, რუსული ეკლესიისა და სახელმწიფო დიპლომატიის ერთობლივი მოღვაწეობით 1847 წელს იერუსალიმში დაარსდა ორგანიზაცია – „რუსული სასულიერო მისია იერუსალიმში" (394).

ყირიმის ომის დასრულებისთანავე, რუსეთის ხელისუფლებამ სერიოზული ნაბიჯები გადადგა აღმოსავლეთში იმპერიული გავლენის გასაძლიერებლად; განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სავაჭრო ურთიერთობების გაღრმა-

---

[1] ბაზილი კ. მ. (1809 წ. 13. II – 1884 წ. 10. II) – რუსი დიპლომატი, მწერალი ისტორიკოსი; დაიბადა სტამბულში; წარმომავლობით ბერძენი; განათლება მიიღო ნეჟინსკის უმაღლეს მეცნიერებათა გიმნაზიაში 1822-1827 წლებში; დაამთავრა ოდესის ლიცეუმი 1827-1830 წლებში. 1839-1843 წლებში იყო კონსული, ხოლო 1843-1853 წლებში კი გენერალ-კონსულია სირიასა და პალესტინაში.

ვების მიმართულებით. ამ მიზნით, 1856 წელს დაარსდება „რუსული ნაოსნობა — ვაჭრობის საზოგადოება", რომლის ფუნქცია იყო ოდესა — იაფას შორის რეგულარული რეისების განხორციელება, პალესტინაში მოგზაურ მომლოცველთა მგზავრობით უზრუნველყოფა. ამგვარი ღონისძიება რუსი მოქალაქეების მიგრაციას უწყობდა ხელს „წმინდა მიწაზე". ისინი წლების მანძილზე ცხოვრობდნენ იერუსალიმში; მათი დიდი ნაწილი იქ რჩებოდა და სასულიერო ცხოვრებას იწყებდა. თანდათანობით საფუძველი ჩაეყარა რუსულ სათვისტომოებს „წმინდა მიწაზე". რუსულმა მიგრაციამ გამოიწვია „რუსული სასულიერო მისიის" აღორძინება, რომელიც ყირიმის ომით იყო დაბრკოლებული. პარალელურად, 1858 წელს იერუსალიმში დაარსდა რუსული საკონსულო, რაც აღმოსავლეთში რუსული დიპლომატიის უდიდესი გამარჯვების მომასწავებელი იყო. 1858 წლის 14 დეკემბერს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ იერუსალიმის საკონსულოს ამოქმედების ბრძანებულებას რეზოლუცია დაადო.

1858 წელს გაიხსნა ვიცე-საკონსულო ჰაიფაშიც.

იერუსალიმის საკონსულოს რთული ამოცანები დაუსახა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ. სხვა მრავალ საკითხთან ერთად, საკონსულოს დაევალა რუსული საეკლესიო ინტერესების დარეგულირება „წმინდა მიწაზე". აღნიშნულის განხორციელება კი შესაძლებელი იყო კეთილმეგობრული ურთიერთობების დამყარებით იერუსალიმში მოქმედ კათოლიკურ, პროტესტანტულ სასულიერო მისიებთან, სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიასთან.

იერუსალიმის საკონსულოს, მთელი XIX საუკუნის მანძილზე ურთულესი პრობლემების გადაწყვეტა მოუწია. საკონსულოს თანამშრომლები აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ „წმინდა მიწაზე" მცხოვრებ რუს მოქალაქეთა შორის; უძღვებოდნენ იერუსალიმში სადაო ადგილების გარიგების საქ-

მეებს; არეგულირებდნენ სისტემატიურ დაპირისპირებებს რუს, ბერძენ, პროტესტანტ და კათოლიკე ბერებს შორის მიწის ნაკვეთების მფლობელობაზე. ეს უკანასკნელი უმძიმეს გარემოებას უქმნიდა იერუსალიმის საკონსულოს მუშაობას (394).

ამრიგად, მთელი XIX საუკუნის მანძილზე რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკა გეოპოლიტიკური მისწრაფულობით განისაზღვრებოდა და იმპერიის საზღვრების გაფართოებას ემსახურებოდა. ევროპული პოლიტიკის გვერდით, XIX საუკუნის მეორე მეოთხედიდან საგარეო პოლიტიკაში რუსეთის ხელისუფლებამ კიდევ უფრო გამოკვეთა მახლობელი აღმოსავლეთისადმი განსაკუთრებული ინტერესი. აღნიშნული განპირობებული იყო ევროპის ქვეყნების ამ რეგიონით უკიდურესი დაინტერესებით, რასაც მოჰყვა XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან შორეულ აღმოსავლეთში რუსული სპეციალური დანიშნულების სამსახურების გააქტიურება. გააქტიურებული პოლიტიკის ინიციატორებად გამოდიან ე.წ. „მარმარილოს სასახლის" წარმომადგენლები: რუსეთის დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, ა. მოლოვინი, დ. ობოლენსკი და ბ. მანსუროვი.

1858 წლიდან იმპერატორის ბრძანებულების საფუძველზე დაიწყო მთელს იმპერიაში შემოწირულობების აკრეფა „წმინდა მიწაზე" რუსი მომლოცველების დახმარებისათვის. საამისოდ, პალესტინაში ხელისუფლებამ მიავლინა ბ. მანსუროვი, რომელმაც პეტერბურგში დაბრუნების შემდგომ სენატში მუშაობის ანგარიში წარადგინა.

1859 წლის 23 მარტს სენატის სხდომაზე განიხილეს ბ. მანსუროვის მოხსენება პალესტინაში საგანგებო კომიტეტის შექმნის შესახებ სახელწოდებით — „პალესტინის კომიტეტი". გადაწყვეტილების მიღების შემდგომ კომიტეტის წევრებად დადგინდნენ — უწმინდესი სინოდის ობერ-

პროკურორი, სახელმწიფო მდივანი თავადი ობოლენსკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიური დეპარტამენტის დირექტორი გენერალ-მაიორი კოვალენსკი; ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრი ს. ნაბოლრინი და რუსეთის ვაჭრობის საზოგადოების დირექტორი ს. ნოვოსელსკი.

„პალესტინის კომიტეტის" უპირველესი ამოცანა იყო იერუსალიმისა და პალესტინის რეგიონში მიწის ნაკვეთების შეძენა, ნაგებობების მშენებლობა, რუსეთის პილიგრიმთათვის ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნა და ა.შ. საამისოდ, სახელმწიფო ხაზიდან გამოყოფილ იქნა 500.000 რუბლი.

მიუხედავად „კომიტეტის" მუშაობაში არსებული ხარვეზებისა, მან მაინც მეტ-ნაკლებად აღასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები და 1859-1864 წლების მანძილზე შემდეგი სახის სამუშაოები ჩაატარა: დასრულდა რუსული პალესტინის მთავარი ტაძრის (სამების სახელობის) გარე ფასადი, რუსული სასულიერო მისიის სასახლე-რეზიდენცია (ორსართულიანი ნაგებობა), წმ. ელისაბედის სახელობის მამათა და ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტრები, საკონსულო სასახლე და საავადმყოფო, ალექსანდრეს სახელობის მონასტერი, ჩატარდა სამეცნიერო-არქეოლოგიური გათხრები; იმპერიამ შეიძინა სამონასტრო მშენებლობისათვის ნაკვეთები ნაზარეთსა და ჰაიფაში და ა.შ.

რუსეთის იმპერიის მთავრობა მიზანმიმართულად ილწვოდა მოქალაქეთა მიგრაციისათვის „წმინდა მიწაზე" და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ნაირგვარ ღონისძიებებს სახავდა. XIX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულისათვის „პალესტინის კომიტეტმა" თავისი შესაძლებლობანი ამოწურა, ხელისუფლების წინაშე დადგა ახალი, უფრო მძლავრი და ორგანიზებული ინსტიტუტის დაარსება, რაც განამტკიცებდა რუსული ელემენტის მომ-

ძლავრებას აღმოსავლეთში და რუსეთის გაბატონებას „წმინდა მიწაზე“. ამგვარ ინსტიტუტად კი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა „საიმპერატორო მართლმადიდებელი პალესტინის საზოგადოება“, რომელიც თავის თავში „წმინდა მიწის“ არა მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკურ, არამედ კულტურულ ათვისებასაც მოიცავდა.

ათონი, როგორც ბერ-მონაზვნური სამყარო VI-VII საუკუნიდან უნდა არსებობდეს, რომლის წარმოშობა უკავშირდება მაჰმადიანთა მიერ ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის დაპყრობასთან და ამ ქვეყნებში ქრისტიანობის მონოფიზიტური განხეთქილების დაბადება-გავრცელებასთან. აღმოსავლეთის დაკარგვის შემდეგ, მართლმადიდებლური მონაზვნობის ცენტრმა ათონზე გადაინაცვლა. უკვე IX საუკუნიდან ათონზე გაჩნდა მონაზვნური საცხოვრისის პირველი ელემენტი, ხოლო X საუკუნის მიწურულიდან „წმინდა მთის“ პირველი საერთო სტატუსი ე.წ. „ტრაგოსი“ („თხა“) რადგან მისი ტიპიკონი დაიწერა თხის ტყავისაგან დამზადებულ პერგამენტზე. „ტრაგოსს“ ხელი მოაწერეს ათონის მთის პირველმა ბერმა წმინდა ათანასემ და ბიზანტიის იმპერატორმა იოანე ციმიხმა. X-XI საუკუნეებში ათონი უკვე კარგად ორგანიზებული ადგილია, სადაც მოქმედებდნენ სხვადასხვა ეთნოსის მონაზვნებით დაკომპლექტებული მონასტრები.

რუსებით ათონის მთით პირველი დაინტერესება გამოწვეული იყო სლავურ მიწებთან მისი გეოგრაფიული სიახლოვით. საამისო პირველ ისტორიულ საბუთად მიჩნეულია რუსული სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებლის ანტონ პეჩორელის ათონზე ორგზის მოგზაურობის ჩანაწერები (1051 წ.) (116, 197). მართალია, ამ დროიდან არ

დაიწყო რუსი ბერების მასიური ჩასახლება ათონზე, მაგრამ რუსეთში ფაქტობრივად დაწყებული იყო საგანგებო სამზადისი რუსული სასულიერო უჯრედის დადგინებისათვის „წმინდა მთაზე“.

ათონის რუსულენოვან წერილობით აქტებში პირველად არის მოხსენიებული ღვთისმშობლის სახელობის სავანე — „კლისურგუ“ („ხე — ცხოვრებისა“, რომელიც, სახელდება რუსი ბერების ცენტრად (XII ს.) (221,7).

XII საუკუნის მიწურულიდან „კლისურგუს“ სავანიდან რუსმა ბერებმა გადაინაცვლეს ახალ, შედარებით ფართო წმინდა პანტელეიმონის მონასტერში („რუსიკი“). ეს უკანასკნელი „თესალონიკის მონასტრის“ სახელით იყო ცნობილი. „რუსიკის“ აქტები იუწყებიან „თესალონიკის მონასტრის“ სავალალო მდგომარეობას და ბერძენი ბერების ღრმა რწმენას, რომ სწორედ რუსების მოღვაწეობით მოხდებოდა მისი აღორძინება. რუსი ბერებისათვის თესალონიკის მონასტრის გადაცემის ბრძანებას ხელს აწერდნენ საეროთაგან ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნენოსი და სასულიეროთაგან: წმ. ათანასეს ლავრის იღუმენი თეოდოსი, „ივირონის“ არქიმანდრიტი მიხეილი (მისი ხელმოწერა შესრულებულია ქართულ ენაზე, რაც ბადებს აზრს, რომ ის ქართველი უნდა ყოფილიყო. მისი ვინაობა დღემდე დაუდგენელია — ქ.პ.), ვათოპედის სავანის ბერი ეგნატე, ამალთიის წმ. მარიამის მონასტრის იღუმენი (სახელი ვერ იკითხება — ქ.პ.), კარაკალის სავანის ბერი მიტროფანე, (1081 წ.). წმ. პანტელეიმონის მონასტერში გადასულ რუს ბერებს თხოვნით მიუმართავთ ათონელი მამებისათვის მათთვის დაეტოვებინათ ძველი სავანეც: „აქ ჩვენ აღვიკვეცენით ბერებად, ბევრიც ვილვაწეთ, ვიბრძოლეთ მისი შენარჩუნებისათვის, მოწყობისათვის აქ განისვენებენ ჩვენი თანამემამულე მამებიც ...“ — აღნიშნავდნენ კლისურ-

გუელი რუსი მონაზვნები (221,95; 183; 132; 159; 206; 279; 200; 213).

რუსული სასულიერო საცხოვრისის დაარსების მიზეზი საქრისტიანო მონაზვნობის მსოფლიო ერთ-ერთ ცენტრში — ათონის წმინდა მთაზე საძიებელია ერთის მხრივ, რუსული სახელმწიფოებრიობის ფორმირებაში, მისი ერთიანი ეკლესიის ჩამოყალიბებაში და, რაც მთავარია, რუსეთის საგარეო პოლიტიკის დარეგულირებაში, რუსეთის საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებასა და მსოფლიო გლობალიზაციის ჰეგემონობის ამბიციაში.

რუსეთის ფენომენის ათონის მთაზე დამკვიდრების გზა რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო. მან საინტერესო ევოლუციური გზა განვლო — დაწყებული ე.წ. მთიანი „რუსიკით“, იგივე თესალონიკის მონასტრით, გაგრძელებული „კლისურგუს“ ფორმირებით და დასრულებული წმ. პანტელეიმონის მონასტრის დადგინებით. პირველი ორის შერწყმამ, ათონზე დაამკვიდრა რუსული სასულიერო ცენტრი — წმ. პანტელეიმონის სამონასტრო კომპლექსი. მონასტრის ფუნქცია არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საგანმანათლებლო-მართლმადიდებლური მიმართულებით, არამედ მას მძლავრი საერთაშორისო პოლიტიკური მისიაც ჰქონდა დაკისრებული. რუსეთის სახელმწიფო ათონის „წმინდა მთიდან“ უძღვებოდა აღმოსავლური პოლიტიკის განხორციელების საქმეს და მსოფლიოს გადანაწილებაში მნიშვნელოვანწილად აქტიურობდა. ამ მისიის აღსრულებისათვის რუსეთის ხელისუფლება არაფერს ერიდებოდა. ის ყველა მანქანებით და სხვადასხვა მეთოდებით მეცადინეობდა თავის მიზნებში ჩაერთო ყველა ის სახელმწიფო და მისი ეკლესია, რომელიც კი იმპერიასთან რაიმე შეხებით სარგებლობდა. ასეთთა რიცხვში იყო საქართველოც, რომლის კულტურულ-სარწმუნოებრივი ცენტრები მსოფლიო საქრისტიანოს წმინდა ადგილებში მრავალი საუკუნეების დაარ-

სებული იყო (ათონის წმინდა მთის ქართული სავანე — „ივირონი" — ქ.პ.).

მსოფლიო ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ ათონის ქართული „ივირონის" საკითხი მრავალი საუკუნის მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მძლავრ იმპერიათა პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ინტერესებთან. თუ შუა საუკუნეებში ათონის „ივირონის" ისტორია ბიზანტიის იმპერიასთან კავშირში მოიაზრება, XIX საუკუნიდან ის რუსეთის ხელისუფლების ინტერესებში ექცევა. ორივე იმპერიასთან საბერძნეთში არსებული ქართული სულიერი სავანის კავშირები მხოლოდ საერთო სარწმუნოებით არ იყო განპირობებული, არამედ ღრმა პოლიტიკური მიზნებით გაჯერებული (99).

XIX საუკუნიდან ბერძნული და რუსული სარწმუნოებრივი ინტერესები ერთმანეთს გადაეჭდო, რომელიც პოლიტიკურ ინტერესთა ფონზე გაიშალა და ამ ინტერესთა სფეროში ათონის „ივირონიც" მოექცა. ქართული კულტურის კერამ რუსეთის ყურადღება მიიპყრო და აქედან გამომდინარე, განსხვავებული დატვირთვა შეიძინა როგორც რუსეთის, ისე საბერძნეთისათვის. თუ საბერძნეთისათვის ათონზე „ივირონის" არსებობა რუსეთის იმპერიის წმინდა მთაზე გაბატონებას ნიშნავდა და, ამიტომ ის ზედმეტი ელემენტი შეიქმნა ათონზე, თვითმპყრობელური რუსეთისათვის „ივირონს" საზღვარგარეთ რუსული იმპერიული ინტერესები უნდა დაეცვა, მისი ეკონომიკური სარგებლიანობის ბერკეტი უნდა ყოფილიყო და, რაც მთავარია, რუსული პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაციის გამტარებელი გამხდარიყო ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და ზოგადად აღმოსავლეთ ევროპაში.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად, საქართველოს ეკლესია ეროვნული თვითმყოფადობის განად-

გურების საფრთხის წინაშე დადგა — გაუქმდა მისი ავტოკეფალია და იდევნებოდა ქართული მართლმადიდებლობა. კიდევ უფრო მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ უცხოეთში არსებული ქართული კულტურისა და სარწმუნოების კერები. გვიან შუასაუკუნეებში საქართველოში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების შედეგად, ხელისუფლების ყურადღების მიღმა დარჩენილ უცხოეთში არსებულ სავანეებს გარეშე ელემენტი მოემძლავრა. ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდა „ივირონი", სადაც ბერძენი სამღვდელოება მძლავრობდა, ხოლო ამ უკანასკნელთა მიერ უკიდურეს შევიწროებას განიცდიდა ქართველი ბერ-მონაზვნობა.

XIX საუკუნიდან საქართველოს ეკლესიის თვითმოწესეობის დაკარგვამ, რუსეთის იმპერიის პოლიტიკურმა აღზევებამ, ათონის ბერძენი სამღვდელოება საფრთხის წინაშე დააყენა. ისინი „ივირონის" საბოლოოდ დაკარგვის პანიკამ მოიცვა, რისი მიზეზითაც ქართული სავანის შენარჩუნებისათვის ბრძოლამ უკიდურესად აგრესიული ხასიათი შეიძინა. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, საბერძნეთის ეკლესიას რუსულ იმპერიულ ზრახვებთან დაპირისპირება მოუხდებოდა, რაც ფაქტიურად მთელი XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისამდე მიმდინარეობდა. რუსულ და ბერძნულ ეკლესიათა ინტერესების შეჯახება XX საუკუნის 10-იან წლებში ბერძნული ეკლესიის გამარჯვებით დასრულდა და „ივირონიც" მათ სრულ გამგებლობაში გადავიდა (249; 250).

როგორც აღინიშნა, საქართველოს დაპყრობისთანავე, რუსეთის ხელისუფლება საზღვარგარეთის ქართული სავანეების დამცველთა პრეტენზიით გამოვიდა, თუმცა ამ პრეტენზიის აღსრულებისათვის XIX საუკუნის 60-იან წლებამდე რუსეთმა ვერ მოიცალა კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში მისი დაძაბული საგარეო ვითარების გამო. ამ ხნის მანძილზე კი, ბერძნებმა მკვიდრად მოიკიდეს ფეხი

„ივირონში", შეცვალეს მისი ტიპიკონი, გამოაცხადეს მონასტერი შტატიან სავანედ და ქართველი სამღვდელოება იქიდან სრულად გამოდევნეს. მომდევნო ეტაპზე, ბერძნებმა დაიწყეს ბრძოლა „ივირონზე" ქართველების იურიდიული უფლებების ლიკვიდაციისათვის.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ათონზე ქართველი ბერები მომრავლდნენ და ბერძნების წინაშე კუთვნილი უფლებების დაბრუნების საკითხი დააყენეს. ამ დროიდან, ბერძნულ-ქართულმა ურთიერთობებმა ათონზე სხვა განზომილებაში გადაინაცვლა. მიმდინარე პროცესში, რუსული ფაქტორი ჩაერთო, ქართულ სავანესთან ბერძნების ბრძოლა ერთგვარ საბაბად ჩამოყალიბდა რუსეთის იმპერიასთან ბრძოლისათვის, რომელიც სულ უფრო ცდილობდა ათონზე სარწმუნოებრივ-პოლიტიკურად ფეხის მოკიდებას და იქ თავისი ინტერესების დამკვიდრებას. ამ დროიდანვე, ფაქტიურად საფუძველი ჩაეყარა რუსული და ბერძნული ეკლესიების დაპირისპირებას (251; 252).

რუსეთის მთავრობის პოლიტიკა ზოგადად ათონის მთისადმი ორ ნაწილად იყოფა: 1) XIX საუკუნის 70-იანი წლები, როდესაც რუსეთის იმპერიაში მიმდინარეობდა მძლავრი საშინაო და საგარეო პროცესები. რუსეთ-თურქეთის ომებმა სარწმუნოებრივ სფეროშიც შეაღწია და გამძაფრებული ბერძნულ ეკლესიასთან დაპირისპირებაში ჰპოვა. ეს დაპირისპირება მსოფლიო ისტორიაში „ბერძნულ-რუსული პანტელეიმონის პროცესის" სახელით არის ცნობილი (1874-1875 წწ.). ამ პროცესში რუსეთის გამარჯვებისათვის „ივირონის" საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. „ივირონის" პრორუსული ორიენტაციისათვის ათონის რუსი სამღვდელოება მთელი ძალისხმევით მეცადინეობა. ამ მხრივ აღსანიშნავია, ათონის ქართველი ბერებისადმი მატერიალური დახმარების გაწევა, რუსულ მონასტრებში მათთვის თავშესაფრის გამოყოფა და, რაც

მნიშვნელოვანია დაპირება, რომ რუსეთის მთავრობა „ივირონის“ იურიდიულ უფლებებს ათონზე ქართველთა სასარგებლოდ გადაწყვეტდა. საამისოდ კი, საკმარისია დასახელდეს „რუსიკის“ მღვდელმთავართა მატერიალური თანადგომა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის აღდგენისათვის ათონზე; 2) მეორე ეტაპზე კი, რუსეთის პოლიტიკამ ათონზე ცვლილება განიცადა. ამ შემთხვევაში, მისი დამოკიდებულება ბერძნებისადმი აღარ ატარებდა კომპრომისულ ხასიათს, მეტად პირდაპირი იყო და აშკარად ავლენდა სერიოზულ ინტერესებს და პრეტენზიას ათონზე პირველობისათვის. ზემოაღნიშნულის მიზეზი რუსეთის იმპერიის საგარეო და საშინაო ვითარების მეტ-ნაკლებად დარეგულირებაში აიხსნება.

„პანტელეიმონის პროცესის“ რუსეთის სასარგებლოდ დასრულებამ იმპერიის ხელისუფლებას საშუალება მისცა აშკარად დაპირისპირებოდა ბერძნულ პრეტენზიას „ივირონზე“. პარალელურად, რუსეთი თავისი პოლიტიკის განმტკიცებისათვის ილწვოდა იმპერიის შიდა გუბერნიებში. მან განსაკუთრებული აქცენტი კავკასიაზე გააკეთა. ამ მხრივ, მისთვის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ-სამხედროსტრატეგიულ პუნქტს აფხაზეთი წარმოადგენდა. რუსეთის ხელისუფლება შეგუებული იყო იმ აზრს, რომ მსოფლიო ეკლესია ვერასოდეს გაითავისებდა აზრს იმის შესახებ, რომ რუსულ პოლიტიკას გაემარჯვა საბერძნეთში, ამიტომ იმპერიის დღის წესრიგში მუდმივად იდგა მისი პოზიციების შენარჩუნების საკითხზი ათონზე, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ მას მსოფლიოში თავისი იმიჯის განმტკიცების პრეტენზიაზე უარი ეთქვა. ასეთ შემთხვევაში, რუსეთმა ათონის ანალოგი უჯრედი დააფუძნა აფხაზეთში და ამით „წმინდა მთიდან“ გამოდევნის შემთხვევაში თავშესაფარი დაიმკვიდრა კავკასიაში. აღნიშნული „თავშესაფარი“ ისტორიაში შევიდა ახალი ათონის ლავრის სახ-

ელით, რომელიც ქართველთ განმანათლებლის, მოციქულ სიმონ კანანელის საფლავზე დააფუძნეს რუსებმა. ის ფაქტიურად გახლდათ ათონის რუსული პანტელეიმონის მონასტრის უჯრედი კავკასიაში. ამ უკანასკნელს სხვა მრავალი ფუნქციაც ეკისრებოდა: აფხაზეთის შემომტკიცებისა და ადგილობრივი მოსახლეობის გადაგვარების პროცესის დაჩქარება; მათი ეროვნული თვითშეგნების ლიკვიდაცია, გამაჰმადიანებული მოსახლეობის გაქრისტიანება და ა.შ. (255; 256).

XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ბერძნულ-რუსული პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი პაექრობის ფონზე მიმდინარეობდა ქართველთა „ივირონზე“ იურიდიული უფლების აღდგენისათვის ბრძოლა. ამ საქმეში აქტიურად ჩაერთო ქართველი საზოგადოებრიობაც. ათონელ ქართველ ბერებს შეძლებისდაგვარ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ საქართველოს ეროვნული სამღვდელოება, თავადაზნაურობა, ვაჭარ-ხელოსანთა ფენა. აღნიშნულის ნიადაგზე, ათონის ქართველი მამები მომძლავრდნენ და მომრავლდნენ ათონზე. საარქივო მონაცემებით 70-იანი წლებისათვის მათმა რიცხვმა 40-მდე ბერს მიაღწია. ამავდროულად, გააქტიურდა ათონელი მამების კონტაქტები რუსეთის იმპერიის ხელისუფლებასთან; ისინი მთავრობისაგან თანამდგომას ითხოვდნენ, რომელიც ამ უკანასკნელთა ინტერესებში უკვე აღარ თავსდებოდა. მომძლავრებულ საიმპერიო ხელისუფლებას მოქმედების ახალი პროგრამა ჰქონდა შემუშავებული — აეთვისებინა ქართული სავანე, როგორც იმპერიის კუთვნილება. ამით იყო განპირობებული, რომ ქართველ მონაზონთა ყოველი თხოვნა ხელისუფლებისადმი უშედეგოდ სრულდებოდა.

ბერძენთა მხრიდან ქართველი სამღვდელოების შევიწროვების უგულვებელყოფას რუსეთის ხელისუფლება ნაირგვარი მიზეზით ხსნიდა: უცხო ქვეყნის მოქალაქეთა

ხელშეუხებლობა, საეკლესიო შიდა ცხოვრებაში ჩაურევლობა, მძიმე საგარეო-საომარი ვითარება თურქეთთან, დაძაბული შიდა იმპერიული მდგომარეობა და ა.შ. ფაქტიურად, რუსეთის მთავრობა ეძიებდა გზებს ქართველი ბერების მორჩილებაში მოყვანისათვის. საამისო გზად კი მას ბერების უკიდურესი დაკაბალება და მათი მძიმე მატერიალური მდგომარეობით სპეკულირება ეხებოდა. მაგალითად, ქართველმა ბერებმა 70-იანი წლების მიწურულს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებულებით და იმპერატორის დამოწმებით მიიღეს 15.000 მანეთი, ხოლო „რუსიკის" სამღვდელოებისაგან სამონასტრო მშენებლობისათვის საჭირო მასალა და სურსათ-სანოვაგე; ყოველივე, მართალია, ქართველ ბერებს აძლევდა შესაძლებლობას ათონზე გაეხანგრძლივებინათ მოღვაწეობა, მაგრამ, სამაგიეროდ, სამუდამო კაბალურ მდგომარეობაში აყენებდა რუსეთის იმპერიისა და „რუსიკის" წინაშე.

ათონის „ივირონზე" გაბატონებაში რუსეთის მთავრობას სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა ეროვნული, პროგრესულად მოაზროვნე სასულიერო და საერო კრებული: ბენედიქტე ბარკალაია, გაბრიელ და ბესარიონ ქიქოძეები, ქრისტეფორე ახვლედიანი, გრიგოლ რატიანი, მიხეილ საბინინი და სხვები. „პანტელეიმონის პროცესის" დასასრულს მათთვის აშკარა გახდა რუსეთის იმპერიული ზრახვანი ქართული სავანისადმი, რომ იმპერიის მთავრობისათვის ისინი დასაყრდენი ძალა იყვნენ ამ საქმეში და ბუნებრივია, მათ უარყოფით ელემენტადაც მოიაზრებდნენ. ზემოჩამოთვლილ მოღვაწეთა დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში „ივირონისადმი" რუსული პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ინტერესების გამომზეურება.

როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთის დაზვერვითი სამსახურები ივერიელთა მატერიალური დახმარებით ცდი-

ლობდნენ მათი ათონის „რუსიკის“ დაქვემდებარებაში მოქცევას (119). ეს გზა იმ ეტაპზე ერთადერთი იყო ბერძენი ბერების გავლენის აღკვეთისა და რუსების გაბატონებისათვის „ივირონზე“. მოქმედების მეთოდმა გაამართლა და 90-იანი წლებისათვის „ივირონი“ პანტელეიმონის მონასტრის წინაშე მძიმე ვალების გამო ამ უკანასკნელის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. საქართველოს საზოგადოებრიობა ამ საქმეში ათონელი ქართველი ბერების აქტივისტებს ადანაშაულებდა (მაგ. იოანე ნათლისმცემლის კელიის წინამძღვარს მამა ბენედიქტე ბარკალაიას) და მათ ცარიზმის აგენტებად აცხადებდა — „მამა ბენედიქტემ მიხეილ საბინინთან ერთად ქართველების ერთადერთი მცირე სავანე, რომელიც აგებულია მოწყალებითი სახით შეგროვილი შეწირულობით, რუსების პანტელეიმონის მონასტერს გადასცა. ბერებს პანტელეიმონის მონასტრის 18.000 მანეთი მართებს და რა უნდა მისცეს ამ მონასტერს სავანის მეტი“ — იუწყებოდა ჟურნალი „მწყემსი“. ზემოაღნიშნული, იმპერიის მთავრობის საქმეს წარმატებიანს ხდიდა — ქართველთა დაპირისპირება „ივერიონის“ პრობლემას კიდევ უფრო ამძიმებდა და სამღვდელოების შიდა დაპირისპირებას აღრმავებდა (186; 137).

ამრიგად, „ივერიონის“ ქართველ ბერთა ბრძოლა მონასტერზე იურიდიული უფლების აღდგენისათვის რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი კურსის ფონზე მიმდინარეობდა. ეს ბრძოლა, ფაქტიურად წარმოებდა საბერძნეთსა და რუსეთს შორის XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს. როდესაც რუსეთის გამარჯვებით დასრულდა ე.წ. „პანტელეიმონის პროცესი“, აშკარა გახდა იმპერიის ზრახვები „ივირონისადმი“. რუსეთის მთავრობის დამოკიდებულება ივერიელი მამებისადმი პირდაპირია და, რადგან ის საქართველოსა და მთლიანად კავკასიას იმპერიის შემადგენლობაში მოიაზრებდა, მის ფარგლებს გარეთ მყოფ წმინდა სავანეებსაც მის იურისდიქციაში აქცევდა.

XIX საუკუნის მიწურულში ცარიზმმა მნიშვნელოვანი პრობლემა მოაგვარა, როდესაც დაეუფლა „ივერიონს“ და ის რუსეთს დაუქვემდებარა, ამით თავისი ავტორიტეტი განიმტკიცა საერთაშორისო ქრისტიანული სამყაროს მასშტაბით.

XIX საუკუნის დასაწყისში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. იმპერიის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში (1905-1907 წწ.) ქვეყანაში მიმდინარე შიდა კრიზისის გამო, რაც გამოწვეული იყო დემოკრატიული ხასიათისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით, ხელისუფლება ველარ ლობირებდა უცხოეთის სავანეებზე და თანდათანობით მათზე უფლებებიც დაჰკარგა. ეს მოვლენა უპირველეს ყოვლისა ათონის „ივერონთან“ მიმართებაში გამოვლინდა, როდესაც უკანასკნელი ქართველი ათონელი ბერის გარდაცვალებისთანავე „ივერონს“ ბერძნული ეკლესია დაეპატრონა.

ამრიგად, XIX საუკუნის მანძილზე რუსეთმა, როგორც უკვე მძლავრმა სახელმწიფომ საერთაშორისო იმპერიულ სისტემაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა და მსოფლიოს ქვეყნებში ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდა. რუსეთს სრული შესაძლებლობა მიეცა დაეცვა თავისი ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე. ის წარმატებით იყენებდა თავის ძლევამოსილებას და ავტორიტეტს მსოფლიოს სუვერენებს შორის, რაც ნათლად გამოიკვეთა ევროპაში მიმდინარე „არეულობისას" (ნაპოლეონის მმართველობის ხანა) რუსეთის აქტიურ მონაწილეობაში „ახალი წესრიგის" დამყარებისათვის.

რუსეთის მიერ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა განპირობებული იყო მისი სწრაფვით იმპერიის საზღვრების გაფართოებისაკენ. ამ შემთხვევაში, მხედველობაში გვაქვს უკვე მორჩილებაში მყოფი პოლონეთის, ბალტიისპირეთის და ფინეთის შემომტკიცებისათვის მეცადინეობა. ზემოაღნიშნულის განხორციელება პირდაპირ კავშირში იყო ევროპაში ე.წ. „სიმშვიდესთან“, რის გამოც

რუსეთი აქტიურობდა ევროპული რევოლუციების ჩახშობაში. ევროპაში სტაბილურობა რუსეთის დასავლეთ საზღვრების დაცვის მტკიცე გარანტი იყო. პარალელურად, რუსეთი ეტაპობრივად მიიწევდა წინ მსოფლიოში გაბატონებისაკენ და რუსული ჰეგემონობით გლობალური სამყაროს შექმნისაკენ. მისი ამბიციები ვერ კმაყოფილდებოდა მხოლოდ უშუალო მეზობელი სივრცის (კავკასია — ქ.პ.) შემომტკიცებით და მიისწრაფოდა ევროპის შუაგულისაკენ.

რუსეთმა პირველ ეტაპზე აღმოსავლეთ ევროპაზე დაიწყო პრეტენზიის განცხადება, რამაც ის ბუნებრივად დაუპირისპირა კათოლიკურ ევროპას და ამით, მისი საგარეო პოლიტიკა დაამძიმა. პოლონეთისა და ლიტვის მიწებზე გაბატონების სურვილმა, ამ ქვეყნის ხალხები გააერთიანა რუსეთის აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ ბრძოლებში. ნიშანდობლივია, რომ მათი გაერთიანება რელიგიური ნიშნით განხორციელდა,[1] რასაც მოჰყვა „რეჩპოსპოლიტას" სახელმწიფოს შექმნა. ეს სახელმწიფო ორივე ხალხს ავტონომიურ უფლებებს უტოვებდა. რელი-

[1] ლიუბლიანის უნია — 1569წ. საეკლესიო უნიების ისტორია ძირითადად XIII საუკუნიდან იწყება. უნიებისათვის იბრძოდნენ როგორც რომის პაპები — ცდილობდნენ მართლმადიდებლური ეკლესიების მორჩილებაში მოყვანას, — ისე ბიზანტიელი იმპერატორები. ეს უკანასკნელნი იმედოვნებდნენ მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლებში რომის პაპების დახმარებას. მართლმადიდებელი სამღვდელოების წინააღმდეგობის მიუხედავად, ბიზანტიელმა იმპერატორებმა კათოლიკებთან რამდენიმე უნია დადეს: 1) 1274წ ლიონის უნია, რომელიც არ სცნო სამღვდელოებამ და მოსახლეობამ და 1285 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ დაგმო; 2) 1439წ. ფერარა-ფლორენციის უნია, დაიგმო 1443 წელს ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, პაპობა ცდილობდა საეკლესიო უნიებში რუსეთის სახელმწიფოს ჩართვას. აღნიშნული გამოვლინდა რეჩ-პოსპოლიტას სახელმწიფოსთან კავშირით — უკრაინელ და ბელორუს ერებთან 1596 წელს ბრესტის უნიის დადებით (იხ. БСЭ, ტ.27, გვ. 18-19).

გიური დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, რეჩ-პოსპოლიტას ხელისუფლებამ მის ტერიტორიაზე მცხოვრებ კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს ერთიანი მრწამსი შეუმუშავა. რუსული ბატონობის წინააღმდეგ გაერთიანებულმა ხალხმა მიიღო კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანების უნია.[1]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთის იმპერიამ ისარგებლა რეჩ-პოსპოლიტას მესამე დაყოფით და 1795 წელს ლიტვის ტერიტორიის სოლიდური ნაწილი მიითვისა. ვენის კონგრესის (1815წ. 28 მაისი) დასკვნითი აქტით სამ სახელმწიფოს (რუსეთი, ავსტრია, პრუსია) შორის პოლონეთის გადანაწილებამ, რუსეთს პოლონეთის უდიდესი ნაწილი (ვარშავის საჰერცოგო) ქ. ვარშავით მოუპოვა. მას ეწოდა პოლონეთის სამეფო, რომელშიც გაერთიანებული იყო ლიტვის ის ტერიტორია, რომელიც 1795 წელს რუსეთმა შეიერთა.

ამრიგად, 1815 წლისათვის რუსეთის იმპერია ზემოაღნიშნული ტერიტორიების სრულუფლებიანი მმართველი გახდა და მან ათვისებულ ტერიტორიებზე ბატონობის განმტკიცების მიმართულებით აქტიური მუშაობა დაიწყო. თუ კავკასიის კულტურული ათვისებისათვის რუსეთის ხელისუფლებამ მისიონერული საზოგადოებები დააარსა და დაიწყო ბრძოლა წარმართობის, მაჰმადიანობისა და ქართული მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, აღმოსავლეთ

---

[1] ბრესტის უნია – 1596წ. უნია გავრცელდა უკრაინისა და ბელორუსიის ეკლესიებზე, რომლებიც ერთის მხრივ, ცნობდნენ რომის პაპის უზენაესობას, მეორის მხრივ, ინარჩუნებდნენ მართლმადიდებლური მრწამსის წესებს და ღვთისმსახურების სლავიანურ ენაზე ჩატარების უფლებას. უნიატები მისდევდნენ ბერძნულ კათოლიკურ სარწმუნოებას. ეს უკანასკნელი, საეკლესიო ისტორიოგრაფიაში ცნობილია უნიატური სარწმუნოების სახელით. უნია დაირღვა 1946 წელს ქ. ლვოვში. (იხ. БСЭ, ტ.4, გვ. 25).

ევროპაში, მისთვის სერიოზულ პრობლემად იქცა უნიატე-ბის საკითხი. ლიტვის სამთავროს, უკრაინისა და ბელორუ-სიის უნიატებში აქტიურად მოღვაწეობდნენ იეზუიტთა ორ-დენის[1] მისიონერები, რომლებიც მოსახლეობაში კათოლი-ციზმს ქადაგებდნენ.

რუსეთის ხელისუფლების ამოცანა გახდა გაკათოლი-კებული უნიატების გამართლმადიდებლობა, ხოლო კათო-ლიკეთა შორის რუსი მისიონერების მხრიდან რუსული პოლიტიკისა და სარწმუნოების პროპაგანდა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მისიონერული მუშაობა უნიატებს შორის პირობითად შესაძლებელია დაიყოს სამ პერიოდად:

1) მართლმადიდებლობის პროპაგანდის შემამზადებელი პერიოდი – XIX საუკუნის 20-იანი წლები;

---

[1] იეზუიტთა ორდენი – კათოლიკური ორდენი – „იესოს საზოგადოება", დაარსდა პარიზში 1534წ, იყო კონტრრეფორმაციის ერთ-ერთი მთავარი ორდენი. ორდენის მიზანი იყო კათოლიციზმის დაცვა – გავრცელება და პაპის ძალაუფლების განმტკიცება. ორდენი ქანაგებდა მეცნიერებისა და განათლების, ახალგაზრდა თაობის აღზრდის სფეროს. XVI საუკუნეში იეზუიტთა ორდენის ბერები მოღვაწეობდნენ მთელს ევროპაში, ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიასა და ფილიპინებზე. რუსეთის იმპერიის პირველი შეხება იეზუიტთა ორდენთან მოხდა 1569 წელს, როდესაც მისიონერები გამოჩნდნენ ლიტვაში და სასწავლებლები გახსნეს ქალაქებში: ვილნიუსი, პოლოცკი და სხვა. 1772 წელს რეჩ-პოსპოლიტას პირველი დაშლის შემდეგ, ორდენი შევიდა ბელორუსიასა და უკრაინაში, რომლებიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყვნენ. 1820 წლის 13 მარტის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებულების საფუძ-ველზე,იეზუიტთა ორდენის ბერების ქონების კონფისკაცია განხორციელდა და მათ აეკრძალათ რუსეთის იმპერიის ფარ-გლებში მოღვაწეობა.

2) უნიატთა მართლმადიდებლობაზე მოქცევის პერიოდი, რომელიც მერყევი პერიოდებით ხასიათდებოდა და გაგრძელდა ვიდრე 1837 წლამდე;

3) 1837-1839 წლები, რომელიც დასრულდა უნიატების მასიური გამართლმადიდებლობით და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში შერწყმით.

რუსი სამღვდელოების აღმოსავლეთ ევროპაში აქტიური სამისიონერო საქმიანობა დასტურდება აურაცხელი პროგრამების შედგენით, სადაც ჩამოყალიბებული იყო უნიატებში მუშაობის ამოცანები და მეთოდ-ხერხები. პროგრამა—მოხსენებებში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დამთმობილი სასულიერო განათლების საკითხს. ადგილზე მოღვაწე სამღვდელოებას დიდი თანადგომა ჰქონდა რუსეთის ხელისუფლებისაგან. ეს უკანასკნელი კი შესატყვისი გარემოებით ხელმძღვანელობდა. მთავრობის პოლიტიკა ხან უკიდურესად მკაცრი, ხანაც კომპრომისული ღონისძიებებით ხასიათდებოდა.

მეფის რუსეთის უმკაცრეს პოლიტიკას დაუპირისპირდა ადგილობრივი თავადაზნაურობა, სამღვდელოება, დაბალი სოციალური ფენები. ცარიზმის საწინააღმდეგო პროცესების ალაგმვას ემსახურებოდა მთავრობის მიერ 1834 წელს უნიატთა საქმის საიდუმლო კომიტეტის დაარსება. ამ უკანასკნელმა დიდი მუშაობა გასწია უნიატების რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე დაქვემდებარების საქმეში. 1839 წლის 12 თებერვალს ბერძნულ-უნიატური ეკლესიის სამღვდელოებამ ხელი მოაწერა აქტს უნიატების შერწყმაზე აღმოსავლურ-ბერძნულ კათოლიკე ეკლესიასთან. მიღებულ აქტში სამღვდელოებამ დააფიქსირა:

1) ვაღიარებთ, რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან და აღმოსავლეთის პატრიარქებთან ერთობას, ვექვემდებარებით რუსეთის უწმიდეს სინოდს;

2) ვითხოვთ, რუსეთის იმპერატორისაგან მის მფარველობაში შესვლაზე თანხმობას.

საეკლესიო აქტს ხელი მოაწერა 1305 სამღვდელო პირმა. აღნიშნული თხოვნა იმპერატორმა 1839 წლის 25 მარტს დაამტკიცა – „...ღმერთს მადლობას ვწირავ და ვიღებ". ზემოაღნიშნულის საფუძველზე, 1839 წლის 30 მარტს უწმიდესი სინოდის სხდომაზე (კრებას ესწრებოდნენ: ლიტვის ეპისკოპოსი იოსები (სემეშკო), ნოვგოროდისა და სანკტ-პეტერბურგის ეპისკოპოსი სერაფიმი, კიევისა და გალიცის მიტროპოლიტი ფილარეტი) დამტკიცდა ბერძნულ-უნიატური სასულიერო კოლეგიის სახელწოდება – „ბელორუსიისა და ლიტვის ეპარქია", რომლის მღვდელმთავრად განწესდა ყოფილი ლიტველი ეპისკოპოსი იოსები (სემეშკო). ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის საპატივსაცემოდ, რუსეთის იმპერიაში საგანგებო სასულიერო მედალი დამზადდა (273; 377; 212; 198; 182; 164; 32).

მიუხედავად, ზემოაღნიშნული აქტის ღრმა მნიშვნელობისა, ის არ მოასწავებდა რუსული პოლიტიკის გამარჯვებას აღმოსავლეთ ევროპაში. ადგილობრივი ძალების სისტემატიური წინააღმდეგობრივი ქმედებანი ვერ იძლეოდა რუსული იმპერიული მმართველობითი სისტემის მყარად დადგინების შესაძლებლობას, რამეთუ აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობა უნიატობისათვის ბრძოლის საბურველით მთელი ძალისხმევით იცავდა ეროვნულ თვითმყოფადობას და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

ამრიგად, რუსეთის სახელმწიფო დღიდან ჩამოყალიბებისა, მიზანმიმართულად ილვწოდა საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებისა და მსოფლიო ძლიერ ქვეყნებს შორის ავტორიტეტის დამკვიდრებისათვის. ამავდროულად, რუსეთი აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო მტაცებლურ პოლიტიკაში და მთელი ყურადღება გადაიტანა სამყაროს ხელახალი გადანაწილებისათვის ბრძოლაზე. იმპერიის სა-

გარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა გახდა სამყაროს გადანაწილებაში აქტიური როლის შესრულება და მაქსიმალური კოლონიების მოპოვება.

რუსეთმა ზემოხსენებული ამოცანის გადაჭრისას მისეული პროგრამა შეიმუშავა და მაჰმადიანთა აგრესიისაგან ქრისტიანი ხალხების დაცვის საბურველით ქრისტიანული გლობალური სამყაროს შექმნასა და ჰეგემონობაზე პრეტენზია განაცხადა.

აღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის, რუსეთის ხელისუფლებას ერთგული, მძლავრი იარაღი ესაჭიროებოდა და, რადგან ქრისტიანული გლობალური სამყაროს შექმნას აპირებდა, ბუნებრივია, ამ საქმეში თავისი სახელმწიფო იდეოლოგი — რუსული მართლმადიდებელი ეკლესია უნდა ჩაერთო. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა რუსულმა საეკლესიო დიპლომატიამ, რომელმაც თავისი მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარმართა: მახლობელი აღმოსავლეთისაკენ და აღმოსავლეთ ევროპისაკენ; სამოქმედო ობიექტებად კი იქცა: იერუსალიმის „წმინდა მიწა", „ათონის წმინდა მთა", აღმოსავლეთ ევროპის უნიატი მოსახლეობა.

მსოფლიო ქრისტიანობის უძველესი კულტურის ცენტრებზე რუსეთი სხვადასხვა კუთხით აცხადებდა პრეტენზიას: იერუსალიმში, „წმინდა მთაზე" და აღმოსავლეთ ევროპაში მოქმედ მართლმადიდებლურ მონასტრებს თავის საკუთრებად აცხადებდა, რამეთუ მათ მეპატრონე ეთნოსებს თავისი იმპერიის პოლიტიკურ-კულტურულ საზღვრებში მოიაზრებდა და მათ კუთვნილ ქონებასაც ადგილზე, თუ საზღვარგარეთ რუსეთის იმპერიის საკუთრებად თვლიდა.

რუსეთის სახელმწიფოს ამგვარი ამბიციები რადიკალურად უპირისპირებდა მას ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს, რაც მის საგარეო პოლიტიკას მუდმივად მძიმე მდგომარეობაში აყენებდა.

# თავი მეხუთე
# კავკასიური საეკლესიო გლობალიზაციის რუსული მედლის ფორმირება

## §1. „კავკასიელთა გადარჩენის" რუსული თეორიის პოლიტიკურ-ეკონომიკური საფუძველი

რუსეთის პოლიტიკურ ურთიერთობებს კავკასიასთან უძველესი ისტორია გააჩნია. ეს ურთიერთობები ხანგრძლივი დროის მანძილზე ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა და გვიან შუასაუკუნეებამდე არ გადაზრდილა რუსეთის ამბიციებში — გაბატონებულიყო კავკასიაში. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ეს ურთიერთობები არ მიჯნავდა კავკასიის ჩრდილო და სამხრეთ რეგიონებს, არამედ პირიქით, მათ რუსეთი ერთ მთლიანობაში მოიაზრებდა და პოლიტიკური ვითარების დარეგულირებისას ორივე მხარეზე, როგორც ჩრდილოეთზე, ისე სამხრეთზე, ერთნაირად ზემოქმედებდა, საისტორიო წყაროები ნათლად მეტყველებენ იმის შესახებ, რომ კავკასიის ორივე მხარე არა დამოუკიდებლად ახერხებდა პოლიტიკური შიდა თუ გარე ვითარების სტაბილიზაციას, არამედ ერთი-მეორის თანადგომით, ერთობლივი კონტაქტებით ცდილობდა გარე ფაქტორებთან მიმართებაში შეთანხმებით მოქმედებას. ასეთ გარე ფაქტორთა შორის რუსეთის სახელმწიფოც იყო.

რუსეთის პირველი შეხება კავკასიასთან, მისი ჩრდილოეთ ნაწილის მოსახლეობასთან კავშირით დაიწყო. კიევის რუსეთისა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა ურთიერთობის ამსახველი უძველესი ფრაგმენტული ცნობები დაცულია ძველ რუსულ მატიანეებში, კერძოდ, ლავრენტის ნუსხაში — „გარდასულ წელთა ამბავი" — ეს ტექსტი აღწერს კიევის დიდი მთავრის სვიატოსლავის ხაზართა წინააღმდეგ ბრძოლის (965 წ.) ამბავს.

მოგვიანებით, მონღოლ-თათართა ბატონობამ დროებით შეწყვიტა კავკასია-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობები. რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნამ, ის საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვან სუბიექტად აქცია. კავკასიასთან მიმართებაში ის ახალ ფაქტორად გამოჩნდა ირან-ოსმალეთის სახელმწიფოების გვერდით, რაც ამ უკანასკნელთა გაღიზიანებას იწვევდა, ხოლო კავკასიელ ხალხებში კი რუსეთი თანდათანობით საიმედო ძალად ყალიბდებოდა მუსლიმური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ჩრდილო კავკასიის ყველაზე დიდ საფრთხედ ყირიმის სახანო მოიაზრებოდა, რომელიც თურქეთის იმპერიის ვასალურ ქვეყანას წარმოადგენდა (154, 270).

როგორც არაერთგზის აღინიშნა, კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურება განსაზღვრავდა მის განსაკუთრებულ ადგილს საერთაშორისო ურთიერთობებში. კავკასიის ისტორიული ურთიერთობები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან განაპირობებდა მის ჩართვას აღმოსავლეთ ევროპულ პოლიტიკაში, ხოლო ამიერკავკასიას კი ირან-ოსმალეთის საცილობელ ობიექტად აქცევდა. ამ უკანასკნელის ათვისებისათვის ირან-ოსმალეთი ჩრდილო კავკასიაში გაბატონებას ლამობდნენ. ასეთი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, კავკასია პირდაპირ მოექცა როგორც ისტორიული მტრის ირან-თურქეთის პოლიტიკაში, ისე ახალი ფაქტორის — რუსეთის ამბიციურ მისწრაფებებში.

ყირიმის სახანოს დაქვემდებარებით თურქეთი გზას გადაუჭრიდა რუსეთის მისწრაფებებს კავკასიისაკენ. ყირიმის სახანოს მეშვეობით თურქეთი დაამყარებდა კონტაქტებს ყაზანისა და ასტრახანის სახანოებთან, ხელთ იგდებდა შუა აზიას, ამიერკავკასიის, ირანისკენ გამავალ სავაჭრო გზებს, რეალურ საფრთხეს შეუქმნიდა ჩრდილო კავკასიის ხალხებს (154, 270). თავის მხრივ, თურქეთი ჩრდილო კავკა-

სიაში გაბატონებით უპირატესობასაც იპოვებდა ირანის წინაშე.

XVI საუკუნიდან ირანმაც დაიწყო ჩრდილო კავკასიური პოლიტიკა. ასეთ შემთხვევაში, კავკასიელმა მთიელებმა (ადიღებმა, ყაბარდოელებმა — ქ.პ.) დაიწყეს მფარველი ქვეყნის ძიება, ეს უკანასკნელი კი რუსეთი (211, 21) იყო, რომლის საგარეო პოლიტიკაში ჩრდილო კავკასია XVI საუკუნის II-ე ნახევრიდან გაჩნდა (199, 6).

ჩრდილო კავკასია — რუსეთის პოლიტიკური ინტერესები ორივე მხრივ ინტენსიურ ხასიათს XVI საუკუნის მიწურულიდანვე იძენს. სათანადო წერილობითი წყაროები იუწყებიან სამხრეთ დაღესტნელთა ელჩობას (1465 წ.) ივანე III-ის კარზე. ამ ელჩობას პოლიტიკურთან ერთად სავაჭრო-ეკონომიკური დატვირთვაც გააჩნდა, რამეთუ რუსეთიდან შირვანში გაგზავნილ ელჩობაში (1466 წ.) რუსი ვაჭრებიც მონაწილეობდნენ (398, 53, 72). ასევე, 1492 წელს კახეთის მეფის ალექსანდრეს ელჩობა მოსკოვში; შემახის შაჰის ელჩობა (1499 წ.); და ა.შ. ამრიგად, XV საუკუნეში მყარი საძირკველი ჩაეყარა პოლიტიკურ-ეკონომიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობებს ჩრდილო კავკასიასა და რუსეთს შორის.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, როდესაც რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში კავკასიას განსაკუთრებული დატვირთვა მიენიჭა, რუსეთს სერიოზული კონკურენტებიც გამოუჩნდა — თურქეთის იმპერიის და ყირიმის სახანოს სახით, რაც შეეხება სეფიანურ ირანს — ის პირველ ეტაპზე ამიერკავკასიით იყო დაკავებული და რუსეთს ჩრდილო კავკასიისაკენ სწრაფვაში არ ეცილებოდა. თავის მხრივ, არც რუსეთისათვის იყო მიუღებელი ამიერკავკასიაში თავისი პოლიტიკის განხორციელება, რადგან მისი მიზანი იყო ჩრდილო კავკასიის ათვისებით გაეჭრა გზა სამხრეთ კავკასიისაკენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რუსეთის

ხელისუფლების პოლიტიკურ ძალთა მოსინჯვის შემთხვევები სამხრეთ კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში (კახეთის სამეფოსა და რუსეთის პოლიტიკური კონტაქტები — ქ.ჯ.) ინტენსიურ სახეს იღებდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ირანს რუსეთისათვის არ ეცალა და მათი პოლიტიკური ინტერესებიც ერთმანეთს არ კვეთდა.

რუსეთის სახელმწიფომ თავისი გეგმის რეალიზაციისათვის გააქტიურა პოლიტიკა ვოლგის ბასეინზე და ჩრდილო კავკასიის მიმართ. ამ შემთხვევაში, რუსეთი ყურადღებას ამახვილებდა ადიღებზე. ეს უკანასკნელნი კარგად იყვნენ შეფასებულნი რუსეთის ხელისუფლების მიერ, რომელთაც შუამავლის როლი უნდა შეესრულებინათ ჩრდილო კავკასიის სხვა ეთნოსების დაცვაში (211, 18). რუსეთ-ადიღელთა შეერთების აქტი ორივე მხარისათვის ხელსაყრელი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი იყო, რომლის ძალითაც რუსეთი გზას იკაფავდა ჩრდილო კავკასიისაკენ, ხოლო ადიღები ინარჩუნებდნენ თავიანთ დამოუკიდებელ უფლებებს და დამხმარე ძალას იძენდნენ ოსმალური თურქეთისა და ყირიმის ხანების წინააღმდეგ ბრძოლაში. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ რუსეთის ე.წ. „დახმარების" გამოვლინებას ჩრდილო კავკასიელი ხალხებისადმი დინასტიური დამოყვრებების ელფერიც დაჰკრავდა, რაც რუსეთის ხელისუფლებას არაჩვეულებრივ მიზეზ-საბაბს აძლევდა კავკასიელი ხალხის აგრესიული სახელმწიფოებისაგან „გადარჩენისათვის" ელვაწა. აღნიშნულის შესანიშნავი დასტურია ყაბარდოს უფროსი მთავრის — თემურყვა იდაროვის ქალიშვილის ქორწინება რუსეთის მეფე ივანე IV-ზე. (253, 30-30). ამ ფაქტით, თავის მხრივ, თემურყვა იდაროვიც ცდილობდა რუსეთის სამხედრო ძალის მეშვეობით ყაბარდო-ადიღეს ტერიტორიების გაფართოებას. როგორც ჩანს, ორივე მხარისათვის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც კავკასიაში

რუსეთის ინტერესების გამარჯვებას კიდევ უფრო აჩქარებდა.

ყაბარდოსთან კავშირის მეშვეობით, რუსეთმა საგრძნობლად გაიმაგრა პოზიციები ჩრდილო კავკასიაში, რითიც ის კარგა ხნის მანძილზე კმაყოფილდებოდა, სამომავლოდ ამ რეგიონის სრულიად ათვისებისათვის ძალას იკრეფდა და ხელსაყრელ დროს ელოდებოდა. XVI საუკუნის მიწურულისათვის კი ჩრდილო კავკასიელი მთიელების „გადარჩენისათვის" მოწოდებულმა რუსეთმა ამ რეგიონში დაარსებული ციხე-სიმაგრეებით, რომელთაც პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთისათვის უაღრესად დიდი ფუნქცია ეკისრებოდათ, თავდაცვითი ხასიათი შეიძინეს. ამრიგად, იმ ეტაპზე რუსეთისათვის კავკასიას მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა და მისდამი დამოკიდებულება განისაზღვრებოდა საერთაშორისო ვითარებითა და კავკასიაში მიმდინარე პროცესებით. ამიტომ, რუსეთის სამხედრო სიმაგრეებს ჩრდილო კავკასიაში არამდგრადი მდგომარეობა ჰქონდათ, შესატყვისად იმისა, თუ რა დამოკიდებულება ექნებოდა მას თურქეთთან და ყირიმის ხანებთან (2, 31).

კავკასიაში რუსეთის პოლიტიკას, საერთაშორისო ვითარება თუ შიდა კავკასიური კრიზისები წამგებიან მდგომარეობაში აყენებდა. მიუხედავად ამისა, რუსეთი მეტნაკლები წარმატებებით, კავკასიელი მთიელების დახმარებით მაინც ახერხებდა მის მიერ დაარსებული სამხედრო პუნქტების შენარჩუნებას და ჩრდილო კავკასიის მისადგომების გამაგრებას (211, 40-40). რუსეთი მაქსიმალურად ცდილობდა კავკასიის „დაცვას" მოცილე სახელმწიფოებისაგან და მთიელთა „გადარჩენის" ეგიდით თანდათანობით მოიწევდა კავკასიაში სრული ბატონობის მოპოვებისათვის.

XVII საუკუნეში რუსეთის სახელმწიფოს შიდა კრიზისის გამო, ის სათანადო ყურადღებას ველარ აქახვილებდა ჩრდილო კავკასიაზე, რაც დაკავშირებული იყო დასავლეთ

და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრების დაცვასთან. შექმნილმა ვითარებამ, გააძლიერა ჩრდილო კავკასიაზე ყირიმელი ხანების აგრესია, რასაც დაერთო ამ რეგიონში შიდა აშლილობის გაძლიერებაც. ამ დროიდან, რუსეთის ურთიერთობები კავკასიის მთიანეთთან უკიდურესად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. რუსეთი ყველანაირად ცდილობდა ამ კონტაქტების შენარჩუნებას, რამეთუ მას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების გამაგრებისათვის. მიმდინარე პროცესებს ამძიმებდა კავკასიელ მთიელთა მერყევი პოზიციები, რაც დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, თუ რუსეთ-თურქეთის ომის (1676-1681 წწ.) პროცესში ძალთა თანაფარდობა ვის სასარგებლოდ გადაიხრებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში, რუსეთის თურქეთთან მარცხის დროს ჩრდილო კავკასიელებში ილახებოდა რუსეთის პრესტიჟი და მთიელებიც თავის გადარჩენის მიზნით ყირიმელებისაკენ იხრებოდნენ. XVII საუკუნის მიწურულს, რუსეთის მნიშვნელოვანმა გამარჯვებებმა (1696წ. რუსების მიერ აზოვის აღება – ქ.პ.) შექმნა ყოველგვარი პირობა ჩრდილო კავკასიიდან თურქეთის საბოლოო გამოდევნისა (154, 335) და რუსეთის დამკვიდრებისათვის. მიმდინარე პროცესში სულ უფრო აქტიური დატვირთვა შეიძინა ჩრდილო კავკასიაში დაარსებულმა რუსულმა ციხე-სიმაგრე-ქალაქებმა. ისინი გადაიქცნენ რუსეთ-კავკასიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა მნიშვნელოვან ცენტრებად. ციხე-ქალაქები XVI საუკუნიდან დასახლებული იყო რუსეთის შიდა რეგიონებიდან გადმოსული მოსახლეობით, რომლებიც მძიმე სოციალურ პირობებს გაურბოდნენ, ან კიდევ საეკლესიო ერესის მდგომარეობაში ყოფნის გამო რუსეთის ხელისუფლებისაგან იდევნებოდნენ და ქვეყნის უკიდურეს სამხრეთ რაიონებს აფარებდნენ თავს (კაზაკობის ფორმირება – ქ.პ.).

XVII საუკუნის მიწურულს რუსულ ახალშენებში მასიურად ჩასახლდნენ ჩრდილო კავკასიელი მთიელებიც, რომლებმაც რუს მოსახლეობას სამჯერ გადააჭარბეს (154, 331). სწორედ, აქ დასახლებული რუსი მოსახლეობა ჩამოყალიბდა თანდათანობით კავკასიელ მთიელებთან დამაკავშირებელ რგოლად. მათი მეშვეობით რუსეთი ახორციელებდა თავის პოლიტიკას ჩრდილო კავკასიაში და ამ პოლიტიკას „მთიელთა გადარჩენის" სახელით ატარებდა. თავის მხრივ, ეს უკანასკნელნიც თვითმყოფადობის გადარჩენის ძალად რუსეთის დიდ სახელმწიფოს მოიაზრებდნენ. რუსეთის ძალისხმევამ „მთიელთა გადარჩენის თეორიის" შექმნაში იმთავითვე დადებითი ნაყოფი გამოიღო და, როგორც მ. ბ. ნოგმოვი აღნიშნავდა — „...ხალხი თქმულება - ლეგენდებს თხზავდა, რაც მათ დამოკიდებულებას ასახავდა რუსეთისადმი..." (188, 143-144).

XVIII საუკუნის დასაწყისიდან ჩრდილო კავკასიის ხალხთა პოლიტიკური გარემოება კიდევ უფრო დამძიმდა. რუსეთისა და თურქეთის კავკასიისათვის მეცილეობამ მწვავე ხასიათი შეიძინა. მართალია, რუსეთთან ბრძოლებში XVII საუკუნის მიწურულს თურქეთმა რამდენიმე გზის მარცხი განიცადა, მაგრამ მას ჯერ კიდევ შესწევდა სათანადო ძალა ჩრდილო კავკასიისათვის ბრძოლაში და საერთაშორისო მასშტაბით ერთ-ერთ უძლიერეს სამხედრო ფეოდალურ სახელმწიფოდ იყო ცნობილი. XVIII საუკუნის დასაწყისში ჩრდილო კავკასიის დასავლეთი ნაწილი რუსეთ-თურქეთის ბრძოლების ასპარეზად იქცა, რაც ამ რეგიონს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აყენებდა, ხოლო აღმოსავლეთ კავკასია კი ირანის მწვავე აგრესიას განიცდიდა. ასეთ მძიმე ვითარებაში, კავკასიელთა რუსეთისაკენ ორიენტაცია კიდევ უფრო გაძლიერდა, რამაც ამ ხალხებისათვის პრაქტიკულად სასიცოცხლო დატვირთვა შეიძინა. ამავდროულად, კავკასიის მთიანი მოსახლეობისათვის დიდი

მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს რუსეთთან. საარქივო მასალები მეტყველებენ, რომ XVIII საუკუნის 40-იან წლებში მასიური ხასიათი მიეცა რუსეთში საიმპერატორო კარზე დაღესტნელების, ავარიის ხანების, ყაბარდოელების, ჩეჩნების ელჩობებს (155, 145). ისინი რუსეთისაგან მუსლიმური სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას ითხოვდნენ.

შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობის გამო, თურქეთთან დაპირისპირების და მათი გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად, რუსეთის ხელისუფლება ჩრდილო კავკასიის საქმეებში აშკარა ჩარევისაგან თავს იკავებდა და ფარული გზებით მთიელებს დახმარებას უწევდა.

კავკასიური პოლიტიკის განხორციელებაში, რუსეთის სერიოზულ ბარიერს უქმნიდა პროთურქული ორიენტაციის კავკასიელი საზოგადოება, რომელთა წრეში მოიაზრებოდნენ მაჰმადიანი სამღვდელოება და დიდგვაროვანთა ნაწილი. მათ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებდათ თურქეთის იმპერიასთან. ანტირუსულ ძალებს (დაღესტნელი ფეოდალები — ქ.პ.) ასევე აღიზიანებდათ რუსეთის ხელისუფლების ლტოლვა სამხრეთ კავკასიისაკენ, რასაც გამოხატავდნენ ხალხთა მასების დაპირისპირებით რუსეთისადმი, მაგალითად, 1758 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ფეოდალთა ერთი ნაწილი შეეცადა ანტირუსული გამოსვლების ორგანიზებას, რომელმაც მარცხი განიცადა (154, 437).

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები ხელახლა დაძაბდა, რომლის ძირითადი მიზეზი შავი ზღვის პრობლემის გადაჭრა გახდა. ორივე ქვეყნის შიდა სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა მათი საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებაც.

რუსეთში მიმდინარე კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ განსაზღვრა შიდა და საგარეო სავაჭრო კავშირების შემდგომი ზრდა. ყოველივეს ერთვოდა საპ-

ფლობელობის ზრდის დაუცხრომელი სურვილი, შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება, რათა რუსეთის საქონელს ფართო ასპარეზი ჰქონოდა საერთაშორისო ვაჭრობაში. საამისოდ, საჭირო გახდა სამხრეთ საზღვრების მკაცრი დაცვა ყირიმელი თათრების აგრესიული თავდასხმებისაგან. აქედან გამომდინარე, რუსეთის იმპერიამ წინა ხაზზე წამოსწია შავი ზღვის პრობლემა, რომლის გორდიის კვანძი რუსეთისათვის ყირიმისა და კავკასიის საკითხები იყო. ამავდროულად, რუსეთი ისწრაფოდა თავისი პრესტიჟის განმტკიცებისაკენ საერთაშორისო ასპარეზზე.

ასეთი ვითარების ფონზე, თურქეთის სახელმწიფოს აგრესიული საგარეო პოლიტიკა, მისი შიდა სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისით განისაზღვრებოდა. ქვეყნის ჩამორჩენილი ფეოდალური წყობა ამუხრუჭებდა ახალი საწარმოო ძალების განვითარებას, ხოლო შიდა ვაჭრობა უცხოელი ვაჭრების ხელში აღმოჩნდა. თურქეთის ეკონომიკური ჩამორჩენილობა განაპირობებდა ქვეყნის დაქუცმაცებულობას. სულთნების ხელისუფლება დამპყრობლურ ომებში შიდა კრიზისიდან გამოსავალს ეძებდა.

კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი თურქებისათვის რუსეთზე სამხრეთიდან თავდასხმის პლაცდარმი იყო, რითიც მას საშუალება ეძლეოდა კავკასიაში გასაჭრელად, ხოლო საამისო იარაღი კი მისთვის ისტორიულად ყირიმის სახანო წარმოადგენდა. თურქეთის ანტირუსულ პოლიტიკაში ევროპის ძლიერი სახელმწიფოებიც მონაწილეობდნენ: საფრანგეთი რუსეთში ხედავდა სერიოზულ კონკურენტს მახლობელი აღმოსავლეთის საკითხში, ხოლო ინგლისი კი ერთის მხრივ, დაინტერესებული იყო რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებით და საფრანგეთის დასუსტებით, ხოლო მეორეს მხრივ, ცდილობდა არ დაეშვა რუსეთის გაძლიერება შავ ზღვაზე.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ საგანგებო გეგმა შეიმუშავა თურქეთის წინააღმდეგ, რომლის ძირითადი ამოცანა იყო ყირიმის სახანოს განთავისუფლება თურქეთის ვასალობისაგან და მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროვოცირება. ასეთი პოლიტიკის წყალობით, ყუბანის სახანოს შეეძლო რუსეთისათვის დახმარება გაეწია ყირიმის საკითხის გადაჭრაში.

როგორც უკვე აღინიშნა, კავკასიის შიდა ურთიერთობების დარეგულირებისა და მათი საერთაშორისო სისტემაში ჩართვა ძირითადად დამოკიდებული იყო სამხრეთ კავკასიის მთიელებთან ურთიერთობებაზე. ამ მხრივ, სამხრეთ კავკასიაში გამოირჩეოდა საქართველოს ფაქტორი, რაც განპირობებული იყო მისი გეო-სტრატეგიული მდებარეობით: დაღესტნის მეშვეობით ის უკავშირდებოდა კავკასიის ძირითად ქედზე მცხოვრებთ, რომელთა საშუალებით ამყარებდა კავშირებს წინა კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან.

საქართველოს საგარეო ურთიერთობებში ძველი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩრდილო კავკასიელ ხალხებთან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ კავშირებს. გარკვეულ ეპოქებში ამ კავშირებს საერთო პოლიტიკური საფუძველი ჰქონდათ: მაჰმადიანური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა და ორივე მხარის მისწრაფება რუსეთისაკენ. საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი გზა კი ჩრდილო კავკასიაზე (ყაბარდოს ტერიტორია) გადიოდა. ორივე სახელმწიფოს კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ დამაკავშირებელი გზის უსაფრთხოება ჩრდილო კავკასიაში ავტორიტეტულ ყაბარდოელ ფეოდალებზე იყო დამოკიდებული (373, 43). აქედან გამომდინარე, რუსეთისა და საქართველოს მოწინააღმდეგე ქვეყნები ყოველთვის ცდილობდნენ ამ გზის ხელში ჩაგდებას, რამეთუ ეს გზა სერიოზულ როლს ასრულებდა თურქეთ-ყირიმის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს, რუსეთ-ჩრდილო კავკასიის ურთიერთობებში სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავების ფუნქციაც გააჩნდა, რადგან ის ღრმა ისტორიულ ტრადიციებს ემყარებოდა. ასევე, ამ სავაჭრო ურთიერთობებში აქტიური როლის შესრულება შეეძლო რუს მოსახლეობას, რომელიც პეტრე I-ის კასპიისპირეთში ლაშქრობის (1722წ.) შემდგომ, ჩრდილო კავკასიის ციხე-ქალაქ ახალშენებში ჩაასახლეს. ამ რეგიონის რუსული სამხედრო ადმინისტრაცია ჩრდილო კავკასიაში სავაჭრო ურთიერთობებს კურირებდა.

XVIII საუკუნის ჩრდილო კავკასიის რუსული ახალშენების მოსახლეობასთან კონტაქტებში კავკასიელ მთიელებთან აქტიურ როლს ასრულებდნენ ქართველები, განსაკუთრებით კი გასომხებული ქართველები. ეს ურთიერთობები ძირითადად სავაჭრო ხასიათის იყო. საქართველოს მხრიდან ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა: სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ხელოსნური ნაწარმი, ქსოვილი, მარილი, ლითონის პროდუქცია და სხვ., ხოლო მთიელები ვაჭრობდნენ მეცხოველეობის პროდუქტებით, საქონლით, შინახელოსნური ნაწარმით და სხვ. თვით მძიმე პოლიტიკური ვითარების დროსაც არ წყდებოდა სავაჭრო კავშირები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიას შორის, რაც საქართველოს სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე მდებარეობითაც იყო გამოწვეული. ამ სავაჭრო მაგისტრალით რუსეთი ფრიად იყო დაინტერესებული ამიერკავკასიაში თავისი ეკონომიკური ინტერესების გატარებისათვის.

XVIII საუკუნის მიწურულიდან რუსეთის პოლიტიკური ინტერესები კავკასიისადმი, მის ჩრდილოეთ ნაწილს სცილდება და სამხრეთის რეგიონსაც მოიცავს. ქუჩუკკაინარჯის (1774წ.) საზავო ხელშეკრულებას რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კურსში ახალი ამოცანები შექონდა, რომელიც რუსეთ-კავკასიის პოლიტიკის ახალი ეტაპის და-

საწყისზე მიანიშნებდა. რუსეთმა თურქეთ-ყირიმს გზა გადაუკეტა სამხრეთ კავკასიისაკენ და ამით საქართველოს საზღვრებს მიუახლოვდა. ამრიგად, რუსეთს საშუალება შეექმნა სამხრეთ კავკასიაში შეღწევისათვის, რომლის განხორციელებაც ფაქტობრივად 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ტრაქტატით მოხდა. ნიშანდობლივია, რომ ამ ტრაქტატს არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ ჩრდილო კავკასიელი ხალხებისთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთმა ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე დააარსა გამაგრებული პუნქტები, რითიც გაიადვილა საქართველოსთან ურთიერთობები და ალაგმა ჩრდილო კავკასიაში თურქთა აგენტურის საქმიანობა (347, 23). გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთის სახელმწიფოსათვის იყო კავკასიის საკითხის გადაჭრა, საქართველოს და ზოგადად სამხრეთ კავკასიის მაჰმადიანური გარემოცვისაგან გამოხსნის გზა. მთლიანობაში კი, ეს იყო რუსეთის „კავკასიის ხალხების გადარჩენის თეორიის" პრაქტიკულ ცხოვრებაში განხორციელებისათვის თამამი პოლიტიკის გატარების აშკარა დასაწყისი. ასეთი პოლიტიის შედეგად, კავკასიის მოსახლეობა, იძულებული გახდა რუსეთისაკენ აეღო ორიენტაცია (293, 59-60).

კავკასიის რეგიონი და მისი მოსახლეობა ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის აშკარა რეალობის წინაშე დადგა. რუსეთ-თურქეთის ბრძოლები კავკასიაში გაბატონებისათვის, მისი მკვიდრი ხალხების პოლიტიკურ ორიენტაციაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა, განსაკუთრებით აქტიურობდა ანტირუსული ბანაკი. ასეთ შემთხვევებში, რუსეთი სამხედრო ექსპედიციებსაც არ ერიდებოდა, რაც კიდევ უფრო ართულებდა ისედაც დაძაბულ მდგომარეობას კავკასიაში. რუსეთის ხელისუფლება კი კავკასიაში სიმშვიდის დამყარებისათვის ადგილობრივ რუსულ ადმინისტრა-

ციას განსაკუთრებული ფრთხილი პოლიტიკისაკენ მოუწოდებდა (117, 562).

ამრიგად, XIX საუკუნის დასაწყისისათვის მართალია მთლიანად კავკასია ჯერ კიდევ არ იყო რუსეთის მიერ დაპყრობილი, მაგრამ მისი იმპერიაში შერწყმა თვითმპყრობელური რუსეთისათვის უკვე უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სტრატეგიული ამოცანა გახდა.

კავკასიის მოსახლეობის საერთო ისტორიული ბედი მისი არსებობის დასაწყისიდანვე განისაზღვრებოდა საგარეო ფაქტორის პოლიტიკური ინტერესით. მსოფლიოში გაბატონებისათვის პრეტენდენტი ქვეყნები, კავკასიის ხელთ გდებისაკენ მიისწრაფოდნენ და ამ უკანასკნელის ათვისებას ერთიანად ცდილობდნენ, რადგან ისინი კავკასიის მხოლოდ ერთ მთლიანობად მოიაზრებდნენ. ერთიანი კავკასიისათვის მოცილე ქვეყანა ისწრაფოდა არ დაეშვა კავკასიის გაყოფა თავის პრეტენდენტ სახელმწიფოსთან და მის სრულ მორჩილებას ლამობდა. ასეთ შემთხვევაში, კავკასია და მისი მოსახლეობა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ერთ მთლიან ორგანიზმად ყალიბდებოდა და შეძლებისდაგვარად, პოლიტიკურ გარემოებასთან შესატყვისობით ერთიანდებოდა.

ასეთ ვითარებასთან გვაქვს ადგილი, როდესაც ძველ იმპერიათა გვერდით, შედარებით ახლადჩამოყალიბებული მზარდი რუსული სახელმწიფო გამოდის საერთაშორისო არენაზე და მსოფლიოში გაბატონების პოლიტიკას კავკასიის თავდაპირველი ათვისებით ცდილობს. რუსეთისათვის კავკასია გაუმიჯნავი ერთეული იყო, თუმცა ამ რეგიონში ფეხის მოკიდებას ის უშუალოდ მეზობელი ნაწილის – კავკასიის ჩრდილოეთიდან იწყებს. ამ ფაქტს, ბუნებრივია, სათანადო ახსნაც მოეძებნება. რუსეთისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ კავკასიის მთიელი მოსახლეობა განვითარებული შუასაუკუნეებიდან მოყოლებული მაჰმადიანური აგრესიის ძლიერ ზეწოლას განიცდიდა, რაც გადაგვარებით

ემუქრებოდა იქაური მრავალრიცხოვანი ეთნოსის თვითმყოფადობას. ეს უკანასკნელი რუსეთის იმპერიამ კავკასიელი ხალხის სატყუარად გამოიყენა და მთიელთა „გადარჩენისა და დაცვის" ეგიდით დაიწყო მიზნობრივად თავისი პოლიტიკური ინტერესების გატარებისათვის ეტაპობრივი მუშაობა.

ზემოაღნიშნულის განხორციელებას ბუნებრივია, სათანადო პოლიტიკური კურსის შემუშავება ესაჭიროებოდა, რომელიც საგანგებო თეორიით და იდეოლოგიით იქნებოდა გამყარებული. ასე შემუშავდა ე.წ. „კავკასიელთა გადარჩენის თეორია", რომლის მიღმაც საგარეო, თუ შიდაკავკასიური ფაქტორისათვის შენიღბული პოლიტიკა ხორციელდებოდა.

„კავკასიელთა გადარჩენის თეორიას" თავისი კარგად გამიზნული მოქმედების ტაქტიკა და შესატყვისი საფუძვლებიც გააჩნდა, რაც უდაოდ საძიებელია იმ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტერესებში, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს გააჩნდა კავკასიის მიმართ. ეს საფუძვლები იმთავითვე, XVI საუკუნის II-ე ნახევრიდან ჩნდება, როდესაც კავკასიამ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში გამოკვეთილი ადგილი დაიკავა. ამ დროიდან რუსეთ-ჩრდილო კავკასიის ურთიერთობა ცალმხრივი და ცალსახა არ ყოფილა. ეს კავშირები ორივე მხარის ინტერესებში იყო. განსაკუთრებით აქტიურობდა კავკასიის მთის მოსახლეობა, რომელიც რუსეთის სამხედრო ძალის მეშვეობით ცდილობდა მოეგერიებინა აგრესიული მაჰმადიანური სამყარო. ასეთი ქმედებით, ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა თავისივე ხელით აკეთებდა რუსეთის საქმეს, როდესაც ის მზადყოფნაში იყო მიეღო ცარიზმის ქვეშევრდომობა და ნებსით თუ უნებლიედ აჩქარებდა ამ უკანასკნელის გაბატონებას კავკასიაში.

„კავკასიური თეორიის" უპირველეს საფუძვლად უნდა მოვიაზროთ იმ სახელმწიფოების პრეტენზიები კავკასიის

მიმართ, რომლებიც საერთაშორისო არენაზე ახლადგამოჩენილ რუსეთს უპირისპირდებოდნენ. რუსეთს სწორედ ამ ქვეყნებისაგან უნდა „დაეცვა" კავკასიელი ხალხი და პარალელურად, თავისი პრესტიჟი დაემკვიდრებინა მსოფლიოში. „კავკასიელთა დაცვის თეორიაში" მტკიცედ იდგა საკითხი იმის შესახებ, რომ რუსეთს აშკარად არ ემოქმედა კავკასიელთა სასარგებლოდ, შეენიღბა მისი ინტერესები კავკასიაში და ამით არ გაეღიზიანებინა მოპირისპირე ბანაკი (მუსლიმური სამყარო — თურქეთი, ირანი, და ყირიმის სახანო — ქ.პ.).

კავკასიური პოლიტიკის განხორციელებაში „გადარჩენის თეორია" ყოველთვის არ ამართლებდა და ხშირად, რუსეთს სერიოზულ ბარიერს პროთურქული ორიენტაციის კავკასიელებიც უქმნიდნენ. ამ ნაწილს, ამავდროულად, პრეტენზია გააჩნდა სამხრეთ კავკასიაზე, ანუ ჰეგემონობა სურდა ერთიან კავკასიაში, რაც ბუნებრივია, რუსეთის პრეტენდენტ — თურქეთის იმპერიის ინტერესებშიც იყო.

„კავკასიელთა გადარჩენის" თეორიის მნიშვნელოვან საფუძვლად ეკონომიკური ფაქტორიც მოიაზრება. რუსეთი იმთავითვე ცდილობდა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარებასა და შემდგომ განვითარებას, ხოლო როდესაც ამ ფაქტორმა მის საგარეო პოლიტიკაშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა, რუსეთის ხელისუფლების წინაშე დადგა საკითხი ასეთი სახის კავშირები კიდევ უფრო გაეღრმავებინა. ამ შემთხვევაში, რუსეთის პოლიტიკაში უკვე ჩნდება სამხრეთ კავკასიის ათვისებისათვის საგანგებო გეგმის შემუშავებისათვის მეცადინეობის დაწყება. ამ დროს, საქართველომ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა და ის რუსეთის ინტერესებში ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონად ჩამოყალიბდა.

„კავკასიელთა გადარჩენის თეორიის" რუსული ვერსია XVIII საუკუნიდან სამხრეთ კავკასიაზეც განივრცო. რუ-

სეთს ერთიანი კავკასიის ათვისებისათვის ერთდროულად უნდა ებრძოლა როგორც პოლიტიკის, ისე ეკონომიკის სფეროში გავლენის მოპოვებისათვის. ამავდროულად, ამ მიზნის განხორციელებაში მას დაპირისპირება უწევდა დასავლეთით — თურქეთის იმპერიასა და ყირიმელ ხანებთან, ხოლო აღმოსავლეთით ირანთან და შიდაკავკასიურ სახანოებთან, რომლებიც ამიერკავკასიაში გაბატონებისა და ჰეგემონობისათვის თავად იბრძოდნენ. რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები კავკასიაში გადაეჭდო ზემოაღნიშნული ქვეყნების პოლიტიკურ ზრახვებს, რამაც მათ შორის ომების თითქმის უწყვეტი ციკლი გამოიწვია და, რომლის ასპარეზიც კავკასია იყო.

XVIII საუკუნის მიწურულისათვის რუსეთმა ფაქტობრივად დაჯაბნა თავისი მეტოქე ქვეყნები და ჩრდილო კავკასიაში გაბატონებით გზაც გაიხსნა სამხრეთისაკენ. ამ დროიდან, „კავკასიელთა გადარჩენის თეორიამ" ამოწურა თავისი შესაძლებლობები, რამეთუ აშკარა გახდა რუსეთის რეალური მიზნები კავკასიისადმი, რასაც ამ რეგიონის მოსახლეობამ თავდაცვითი წინააღმდეგობით უპასუხა. მართალია, რუსეთი ჯერ კიდევ ფრთხილობდა კავკასიაში უხეშ ჩარევაზე, ახორციელებდა ერთი შეხედვით ლოიალურ პოლიტიკას მთის მკვიდრი მოსახლეობისადმი, რაც ვლინდებოდა ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციისადმი მიმართული რუსეთის მთავრობის პოლიტიკური დავალებებით, მაგრამ რუსეთი თანდათანობით ემზადებოდა კავკასიაში სრული პოლიტიკური გაბატონებისათვის, ამ მხარის სრული ასიმილაციისათვის იმპერიის ფართო მასშტაბებში.

## §2. „კავკასიელთა გადარჩენის" რუსული თეორიის კულტურულ-სარწმუნოებრივი საფუძველი („ოსეთის სასულიერო კომისია")

„კავკასიელთა გადარჩენის" რუსული მოდელი იმთავითვე თავის ჯავში კულტურულ ფაქტორსაც მოიცავდა, ხოლო ამ ფაქტორის უპირველესი საფუძველი კი სარწმუნოება იყო. კავკასიის მოსახლეობის ეთნიკურ-აღმსარებლობითი სიჭრელე კავკასიაში რუსული პოლიტიკის გატარებისათვის მეტად რთულ პირობებს ჰქმნიდა. რუსეთისა და კავკასიის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა კონტაქტებმა ნათლად დაანახა რუსეთს ამ მხრივ არსებული ურთიერთგამომრიცხავი მოვლენა-ფაქტორები. პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა, ელჩთა გაცვლა-გამოცვლამ, სავაჭრო აგენტურის საქმიანობამ, დიპლომატიურმა შეხვედრა-მოლაპარაკებებმა, რუსეთის ხელისუფლება ღრმად ჩაახედა კავკასიის რთულ ისტორიასა და მათი ხალხის სპეციფიკურ ცხოვრებაში. რუსეთის სახელმწიფოს ჩრდილო კავკასიაში დახვდა თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის თავდაუზოგავად მებრძოლი ხალხები, რომლებიც სამხრეთ კავკასიასთან ერთიანობით ცდილობდნენ რეგიონის დაცვას გარეშე კულტურული ელემენტისაგან. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, კავკასიელთა ცნობიერებისათვის ღრმა კვალი დაუმჩნევია ათასი რჯულის მომხდურს და, მაინც ისინი მუდგარი ბრძოლით ცდილობდნენ დაკავშირებოდნენ ისეთ გარე ძალას, რომელიც ძველი აგრესორებისაგან განსხვავდებოდნენ და მფარველობის პირობით კავკასიელ ხალხს „საბოლოო გადაგვარებისაგან" იხსნიდნენ. ასეთ ძალად კავკასიელებმა ახლადცენტრალიზებული, მზარდი დიდი სახელმწიფო — რუსეთი მოიაზრეს. რუსეთმა იმთავითვე აუღო ალღო კავკასიელთა სწრაფვას ჩრდილოელი მეზობლისაკენ და თავისი პოლიტიკური ინტერესე-

ბის გატარება აქტიურად დაიწყო. რუსმა სახელმწიფო მოხელეებმა, მოგზაურებმა ზედმიწევნით აითვისეს კავკასიელ მთიელთა არა მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ მათი კულტურა, ტრადიციები და, რაც მთავარია, ალმსარებლობა, სადაც აღმოჩნდა, რომ ეს რეგიონი ქრისტეს მოციქულთა მარშრუტში თავსდებოდა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ამ ფაქტორის გამოყენებით, სულიერი უძველესი კონტაქტების სპეკულაციით რუსეთი უფლებას მისცემდა თავს ეტვირთა კავკასიელი ხალხის „გადარჩენის" მისია, როგორც უძველესი ქრისტიანი ხალხებისა, რომელთაც ურჯულოთა (მაჰმადიანობა — ქ.პ.) მხრიდან დაღუპვა ემუქრებოდათ. ასე ჩამოყალიბდა „კავკასიის გადარჩენის თეორიაში" მართლმადიდებელ სჯულზე — ქრისტიანობაზე კავკასიელი ხალხის დაბრუნება — მოქცევის ძირითადი მოქმედების ხაზი.

რუსეთის იმპერიის ჩრდილო კავკასიაში აბსოლუტურ პოლიტიკურ გაბატონებამდე მთიელთა შორის კულტურული განმანათლებლობა მხოლოდ მათი გაქრისტიანებით, ანუ უძველეს რელიგიაზე მათი შემობრუნების მეცადინეობით შემოიფარგლებოდა. XIX საუკუნიდან კი ამ მიმართულებით საქმიანობას საერო კულტურული რეფორმაციაც (კოლონიზატორულ-ასიმილატორული პოლიტიკა) დაემატა.

მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში (XVI ს-ის II-ე ნახევარი — ქ.პ.) ჩრდილო კავკასიამ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა და მისით დაინტერესდა, აქ მას მთიელთა ალმსარებლობის ნაირსახოვანი გამოვლინება დახვდა; მთიელი დაღესტნელები, ნოღაიდელნი, ჩეჩნები აღიარებდნენ ისლამს; ოსებს შორის ისლამი ძირითადად დიდგვაროვან ფენაში გავრცელდა, რომელიც პირველად წერილობით წყაროებში 1741 წელს ფიქსირდება; ბალყარებსა და ყარაჩაელთა შორის კი XVII-XVIII საუკუნეებში, ყაბარდოელებში XVII საუკუნეში,

ხოლო ადიღე-აფაზიანები XVI-XVII საუკუნეებში ნახევრად მუსულმან, ნახევრად ქრისტიანებად ითვლებოდნენ. ამ ხალხებში, მიუხედავად იმისა, რომ ყირიმელი ხანების პოლიტიკით ცეცხლითა და მახვილით ვრცელდებოდა ისლამი, XVIII საუკუნეშიც ისლამი არ მიიჩნეოდა გაბატონებულ რელიგიად.

ჩრდილო კავკასიელთა სოლიდური ნაწილი წარმართობას ინარჩუნებდა, რომელიც თავის თავში შეიცავდა ქრისტიანობის ელემენტებს; იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფორმალურად აღიარებდნენ ისლამს და არ უარყოფდნენ ისლამამდელ საკულტო წესებსა და წარმოდგენებს. ამიტომ იყო გაუგებარი დასავლეთ ევროპელი მოგზაურობისათვის (XVII XVIII სს.) კავკასიის ხალხების აღმსარებლობა. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიისადმი მიწერილ წერილში ცნობილი ენათმეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე პეტრე უსლარი იუწყებოდა – „...წარმართების მიერ ქრისტიანობის მიღება განისაზღვრება იმით, რომ ისინი იწყებენ ქრისტიანთა ღმერთის თაყვანისცემას, მაგრამ ამავდროულად არ წყვეტენ კავშირს საუკუნოვან თავიანთ ღმერთებთან. ისინი შიშობენ, რომ არ გაანაწყენონ თავიანთი ღმერთები და იცავენ მათ წესებს, რომლებიც საოჯახო ტრადიციებშია შერწყმული. ასე წარმოიშვა რელიგია, რომელიც წარმოადგენს ქრისტიანობისა და წარმართობის ნარევს და უკანასკნელს წამყვანი პოზიციები უკავია" (407).

ამრიგად, XVI-XVIII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიელი ხალხების რელიგია მრავალსახოვანი იყო. ის თავის თავში მოიცავდა როგორც გვაროვნულ-პატრიარქალურ, ისე კლასიკური რელიგიის ელემენტებს, რაც თავის მხრივ ართულებდა რეგიონის როგორც შიდა სოციალურ ურთიერთობებს, ისე გარე სამყაროსთან კონტაქტებს. ყოველივე ეს კი სერიოზულად აფერხებდა აქაური ხალხის კულტურულ პროგრესს.

ქრისტიანული რელიგია პირველი მონოთეისტური სარწმუნოება იყო, რომელმაც ჩრდილო კავკასიაში შეაღწია. ანტიკური ეპოქის წერილობითი წყაროები და ქართული მატიანეები იუწყებიან, რომ მოციქულთა ეპოქაში მთიელები უკვე გასცნობიან ქრისტიანულ სწავლებას, ხოლო მისი გასახელმწიფოებრიობისთანავე (IV ს-ის 20-იანი წწ.– ქ.პ.) ბიზანტიის პოლიტიკურ ინტერესებში მოქცეული კავკასია ქრისტიანობის დამკვიდრების აქტიური ასპარეზი გახდა. ერთიანი კავკასიური სახლის შექმნის პერიოდში კი (XI-XII სს. — ქ.პ.) ჩრდილო კავკასია ქართული ქრისტიანობის გავრცელების არეალია, რაზეც მრავალრიცხოვანი წერილობითი ძეგლები, ლაპიდარული წარწერები, არქეოლოგიური მონაცემები მეტყველებენ (411, 25452, 44).

კონსტანტინოპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ, ოსმალთა იმპერიის ვასალური სახელმწიფოს ყირიმის სახანოს შექმნამ შეცვალა ჩრდილო კავკასიის შიდა და საგარეო პოლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრება. ამ ქვეყნებმა დაიწყეს თავიანთი იდეოლოგიის — ისლამის ძალდატანებით დანერგვა კავკასიელ მთიელებში. შ. ნოგმოვის[1] აზრით — „მთიელთა რუსულ ორიენტაციაში ქრისტიანობა უდიდეს როლს ასრულებდა. ეს კანონზომიერი მოვლენა იყო, რადგან XVI საუკუნეში თემურყვა იდაროვის დროს ადიღები ნახევრად მუსულმანი — ნახევრად ქრისტიანები იყვნენ... დასაშვებია, რომ ქრისტიანული რელიგია, რომელიც ძველად გაავრცელეს ბერძნებმა შავ და კასპიის ზღვებს შორის ჯერ კიდევ ძლიერი ძალა იყო ჩვენს ხალხებს შორის, ამ მიზეზმა უბიძგა ჩვენს ხალხს რუსებთან კავშირი-

---

[1] შორა, ნოგმოვი — ეროვნებით ადიღე, მეცნიერ-განმანათლებელი, XIX საუკუნის I ნახევრის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე; რუსული ორიენტაციის იდეოლოგი ადიღეებში და თვითმპყრობელური აპარატის მოხელე კავკასიაში.

საკენ, როგორც ერთმორწმუნე ქვეყნისაკენ და ეახლნენ მეფე ივანე ვასილის ძეს მფარველობის სათხოვნელად" (188, 24-25). ბუნებრივია, შ. ნოგმოვის მოსაზრება არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ის რელიგიის ფაქტორს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩრდილო კავკასიელ მთიელთა საგარეო პოლიტიკურ კურსში, რამეთუ ის ამავდროულად, მიუთითებდა კავკასიის შიდა დაქუცმაცებულობასა და კრიზისზე, რაც ასევე აიძულებდა მთიელებს დახმარებისათვის მიემართათ რუსეთის ხელისუფლებისათვის. მაგრამ, ამ სწორი საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებაში ქრისტიანობამ შეასრულა თავისი დადებითი როლიც, რამეთუ ისლამი, როგორც გაბატონებული რელიგია, მაგალითად ყაბარდოში მხოლოდ XVIII საუკუნის დასაწყისში მკვიდრდება. ნიშანდობლივია, რომ XVI-XVII საუკუნეების მანძილზე, არც რუსეთის სახელმწიფოსათვის გააჩნდა წამყვანი დატვირთვა საგარეო პოლიტიკურ კურსში კავკასიას, მაგრამ ისტორიულმა გამოცდილებამ და მთიელთა გარემოებით შექმნილმა იძულებითმა ლტოლვამ (რუსეთის მფარველობის თხოვნამ – ქ.პ.) რუსეთის ხელისუფლებას უბიძგა ქრისტიანობის ამ პოლიტიკურ კურსში ჩართვისაკენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ რუსეთმა თავი „მესამე რომის" პრეტენდენტად გამოაცხადა, ე.ი. მას ბიზანტიის მისია უნდა გაეგრძელებინა და ქრისტიანობის აღდგენა – დაცვით „ეხსნა" კავკასიელი ხალხი დაღუპვისაგან, რამეთუ რუსეთი მსოფლიოში ქრისტიანობის დამცველად და ბიზანტიის მემკვიდრედ აცხადებდა თავს.

ამრიგად, რუსეთის თეორიამ „კავკასიის ხალხების ხსნის შესახებ" სარწმუნოების სფეროში ცვლილებებით იჩინა თავი და მთელი ძალით ამოქმედება XVIII საუკუნიდან დაიწყო, როდესაც მას საამისო საერთაშორისო პოლიტიკური გარემოება შეექმნა. შ. ნოგმოვის პრორუსული

იდეოლოგიაც დასაშვებია ამ სახით და მნიშვნელობით გავიაზროთ. რუსეთის ამ მიმართულებით მუშაობამ კავკასიაშიც ჰპოვა გამოძახილი, რომლის ბრწყინვალე ნიმუში შორა ნოგმოვი და მისდაგვარი ცარიზმის ჩინოვნიკები იყვნენ. რუსეთის ამგვარმა პოლიტიკამ, რომელიც მთელი XVIII საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა, XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლებას უკვე შედეგები მოუტანა. ჩრდილო კავკასიის ერთი ფენა რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელ-იდეოლოგი გახდა თავის მოსახლეობას შორის და ცარიზმის ავტორიტეტის დამკვიდრება — ამაღლებისათვის მებრძოლად ჩამოყალიბდა; მაგრამ, მაინც, ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანული სარწმუნოების მეშვეობით რუსული იდეოლოგიის დამკვიდრებაში საქართველომ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. საქართველო კავკასიელ მთიელებში ქრისტიანობის აღდგენითი საქმიანობისას სრულიად არ ითვალისწინებდა ამ ხალხის კოლონიურ ყოფაში მოქცევას. საქართველოს ავტორიტეტი მთიელებში რუსეთისათვის შესანიშნავი საშუალება იყო თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის.

საქართველოს ჩრდილო კავკასიაში სამისიონერო მოღვაწეობას უძველესი ისტორია გააჩნია, რაზეც ქართული (356, 291, 292) და უცხოური წერილობითი წყაროები მეტყველებენ. ათონის ქართველთა მონასტრის „ივირონის" ალაპებში გადმოცემულია — დიდად ელვაწეს ქართველმა მისიონერებმა კავკასიელთა მთიულებს შორის და სადაც არ იცოდნენ სინათლე, გარნა მზის ნათლისა, გამობრწყინდა ჭეშმარიტი სინათლე ცხოვრებისა და დაინგრა ზღუდე მთიელთა და ქრისტიან საქართველოს შორის" (415, 256). აღნიშნული დოკუმენტი ნათელი დას-

ტურია იმ მოვლენისა, რომ ქართველებს და მთიელებს იდეოლოგიური ერთობა აკავშირებდათ, რაც ქრისტიანული რწმენის მიდევნებაშიც გამოიხატებოდა.

ისტორიული ტრადიციის თანახმად, ქართველ მეფედიდებულებს არასდროს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ ჩრდილო კავკასიელები: უგებდნენ ეკლესია-მონასტრებს, უგზავნიდნენ საეკლესიო ინვენტარს, აწესებდნენ სასულიერო კრებულს და სხვ. — „... მეოხსა სადღეგრძელოდ ჩვენდა და მეფობისა ჩვენისა წარმატებლად... ჩუენ ხელმწიფემან ქართლისა მეფე გიორგი მცირემან შემოგწირეთ ზარი ესე ძლვინისა წმინდა გიორგის ძლევისა მოცემად ჩვენდა. ქორონიკონსა ტნიბ (1673წ)" (329).

ჩრდილო კავკასიის ეთნოსის — ალანების, როგორც ქრისტიანი ხალხების შესახებ ჯერ კიდევ IV საუკუნეში იუწყებოდნენ წმინდა კირილე და იოანე ოქროპირი. მათი ცნობით, ამ ხალხს უკვე გააჩნდათ წმინდა წერილი მშობლიურ ენაზე (406, 1243, 4). აღნიშნულის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ოსური სახელწოდებები რიგი ტაძრების, ეკლესიების, საეკლესიო ინვენტარის და ზოგადად საეკლესიო ტერმინოლოგია ძველი დროიდანვე ქართული ლექსიკოგრაფიიდან მომდინარეობს. და ბოლოს, ქართველი სასულიერო ფენის კავკასიის მთიანეთში წარმატებული მოღვაწეობის შესანიშნავი დასტურია ის ფაქტი, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ნეკრესის ეპარქიაში არსებობდა სამისიონერო სკოლა, რომელიც გამოცდილ მისიონერ-მქადაგებლებს ამზადებდა კავკასიის მთიანეთის მოსახლეობისათვის (415, 58, 158).

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით სტაბილური გახდა, მკვეთრი აღმავლობა განიცადა ქართული კულტურის ყველა სფერომ, რომელიც საქართველოს კულტურის ისტორიაში „მცირე აღორძინების" ეპოქის სა-

ხელით არის ცნობილი. საქართველოში მძლავრად იჩინა თავი რუსული კულტურის პირველმა ელემენტებმა და ევროპული განმანათლებლობის იდეოლოგიამ. ცნობილი ქართველი მეცნიერის ალ. ხახანაშვილის თქმით — „ეს არის პერიოდი, როდესაც საქართველო განიცდის თავის ცხოვრებაში ერთ-ერთ ძლიერ აღმავლობას. ეს იყო უკანასკნელი სიმპთომი დაღუპვისათვის განწირული პოლიტიკური ორგანიზმისა" (98, 145).

XVIII საუკუნეში განსაკუთრებით გაძლიერდა მაჰმადიანური სამყაროს კულტურულ-პოლიტიკური გავლენა ჩრდილო კავკასიაზე. პარალელურად, რუსეთი აქტიურად მოქმედებდა კავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთ საშუალებად იგი ქრისტიანულ-კულტურული ზეგავლენის დამკვიდრებას მოიაზრებდა კავკასიელ მაჰმადიან და წარმართ მოსახლეობაში. აღნიშნულ საქმეში, რუსეთი ერთგულ მოკავშირეს ეძებდა, რომელიც ერთმორწმუნეობის საბაბით რუსეთს პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ამოცანების გადაჭრაში დახმარების ხელს გაუწვდიდა. ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებაში ბუნებრივია, რუსეთმა ჩართო მართლმადიდებელი ეკლესია და მის სასულიერო კრებულს უდიდესი მისია დააკისრა — მათ მისიონერული მოღვაწეობით რუსული საქმე უნდა ეკეთებინათ კავკასიაში. მიმდინარე პრობლემის გადაჭრაში ცარიზმის ხელისუფლებამ ყურადღება ქართველ სამღვდელოებაზე შეაჩერა, რადგან კარგად უწყოდა ქართველთა ამ მიმართულებით საქმიანობის საუკუნეებრივი გამოცდილება, მათი ავტორიტეტი მთიელებში და, რაც მთავარია, ქართველთა სარწმუნოებრივი მენტალობა — ქართველისათვის სარწმუნოებრივი ერთობა, სისხლით ნათესაობაზე მაღლა იდგა. ამით იყო განპირობებული, რომ რუსეთმა თავის პოლიტიკაში ჩართო ქართველი სამღვდელოება და ჩრდილო კავკასიაში ქრის-

ტიანულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელმძღვანელობა დააკისრა (263, 403, 405).

1744 წელს სანკტ-პეტერბურგში მიიღეს საიმპერატორო ბრძანებულება მისიონერთა გაგზავნაზე ოსეთში ქრისტიანობის „აღდგენისათვის" (215, 495). ქართველ მისიონერებთან ერთად გაიგზავნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. მათ შორის იყვნენ ნეკრესის სამისიონერო სასწავლებლის კურსდამთავრებული მთიელებიც, რუსულ ციხე-სიმაგრე-ქალაქებში მცხოვრები ქართველი და სომეხი მართლმადიდებელი სასულიერო პირები და სხვა (271, 272). ადგილობრივი ქართველი სამღვდელოების ძალისხმევით, 1735 წელს წმინდა ჯვრის ციხე-სიმაგრის გაუქმების შემდეგ, სასაზღვრო ციხედ გამოცხადდა ყიზლარი და იქ სამისიონერო საქმიანობას ჩაეყარა საფუძველი. მოგვიანებით კი 40-იან წლებში, იმპერიის მასშტაბით შეიქმნა სამისიონერო ორგანიზაცია — „ოსეთის სასულიერო კომისია". „კომისიის" დაარსება პირდაპირ უკავშირდებოდა რუსეთ-თურქეთის საერთო ინტერესებს ჩრდილო კავკასიისადმი, სადაც თურქეთის მაჰმადიანური სარწმუნოების პროპაგანდას რუსეთმა მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის აგიტაციით უპასუხა. აშკარა იყო, რომ ორივე მხარისათვის სარწმუნოების საკითხი პოლიტიკური ორიენტაციის ამოცანას წარმოადგენდა. ამავდროულად, რუსეთი ცდილობდა ჩრდილო კავკასიისადმი მიმართული პოლიტიკური ინტერესების შენიღბვას, რის გამოც სასულიერო მისიის საქმიანობა ოფიციალურად ქართველი სამღვდელოების პრეროგატივად გამოაცხადა (101, 43). უწმინდესი სინოდის სათანადო დადგენილებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მისიონერებად ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ ქართველი სასულიერო პირები გაიგზავნებოდნენ (209, 37).

ჩრდილო კავკასიაში სამისიონერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობისათვის გაგზავნილ პირველ ნაკადში ქართველ

სამღვდელოებას შორის იყვნენ: მოსკოვის ზნამენსკის მონასტრის წინამძღვარი ნიკოლოზი, მთავარეპისკოპოსი პორფირი, ეპისკოპოსი — იოანე მანგლელი, გაიოზ მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსი დანიელი, მთავარეპისკოპოსები — ამბროსი ნეკრესელი, დოსითეოს ფიცხელაური, ნიკიფორე ჯორჯაძე, არქიმანდრიტები: ელეფთერი და ათანასე, პროტოიერები: დიმიტრი ალექსი-მესხიშვილი, იოანე ოსეშვილი, დავით ჩუბინიშვილი და სხვ. (245, 63, 415, 35, 5); პლატონ იოსელიანის ხელნაწერებში აღმოჩენილია დოკუმენტი (ქართულ ენაზე) — „მღვდელ-მონაზონი დანიელი ლარგვისის მონასტრისა, მან უქადაგა სახარება დიდოელებს, და მრავალნი ოსნი მოაქცია და მონათლა" (415, 35, 5).

კავკასიელ მთიელებში განწესებულ სამღვდელოებას ჯამაგირის სახით წელიწადში 472 მანეთი დაენიშნა (411, 25452, 44). ისინი უწმინდესი სინოდის ინსტრუქციებით აღჭურვილნი აქტიურად შეუდგნენ საგანმანათლებლო საქმიანობას მთიელებში. ეს „მისია" 1769 წლამდე იღწვოდა და 2142 კაცი მოაქცია. სამღვდელოება მთავრობის დავალებით მთიელებს სისტემატიურად ურიგებდა საჩუქრებს ფულისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების სახით (415, 56, 159).

1764 წლის 21 ოქტომბრის საიმპერატორო ბრძანებულებით, რომელიც დაეგზავნათ ასტრახანის გუბერნატორს ბეკეტოვს და მოზდოკის ხაზის კომენდანტს გენერალ დე-მედემას — მოზდოკში გაიხსნა სკოლა ოსი, ინგუში, ჩეჩენი და სხვა ეროვნების ბავშვებისათვის (406, 1243, 6). სკოლაში პირველ ეტაპზე 50-მდე მოსწავლე სწავლობდა სახელმწიფო ხარჯზე; მეცადინეობები ქართულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობდა; ისწავლებოდა ლოცვები, დაწყებითი არითმეტიკა და სხვა დისციპლინები.

„ოსეთის სასულიერო კომისიამ" ნაყოფიერად დაიწყო მოღვაწეობა და საგრძნობ წარმატებებსაც მიაღწია. აღნიშ-

ნულის მიზეზი საძიებელია ქართველი სამღვდელოების მთიელთა შორის რამდენიმეწლიან აქტიურ საქმიანობაში. „კომისიის" დაარსებამდე, ქართველ სასულიერო პირებს მყარი ნიადაგი ჰქონდათ შემზადებული მთიელებში და მაღალი ავტორიტეტითაც სარგებლობდნენ. ასეთ პირთა შორის, ვინც პირველმა გაჰრა განათლების ხნული ჩრდილო კავკასიელ მთიელებში იყო ცნობილი ქართველი მისიონერი — იოანე მანგლელი. 1724 წელს ის პირველად ჩავიდა დაღესტანში და დერბენდში ააგო პირველი ეკლესიაც. 1737 წლიდან იოანე მანგლელმა დატოვა დერბენდი[1] და ასტრახანის სამების მონასტერში მოღვაწეობდა, ხოლო 1739 წლიდან რამდენიმე სამღვდელო პირთან ერთად გადავიდა ყიზლარში და ქართული ჯვართამაღლების ეკლესიის გვერდით დააარსა მონასტერი, ხოლო მასთან გახსნილ სასწავლებელში სხვა დისციპლინებთან ერთად ისწავლებოდა ქართული ენა და ლიტერატურა. ამ უკანასკნელის სწავლა აუცილებლობით იყო განპირობებული, რამეთუ ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ოსური ანბანი და, არც სასულიერო ლიტერატურის თარგმანი არ მოიძებნებოდა. ერთიც და მეორეც, ქართული კულტურის მოღვაწეთა სახელთან არის დაკავშირებული. სკოლას უნდა აღეზარდა ღვთის სიტყვის მომავალი მქადაგებლები კავკასიის მთიანი მოსახლეობისათვის (245, 65).

როგორც აღინიშნა, ქართველმა სამღვდელოებამ აქტიურად მოჰკიდა ხელი ქრისტიანობის გავრცელების საქმეს კავკასიის მთიელებში. ისინი მთელი ძალისხმევით ცდილობდნენ ერთ დროს ქრისტიანი ხალხების მართლმადიდებლობისაკენ შემობრუნებასა და მათ შორის ქართული კულტურის დამკვიდრებას. როგორც ქართველი მეცნიერი,

[1] 1735 წელს რუსეთის ჯარებმა დატოვეს დერბენდი და მას ირანი დაეუფლა.

საზოგადო მოღვაწე და სასულიერო პირი კირიონ საძაგლიშვილი (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II) აღნიშნავდა – „ქართული მონასტრები ჩრდილო კავკასიაში წარმოადგენდა თავისებურ სამისიონერო სადგურებს – ეს იყო სიმაგრეები, რომელთა გარშემოც ჯგუფდებოდა მთავარი ძალები ურჯულოთა პროპაგანდისა და ანტიეროვნული მისწრაფებების წინააღმდეგ ბრძოლისათვის (415, 51, 32).

ქართველმა სამღვდელოებამ განამტკიცა ადგილობრივ მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნება, რომელიც დეგრადირებას განიცდიდა გარე დამპყრობლების აგრესიის გამო. ქართველი სამღვდელოების სახელს უკავშირდება ჩრდილო კავკასიის ხალხების ეროვნული კულტურის დაცვა და იქ ქართული კულტურის ელემენტების დანერგვა.

ქართველ სამღვდელოებას უკიდურესად მძიმე გარემოებაში უხდებოდა მოღვაწეობა. მათ სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდნენ ადგილობრივი მაჰმადიანი სასულიერო პირები. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ქართული მისიონი" რუსეთისაგან სათანადოდ არ ფინანსდებოდა საჭირო სახსრებით (3415, 35, 7-9). ხშირი იყო მისიონერთა ძარცვის, ფიზიკური შეურაცხყოფისა და მკვლელობის ფაქტებიც. ასეთი გარემოების გამო, ქართველი განმანათლებლები ვერ აღწევდნენ კავკასიის ხეობათა სიღრმეებში, რაც ბუნებრივია, აბრკოლებდა მათ სწრაფ და წარმატებიან საქმიანობას. მიუხედავად ამისა, 1745-1757 წლებში ქართველი სამღვდელოების ძალისმხევით ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანულ სჯულზე მოექცა 2141 კაცი, ხოლო 1772-1792 წლებში – 6057მთიელი (415, 12, 33).

ქართული ენისა და კულტურის დამკვიდრების მიმართულებით მეცადინეობამ უაღრესად დადებითი ნაყოფი გამოიღო კავკასიის მოსახლეობის ეროვნული კულტურის განვითარების საქმეშიც. ქართულ კულტურასთან ზიარებამ, კავკასიელ მთიელებს ნიადაგი შეუქმნა ეროვნული თვითმყოფადობის გამოვლინებაში და ქართული ენაც კავკასიის ხალხებისათვის გახდა ორგანული ნაწილი და წყარო, საიდანაც ისინი სულიერ საზრდოს იღებდნენ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქართველი სასულიერო მოღვაწენი შუამავლის ფუნქციით გამოდიოდნენ კავკასიელთა და რუსი მოსახლეობის კულტურულ ურთიერთობებში; ამავდროულად, ისინი აახლოებდნენ მთიელებს არარუს ერებთან. მეორეს მხრივ, ქართველმა სამღვდელოებამ საფუძველი ჩაუყარა ჩრდილო კავკასიის ხალხთა წესჩვეულებების, ისტორიის და ბუნებრივ სიმდიდრეთა მეცნიერულ შესწავლას. ქრისტიანობის გავრცელებას თან სდევდა წერა-კითხვისა და განათლების შეტანა მთიელ ხალხებში, რომ არაფერი ითქვას ქართველი ბერების მიერ ოსური ანბანისა და შემდგომ, ოსურ ენაზე სასულიერო ლიტერატურის თარგმნის საქმეზე და ა.შ.

ქართველი სამღვდელოების კავკასიაში წარმატებულ მოღვაწეობას უდიდეს შეფასებას აძლევდა რუსეთის უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფლება. გენერალი ტორმასოვი რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა — „...ფაქტიურად, ქრისტიანობა მთიელ ტომებში არსებობდა მხოლოდ ქართველი მისიონერების წყალობით. ქართველი სამღვდელოება ყოველთვის იდგა თავისი მოწოდების სიმაღლეზე. მის წინაშე დავალე-

ბულნი არიან კავკასიის მთიელები: აფხაზები, ოსები, ქისტები, ლეკები, უდინები და სხვ. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე და მის შემდგომ, ქართველმა სამღვდელოებამ დიდი სამსახური გასწია კავკასიაში სამისიონერო — საგანმანათლებლო საქმეში" (415, 80, 61-62).

თავისი საქმიანობა-დანიშნულების მიხედვით, საგანმანათლებლო-მისიონერული პროპაგანდა ჩრდილო კავკასიაში რუსეთმა ორ ეტაპად დაჰყო:

1) რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე;

2) რუსეთის მიერ საქართველოს პოლიტიკური ათვისების შემდგომ.

ზევით ჩვენ განვიხილეთ რუსეთის სარწმუნოებრივი პოლიტიკის პირველ ეტაპი, როდესაც ის ერიდებოდა თურქეთ-სპარსეთის „განაწყენებას" და შენიღბული პოლიტიკით ცდილობდა ჩრდილო კავკასიის ათვისებას. თავის მხრივ, რუსეთის პოლიტიკის პირველი ეტაპიც ორ საფეხურად იყოფა. პირველი სტადიაზე რუსეთისათვის მომგებიანი იყო საქართველოს ფაქტორის წინ წამოწევა, რამეთუ საერთაშორისო გარემოება მისთვის ხელსაყრელ პირობებს არ ჰქმნიდა გამოემზეურებინა მისი ინტერესები კავკასიაში და ამით, ისლამური სამყარო კიდევ უფრო გაეღიზიანებინა. მეორე სტადია, რომელიც XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო, რუსეთისათვის მომგებიან ფონს ჰქმნიდა საერთაშორისო არენაზე (1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება და მისი შედეგები — ქ.პ.) და მან თანადათანობით დაიწყო თავისი ზრახვების გამოვლინება. ამავდროულად, რუსეთისათვის საქართველოს პოლიტიკა ჩრდილო კავკასიაში, რაც ქართული ეკლესიისა და მისი

სასულიერო კრებულის მეშვეობით ხორციელდებოდა, უკვე ერთობ გამაღიზიანებელი აღმოჩნდა. რუსეთის ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობაში ქართული ორიენტაციისა და კულტურული ელემენტის დანერგვა — მომძლავრება და რუსეთმაც მიზანმიმართულად დაიწყო ქართველი სამღვდელოების ჩამოშორება ქრისტიანობის გავრცელებისაგან ჩრდილო კავკასიელ მთიელებში: რუსეთის მთავრობამ ეტაპობრივად დაიწყო ქართველი სამღვდელოების ადგილზე რუსი სასულიერო ფენის ჩანაცვლება. ამ საქმეს უკვე XIX საუკუნის დასაწყისიდან საიმპერატორო კარი რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის სამღვდელოებას აკისრებდა, მას შემდეგ, რაც მოიპოვა პოლიტიკური აბსოლუტური ძალაუფლება ჩრდილო კავკასიაზე.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან რუსეთის იმპერიამ გაიმაგრა პოლიტიკური პოზიციები საერთაშორისო არენაზე და გაბედულად დაიწყო მთის მოსახლეობის მორჩილებისათვის ბრძოლა როგორც იარაღით, ისე სარწმუნოებრივი საშუალებებით. ამ დროიდან, ქართველმა სამღვდელოებამ რუსეთის მიერ დაკისრებული მისია და ფუნქციები ფაქტობრივად ამოწურა და უკანა რიგში გადაინაცვლა.

რუსეთის პოლიტიკური კურსის შეცვლას ბუნებრივია, სათანადო დასაბუთებაც ესაჭიროებოდა. რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო ქართველი სამღვდელოების დადანაშაულება კავკასიელ ხალხებში ქრისტიანობის არასრულყოფილად გავრცელების გამო და მათი მისამართით სისტემატიურ საყვედურებს გამოთქვამდა. თავის მხრივ, ქართველი

სამღვდელოება რუსეთის კავკასიურ ადმინისტრაციას აცდა-ნაშაულებდა სამისიონერო საქმიანობის წარუმატებლობაში, რომელიც უხეში მეთოდებით ცდილობდა კავკასიელთა იძულებით მორჩილებაში მოყვანას. პლატონ ზუბოვი ამ საქმის წარუმატებლობას კავკასიის სასულიერო ხელმძღვა-ნელობას აბრალებდა – „...1750 წელს დაარსდა „ოსეთის სასულიერო კომისია" ქრისტიანობის საქადაგებლად მთიელთა შორის, მაგრამ მან წარუმატებლობა განიცადა, რადგან მქადაგებელნი არ იყვნენ სწორად შერჩეულნი ქართველი სამღვდელოებიდან" (147, 85). ასეთი შეფასების შედეგად, რუსეთის ხელისუფლებას ხელ-ფეხი გაეხსნა აქ-ტიური ღონისძიებები გაეტარებინა ქართველი სამღვდელოე-ბის ჩამოშორებისათვის კავკასიის სამისიონერო საქმიანო-ბიდან.

1771 წლიდან „ოსეთის სასულიერო კომისიის" ძირი-თადი შემადგენლობა რუს სამღვდელოებაზე მოდიოდა. „კომისიის" ხელმძღვანელად დაინიშნა ჯერ დეკანოზი ათა-ნასე ლებედევი, ხოლო 1781 წელს ის დეკანოზმა თეოფანე ბოლგირსკიმ შეცვალა (415, 25, 6-8). მართალია, რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის სასულიერო საქმე რუსეთის ეკ-ლესიასა და მის სამღვდელოებას ჩააბარა, მაგრამ სათანადო ფინანსებს ქართული ეკლესიის ხაზინიდან ითხოვდა, რაც ამ უკანასკნელის ბუნებრივ უკმაყოფილებას იწვევდა – „...მე, დავნიშნე შვიდი მღვდელი მისიონერად ჩრდილო კავ-კასიაში და დავუნიშნე ჯამაგირი ქართული საეკლესიო ხა-ზინის შემოსავლიდან... ქართველი ხალხი და სამღვდელოე-ბა უკმაყოფილოა, რომ ქართული საეკლესიო ხაზინიდან იხარჯება წელიწადში 5000 მანეთი" (412, 1829, 13-15) –

აღნიშნავდა „ოსეთის სასულიერო კომისიის" ხელმძღვანელი დეკანოზი თეოფანე (ბოლგირსკი).

საარქივო დოკუმენტების თანახმად, „კომისიის" წევრებზე წელიწადში იხარჯებოდა 11750 მანეთი, რომელიც საქართველოს საეკლესიო მამულებიდან ამონაგები თანხები იყო (412, 1814, 87-88). ნიშანდობლივია, რომ იგივე ამონაგები ხმარდებოდა მთიელთა მოქრთამვას, რათა ისინი რუსეთის ხელისუფლების ინტერესების გამტარებლები ყოფილიყვნენ რეგიონში, მაგალითად, ოსთა მამასახლისის შვილებს თვეში ეძლეოდათ ოთხი მანეთი და ა.შ. (415, 25, 6).

ჩრდილო კავკასიის ხალხებში რუსული ეკლესიისა და სამღვდელოების ქრისტიანულმა პროპაგანდამ, როგორც მთიელთათვის უცხო ელემენტმა, ენობრივმა ბარიერმა, იმპერია უარყოფით შედეგებამდე მიიყვანა. ახლადმონათლული მთიელები მასიურად უბრუნდებოდნენ ძველ რელიგიას (წარმართობა — ისლამი — ქ.პ.), არად დაუდევდნენ ეკლესია-მონასტრებს, არ იქმნებოდა სამრევლოები და ა.შ. „ოსეთის სასულიერო კომისიის" მუშაობის უკეთ წარმართვისათვის, 1771 წელს რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიამ განიხილა „კომისიის" მუშაობის საკითხი და მისი გაუმჯობესების მიზნით დასახა კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც საგანგებო ინსტრუქციების შედგენაში გამოვლინდა. ინსტრუქცია მისიონერებისაგან მოითხოვდა დაკვირვებულ მუშაობას და კრძალავდა ძალდატენებით ქმედებებს. მათ ევალებოდათ მოსახლეობა დაერწმუნებინათ ქრისტიანული რელიგიის უპირატესობაში, ე.ი. რუსული

ორიენტაციის სარგებლიანობაში (253, 17) მაჰმადიანური ორიენტაციის (ისლამთან) უარყოფაში.

კავკასიის მთის მაჰმადიან მოსახლეობაში ქრისტიანული „მისიის" დაარსება, რუსეთის აღმოსავლეთისაკენ შორს გამიზნულ პოლიტიკას ემსახურებოდა. მართალია, ეს „მისია" მთლიანად კავკასიელ მთიელებზე იყო ორიენტირებული, მაგრამ შემთხვევითი არც ის გახლდათ, რომ „მისია" „ოსეთის სასულიერო კომისიის" სახელს ატარებდა. ოსებზე განსაკუთრებული აქცენტის მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ მათი ერთგულებით მეფის რუსეთი საქართველოსა და ზოგადად სამხრეთ კავკასიისაკენ მიმავალ სტრატეგიული მნიშვნელობის გზებზე გაბატონდებოდა. ოსებს ევალებოდათ სამხედრო მნიშვნელობის გზების შეკეთება, ფოსტა-შიკრიკთა უსაფრთხო მგზავრობა და სხვ. (208, 9).

XVIII საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს უკვე აშკარად გამოჩნდა „კომისიის" დრომოჭმულობა, რამეთუ რუსეთი უკვე აშკარად გადავიდა კავკასიის საბოლოო ათვისებისათვის იერიშზე და მას ახალი სახის ორგანიზაციები ესაჭიროებოდა. აქედან გამომდინარე, 1792 წელს „ოსეთის სასულიერო კომისიამ" არსებობა შეწყვიტა.

ამრიგად, „კავკასიის ხალხთა გადარჩენის" თეორიის საფუძვლად აშკარად შეიძლება მოვიაზროთ სარწმუნოებრივი ფაქტორი, რომელსაც რუსეთის იმპერია კავკასიაში გაბატონებისათვის იყენებდა და მას პირდაპირ უკავშირებდა რუსეთის საგარეო პოლიტიკას.

ცნობილია, რომ საუკუნეების მანძილზე, კავკასიაში ერთმანეთს ხვდებოდნენ რუსეთისა და თურქეთ-სპარსეთის

პოლიტიკური ინტერესები. თითოეული მათგანი ცდილობდა ამ რეგიონზე თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენის გაძლიერებას.

რუსეთი თავისი პოლიტიკის გატარებისას ჩრდილო კავკასიაში ეყრდნობოდა საქართველოს და მასთან კავშირის დამყარების გზას ერთმორწმუნეობის მეშვეობით ლამობდა. სპარსეთ-თურქეთისათვის კი საიმედო ძალა მთიანეთის მაჰმადიანი მოსახლეობა იყო. სწორედ მათი მეშვეობით ცდილობდნენ მაჰმადიანი ქვეყნები რუსეთის სწრაფვის შეჩერებას სამხრეთ კავკასიისაკენ. სამივე ქვეყანა ფარული მეთოდებით მოქმედებდა, ნიღბავდა ნამდვილ ზრახვებს და ამ საქმეში მოხერხებულად იყენებდა სარწმუნოებრივ ფაქტორს: რუსეთი — „ოსეთის სასულიერო კომისიას", თურქეთ-ირანი კი ადგილობრივ სასულიერო იერარქიას.

XVIII საუკუნიდან ისლამური ქვეყნების გავლენა საგრძნობლად გაიზარდა ჩრდილო კავკასიაში, რის გამოც ამ რეგიონში აქტიურად მოქმედი რუსეთი მაქსიმალურად ცდილობდა თავისი პოზიციების გამაგრებას. ამის მისაღწევ საშუალებად მას მიაჩნდა ქრისტიანობის დანერგვა მაჰმადიანობისა და წარმართობის მიმდევარ მთიელთა შორის, რამეთუ ერთგული მოკავშირის გაჩენა ისლამის მაღიარებელ მოსახლეობას შორის მანიშნებელი იქნებოდა რუსეთის პოზიციების გამაგრებისა კავკასიაში. ასეთ მოკავშირედ რუსეთის ხელისუფლებას მიაჩნდა ერთმორწმუნე ხალხი. ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებაში ცარიზმმა იმთავითვე ჩართო სასულიერო ფენა. შემთხვევითი არ იყო, რომ რუსეთი ყოველთვის დიპლომატიურ მოლაპარაკებებში, სავაჭრო-ეკონომიკურ შეთანხმებებში, რუსეთისადმი ერთ-

გულების დაფიცებაში რთავდა სასულიერო პირებს. აქედან გამომდინარე, უცხო არ უნდა იყოს ის მოვლენა, რომ სა-გარეო ურთიერთობების თავის სასარგებლოდ მოგვარებაში, თუ დამპყრობლური ინტერესების განხორციელებაში, რუ-სეთმა ეკლესიისა და სარწმუნოების ფაქტორი წინ წამოს-წია. მის მიერ დაარსებულმა „სასულიერო მისიამ", იმ ეტაპზე მასზე დაკისრებული ამოცანა წარმატებით გადაჭრა. მიუხედავად, რიგი ნაკლოვანებისა, რუსეთი მაინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „კომისიის" მუშაობას და მიიჩნევ-და, რომ კავკასიის ათვისების პირველ ეტაპზე მისიამ თა-ვისი ფუნქცია-მოვალეობა წარმატებით განახორციელა და ამით რუსეთს გზა გაუხსნა კავკასიაში საბოლოო გაბატო-ნებისაკენ. სარწმუნოებრივმა ხერხმა, რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ხანგრძლივი სამომავლო ცხოვრების მანძილზე მტკიცედ დაიმკვიდრა თავისი ადგილი და უკვე XIX სა-უკუნის დასაწყისიდან კავკასიის კოლონიზატორულ პოლი-ტიკაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა.

# თავი მეექვსე
# რუსული საეკლესიო მოდერნიზაციის პროგრამა კავკასიაში (1800-1917 წწ.)

## §1. კავკასიის მოდერნიზაციის პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორი

როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მისწრაფებებს კავკასიაში ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. XVI საუკუნიდან რუსეთი მიზანდასახულად ილტვოდა კავკასიისაკენ და ამ მიზნის მიღწევისათვის ბრძოლამ მას კავკასიაში გაბატონებისთვის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება შესძინა. მისთვის გასაგები გახდა, რომ სრული სახით კავკასიის ასათვისებლად, იმპერიის სამხრეთ საზღვრების შემომტკიცება-გასამაგრებლად უპირველეს ყოვლისა ესაჭიროებოდა ჩრდილო კავკასიის მორჩილებაში მოყვანა, რაც გარანტი უნდა ყოფილიყო მისი სამხრეთ კავკასიის დაპყრობისა.

ხანგრძლივი დროის მანძილზე, რუსეთის ტერიტორიას კავკასიისაგან აშორებდა წინაკავკასიისა და ჩრდილო წინა შავიზღვისპირეთის აუთვისებელი და თითქმის უკაცრიელი, დაუსახლებელი სივრცე. მხოლოდ XVIII საუკუნის მიწურულისათვის, რუსეთი დაუახლოვდა ჩრდილო კავკასიას. ეს იყო დიდი ისტორიული ხასიათის მოვლენა, რამაც მჭიდროდ მოაკიდებინა ფეხი რუსეთს კავკასიის ამ რეგიონში და დააჩქარა მისი შეღწევა ამიერკავკასიაში. მიმდინარე პროცესების წანამძღვარები უკიდურესად მძიმე აღმოჩნდა თვით განვითარების ზენიტში მყოფი რუსეთის იმპერიისთვისაც მაგრამ რუსეთის ამ საქმეში წარმატებები განპირობებული იყო: ოსმალეთის იმპერიასთან ომებში გამარჯვებებით, წინაკავკასიის სტეპის სამეურნეო ხასიათის ათვისებითა და ჩრდილო კავკასიელი ხალხების ნებაყოფ-

ლობითი შესვლით რუსეთის იმპერიის მფარველობაში (157, 107-109).

კავკასიის ჩრდილო ნაწილის ათვისების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა წინაკავკასიის დასახლებას რუსი გლეხობითა და კაზაკებით. მეფის რუსეთი ცდილობდა წინაკავკასიაში დაენერგა მსხვილი სამამულო მიწათმფლობელობა, რის გამოც იქაურ წარჩინებულთ უხვად ურიგებდა მიწის დიდ ნაკვეთებს, მაგრამ მათი სამეურნეო საძოვრების განვითარებისათვის არ იყო საკმარისი მუშახელი — ყმა-გლეხობა. ამ საქმის გამოსწორებისათვის, XVIII საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადასახლებულმა ყმა-გლეხობამ სახელმწიფო აპარატს დიდი შედეგები ვერ მოუტანა, ძირითადი დატვირთვა მხარის სამხედრო-კაზაკებით დასახლებამ შეიძინა (224, 38-47).

წინაკავკასიის ტერიტორიაზე მეფის რუსეთმა სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმაცია ჩაატარა — 1777 წელს მოეწყო აზოვ-მოზდოკის ხაზი მდინარე დონიდან კასპიის ზღვის სანაპიროებამდე; დაარსდა ციხე-ქალაქები, ხოლო 1786 წელს შეიქმნა კავკასიისა და ასტრახანის რეგიონებისგან — კავკასიის სამეფისნაცვლო. მიუხედავად ამგვარი ღონისძიებებისა, კავკასიას ჯერ კიდევ არ გააჩნდა მნიშვნელოვანი ადგილი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. რუსეთის მთელი ძალები მიმართული იყო ევროპის პრობლემების მოგვარებისაკენ, რომელიც აღმოცენებული იყო ბალტიისპირეთთან და პოლონეთთან ურთიერთობებით და რუსეთის პოზიციების გამაგრების მცდელობით წინა შავიზღვისპირეთის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში. XVIII საუკუნის მიწურულში ვითარება საგრძნობლად შეიცვალა — 1787-1791 წლებში რუსეთს ომი ჰქონდა ოსმალეთის იმპერიასთან. ეს უკანასკნელი ცდილობდა რუსეთის გავლენის შესუსტებას დუნაის საგრაფოებზე; ითხოვდა ყირიმის

დაბრუნებას; არ ცნობდა გეორგიევსკის ტრაქტატს (1783 წ.) და მიიწევდა საქართველოს დაპყრობისაკენ; ფარულად აგზავნიდა თავის ემისრებს ყაბარდოში, ცდილობდა ჩეჩნეთში ისლამის დროშით მიმდინარე (1785 წ.) რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლების თავისი ინტერესებისათვის გამოყენებას და ა.შ. (154, 12-13). ასეთ შემთხვევაში, კავკასიას უკვე მნიშვნელოვანი დატვირთვა მიენიჭა რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში. საგარეო ფაქტორს მალე მჭიდროდ გადაეჭდო საშინაო ფაქტორიც. ეს უკანასკნელი კი სამხრეთ კავკასიის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოს – საქართველოს რუსეთის იმპერიის მორჩილებაში მოყვანამ დააჩქარა.

კავკასიისადმი დამპყრობლური მისწრაფებების გამართლების მიზნით, რუსეთი ნაირგვარ საბაბს იყენებდა; სისტემატიური ხასიათი ჰქონდა სახელმწიფო საბჭოში ისეთი საკითხების განხილას, რომლებიც იმპერიის კავკასიაში გაბატონებას აბრკოლებდა. რუსეთის მემამულეები შეშფოთებას გამოთქვამდნენ კავკასიის ახალშენებში რუსი მემამულეების მძიმე მდგომარეობის გამო, რომელიც მათ შეექმნათ წინააზოვის სტეპებში (224, 107). რუსული ახალშენებისა და სავაჭრო გზების უსაფრთხოება ითხოვდა რუსეთის პოზიციების გამაგრებას კავკასიაში, ხოლო ამ საქმის განხორციელებისათვის რუსეთს მოუწია ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფოებთან დაპირისპირება. ეს უკანასკნელნი სისტემატიურად აღიზიანებდნენ ჩრდილო კავკასიის მთიელებს თავდასხმისათვის რუსულ ციხე-ქალაქებსა და სავაჭრო გზებზე.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ და საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობამ რუსეთს პოზიციები გაუმაგრა მთელს კავკასიაში და უდიდესი ზეგავლენა იქონია რეგიონში მისი შემდგომი პოლიტიკისა და სტრატეგიის გაძლიერებაში. 1802 წლიდან, რუსეთის სამხედრო ნაწი-

ლებმა დაიწყეს საქართველოს სამხედრო გზის უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება, კერძოდ, საკონტაქტო ტრასაზე მცხოვრები მთიელებისათვის დაწესდა შეღავათები, გამოეყოთ თანხები ხიდებისა და გვირაბების სამშენებლო სამუშაოებისათვის, ხოლო ოს მოსახლეობას მთავრობა ყაბარდოელი მთავრებისაგან დაცვას დაჰპირდა (142, 500).

ამავე პერიოდში, რუსეთმა კავკასიაში გაატარა სერიოზული სამხედრო – ადმინისტრაციული რეფორმები, კერძოდ, შეიქმნა კავკასიის გუბერნია ცენტრით გეორგიევსკი. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა კავკასიის ხაზის ინსპექტორად დანიშნა საქართველოს მთავარმართებელი გენერალლეიტენანტი პ.დ. ციციანოვი, რომელმაც ენერგიული სამხედრო მეთოდებით განავრცო რუსეთის ძალაუფლება კავკასიაში. კავკასიის ხალხები პ. ციციანოვს „მრისხანე თავადის" სახელით მოიხსენიებდნენ. მისი ხელისუფლების ქვეშ ერთიანდებოდა ქართლ-კახეთი, ჩრდილო კავკასია და ასტრახანის გუბერნია (30, 837).

როგორც აღინიშნა, კავკასიაზე პრეტენზიის საკითხში რუსეთს მაჰმადიანური სამყარო დაუპირისპირდა. 1804 წელს ირანის შაჰის წარმომადგენელმა ოფიციალურად მოითხოვა რუსეთისაგან აზერბაიჯანის, საქართველოსა და დაღესტნის დატოვება; ხოლო ამ უკანასკნელთ კი დაავალა რუსეთის ჯარებისათვის ჩაეკეტათ მთიანი გადასასვლელები... (302, 116, 785-795). ირანის ხელისუფლებამ რუსეთთან ომი (1804-1813წ.წ.) დაიწყო ინგლისის დახმარების და კავკასიელი მთიელების თანადგომის იმედით.

კავკასიელი ხალხებისათვის უკვე კარგა ხნის ცნობილი იყო თურქეთის დამპყრობლური ომების შედეგები, ამიტომ მათი დიდი ნაწილი ცდილობდა ესარგებლათ ბრძოლებით და ლავირების მეთოდით განეხორციელებინათ თავიანთი ინტერესები: შეენარჩუნებინათ თვითმყოფადობა, ფეო-

დალური ძალაუფლება, ძარცვა-ყაჩაღობით ქონების დაგროვება, მონებით ვაჭრობა და სხვ. ისინი შიშობდნენ რუსეთის სამხედრო-ადმინისტრაციული ძალაუფლების თავიანთ ტერიტორიაზე დამკვიდრების გამო, ამიტომ ეწინააღმდეგებოდნენ რუსული ახალი სიმაგრეების მშენებლობებს, საგზაო სამუშაოებს და გადასახადებს.

1806-1807 წლებში რუსეთის მდგომარეობა კავკასიაში სერიოზულად გართულდა ევროპაში არასასიამოვნო ცვლილებების და ოსმალეთის იმპერიასთან ომის დაწყების (1806-1812 წწ.) გამო.

1813 წლის გულისტანის სამშვიდობო ზავმა ირანსა და რუსეთს შორის გადაწყვიტა ირანის ბედი, რომლის ხელისუფლებამაც სამუდამოდ ცნო რუსეთის იურისდიქციაში: დაღესტანი, საქართველო, ყარაბახის სახანო, განჯის, შაქის, შირვანის, დერბენდის, კუბის, ბაქოს სახანოები (396, 403-425).

ირანთან და თურქეთთან პირველი წარმატებიანი ომების შემდეგ, რუსეთის პოზიციები ჩრდილო კავკასიაში საგრძნობლად განმტკიცდა; გაჩნდა ახალი მტკიცე საკონტაქტო ხაზები გაძლიერდა სამხედრო ადმინისტრაციული მმართველობის ფორმები ადგილობრივ სახანოებში. მაგრამ ეს პროცესი ჯერ კიდევ საწყის ეტაპს განიცდიდა. რუსეთის პოლიტიკის ახალი აქტიობის წანამძღვრები კავკასიასა და ბალკანეთში მდგომარეობდა მის გაძლიერებაში დასავლეთ ევროპაში, მისი როლის ამაღლებაში, ევროპის კონტინენტზე, რომელიც დააჩქარა ნაპოლეონის იმპერიის მარცხმა რუსეთთან ომში.

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ რუსეთის პირველი გამარჯვებები ირან-ოსმალეთთან ხელისუფლებას სრულიად არ აკმაყოფილებდა. ამავდროულად, მთავრობა ცდილობდა გაეძლიერებინა ახალ ტერიტორიაზე თვითმპყრობელურ-ბატონყმური სისტემა და მისი სამხედრო-

ბიუროკრატიული რეჟიმი, რამაც ღრმა პოლიტიკური დაღი დაასვა ცარიზმის შემდგომ პოლიტიკას კავკასიაში (224, 372-373).

ვითარება კავკასიაში კვლავინდებურად მძიმე იყო, რაც ცარიზმის შეშფოთებას იწვევდა. ჩრდილო კავკასიასა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში განსაკუთრებულად ძლიერი იყო ფეოდალური და გვაროვნულ-თემური დაქუცმაცებულობა, ფართო ხასიათს ატარებდა ადგილობრივი დიდგვაროვნების ძალაუფლება, სისტემატიური იყო ფეოდალური ანარქია და ძარცვა, კავკასიის სამხედრო გზებზე თავდასხმები, ხალხის ჩაგვრა და მათი გატაცება, ტყვეთა სყიდვა-ვაჭრობა და სხვ. ფაქტობრივად, ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ჩრდილო კავკასიაში რუსეთის სამხედრო ადმინისტრაციული მმართველობის დადგინება. 1813 წლამდე ამ მიმართულებით მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადაიდგა, შემდგომ ეტაპზე კი ამ პოლიტიკამ სულ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო, რამაც გამოიწვია ადგილობრივ ფეოდალთა და მუსულმანი სამღვდელოების მხრიდან წინააღმდეგობა.

დროთა ვითარებაში, ჩრდილო კავკასია ჩამოყალიბდა რუსეთის იმპერიის შიდა პოლიტიკის მნიშვნელოვან ქვაკუთხედად, თუმცა ის ჯერ კიდევ იყო შიდასახალხო დაპირისპირებათა მწვავე არენა. ოსმალეთისა და ირანის ინტერესთა სფეროდან ჯერ კიდევ არ იყო ამოშლილი კავკასიის საკითხი. მათ კვლავინდებურად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა თანადგომის ილუზია ამოძრავებდათ. რუსეთ-ირანის ომის (1826-1828 წწ.) დამანგრეველი შედეგების და ცარიზმის დამპყრობლური ხასიათის პოლიტიკის მიუხედავად, ამიერკავკასიამ და ჩრდილო კავკასიის ხალხებმა მოახერხეს საუკუნოვანი დამპყრობლებისაგან გათავისუფლება. ომმა კი მათ შედეგად მოუტანა რუსეთის უფლებრივი მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება არა მხოლოდ

ამიერკავკასიაში, არამედ მთელს ჩრდილო კავკასიაში, განსაკუთრებით კი დაღესტანში.

კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ დამძიმდა, რაც მომწიფდა რუსეთ-თურქეთის ახალი ომის დასაწყისი. მათ შორის უთანხმოების მიზეზი გახდა ბალკანეთისა და კავკასიის პრობლემები. რუსეთის იმპერიამ გაააქტიურა ოსმალების წინააღმდეგ ამბოხებული ბერძნებისადმი მხარდაჭერა. კავკასიის საკითხში რუსეთი ოსმალეთისაგან ითხოვდა რუსეთის იურიდიქციის ცნობას მასთან ნებაყოფლობით შეერთებულ საქართველოზე, იმერეთზე, გურიასა და აფხაზეთზე (154, 45). რუსეთ-თურქეთის ომში (1828-1829 წწ.) რუსეთის იმპერიამ სრული გამარჯვება მოიპოვა. ოსმალეთის მიერ ყუბანისპირეთის რუსეთისათვის „მარადიული" კუთვნილების აღიარებამ. თურქეთს უდიდესი ზარალი მოუტანა, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატა ჩრდილო კავკასიიდან ტყვეთა გასაყიდად გადასაყვანი გზის გადაკეტვაში.

ამრიგად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჩრდილო კავკასიის ხალხების შესვლის პროცესმა და იქ სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობის დამყარებამ რამდენიმე ეტაპი გაიარა. XVI საუკუნის შუა ხანებიდან XVIII საუკუნის დაასრულებით 70-იან წლებამდე განხორციელდა კავკასიელ მთიელთა ზოგიერთი ხალხების ხელმძღვანელობათა ძალისხმევით იმპერიაში ნებაყოფლობით მფარველობაში შესვლა. ამ პერიოდის სახასიათო მხარეა ის, რომ რუსეთი ჯერ კიდევ გამოყოფილია ჩრდილო კავკასიისაგან დაუსახლებელი და უკაცრიელი წინაკავკასიის სტეპებით. ამ სივრცის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მიტაცებული ჰქონდათ ოსმალეთის იმპერიას და ყირიმის სახანოს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კასპიისპირეთი ეკუთნოდათ ირანის შაჰებს. ამავე დროიდან, იწყება რუსეთის ლტოლვა სამ-

ხრეთისაკენ — შავი და აზოვის ზღვებისა და ჩრდილო კავკასიის მიმართულებით.

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო წინაკავკასიის რეგიონის ათვისებისათვის ბრძოლის პროცესის დაჩქარება, რაც განხორციელდა კაზაკებისა და გლეხების იქ ჩასახლებით. ოსმალეთისა და ირანის იმპერიები რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში — აითვისონ და შეინარჩუნონ დაპყრობილი ტერიტორიები — მარცხით დასრულდა. რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაზე უდიდესი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობამ (1801წ.).

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩრდილო კავკასიაში გაჩნდა სამხედრო ხაზები, რომელთაც რეგიონის თავდაცვით-გასამაგრებელი ფუნქცია ეკისრებოდათ. რუსეთის პოზიციების გამაგრებამ კავკასიაში გამოიწვია მთიელ საზოგადოებაში ერთგვარი სააზროვნო განხეთქილება. მისი ერთი ნაწილი მაჰმადიანური აგრესიისაგან ხსნის გზას რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლით ხედავდა, მეორე კი — მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ამგვარ ორიენტაციას და ცდილობდა ესარგებლა რუსეთის ომებით ირან-თურქეთთან. მიმდინარე ბრძოლებში რუსეთის გამარჯვებამ, ირანი და ოსმალეთი აიძულა უარი ეთქვათ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაზე და ეცნოთ მთლიანად კავკასია რუსეთის იურისდიქციაში.

XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში შეინიშნებოდა სერიოზული სიახლეები, კერძოდ, მიმდინარეობდა სამხედრო-ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის მკვეთრი შემობრუნება სამხედროფეოდალური პოლიტიკის სფეროში სათანადო რეფორმების გატარების კუთხით. აღნიშნულმა კი, გამოიწვია სერიოზული წინააღმდეგობა ადგილობრივი ფეოდალების, მუსულმანი სამღვდელოების, გლეხობის მხრიდან, რის შედეგადაც 1818 წლიდან დაიწყო ე.წ. „კავკასიური ომი".

რუსეთის მტკიცე და ძლიერი ხელისუფლება ბუნებრივია, ზღუდავდა კავკასიელი ხალხების თვითმყოფადობასა და მმართველობის ტრადიციულ ფორმებს. ის ერთნაირად მიუღებელი აღმოჩნდა როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ კავკასიის საზოგადოებისათვის, მაგალითად, ის არ მოსწონდათ აზერბაიჯანის ხანებს, რომლებიც ირანის პოლიტიკური გავლენის პერიოდში თითქმის დამოუკიდებლები იყვნენ, ამიტომ ისინი ძველ სუვერენებთან ურთიერთობებს არ წყვეტდნენ. აღნიშნულის შედეგად, რუსეთის მმართველობამ 1819-1826 წლებში თანმიმდევრულად გააუქმა შაქის, შარვანის, ყარაბაღისა და ტალიშის სახანოები და იქ თვითმპყრობელური წესრიგი დაამყარა. „კავკასიის ხაზის" გასამაგრებლად, ჩეჩნეთ-დაღესტნის ასათვისებლად, ადგილობრივმა რუსულმა ხელისუფლებამ „ხაზი" გადაიტანა მდინარე თერგიდან მდინარე სუნჯაზე, სადაც ააშენეს „გროზნაისა" ციხე (141, 167).

რუსეთის მმართველობის გაფართოება-განმტკიცებისათვის 1820 წელს „საქართველოს ცალკეულ კორპუსს" „კავკასიის ცალკეული კორპუსი" ეწოდა, რაც აქ სამხედრო ძალების ზრდის გამომხატველი იყო. ამრიგად, კავკასიის მთავარმართებლის სამხედრო-ადმინისტრაციულ ფარგლებში მოექცა მთელი ჩრდილო და სამხრეთ კავკასია, რომლის ცენტრადაც ქალაქი თბილისი იქცა.

ამრიგად, რუსეთის იმპერიამ დაასრულა კავკასიის პოლიტიკური ათვისების პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი, სადაც მან იმთავითვე ერთობლიობაში მოიაზრა კავკასიის ორივე მხარე – ჩრდილო და სამხრეთი და აღნიშნულის დასტური მის მიერ კავკასიის, როგორც იმპერიის გარეუბნის ცენტრად თბილისის გამოცხადება იყო. მართალია, კავკასიის საკითხი იმპერიის საგარეო პოლიტიკიდან არ ამოშლილა (რუსეთის უწყვეტი ომები თურქეთთან მთელი XIX საუკუნის მანძილზე – ქ.პ.), მაგრამ რუსეთს უკვე

დაწყებული ჰქონდა ათვისებული რეგიონის იმპერიის წიაღთან შერწყმისათვის მეცადინეობა. რუსეთის იმპერიამ ეტაპობრივად დაიწყო მისი კულტურული ტრადიციებისაგან რადიკალურად განსხვავებული რეგიონის მოდერნიზაციის პროცესი. ამ უკანასკნელში კი საიმპერატორო ხელისუფლება მოიაზრებდა კავკასიის იმ დონეზე გარდაქმნა-ამაღლებას, რაც რუსეთის იმპერიისათვის მისაღები იქნებოდა, ანუ დააკმაყოფილებდა ქვეყნის იმპერიულ მოთხოვნებს და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა კავკასიის იმ დონეზე აღორძინებას, რაც მისი მრავალეთნოსიან მოსახლეობაში ეროვნულ-ტრადიციული თვითმყოფადობის ამაღლებას შეუწყობდა ხელს.

თვითმპყრობელური რუსეთის კავკასიაში გაბატონებისთანავე, მისი ყველა ეთნოსი ცარიზმის უმძიმეს ზეწოლას განიცდიდა. რუსული მმართველობის სისტემა ძირს უთხრიდა კავკასიელი ხალხების ეროვნულობას და ამზადებდა მათ რუსეთის იმპერიის მრავალრიცხოვან ხალხებში ასიმილაციისათვის, რისთვისაც ის ყველანაირ ხერხს იყენებდა როგორც მატერიალურს, ისე იდეოლოგიურს — ჯარი, პოლიცია, ბიუროკრატია, ეკლესია, საგანმანათლებლო ქსელი და სხვ. (29, 398; 76, 829).

კავკასიაში მყარი პოლიტიკური უფლებების შენარჩუნება-გაძლიერებისათვის, რუსეთის ხელისუფლებას სათანადო რეფორმები უნდა გაეტარებინა, რომელიც დაასრულებდა კავკასიის მოდერნიზაციას. რეფორმებს უნდა მოეცვა კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროები, რომლის ძალითაც ის პოლიტიკურად მდგრადი, იმპერიისათვის სანდო და მყარი რეგიონი იქნებოდა უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობებში. საამისოდ კი, საჭირო იყო სერიოზული ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება, რაც კავკასიის რეგიონს რუსეთის ძლიერ სამხრეთ საზღვრად ჩამოაყალიბებდა. რაც შეეხება ეკონომიკას, კავკასია უცი-

ლობლად უნდა ჩართულიყო იმპერიის საერთო ეკონომიკურ სივრცეში, ქცეულიყო რუსეთის გასაღების ბაზრად, შეესრულებინა საერთაშორისო სავაჭრო — სატრანზიტო გზის ფუნქცია და რუსეთის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი მატერიალური — ფულადი წვლილი შეეტანა.

როგორც არაერთგზის აღინიშნა, XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, რუსეთის კავკასიურ პოლიტიკას უშუალოდ უკავშირდება მისი საერთაშორისო ურთიერთობანი მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებთან. ადრიანოპოლის ზავის (1829 წ.) შემდგომ, რუსეთის პოზიციების გამტკიცება ჩრდილო კავკასიაში დამოკიდებული გახდა თავად რუსეთის ხელისუფლების მოქმედებებზე. ამ საკითხს რუსეთის შიდა პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეკავებინა. ცარიზმის სამხედრო ადმინისტრაციული ძალაუფლების გაძლიერებას თან სდევდა ადგილობრივი ფეოდალების მიერ მთიელთა უკიდურესი ჩაგვრა. ეს კი რუსული იმპერიალიზმის პოზიციებს სერიოზულად არყევდა კავკასიის რეგიონში.

XIX საუკუნის 30-იან წლებში, ზემოაღნიშნული პროცესების განსაკუთრებულობა გამოვლინდა მას შემდეგ, როდესაც ანტიფეოდალურმა მოძრაობამ მიიღო ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მწვავე ხასიათი. აღნიშნულზე მოქმედებდა საერთაშორისო ვითარებაც, კერძოდ, ოსმალეთის იმპერიისა და ინგლისის პოლიტიკა, რომლებიც თავის სასარგებლო კურსს ატარებდნენ კავკასიის დასავლეთ ნაწილზე, სადაც აღწევდნენ ოსმალო კონტრაბანდისტები და ინგლისელი აგენტები, რომლებიც მთიელებს წინააღმდეგობისაკენ მოუწოდებდნენ.

როგორც აღინიშნა, კავკასიაში პოლიტიკური გაბატონებისთანავე იმპერიის ხელისუფლებამ სწრაფი ტემპით დაიწყო მხარის ათვისებისათვის ბრძოლა, მაგრამ მას ამ საქმეში კავკასიის ყოფითი და სულიერი კულტურის სი-

ჭრელე სერიოზულ ბარიერს უქმნიდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მთიელთა სახასიათო სოციალური სტრუქტურა, რომელმაც მას შემდეგ, რაც განიცადა რუსული რეფორმა, დააჩქარა კავკასიელი ხალხების დაპირისპირება ცარიზმის აპარატთან. ფეოდალიზაციის პროცესის დაუსრულებელობამ და თემური ურთიერთობების მდგრადობამ თავისებური დაღი დაასვა მთიელთა კლასობრივ სტრუქტურას, სადაც წამყვან როლს ასრულებდა სასოფლო თემი და თემური კავშირები. ისე, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა დაპირისპირებული კლასების — ფეოდალებისა და გლეხების ჩამოყალიბების პროცესი, ამ პროცესის აქტიობას ცარიზმის კავკასიური მთავრობაც უწობდა ხელს; ადგილობრივ ფეოდალებს ურიგებდნენ სოფლებს ყმა-გლეხებით და ფართო უფლებებს ანიჭებდნენ. ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ადგილობრივი ფეოდალები არა თუ განადგურებული ყოფილიყვნენ, არამედ მათ კიდევ უფრო განემტკიცებინათ ძალაუფლება ყმა-გლეხებზე — „... შენსა და შენს ოჯახზე არ იდარდო... ახლა შამხალის ძალაუფლება უფრო პატივსაცემი გახდება და მეზობლებიც ჭკუას ისწავლიან, და გაიგებენ რას ნიშნავს დიდი ხელმწიფის ძლევამოსილი მფარველობა...” — მიმართავდა ა.პ. ერმოლოვი შამხალ ტარკოვსკის (363, 98). ცარიზმის მოხელეთა პოლიტიკური მფარველობით ფართოდ სარგებლობდნენ მთიელი ფეოდალები ყმა-გლეხების ჩაგვრისას. ისინი თვითნებური გადაწყვეტილებებით ზრდიდნენ გადასახადებს, აფართოებდნენ კერძო მეურნეობებს და ასე კვეცდნენ იმ მიწების ფართს, რომლითაც მანამდე თანასოფლელნი სარგებლობდნენ (363, 98).

რუსეთის ხელისუფლების ადმინისტრაციულმა რეფორმებმა და ცარიზმული სისტემის დამკვიდრებამ ჩრდილო კავკასიაში არა თუ სრულიად გაანადგურა ადგილობრივი მმართველობის ძველი სისტემა, არამედ პირიქით,

გაზარდა გაბატონებული ფენის უფლებები, რამაც ტრადიციული სისტემა კიდევ უფრო გაამკაცრა. ასეთი შედეგის წყალობით, ოდესღაც რუსეთისადმი იმედის თვალით შემყურე მთიელები მიხვდნენ თავიანთ იმედგაცრუებას და მას ოპოზიციაში ჩაუდგნენ (296, 680).

მთიელთა აღშფოთებას იწვევდა მათთვის არატრადიციული უცხო და მიუღებელი ადმინისტრაციული მმართველობაც, რომლის წარმომადგენლები ხალხისაგან ორმაგ გადასახადს კრეფდნენ; აიძულებდნენ ემუშავათ გზების, ხიდებისა და გვირაბების გასაყვანად; კავკასიის მმართველი ჯგუფი უკრძალავდა მთიელებს თავისუფალ გადაადგილებას ამიერკავკასიის, დაღესტნის, ჩრდილო კავკასიის ტერიტორიებზე ვაჭრობის, ეკონომიკური და სამეურნეო საქმეთა მოგვარების მიზნით (376, 73), რადგან კავკასიელი ფეოდალების მიერ ხალხის ექსპლოატაცია და თვითმპყრობელობის მკაცრი რეჟიმი ერთდროულად მიმდინარეობდა და ურთიერთ მჭიდრო კავშირით ემსახურებოდნენ კავკასიის ადმინისტრაციის გაძლიერებას, ამიტომ ანტიფეოდალური გამოსვლები ხშირად ერწყმოდა ცარიზმის ანტიკოლონიზატორულ ამბოხებებს (376, 98). ასეთ შემთხვევაში, ხშირად ბრძოლებს ეროვნული ხასიათიც ენიჭებოდათ, რომელსაც ადგილობრივი ადმინისტრაცია უმკაცრესი ფორმებით ახშობდა (296, 326). კავკასიის ხელისუფლება საიმპერატორო კარისაგან იღებდა კატეგორიულ მოთხოვნებს სისხლში ჩაეხშოთ მთიელთა წინააღმდეგობანი, რაც უმეტეს შემთხვევაში, კიდევ უფრო ამწვავებდა ისედაც გართულებულ ვითარებას (203, 320).

ცარიზმის პოლიტიკით კავკასიის მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა იყო უკმაყოფილო: მთიელი გლეხობა, ხელოსნები, ფეოდალთა სოლიდური ნაწილი, გამდიდრებული ზედა ფენა და მუსულმანი სამღვდელოების უმრავლესობა, თუმცა მათი ხელისუფლებისადმი განაწყენების მიზე-

ზები სხვადასხვაგვარი იყო. იმ დროს, როდესაც მოსახლეობა ისწრაფოდა კლასობრივი ჩაგვრისა და თვითმპყრობელობისაგან განთავისუფლებისაკენ, ფეოდალთა ‧ვენა ცდილობდა ხალხის უკმაყოფილების გამოყენებას და ხელისუფლების სათავეში მოსვლას. ისინი იმედოვნებდნენ, რომ დაიბრუნებდნენ დაკარგულ პოზიციებს, ხოლო სამღვდელოება კი კიცხავდა ფეოდალებს, როგორც „უნიათო მუსულმანებს" და ცდილობდნენ არა მხოლოდ სასულიერო, არამედ პოლიტიკური უფლებამოსილების მოპოვებას. თავის მხრივ, რუსეთის პოზიციების გაძლიერებას კავკასიაში მწვავედ ეწინააღმდეგებოდნენ ევროპის ქვეყნებიც (ინგლისი — ქ.პ.) და ოსმალური იმპერია. ისინი ხელს უწყობდნენ მთიელთა ბრძოლას ცარიზმული რუსეთის წინააღმდეგ.

ჩრდილო კავკასიის საერო და სასულიერო ფეოდალთა ინტერესების თანხვედრამ, ისინი გააერთიანა კლასობრივ-ნაციონალური ბრძოლის ნიშნით, რომლის იდეოლოგიაც სასულიერო მიმართულება — მიურადიზმი იყო. რუსი სამხედრო ისტორიკოსის რომანოვსკის თქმით — „...მიურადიზმი გადაიქცა ცეცხლის გამჩაღებელ ნაპერწკლად..." (203, 320).

მიურადიზმის იდეოლოგიას ფესვები შუასაუკუნეებში აქვს, მაგრამ ჩრდილო კავკასიის პირობებში XIX საუკუნის 30-50-იან წლებში მიურადიზმი გახდა ცარიზმის ადმინისტრაციის წინააღმდეგ ბრძოლის მედროშე და არა ტრადიციული რელიგიის დაცვისათვისათვის ომი (375, 143). თავისთავად, მუსულმანური რელიგიის სექტანტური მიმართულება — მიურადიზმი, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გახდებოდა მორწმუნე მთიელთა გამაერთიანებელი, თუ არ აითვისებდა ის პოლიტიკურ მნიშვნელობას; რომ არ ყოფილიყო სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური სერიოზული მიზეზები, რომლებმაც კავკასიის მოსახლეობას ამბოხებისაკენ უბიძგა (195, 3). როგორც

კავკასიოლოგი ა. ვ. ფადეევი აღნიშნავს — „...მიურადიზმი ფართოდ გავრცელდა და შეიძინა პოლიტიკური ხასიათი იმ დროიდან, როდესაც მოხდა ამ რელიგიური იდეის შერწყმა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიელ მთიელთა მასიურ მოძრაობასთან...” (223, 19).

თავისი არსით, ფანატიკური მიურადიზმის იდეოლოგიამ დროებით, ვითარების შესატყვისად თავის თავში შეირწყა ანტიკოლონიზატორული და ანტიკლასობრივი მოთხოვნა — ელემენტები, რაც იმის დასტურია, რომ მთიელთა მოძრაობა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის და მისი იდეოლოგიით ფორმირებული გაბატონებული მთიელების წინააღმდეგ იყო მიმართული. კავკასიის მთიანი რეგიონისათვის უმწვავესად მიუღებელი და უცხო აღმოჩნდა ის ახალი სოციალური ურთიერთობები, რომელიც მას იძულებით და ძოტყუების გზით თავს მოახვია რადიკალურად განსხვავებული კულტურის მატარებელმა — რუსეთმა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩრდილო კავკასიაში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადჰყო რუსეთის იმპერიის არასწორი პოლიტიკური კურსი კავკასიის მთიანეთის მიმართ. აღნიშნული კი გამოვლინდა კავკასიელი ხალხების მწვავე პროტესტში თვითმპყრობელური რეჟიმისადმი და მან საერთო სახალხო მოძრაობის ხასიათი შეიძინა. კავკასიელი ეთნოსების ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება — დაცვის ხასიათს ატარებდა და ამ ბრძოლას შეუვალს ხდიდა.

ცარიზმული რუსეთის დაუნდობელი წინააღმდეგობა მთიელთა თავისუფლების მოთხოვნისადმი სულ უფრო მწვავე ხასიათს იძენდა და იმპერიული მმართველობის კრიზისის დასაწყისზე მიანიშნებდა. ამ პროცესს რუსეთის საზოგადოებრიობა ერთნაირად ვერ აღიქვამდა და მიმდინარე მოვლენებისადმი დამოკიდებულებით აზრთა სხვადასხვაობას ბადებდა. რუს ინტელიგენციაში ორი აშკარად

განსხვავებული აზრის ფენა ჩამოყალიბდა, რომლებიც თავისებური ანალიზით აფერხებდნენ რუსეთის ხელისუფლების შიდა პოლიტიკურ კურსს ჩრდილო კავკასიის შემოსტკიცებისადმი.

ოფიციალური რუსეთი — საიმპერატორო კარითა და გავლენიანი დიდებულებით კავკასიელი მთიელების მორჩილებაში მოყვანის მეთოდს ძალისმიერი ხერხით მოიაზრებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიაში გაბატონებულ იდეად ითვლებოდა უცხო ელემენტების მორჩილება ძალის გამოყენებით, რუსეთის საზოგადოებრიობის ყველა ფენა არ ეთანხმებოდა ასეთი სახის პოლიტიკას. თვით ქვეყნის ხელისუფლებაშიც კი მოიძებნებოდა პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი, რომელიც ასეთ ფაქიზ საქმეში სახელმწიფოს ძალისმიერ პოლიტიკას ქვეყნის დამღუპველად მიაჩნევდა. მაგალითად, რუსეთის წამყვანი ეკონომისტი ნ. ს. მორდვინოვი იმპერატორს ურჩევდა შეეცვალა კავკასიისადმი ძალის პოლიტიკა და მისი შერწყმა დაეწყო ეკონომიკური კუთხით, კერძოდ, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით რეგიონის მოსახლეობასთან. ასეთივე აზრია კატარებული ანონიმი ავტორის თხზულებაში „ქართველი ერის სულიერი მდგომარეობა და ქვეყნის შიდა მოწყობის მეთოდები" (297, 192).

ოფიციალური რუსეთის კავკასიური პოლიტიკის კრიტიკამ იმთავითვე ფართო გავრცობა ჰპოვა რუსულ საზოგადოებრიობაში, სისტემატიური სახე მიეცა კრიტიკული პუბლიკაციებისა და სათანადო წერილების გამოქვეყნებას ოფიციალურ და კერძო ხასიათის პერიოდიკაში; ყველა ამგვარ წერილში გატარებული იყო აზრი კავკასიის ეკონომიკური კუთხით ათვისების შესახებ. თანამედროვეობის ცნობილი პუბლიცისტის ს. ივანოვის სტატიაში „მთიელთა დაახლოება რუსეთთან კავკასიაში", ავტორი დამაჯერებლად ილაშქრებდა იარაღის გამოყენების წინააღმდეგ და იმპერიის

ხელისუფლებას მთიელთა მორჩილებაში მოყვანისთვის ეკონომიკური და კულტურული მიდგომის ახალ მეთოდებს სთავაზობდა. მისი რწმენით, ასეთი მიმართულებით მთიელებთან კავშირი გააუმჯობესებდა მათი ცხოვრების წესს და — „...იმოქმედებდა მთიელთა მკაცრ ხასიათზე, შეუქმნიდა მათ ცივილიზებულ ყოფას და განამტკიცებდა მათში აზრს, რომ რუსები არა დაუნდობელი და მკაცრი გამარჯვებული ხალხია მთიელებზე, არამედ მოწოდებულნი არიან მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ასეთი დაახლოება დასაწყისი იქნება მხარის განვითარების და საგრძნობლად გააადვილებს სამხედრო ოპერაციებს...“ (287, 541-549). ასეთი სახის პუბლიკაციები აშკარად ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს და ხელისუფლების უარყოფით დამოკიდებულებას იწვევდა განსხვავებული აზრის მატარებელი წრეებისადმი. საიმპერატორო კარი მკაცრად იცავდა კავკასიის ათვისების ძალისმიერ მეთოდს და მისდამი შერჩეულ პოლიტიკურ ხაზს არ ცვლიდა.

კავკასიაში ცარიზმული რეჟიმის წინააღმდეგ გაილაშქრეს არა მხოლოდ რუსმა პოლიტიკოსებმა და სახელმწიფო მოხელეებმა, არამედ ინტელიგენციამაც; იქმნებოდა სათავგადასავლო, სატირული ხასიათის ლიტერატურული ნაწარმოებები, კერძოდ, მწერლები და პოეტები: ვ. თ. ნარეჟნი, ა.ს. გრიბოედოვი, (275, 81) ა.ა. შიშკოვი და სხვ. კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ სახელმწიფო პოლიტიკას — „...აქაური ხალხისათვის შეუსატყვისია მათი ადათ-წესებისათვის რუსული კანონები, რომლებიც მათ არ ესმით და არც მიიღებენ. მიეცით ხალხს უფლება თავად აირჩიონ მოსამართლეები, რომლებსაც ენდობიან... თუ შეიძლება, ნუ ჩაერევით მათ შიდა მმართველობაში... დაე, მათ სასამართლოებს დაესწრნენ მთავრობის დეპუტატები, მაგრამ ნუ გამოიყენებთ მათ წინააღმდეგ ძალას...“ — აღნიშნავდა ა.ს. პუშკინი (224, 353).

დეკაბრისტების ამბოხების შემდეგ, რეპრესირებული მეამბოხეები გადაასახლეს. ისინი უნებლიე მონაწილენი გახდნენ საომარი ოპერაციებისა ჩრდილო კავკასიაში. მათ ჩანაწერებში აშკარად იგრძნობოდა მთიელებისადმი თანაგრძნობა. დეკაბრისტი ვ. ს. ნოროვი აღნიშნავდა — „...ვაღიარებ, რომ საქმისათვის ვიბრძოდი, რომელიც ჩემთვის აბსოლუტურად უცხო იყო... მით უფრო, რომ არ მივიჩნევდი ჩერქეზებს ჩემს მტრებად და ყოველთვის აღმაფრთოვანებდა მათი გმირული თავგანწირვა..." (381, 402-403). დეკაბრისტები გამოდიოდნენ ცარიზმის ძალისმიერი პოლიტიკის მწვავე კრიტიკით და მშვიდობიან თანამშრომლობას უჭერდნენ მხარს. მათი ღრმა რწმენით რუს ერს ეკისრებოდა უდიდესი პროგრესული მისია სხვა ეთნოსების კულტურულ-ეკონომიკური აღორძინების საქმეში და დიდი წვლილი მიუძღვით კავკასიელი ხალხების ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მიმართულებით.

რუსეთის იმპერიის გარეუბნების მოსახლეობის ნაციონალური ინტერესების კუთხით საინტერესო მოსაზრებები გააჩნდათ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს: ა. გერცენს, ვ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლუბოვს და სხვ. (128). ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ თვითმპყრობელობის პოლიტიკას და ერთმანეთისაგან მიჯნავდნენ ცარიზმის სამოხელეო აპარატსა და რუს ხალხს — ...ყველა ის, ვინც ვერ ახერხებს რუსეთის ხელისუფლების გამიჯვნას რუსი ხალხისაგან — არაფერი არ გაეგებათ..." — აღნიშნავდა ა. გერცენი (374, 11-14). რევოლუციონერ-დემოკრატებს კავკასიაში მიმდინარე ომი რუსი ხალხის შეურაცხყოფად მიაჩნდათ; მას უაზრობად მიიჩნევდნენ (374, 182).

ამრიგად, თვითმპყრობელობის მოხელეებისაგან განსხვავებით, პროგრესულად მოაზროვნე რუსი მოღვაწენი ღრმად თანაუგრძნობდნენ კავკასიელ მთიელებს უთანასწორო ბრძოლაში და აშკარად იცავდნენ მათ პოზიციას. აღ-

ნიშნული კი ისაზე მეტყველებს, რომ კავკასიის მორჩილებაში მოყვანისათვის ილწვოდა ცარიზმის აპარატი და არა ზოგადად რუსი ერი, რამეთუ ის თავად განიცდიდა ხელისუფლებისაგან მძიმე ზეწოლას.

ამრიგად, რუსეთის იმპერიის კავკასიურმა პოლიტიკამ ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი ორად გაყო; აშკარად გამოიკვეთა ორი მიმართულება: ერთნი, რომლებიც იწონებდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ რუსეთის აშკარად აგრესიული კავკასიური პოლიტიკის გამართლებას და ამ მიმართულებით თავდაუზოგავად ილწვოდნენ და მეორენი – რომლებიც აშკარად აკრიტიკებდნენ კავკასიის ძალისმიერი მეთოდით დამორჩილების მცდელობებს. მაგრამ, ორივე აზრის თანხვედრა საძიებელია მათ ერთობლივ შეხედულებაში კავკასიის მიმართ – ისინი მხოლოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოიაზრებოდნენ.

როგორც აღინიშნა, XIX საუკუნის პირველივე წლებიდან რუსეთი აღარ ერიდებოდა გარეშე ფაქტორის გაღიზიანებას და აშკარად ავლენდა თავის პოლიტიკურ ინტერესებს ჩრდილო კავკასიისადმი. ეს მაშინ, როდესაც მას უკვე დაპყრობილი ჰქონდა ამიერკავკასია, ხოლო ჩრდილო კავკასიაში მისი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება უკიდურესად მძიმე არ იყო. ჩრდილო კავკასიის ხალხები სხვადასხვაგვარად ავლენდნენ რუსეთისადმი დამოკიდებულებას; ყაბარდო აშკარად ებრძოდა რუსეთს; დაღესტნის თავისუფალი თემების დიდი ნაწილი არ ცნობდა რუსეთის უზენაესობას; ჩეჩნეთსა და ჩერქეზეთიდან გამუდმებით ესხმოდნენ თავს რუსეთის ტერიტორიას, რომელიც ოდესღაც ჩრდილო კავკასიელ ხალხს ეკუთვნოდა და ა.შ. თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფლება კი ამ მიწების გამაგრებას, ე.წ. კავკასიის ხაზით იცავდა, სადაც სერიოზული სამხედრო ძალა იყო გამაგრებული (32, 79-82); და მაინც, 60-იანი წლების დასაწყისამდე რუსეთის მთავრობამ ვერ შეძ-

ლო ჩრდილო კავკასიის საბოლოო დაპყრობა; 1864 წლისათვის ეს პროცესი დასრულდა და რუსეთიც შეუდგა დაპყრობილი ტერიტორიის ათვისება-გამაგრებისათვის სათანადო რეფორმების გატარებას, რომელმაც რუსეთს ახალი და მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა კავკასიაში.

კავკასიის პოლიტიკური დაპყრობის შემდეგ, იმპერიის ხელისუფლების წინაშე უპირველეს ამოცანად დადგა მხარის საფუძვლიანი შერწყმის საკითხი იმპერიის წიაღში. საამისოდ კი, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნა; იმპერიის განაპირა მხარეები და მათ შორის კავკასიაც რუსეთის სახელმწიფო ხაზინის შემავსებელი მხარე უნდა გამხდარიყო. მას რუსეთის საფინანსო-ეკონომიკურ სისტემაში კუთვნილი ადგილი უნდა დაეკავებინა. რუსეთისათვის კავკასიის გასაღების ბაზრის ფუნქცია უნდა შეესრულებინა და თავის მხრივ, ნედლეულის შემოსავლის წყარო გამხდარიყო იმპერიისათვის. „ცარიზმი დაინტერესებული იყო კავკასიის ეკონომიკური ათვისებით, რუსეთისაგან მისი მოწყვეტის ლიკვიდაციით, რათა კი არ დასწოლოდა ტვირთად რუსეთს, არამედ პირიქით, გაეძლიერებინა და განემტკიცებინა მისი ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები" (87, 152).

ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებისათვის იმპერიას ეკონომიკის სფეროში სათანადო რეფორმების გატარება მოუწევდა. ამ მიმართულების ღონისძიებებს საერთო იმპერიული ეკონომიკის მოდერნიზაცია უნდა მოეხდინა, რაც სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად კავკასიის ეკონომიკა ისე უნდა მოეწყო, რომ ის იმპერიის შიდა ეკონომიკასთან ჯერ დაეახლოვებინა, ხოლო შემდგომ მასში სრულად შეერწყა.

ზემოაღნიშნული ამოცანის ცხოვრებაში დასანერგად, რუსეთის ხელისუფლება უნდა გასცნობოდა და ნაწილობრივ გაეთვალისწინებინა კავკასიის სახასიათო ბუნებრივი

გარემო, ფაქტობრივად ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მხარე (ჩრდილო და სამხრეთ კავკასია) მოერგო იმპერიის საერთო ეკონომიკისათვის ისე, რომ რუსეთის ინტერესები სრულად დაეკმაყოფილებინა. ეკონომიკის ამ მოდერნიზაციაში ბუნებრივია, გასათვალისწინებელი იყო საგარეო ეკონომიკის ფაქტორიც, რამეთუ რუსეთის იმპერია ამ მოდერნიზაციით არ უნდა ამოვარდნილიყო საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკის ციკლიდან. მიმდინარე პროცესები მთელი XIX საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა და, რადგან ის დაკავშირებული იყო რუსეთის იმპერიის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცვლილებასთან (კაპიტალისტური წყობილების დამყარების დასაწყისი — ქ.პ.), ბუნებრივია, იწვევდა ერთობ მტკივნეულ პროცესებს და მისით გამოწვეულ მძიმე შედეგებს.

რუსეთისათვის კარგა ხნის ცნობილი იყო იმიერ და ამიერკავკასიის ეკონომიკური ურთიერთობების ხანგრძლივი ტრადიციები. ამ ტრადიციათა რეფორმაცია სირთულეებს უკავშირდებოდა და ალბათ, ამიტომაც კავკასიის ეკონომიკის სწრაფი ცვლილებები არ მომხდარა, მით უფრო რომ ეს პროცესი მიმდინარეობდა რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების საერთო სისტემაში მოქცევის ფონზე. აღნიშნული ვითარება კი თავის ახალ ფაზაში ჯერ კიდევ მაშინ შევიდა, როდესაც 1801 წლიდან ამიერკავკასიაში დაიწყო რუსეთის კავკასიური ადმინისტრაციის დამკვიდრება. ამ უკანასკნელის ზრუნვის უმთავრეს საგნად კი იმთავითვე კავკასიის საუღელტეხილო, თუ საბილიკო გზები იქცა, რომელთაც წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდათ ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ეს გზები ისტორიულად ერთმანეთს უკავშირებდა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის რეგიონებს, ხოლო საქართველოს კი ამ კონტაქტებში გადამწყვეტ როლს ანიჭებდა (14, 77). კავკასიასთან დამაკავშირებელ გზებს, რომ გადამწყვეტი

მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის როგორც სავაჭრო-ეკონომიკური, ისე სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, კარგად ჩანს იმ ფაქტში, რომ საიმპერატორო კარი დღიდან აფინანსებდა ამ გზების სისტემატიურ შეკეთება-სარესტავრაციო სამუშაოებს — „...ჩრდილო კავკასიაში გზების გასაკეთებლად, რუსულ მმართველობას დაუნიშნავს წელიწადში 300000 მანეთი" (306, 4).

რუსეთ-კავკასიის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტებისათვის რამდენიმე მისასვლელი გზა არსებობდა, რომელთაგან მეტ-ნაკლებად ისტორიულად ცნობილი იყო: დარიალის, ოსეთის სავაჭრო, დასავლეთის გზები. თითოეულ ამ გზას, თავის მხრივ, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ურთიერთობებშიც განსაკუთრებული როლი ეკავათ. მაგალითად, ოსეთის სავაჭრო გზა ერთმანეთს უკავშირებდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებს რუსეთის უმოკლესი საქარავნო გზით (12, 387). დასავლეთის გზა აერთიანებდა შიდა ქართლს და დასავლეთ საქართველოს, ხოლო ორივეს ერთად ჩრდილო-კავკასიის ცენტრალურ რაიონებთან (39, 30-31).

XIX საუკუნის მიწურულიდან რუსეთში სერიოზული ძვრები შეინიშნებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართულებით; ქვეყანა თანდათანობით ბურჟუაზიულ წყობილებაში ინაცვლებდა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით (383, 165-166). კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთი შედეგი იყო იმპერიის გარეუბნების ეკონომიკური დაპყრობა და მათი გადაქცევა რუსული კაპიტალიზმის კოლონიებად (383, 86). ერთ-ერთ ასეთ გარეუბნად სწორედ კავკასია გამოიკვეთა XIX საუკუნის მიწურულისათვის. ვ. ლენინი აღნიშნავდა — „...რეფორმის შემდგომ ეპოქაში მიმდინარეობდა ერთის მხრივ კავკასიის წინა ეპოქასთან შედარებით გაძლიერებული კოლონიზაცია, კოლონისტების მიერ მიწების ფართოდ დატაცება და რუ-

სეთიდან მუშა ხელის, სოფლის მოსახლეობის ამ რეგიონებში გადინება. მეორეს მხრივ — მიმდინარეობდა ადგილობრივი საუკუნეებგამოვლილი კუსტარული მრეწველობის გამოდევნა. ისინი კავკასიაში შემოსული მოსკოვური მეფაბრიკეების საქონელს ერთგვარ კონკურენციასაც უწევდნენ" (383, 594).

კავკასიასთან ეკონომიკური კავშირების კიდევ უფრო გაძლიერების საქმეში დიდი როლი შეასრულა სარკინიგზო მშენებლობამ (138, 1). სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებით, კავკასია ჩაერთო საერთო ეკონომიკურ სისტემაში და დაჩქარდა ჩისი ეკონომიკური მოდერნიზაციის პროცესი. კავკასიის სარკინიგზო ხაზის დაარსების იდეაზე აქტიურად მუშაობდნენ საიმპერატორო კარის მოხელენი, რომლებიც აღნიშნული იდეის სარგებლიანობის შესახებ სისტემატიურ მუშაობას ეწეოდნენ იმპერატორთან. ამ მხრივ, აქტიური საქმიანობა ჩაატარეს რკინიგზის დეპარტამენტის დირექტორმა, კავკასიის მეფისნაცვალმა, რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრებმა ბენტკოვსკიმ და გერასიმოვმა (269, 95-96).

კავკასიის სარკინიგზო მაგისტრალს რუსეთისათვის არა მხოლოდ შიდა სავაჭრო კონტაქტების გაფართოების ფუნქცია გააჩნდა, არამედ უდიდესი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარების მიზანიც. რუსეთის აქტიური სავაჭრო კავშირების გაღრმავებისათვის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, სარკინიგზო მიმოსვლას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა — „1883 წელს რკინიგზის ხაზებმა დაუკავშირა ერთმანეთს შავი და კასპიის ზღვების აუზები ამიერკავკასიის მეშვეობით. ახლა საჭირო იყო მისი ჩრდილო კავკასიასთან და რუსეთის ცენტრებთან დაკავშირება..." (87, 154); რაც შეეხება ჩრდილო კავკასიაში სარკინიგზო ხაზის მშენებლობას, მან სამხედრო დატვირთვაც შეიძინა, რამეთუ კავკასიის მთიელთა მთელი XIX საუკუ-

ნის მანძილზე რუსეთის ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა, ამ უკანასკნელს რკინიგზა დამსჯელი რაზმების სწრაფად გადაადგილებისათვის სჭირდებოდა.

კავკასიის ეკონომიკის მოდერნიზაციამ ბუნებრივად გამოიწვია ამ რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური ცვლილებები. კავკასიაში, ჩრდილოეთის რეგიონი მიეკუთვნებოდა იმ რაიონების რიცხვს, რომელშიც რეფორმების შემდგომ პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა ხასიათის მიგრაცია-იმიგრაციის პროცესი. საარქივო მონაცემების თანახმად, XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში მოსახლეობის რიცხვი აქ ორჯერ გაიზარდა და 1897 წლის კამერალური აღწერით 4,5 მილიონ კაცს მიაღწია (201, 75). გადმოსახლებულები ძირითადად იყვნენ გაპროლეტარებული, ან ნახევრად პროლეტარი გლეხობა, მაგრამ მათ შორის იყვნენ შეძლებულებიც. ჩრდილო კავკასიის ქალაქები სწრაფად იზრდებოდა მეშანთა ფენისა და პროლეტარიატის წარმომადგენელთა მეშვეობით. აქვე კომპაქტურად ცხოვრობდნენ ვაჭრები, მოხელეები, გამდიდრებული მრეწველები და სხვ., მაგრამ კავკასიის მიგრაცია-ემიგრაციის პროცესებზე ძირითადი ზეგავლენა მაინც რუსულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო კავკასია აგრესიულ მხარედ მიიჩნეოდა, მისი ხალხები ინტენსიურად მოძრაობდნენ კავკასიის მთელს ტერიტორიაზე.

კავკასიის მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაციისა და ემიგრაციის პროცესებს მთელი XIX საუკუნის მანძილზე რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა:

1) იმპერიის შიდა მღელვარებები და ცარიზმის ხელისუფლებასთან დაპირისპირებები;
2) კავკასიური ომი;
3) 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი;
4) სოციალ-ეკონომიკური პროცესები;

5) რელიგიური ხასიათის ფაქტორები.

XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულში ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის დიდი ნაწილი ორიენტირებული იყო ოსმალეთის იმპერიაზე. აღნიშნული ერთგვარი მიზეზიც გახდა ამ ნაწილის თურქეთში მასიური გადასახლებისა. სამეცნიერო ლიტერატურაში (154, 202) დღემდე არსებობს ამ საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა-მოსაზრებანი: ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, თურქეთის ზეგავლენა მთიელებზე და რელიგიური ფანატიზმი, მაგრამ ძირითადი მიზეზი მაინც საძიებელია: მთიელთა დაქუცმაცებულობასა და საზოგადოებრივი ურთიერთობების წინაალმდეგობრივ ხასიათში, გვაროვნულ გადმონაშთებში და ჩამორჩენილობაში, რაც ხელს უწყობდა სოციალურ-პოლიტიკურ მიზეზთა წინ წამოწევას. ყოველივე ეს კი, პროპაგანდას უწევდა ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებას. თავის მხრივ, თვითმპყრობელობის აგრარული პოლიტიკაც უბიძგებდა მთიელებს გადასახლებისაკენ, რაც გამოიხატებოდა მთავრობის მიერ მათთვის მიწის ჩამორთმევით. აღნიშნულს თვით კავკასიის სამხედრო ხელმძღვანელობაც კი აღნიშნავდა. გენერალი გ. დ. ორბელიანი 1861 წლის 3 ივლისს იწერებოდა — „...სამხედრო საქმის წინ წასვლისათვის, ხშირად ვიღებდით ბრძანებებს ჩამოგვერთვა მიწები მთიელებისათვის და გადაგვეყვანა ისინი ახალ მიწებზე; ახალი სამხედრო მოთხოვნების გამო ხშირად ამ მიწებიდანაც მივერეკებოდით და ვასახლებდით სხვაგან და, ისიც დროებით... მიწების ასეთი დროებითი და გაურკვეველი ვადით მფარველობის გამო, შეიძლება აიხსნას მთელი აულების და მთიანი ადგილების დაცლის სიჩქარე. ყოველივე კი იწვევდა მათ თანდათანობით გადასახლებას თურქეთში" (154, 31-34).

მეფის ხელისუფლების ინტერესებში არ თავსდებოდა კავკასიის არისტოკრატიის პოლიტიკური ძალაუფლებანი

და თანდათანობით დაიწყო ამ უფლებათა შეზღუდვა, რაც ამ უკანასკნელის აგრესიას იწვევდა. ისინი ცარიზმის კავკასიურ მმართველობას სერიოზულ ოპოზიციაში ჩაუდგნენ, რაც ერთის მხრივ ამძიმებდა „კავკასიური ომის" მსვლელობას, ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთის საბოლოო დამკვიდრებას კავკასიაში — „...ჩამოერთვას არისტოკრატიას მთელი ძალაუფლება თუნდაც ძალის მეთოდით, ასევე დიდი უსამართლობა იქნებოდა..." — წერდა კავკასიის მთავარსარდალი, გენერალი, თავადი გ.დ. ორბელიანი იმპერიის სამხედრო მინისტრს დ.ა. მილიუტინს 1861 წელს (154, 35). თავადი გ. ორბელიანი ხელისუფლებას სთავაზობდა მიწის რეფორმის გატარების იდეას, რომელიც დაამშვიდებდა კავკასიელ დიდგვაროვნებს და განამტკიცებდა ცარიზმის ხელისუფლების მმართველობით სისტემას.

კავკასიის ადგილობრივი დიდებულები უნდობლობით განეწყვნენ რუსეთის ხელისუფლების აგრარულ-გლეხური რეფორმისადმი, რისი მიზეზიც მათ უდაოდ გააჩნდათ, რამეთუ 50-იან წლებში ჩრდილო კავკასიაში ბატონყმობის გადავარდნით ისინი დიდად დაზარალდნენ. ისინი დარწმუნდნენ ცარიზმის ვერაგულ პოლიტიკაში და მთიელებში გააჩაღეს რუსეთის მთავრობის საწინააღმდეგო და თურქეთში გადასახლების აგიტაცია — პროპაგანდა. ხელისუფლების დასაშინებლად, ისინი მთიელთა მასიური გადასახლებით იმუქრებოდნენ და კატეგორიულად ითხოვდნენ კავკასიის მთიანეთში ტრადიციული ბატონყმობის დატოვებას. მიმდინარე პროცესები თვითმპყრობელური რუსეთისათვის მომგებიანი აღმოჩნდა. რუსეთმა დაიწყო გადასახლების პროცესისათვის არა თუ ხელშეწყობა, არამედ მისი დაჩქარებაც. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა არასანდო ელემენტისაგან განთავისუფლებას და გამოთავისუფლებული მიწების ათვისებას — „...თურქეთში გადასახლებისაკენ სწრაფვა მანიშნებელია ამ მოსახლეობის პროტესტისა ამ-

თავრობო ღონისძიებებისადმი, რომლებიც მათთვის არასასიამოვნო და როგორც ჩანს აუტანელი იქნება...” — აღნიშნავდა იმპერატორისადმი წარდგენილ ანგარიშში კავკასიის მეფისნაცვალი 1863-1869 წლებში (372, 110).

მთიელთა მიგრაციის პროცესი თურქეთში ძირითადად 1858-1865 წლებში მიმდინარეობდა.[1] ეს პროცესი მთიელ ხალხებს შორის ყველაზე მწვავედ ჩერქეზებს შეეხოთ, რამეთუ მათ განსაკუთრებულად ხელსაყრელი ტერიტორიული მდებარეობა გააჩნდათ (307, 1-2). ემიგრაციული პროცესები მტკივნეულად მოქმედებდა ამიერკავკასიის მოსახლეობაზე ეს დამოკიდებულება ნათლად აისახა თანამედროვე პრესაში (121, 219).

როგორც საარქივო მონაცემები იუწყებიან კავკასიის ადმინისტრაცია პირველყოვლისა „მეამბოხე” მოსახლეობას უწყობდა ხელს გადასახლებაში. თერგის რაიონის ჯარების უფროსმა ევდოკიმოვმა 1861 წლის 26 აპრილს გასცა განკარგულება — „...ხალხისა და მთავრობისათვის სასარგებლოდ მიმაჩნია შფოთის თავი მოსახლეობის კავკასიიდან მოცილება” (405, 1115, 1).

მოსალოდნელი უსიამოვნებების თავიდან აცილების მიზნით, კავკასიის კომიტეტმა 1862 წლის 10 მაისს შექმნა კომისია თურქეთში მთიელთა გადასახლებაზე (405, 154, 1). კომისიის ფუნქციაში შედიოდა სამგზავრო თანხების გამოყოფა და სატრანსპორტო საშუალებების მოძიებით სამუშაოების განხორციელება. კავკასიის კომიტეტი მოლაპარაკებებს აწარმოებდა თურქეთის ხელისუფლებასთან ემიგრანტების მისაღებად. რუსეთის მთავრობის აქტიური მეცადინეობით ჩრდილო კავკასიიდან მასიურად გაედინებოდა მკვიდრი მოსახლეობა. კავკასიის ისტორიოგრაფი, კავკასი-

---

[1] XIX საუკუნის 50-60-იან წლებში თურქეთში გადასახლება განხორციელდა სამ ეტაპად: პირველი — 1859-1862 წწ., მეორე — 1863-1864 წწ., მესამე — 1865 წ.

ოლოგი ა. პ. ბერჟე მიიჩნევდა, რომ გასახლებულთა რაოდენობა დაახლოებით ნახევარი მილიონი იყო. თუმცა, ამ საკითხის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაც არსებობს; ზოგიერთი მკვლევარი (ა.პ. ერმოლოვი) მიიჩნევს, რომ გადასახლებულთა რიცხვი 350000 კაცი იყო; ხოლო თანამედროვე ავტორებიდან: კასუმოვი – 900000, ტოტოევი – 700-750 ათასს, უბიჩინი 700000, ბერკოვი – მილიონზე მეტს (163, 13, 298, 33).

როგორც უკვე აღინიშნა, კავკასიის მთის მოსახლეობის მიგრაცია-ემიგრაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი რელიგიური მომენტიც იყო. ეს ფაქტორი ერთის მხრივ, საძიებელია რელიგიურ სახასიათო ფანატიზმში, ხოლო მეორეს მხრივ, თურქეთის პოლიტიკურ ინტერესებში. ამ მხრივ, არც რუსეთის რელიგიური მიზნებია გამორიცხული, რამეთუ რუსული თვითმპყრობელობის იდეოლოგია – მართლმადიდებლური მრწამსი იყო მხოლოდ მისაღები იმპერიისათვის და ყველა განსხვავებული სარწმუნოება მის პოლიტიკურ ინტერესებში არ თავსდებოდა; სხვა რელიგია ქვეყნის იდეოლოგიისათვის ზედმეტი ელემენტი იყო, მით უფრო, როდესაც ის ცარიზმის ზრახვების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. რუსეთის ასეთმა პოლიტიკამ სამშობლოს სამუდამოდ მოსწყვიტა ათასობით კავკასიელი – „...გაუყენა მუჰაჯირობის ანუ სამშობლოდან თურქეთში გადასახლების უბედურებით აღსავსე გზას" (234, 3-14). ეროვნული გადაგვარებისაგან ხსნის გზად კავკასიელ მთიელებს თურქეთი მიაჩნდათ, ხოლო ამ უკანასკნელს კი საგარეო პოლიტიკის მოგვარების იარაღად ისლამური რელიგია (114, 341).

მიგრაციულ-ემიგრაციული მოძრაობა შიდაკავკასიურ ხასიათსაც ატარებდა. ეს მოძრაობა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით იყო ნაკარნახევი. ეს პროცესები მთლიანად კავკასიის წიაღს მოიცავდა და განსაკუთრებული სიმძა-

ფრით ამიერკავკასიის ქვეყნებიდან საქართველოს შეეხო. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ტრადიციულ-ისტორიულ მეზობლურმა სიახლოვემ და ამ სიახლოვით გამოწვეულმა კავშირებმა. სეზონური სამუშაოები განსაკუთრებულად უწყობდნენ ხელს კავკასიურ მიგრაციებს, მაგალითად, ოსების, ქისტების ჩამოსახლება საქართველოში, რაჭველების სამუშაოდ გადასვლები კავკასიის მთიანეთში და ა.შ. შიდა მიგრაციულ პროცესებს აქტიურად უწყობდა ხელს რუსეთის ხელისუფლებაც, რომლის მიზანიც იმპერიის საერთო მოსახლეობაში ეთნიკურად ჭრელი კავკასიელების ასიმილაცია იყო. ცარიზმის მიერ გატარებული რეფორმები (მაგ. საგლეხო რეფორმა — ქ.პ.) აჩქარებდა ამიერკავკასიაში ჩრდილო კავკასიის მთიელთა მიგრაციას (მთიდან ბარში — აღმოსავლეთ საქართველოში ქისტების მასიური გადმოსახლება) (84, 49).

XIX საუკუნის მიწურულში ჩრდილო კავკასიიდან კიდევ უფრო გაძლიერდა მიგრაციის პროცესები (70, 26). აღნიშნულის მიზეზი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი გახდა. პროთურქული ორიენტაციის მთიელები გამარჯვებული რუსეთის ხელისუფლებისაგან რეპრესიებს განიცდიდნენ, რაც მათ აიძულებდა სამშობლოდან აყრილიყვნენ და სხვა ქვეყნისთვის შეეფარებინათ თავი. ასეთი პროცესი საერთო კავკასიურ ინტერესებს ვნებდა და კავკასიაში რუსული პოლიტიკის გამარჯვებას უწყობდა ხელს.

XIX საუკუნის მიწურულის მიგრაციები კი წმინდა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. რუსეთის ინტერესებში არ იყო თურქეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე არასანდო ელემენტის — მთიელთა ცხოვრება. მათი გასახლების მიზეზად კი კავკასიის მთავრობა აგრესიულ რელიგიას ასახელებდა. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივი იყო, რომ მთიელები სწორედ საკუთარი რელიგიის რუსთაგან აგრესიის დაცვით გამოსულიყვნენ (155, 141-143).

XIX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან რუსეთის იმპერიამ გააგრძელა კავკასიის კოლონიზაციის ტრადიციული პოლიტიკა; მასიური ხასიათი შეიძინა რუსული ელემენტის ჩასახლებამ მთიელთა მიერ ე.წ. „გამონთავისუფლებულ" მიწებზე. რუსული მოსახლეობა ხელისუფლების პოლიტიკის დასაყრდენი უნდა გამხდარიყო კავკასიაში. საამისოდ, მთავრობამ კაზაკი მოსახლეობა შეარჩია. სამხედრო მინისტრის ჩერნიშევსკის მოხსენებით ბარათს იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ შემდეგი შინაარსის რეზოლუცია დაადო — „სავსებით ვეთანხმები" (155, 112-114).

1859 წელს კავკასიის ომის დასრულებამ ჩრდილო კავკასიაში კაზაკების ჩასახლების პროცესი გააძლიერა. ისინი ადიღებს ჩაენაცვლნენ და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მასიურად გაჩნდა კაზაკური დასახლებები, ხოლო ადიღებში დაიწყო თურქეთში გადასახლებისათვის მასიური აგიტაცია. კაზაკების დასახლებებს შორის გაჩნდა გერმანული კოლონიები (მიხელსტალი, ალექსანდრფელდი). გერმანული კოლონიებიც აღმოცენდა ადგილობრივ მოსახლეობას შორისაც, კერძოდ, მდინარე ნალჩიკზე (ყაბარდო), ზელენჩუკი (ყარაჩაი — ჩერქეზეთში) და ა.შ. (154, 215).

მოკლე ხანში ათვისებულ იქნა დიდი ფართობის ტერიტორია, რომელიც გარდაიქმნა მატერიალური შემოსავლის მუდმივ წყაროდ არა მხოლოდ რუსი, არამედ ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც, რომლებიც ჩრდილოდასავლეთ კავკასიაში დარჩნენ. ჩრდილო კავკასია თანდათანობით გადაიქცა საქონლისა და ნედლეულის ბრუნვის მნიშვნელოვან ბაზრად. ყოველივე ეს კი, რუსეთის იმპერიის მრეწველობის გაფართოებას უწყობდა ხელს.

როგორც რუსეთისათვის იმთავითვე იყო ცნობილი, კავკასიას უზარმაზარი ბუნებრივი რესურსები გააჩნდა, რომლის გამოყენებისაკენაც ილტვოდა რუსეთის იმპერია,

რაც ბუნებრივია, კავკასიის ტრადიციულ ეკონომიკას გარკვეულ დაღს ასვამდა. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტური ურთიერთობები, რომელიც რუსეთიდან კავკასიაში შემოიჭრა, გარკვეულწილად დადებით როლსაც ასრულებდა მისი ეკონომიკის აღმავლობაში.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ თავისი კვალი დაამჩნია კუსტარული მრეწველობის დარგებს, რომლებიც ეკონომიკურმა პოლიტიკამ კავკასიაში წარმოშვა, ე.წ. ხელოსანი მეწარმეები, „რომლებიც დაქირავებულ შრომას იყენებდნენ თავის სახელოსნოებში" (87, 170).

წვრილი კაპიტალისტური წარმოების — ხელოსნობის ჩასახვა დამახასიათებელი იყო ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი პერიოდის საქალაქო ცხოვრებისათვის. ასეთ ქალაქებში არსებობდა მრეწველობის განსხვავებული ფორმები: ოჯახური, შინამრეწველობა, ხელოსნობა, მანუფაქტურა და კაპიტალისტური მრეწველობა. XIX საუკუნის ჩრდილო კავკასიაში ამ ფორმებიდან ძირითადად განვითარებული იყო ხელოსნური წარმოება.

ჩრდილო კავკასიაში კუსტარული მრეწველობა საოჯახო შინამრეწველობის ხასიათს ატარებდა, მაგრამ ზოგიერთი წარმოება გამოეყო დამოუკიდებელ ხელოსნურ დარგად, მაგალითად, შალის და მისი ნაწარმის — ნაბდების წარმოება (314, 2-3). წვრილი ხელოსნური წარმოების ოსტატები სეზონურ სამუშაოებს მისდევდნენ — „იწყება დაღესტნელ მთიელთა მუდმივ სამუშაოზე გადმოსვლა საქართველოს ქალაქებსა თუ სოფლებში" (268, 80-91).

კუსტარული მრეწველობის მთიელთა დუქნებით მოიფინა არა მხოლოდ ამიერკავკასია, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო — ქალაქ-ცენტრები — „...ისინი მოედნენ დონის მიწებს, ასტრახანს, ორენბურგს, სპარსეთსა და თურქეთს, საიდანაც მისი მწარმოებლები სამშობლოში მხოლოდ მაისის თვეში ბრუნდებოდნენ" (120, 106)." რკი-

ნიგზის მაგისტრალის გაყვანამ ჩრდილო კავკასიის ქალაქებში გაზარდა მოსახლეობის რიცხვი და ეკონომიკის განვითარება გამოიწვია.

კავკასიის ეკონომიკის მოდერნიზაციას ბუნებრივია სჭირდებოდა ვაჭრობის აღმავლობა. ამ დარგის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა რამდენიმე ფაქტორმა: კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ, სასაქონლო ფულად ურთიერთობათა ზრდამ, რკინიგზის გაყვანამ და ა.შ. (330, 15).

თუ XIX საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულამდე კავკასიის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებს ცხოველი სავაჭრო ურთიერთობები ასაზრდოებდათ და მათი ინტენსიობა პოლიტიკური პროცესების ცვალებადობით განისაზღვრებოდა, რეფორმის შემდგომ ხანაში (XIX საუკუნის მეორე ნახევარი — ქ.პ.), ჩრდილო კავკასია რუსული სავაჭრო სამრეწველო ცენტრების გავლენის ქვეშ მოექცა (70, 11).

რუსეთს ფართო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა ევროპისა და აზიის ქვეყნებთან. ამ კავშირების გამყარების, სავაჭრო კაპიტალიზმის გაფართოების და თავისი მრეწველობის ფართო ბაზრის შექმნისათვის მას ესაჭიროებოდა კავკასიის ეკონომიკის მოდერნიზაცია, რომელიც თავის მხრივ, მის პოლიტიკურ მიზნებს განახორციელებდა კავკასიაში. კავკასიის რუსული მმართველობა მთიელებთან თავისუფალ ვაჭრობას მოიაზრებდა მათი მხარის ათვისების ერთადერთ მშვიდობიან გზად — „...მხოლოდ თავისუფალ ვაჭრობას შეუძლია შეწყვიტოს მთიელთა საიდუმლო კავშირი თურქეთთან, განავითაროს მთიელებთან ჩვენი მშვიდობიანი ურთიერთობა და ამით საფუძველი ჩაეყაროს მათ ნამდვილ დამორჩილების საწყისს" (91, 61).

ამრიგად, XIX საუკუნეში რუსეთის პოლიტიკურ წარმატებას კავკასიაში მოჰყვა მისი ეკონომიკის მოდერნიზაციის მიმართულებით ღონისძიებების დასახვა. ამ ღონის-

მიებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. რუსეთმა სავაჭრო პოლიტიკის გატარებისას კავკასიაში გაითვალისწინა მისი მოსახლეობის ამ საქმეში ტრადიციები და ხან კომპრომისით, ხანაც მკაცრი კომერციული კანონებით მოქმედებდა მთიელთა მიმართ. მთავრობის კავკასიური ეკონომიკის მოდერნიზაციის ასეთი მსვლელობა განპირობებული იყო ცვალებადი პოლიტიკური ვითარებებით ცარიზმის შიდა და განაპირა რეგიონების მიმართ. მთლიანობაში, მიჩნეულია, რომ ეს პოლიტიკა მაინც დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა, რომელიც განპირობებული იყო ამიერკავკასიის ეკონომიკური ათვისებითაც. ამის შემდგომ, საერთო კავკასიური ეკონომიკა, როგორც იმპერიის საერთო ეკონომიკის ქვაკუთხედი მთლიანად ჩაება საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში.

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისისათვის ფაქტობრივად დასრულდა კავკასიის, როგორც მთლიანი ერთეულის პოლიტიკური ათვისების პროცესი. ეს მოვლენა მას შემდეგ გახდა რუსეთის შიდა პოლიტიკის მთავარი ზრუნვის ობიექტი, როდესაც იმპერიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოდერნიზაციის დაწყება ჩრდილო კავკასიაშიც. ეს რეგიონი მთლიანად უნდა მოაზრებულიყო სამხრეთ კავკასიის მმართველობის სისტემაში და ერთი მთლიანი ერთეული — კავკასიის გარეუბანი შექმნილიყო საამისოდ, რუსეთმა 60-70-იანი წლების მანძილზე სერიოზული რეფორმები გაატარა სოფლის მეურნეობაში, ადმინისტრაციასა და სასამართლო მმართველობაში.

როგორც ცნობილია, 1861 წელს რუსეთში ბატონყმობა გადავარდა და ამით განხორციელდა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის შეცვლა კაპიტალისტურით. ხელისუფლება იძულებული იყო ასეთივე რეფორმა გაეტარებინა იმპერიის გარეუბნებშიც, მათ შორის კავკასიაშიც, რომლის

ეკონომიკაც სერიოზულად ჩამორჩებოდა რუსეთის ეკონომიკას.

მეფის ხელისუფლება კავკასიაში რეფორმების გატარებით ცდილობდა შეესუსტებინა სოციალური ხასიათის დაძაბულობანი, ამიტომ იყო, რომ კავკასიაში დიდი მნიშვნელობის მიწის რეფორმა რუსეთის შიდა გუბერნიებისაგან განსხვავებით კავკასიაში ეტაპობრივად და ნელი ტემპით მიმდინარეობდა (156, 302). მიწის რეფორმის გატარებით, ცარიზმის მთავრობა იმედოვნებდა სახელმწიფო მიწის ფონდის შექმნას „თავისუფალი მიწებისაგან". საამისოდ, საომარი მოქმედებების დროს, ჯერ კიდევ 40-50-იან წლებში კავკასიის მეფისნაცვალმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიმუშავა „მხარის დამშვიდების" მეთოდი. ამ მიზნით შეიქმნა ჩრდილო კავკასიაში კომიტეტები (ოსეთის, ჩეჩნეთის, ყაბარდოს), მაგრამ ამ კომიტეტებმა მიწის საკითხი მაინც ვერ გადაჭრეს. 1861 წლიდან, თავადმა ორბელიანმა დაიწყო ახალი მიწის რეფორმის პროექტზე მუშაობა, რომლის ირგვლივაც შექმნილი კომისიის გადაწყვეტილება მოწონებულ იქნა მთავრობის მიერ — „...მოსახლეობის მიერ დაკავებული ბარის მიწები ეკუთვნის სახელმწიფოს". მიწის საკითხისადმი ასეთი მიდგომით სახელმწიფო ხელისუფლებას ეძლეოდა საშუალება დაეკავებინა მთიელთა მიწები და თავად ყოფილიყვნენ მისი გამგებლები.

მიწის რეფორმის გატარებისა და „ხანის სოციალური ინსტიტუტის" ლიკვიდაციით, საგრძნობლად გაიზარდა მიწის ფონდი. მიწის ფონდი ეკუთვნოდა მეფის სახელმწიფო ხაზინას. მასში შევიდა მთიელთა არისტოკრატიის კუთვნილი და გლეხთა სათემო მიწები. სახელმწიფო მიწების ფონდიდან მიწის ნაკვეთები, როგორც ძველად, ახლაც დაურიგდათ კავკასიის ადმინისტრაციის იმ თანამშრომლებს, რომლებიც ცარიზმის პოლიტიკის აქტიური გამტარებლები იყვნენ კავკასიაში.

მიწის რეფორმის შედეგად, კავკასიაში მემამულეთა ახალი კლასი ჩამოყალიბდა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამეფო თვითმპყრობელობის მანქანასთან. ეს ფენა მთელი თავისი რწმენითა და ერთგულებით ემსახურებოდა ცარიზმს.

მიწის რეფორმა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში ფაქტობრივად ერთდროულად და თითქმის ერთნაირი მეთოდით გატარდა, თუმცა ამიერკავკასიის მიწის რეფორმას მაინც ერთგვარი თავისებურებები ახასიათებდა გამომდინარე მისი გეოგრაფიულ-ბუნებრივი გარემოდან, სოციალ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ხასიათიდან და ა.შ. მიწის რეფორმისათვის მზადება სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ხელისუფლებამ 1857 წლიდან დაიწყო[1] ამიერკავკასიაში; მომზადდა მრავალი პროექტი, რომლებიც აზრობრივად ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა (230; 25, 396-429). პროექტის ავტორები კონსერვატიული და ლიბერალური თავადაზნაურობის წარმომადგენლები იყვნენ. საბოლოოდ, ამიერკავკასიის ცენტრალური საგლეხო კომიტეტის პროექტი პრივილეგიური წოდების ინტერესების მაქსიმალური დაცვით, დამტკიცებულ იქნა მთავარ საგლეხო კომიტეტისა და კავკასიის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე. ამის შემდგომ, ის დაამტკიცა უმაღლესმა ხელისუფლებამ.

ამრიგად, 1864 წელს, ბატონყმობის გაუქმების შედეგად, ყმებს პირადი თავისუფლება მიენიჭათ და დებულებით მიწები გადაეცათ არა საკუთრებაში, არამედ მუდმივ სარ-

---

[1] მართალია, პირველი ოფიციალური მიწერილობა რეფორმის გატარების შესახებ კავკასიის ადმინისტრაციამ 1861 წლის მარტის თვეში მიიღო, მაგრამ მასალა-ცირკულარების მიღება სანკტ-პეტერბურგიდან 1857 წლიდან დაიწყო. იხ. ჩხეტია შ., სასამართლო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950წ., გვ.3.

გებლობაში, რისთვისაც მიწის მეპატრონეს უხდიდნენ იმავე გადასახადს, რასაც რეფორმამდე. ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა — „...საკმარისია, ოდნავ ჩაუფიქრდეს კაცი თქვენს, ეგრეთწოდებულ რეფორმას, როდესაც მემამულე გლეხის მთელი მიწების მფლობელობაში შეგყავთ, როდესაც გლეხებს წინანდელზე უარესად აბამთ მიწაზე, როდესაც ბოლოს, მემამულეს დაუსჯელად შეუძლია ჩამოაჭრას გლეხს მისი მიწის ნახევარი, როდესაც გლეხს ხელიდან ეცლება მიწა, წყალი, სარწყავი მასალა და თითქმის ჰაერიც კი?" (3, 301-302).

ამრიგად, ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმამ, რომელიც მხოლოდ გაბატონებული ფენის ინტერესების შესატყვისად გატარდა, მაინც მრავალი სიკეთე მოუტანა გლეხობას. მას უკეთეს პირობებს ჰპირდებოდა და დამოუკიდებლად შეეძლო გაემართა საკუთარი მეურნეობა, ეწარმოებინა ვაჭრობა-მრეწველობა. ამასთან, გაიზარდა გლეხის პირადი დაინტერესება, შრომის ნაყოფიერება. ბატონყმობის გაუქმებამ დააჩქარა საწარმოო ძალთა გაერთიანება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და კაპიტალისტურ წყობაში გადასვლის ტემპი.

ჩრდილო კავკასიაში ბატონყმობის ნაწილობრივი შეზღუდვის მცდელობანი ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმის გატარებამდე დაიწყო. 1859 წელს ბატონყმობისაგან განთავისუფლდნენ იმ მემამულეთა გლეხები, რომლებიც კავკასიის ადმინისტრაციის დამკვიდრების რადიკალურად მოწინააღმდეგენი იყვნენ. ამიტომ, ჩრდილო კავკასიაში ბატონყმობის გაუქმება — 1861 წელს შეეხო ცალკეული რეგიონების კონკრეტულ მებატონეთა გლეხებს. მათ შორის იყვნენ თერგის რეგიონის ჯარებში მომსახურე აზიური წარმომავლობის „ხოლოპებიც". აღნიშნული კი სერიოზულ გართულებას იწვევდა მთიელთა იმ ნაწილში, რომელთაც არ

შეეხოთ ბატონყმობის გაუქმება. კავკასიის ადმინისტრაცია იძულებული იყო დაეჩქარებინა რეფორმის გატარება სრულიად ჩრდილო კავკასიაში, ხოლო ინტენსიური მუშაობა ამ მიმართულებით მას შემდეგ დაიწყო, რაც ხელისუფლებამ ოფიციალურად დანერგა საგლეხო რეფორმა (406, 93, 1; 406, 266, 1).

1866 წელს, თბილისში შეიქმნა განსაკუთრებული კომიტეტი გლეხთა საკითხის შესწავლისათვის, რომელსაც თავმჯდომარეობდა გენერალ-ადიუტანტი კარცოვი. კომიტეტმა შეიმუშავა კავკასიის გლეხთა განთავისუფლების საერთო პრინციპები. რუსეთის ხელისუფლების ამ მიმართულების წინააღმდეგ გამოვიდნენ მთიელი ფეოდალები. მაგალითად, ყაბარდოელმა დიდებულებმა 1867 წელს კავკასიის ადმინისტრაციას წაუყენეს ულტიმატუმი: საშუალება მიეცათ თავადებისათვის გადასახლებულიყვნენ გლეხებით თურქეთში. პროტესტის ნიშნად 60-იან წლებში თურქეთში გადასახლდნენ ათი ათასობით ყაბარდოელი, ოსი, ნოღაიდელი. ამრიგად, თურქეთში მთიელთა გადასახლებასა და საგლეხო რეფორმის გატარებას შორის პირდაპირი კავშირია. დარჩენილი მთიელების პროტესტით სარგებლობდნენ ადგილობრივი დიდებულები და კავკასიის ადმინისტრაციასთან გარიგებებით ცდილობდნენ რეფორმის გატარების პროცესში საკუთარი ინტერესების დაფიქსირებას და განხორციელებას (334).

რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული მძარცველური რეფორმა მთიელებისათვის უკიდურესად შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. ჩრდილო კავკასიის გლეხობამ თხოვნით მიმართა კავკასიის არმიის მხედართმთავარს, რათა ეხსნა ისინი მემამულეთა უკანონო მოთხოვნებისაგან — „...ისინი ითხოვენ, რომ მთელი ჩვენი ქონება მათ მივცეთ, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება მემამულეებისადმი პატივისცემის გამო, ყურად არ იღებს ჩვენს თხოვნას და

გვემუქრება კიდეც. პირიქით, ისინი გვარწმუნებენ, რომ მემამულეებისაგან საბოლოო გათავისუფლებისათვის საჭიროა მათ მივცეთ ჩვენი ქონების ორი მეოთხედი და დავიტოვოთ მხოლოდ ერთი მეოთხედი" (406, 197, 1-2).

კავკასიელი გლეხობა, რომელიც იმედოვნებდა ბატონყმობისაგან სწრაფად განთავისუფლებას — მოტყუებული დარჩა, რის გამოც მათ გააქტიურეს ბრძოლა ფეოდალებისა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ (406, 598, 7).

რეფორმის ცხოვრებაში წარმატებით გატარებისათვის რუსეთის ხელისუფლებამ შექმნა საგანგებო სასამართლოები, რომელიც ადგილობრივი ადმინისტრაციული სისტემის ძლიერი დასაყრდენი იყო. სასამართლოების კომპეტენციას განუწესეს საგანგებო ინსტრუქცია. მათ ევალებოდათ განესაზღვრათ გლეხებისათვის წლიური სამუშაო გადასახადი, რომელიც უნდა გადაეხადათ მემამულეებისათვის (სავალდებულო გადასახადები — ქ.პ.) საკუთარი შრომით (166, 67). ასეთი პროცესით მიმდინარეობდა გლეხთა ე.წ. „განთავისუფლება" მემამულეთა მიერ და სამუდამოდ ტოვებდა მათ კაბალურ დამოკიდებულებაში.

XIX საუკუნის შუა ხანებში, რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებამ მოითხოვა არა მარტო ბატონყმობის გადავარდნა, არამედ სახელმწიფო აპარატის გარდაქმნაც, ბურჟუაზიული რეფორმების გატარება სოფლისა და ქალაქის მმართველობაში, სასამართლოს, ჯარისა და სახალხო განათლების სისტემებში. როგორც საგლეხო რეფორმა, ისინიც სანახევროდ გატარებული და საკმაოდ შეზღუდული იყო, თუმცა წინ გადადგმული ნაბიჯიც რუსეთის ბურჟუაზიულ მონარქიად გარდაქმნის საქმეში.

რეფორმის არსში იდო ბურჟუაზიული გარდაქმნის პრინციპი სახელმწიფო მმართველობის აპარატში, რომელშიც ბურჟუაზიული საზოგადოება უნდა ჩანაცვლებოდა ფეოდალურ-მონარქიულ საზოგადოებას, მაგრამ ეს პროცესი

არც ერთ რეფორმაში არ გატარებულა ბოლომდე სრული სახით — შენარჩუნდა ფეოდალური სამართალი, მიწათმფლობელობა, სახელმწიფო აპარატი.

შეზღუდვები გამოვლინდა იმ თვალსაზრისითაც, რომ რეფორმები განივრცო არა მთლიანად იმპერიის ტერიტორიაზე, არც საყოველთაო იყო და, არც ერთდროულად განხორციელებულა. მაგალითად, ამიერკავკასიის ქვეყნებში აგრარული რეფორმა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხასიათით გატარდა, რომ არაფერი ითქვას საქართველოს რეგიონებზე, სადაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მხოლოდ ბუნებრივმა გარემომ, მიწის რენტაბელობამ, არამედ სოციალურმა და კლასობრივი დაპირისპირების ფაქტორმაც (3, 301-320). ასევე, ჩრდილო კავკასიაში, მაგალითად, სტავროპოლის გუბერნიაში რეფორმის გატარების შემდგომ ხანაში არ იყო ისევ დანერგილი მიწის რეფორმა, რასაც რუსეთის მთავრობა იმ ფაქტორით ხსნიდა, რომ სუსტად იყო იქ განვითარებული რეფორმამდე სამამულო მიწათმფლობელობა (154, 277).

შედარებით თანმიმდევრულად გატარდა სასამართლო რეფორმა ყველა რეგიონში, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა და დაენერგა სამართალწარმოების ახალი პრინციპები, მაგრამ, არც მას გააჩნდა დასრულებული სახე. უპირველეს ყოვლისა, შენარჩუნდა სამღვდელოებისათვის სასულიერო სასამართლო, სამხედროებისათვის — სამხედრო სასამართლო და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასამართლო გამოცხადდა ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელ ორგანოდ, დაინერგა მოსამართლეთა შეუვალობის, ხმის მიცემის და საქმეთა სახალხო განხილვის პრინციპები.

რუსეთის მიერ ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობის შემდგომ, მთავრობა ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს მმართველობის სისტემის მოდერნიზაციას უთმობდა. მმართ-

ველობის ის წესები, რომლებიც თითქმის ნახევარი საუკუნე არსებობდა კავკასიაში, უკვე აღარ პასუხობდა იმპერიის გაზრდილ მოთხოვნებს ამიერკავკასიის ქვეყნებისადმი. 1831 წელს სენატორმა მეჩნიკოვმა ამიერკავკასიის ქვეყნები შეამოწმა და მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნა — „...დატოვო მმართველობა ამ მდგომარეობაში, ხანგრძლივი დროით გადადო მისი გარდაქმნა, ეს ნიშნავს მტრულად იყო განწყობილი რუსეთისადმი და ითმინო პოლიტიკური სხეულის ავადმყოფობა იმ ზომამდე, როცა მისი განკურნება შეუძლებელი იქნება. ამიტომ, ჩემი აზრით — ახლავე ჩაუყარეთ საფუძველი მის გარდაქმნას, გადადება მავნეც იქნება და სახიფათოც“ (4, 127). რუსეთის ჩინოვნიკებს მმართველობის სისტემის ნაკლად მიაჩნდათ მასში ადგილობრივი ელემენტის მონაწილეობა, რომლის განდევნისა და რუსული ელემენტის სრული დანერგვისათვის მეცადინეობდნენ (4, 139).

მმართველობის სისტემის მოდერნიზაციას შედეგად ცარიზმის პოზიციების განმტკიცება უნდა მოჰყოლოდა მთელს ამიერკავკასიაში. ადგილობრივი კანონების, ადათჩვეულებათა გაუქმება, ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოების საქმის წარმოებიდან ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების საბოლოო განდევნა და მის ნაცვლად მოსახლეობისათვის უცხო, გაუგებარი რუსული ენის დანერგვა, თითქმის ყველა თანამდებობიდან ადგილობრივი წარმოშობის მოხელეთა გადაყენება და ახლადშექმნილი დაწესებულებათა დაკომპლექტება რუსული ელემენტით, რომლებიც სრულებით არ იცნობდნენ ამიერკავკასიის მხარეს, მის მკვიდრთ, უაღრესად უარყოფით დახასიათებას იმსახურებდნენ.

ახლადშექმნილი ადმინისტრაციის ასევე უმნიშვნელოვანესი დავალება იყო სახელმწიფოს შემოსავლის ზრდა,

დავალიანებათა ლიკვიდაცია, ხაზინის შევსების გზებისა და საშუალებების გამონახვა და ა.შ. (229, 67-73).

ახალი ადმინისტრაციის ზემოაღნიშნულმა ფუნქცია-მოვალეობებმა საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია ამიერკავკასიის მოსახლეობაში (149, 299), რომელიც შეიარაღებულ გამოსვლებამდეც კი მივიდა. რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ადმინისტრაციულ მმართველობაში კიდევ ერთი ახალი დეტალი შეეტანა, რაც გამოვლინდა მეფისნაცვლობის სოციალური ინსტიტუტის შემოღებაში (1844წ) (136, 32). მმართველობის ამ ფორმამ ამიერკავკასიის მოსახლეობას დაანახა სამხედრო რეჟიმის დასრულება და სამოქალაქო მმართველობის დამყარება. ახალი დებულება ამიერკავკასიის მხარის მმართველობის შესახებ მიღებულ იქნა 1858 წლის 21 დეკემბერს. ამ ცვლილებების შედეგად მეფისნაცვლის თანამდებობის სახით რუსულმა ადმინისტრაციამ ამიერკავკასიაზე უფლებები ერთი-ორად გაიფართოვა. მეფისნაცვალი, რომელიც უშუალოდ იმპერატორს ექვემდებარებოდა გახდა სრულიად დამოუკიდებელი მმართველი ამიერკავკასიაში (89, 70) – „...კავკასიის ადმინისტრაციას უფრო მეტი საშუალება მიეცა, ვიდრე წინათ, თვითნებურად წარემართა ქვეყნის საქმე და სამსახური გამოეყენებინა თავისი პირადი ინტერესებისათვის..." (89, 71) – აღნიშნავდა შ. ჩხეტია.

XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ჩრდილო კავკასიის მთის მოსახლეობა ემორჩილებოდა კავკასიის ხაზის სამხედრო ხელისუფლებას. სამოქალაქო მმართველობა მხოლოდ სტავროპოლის გუბერნიაში მოქმედებდა. 1860 წლიდან ჩრდილო კავკასიის მთლიანი სივრცე გადანაწილდა სტავროპოლის გუბერნიაზე, ყუბანისა და თერგის ოლქებზე. რაიონები თავის მხრივ ოლქებად დაიყო. მაგალითად, დაღესტანი, კუმიკელი მოსახლეობის ერთი ნაწილის გარდა მიეწერა ამიერკავკასიას. დამყარდა განსხვავებული მმართ-

ველობა მოქალაქეთათვის კაზაკებისა და მთის მოსახლეობისათვის. ფაქტობრივად, ეს მანიშნებელი იყო ჩრდილო კავკასიის მხარის სამოქალაქო მმართველობაზე გარდასვლისა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყაროს შეცვლის პრაქტიკული ქმედებისა.

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში დაღესტნის რეგიონი იყოფოდა: სამხედრო, სახანო და საქალაქო მმართველობად, ე.ი. ჯერ კიდევ არ იყო საკითხი სრულად გადაჭრილი დაღესტანში ერთტიპიან ადმინისტრაციულ დაყოფასა და მმართველობაზე.

60-იან წლებში ცარიზმის აპარატმა ტრადიციულ პოლიტიკას მკვეთრად გადაუხვია და სახანო მმართველობის გაძლიერების ნაცვლად მის ლიკვიდაციას შეუდგა. როდესაც რუსეთმა კავკასია პოლიტიკურად სრულად აითვისა, ხანების აპარატი უკვე მისთვის ზედმეტი ელემენტი შეიქნა. ხანობის ლიკვიდაცია დააჩქარა 60-იანი წლების კლასობრივმა ამბოხებებმა. რუსეთის ხელისუფლებამ იდროვა შექმნილი გარემოებით და მისი ლიკვიდაცია მოახდინა ხანების ე.წ. „ნებაყოფლობითი" უარის თქმით თავიანთ უფლებებზე.

ამიერკავკასიაში, ბატონყმობის გაუქმებამდე, სოფლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ფაქტობრივად არ არსებობდა. ყმა გლეხების საქმეებს მემამულეთა და ეკლესიის უწყების მიერ დანიშნული მოურავები განაგებდნენ, სახაზინო გლეხებზე მეთვალყურეობას კი პოლიციის აგენტები ასრულებდნენ.

საგლეხო რეფორმის მომზადების პერიოდში, იმპერიის ხელისუფლებისათვის გაჩნდა ახალი პირობების შესატყვისი სოფლის მმართველობის ორგანიზაციის საკითხი.

1864 წლის 13 ოქტომბერს დამტკიცდა ამიერკავკასიის სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის მოწყობის წესები (11, 304), რომლის თანახმად სასოფლო საზოგა-

დოებაში უნდა გაერთიანებულიყო ყველა კატეგორიის გლეხობა. სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის ფუნქციებში შედიოდა სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმეების განმგებლობა. სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის დებულება იყო გლეხთა წოდებრივი დაწესებულება. სოფლის მოსახლეობის სხვა ფენები მის საქმიანობაში არ მონაწილეობდნენ. იგივე დებულება ითვალისწინებდა სასოფლო საზოგადოებაში საგლეხო სასამართლოს ჩამოყალიბებასაც.

სოფლის მმართველობის რეორგანიზაცია არ იწვევდა საგადასახადო სისტემაში ცვლილებებს. სახელმწიფო გადასახადების გარდა გლეხობა ვალდებული იყო ცალკე გაეღო თანხები საზოგადოებრივი მმართველობის შენახვის, სახალხო განათლების, სასოფლო გზების, სარწყავი არხების შენახვა-შეკეთებისათვის და ა.შ. (391, 1-83).

ამიერკავკასიის პროგრესული საზოგადოება დადებითად შეხვდა ახალ რეფორმას, მაგრამ იმთავითვე ამხილა მისი ნაკლოვანებებიც, რომელიც მდგომარეობდა გლეხთა ფორმალური უფლებების მინიჭებაში და მთავრობის ინტერესების შესატყვისად საკითხებისადმი ცალსახად მიდგომაში — „...იმ რეფორმებს შორის, რომელნიც ამ უკანასკნელ ათ-თხუთმეტ წელიწადში მოხვდნენ ჩვენში, სოფლის ახალი გამგეობისა და სასამართლოების შემოღებას დიდი მნიშვნელობა აქვს... მაგრამ... აღმოჩნდნენ ზოგიერთი გარემოებანი, რომლის წყალობით სოფლის გამგეობისა და სასამართლოების რეფორმა ზოგან ვერ მიდის ისე კარგად, როგორც რიგია და როგორც იმედი გვქონდა..." (302, 3). — აღნიშნავდა გაზეთ „დროების" კორესპონდენტი.

ამიერკავკასიაში მიმდინარე საკითხით გამოწვეული მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ადგილობრივმა მმართველობამ 1885 წელს ამიერკავკასიის მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვის განკარგულებით

შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის გამაუმჯობესებელი ღონისძიებანი. ამ უკანასკნელში მოიაზრებოდა პატარა სოფლების მმართველობათა გაერთიანება — გამსხვილება, ხოლო აქედან ამონაგები თანხებით კი სასოფლო კანცელარიების კეთილმოწყობა და მოხელეთა ხელფასებით უზრუნველყოფა. მაგრამ, ფაქტობრივად, რუსეთის ხელისუფლებასა და კავკასიის სასოფლო მმართველობაში არსებითად არაფერი შეცვლილა და გლეხთა ხარჯზე მოწყობილი სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობები რუსეთის მთავრობის ინტერესთა გამტარებლებად დარჩნენ.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს აშკარა გახდა, რომ ძველი სასამართლო და მისი სისტემა ამიერკავკასიაში აღარ შეეფერებოდა ახალი ეპოქის მოთხოვნებს და რუსეთის იმპერიის ინტერესებს. 1864 წლის 20 ნოემბერს რუსეთის საიმპერატორო კარმა დაამტკიცა ახალი სასამართლო წესდების პროექტი. პროექტს საფუძვლად დაედო ბურჟუაზიული პრინციპები, რომელიც შექმნიდა ახალი სახელმწიფოებრივი მმართველობის ნიადაგს. რუსეთის იმპერია განიცდიდა ევროპეიზაციის პროცესს და ის ქვეყნის შიდა გუბერნიებთან შედარებით გვიან ვრცელდებოდა განაპირა რეგიონებზე.

რეფორმამდელი სასამართლო მთლიანად მთავრობასა და პოლიციაზე იყო დამოკიდებული. ახალი წესდების საფუძველზე მოწყობილი სასამართლო კი საქმის წარმოების ხასიათით არსებითად განსხვავდებოდა ძველისაგან (10, 312—313). სასამართლოს თავისი მოქმედების სფეროში დამოუკიდებლობა ეძლეოდა. ახალი სასამართლო ფორმალურად უახლოვდებოდა „კანონის წინაშე ყველას თანასწორობის" ბურჟუაზიულ პრინციპს, მაგრამ არსებითად მოსახლეობის ზედა ფენების ინტერესებს ატარებდა; მიუხედავად

ზემოაღნიშნულისა, სასამართლო რეფორმა პასუხობდა რუსეთის კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების ინტერესებს.

განაპირა მხარეებში და მათ შორის მთლიანად კავკასიაში სასამართლო რეფორმა რუსეთის ხელისუფლებამ შეზღუდული სახით გაატარა, რის მიზეზადაც კავკასიელი ხალხების მაღალი ცივილიზაციის შესახვედრად არასათანადოდ მომწიფებასა და ადგილობრივ სპეციფიკურ პირობებს ასახელებდა. აღნიშნულის ფაქტიური მიზეზი კი იმაში მდგომარეობდა, რომ საიმპერატორო კარს არ სურდა შეეზღუდა თავისი კოლონიზატორული პოლიტიკა პერიფერიებში. ამიტომ, კავკასიაში არ გატარებულა ბურჟუაზიული სასამართლოს მნიშვნელოვანი პრინციპები, კერძოდ, სასამართლო არ გამოეყო ადმინისტრაციას და ის კვლავინდებურად მასზე დამოკიდებული დარჩა (მოსამართლეებს მთავრობა ნიშნავდა — ქ.პ.); ამიერკავკასიაში არც მოსამართლეთა არჩევითობა დაწესებულა და, არც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შემოუღიათ — „...კავკასია, სადაც ერობა არაა და 1864 წლის სასამართლო წესდება შეკვეცილი სახით იქნა გატარებული, აუცილებლად საჭიროებს რეფორმებს. ახალი სასამართლოების 12 წლის პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამიერკავკასიის მდგომარეობა ამ მხრივ არანორმალურია. ამ მხარეში მთავრობის მიერ დანიშნული მოსამართლეები, რომელნიც ამორჩეულ მსაჯულთა მაგივრობას ეწევიან და რომელნიც სრულიად არ იცნობენ მხარეს, ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, ხშირად ისეთ მცდარ დადგენილებებს ღებულობენ, რომ სახელს უტეხენ მთავრობას..." (339, 3).

ამიერკავკასიაში განსაკუთრებული ძალით ამოქმედდა ყველაზე დაბალი ინსტანციის სასამართლო-მომრიგებელმოსამართლეთა ინსტიტუტი. რუსეთის ხელისუფლება ამ ფაქტს ამიერკავკასიის მოსახლეობის განვითარების დაბალი

დონით ხსნიდა და მას არ ძალუძდა შეგუება ესოდენ ჭაღ-ალ სასამართლო რეფორმასთან. ამასთან, რადგან ამიერკავ-კასიის მომრიგებელი სასამართლოები სამოქალაქო სამართლის ხაზით ერთი-ორად მეტ საქმეებს იხილავდნენ ცენ-ტრალური რუსეთის მომრიგებელ სასამართლოებთან შედა-რებით, ბუნებრივია, მეორესთან შედარებით პირველთა და-ფინანსება უფრო ძვირი ჯდებოდა, რის გამოც მთავრობამ ამიერკავკასიაში ტარიფი მნიშვნელოვნად გაზარდა — „... ამიერკავკასიაში მომრიგებელ სასამართლოს ფუნქციები იმ-იტომ გაიზარდა, რომ მოსახლეობას სამართლის წარმოება გაადვილებოდა. მაგრამ ეს მაღალი გამოსაღები, პირიქით აფერხებს მართლმსაჯულებას (340) — აღნიშნავდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს" რედაქცია.

რუსეთის ხელისუფლების მიერ კავკასიაში ცალსახად გატარებული რეფორმები, ბუნებრივია, საზოგადოების თითქმის ყველა ფენის აღშფოთებას იწვევდა. ბურჟუაზი-ული რეფორმის არასრულფასოვან დანერგვას ეწინააღმდე-გებოდნენ თვით ბურჟუაზიული ლიბერალებიც კი. გ. თუმა-ნიშვილი აღნიშნავდა — „...60-იანი წლების რეფორმათა ეპოქაში კავკასიის ისტორიას ახასიათებდა ერთი შესანიშ-ნავი თავისებურება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხარის ბედზე... ამა თუ იმ კანონის კავკასიაში გატარების საკითხის განხილვის დროს ყოველთვის მიიღე-ბოდა მხედველობაში ამ მხარის „ადგილობრივი თავადაზ-ნაურობანი", „ამ თავისებურებებმა" დააგვიანა ჩვენთან საგლეხო რეფორმის გატარება და ხელი შეუშალა მხარეში სასამართლო დაწესებულებების შემოღებას მათი არსებითი ნაწილით — ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტით, ამორჩეული მომრიგებელი მოსამართლეებითა და საბრალმდებლო კამე-რით." (217, 23).

რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ერთობ თავისებუ-რი გზა აირჩია კავკასიის ჩრდილო ნაწილში ბურჟუაზი-

ული რეფორმების გატარებისას. მან კავკასიის ეს მხარე დაჰყო მოსახლეობის ეთნიკური მომენტის მიხედვით. თუ 1870 წელს გატარდა სასამართლო რეფორმა, ერთი წლით ადრე – 1869 წელს შემოღებულ იქნა დროებითი წესები თერგისა და ყუბანის რეგიონებში, იქ, სადაც რუსი მოსახლეობა ცხოვრობდა, მაგრამ აღნიშნული წესები არ დანერგილა კავკასიელ მთიელთა შორის, სასამართლოს „დროებითი წესები" დროებით ინარჩუნებდა სახალხო სასამართლოს, რომელიც 1858 წელს დაარსდა, მაგრამ ისინი განიცდიდნენ ცვლილებებს ახალი გარემოების შესატყვისად.

მთიელთა სახალხო სასამართლოებს საქმის წარმოებაში უნდა ეხელმძღვანელათ კავკასიური წესდებით – ადათით, რამაც ეს უკანასკნელი ძირითად ღერძად აქცია ახალი სასამართლო წარმოების სისტემის რეორგანიზაციაში. ამასთან, ზოგიერთი საკითხის განხილვაში (განქორწინება, ქონებრივი საკუთრების საკითხი და ა.შ. – ქ.პ.), ჯერ კიდევ გამოიყენებოდა შარიათი, მაგრამ როდესაც ადათების წესთა გამოყენების საჭიროება არ იყო, მოსამართლეები იყენებდნენ საერთოიმპერიული სამართლის კანონმდებლობას. ყოველივე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დაწყებული იყო პროცესი სხვაობათა ნიველირებისა ძველ მთიელთა სასამართლოსა და საერთოიმპერიულ სასამართლო კანონმდებლობას შორის. მთიელი ფეოდალებისაგან სასამართლოს განთავისუფლებით, კავკასიის ადმინისტრაციამ შეძლო მისი სრულად დაქვემდებარება.

ამრიგად, კავკასიის მთიელთა უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით, რუსეთის ხელისუფლებამ პირველ ეტაპზე სასამართლო წარმოების შერეული სისტემა დაადგინა. ერთდროულად მოქმედებდა რამდენიმე სახის სასამართლო: რეგიონალური, სახალხო და საოლქო სასამათლოები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის კავკასი-

ური საქმეები იხილებოდა ადათების, შარიათისა და განსაკუთრებული წესების დაცვით.

სამართალწარმოების ახალი სისტემა ექვემდებარებოდა სამხედრო ადმინისტრაციას და მასში არაფერი სახალხო არ იყო, არც ფორმით და, არც შინაარსით. მასში არ შეიიმჩნეოდა ბურჟუაზიული სისტემის არც ერთი ელემენტი. 1864 წლის წესდებით მოქმედი სასამართლოების უმაღლესი (უზენაესი) განყოფილებები (დაარსდა 1875 წელს) ექვემდებარებოდნენ თბილისის სასამართლო პალატას და ბაქოს საოლქო სასამართლოს.

ამრიგად, სასამართლო და ადმინისტრაციული სისტემები წარმოადგენდნენ თვითმპყრობელური რუსული აპარატის პოზიციების განმტკიცების საშუალებას კავკასიაში. ამავდროულად, ეს სისტემები დადებითი ელემენტების მატარებლებიც იყვნენ, რომლებმაც დააჩქარეს განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის გადასვლის პროცესი პროგრესულ სასამართლო სისტემაზე, შეიტანეს მასში ახალი ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზროვნება და განავითარეს მათი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები. ადმინისტრაციული დაყოფისა და მმართველობის ერთიანმა სისტემამ შეზღუდა ადგილობრივ ფეოდალთა მოქმედების საშუალებანი და არეალი, მოახდინა პოლიტიკური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაცია, საფუძველი ჩაუყარა მთიელთა შიდაეკონომიკურ დაახლოებას, დააყენა ადგილობრივი მოსახლეობა კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების გზაზე და ა.შ.

კავკასიის მოდერნიზაციის პროცესს მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნდა. საქალაქო რეფორმის დანერგვა რუსეთის იმპერიამ აუცილებლობად მიიჩნია მხოლოდ კავკასიის სამხრეთი ნაწილისათვის. აღნიშნული იმითაც იყო განპირობებული, რომ ამიერკავკასია კავკასიის საკონტაქტო ზონის მნიშვნელოვანი ძარღვი იყო. გარდა ამისა, აქ იყრიდა

თავს იმპერიის სამხრეთ გარეუბნის ადმინისტრაციული აპარატი. ყოველივე ეს კი, თავისთავად ითხოვდა აქაური საქალაქო ცხოვრებისა და ზოგადად ქალაქების განსაკუთრებულ განვითარება-გაფართოებას. ამ უკანასკნელ პროცესში კი წამყვანი როლი ეკუთნოდა ქალაქების სავაჭრო ურთიერთობით განსაკუთრებულად დატვირთვას.

XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში ამიერკავკასიის ქალაქებს ფაქტობრივად განაგებდა პოლიციური აპარატი. გამონაკლისი ამ მხრივ იყო თბილისი, რომელიც კავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრად მოიაზრებოდა და, სადაც ჯერ კიდევ 1841 წელს შეიქმნა ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამიერკავკასიის ქალაქების მომძლავრებულ ბურჟუაზიას აღარ აკმაყოფილებდა 1841 წლის საქალაქო მმართველობის ძველი დებულება და მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის რუსეთის მთავრობა კავკასიის მეფისნაცვლის შუამდგომლობის საფუძველზე იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება ახალი საქალაქო დებულების პრაქტიკულად გატარებაზე (1870 წლის 16 ივნისი). ახალი დებულება ბურჟუაზიული ხასიათისა იყო. ის არ ითვალისწინებდა ქალაქის მოსახლეობის წოდებრივ დაყოფას და საარჩევნო თანრიგებს საფუძვლად უდებდა არა მოქალაქეთა სოციალურ წარმოშობას, არამედ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ადგილობრივ თვითმმართველობათა ფართო ქსელის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის თვითნებობის აკრძალვა-შეზღუდვის მიმართულებით. ამავდროულად, ის აუცილებელ და საჭირო ფაქტორად იქცა რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებისათვის (403, 1; 303; 304; 305; 309).

ამრიგად, ამიერკავკასიაში საქალაქო რეფორმა მოგვიანებით, მაგრამ თითქმის ისეთივე ფორმა-მოცულობით

გატარდა, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში. თვითმმართველობა მიიღო ამიერკავკასიის თითქმის ყველა ცენტრალურმა ქალაქმა და მიუხედავად მათი კომპეტენციის სივიწროვისა და ხელისუფლების შეზღუდულობისა, საქალაქო თვითმმართველობებს კოლონიურ ამიერკავკასიის ქვეყნებში უაღრესად დადებითი მნიშვნელობა გააჩნდათ. თვითმმართველობის ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალები მიუხედავად სერიოზული წინააღმდეგობებისა, მაინც ახერხებდნენ შეეზღუდათ საიმპერატორო ძალების თვითნებობა და უხეში ჩარევა საქალაქო ცხოვრების რიგ საკითხთა კადაწყვეტაში. მაგრამ, 1870 წლის დებულება ამიერკავკასიის ყველა ქალაქს არ შეხებია და 90-იანი წლების მიწურულამდე ამიერკავკასიის სააპელაციო ძველ მმართველობაში ჯერ კიდევ არა ერთი ქალაქი რჩებოდა.

საქალაქო მმართველობის დამყარება, როგორც უკვე აღინიშნა არ გავრცელებულა კავკასიის ჩრდილო ნაწილის ქალაქებზე. რუსეთის ხელისუფლებას ამ საკითხზე თავისი მყარი მოსაზრება გააჩნდა. ცარიზმი მიიჩნევდა, რომ ჩრდილო კავკასიის საქალაქო ცხოვრება და მისი მოსახლეობა არ იდგა განვითარების იმ დონეზე, რომ საქალაქო თვითმმართველობა შეექმნა და ამ აპარატის მუშაობას გაძღოლოდა. რუსეთის ინტერესებშიც არ იყო მთიელთა ქალაქების განვითარების დონის ამაღლება, რადგან მისთვის აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელი იყო ის ფაქტი, რომ იქაური ქალაქები ასრულებდნენ იმპერიის სამხრეთის სასაზღვრო რეგიონთან დამაკავშირებელი გზების ფუნქციას; მით უფრო, რომ საქალაქო-სავაჭრო ცხოვრება და კავკასიელ მთიელთა ქალაქები XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის უკვე კარგად ართმევდნენ თავს იმპერიის საქონელბრუნვის დარეგულირების საკითხს. ქალაქები შესანიშნავ სასაქონლო გასაღების ბაზრებად ჩამოყალიბდნენ იმ სტადიაზე, რომელიც არა ადგილობრივ მკვიდრთა მაღალ მოთხოვნილებებს

წარმოშობდა, არამედ, მხოლოდ რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს აკმაყოფილებდა.

ამრიგად, XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერია დაპყრობილი კავკასიის მოდერნიზაციას ერთიანი კავკასიით მოიაზრებს. კავკასია რუსული თვითმპყრობელობისათვის იმპერიის სამხრეთ და ჩრდილო-დასავლეთ საზღვრების დაცვისა და გამაგრების გარანტი უნდა ყოფილიყო. ძლიერი სასაზღვრო გარეუბნის ჩამოყალიბებისათვის საჭირო იყო ამ მხარეში ისეთივე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მწარმოებლობა დამკვიდრებულიყო, როგორიც თავად რუსეთისათვის იყო მისაღები და, რომელ პროცესებსაც თავად მეფის რუსეთის სახელმწიფოს ცენტრალური მხარეები განიცდიდნენ.

ზემოაღნიშნული მისწრაფებების განხორციელებისათვის რუსეთის ხელისუფლება ყოველ ღონესა და მეთოდს იყენებდა. შესატყვისად ქვეყნის შიდა და გარე მდგომარეობისა, ევოლუციას განიცდიდა ცარიზმის მოქმედებათა ტაქტიკაც, მაგრამ კავკასიის საბოლოო ათვისების გენერალური პროგრამა ცვლილებას არ ექვემდებარებოდა. თუ XVIII საუკუნის მიწურულს რუსეთი ცდილობდა წინაკავკასიის აუთვისებელ რეგიონში დამკვიდრებას, ეს იმ ფაქტორით იყო განპირობებული, რომ მისი მოქმედების არეალი შემდგომში ჩრდილო კავკასიაზე უნდა განვრცობილიყო, ე.ი. წინაკავკასიურ გარემოს პლაცდარმის როლი უნდა შეესრულებინა რუსეთის გაბატონებისათვის ჩრდილო კავკასიაში.

XIX საუკუნიდან რუსეთი მზად იყო დაეწყო სათანადო მუშაობა ჩრდილო კავკასიაში, ანუ ეს უკანასკნელი უკვე თავად გამხდარიყო პლაცდარმი რუსული ინტერესების განხორციელებისათვის სამხრეთ კავკასიაში. ნიშანდობლივია, რომ თუ წინაკავკასიიდან ჩრდილო კავკასიაში გადანაცვლებისათვის მეცადინეობის დროს, ქვეყნის ხელისუფლება ამ უკანასკნელის მიმართ გადამჭრელი ღონისძიებე-

ბით არ მოქმედებდა; მას შემდეგ რაც ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთ კავკასიისაკენ დაიწყო ლტოლვა, თავისი რეფორმები ორივე მხარისადმი ერთდროულად გაატარა, ეს კი იმის მანიშნებელი იყო, რომ რუსეთი კარგად აცნობიერებდა კავკასიის მკვიდრთა საერთო ისტორიულ-კულტურულ სიახლოვეს და, როგორც ჩანს, ორივეს ათვისებას ერთ მთლიან პროცესად მიიჩნევდა, ე.ი. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, კავკასიის ორივე მხარესთან სხვადასხვა ხასიათის კავშირებმა იმპერიის ხელისუფლება დაარწმუნა იმაში, რომ კავკასია ერთ მთლიანობად მოეაზრებინა და მოდერნიზაციის პროცესში ის ერთდროულად ჩაერთო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან თითქოს, ცარიზმის მოხელეთათვის არ იყო ცნობილი ის არსებითი ეთნიკური სხვაობით გამოწვეული კულტურულ ელემენტთა განსხვავებულობა, რომელიც კავკასიის მოსახლეობას ოდითგან ახასიათებდა. აღნიშნული, ნათლად გამოვლინდა იმპერიის მიერ დასახული ღონისძიებების თავისებურებებში. რუსეთი ითვალისწინებდა ამ თავისებურებებს და ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებს მოხერხებულად უსადაგებდა რუსული მოდერნიზაციის ინტერესებს.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან კავკასიასთან დამოკიდებულებაში რუსეთის პოლიტიკურ კურსში შეინიშნება სერიოზული სიახლენი, კერძოდ სამხედრო-ფეოდალური პოლიტიკის სფეროში დაიწყო სათანადო რეფორმების გატარების კუთხით რუსული კავკასიური ადმინისტრაციის მუშაობა. ამ მიმართულებით საქმიანობამ დააჩქარა წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება კავკასიაში მომხდურთა და დამხვედრთა შორის, რის შედეგადაც დაიწყო ხანგრძლივი ე.წ. „კავკასიური ომი".

თავისთავადობის შენარჩუნებისათვის მებრძოლი კავკასიელების (ჩრდილო კავკასიაში ე.წ. „კავკასიური ომი",

სამხრეთ კავკასიაში ანტირუსული ამბოხებების ციკლი ეროვნულ და სოციაურ ნიადაგზე — ქ.პ.) წინააღმდეგ ბრძოლის გვერდით, რუსეთის იმპერია აქტიურად აგრძელებდა კავკასიის მოდერნიზაციის პროცესს. მისი მიზანი იყო კავკასიის იმ დონეზე ამაღლება, რაც იმპერიის მოთხოვნებს შეესაბამებოდა და, არც ერთ შემთხვევაში არ დაეშვა მრავალეთნოსიანი კავკასიის ტრადიციული ეროვნული თვითმყოფადობის ამაღლება.

კავკასიაში მყარი პოლიტიკური ნიადაგის მოპოვება-გაძლიერებისათვის რუსეთის ხელისუფლებამ სათანადო რეფორმები გაატარა; სწორედ ამ რეფორმებს უნდა დაესრულებინა კავკასიის მოდერნიზაციის ხანგრძლივი პროცესი.

სახელმწიფოებრივმა რეფორმებმა მოიცვა კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროები, რომლის ძალითაც მეტ-ნაკლებად კავკასია პოლიტიკურადაც მდგრადი, იმპერიისათვის სანდო რეგიონი გახდა. ამ მხრივ, ნიშანდობლივია, კავკასიაში განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმა, რაც შეეხება ეკონომიკურ სფეროს (მიწის და საგლეხო რეფორმა— ქ.პ.) კავკასია რეფორმების შედეგად ჩაერთო იმპერიის საერთო ეკონომიკურ სივრცეში; გადაიქცა რუსეთის გასაღების ბაზრად, ჩამოყალიბდა სანდო საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზად და რუსეთის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვნად მაღალი დატვირთვა შეიძინა.

რუსეთის ხელისუფლების მოდერნიზაციულმა პროცესებმა და ცარიზმული სისტემის დამკვიდრებამ კავკასიაში არა თუ შეამსუბუქა ადგილობრივი მმართველობის სისტემა, არამედ პირიქით, გაზარდა კლასობრივი პრივილეგიები, რამაც კავკასიის ტრადიციული სისტემა კიდევ უფრო გაამკაცრა. ასეთი პოლიტიკის შედეგად, ოდესღაც „მფარველი" რუსეთისადმი დადებითად განწყობილი კავკასიის მოსახ-

ლეობა მას უმკაცრესად დაუპირისპირდა; დაიწყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისადმი შეუვალი წინააღმდეგობითი მასიური მოძრაობა, რაც მთელი XIX საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა.

რუსეთის იმპერიის კავკასიურმა პოლიტიკამ ქვეყნის და ზოგადოებრივი აზრის გაყოფაც გამოიწვია: ერთნი იწონებდნენ რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას კავკასიის მიმართ, მეორენი აკრიტიკებდნენ კავკასიის ათვისების ძალისმიერ მეთოდს, მაგრამ ორივე მხარე კავკასიას მხოლოდ რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოიაზრებდა.

კავკასიის რუსული მოდერნიზაციის პროცესს მოჰყვა კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაცია — ემიგრაციის პროცესები. აღნიშნული მთელი XIX საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა და ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებდა: იმპერიის შიდა მღელვარებანი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ; „კავკასიური ომი", 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი; სოციალ-ეკონომიკური პროცესები და რელიგიური ხასიათის ფაქტორი.

ამრიგად, XIX საუკუნის პირველი ნახევრით დასრულდა რუსეთის მიერ კავკასიის მოდერნიზაციის პროცესის პირველი ეტაპი. 60-იანი წლების დასაწყისიდან რუსეთმა დაიწყო კავკასიაში მკვიდრად დადგინებისათვის მეორე ეტაპის განხორციელება. მსგავსად XIX საუკუნის პირველი ნახევრისა, ამ შემთხვევაშიც, რუსეთის ხელისუფლებამ გაითვალისწინა იმპერიის შიდა და საგარეო ვითარებანი და კავკასიის მოდერნიზაცია განახორციელა რუსეთში შემოჭრილი ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის (კაპიტალისტური ურთიერთობები — ქ.პ.) ფონზე. აღნიშნული კი გამოვლინდა 60-70-იანი წლების

ე.წ. ბურჟუაზიული რეფორმების გატარებაში. ბურჟუაზიულ რეფორმაციას იმპერიის შიდა გუბერნიების მსგავსად გარეუბნებშიც სიახლე უნდა შეეტანა ქვეყნის მმართველობით სისტემაში, ისე, რომ ქვეყანა კაპიტალისტურ სისტემაში ჩაერთო ძველი წყობის მნიშვნელოვანი ელემენტების შენარჩუნებით. მიუხედავად რეფორმაციაში არსებული სერიოზული ხარვეზებისა, მოდერნიზაციის პროცესმა გამოიწვია ქვეყნის ეკონომკური განვითარება და კაპიტალისტურ წყობილებაში გადასვლის ტემპი საგრძნობლად დააჩქარა.

XX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთის სახელმწიფოებრიობის სისტემა კვლავინდებურად თვითმპყრობელური იყო, მაგრამ ამავდროულად, აშკარად შეინიშნებოდა თვითმპყრობელურ ხასიათში მიმდინარე ცვლილებები.

1900-1917 წლები განსაკუთრებული ცვლილებებით ხასიათდებოდა რუსეთის იმპერიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც შეესატყვისებოდა თვითმპყრობელური სისტემის ეტაპობრივ ხრწნას. აღნიშნულ პერიოდში, დაჩქარებული მოვლენებით მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის პროცესები, ქვეყნის როგორ შიდა, ისე გარე ასპარეზზე; საუკუნის დამდეგს მნიშვნელოვნად გაიზარდა იმპერიის მოსახლეობა; წინსვლას განიცდიდა მრეწველობა, ბატონყმობის გაუქმების შედეგად, სოფლად შეინიშნებოდა სოციალ-ეკონომიკის თვალსაზრისით ცვლილებები; აქტიურად დაიწყო კაპიტალისტური წყობის იმპერიალიზმში გადასვლის პროცესი, რასაც შედეგად მოჰყვა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცენტრის გადანაცვლება რუსეთში; დროთა ვითარებაში, სულ უფრო მწვავდებოდა სოციალ-ეკონომიკური წინააღმდეგობანი, რომელსაც აჩქა-

რებდა იმპერიის შიგნით ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ პარტიათა ჭრელი არმია და, რომელთა შორის აქტიურობდა სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობა.

მნიშვნელოვან პროცესებს ჰქონდა ადგილი რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკაშიც. ეს უკანასკნელი ნებსით თუ უნებლიედ ქვეყნის შიგნით განვითარებულ მოვლენათა ღრმა კავშირში აღმოჩნდა.

რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა XX საუკუნის დასაწყისშიც კვლავინდებურად იმპერიის მაღალი ამბიციებით განისაზღვრებოდა: ერთის მხრივ, ეს პოლიტიკა ემსახურებოდა საერთაშორისო არენაზე რუსეთის მტკიცედ დამკვიდრებას, სამყაროს კოლონიალური ხელახალი გადანაწილებისათვის პრეტენზიების გამოხატვას და მეორეს მხრივ, იმპერიის წიაღში მიმდინარე ღრმა კრიზისიდან გამოსავლის ძიებას. მაგრამ, როდესაც რუსეთს მიმდინარე საგარეო პოლიტიკამ მხოლოდ უარყოფითი შედეგები მოუტანა, საგარეო პოლიტიკის წარუმატებლობამ გააღრმავა ქვეყნის შიდა კრიზისი, მაშინ ყოველივეს შედეგად მოჰყვა რევოლუციით გამოწვეული მონარქიის აღსასრული რუსეთში.

კავკასია, როგორც იმპერიის განაპირა კოლონიური რეგიონი ბუნებრივად განიცდიდა ყველა იმ შინაგან თუ გარეგან პროცესს, რაც დამახასიათებელი იყო 1900-1917 წლების რუსეთის სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიაში განვითარებული მოვლენები იმპერიის როგორც შიდა, ისე განაპირა მხარეებში ერთგვაროვნად აისახებოდა, ეკონომიკურ-სოციალურად, ეროვნულად და

კულტურულ-რელიგიურად განსხვავებულ კავკასიაში თავს იჩენდა ერთგვარი სპეციფიკაც, მაგრამ ეს იმპერიული მოვლენების არსს, მისი განვითარების ძირითად მიმართულებას ვერ ცვლიდა. ამიტომ, კავკასიის განვითარების პროცესი, რუსეთის იმპერიის საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში მიმდინარეობდა.

რუსეთის იმპერიაში განვითარებულმა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის თანდათანობითმა და მწვავე ცვლილების პროცესმა მტკივნეული ზემოქმედება იქონია მთლიანად კავკასიაზე. ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ხალხების თავისებური განვითარების სპეციფიკის შეძლებისდაგვარად გათვალისწინებით, რუსეთის ხელისუფლება ითრევდა მათ რუსული კაპიტალიზმის პროცესში და უკავშირებდა მსოფლიო ბაზარს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იმპერიის განაპირა მხარეებში რუსული კოლონიური ბატონობა ეროვნული ჩაგვრის ფონით უმძიმესი ფორმებით ვლინდებოდა, გასაკვირი არ უნდა იყოს, ის ფაქტი, რომ XX საუკუნის დამდეგიდან კავკასია სახალხო დემოკრატიული, რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უკიდურესად ცხელ რეგიონად ჩამოყალიბდა.

კავკასიის რუსულ იმპერიალიზმში მოქცევამ, ბუნებრივად გამოიწვია კაპიტალიზმის ტენდენციების სწრაფად შეჭრა ამ მხარეში და მაინც კავკასია ტრადიციულად აგრარული მეურნეობის მხარედ რჩებოდა. ამასთან, კაპიტალიზმი, რუსეთის სახელმწიფოს შიდა გუბერნიებისაგან განსხვავებით, კავკასიაში მაინც ნელი ტემპით მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, კავკასიაში სარკინიგზო მშენებლობის ბუმმა, სარკინიგზო კვანძად თბილისის ქცევამ,

კავკასია მჭიდროდ დაუკავშირა იმპერიის სამრეწველო ცენტრებსა და მსოფლიო ბაზარს.

XX საუკუნის დამდეგიდან კავკასიაში განვითარებული კაპიტალისტური ურთიერთობების პროცესები განპირობებული იყო არა მხოლოდ მეტროპოლიის გავლენით, არამედ თვით კავკასიის შინაგანი განვითარების პროცესებითაც და, რაც უფრო ძლიერი იყო ცენტრის გავლენა, მით უფრო მტკიცდებოდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური მოვლენები, რომლის ცენტრადაც საქართველო ჩამოყალიბდა. რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის ამ უკანასკნელის განსაკუთრებული როლი კავკასიაში კარგად იყო ცნობილი და აქედან გამომდინარე, მიზანმიმართულად იღწვოდა, რომ საქართველო იმპერიის პოლიტიკის დასაყრდენად ექცია კავკასიაში. მთელი 1900-1917 წლების მანძილზე იმპერიის ხელისუფლება ცდილობდა კავკასიური გლობალიზაციის ისეთი მოდელის შექმნას, რომელზე დაყრდნობითაც მას იმპერიის განუყოფელ ნაწილად ჩამოაყალიბებდა; იმპერიის პოლიტიკაში გლობალური კავკასიის ცენტრად თბილისი მოიაზრებოდა, სადაც იმთავითვე განთავსდა რუსეთის სახელმწიფოს ყველა ადმინისტრაციული ორგანიზაცია (სააპელაციო და მხარის სამხედრო აპარატები, მეფისნაცვლის დაწესებულება, საეგზარქოსოს კანცელარია, სამხარეო-საგანმანათლებლო ცენტრი და ა.შ.).

XX საუკუნის დასაწყისი ხასიათდება მთლიანად კავკასიის საზოგადოებრიობის ყველა სოციალური ფენის აქტიური ბრძოლით პოლიტიკურ-სოციალური თავისუფლებების მოპოვებისათვის. XIX საუკუნის მანძილზე საქართვე-

ლოს მოსახლეობაში განვითარებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა და სოციალური ხასიათის წინააღმდეგობებმა, მისით დაგროვილმა გამოცდილებამ ერთიანი და მტკიცე ხასიათი შეიძინა XX საუკუნის დასაწყისის გამოსვლებში; სამხრეთ კავკსიის პარალელურად, ჩრდილოეთის მთიელებმაც სათანადოდ დახვეწეს ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები და ხერხები ისე, რომ XX საუკუნის პირველივე წლებიდან სრულიად კავკასია მორალურ-ზნეობრივად, პოლიტიკური ცნობიერებით მზადყოფნაში იყო მიზანმიმართული შეტევით ემოქმედა მეფის რუსეთის წინააღმდეგ, ე.ი. კავკასია ფაქტობრივად ინტელექტუალურ-პოლიტიკურად განმათავისუფლებელი ბრძოლის ცეცხლში გაეხვია.

ამრიგად, XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე, სრულიად კავკასიაში და განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის რეგიონში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ახალი კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. მათ შორის ტრადიციულისაგან განსხვავებული ახალი სოციალური სტრუქტურაც. კავკასიის საზოგადოებრიობა გარდამავალ პროცესებს განიცდიდა ბატონყმური სისტემის გამარჯვება-დამკვიდრებისაკენ. საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ნაირგვარ სოციალურ ფენებს თავიანთი ინტერესები გაუჩნდათ, რომლის დაკმაყოფილებისათვის ისინი სხვადასხვა გზებით ისწრაფოდნენ. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს XX საუკუნის დასაწყისიდან ჭრელი პოლიტიკური პარტიები გამოხატავდნენ.

XX საუკუნის თვითმპყრობელური რუსეთის უმკაცრესი, დესპოტური მმართველობის სისტემა უკიდურესად

ზღუდავდა და დევნიდა იმპერიის მასშტაბით გამოვლენილ დემოკრატიული იდეალების ყველა ნიშანს, რაც ბუნებრივია, აჭიანურებდა პერიფერიებში გაჩენილ პირველ პოლიტიკურ პარტიათა უჯრედების მუშაობას. მიუხედავად ამისა, მათი მოღვაწეობისათვის მეტ-ნაკლებად შესაფერისი პირობები მაინც არსებობდა კავკასიაში, რამაც განაპირობა მათი ჯერ არალეგალური, ხოლო მოგვიანებით ლეგალური მოღვაწეობის დაწყება.

პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბების კუთხით იმთავითვე დაწინაურდა სამხრეთ-კავკასია, სადაც პირველი პოლიტიკური წრეები სწორედ საქართველოში გაჩნდა სოციალ-დემოკრატების სახით. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კავკასიის კავშირის ბაქოსა და თბილისის კომიტეტების ძალისხმევით, ჩრდილო კავკასიაში დაიწყო რევოლუციური იდეების პროპაგანდა, რის საფუძველზეც შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული წრეები — დონის ყუბანისა და ასტრახანის კომიტეტები.

კავკასიაში მარქსისტული იდეების შემომტანნი რუსი ეროვნების რევოლუციონერები იყვნენ, რომლებიც მეფის მთავრობამ რუსეთის ცენტრალური ქალაქებიდან ჩაასახლა და ამით უნებლიედ კავკასიაში თავისი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მძლავრი ბირთვის შექმნას შეუწყო ხელი ამ რეგიონში.

კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციებში ძირითადად ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა იყო გაერთიანებული, რამაც ბუნებრივია, თავისი ზეგავლენა იქონია ამ ორგანიზაციების მუშაობაზე და განაპირობა სამხრეთ კავკასიაში მენშევიკური ფრთის მომძლავრება და

თერგ-დაღესტნის კომიტეტის ხელმძღვანელობაში მენშევიკების მოსვლა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია იმთავითვე აქტიურობდა ერთიანი კავკასიური სოციალ-დემოკრატიის ჩამოყალიბების მიმართულებით და მენშევიკური ფრთის გვერდით ჰქმნიდა ახალ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. ამ მიმართულებით მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა ჩრდილო კავკასიის ქალაქებში: გროზნოში, ვლადიკავკაზში, პეტროვსკში, დერბენდში და სხვ. მათ მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართული თბილისისა და ბაქოს კომიტეტები. ჩრდილო კავკასიის ორგანიზაციათა შორის მიზანმიმართული საქმიანობით გამოირჩეოდა ვლადიკავკაზის ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იყო კავკასიის თითქმის ყველა ეროვნების რევოლუციონერებისაგან. ამრიგად, მთლიანად ჩრდილო კავკასიის ოლქებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული კავკასიის კავშირის თბილისისა და ბაქოს კომიტეტების დახმარებით წარმოიშვა პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები, რომლებიც ორგანიზაციულად შედიოდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტებში.

ზემოაღნიშნულიდან აშკარა ხდება, თუ, როგორ მეცადინეობდა ახალი სისტემის შექმნის მოსურნე პოლიტიკური ორგანიზაცია ერთიანი კავკასიის შექმნისათვის, რომელიც გაერთიანებული იქნებოდა სოციალ-დემოკრატიის ინტერესების ირგვლივ. 1913 წელს ვ. ლენინი მ. გორკის წერდა: „კავკასიაში, სოციალ-დემოკრატი ქართველები, სომხები, თათრები, რუსები ერთად მუშაობენ, ერთიანს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. ეს არის ეროვნული საკით-

ხის პროლეტარული გადაწყვეტა, ერთადერთი გადაწყვეტა!" (383, 76). აღნიშნული ციტატა ნათლად მეტყველებს სოციალ-დემოკრატთა სამომავლო პროგრამაზე, რომელშიც მოიაზრებოდა ერთიანი კავკასია ახალი რუსეთის სივრცეში ახალი იდეოლოგიის (სოციალიზმი — ქ. პ.) გარშემო გაერთიანებული.

სოციალისტური იდეოლოგიით გაჟღენთილმა საერთო კავკასიური სოციალ-დემოკრატიული კავკასიის კომიტეტის ერთობლივმა საქმიანობამ პირველად თავი გამოავლინა 1905-1907 წლების ბურჟუაზიული რევოლუციის წლებში. ვლადიკავკაზის პოლიციის გამგე სრულიად კავკასიის პოლიციის უფროსს შემდეგნაირად უხასიათებდა კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ძალებს: „კავკასიაში ინტელიგენცია ყველაზე მეტადაა ოპოზიციურად განწყობილი, მათგან ებრაელები და სომხები არ კმაყოფილდებიან სიტყვებით და ერთიანდებიან წრეებში, ამყარებენ ურთიერთობას ოპოზიციურ ცენტრებთან. შემდეგ ოსები, რომელთა ინტელიგენცია ძალზე მოუსვენარია, ყველაფრით უკმაყოფილოა და მოსახლეობას აგულიანებს უწესრიგობისაკენ, ხრწნის მათ. ამასთან აგიტატორები არიან სტუდენტები და სოფლის მასწავლებლები. ქართველთა ინტელიგენციას საყვედური არ ეთქმის, მაგრამ სტუდენტობა არ ისვენებს. უბრალო ქართველი ხალხი — მუშები და ხელოსნები მოუსვენარნი არიან და მათ შორის ბევრია მავნე (რევოლუციონერი — ქ. პ.) ელემენტი. ამიერკავკასიის ამბების გავლენით ისინი — აულაგმავი ბუნების მქონენი — მომზადებული რევოლუციონერები — ანარქისტები არიან" (87, 252).

სრულიად კავკასიაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობამ XX საუკუნის დასაწყისისათვის ეროვნული ინტელიგენციის ახალი პლეადა ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობამდე მიიყვანა. აღნიშნული პროცესი მთელი სიმძლავრით სამხრეთ კავკასიაში მიმდინარეობდა, სადაც კვლავინდებურად საქართველო დაწინაურდა. აღნიშნულ პერიოდში, საქართველოში სამი ძირითადი ეროვნული მიმართულება არსებობდა. მათი ძირითადი იდეალები იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რომლის განხორციელების გზა სხვადასხვაგვარად ესახებოდათ და ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის ეტაპებსაც სხვადასხვაგვარად მოიაზრებდნენ. მაგალითად, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტებისათვის უმთავრესი იყო ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ეროვნულ-დემოკრატებისათვის ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა ავტონომიის ფორმით და ა.შ. მიუხედავად ამ სხვადასხვაობრივი ხედვისა, ამიერკავკასიის ქვეყნებიდან სწორედ საქართველოში ჩამოყალიბდა ეროვნული მოძრაობის იდეოლოგია, რომელიც პოლიტიკურად დაუპირისპირდა ანტიეროვნულ, სოციალ-დემოკრატიულ ძალას, შექმნა ეროვნული მოძრაობის რადიკალური ბლოკი და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ენერგიული მოთხოვნით, რუსეთის თვითმპყრობელური სისტემების წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის გზას დაადგა (36, 20-21).

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისიდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ

მოძრაობაში ორი, მკვეთრად ურთიერთდაპირისპირებული ბანაკი ჩამოყალიბდა: ეროვნულ-პოლიტიკური და ანტი-ეროვნული სოციალ-დემოკრატია. ამ უკანასკნელს უნდა შეემზადებინა ნიადაგი „ახალი რუსეთის" იმპერიისათვის გლობალური კავკასიური ახალი მოდელის განხორციელების საქმეში. „ახალი რუსეთის" სოციალისტურ სისტემაში კი საერთო სოციალისტური კავკასია მოიაზრებოდა, რომლის მოსახლეობის იდეოლოგია საერთო საბჭოური იდეოლოგიის ნაწილი იქნებოდა, მაგრამ ისტორიის ჩარხი იმგვარად დატრიალდა, რომ სოციალ-დემოკრატიის ინტერესების განხორციელება წლებში გაჭიანურდა და კავკასიას ჯერ კიდევ წინ ჰქონდა „ბურჟუაზიული რუსეთის" (რუსეთის დროებითი მთავრობა და მისი დროებითი უჯრედი – კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი – ქ. პ.) კავკასიური გლობალიზაციის მოდელის განხორციელების წინააღმდეგ ბრძოლა. მანამდე კი, როგორც რუსეთის იმპერიის წიაღში, ისე მთელს კავკასიაში რთული პოლიტიკური პროცესები განვითარდა, რომლებიც შედეგად მოჰყვა პირველ მსოფლიო ომსა (1914-1918 წწ.) და სახელმწიფო გადატრიალებას (სამეფო ხელისუფლების დამხობა და სახელმწიფო დიდი გადატრიალება – 1917 წლის თებერვლის და ოქტომბრის რევოლუციები – ქ. პ.) რუსეთში.

პირველი მსოფლიო ომი მსოფლიოს მსხვილმა სახელმწიფოთაშორისმა წინააღმდეგობებმა დაბადა და მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური განვითარების კანონზომიერი წინააღმდეგობების შედეგი იყო. ომის შემამზადებელმა ეტაპმა ნათელი გახადა, რომ დიდ სახელმწიფოთა შორის ომის დაწყება გარდაუვალი უნდა ყო-

ფილიყო. რუსეთის იმპერიისათვის მსოფლიო ომი 1914 წლის 1 აგვისტოს რუსეთის ომში ჩაბმით დაიწყო და იმთავითვე გამოიკვეთა რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში კავკასიაზე ამბიციის საკითხი. სამხრეთ კავკასიაში გაშლილი საომარი ორივე მხარის ძირითადი პოზიცია იყო: რუსეთისათვის თბილის-ვლადიკავკაზის და ბაქოვლადიკავკაზის სარკინიგზო-სამხედრო გზა, იგივე ინტერესები გაჩნდა თურქეთის ხელისუფლებასაც. ბრძოლებმა მწვავე ხასიათი შეიძინა ერზრუმის, ოლთისის, ერევნის, ბათუმის და სარაყამიშის რაიონების მიმართულებით. მსოფლიო ომის პირობებში გამოვლინდა რუსეთის მმართველობის სისტემის ღრმა კრიზისი, მაგრამ, ვერც თურქეთის სამხედრო-პოლიტიკურმა პროგრამამ ვერ ჰპოვა განხორციელება როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილო კავკასიაში.

პირველი მსოფლიო ომის მსვლელობის წლებში, კავკასიაში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტია განსაკუთრებული აქტიურობით ხასიათდებოდა. მათი მუშაობა მიმდინარეობდა შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში გარკვევის მიმართულებით და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებას ცდილობდა. ნიშანდობლივია, რომ კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში განსხვავებული პარტიები დაწინაურდნენ. ამ მხრივ, აღსანიშნავია როგორც სამხრეთ კავკასია, სადაც ეროვნული პოლიტიკური პარტიები თითქმის ლიდერობდნენ, ასევე ჩრდილო კავკასია, სადაც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. ეს უკანასკნელი გამოდიოდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის, ერთიანი ამიერკავკასიის ავტო-

ნომიის შექმნის მოთხოვნით. ამ შემთხვევაშიც, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ აშკარად დააფიქსირა მისი შეუქცევადი ინტერესი ერთიანი კავკასიის შექმნის შესახებ, რომელიც წინა პირობა უნდა გამხდარიყო ჩრდილო კავკასიასთან შემდგომი ინტეგრაციისა.

ამრიგად, მთელი XX საუკუნის პირველი ათწლეულის მანძილზე, რუსეთის იმპერიის მომხრე, თუ მოწინააღმდეგე ძალები (თვითმპყრობელური აპარატი და სოციალ-დემოკრატიულ ძალთა იდეოლოგია – ქ. პ.) კავკასიის გლობალურ ერთობას ერთნაირად მოიაზრებდნენ და მთელი ძალისხმევით იღწვოდნენ ამ ერთობისათვის ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები შეექმნათ.

მართალია, აღნიშნულ ფაქტორებს მოწინააღმდეგე ბანაკები განსხვავებულად მოიაზრებდნენ და მათი განხორციელების გზებსა და მეთოდ-ხერხებს სხვადასხვანაირად ხედავდნენ, მაგრამ მათ ერთი საერთო იდეა ამოძრავებდათ – კავკასია, მხოლოდ ერთიან მდგომარეობაში უნდა შესულიყო რუსეთის დიდ იმპერიაში და მისი განუყოფელი ნაწილიც ყოფილიყო.

## §2. კავკასიის მოდერნიზაციის სარწმუნოებრივ-კულტურული ფაქტორი

კავკასია, როგორც მსოფლიო ცივილიზაციათა შორის ერთ-ერთი უძველესი რეგიონი თავისი ტრადიციული კულტურის განვითარების დონით ერთობ თავისებურად გამორჩეული მხარეა მთელს მსოფლიოში. კავკასიელი ხალხების კულტურათა შინაგანი განვითარება და მისი თვითმყოფადობა იმთავითვე განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით: სოციალ-ეკონომიკური, შიდა და გარე პოლიტიკური ელემენტით და იმ გეოპოლიტიკურ-გეოსტრატეგიული მდებარეობით, სადაც კავკასია იმთავითვე ჩამოყალიბდა.

მიუხედავად კულტურული ნიშნების საგრძნობი სხვაობისა, კავკასიის ორივე მხარის — ჩრდილო და სამხრეთ რეგიონების ხალხებს უძველესი დროიდან, ეპოქათა შესატყვისად, ერთმანეთთან მრავალმხრივი და მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებდათ. საუკუნეების მანძილზე მიმდინარე პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ხშირად ეს კავშირები სტაგნაციურ პროცესებს განიცდიდა, მაგრამ მის შეწყვეტას არასდროს ჰქონია ადგილი.

XIX საუკუნის დასაწყისში, საერთაშორისო მასშტაბისა და კავკასიის შიდა მიმდინარე პროცესებმა ბუნებრივია, გარკვეულწილად შეცვალა ამ რეგიონის კულტურული ცხოვრებაც; ცვლილებები განიცადეს კავკასიელი ხალხების ურთიერთშორისმა კულტურულმა კავშირებმაც. მათზე ერთნაირად ზემოქმედებდა უცხო კულტურა რუსეთის იმპერიის სახით. აქედან გამომდინარე, კავკასიის ისტორიული განვითარების გზამ დადებითი, თუ უარყოფითი შედეგებით XIX საუკუნის დასაწყისიდან განსხვავებული სახე და მასშტაბები შეიძინა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსული ფაქტორის დამკვიდრებამ კავკასიაში რადიკალურად შეცვალა მისი

სოციალ-ეკონომიკური გარემოება, რის შედეგადაც ევოლუცია განიცადა კავკასიელი ხალხის ყოფა-ცხოვრებამ, მისმა ტექნიკურ-მეურნეობრივმა და აქედან გამომდინარე, კულტურულ-ეთნოგრაფიულმა სახემ (19, 764-765).

XIX საუკუნის კავკასია ფეოდალური ურთიერთობების ჩამორჩენილი სტადიიდან კაპიტალიზმის ეტაპზე გარდამავალი მხარე იყო. კავკასიის ელიტარული შრე თავისი მრავალფეროვნებისა და ისტორიულად მჭიდრო ტრადიციების მიუხედავად, თანდათან ევოლუციის მტკივნეულ პროცესებს განიცდიდა ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში; ხოლო კავკასიის ახალფეხადგმული ბურჟუაზია მტკიცედ ვერ იკიდებდა ფეხს რუსული, სომხური და ევროპული ბურჟუაზიის გვერდით.

ახალმა ბურჟუაზიულმა ურთიერთობებმა დიდი გავლენა მოახდინა კავკასიის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებაზე, შეარყია მისი ტრადიცია, ზნე-ჩვეულებანი. მიუხედავად ზემოაღნიშნული პროცესებისა, კავკასიის ყველა მხარეში განახლების ტენდენციებთან ერთად შეინიშნებოდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნების მცდელობანიც. კავკასიელი ხალხების მრავალსაუკუნოვან ყოფა-ცხოვრებას მაინც შერჩა საოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრების არა ერთი ჯანსაღი ხალხური ტრადიცია: ურთიერთთანადგომა, სტუმართმოყვარეობა, ეროვნული სარწმუნოებისადმი გამორჩეული პატივისცემა და ერთგულება, მშობლიური ენის სიყვარული, პატრიოტიზმის განსაკუთრებული გრძნობა, რაინდული თავდადება, სიბრძნისმოყვარეობა და სხვ. XIX საუკუნეში ამ უძველესი ტრადიციების შენარჩუნების შედეგად და კავკასიელთა მხრიდან ახალი ეპოქისათვის დამახასიათებელი კულტურული ელემენტების გონივრულად ათვისება-შერწყმის უნარმა, კავკასიელ მოსახლეობაში საფუძველი ჩაუყარა ახალ ყოფას, რომელიც ასაზრდოებდა

მათ ხალხურ შემოქმედებას და პროფესიულ კულტურას (19, 765).

ძველი კავკასიური კულტურის განახლების ხანგრძლივი პროცესი XIX საუკუნის მიწურულს ახალი კულტურის შექმნით დასრულდა (83, 164-169).

ეს მნიშვნელოვანი მოვლენა კი თავის მხრივ, რუსეთის გაბატონებას უკავშირდებოდა კავკასიაში; მაგრამ ამ უკანასკნელის მხოლოდ პოლიტიკურ დაპყრობას არ მოიაზრებდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლება. თუ ეკონომიკურ დარგში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიზანი იყო კავკასიის გადაქცევა რუსეთის მრეწველობის დანამატად, საქონლის გასაღების ბაზრად და ნედლეულის წყაროდ (51, 214-216) კულტურის დარგში, ეს უკანასკნელი სულიერად და ხორციელად უნდა შერწყმოდა რუსეთის იმპერიას. მხარის კულტურულად დაპყრობა ითვალისწინებდა კავკასიელი ხალხების ეროვნული უფლებების ყოველმხრივ შეზღუდვას (67. 180).

კავკასიის კულტურული ათვისებისათვის რუსეთის ხელისუფლება საგანგებო ღონისძიებებს ატარებდა მხარის მკვიდრი მოსახლეობის ეროვნული თვითმყოფადობის, მისი კულტურისა და ისტორიის, კავკასიელთა ენების განადგურებლად, მათი ერთმანეთისადმი დასაპირისპირებლად, ამიერკავკასიის ცალკეულ ქვეყნებში შიდა განხეთქილების მოსახდენად, მაგალითად, საქართველოს ერთიანი, მთლიანი ნაწილისაგან მისი კუთხეების გასამიჯნად, აჭარის, სვანეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ჩამოსაშორებლად. რუსეთის რეაქციული მთავრობის მხრიდან უმკაცრეს დევნას განიცდიდა ეროვნული ეკლესია, ტრადიციულ რელიგიად ჩამოყალიბებული მაჰმადიანური მრწამსი, ლიტერატურულ – კულტურული ორგანიზაციები, პერიოდიკა, ხელოვნება, ტრადიციები, რომელთაც ცარიზმის მოხელენი დრომოჭმულ, ეპოქის წინსვლას ჩამორჩენილად მოიაზრებდა და მათ

ბრალად სდებდა „ეროვნული გრძნობების" გაღვივებაში (77, 106).

კულტურის დარგში გატარებული ანტიკავკასიური პოლიტიკით რუსეთი ხელოვნურად ცდილობდა წინ აღდგომოდა კავკასიელი ხალხების კულტურული ერთობის განმტკიცების პროცესს, რათა გაეადვილებინა მათი დაშლა-დანაწევრება და თითოეული მათგანის ცალ-ცალკე ასიმილაცია იმპერიის მრავალრიცხოვან მოსახლეობაში. ეს მეტად პრობლემატური საკითხის მოგვარება თვითმპყრობელობამ სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოს დააკისრა, რომელმაც თავისი მუშაობა კულტურის ყველა სფეროზე გაავრცო. ასეთი ხასიათის პოლიტიკა მთელი თავისი მოქმედების მანძილზე რთულ ევოლუციურ გზას გადიოდა და ბუნებრივია, ხელს უწყობდა რუსული პოლიტიკის საბოლოო გამარჯვება-განმტკიცებას მთელს კავკასიაში.

თვითმპყრობელური პოლიტიკის დამახასიათებელი ნიშანი სხვა მრავალ ერებთან ერთად კავკასიელებისადმიც მიმართული იყო იქითკენ, რომ მათ დაევიწყათ თავიანთი წარსული, გათქვეფილიყვნენ მრავალრიცხოვან იმპერიის მოსახლეობაში, მომხდარიყო მათი ასიმილაცია. ამ მიზნის განსახორციელებლად მთავრობა ნაირგვარ საშუალებას იყენებდა: სამოქალაქო სამსახური, სადაც წმინდა რუსიფიკაცია მიმდინარეობდა, საქმეთწარმოება მხოლოდ რუსულ ენაზე დამკვიდრდა; სამხედრო სამსახური, სადაც უკიდურესი თვითმპყრობელური ატმოსფერო სუფევდა და ის მოწოდებული იყო კავკასიელი ხალხების ძალისმიერი ხერხით მორჩილებაში ყოფნისათვის; რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც ცარიზმი თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ამოცანების გადასაჭრელად იყენებდა; საგანმანათლებლო წრე, რომელიც რუსეთის კულტურულ პოლიტიკაში უმთავრეს სფეროდ მოიაზრებოდა; გარუსებული სკოლებიდან მთელი სიმკაცრით იდევნე-

ბოდა კავკასიელთა მშობლიური ენა, ისტორია, ლიტერატურა, რასაც კი კავშირი გააჩნდა ეროვნულ შემეცნებასთან. ასეთი პოლიტიკური კურსი უდიდეს საფრთხეს უქმნიდა კავკასიელთა ტრადიციული კულტურის განვითარება-წინსვლის საქმეს, იწვევდა კავკასიელ მოღვაწეთა ეროვნულ დაკნინებას და საერთო ჯამში, ერების გადაგვარების პროცესს აჩქარებდა (21, 227).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის კულტურულ პოლიტიკას კავკასიისადმი ცალსახა გამოვლინება არ ჰქონია და, არც თავის მხრივ, კავკასიას არ გააჩნდა ნაკლებმნიშვნელოვანი დატვირთვა რუსეთის კულტურულ ცხოვრებაში. რუსეთის მიერ კავკასიის პოლიტიკურმა დაპყრობამ დააჩქარა და გააღრმავა ამ ხალხების კულტურული კონტაქტები.

ჩრდილო კავკასიაზე რუსული კულტურის გავლენა შედარებით გვიან დაიწყო, ვიდრე ამიერკავკასიაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელთან რუსეთის კულტურულ ურთიერთობებს ბევრად ძველი და ღრმა ისტორია გააჩნია. კავკასიისა და რუსეთის კულტურული ელემენტების გაცვლითი პროცესები ორივე მხარის ტრადიციული კულტურების გამდიდრების მანიშნებელი იყო. კავკასიურმა კულტურამ თავისი ნიშანი დაიდო რუსულ კულტურას, რაც ნათლად აისახა ამ უკანასკნელის ლიტერატურაში, ხელოვნებასა და საზოგადოებრივ აზრში (154, 219). კავკასია შთაგონების წყაროდ იქცა რუსი ლიტერატორებისა და ხელოვნების მოღვაწეთათვის, რომლის შესანიშნავი ნიმუშია ვ.გ. ბელინსკის სიტყვები — „უცნაურია! კავკასიას თითქოს ბედისწერად აქვს იყოს ჩვენი პოეტების აკვანი..." (368, 692-693), ან კიდევ, ა.პ. ოგარევის მიერ კავკასიის შეფასება — „რუსული თავისუფალი აზრის თავშესაფარი" (134, 143-144) და სხვ.

რუსი და კავკასიელი ხალხების მატერიალურ და სულიერ კულტურათა ურთიერთგაცვლის პროცესს და კულტურული რუსიფიკაციის პოლიტიკას წარმატებით ემსახურებოდნენ ჩრდილო კავკასიაში დაარსებული რუსული ახალშენები (სტანიცები — ქ. პ.) და ციხე-სიმაგრეები, სოფლები და ხუტორები, რომლებიც არა მხოლოდ რუსეთის სამხედრო ძლიერების ცენტრების ფუნქციას ასრულებდნენ, არამედ სამხრეთ კავკასიასთან დამაკავშირებელ, გამარუსებელი ხიდის როლსაც. ეს ფაქტორი განსაკუთრებულ დატვირთვას ძენდა ახალშენებს მას შემდეგ, რაც დაიწყო მიგრაცია-ემიგრაციის პროცესები კავკასიაში; მათი მთიდან ბარში ჩასახლება და იქ ტერიტორიების დასაკუთრება.

მიუხედავად კულტურათა დადებითად ურთიერთზემოქმედებითი პროცესებისა, რუსეთის მიერ კავკასიის პოლიტიკურ ათვისებას მაინც მოსდევდა მათ კულტურაში მოდერნიზაციის პროცესი. კულტურულ ფერისცვალებას განიცდიდა კავკასიელი ხალხების კულტურების აბსოლუტურად ყველა სფერო. უცხო კულტურა ნებსით, თუ უნებლიედ ტრადიციულ სახეს აკარგვინებდა კავკასიელი ხალხების კულტურას და მას საერთო რუსული კულტურული ცხოვრების ფერხულში რთავდა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრიდანვე ყველაზე მძლავრად მოდერნიზაციის შედეგები გამოვლინდა კავკასიელი ხალხების დასახლებათა კულტურაში. კავკასიის მთიელთა ლტოლვამ ბარისაკენ, გამოიწვია დასახლებათა ახალი ტიპების გაჩენა, თუმცა აქვე შეინიშნება ტრადიციული ელემენტების შენარჩუნებისათვის მცდელობანიც. დასახლებების სიჭრელეზე ზემოქმედებდა კავკასიელი ხალხების მიგრაციული პროცესებიც, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო კავკასიის რეგიონის მრავალეთნოსიანობითაც. ეთნოსური დასახლების ნაირსახეობას განიცდიდა მთისა და

ბარის ქალაქები და სოფლებიც. მათ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მიხედვით ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სახე ჰქონდათ. განსაკუთრებით ეს შეინიშნებოდა იმ რეგიონებში, სადაც სავაჭრო-სატრანზიტო ძირითადი გზები გადიოდა, ამიტომ ასეთი ქალაქები სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებით იყო დასახლებული. რაც შეეხება სოფლებს, აქ ძირითადად ერთი ეროვნების მოსახლეობა ბინადრობდა. ამგვარი სხვაობითობა ძირითადად დამახასიათებელი იყო ამიერკავკასიის ქალაქ-სოფლებისათვის, განსაკუთრებით კი საქართველოსათვის, რომელსაც კავკასიის ადმინისტრაციული ბირთვის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული რუსეთის ხელისუფლებისაგან. ამ დროის კავკასიის დასახლებები ერთდროულად, ინარჩუნებდნენ კიდეც ძველ, ტრადიციულ ელემენტებს და ამავდროულად, განიცდიდნენ ახალი, ბურჟუაზიული ეპოქისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

მოდერნიზაციის პროცესს განიცდიდა მატერიალური კულტურის სხვა სფეროებიც, კერძოდ, ჩაცმის და კვების კულტურები. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი უკანასკნელი ყველაზე მძლავრად ინარჩუნებს ტრადიციულ ელემენტებს და მის გვერდით ნერგავს ახალ, რუსულ და ევროპულ კულტურის ნიშნებს.

XIX საუკუნეში დიდი ცვლილებები განიცადა სამხრეთ კავკასიურმა ოჯახმა. სოფლად და განსაკუთრებით მთაში, ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი დიდი ოჯახები, რომლებიც ოჯახის რამდენიმე წევრის შთამომავლობას აერთიანებდნენ. ქარში კი, ძირითადად მცირე ოჯახები იყო — ცოლ-ქმრითა და შვილებით გაერთიანებული. ინტელექტუალურ წრეებში საოჯახო რიტუალებს სათანადოდ აღარ იცავდნენ, მაგრამ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კვლავინდებურად იცავდა ტრადიციულ წესებს. კაპიტალიზმის განვითარების პირობებში ცვლილებებს განიცდიდა ოჯახის

სამეურნეო ხასიათიც. ამრიგად, ამიერკავკასიის ხალხებში საზოგადოებრივი ცხოვრების მოდერნიზაციის შესატყვისად ცვლილებებს განიცდიდა საოჯახო ურთიერთობებიც.

საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის სახასიათო თავისებურებას წარმოადგენდა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ცხოვრების წესი. XIX საუკუნეში, ამ ხალხებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო არქაული ნიშნები — ადათი, პატრიარქალურ-გვაროვნული და თვით არქაული ნიშნებიც, მატრიარქატის წყობისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტები.

კავკასიელ მთიელთა საოჯახო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უდიდეს როლს ასრულებდა რწმენა და რელიგიური რიტუალები, რომელიც მათში სხვადასხვა ხარისხით იყო წარმოდგენილი, იმაზე დამოკიდებულებით, თუ რამდენად მყარი იყო კავკასიელებში მაჰმადიანური, ან ქრისტიანული სარწმუნოება. ამავდროულად, მთიელებში, ისევ იყო შემორჩენილი წარმართული კულტურები, რომლებიც როგორც სამეურნეო, ისე საოჯახო ღვთაებებად კლასიფიცირდებოდნენ.

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, კავკასიელმა ხალხებმა შექმნეს გართობა-სანახაობათა თავისებური გალერეა, რომელთაგან ბევრმა XIX საუკუნეშიც შეინარჩუნა თავი. კულტურის ამ სფეროში იჩინა ყველაზე მეტად თავი კავკასიის ცალკეული მხარეების სხვაობითობამ, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის გართობა-სანახაობანი პირდაპირ უკავშირდებოდა რელიგიურ თუ წარმართულ დღესასწაულებს და თვით კლასიკურ (მუსლიმობა და ქრისტიანობა — ქ. პ.) რელიგიურ რიტუალებშიც კი უხვად მოიძებნებოდა წარმართობის ძლიერი ელემენტები. კულტურული მოდერნიზაციის პირობებში კი ტრადიციული გარ-

თობა-სანახაობები თანდათან ჰკარგავდა პირვანდელ სახეს და გადაგვარებულ ფორმა-შინაარსს იძენდა.

რუსეთის ხელისუფლებას კავკასიაში კარგად ჰქონდა გააზრებული ამგვარი გართობა-სანახაობების ეროვნული დატვირთვა და ანტითვითმპყრობელურ-ანტირუსული ხასიათი და ოფიციალურადაც კი კრძალავდნენ მათ (17, 88-89). საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი გართობა-სანახაობები, რომლებიც სახალხო ხასიათს ატარებდა და დაბალი სოციალური ფენისათვის იყო დამახასიათებელი, ამიერკავკასიის ელიტარულ წრეებში დროთა ვითარებაში თავის მნიშვნელობას ჰკარგავდნენ. კავკასიის მაღალი საზოგადოება უხვად ეზიარა რუსულ და ევროპულ კულტურებს და ცდილობდა საკუთარი ტრადიციების ხარჯზე დაენერგა ისინი თავის სულიერ ცხოვრებაში. თუ მდაბიო ხალხი ქალაქის მოედნებსა და ქუჩებში მართავდა წარმოდგენებს,[1] მაღალი საზოგადოება კერძო სახლებში აწყობდა თეატრალურ წარმოდგენებსა და ლიტერატურულ საღამოებს. მაგალითად, 1800 წელს პ. კოვალენსკის თბილისში დაუარსებია სალონური თეატრი. კულტურის ამ სფეროს მოდერნიზაციაზე მეტყველებს ამიერკავკასიის ხალხებში ევროპული გართობა-სანახაობების, ბალ-მასკარადებისა და საცეკვაო საღამოების მოწყობა, არსდება კერძო პირთა ლიტერატურული სალონები (397, 219-220), რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ კავკასიელ და უცხოელ ინტელიგენტთა წრის წარმომადგენლები.

საზოგადოებრივი გართობა-სანახაობანი გავრცელებული იყო კავკასიის მთიელთა შორისაც. ეს სანახაობანი გა-

---

[1] ხალხთა ფართო მასა ტრადიციულ სახალხო დღესასწაულებს ეტანებოდა: თელეთობა, მცხეთობა, ელიაობა, ლაშარობა, ალავერდობა, გიორგობა და სხვ. ნიშანდობლივია, რომ ამ დღესასწაულებში მონაწილეობდნენ ჩრდილო კავკასიის მუსულმანი მოსახლეობაც.

ჯერებული იყო ცხოვრების სოციალ-ეკონომიკური პირობე-ბით და გამოხატავდნენ სხვადასხვა სოციალურ ურთიერ-თობებს. ისინი ერთმანეთისაგან სახასიათო ნიშნებით განსხვავდებოდნენ, თუმცა ამავდროულად, ხასიათდებოდნენ მნიშვნელოვანი ეთნიკური და ლოკალური თავისებურებები-თაც (397, 281-284).

კავკასიელი მთიელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მოზარდი თაობის სამხედრო-ფიზიკური მომზა-დების საქმეს, რაც მნიშვნელოვანი იყო თავდაცვისა და და-მოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის; სამხედრო კულტურა მთიელთათვის წამყვანი საქმე იყო და ისტორიულ ტრადი-ციად ჩამოყალიბებული. სწორედ ამ კულტურასთან იყო დაკავშირებული მათი გართობა-სანახაობითი წარმოდგენებ-იც: სირბილის, ხტომის, ფარიკაობის, სროლის, ცივი ია-რაღის მოხმარების, ორთაჭიდის, თოკზე სიარულის, ჯირი-თის, ალპინიზმისა და სხვ. ინსცენირებანი. განსაკუთრებუ-ლი პოპულარობით სარგებლობდა დოლი, რომელიც სისტე-მატიურად იმართებოდა სახალხო დღესასწაულებზე, საო-ჯახო დიდ ნადიმებზე, სულის მოსახსენიებელ სუფრებზე და ა.შ.

XIX საუკუნეში, კავკასიის ხალხების სულიერი ყო-ფის განუყოფელი ნაწილი იყო ხალხური ზეპირსიტყვიერე-ბა, რომელსაც ჰქმნიდნენ და თაობებს გადასცემდნენ სახ-ალხო მთქმელები, ზეპირად მელექსენი, მესტვირე-აშუღები. ამ პერიოდში, როდესაც რუსული კოლონიზატორული პო-ლიტიკა უდიდეს საფრთხეს უქმნიდა კავკასიელთა თვით-მყოფადობას, განსაკუთრებით გაიზარდა ხალხური ფოლ-კლორის მნიშვნელობა. ტრადიციულ ნაწარმოებებს (საგმი-რო, სატრფიალო, საყოფაცხოვრებო — ქ. პ.) მიემატა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის ამსახველი ხალხური ლეგენდა-ზღაპრები, თქმულებები, ლექსები (79, 161-169, 175-180). მიუხედავად თვითმპყრო-

ბელობის კოლონიზატორული პოლიტიკისა, სიძკაცრისა, კავკასიის მკვიდრთა ხალხური შემოქმედება მაინც სიცოცხლეს განაგრძობდა; ეროვნული ფოლკლორული ტრადიციების საუკეთესო დამცველ-შემანარჩუნებელი გახდა კავკასიის უკიდურესი მთიანეთი, თავის მხრივ კი, ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული ენის გადაგვარებისაგან დაცვის საქმეში (19, 782).

ჩრდილო კავკასიელ ხალხებში ეროვნული კულტურის დაცვა-გადარჩენისათვის ბრძოლამ თავის მხრივ, მისი მოსახლეობის ყურადღება გაამახვილა ეროვნული ფოლკლორის შენარჩუნებისათვის მეცადინეობის მიმართულებით. კვლავინდებურად უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა კავკასიის მთიელთა საგმირო ზეპირსიტყვიერების შესანიშნავი ნიმუში — ნართების ეპოსი, რომელიც XIX საუკუნეში რუსეთის და ევროპის სამეცნიერო კვლევის ერთგვარი ობიექტიც კი გახდა. ასეთი გზით, სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი გახდა, რომ ნართების ეპოსი საერთო ხალხური სიტყვიერების ნიმუში იყო: ჩეჩენი, ინგუში, ბალყარი, ყარაჩაელი, დაღესტნელი და კავკასიის სხვა მთიელებისათვის. სამეცნიერო კვლევის ასეთი მიმართულება და დასკვნები თავის მხრივ თვითმპყრობელურ ხელისუფლებას დახმარებას უწევდა კავკასიელ მთიელთა მორჩილებაში ყოფნისათვის, სათანადო დასაბუთებებისა და მოქმედების მეთოდების შემუშავებაში. აღნიშნულის დასტურია ცარიზმისა და საბჭოთა ეპოქების რუსი მკვლევარების სამეცნიერო დასკვნები იმის თაობაზე, რომ ნართების ეპოსის საწყისები ოსი, ადიღე და აფხაზი ხალხების ზეპირსიტყვიერების წიაღში მოიძიება. ყოველივე კი, რუსიფიკატორ მოხელეთ შესანიშნავ საბაბს აძლევდა კავკასიელი ხალხების ასიმილატორული პოლიტიკის გამართლებაში (341, 3). თავის მხრივ, ნართების ეპოსის რაინდული სულიერების შინაარსი სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია ყოფილიყო საერთო მისალები

ფაქტორი კავკასიელი ხალხებისათვის, მაგრამ აღნიშნულის გამოყენება თითოეული ეთნოსის ერთიანი ეროვნულ-კულტურული საფუძვლის მტკიცებისათვის და მათი თავისთავადობის უგულვებელყოფისათვის კატეგორიულად მიუღებელი დებულებაა.

ნართების ეპოსის გვერდით, ჩრდილო კავკასიელ ხალხებში ვითარდებოდა საზოგადოებრივ-სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ზეპირსიტყვიერება; ხალხური იდეოლოგია მკაცრ შეფასებას აძლევდა, ფეოდალურ-კლასობრივი ხასიათის მოვლენებს; სოციალური ჩაგვრის თემა და პოლიტიკური ჩაგვრა ერთ-ერთი წამყვანი თემები იყო მთიელთა ხალხურ შემოქმედებაში. არც შამილის, როგორც სახალხო გმირის ცალსახა შეფასებას ჰქონდა ადგილი ფოლკლორში; შამილის, როგორც სახალხო გმირის დახასიათების გვერდით, ჩანს შამილის მეორე პერიოდის კრიტიკა, მისი პოლიტიკისადმი მთიელთა უკმაყოფილება და ა.შ. მთლიანობაში, XIX საუკუნის პირველ ნახევარში წამყვანი ადგილი მთიელთა ზეპირსიტყვიერებაში უკავია ისტორიულ-საგმირო ხასიათის თემას, რადგან ამ უკანასკნელის გაფართოება-განვითარება სასიცოცხლო აუცილებლობას უკავშირდებოდა — მთიელები თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდნენ ცარიზმული თვითმპყრობელობის რეჟიმს და ამით დამძიმებულ სოციალურ ურთიერთობებს.

ჩრდილო კავკასიის ხალხებში უდიდეს ისტორიულ-კულტურულ მოვლენად იქცა დამწერლობის სისტემის დამკვიდრების საკითხი. რუსეთის ხელისუფლებისათვის ეს მოვლენა უდიდეს და გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს რუსიფიკატორული პოლიტიკის საბოლოო დამკვიდრებისათვის კავკასიის მთიანეთში. დამწერლობის რუსულ სისტემაზე დაფუძნება ბუნებრივია, დააჩქარებდა მთიელთა ეროვნული გადაგვარების პროცესს. ცარიზმის ხელისუფლებამ მთიელთა წინააღმდეგობისაგან დაცვის მიზნით, ეს

საქმე რუსოფილ, ეროვნულად გადაგვარებულ, ცარიზმის სამსახურში მყოფ იმ მთიელებს დააკისრა, რომლებიც თავიანთ ხალხებში მაღალი ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობდნენ (ხან — გირეი, შ. ბ. ნოგმოვი,[1] ი. გ. იალღუზიძე[2] და სხვ. ქ. პ.). რუსეთის ხელისუფლების სამსახურში მოღვაწე კავკასიელებს ღრმად სწამდათ, რომ თავისი ხალხისათვის სასარგებლო საქმიანობას ეწეოდნენ — „...მე გავაკეთე, რაც კი შევძელი, — აღნიშნავდა შ. ბ. ნოგმოვი — და ვცდილობდი, რაც შეიძლება უკეთ მეკეთებინა საქმე. ღმერთს შევთხოვ, რომ გამგრძელებელი გამომიჩნდეს, რო-

---

[1] შ. ბ. ნოგმოვი (1794-1844წ.წ.) — ყაბარდო-ჩერქეზული დამწერლობის შექმნის აქტიური მოღვაწე. მან დაღესტნის აულის ენდერსის მედრესეს დასრულების შემდეგ აირჩია სამხედრო კარიერა და რუსეთის სამხედრო სამსახურში დარჩა. 1830 წლიდან ის პეტერბურგში მოღვაწეობდა, სადაც მან დაიწყო დამწერლობის შექმნაზე მუშაობა და დაუკავშირდა ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეს ფ. შარმუას, რომელიც სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის სპარსული ენის კათედრის გამგე იყო. 1835 წელს შ. ნოგმოვი გადაიყვანეს თბილისში სამუშაოდ, სადაც გაიცნო აკადემიკოსი ა. მ. შაგრენი. 1840 წელს შ. ნოგმოვმა დაასრულა სამეცნიერო ნაშრომი — „ყაბარდოული გრამატიკის საწყისი წესები". დამწერლობა ეფუძნებოდა რუსული ენის ორთოგრაფიას. ეს უკანასკნელი მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში გამოიცა. (იხ. Ногмов Ш. Б., Филологические труды, Налчик, 1956г., т. I, стр. 16).

[2] ი. გ. იალღუზიძე (1775-?) — ოსური ენისა და დამწერლობის შემქმნელი, თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგი. მან ოსური დამწერლობა ქართულ დამწერლობაზე დააფუძნა. ი. იალღუზიძე წარმომავლობით სამხრეთ ოსეთიდან (სამაჩაბლოდან — ქ. პ.) იყო. მისი შედგენილი ანბანი 1821 წელს თბილისში დაიბეჭდა. მასზე დაყრდნობით ოს ბავშვებს ასწავლიდნენ რუსი მოხელეები მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას როგორც სამოქალაქო, ისე სასულიერო სასწავლებლებში.

მელსაც ჩემსავით ეყვარება მშობლიური ენა... რომელიც ჩემზე მეტად იქნება განსწავლული..." (388, 56).

რუსეთის ხელისუფლების კულტურულ პოლიტიკას კავკასიის მიმართ მხოლოდ ცალსახა დანიშნულება არ ჰქონია კულტურულმა ექსპანსიამ თავის მხრივ უაღრესად დადებითი როლი შეასრულა კავკასიელი ხალხების ევროპულ ცივილიზაციასთან გაცნობაში, რომლის შუამავლის ფუნქციით თავად ევროპულ კულტურას ნაზიარები რუსეთის იმპერია გამოდიოდა. აქედან გამომდინარე, რუსი კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი უდიდეს ზემოქმედებას ახდენდნენ კავკასიურ კულტურებზე და დადებით შედეგებამდეც მიდიოდნენ. ამ მხრივ, ყველაზე ნიშანდობლივად შეიძლება ჩაითვალოს ლიტერატურის სფერო; თუ სამხრეთ კავკასიელ ხალხს დიდი შესაძლებლობა მიეცა რუსეთის მეშვეობით დასავლურ ცივილიზაციას მიახლოებოდა და ლიტერატურაში ახალი ტენდენციებიც დაენერგა, ჩრდილო კავკასიაში, მთიელთა ლიტერატურის დადგინებაში მნიშვნელოვანი იყო კავკასიაში მოღვაწე რუს შემოქმედთა და მწერალთა უშუალო საქმიანობა.

როგორც ცნობილია, რუსულ მხატვრულ ლიტერატურაში კავკასიის ფაქტორი XVIII საუკუნიდან იწყებს გაჩენას, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისიდან ამ მიმართულებით მუშაობამ პოლიტიკური მნიშვნელობაც შეიძინა. რუს მწერლებს ხელისუფლებისაგან ფაქტობრივად ევალებოდათ კავკასიისა და მისი ხალხების ისტორიის, ყოფის, ზნე-ჩვეულებების, რელიგიისა და კულტურის ათვისება და მხატვრული ფორმებით გადმოცემა. ასეთი გზით შეიქმნა აურაცხელი ლიტერატურული თხზულებები: ვ. თ. ნარეჟნის „მთიელი თავადები", ა.ა. შიშკოვის „საქართველო 1812 წელს", ა.ა. ბესტუჟევ-მარლინსკის „დაღესტნელი ტყვე ქალი", „წერილები დაღესტნიდან", „მულა ნური",

„ოფიცრის მოთხრობა, მთიელებთან ტყვედ ყოფილის", „შაჰ-ჰუსეინი" და სხვ. (387; 369; 197).

XIX საუკუნის დასაწყისიდან მძლავრი ცვლილებები განიცადა ამიერკავკასიის ხალხების მხატვრულმა ლიტერატურამაც. ამ პერიოდში საფუძველი ეყრება ე.წ. გარდამავალი ხანის ლიტერატურას, რომელიც ემყარებოდა განმანათლებლური რეალიზმის პრინციპებს. ასეთი სახის ლიტერატურის წარმომადგენლებად მოიაზრებიან სამხრეთ კავკასიელთა ის ნაწილი, რომელთაც შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ რუსულ და ევროპულ განმანათლებლურ იდეებს. ჩრდილო კავკასიელი მოსახლეობისაგან განსხვავებით, ამიერკავკასიის ხალხებს უძველესი კულტურა გააჩნდათ ლიტერატურისა და დამწერლობის ტრადიციების სახით, ამიტომ სამხრეთ კავკასიის ხალხების ლიტერატურულმა შემოქმედებამ განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა.

XIX საუკუნის 40-50-იანი წლებიდანვე ამიერკავკასიის ხალხების ლიტერატურაში ფეხს იკიდებს ცხოვრების რეალისტური ასახვის ტენდენცია, ხოლო განმანათლებლური რეალიზმი კრიტიკულ-რეალისტურ მიმდინარეობად ყალიბდება. მხატვრული ლიტერატურის ძირითადი თემა ხდება სოციალური ურთიერთობის ასახვა; ეროვნული თემატიკის გადმოცემა, კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესის აღწერა, ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის გაშუქება და ა.შ. (19, 787-788).

XIX საუკუნეში არნახული ძვრები განიცადა ამიერკავკასიაში პუბლიცისტიკისა და წიგნის ბეჭდვის საქმემ, რომელიც საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის შესანიშნავ საშუალებად იქცა. რუსეთის თვითმპყრობელობა ყოველნაირად ცდილობდა ამ დარგების განვითარების დაბრკოლებას, რამეთუ ასეთ შემთხვევაში, ისინი ეროვნული თავისუფლე-

ბის მოპოვებისათვის მასების მოწოდებისა და დარაზმვის რუპორად იქცეოდნენ. რუსი მოხელენი კრძალავდნენ ეროვნული პერიოდიკის გამოცემას, ხოლო მათ ინიციატორებს, დამფუძნებელ-რედაქტორებს ეჭვის თვალით უყურებდნენ, რომელნიც არ თანაუგრძნობდნენ თვითმპყრობელურ-კოლონიზატორულ რეჟიმს და გმობდნენ რუსიფიკატორულ პოლიტიკას კავკასიაში.

მეფის რუსეთის ხელისუფლების დავალებით სახელმწიფო მოხელეებმა XIX საუკუნემდე დაიწყეს კავკასიის ხალხების კულტურების გაცნობა-შესწავლა და მიუხედავად იმისა, რომ მათ კარგად უწყოდათ კავკასიური კულტურის ძველი წარმომავლობა, მისი თავისთავადობა და თვითმყოფადობა, რადგან ის არ თავსდებოდა ცარიზმის იმპერიულ-ასიმილატორულ პოლიტიკაში, ამიტომ კავკასიის კულტურის შთანთქმას მთელი ძალით ცდილობდნენ. რუსი მოხელეები კავკასიელ ხალხებს გაუნათლებლობასა და უკულტურობაში სდებდნენ ბრალს და თავს განმანათლებლებად მოიაზრებდნენ. ეს უკანასკნელი მისია მათ უპირველეს ყოვლისა „იტვირთეს" განათლებაში რეფორმაციით, ანუ ტრადიციული საგანმანათლებლო სისტემის ლიკვიდაციით, რამეთუ ის ეროვნული ინტერესებით იყო გაჯერებული.

ზემოდასახელებული მისიის აღსრულებას რუსეთის მთავრობა კავკასიის პოლიტიკური დაპყრობისთანავე შეუდგა. მან გააუქმა ამიერკავკასიაში არსებული ყველა ეროვნული სასწავლებელი და რუსული სკოლის დანერგვას მიჰყო ხელი. აღნიშნული პოლიტიკური კურსი ვრცელდებოდა როგორც საერო, ისე საეკლესიო სკოლაზე. მიუხედავად ამ სფეროში ყოველივე რუსულისადმი ფართოდ დაინტერესებისა, ხელისუფლება ნაკლებ ზრუნავდა კავკასიელი ხალხების განათლებაზე. მისთვის დამაკმაყოფილებელი იყო

მათი მხოლოდ ზოგადი განათლება და, რაც მთავარია, სავალდებულო იყო რუსული მმართველობის სისტემისათვის მისაღები აზროვნება, ანუ გარუსებული, იმპერიის ინტერესებსა და სამსახურში მდგომი კავკასიელი, რომლისთვისაც უცხო იქნებოდა ყოველგვარი ეროვნული. აქედან გამომდინარე, ცარიზმისათვის ინტერესმოკლებული იყო ამიერკავკასიის განათლების უჯრედთა მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ისინი ადგილობრივი სახსრებით უნდა უზრუნველყოფილიყვნენ. დაბალი დონით გამოირჩეოდა ამიერკავკასიის სკოლების ხარისხიც იმპერიის შიდა გუბერნიებთან შედარებით. სასწავლებლები მოკლებულნი იყვნენ ელემენტარული მეთოდიკური მომზადების პედაგოგებითაც კი, რადგან XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ არ არსებობდა პედაგოგთა კადრების მომამზადებელი სპეციფიური სასწავლებლები (37, 146, 211-233). უკვე XIX საუკუნის მიწურულისათვის, როდესაც გარუსებული სკოლების გადაჯვარებულმა თაობამ მომავალ პედაგოგთა მისია იტვირთა, იმპერიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ საჭიროდ მიიჩნია რუსიფიკატორ პედაგოგთა საგანგებოდ მომამზადებელი სასწავლებლების დაარსება. მათი შეგირდები კი, ბუნებრივია, კავკასიელი მკვიდრნი იყვნენ.

რადგან XIX საუკუნიდან კავკასია რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებოდა და მმართველობის ძირითადი, ხელისუფლების მიერ დადგენილი სისტემა ერთნაირად ვრცელდებოდა იმპერიის როგორც ცენტრალურ, ისე პერიფერიულ გუბერნიებზე, გამონაკლისი არც საგანმანათლებლო რუსული სისტემის უფლებამოსილების ერთიანობა იყო ყველა ერისათვის, რომელიც კი იმპერიის წიაღში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

რუსეთის იმპერიაში სწავლა-განათლების საქმეს ორი დიდი ბიუროკრატიული აპარატი — საერო განათლების სამინისტრო და უწმინდესი სინოდი განაგებდნენ, რომელთა

ქვემდებარე ორგანიზაციებს კავკასიაში წარმოადგენდა კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო და საქართველოს საეგზარქოსო. მათ შორის, სამიწათმოქმედო სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს, გზათა მიმოსვლის სამინისტროს, საზღვაო სამინისტროს, კავკასიის მართლმადიდებელი ქრისტიანული აღმდგენელი საზოგადოების, სომეხ-გრიგორიანების, კათოლიკების, ებრაელების, მაჰმადიანი კავკასიელების და სხვა ორგანიზაციების სკოლები.

თვითმპყრობელური რუსეთის რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიუხედავად, XIX საუკუნეში ამიერკავკასიის ხალხებში სწავლა-განათლების საქმე საგრძნობლად გაიზარდა. მართალია, გარუსებული, ანტიეროვნული ხასიათის, მაგრამ მაინც სკოლების ქსელი გაფართოვდა; პოლიტიკის შესატყვისად შემუშავდა და დამკვიდრდა აღზრდის ახალი, ეროვნული პრინციპების საწინააღმდეგო თეორია და მეთოდიკა (71; 72).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელდა საკვირაო სკოლები, რომლებიც რელიგიური ინსტიტუტების სასწავლო გეგმებით ხელმძღვანელობდნენ და ეროვნული სწავლების მეთოდიკის შენარჩუნებისათვის ილვწოდნენ. თავის მხრივ, იმპერიის ხელმძღვანელობა ცდილობდა ამ ეროვნული უჯრედების განადგურებას, მათი რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას და გარუსების პოლიტიკის დასაყრდენად ქცევას. მაგრამ ასეთი ხასიათის სკოლებმა მაინც შეინარჩუნეს შეძლებისდაგვარად თავისთავადობა და პროგრესული, ეროვნულ-დემოკრატიული იდეებით განმსჭვალული თაობის აღზრდის სამჭედლოდ ჩამოყალიბდნენ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებამ დღის წესრიგში დააყენა ამიერკავკასიის ხალხებისათვის უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხი, მაგრამ ეს უკანასკნელი ცარიზმის ინტერე-

სებში არ თავსდებოდა და საზოგადოების ამ მიმართულებით საქმიანობას იმით უპასუხა, რომ მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში კავკასიური ენებისა და ისტორიის ფაკულტეტები გახსნა; ხოლო 1857 წელს შედგა ამიერკავკასიის ლიცეუმის გახსნის პროექტი, მაგრამ მისი ამოქმედება იმპერიის მთავრობის მხრიდან უკიდურესად ჭიანურდებოდა (75). ფაქტი გახდა, რომ ცარიზმი არ დაუშვებდა ამიერკავკასიაში არა თუ ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებას, არამედ თვით რუსული უმაღლესი სკოლის გახსნასაც კი. ცარიზმისათვის დასაშვები იქნებოდა მხოლოდ რუსული უნივერსიტეტი და, ისიც არა კავკასიაში, არამედ იმპერიის შიდა გუბერნიებში, რამეთუ, რასაც გარუსებული კავკასიური სკოლა ვერ მოახერხებდა, ის რუსეთის უნივერსიტეტებს უნდა განეხორციელებინათ.

ცარიზმის მიერ შექმნილ დაბრკოლებათა მიუხედავად, ამიერკავკასიის ახალგაზრდობა მაინც ახერხებდა უმაღლესი განათლების მიღებას. კავკასიელი ახალგაზრდები ევროპული და რუსული მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს ითვისებდნენ ძირითადად რუსეთის უმაღლეს სკოლებში: პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ყაზანის, ოდესის უნივერსიტეტებში.

როგორც აღვნიშნა, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა და ამიერკავკასიაში ეროვნულ-სამეცნიერო დაწესებულებათა არარსებობის გამო, კავკასიელთა უმრავლესობას სამშობლოს გარეთ უხდებოდა განათლების მიღება და იქვე სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გაგრძელება. მიუხედავად აღნიშნულისა, მათ არასდროს გაუწყვეტიათ შემოქმედებითი კავშირები ეროვნულ კულტურასთან და მეცნიერებასთან; მიმდინარეობდა ისეთი ახალი დარგების დამკვიდრება, რომლებიც სიღრმისეულად შეისწავლიდნენ და დაასაბუთებდნენ კავკასიელი ხალხების თავისთავადობას, მათ უძველეს ცივილიზაციასა და კულტურას. ასეთთა რიცხვში

იყო ქართველოლოგია, არმენოლოგია, კავკასიოლოგია და ა.შ. იქმნება ეროვნული მეცნიერების დარგები: ენათმეცნიერება, ისტორიოგრაფია, ლიტერატურათმცოდნეობა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია და სხვ.

თავის მხრივ, კავკასიელი ხალხების ისტორიისა და კულტურის შესწავლის მიმართულებით აქტიური საქმიანობა დაიწყეს უცხოელმა მეცნიერ-მკვლევარებმაც. მათი ნაშრომები ძირითადად წმინდა პოლიტიკური ხასიათის იყო. მაგალითად, 1802 წელს გამოქვეყნებული ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომი — „საქართველოს პოლიტიკური, საეკლესიო და სასწავლო-საგანმანათლებლო მდგომარეობის ისტორიული მიმოხილვა"; ასევე, ცნობილი მკვლევარების: ბერჟეს, დუბროვინის, პოტოს, ივანენკოს, ბუტკოვის, მარკოვის, სეგალის, ეგიაზაროვის და სხვათა ნაშრომებიც, განსაკუთრებით „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები", რომელიც რამდენიმე ტომად გამოიცა.

კავკასიის მეცნიერული შესწავლის მიზნით, XIX საუკუნის პირველივე წლებიდან აქტიური სახე მიეცა საექსპედიციო სამუშაოების მოწყობას (154, 242-243). კავკასიის შესწავლა მიმდინარეობდა მრავალი მეცნიერული კუთხით: გეოგრაფია-ტოპოგრაფიული, სამედიცინო, ბიოლოგიური და ა.შ.

ჩრდილო კავკასიის მეცნიერულ შესწავლაში უდიდესი წვლილი მიუძღვით დეკაბრისტებს და მასთან დაახლოებულ პროგრესულად მოაზროვნე რუსეთის საზოგადოებრიობას. ისინი მოითხოვდნენ კავკასიის მოვლენებისა და მისი ხალხების ცხოვრებისა და ისტორიის ობიექტურ აღწერას. ა.ა. ბესტუჟევ-მარლინსკი მიიჩნევდა, რომ — „...კავკასიაზე უნდა წერო საქმიანად... და მოყვე გონივრულად..." (342; 127, 43-44). რუსი პოლიტიკოსებისა და მკვლევართა მიერ მთიელთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლა, საგანმანათლებლო სასწავლებლების ორგანიზაცია, ბეჭდვითი სი-

ტყვის განვითარება და სხვ. წარმოადგენდა იდეურ-კულტურულ წანამძღვრებს ერთის მხრივ ჩრდილო კავკასიელი ხალხების შემდგომი განვითარების, ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთის პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის კავკასიაში.

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობაში მეცნიერების დაბადებასა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა ისტორიული მეცნიერების განვითარება. ნიშანდობლივია, რომ მეცნიერების ამ დარგის წინსვლა უკავშირდება კავკასიის იმ მთიელთა სახეს, რომლებიც იმპერიის სამსახურში იდგნენ და ნებსით თუ უნებლიეთ რუსული პოლიტიკის იარაღს წარმოადგენდნენ თავიანთ სამშობლოში. მათ შორის იყვნენ თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი, პოლიტიკოსები და მეცნიერ-მკვლევარები: იზმაილ-ბეი ათაჟუკინი[1], ხან-გირეი[2], შ. ბ.

---

[1] იზმაილ ბეი ათაჟუკინი – ადიღე ისტორიკოსი, საერო და სამხედრო განათლება მიიღო რუსეთში; იყო რუსეთის არმიის პოლკოვნიკი და ა.ვ. სუვოროვის სამარი ექსპედიციების მონაწილე. 1804 წლიდან ის აქტიური მებრძოლი იყო პროთურქული ორიენტაციის მატარებელი მთიელი თავადების წინააღმდეგ. ასევე ებრძოდა ცარიზმის სამხედრო ძალას, რომელიც ყაბარდოს ძალისმიერი მეთოდით დაპყრობას ცდილობდა. მისი ნაშრომები მნიშვნელოვანი წყაროა ადიღეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის, ადათობრივი სამართლის, სოციალური ხასიათის მოვლენების შესწავლისათვის (იხ. Кулыков Т.Х., Кази Атажукин, Нальчик, 1969г.).

[2] ხან გირეი – მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის მკვლევარი, ადიღიელთა განმანათლებელი. ხან გირეი მიჩნეულია ადიღეური ეთნოგრაფიის ფუძემდებლად, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა კავკასიათმცოდნეობის განვითარებაში. (იხ. Хан Гирей, Заметки о Черкезии, Он же, Черкезские Предания).

ნოგმოვი, დ. მ. შიხალიევი, მულა ტაგი[1], ყაზა გირეი[2] და სხვ.

ჩრდილო კავკასიაში რუსული საგანმანათლებლო სისტემის დამკვიდრებისათვის ბრძოლა ხელისუფლებამ XIX საუკუნის დასაწყისშივე დაიწყო. პირველი რუსული საერო სკოლა გაიხსნა 1820 წელს ნალჩიკში; მოგვიანებით 40-50-იან წლებში ასეთი სკოლების გახსნას სისტემატიური სახე მიეცა. კავკასიის მეფისნაცვლის მ.ს. ვორონცოვის ბრძანებით საგანმანათლებლო დაწყებითი ცენტრები დაარსდა: ეკატერინოგრადში, დერბენტში (მუსულმანური სკოლა — ქ.პ.) და სხვ., ხოლო 70-იან წლებში გაიხსნა სამხედრო სკოლები ადგილობრივ ოფიცერთა კორპუსის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ვლადიკავკაზის ოსური სასულიერო სასწავლებლის გახსნა, ხოლო არისტოკრატთა ოჯახის შვილებისათვის დაარსდა სტავრო-

---

[1] მულა-ტაგი — დაღესტნელი ისტორიკოსი, ყაზანის უნივერსიტეტის კორესპონდენტი; არაბული და სპარსული ენების მცოდნე. იგი აღმოსავლეთ კავკასიაში ცნობილი იყო იმით, რომ მან პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს მ.ა. კაზემბეგს ხელნაწერი — „დერბენტნამე" გადასცა, რომელმაც ნაშრომი თარგმნა ინგლისურ ენაზე და პეტერბურგში გამოსცა 1851 წელს. 1829 წელს გაზეთ „ტიფლისკი ვედომოსტის" (Тифлисский Ведомость) ფურცლებზე გამოქვეყნდა ამ წიგნის მხოლოდ წინასიტყვაობა. (იხ. „Derbendnameh " or the History of Derbend Trauslated from a Select Tuirrkisch/ Version Publieched with the Text aud Notes ets. By Wirta A. Kazem – beg. St. – Petersturg, 1851).

[2] ყაზი-გირეი — ა. პუშკინისა და ა. მურავიოვის მეგობარი, რომელიც დადებითად აფასებდა რუსეთთან კავკასიის მორჩილებას. — „რუსეთი გახდა ჩემი მეორე სამშობლო, არანაკლებ მშობლიური და არანაკლებ ძვირფასი, მისგან მხოლოდ სიკეთე შეიძლება მიიღოს ჩემმა მშობლიურმა მხარემ" (იხ. Кумиков Т.Х. Казы _ Гирей, Нальчик, 1978г.), ყაზი — გირეი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთთან კავკასიის ურთიერთობას ეკონომიკური და კულტურული კუთხით.

პოლის გიმნაზია (1873წ.), რომელთანაც მოქმედებდა „კეთილშობილთა პანსიონატი", სადაც კავკასიელი დიდგვაროვან მთიელთა შვილები იღებდნენ განათლებას.

XIX საუკუნის მიწურულში რუსეთის იმპერიის შიდა კრიზისი აშკარად გამოვლინდა 70-80-იანი წლების რევოლუციური სიტუაციის მომწიფებით. კავკასიის მხარის კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებამ გაამწვავა გარე რეგიონის მოსახლეობის დაპირისპირება ცარიზმული რეჟიმისადმი. აღნიშნულმა კი საერთო სახალხო მოძრაობის ხასიათი შეიძინა. მართვა-გამგეობის თვითმპყრობელური ფორმების კრიზისი, რომელიც 70-80-იანი წლების მიჯნაზე რეალური გახდა, უბიძგებდა იმპერიის ხელისუფლებას რეაქციული პოლიტიკისაკენ. ამგვარმა კურსმა განსაკუთრებული სიმძიმით იჩინა თავი კოლონიურ ქვეყნებთან მიმართებაში; ამ მხრივ, გამორიცხული არც კავკასია იყო. ცარიზმი მდგომარეობიდან გამოსვლისათვის ნაცად ხერხს — რეფორმებს მიმართავდა, რომელმაც უმწვავესი ფორმებით გამოვლინება ჰპოვა ნაციონალურ კულტურებთან მიმართებაში (42, 637), ხოლო მიმდინარე ეპოქა თვით თანამედროვეთა განმარტებით „რეაქციის ხანის" სახელით დამკვიდრდა.

რეაქციის ხანაში თვითმპყრობელობის მიერ იდევნებოდა ყოველგვარი ეროვნული კულტურასთან კავშირში; ზეწოლას განიცდიდა პროგრესულ-დემოკრატიული პრესა, ბეჭდური გამოცემები; იხურებოდა ლიბერალური და რადიკალური მიმართულების ჟურნალ-გაზეთები. განათლების დარგში იქმნებოდა ახალი წესდებები, რომლებიც მიზნად ისახავდა მის წოდებრივ საფუძველზე აღზრდას.

ცარიზმის აპარატი სეპარატიზმში სდებდა ბრალს არარუს ხალხებს და ძალდატანებითი გარუსებით, კოლონისტების ჩასახლებით, მშობლიური ენის ლიკვიდაციის გზით, მათ გადაგვარებას ცდილობდა. თვითმპყრობელური რუსეთისათვის აბსოლუტურად მიუღებელი გახდა კავკასიის

ადმინისტრაციული ავტონომიის ჩანასახის არსებობაც კი. ხელისუფლება ერთმანეთს უპირისპირებდა კავკასიის ხალხებს და ამ საქმეში რელიგიური აღმსარებლობის სიჭრელეს აქტიურად იყენებდა (ქრისტიანი და მუსლიმი კავკასიელების დაპირისპირებანი — ქ. პ.). კავკასიის ეთნოსებს რუსი მოხელეები არასრულფასოვან, დაბალი დონის განვითარებად რასებად აცხადებდნენ და „დაშალე და იბატონეს" იმპერიული პრინციპით ისწრაფვოდნენ იმ ერების განადგურებას, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული ისტორია და კულტურა გააჩნდათ.

ალნიშნული პოლიტიკური კურსის გატარების მიზნით 1882 წელს ამიერკავკასიის მმართველობის სისტემა რადიკალურ ცვლილებას განიცდიდა — უქმდებოდა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა და წესდებოდა მთავარმართებლობის ინსტიტუტი, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ კავკასია კარგავდა აქამდე არსებულ შეკვეცილ ავტონომიურ უფლებებსაც. რადგან ასეთი სახის მკაცრი ღონისძიებები ითვალისწინებდა კავკასიაში კოლონიზატორული პოლიტიკის დამძიმებას, ახლადშექმნილ ხელისუფლებას ბუნებრივია, სათავეში უკიდურესი რეაქციონერები ჩაუყენეს.

რეაქციის გაძლიერებამ, ცარიზმულმა იდეოლოგიამ და რუსიფიკატორულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სკოლების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებში იჩინა თავი. 80-იანი წლების ახალმა სასწავლო პროგრამამ აკრძალა კავკასიის სასწავლებლებში მშობლიური ენის სწავლება და ის საოჯახო საქმედ გამოცხადდა. სამაგიეროდ, აქტიურად დაიწყო ე.წ. კუთხური ენებისა და დამწერლობის შექმნის მიმართულებით მუშაობა (315, 2) (სვანური, მეგრული და სხვ. ანბანის შექმნა — ქ. პ.).

კავკასიელი ხალხები ნათლად ხედავდნენ რეაქციით შექმნილ უდიდეს ეროვნულ საფრთხეს, რომელიც გადაჭარბებით ემუქრებოდა მათ ეროვნულობას, ისტორიას, კულ-

ტურას, სარწმუნოებას, ენას, მიწა-წყალს და სხვ., ამიტომ მათ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ასეთ პოლიტიკას, რაც გამოვლინდა ეროვნული საზოგადოება-ორგანიზაციების შექმნაში. ამ უკანასკნელთ უნდა დაეცვათ კავკასიელი ხალხების ეროვნულ-კულტურული ინტერესები; აქტიური ხასიათი შეიძინა ანტირუსიფიკაციის საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებამ.

ანტიხალხურ, ანტიკულტურულ პოლიტიკურ კურსს აქტიური იდეოლოგებიც მოეძებნებოდნენ. მათი შემოქმედება აშკარა დასტურია იმპერიული ინტერესებისა; მაგალითად, ცნობილი კავკასიოლოგი, ენათმეცნიერი პეტრე უსლარი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის კულტურულ პოლიტიკას კავკასიაში — „...რუსული კულტურა და ენა — რუსულ ცხოვრებასთან დაახლოება, თუნდაც ზეპირად, უსასრულოდ და უსაზღვროდ საჭირია კავკასიის მომავლისათვის" (219, 25).

როგორც უკვე აღინიშნა, რუსიფიკატორული საგანმანათლებლო სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას მთიელები ეროვნული განათლების ტრადიციათა შენარჩუნებით ცდილობდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოსეთის „ქრისტიანული" სკოლის გვერდით მეჩეთებთან მრავალი მუსლიმური სკოლა მოქმედებდა. საარქივო მონაცემების თანახმად, მარტო დაღესტანში ფუნქციონირებდა 879 სკოლა, სადაც დაახლოებით 6239 ბავშვი სწავლობდა (327). სასწავლო სისტემა ასეთ სკოლებში ტრადიციული იყო, რომელიც ემყარებოდა სახასიათო რელიგიური სწავლების მეთოდებს. ასეთი სკოლები ემსახურებოდნენ ანტირუსიფიკატორული იდეოლოგიის დამკვიდრებას მთიელ ახალგაზრდებში — „...მოლები ცდილობენ მთიელთა გაუცხოებას რუსებისაგან..." (222, 3).

როგორც უკვე აღინიშნა, რეფორმის შემდგომ პერიოდში, კავკასიის კულტურული ათვისებისათვის გაძლიე-

რებულ მუშაობაში იმპერიის ხელისუფლება განსაკუთრე-ბულ მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიელი ხალხების ის-ტორიის, ტრადიციული კულტურის მეცნიერულ შესწავლას და იმ სახის სამეცნიერო ლიტერატურის პუბლიკაციას, რომელიც გაამართლებდა რუსეთის კულტურულ ექსპანსიას კავკასიაში. რუსი სწავლული — კავკასიათმცოდნენი: მ. კო-ვალევსკი, დ. ანუჩინი, პ. უსლარი, ვ. მილერი, ნ. დუბრო-ვინი, ლ. ლოპატინსკი, ა. ბერჟე, ფ. ლეონტოვიჩი და სხვე-ბი იკვლევდნენ ჩრდილო კავკასიის ხალხების ისტორიას, ეთნოგრაფიას, კულტურას; მიმდინარეობდა კავკასიის ბუნე-ბრივი რესურსების, მხარის ფლორისა და ფაუნის შესწავ-ლის მიმართულებითი საქმიანობა. მრავალმიმართულებიან კვლევას აწარმოებდნენ: საიმპერატორო რუსული „გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება", „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება" (1890წ.) „კავკასიის სამედიცინო საზოგადოება" (1864წ.) და სხვ. 1864 წელს დაარსებული „თბილისის არქეოგრაფიული კო-მისია" აწარმოებდა კავკასიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის ჩამოყალიბებით სამუშაოებს.

ამავდროულად, მიმდინარეობდა კავკასიის მთიელებში საზოგადოებრივი აზრის პროგრესული განვითარების პრო-ცესები, რომელსაც გარკვეულწილად სახასიათო თავისებუ-რებებიც გააჩნდა. თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი პროგრესული ძვრები, რაც მთიელთა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში იჩენდა თავს, ნაყო-ფიერ ნიადაგს ჰქმნიდა საზოგადოებრივი აზრის განვითარე-ბისათვის. არანაკლებ ზემოქმედებას ახდენდა მიმდინარე პროცესებზე ისლამური იდეოლოგიაც, რომელიც მოწოდე-ბული იყო მთიელთა ტრადიციების დაცვა-გადარჩენის ბრძოლისათვის.

კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი აზრი თავის წიაღში ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებსაც მოიცავ-

და ინტელიგენციის ერთი ნაწილისათვის პროგრესულად მოიაზრებოდა რუსული კულტურა და მასთან მჭიდრო კავშირებს უჭერდა მხარს, ხოლო მეორენი კი რადიკალურად უარყოფითი კუთხით აშუქებდნენ პრორუსულ კულტურულ ორიენტაციას და კავკასიელთა გადაგვარებისათვის მოწოდებულ კულტურად მიიჩნევდნენ.

ჩრდილო კავკასიის ხალხების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებას თავისებურებებიც ახასიათებდა. ზოგიერთი ეთნოსის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფორმირების სტადიას გადიოდა, ზოგიც თავისი განვითარების ახალ ფაზაში იმყოფებოდა. არაბულ კულტურასა და ისლამურ ტრადიციებზე აღზრდილ თაობას ენაცვლებოდა რუსულ და ევროპულ კულტურას ნაზიარები თაობა. კავკასიელი ხალხების მსოფლმხედველობითი ელემენტების სხვადასხვაობის მიუხედავად, მათ მაინც გააჩნდათ საერთო ნათესაური შტრიხები, რომელიც საფუძველი გახდა მათი პროგრესული, ერთობლივი მოღვაწეობისა. კავკასიელ მთიელთა პროგრესულ ფენას აერთიანებდა შემდეგი სახიასიათო ნიშნები:

1) ისინი ქადაგებდნენ მთიელთა სულიერი შესაძლებლობების განვითარებას თანამედროვე გარდამავალი ცივილიზაციის საფუძველზე, პოლიტიკური თვითმყოფადობის დადგინებისათვის ბრძოლას;

2) ისინი იყვნენ თავდაჯერებული რუსული ორიენტაციის მომხრენი; გამოდიოდნენ მოწინავე რუსული კულტურის პროპაგანდისტთა როლში და მიიჩნევდნენ, რომ ეს გზა იყო ჭეშმარიტი გზა მთიელთა მატერიალურ-სულიერი შესაძლებლობების განვითარებისათვის.

კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების იდეოლოგიურ წყაროს წარმოადგენდა ამიერკავკასიის, განსაკუთრებით ქართული და აზერბაიჯანული სოციალ-პოლიტიკური ხასიათის მოწინავე ლიტერატურა,

პროგრესული არაბული და არაბულენოვანი ფილოსოფია, მთიელთა დემოკრატიული ზეპირსიტყვიერება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მთიელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება რთული და წინააღმდეგობრივი იყო. აქ ერთმანეთს ეჯახებოდა განსხვავებული ტენდენციები: ბრძოლა „ორ რუსეთზე" ორიენტაციის საკითხის ირგვლივ, განათლების დონის ჩამორჩენილობა, ფეოდალურ-კლერიკალური იდეოლოგიის კრიტიკა, თავისუფალი რელიგიური აზროვნების პროპაგანდა და ა.შ. ფაქტობრივად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება განვითარდა სამი მიმართულებით: 1. პროგრესულ-დემოკრატიული, 2. ლიბერალურ-ბურჟუაზიული, 3. ფეოდალურ-კლერიკალური, ხოლო XIX საუკუნის უკიდურეს მიწურულში ჩრდილო კავკასიაში იწყო მარქსისტულმა იდეებმა შეჭრა.

ახლო აღმოსავლეთის მსგავსად, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების ცნობილი ფაქტის გამო, კავკასია იმთავითვე წარმოადგენდა რელიგიური თვალსაზრისით ერთობ ჭრელ რუკას. კავკასიაში ძირითადად ოთხი მსოფლიოს რელიგია არსებობდა და დღესაც არსებობს. რელიგიური მრავალფეროვნება მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული, რომელთა შორის უდიდეს როლს ასრულებდა გარე, მომხდური ძალა, რომელიც იმთავითვე თისი სახელმწიფო და ეროვნული იდეოლოგიის — მისაღები სარწმუნოების დანერგვას ესწრაფოდა კავკასიაში. აღნიშნულის გამო, კავკასიის რიგი ეთნოსისათვის იძულებით თავს მოხვეული რელიგია საუკუნეების მანძილზე ტრადიციულ, სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა. რელიგიური ფაქტორის სიჭრელე ხშირად კავკასიის ხალხების დაპირისპირების მიზეზ-საბაბიც ხდებოდა, რომელ საქმეშიც, არც თუ უმნიშვნელო როლს დამპყრობელი ძალა ასრულებდა.

ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა უკიდურესად განსხვავებული და ერთმანეთთან დაპირისპირებული რელიგიის მატარებელი იყო, მაგალითად ამიერკავკასიაში ერთდროულად თანაარსებობდა ისლამი (აზერბაიჯანის მოსახლეობა), ქრისტიანობის განსხვავებული მიმართულებები — მართლმადიდებლობა საქართველოში (თავის მხრივ, აქ არსებობდა კათოლიციზმი, ისლამი — ქ. პ.) და სომხურ-გრიგორიანული ქრისტიანობა. რაც შეეხება ჩრდილო კავკასიას, აქ უფრო სიჭრელე შეინიშნება რელიგიის თვალსაზრისით — ოსების უმეტესობა ბოლო საუკუნეებიდან ორთოდოქსი ქრისტიანია.[1] დანარჩენი ხალხები: ჩეჩნები, ინგუშები, დაღესტნელები, ყარაჩაელები, ბალყარები და სხვ. მისდევენ მაჰმადიანურ რწმენას.

კავკაისაში ასევე წარმოდგენილი იყო იუდაიზმი ადგილობრივი თაიფების, ანუ მთიელი ებრაელების სახით, რომლებიც დაღესტანსა და აზერბაიჯანში ცხოვრობდნენ, ხოლო ბუდიზმი დამახასიათებელი იყო ყალმუხებისათვის (მცოვრებნი კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, დაღესტნის ჩრდილოეთით) (258, 60-62).

ზემოდასახელებული ვითარება ბუნებრივია, არ თავსდებოდა რუსეთის იმპერიულ ინტერესებში და, რადგან ცარიზმისათვის მისაღები იყო მთელს იმპერიაში საერთო მმართველობითი სისტემის არსებობა, გასაგები უნდა იყოს მისი ცალსახა დამოკიდებულება კავკასიური რელიგიების მიმართაც.

კავკასიის კულტურული მოდერნიზაციის პროცესში წამყვანი დატვირთვა მიენიჭა რელიგიურ ფაქტორს. რუსეთის ხელისუფლება აღიარებდა მხოლოდ მის სახელმწიფო რელიგიას — მართლმადიდებლობას, რომელიც მთელი იმ-

[1] აღსანიშნავია, რომ წინაქრისტიანული წარმართული ტრადიციები ოსეთში შერწყმულია როგორც ისლამთან, ისე ქრისტიანობასთან. იგივე ვითარებაა აფხაზეთში.

პერიისათვის საერთო, საყოველთაო უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, თვითმპყრობელობამ კავკასიის იდეოლოგიური დაპყრობის მიზნით შეიმუშავა საგანგებო საეკლესიო პოლიტიკური კურსი, რომელსაც კავკასიის მთელი მოსახლეობა უნდა დამორჩილებოდა, მიუხედავად მათი რელიგიური სიჭრელისა და ტრადიციულობისა.

თვითმპყრობელური რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის არსი უფრო გასაგები იქნება, თუკი გავითვალისწინებთ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილსა და ფუნქციას რუსულ იმპერიულ სისტემაში. რუსული მართლმადიდებელი ეკლესია თვითმპყრობელობის აპარატთან მყარი პოლიტიკურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ქსელებით იყო დაკავშირებული და აქედან გამომდინარე, რუსული მართლმადიდებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო იმპერიის მოსახლეობის მორჩილებაში ყოფნისათვის, ე.ი. რუსული ეკლესია ცარიზმის სახელმწიფო მანქანის უმთავრესი იარაღი იყო.

რუსული ეკლესიის ასეთმა გასახელმწიფოებრიობამ XIX საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებული სახე მიიღო, გაიზარდა ეკლესიის როლი ცარიზმის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე, რუსეთის ეკლესიის მიზანი და დანიშნულება გახდა სახელმწიფო (ცარიზმის — ქ. პ.) ინტერესების სრული დაცვა-გატარება საზოგადოებრივ ცხოვრებაში (29, 387).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, თვითმპყრობელობის საეკლესიო პოლიტიკა კავკასიაში განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდებოდა. იმპერიის სხვა, განაპირა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ეს მხარე დასახლებული იყო მრავალი სარწმუნოების წარმომადგენლით, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველოს მართლმადიდებელ მოსახლეობას და მის ეკლესიას.

საქართველოში, ცარიზმისათვის უცხო რელიგიური მიმდინარეობების (მუსლიმური, სომხურ-გრიგორიანული, ებრაული) შეგუება წარმოდგენილი იყო. ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლებას განსაკუთრებული საეკლესიო კურსის შემუშავება უწევდა, რომელიც სხვადასხვა მიდგომით განახორციელებდა ცარიზმის ინტერესების სრულყოფას კავკასიაში. საინტერესოდ მიმდინარეობდა რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ევოლუციური გზის განვითარება: ერთის მხრივ, პირველ ეტაპზე, ის ანგარიშს უწევდა განსხვავებულ რელიგიურ მიმართულებებს, მეორეს მხრივ, უკიდურეს ზეწოლას ახდენდა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე, თუმცა, არც კომპრომისული პოლიტიკა გამოირიცხებოდა ცარიზმის მხრიდან. ასეთ შემთხვევაში, ცარიზმის კურსის კამტარებელი ეკლესიები გარკვეულწილად შეღავათებითაც სარგებლობდნენ (სომხურ-გრიგორიანული ეკლესია — ქ. პ.).

კავკასიის იდეოლოგიური ათვისებისათვის მუშაობა ცარიზმის ხელისუფლებამ ერთიანი კავკასიური საეკლესიო უჯრედის ფორმირებით დაიწყო, რომელიც ცენტრს — თვითმპყრობელური რუსეთის საეკლესიო მმართველობას დაექვემდებარებოდა. რადგან, კავკასიაში რუსეთს ერთადერთ მართლმადიდებელ ეკლესიად ქართული სამოციქულო ეკლესია ეგულებოდა, ბუნებრივია, მან თავისი ინტერესების გატარება სწორედ ამ ეკლესიით დაიწყო. საქართველოს ეკლესია, ისევე როგორც მმართველობის სხვა ორგანიზაციები კავკასიის სულიერების ცენტრად უნდა ჩამოყალიბებულიყო, საიდანაც მთელს კავკასიაში განივრცობოდა რუსეთის იდეოლოგიურ-სარწმუნოებრივი პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, მთელი XIX საუკუნის მანძილზე, რუსეთის ხელისუფლება მიზანდასახულად ეწეოდა საქართველოს ეკლესიის გადაკვარებისაკენ მიმართულ (76, 829) რეფორმაციას.

რუსეთის იმპერიის ამ მიმართულებით საქმიანობას სერიოზული სირთულეების გადალახვაც უხდებოდა. მას შეხება მოუწია უძველესი ქრისტიანული ტრადიციების მატარებელ ქვეყანასთან, რომელიც საკუთარი თვითმყოფადობის მკაცრი დამცველი აღმოჩნდა. იმპერიის ხელისუფლებისათვის მოსალოდნელი იყო მიმდინარე სირთულეები და, ამიტომ მისი პოლიტიკური მიზნების აღსრულებისათვის ლავირილების მეთოდს მოხერხებულად იყენებდა.

საქართველოს ისტორიის წარსული თითქმის ყველა ეტაპზე ქართულ მართლმადიდებელ სარწმუნოებას უაღრესად რთული, დროისათვის შესაფერისად საჭირო ფუნქცია ეკისრებოდა. ქართული ეკლესია, როგორც მძლავრი სახელმწიფო ორგანიზაცია, ისტორიულად უდიდეს როლს ასრულებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა იყო. მრავალი საუკუნის მანძილზე, საქართველოს ეკლესია გამოდიოდა ქვეყნის გაერთიანების ინიციატორად და იდეოლოგიური მესაჭის ფუნქცია ჰქონდა: აერთიანებდა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს, დადებითი წვლილი შეჰქონდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში და სათავეში ედგა ერის კულტურულ ცხოვრებას (246, 19-22).

საქართველოს ეკლესიის ამ მდგომარეობამ, რადიკალური ცვლილება განიცადა რუსეთის მიერ საქართველოს პოლიტიკური დაპყრობის შემდგომ. ქართული ეკლესია გადაგვარების წინაშე დადგა და თვითმპყრობელობის საეკლესიო რეფორმით აბსოლუტურად შეიზღუდა მისი ტრადიციული საქმიანობა. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის მე-8 არტიკულით საქართველოს ეკლესია ეტაპობრივად გადადიოდა რუსეთის უწმინდესი სინოდის იურისდიქციაში; კერძოდ, 1811 წელს გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და შეიცვალა ჯერ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორით (1815წ), ხოლო მოგვიანებით, მძლა-

ვრი საეკლესიო ინსტიტუტით, რომელიც მსოფლიო საეკლესიო ისტორიოგრაფიაში ცნობილია საეგზარქოსოს[1] სახელით, ხოლო რუსეთისა და საქართველოს ისტორიებში — „საქართველოს საეგზარქოსოს" სახელით.

1811 წლის საეკლესიო რეფორმის შედეგად, სრულიად ახალი, განსხვავებული სასულიერო ორგანიზაცია ემსახურებოდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ეთნოსების ასიმილაციის საქმეს. რუსული სახელმწიფოსა და მისი ეკლესიის ჰარმონიული თანამშრომლობა კავკასიის მიმართ მათი ერთობლივი ინტერესებით იყო განპირობებული, და აღმოჩნდა ის მძლავრი ძალა, რომლის მეშვეობითაც ცარიზმი კავკასიაში თვითმპყრობელურ-კოლონიური და სარწმუნოებრივი პოლიტიკის დამკვიდრება-განმტკიცებას ლამობდა. მთელი XIX საუკუნის მანძილზე, საქართველოს საეგზარქოსომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რეალურად გაებატონებინა რუსული მართლმადიდებელი ეკლესია კავკასიაში და დაესრულებინა მისი იდეოლოგიური დაპყრობის პროცესი (67, 45).

კავკასიისათვის თვითმპყრობელობის პროგრესულობის დასასაბუთებლად რუსეთის ეკლესიის უჯრედს — საქართველოს საეგზარქოსოს უწევდა იმპერატორის მონარქობის განუსაზღვრელი უფლებების ახსნა (21, 195). ამრიგად, საიმპერატორო ხელისუფლების დავალებათა კავკასიაში დასანერგად, საეგზარქოსოს ხელისუფლება მოვალე იყო საეკლესიო — რეგიონალურ მმართველობაში ისეთი ცვლილებები შეეტანა, რაც მისი უფლებების განვრცობას წაად-

---

[1] „ეგზარქოსი" — ბერძნული სიტყვაა და დამოუკიდებელი ხელისუფლების მატარებელ პირს ნიშნავს. ძველ საბერძნეთში, ეგზარქოსი ქურუმთა წოდებაში მაღალი თანამდებობა იყო. მოგვიანებით, ეგზარქოსი პატრიარქად იწოდებოდა, რომელსაც ქვეყნის საეკლესიო საქმეების მოგვარება ევალებოდა. იგი მართავდა ადმინისტრაციულ-ეთნიკურად განსხვავებულ დიდ საეკლესიო ეპარქიას.

გებოდა მთელს კავკასიაში და ცარიზმის იდეოლოგიის დამკვიდრებას სწრაფი ტემპით წარმართავდა. აქედან გამომდინარე აიხსნება ის ფართო გეოგრაფიული სპექტრი, რომელიც საეგზარქოსოს იურისდიქციას ემორჩილებოდა. მის ფარგლებში კი ამიერკავკასიასთან ერთად ჩრდილო კასპიისპირეთიც შედიოდა და ის ხუთ საეპარქიო მმართველობით ორგანოდ იყოფოდა: საქართველოს ეპარქია, რომელშიც მოიაზრებოდა ბაქოს, ელიზავეტოპოლის, ერევნის გუბერნიები, ყარსის ოლქი, დაღესტნის და იმიერკასპიის რეგიონი; ვლადიკავკაზის ეპარქია, რომლის შემადგენლობაში იყო თერგის ოლქი და ჩრდილო ოსეთი; და ა.შ. (101, 15-21). ყოველივე აშკარად ნათელჰყოფს, რომ ასეთი სახის საეკლესიო რეგიონალური გადანაწილება და ერთი სულიერი მწყემსმთავრის იურისდიქციაში გაერთიანება ნიშანი და საფუძველი იყო ჯერ კავკასიის მრავალეთნოსიან — მრავალრელიგიური ასიმილაცია, ხოლო მოგვიანებით კი მათი შერწყმა იმპერიის მრავალრიცხოვან მოსახლეობასთან.

ასეთი პოლიტიკის შინაარსი აშკარად მიანიშნებდა რუსეთის საიმპერატორო საეკლესიო პოლიტიკის მთავარ დანიშნულებაზე — კავკასიაში უნდა განხორციელებულიყო გლობალური გაერთიანება, რომელიც საეკლესიო პროგრამის საფუძველზე მიმდინარეობდა.

რუსული სასულიერო ორგანიზაცია კავკასიაში ცარიზმის ბიუროკრატიული წყობილების ნათელი გამოვლინება იყო, და ბუნებრივია, ის ვერ მიესადაგებოდა კავკასიელი ხალხების სულიერ მენტალიტეტს. აქედან გამომდინარე ის დადებით პოზიციას ვერ დაიჭერდა კავკასიური სახელმწიფოებრიობისა და მათი საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, მეტიც, ის მთლიანად მიმართული იყო კავკასიის სრული გადაგვარებისაკენ.

კავკასიაში, რუსეთის სინოდის უჯრედს — საქართველოს საეგზარქოსოს იმპერიულ-თვითმპყრობელურ სისტე-

მაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრა დაევალა: პოლიტიკური, საეკლესიო, ეკონომიკური და კულტურული. პოლიტიკურ ამოცანაში მოიაზრებოდა რუსეთისათვის „ასათვისებელი რეგიონის" მოსახლეობაში ცარიზმის მმართველობითი სისტემის დაცვა (54, 33); საეკლესიო ამოცანას ეკისრებოდა თვითმპყრობელური იდეოლოგიის საბოლოო გამარჯვება კავკასიაში, იქვე, ისეთი ეკლესიის ფორმირება, რომელიც მთლიანად დაექვემდებარებოდა რუსეთის ცენტრალურ ეკლესიას, ამოძირკვავდა ეროვნულ ინტერესებსა და ცნობიერებას, გარდაიქმნებოდა მონარქისტულ კათედრად, საიდანაც თვითმპყრობელობის ჩინოვნიკი სამღვდელოება ცარიზმის სასარგებლო პროპაგანდას გასწევდა კავკასიის მოსახლეობას შორის და მას იდეურპოლიტიკური თვალსაზრისით მტკიცედ დაუმორჩილებდა ცენტრს — რუსეთის იმპერიას., კავკასიის ეკლესიაზე დაკისრებული ეკონომიკური ამოცანა ითვალისწინებდა უპირველეს ყოვლისა მართლმადიდებელი ეკლესიის (საქართველოს ეკლესია — ქ. პ.) რეფორმაციას (62, 97) ის იმპერიის საერთო ეკონომიკურ ქსელში უნდა ჩართულიყო და თავისი წვლილი შეეტანა იმპერიის ეკონომიკურ ძლიერებაში (24, 213-219). რაც შეეხება კულტურულ რეფორმას — საეგზარქოსოს თანდათანობით, ეტაპობრივად უნდა ამოეშალა კავკასიელი ხალხების ცნობიერებიდან ეროვნული თვითმყოფადობის ცნება და ეს უნდა მოეხდინა რუსული საერო და სასულიერო კულტურის დანერგვით კავკასიელებში, რუსული ეკლესიის მიერ კავკასიის სრული სულიერი დაპყრობით.

ასეთი პოლიტიკის გატარებისათვის, კავკასიის რუსული ეკლესია სახელმწიფო ხელისუფლებისაგან გამორჩეული პრივილეგიებით სარგებლობდა, ხოლო მისი სასულიერო კრებულისათვის ერთგვარი პლაცდარმი იყო სამომავლო დაწინაურებისათვის. აქედან გამომდინარე,

მღვდელმთავრები თავიანთ ცოდნასა და ენერგიას არ იშურებდნენ იმპერიის დავალებათა მაღალ დონეზე აღსრულებისათვის, მაგრამ მათი მოქმედებები ფრთხილი პოლიტიკით გამოირჩეოდნენ, ისე, რომ გარეგნულად არ შეხებოდნენ კავკასიელთა ეროვნულ გრძნობებს. იგივე ითქმის საეგზარქოსოს საეკლესიო რეფორმის გატარებაზე, როდესაც საეკლესიო იერარქიამ ფრთხილი მოქმედების გზა აირჩია და პატივმოყვარე კავკასიელი მთიელებისათვის დათმობითი პოლიტიკა გაატარა; მაგალითად, თუ ბარის მოსახლეობას მძიმე საეკლესიო გადასახადი დაეკისრა, მთიელნი ასეთი მოვალეობიდან სასულიერო ხელისუფლებამ გაანთავისუფლა, ხოლო იქ მოღვაწე სამღვდელოებას სახელმწიფო ხაზინიდან დაუნიშნა ჯამაგირი. აღნიშნული, მთლიანად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, რადგან ამგვარი კომპრომისული პოლიტიკით იმპერიის ხელისუფლება ცდილობდა კავკასიის მთიანეთის ახალმოქცეული მოსახლეობის მართლმადიდებლური მრწამსის მეშვეობით შენარჩუნებას, რაც ბუნებრივია, ცარიზმის პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა (411, 27091, 3).

კავკასიაში საეკლესიო პოლიტიკის გატარებისათვის, თვითმპყრობელობა ისეთ სასულიერო კრებულს აგზავნიდა, რომელთაც განსაკუთრებული სიძულვილი გააჩნდათ კავკასიელი ხალხების ისტორიის, რწმენის და კულტურის მიმართ. მათი მოღვაწეობის შედეგად, საქართველოში მოიშალა და გაიძარცვა ეროვნული ეკლესია, ეს იმ ფონზე, როდესაც გარეგნულად მუსულმანი მოსახლეობა ხელისუფლების მკვეთრ ზეწოლას არ განიცდიდა, ხოლო სომხური ეკლესია კი ერთგვარად ხელშეუხებელ მდგომარეობაშიც კი აღმოჩნდა.

რუსიფიკატორი სასულიერო იერარქები შეურაცხყოფდნენ კავკასიელთა ეროვნულ მრწამსს, მათ კულტურას, ისტორია, ენას, ზნე-ჩვეულებებს და უმკაცრესი მე-

თოდებით დევნიდნენ მათ ყოველგვარ ეროვნულ გამოვლინებას (62, 210) – „...კავკასია უნდა დავიპყრათ ხელშეორედ და ამ შემთხვევაში სრულიად სხვა იარაღით. ამ სულიერი გამარჯვების გარეშე ვერ აღსრულდება მისი ფიზიკური საბოლოო დაპყრობა. ასეთი გამარჯვება სარწმუნოებრივი გამარჯვება უნდა იყოს. დადგა დრო, როდესაც ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ შემოვირიგოთ ადგილობრივი ტომები, შევირწყათ ისინი, მოვიკედლოთ, დავიპყროთ მათი სული და გული..." (413, 1745, 25) – აღნიშნავდა იმპერიის სასულიერო უწყება.

კავკასიის რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად ქცევას ცარიზმის ხელისუფლება სხვადასხვა გზებით ცდილობდა, რომელთა შორის უმთავრესი მხარის კოლონიზაცია იყო (24, 355-747). კავკასიის კოლონიზაციას ის ძირითადად აწარმოებდა უცხო ეთნოსების ჩასახლებით განაპირა მხარეში (101, 32).

თავდაპირველად, უცხო ელემენტით კავკასიის კოლონიზაცია მთავრობამ სამხრეთ კავკასიიდან დაიწყო და მასიური ხასიათი შეიძინა სამხედრო დასახლებების დაარსებით, ე.წ. „სამხრეთ ციმბირში" რუსი სექტანტების – დუხობორების, მალაკნების, სკოპების, სუბოტნიკების და სხვათა ჩასახლებით. ხელისუფლების ამგვარი პოლიტიკა კავკასიელთა გადაგვარებას, მათ რუს ერში შერწყმას ემსახურებოდა, მაგრამ მოგვიანებით, ნათელი გახდა, რომ სექტანტებმა რეალური საფრთხე შეუქმნეს კავკასიაში გადმოსახლებულ თავად რუს მართლმადიდებელ ერს (401, 751, 5).

კავკასიის კოლონიზაცია განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის 40-50-იან წლებში და ის კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვის სამხარეო პოლიტიკას დაუკავშირდა (371, 87), როდესაც მის მიერ განხორციელებულ პოლიტიკაში მთელი სიმძლავრით ამოქმედდა ე.წ. გაქრისტიანების პოლიტიკური კურსი, ხოლო ამ კურსის წინამძღოლად კი

იმპერიის ერთგული რუსული ეკლესია გამოვიდა (371, 57). კოლონისტთა რელიგიური გრძნობების დასაკმაყოფილებლად მასიურად იგებოდა რუსული ეკლესიები, მიმდინარეობდა ძველი, ეროვნული, ტრადიციული ეკლესია-მონასტრების გარუსება — „აღდგენის" პროცესი და მათი რუსი ეროვნების სამღვდელოებით დაკომპლექტება. ასეთი ეკლესია-მონასტრების გარშემო ხდებოდა არაკავკასიური ეთნოსთა დასახლებების დაფუძნება. ასეთ „აღდგენილ" და გადაგვარებულ, რუსულ რესტავრაციაგანვლილ ეკლესიათა რიცხვში იყო: ბიჭვინთის, ახალი ათონის, დრანდის და სხვ. მონასტრები (131, 52).

ეკლესია-მონასტრების მშენებლობას განსაკუთრებით აქტიური სახე ჰქონდა იმპერიის სასაზღვრო რეგიონებში, სადაც რუსეთისათვის მიუღებელი რელიგიის გაძლიერების და განვრცობის დიდი საშიშროება იყო. ასეთთა რიცხვში კი იმპერიის სამხრეთი რეგიონი — კავკასია მოიაზრებოდა. ახლადაგებულ რუსულ ეკლესიად ითვლება 1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომში რუსული ჯარის გამარჯვების ნიშნად აშენებული ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესია, რომელსაც თვითმპყრობელობა „კავკასიის დაწყნარების ძეგლად" მიიჩნევდა (411, 24580, 3; 361, §231-232, 151). ასევე, საქართველოში რუსი ეროვნების მოსახლეობისათვის აამოქმედეს ბეთანიის მონასტერი, სადაც რუს ბერთა სამყოფელი დაარსდა (144, 20). აღნიშნული პოლიტიკის დამსახურებით სამხრეთ კავკასიაში მომრავლდა რუსული ახალშენები, ხოლო ჩრდილოეთში კი ძველი რუსული ქალაქ-ციხე-სიმაგრეთა მოსახლეობა ერთი-ორად გაიზარდა.

უცხო ელემენტის კავკასიაში დამკვიდრება უშუალოდ იყო დაკავშირებული ახალმოსახლეთა გონივრულ განსახლებასთან, სადაც გასათვალისწინებელი იყო სარწმუნოებრივი ფაქტორიც. კოლონისტებისათვის ძნელად შესაგუე-

ბელი აღმოჩნდა. XIX საუკუნის 20-30-იან წლებში კავკასიაში ჩასახლებული სექტანტური მოსახლეობა, რისთვისაც ისინი სულიერ-იდეოლოგიურ მხარდაჭერას საჭიროებდნენ ხელისუფლების მხრიდან. ამ საქმეში კი აქტიური ფუნქცია ეკისრებოდა კავკასიის რუსული ეკლესიის უჯრედს, რომლის პოლიტიკაც იმპერიული სისტემით მოქმედებდა და ერთმანეთს უპირისპირებდა ახალჩასახლებულ და ადგილობრივ მოსახლეობას (328, 3).

კავკასიაში მყარად დადგინებისათვის, თვითმპყრობელურმა რუსეთმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან დაიწყო სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარება ამ მხარეში. იმ დროს რუსეთის პოლიტიკის მხარდამჭერად კავკასიის მთიანეთში საქართველოს ეკლესია და მისი სასულიერო კრებული გვევლინებოდა. ცარიზმის გადაწყვეტილებით, ჯერ კიდევ იმ პერიოდის ჩრდილო კავკასიელ მთიელებში აქტიურად ილვწოდნენ ქართველი მისიონერები, რომელთაც უწმინდესი სინოდი აფინანსებდა (263, 403-405). სწორედ ამ მიზნით დააარსა რუსეთის მთავრობამ „ოსეთის სასულიერო კომისია", რომლის მოღვაწეობის პირველ ეტაპს ზევით უკვე შევეხეთ.

„ოსეთის სასულიერო კომისიის" მუშაობა შესაძლებელია გაიყოს ორ პერიოდად: პირველი მოიცავს 1743-1799 წლებს, ხოლო მეორე – 1814-1860 წლებს. პირველი პერიოდი, თავის მხრივ ორ ქვეპერიოდად იყოფა: პირველი – 1743-1771 წლები, როდესაც „კომისიას" ქართველი სამღვდელოება ხელმძღვანელობდა (მამა პახუმი წერეთელი) და პირობითად ამ პერიოდს შესაძლებელია ვუწოდოთ „კომისიის" ქართული პერიოდი, და მეორე – 1771-1799 წლები, ე.წ. რუსული პერიოდი.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე გამოიკვეთა „სასულიერო მისიის" მუშაობის წარმატებიანი შედეგები, რომელ საქმეშიც დიდი წვლილი ქართველ სამღვდელოებას

ჰქონდა. საარქივო მონაცემების თანახმად, კომისიამ 21 წლის მუშაობის მანძილზე გააქრისტიანა 1242 მთიელი, ხოლო 1772-1792 წლებში კი 6657 კაცი (389, 182).

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის პოლიტიკური მიზნები კავკასიისადმი უკვე ფარულ ფორმებს აღარ ატარებდა. მისთვის გამაღიზიანებელი და მიუღებელი გახდა ჩრდილო კავკასიის „სულიერ მისიაში" საქართველოს ეკლესიის როლი და აშკარად დაიწყო ქართველი სამღვდელოების ჩამოშორება ამ საქმიდან. საამისოდ, საჭირო გახდა ამ მიმართულებით აშკარა პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა, აუცილებელი იყო სასულიერო მისიების გააქტიურებული საქმიანობის დაწყება, რაც თავის მხრივ, ითხოვდა ორგანიზაციის სერიოზულ რეფორმაციას. ცარიზმის ხელისუფლებამ საჭიროდ მიიჩნია სასულიერო მუშაობის მეთოდებისა და ხერხების გადასინჯვა. უპირველეს ყოვლისა, „მისიის" რეზიდენცია უნდა დაფუძნებულიყო იმპერიის გარეუბნის — კავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრში. ამიტომ ხელისუფლებამ შეცვალა კომისიის ადგილსამყოფელი და ის მოზდოკიდან თბილისში გადმოიტანა. ამრიგად, ხანმოკლე შესვენების შემდეგ, „ოსეთის სასულიერო კომისიამ" თავისი მუშაობა აღადგინა და განავრცო 1814-1815 წლებში. პირველ ეტაპზე, მისიის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, მის ხელმძღვანელად ქართველი ეპისკოპოსი დოსითეოსი (ფიცხელაური) განწესდა, რომელსაც თელავისა და ამიერკავკასიის მთავარეპისკოპოსის ტიტული ებოძა (144, 318). ამ დროიდან, „ოსეთის მისიის" საქმიანობა განსაკუთრებულად გააქტიურდა და აშკარად ხელისუფლების პოლიტიკური მითითებებით ხელმძღვანელობდა; მაგალითად, ახლადგაქრისტიანებული მთიელები განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდნენ. მათ უფლება ეძლეოდათ სურვილისამებრ აერჩიათ ბარში დასახლების ადგილი, ხოლო მათი

სურვილების დაკმაყოფილების მიმართულებით საქმიანობას ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა (360, §74, 318).

აღსანიშნავია ისიც, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული კულტურა და დამწერლობა კვლავინდებურად ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა კავკასიის მთიელთა (განსაკუთრებით ოსების — ქ. პ.) კულტურისა და დამწერლობის განვითარებაზე. მაგალითად, საქართველოს კულტურის ცენტრებში შეიქმნა, აღიზარდა და გამოიბრძმედა ოსი ინტელიგენციის კადრი, რომელმაც ფაქტობრივად, საფუძველი დაუდო ოსური კულტურის, ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებას.

საქართველოს ეგზარქოსთან თბილისში გამოგზავნილი ოფიციალური ცნობების თანახმად, „ოსეთის მისიამ" 1817-1820 წლებში გააქრისტიანა 28592 ოსი, 821 უდინი, 186 ქისტი, 668 ინგუში, სულ დაახლოებით 58228 კაცი, ხოლო მთლიანად კავკასიაში დაარსდა რუსული 67 სამრევლო (389, 84) ამავე „კომისიის" ძალისხმევით, ათი წლის მანძილზე კავკასიის უკიდურეს მთიანეთში აიგო 16 ხის ეკლესია, ხოლო 28 ქვის (389, 83). „სასულიერო მისიამ" მთიელთა შორის სასულიერო განათლების დანერგვისათვის XIX საუკუნის პირველ ათწლეულში ექვსი სასულიერო სასწავლებელი გახსნა 100 ბავშვისათვის (389, 84). ამ სკოლის მეშვეობით, მთელ მოსახლეობაში ქრისტიანული იდეოლოგიის გავრცობით უნდა განხორციელებულიყო რუსული თვითმპყრობელური იდეოლოგიის დამკვიდრება კავკასიელთა შორის.

მოგვიანებით, ეს სკოლები შემდგომი პერიოდის „სასულიერო ნისიებში": გაერთიანდნენ. ამ სკოლათა შორის იყო: ყარდაგასის, დარკოხის, იურმოვსკის, ძუმალაგის, ალაგირის, ჯავის, ორთევის, პარსკის, ოქუმის, კახის, თასმალოს, ვართაშეთის სკოლები. აღნიშნულ სკოლადამთავრებული სწავლას აგრძელებდა თბილისისა და სტავროპოლის

სასულიერო სემინარიებში. კურსდამთავრებულნი ნაწილდებოდნენ თავიანთსავე რეგიონებში მისიონერებად და სოფლის მასწავლებლებად (389, 84).

სასურველი მიზნის მიღწევისათვის ცარიზმის ხელისუფლება უხვად აფინანსებდა „ოსეთის მისიას"; გარდა ეკლესია-მონასტრების სარესტავრაციო და აღმშენებლობითი საქმიანობისათვის გამოყოფილი თანხებისა, სასულიერო უწყება ჯამაგირის სახით მისიონერებზე წლიურად გამოჰყოფდა 13250 მანეთს, ხატებისა და ჯვრებისათვის, საეკლესიო ინვენტარისათვის — 3000 მანეთს, მთიელთა ჯილდო — საჩუქრებისათვის — 1500 მანეთს; სულ — 17750 მანეთს (411, 25452, 44).

რუსული ეკლესიის სახელმწიფო სამსახურში ყოფნამ, „სასულიერო მისიათა" უკიდურესად გასახელმწიფოებრიობამ, თავის მხრივ, სერიოზული უარყოფითი შედეგები მოუტანა როგორც თავად ცარიზმსა და მის ერთგულ ეკლესიას, ისე იმ ხალხებს, რომელთა შორისაც მიმდინარეობდა კოლონიზატორულ-სარწმუნოებრივი პოლიტიკის დანერგვა. სახელმწიფო ხელისუფლების გულის მოგების, საიმპერატორო კარის მხრიდან ნდობისა და ავტორიტეტის მოპოვებისათვის, თანამდებობრივი შემდგომი დაწინაურების მიზნით, რუსი მისიონერები ცრუ დაპირებებსაც არ თაკილობენ, რათა მთიელები დაეყოლიებინათ ქრისტიანულ მრევლში გაერთიანებაზე. მაგალითად, ხშირად, მისიონერები მთიელებს ჰპირდებოდნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან და სხვა ვალდებულებებისაგან განთავისუფლებას. სახელმწიფო დანაშაულებათა ჩადენისას დაუსჯელი მთიელები მოურიდებლად აგრძელებდნენ ურჩობას და მისიონერებს რიგ სირთულეებს უქმნიდნენ, რომლებიც სისტემატიურ საუბრებს უტარებდნენ მთიელებს მემამულეებისადმი მორჩილებაში ყოფნაზე (362, 437) აშკარა იყო, რომ „ოსეთის მისიის" თანამშრომლები დამაკმაყოფილებლად ვერ ართ-

მევდნენ თავს მათზე დაკისრებულ სახელმწიფო ვალდებულებებს. აღნიშნული კი საძიებელი იყო სასულიერო ფენის განათლება-განვითარების დაბალ დონეშიც. ყოველივე კი ერთგავრად მიზეზი გახდა იმისა, რომ XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან სახელმწიფო აპარატში ჩამოყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ „ოსეთის კომისიამ" ამოწურა თავისი შესაძლებლობანი და საჭირო გახდა მისი რეორგანიზაცია (366, 245-246; 365, 246).

„ოსეთის სასულიერო კომისიის" მოღვაწეობის წარუმატებლობა მრავალი ფაქტორით აიხსნება, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებისათვის ის ნაკლებ საინტერესო იყო და „მისიისაგან" მთავრობა კატეგორიულად ითხოვდა მხოლოდ დადებით შედეგებს. საერო ხელისუფლება სისტემატიურად ადანაშაულებდა „სამღვდელოებას უნიათო საქმიანობაში, რომლის მიზეზადაც სამღვდელოების პირველადი დანიშნულებიდან გადახვევასა და სამოქალაქო საქმეებში შეჭრას ასახელებდნენ და მისიონერთა მუშაობის გაუცხოვებას მთიელთა ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებთან. აღნიშნულს ისიც ერთვოდა, რომ მაჰმადიან მთიელებში მტკიცედ იყო გამჯდარი წარმართული ელემენტები, ხოლო მუსულმანი ქვეყნების სასულიერო პირები კი სისტემატიური ფარულ აგიტაციას ეწეოდნენ კავკასიელებში რუსული პოლიტიკისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ (415, 38, 6-7).

როგორც არაერთგზის აღინიშნა, კავკასიის სრული ათვისებისათვის რუსეთის იმპერიამ კოლონიზატორულ პოლიტიკაზე შეაჩერა ყურადღება. ამ მიმართულების პოლიტიკის გატარებისათვის იმპერიის ხელისუფლება გზებს ეძებდა, რომელთა შორის ისტორიამ ცხადჰყო, რომ ყველაზე წარმატებიანი მხარის კოლონიზაცია აღმოჩნდა. კავკასიის კოლონიზაციას ის ძირითადად აწარმოებდა უცხო ეთნოსის ჩასახლებით. კომპაქტურმა კოლონიურმა დასახლებებმა თავის მხრივ, მთავრობის გაძლიერებული ყურა-

დღება მოითხოვა, რაც ბუნებრივია, იმპერიის ინტერესებშიც იყო. ხელისუფლებამ მოხერხებულად მიუსადაგა ეს ინტერესები ერთმანეთს და მის მიერ გატარებული ღონისძიებებით კოლონისტებს უნდა გადაეგვარებინათ კავკასიელი ხალხები, ხოლო შემდგომ კი ერთიანად, გადაგვარებული სახით იმპერიის მოსახლეობისთვის შეეწყოთ.

ამ მიმართულებით მუშაობისათვის პირველი ნაბიჯები გადაიდგა კავკასიის გერმანულ კოლონისტებს შორის, რომელთადმიც მთავრობის კომპრომისული პოლიტიკა გაპირობებული იყო იმპერიის როგორც შიდა, ისე გარე პოლიტიკით. პრობლემის ამ კუთხით დასმისას, განსაკუთრებით ყურადსაღებია XIX საუკუნის დასაწყისის რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსის გათვალისწინება. ცნობილია, რომ აღნიშნულ პერიოდში, საერთაშორისო ვითარებას განსაზღვრავდა ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა მსოფლიოში პოლიტიკურ-კულტურული ჰეგემონობისათვის, რომლისთვის პრეტენზიას თავის მხრივ, რუსეთიც აცხადებდა. საფრანგეთის აგრესიულმა პოლიტიკამ რუსეთისადმი, ეს უკანასკნელი აიძულა ინგლისთან, ავსტრიასთან, შვეციასთან, პრუსიასთან კავშირის ძიებაზე ეზრუნა. პარალელურად, დასავლეთ ევროპის ქვეყნები აღმოსავლეთისაკენ მიმავალი კავკასიის ხალხებისათვის დიპლომატიურ თადარიგს იჭერდნენ და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ირანთურქეთი ვერ ეგუებოდა რუსეთის ინტერესებს კავკასიისადმი, გასაგები უნდა იყოს რუსეთის ფრთხილი მოქმედებანი საერთაშორისო ასპარეზზე, როდესაც 1804 წელს ირანმა რუსეთისაგან მოითხოვა აზერბაიჯანის, საქართველოსა და დაღესტნის დატოვება, ხოლო რუსეთმა კი მთიანი გადასასვლელები ჩაკეტა, რისთვისაც ირანმა მას ომი გამოუცხადა (1804-1813), რომელიც ირანის მარცხით დასრულდა და 1813 წელს გულისტანის სამშვიდობო ზავმა რუსეთის იურისდიქციაში სამუდამოდ დატოვა დაღესტანი,

საქართველო, ყაბარდოს სახანო, განჯის, შაქის, შირვანის, დერბენტის, კუბის, ბაქოს სახანოები. მანამდე კი, სანამ ზემოაღნიშნული ფაქტი დადასტურდებოდა, რუსეთი ევროპის ქვეყნებთან ფრთხილი და მშვიდობიანი მეგობრული პოლიტიკით გამოირჩეოდა. რუსეთის ამგვარ დამოკიდებულებას ევროპის ქვეყნები თავიანთი ინტერესებისათვის იყენებდნენ და ევროპელი კოლონისტების დახმარებისა და მათში ქრისტიანული რწმენის განმტკიცების საბაბით სასულიერო მისიებს აგზავნიდნენ კავკასიაში და ფარულ პროპაგანდით საქმიანობას ეწეოდნენ რუსეთით უკმაყოფილო კავკასიელ მთიელებში იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ასეთი გზით XIX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულისათვის, კავკასიაში, კერძოდ ქ. მოზდოკში მოქმედებდა იეზუიტთა ლიიერი კოლეგიები; შოტლანდიელი ბერების მისიონი ქ. ბეშტაუში; ბაზილის ევანგელისტთა საზოგადოება ყარაბაღში და სხვ. მათ დააარსეს სასულიერო პირველდაწყებითი სასწავლებლები; გახსნეს ტიპოგრაფია, სადაც უხვად ბეჭდავდნენ სამისიონერო ლიტერატურას, ასწავლიდნენ ევროპულ ენებს ადგილობრივ ბავშვებს და თავადაც მონდომებით ეუფლებოდნენ სპარსულ და თურქულ ენებს. მისიონერებს სათანადო ხელშეწყობა ჰქონდათ რუსეთის მთავრობისაგან; გამონაკლისს წარმოადგენდა კავკასიის მართლმადიდებელ და სომეხ-გრიგორიანელ მოსახლეობაში კათოლიციზმის გავრცელების აკრძალვა. მისიონერთა სამუშაო ობიექტი მხოლოდ მუსულმანი და კერპთაყვანისმცემელი მთიელები იყვნენ; დადგენილი შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, მისიონერები იმპერიის საგანგებო კანონის ძალით დაისჯებოდნენ. ნიშანდობლივია, რომ მისიონერები აღებულ ვალდებულებას XIX საუკუნის 10-იანი წლების ჩათვლით ზედმიწევნით იცავდნენ და თავიანთ საქმიანობაში გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ. აღნიშ-

ნულის დასტურია თავად გოლიცინის მადლობის წერილი ასტრახანში მოქმედ შოტლანდიელთა მისიონისადმი.

კავკასიის მთიანეთში მოქმედ მისიონერებს შორის განსაკუთრებული აქტიობით გამოირჩეოდა ბეშტაუში დამკვიდრებული შოტლანდიური კოლონია. ამ კოლონიის ისტორია 1802 წლიდან იწყება, როდესაც ედინბურგის მისიონერთა საზოგადოებამ გამოთქვა სურვილი თანამემამულეებთან ერთად რუსეთის იმპერიის სამხრეთის გუბერნიებში კოლონიის დაარსებაზე. აღნიშნული მიზნით, სანკტ-პეტერბურგის ხელისუფლების ნებართვით პასტორი ბრონტონი და მისიონერი პატერსონი დასახლდნენ ჩერქეზიის ყოფილ აულში — კარასში, რომელიც ბეშტაუს მთის ზოლში მდებარეობდა. ამავე პერიოდში მათ შეუერთდნენ შოტლანდიელი ხელოსნები ოჯახებით, რის შემდგომაც, თანადათანობით ამ ადგილებში მოეწყო შოტლანდიური კოლონია. 1806 წელს ხელისუფლებამ კოლონისტებს გარკვეული პრივილეგიებიც მიანიჭა: დაურიგდათ მიწის ნაკვეთები (7 დესეტინა) მემკვიდრეობითი უფლებით; კოლონიის შიდა საქმეების მოსაგვარებლად მიეცათ უფლება შეემუშავებინათ საგანგებო „წესები"; ადგილობრივ მკვიდრთა თანასწორი უფლებებით ესარგებლათ და ა.შ.

1809 წლიდან კოლონიის ზედამხედველობა დაევალა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის გუბერნატორს მალინსკის, რომლის მმართველობის პერიოდში კოლონისტებმა ბეშტაუს რეგიონში ააღორძინეს მიწათმოქმედება. ამავე პერიოდიდან შოტლანდიელთა კოლონიას მათი პროტესტის მიუხედავად იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით შეუერთდა სარატოვიდან გადმოსახლებული გერმანელთა კოლონიები. აღნიშნული ღონისძიება კოლონისტების ასიმილაციას ემსახურებოდა, რამაც შედეგი ვერ გამოიღო და პირიქით, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას, ისე ცენტრს, რეგიონში სერიოზული პრობლემები შეუქმნა, რაც

გამოწვეული იყო გერმანელი და შოტლანდიელი კოლონისტების დაპირისპირებით. ვითარების კიდევ უფრო დამძიმების თავიდან აცილების მიზნით, სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება სარატოველი გერმანელი კოლონისტებისათვის იმავე რეგიონში, სხვა ადგილზე გამოეყოთ მიწის ნაკვეთები, რამაც მეტ-ნაკლებად სიტუაცია განმუხტა.

1821 წლიდან იმპერიის სამხრეთ პროვინციებში ახალშენების დასაფუძნებლად რუსეთში ჩამოვიდნენ ბაზელის საზოგადოების მისიონერები. თავდაპირველად, მათ კოლონიისათვის ყარაბაღის რეგიონის სოფელი შუშა შეარჩიეს, შემდეგ ყურადღება გადაიტანეს შოტლანდიურ კოლონიაზე, რომელიც მათ სახარბიელო ადგილმდებარეობით ხიბლავდა. ბაზელის მისიონერებმა ედინბურგის საზოგადოებას მიმართეს, რომელიც არა თუ დათანხმდა მათ საცხოვრისის დათმობაზე, არამედ შოტლანდიელთა დიდი ნაწილი სამშობლოში გაიხმო. შოტლანდიელი და ბაზელის მისიონერთა კონფლიქტი მთელი 20 წლის მანძილზე მიმდინარეობდა, მიუხედავად ამისა, მათ მაინც სერიოზული საგანმანათლებლო საქმიანობანი ჩაატარეს კავკასიის მთიელთა შორის. შოტლანდიელმა მისიონერებმა თარგმნეს თათრული ენის ნოღაიდურ და ორენბურგულ კილოზე ახალი აღთქმა, ასევე თარგმნეს ძველი აღთქმის პირველი შვიდი წიგნი, დავითის ფსალმუნი.

1815-1828 წლებში შოტლანდიელი მისიონერები მოღვაწეობდნენ ასტრახანში და ორენბურგში თათრებს, სპარსელებსა და ყირგიზებს შორის, ავრცელებდნენ სასულიერო ლიტერატურას. კუბასა და შემახაში. ასეთივე წარმატებით საქმიანობდნენ ბაზელის მისიონერები ნოღაიდელებს, ყარაჩაელებსა და ჩეჩნების ტომებში, განსაკუთრებული აქტიურობით ისინი ყარაბაღში მოღვაწეობდნენ სომხებს შორის, რამაც სომეხ-გრიგორიანელი სამღვდელოების აღშფოთება გამოიწვია, რის გამოც მისიონერებმა სომხებთან მუშაობა

შეწყვიტეს. სომეხ სამღვდელოებასა და მისიონერებს შორის ურთიერთობების დაძაბვამ, ეს უკანასკნელნი აიძულა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან დაცვა მოეთხოვათ.

კავკასიელ მთიელთა შორის შოტლანდიური და ბაზელის საზოგადოების მისიათა აქტიური მოღვაწეობა იმდენად დიდი წარმატებით მიმდინარეობდა, რომ დროთა ვითარებაში რუსულ მართლმადიდებლობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. რუსეთის ხელისუფლებისთვის აშკარა გახდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში რუსული ეკლესიის წარმატება მხოლოდ მისიების ლიკვიდაციის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. აღნიშნულის საბაბად კი იქცა გენერალ ერმოლოვის 1827 წლის წერილობითი მიმართვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, სადაც აღინიშნა, რომ მას კავკასიაში შოტლანდიური მისიების ალაგმვით ესახებოდა მართლმადიდებლების წარმატება — „...რუსეთის სარწმუნოებრივი წარმატებისათვის კავკასიაში საჭიროდ მივიჩნევ შოტლანდიური მისიების ალაგმვას მხარეში, რამეთუ ამ მისიებმა უარყოფითი ზეგავლენა იქონიეს კავკასიაში რუსული ქრისტიანობის პროპაგანდაზე და, არც სამეურნეო ცხოვრებას მოუტანეს დადებითი შედეგები... აუცილებლად ვთვლი მთიელთა ტრადიციების ათვისებას და მათ დაახლოება-შერწყმას რუსულ ზნე-ჩვეულებებთან, რათა ამით გავაუცხოოთ ევროპელ მისიონერთა დაახლოების მცდელობანი მთიელებთან...” — აღნიშნავდა თავის მიმართვაში გენერალი ერმოლოვი (415, 38, 9). გენერალი ერმოლოვი საიმპერატორო კარისაგან დაჟინებით ითხოვდა კავკასიიდან ევროპელი მისიონერების განდევნას და მათ ადგილზე რუსული სამისიონერო საზოგადოებების ამოქმედებას. კავკასიის ხელმძღვანელობის მითითების საფუძველზე, 1827 წლიდან აქტიურად დაიწყო სასულიერო, სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთა თანამშრომლობა, ხოლო კავკა-

სიის სასულიერო მისიის პროექტზე მუშაობა 1829 წლიდან დაიწყო.

კავკასიის მთავარმართებლის განცხდებით, მისიონერები დასავლეთ ევროპის პოლიტიკური აგენტები იყვნენ და კავკასიის მთიელებში ანტირუსულ პოლიტიკას ეწეოდნენ. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას საგანგებო ღონისძიებები უნდა გაეტარებინა დასავლეთის რელიგიური აგენტების ასალაგმავად, რათა მათ არ გაერთულებინათ რუსეთის იმპერიის საშინაო და საგარეო ურთიერთობები. ევროპული სახელმწიფოების საპირისპიროდ, რუსეთის მთავრობამ მართლმადიდებლური მისიების ფორმირება დაიწყო, რომელთა ფუნქციაც კავკასიის მთის მოსახლეობაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენა, ხოლო კერპთაყვანისმცემლებსა და მუსულმანებში ქრისტიანული რწმენის დადგინება გახდა. XIX საუკუნის 20-იან წლებში ჯერ აღდგა XVIII საუკუნეში მოქმედი და შემდგომ გაუქმებული „ოსეთის სასულიერო კომისია", ხოლო 60-იან წლებში კი „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება". ნიშანდობლივია, რომ რომაული მისიებისაგან განსხვავებით კავკასიის მთიელებმა რუსული მისიები არ მიიღეს, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ კავკასიელთათვის მისიებისადმი თანაგრძნობა პოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული და მათი ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის გარანტი იყო რუსული იმპერიული ზრახვებისაგან განთავისუფლების საქმეში.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ცარიზმმა საბოლოოდ დაასრულა კავკასიის პოლიტიკური დაპყრობა, მოდრიკა შამილის მეთაურობით მთიელთა 25 წლიანი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ და გადავიდა კავკასიელთა ასიმილაციის პოლიტიკურ ეტაპზე, ბუნებრივია, მისთვის ვერ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი „ოსეთის მისიის" მოქმედებათა მოძველებული მეთოდები. ამ მიმართულებით პირ-

ველი ღონისძიებები გაატარა კავკასიის იმდროინდელმა მეფისნაცვალმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ (415, 38, 9, 10), ხოლო გადამწყვეტი წვლილი შეიტანა საქართველოს ეგზარქოსმა ისიდორემ (ილინსკი). მისი ძალისხმევით 1857 წელს შეიქმნა საგანგებო პროექტი ქრისტიანობის დამკვიდრებისათვის კავკასიაში. იმავე წელს, პროექტი წარედგინა კავკასიის მეფისნაცვლს ალ. ბარიატინსკის, რომელმაც ის მოიწონა და შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა კავკასიის კომიტეტს სანკტ-პეტერბურგში — „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიაობის აღმდგენელი საზოგადოების დაარსება მართლმადიდებელი სახელმწიფოს მოვალეობაა... რუსეთს ამ საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება არ აქვს. მაჰმადიანი პროპაგანდისტები კავკასიელ ქრისტიანებს ამუსულმანებენ. მართლმადიდებლობა რუსეთის მთავარი სახალხო ძალაა, როგორც თავად რუსეთი არის ღვთიური იარაღი მართლმადიდებლობის ზეიმისა. საჭიროა, რომ ყოველმა რუსმა, რომლისთვისაც სამშობლოს ძლიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს. ჩვენ გვესაჭიროება ერთობლივი ძალისხმევა... რასაც ვერ შეძლებს ერთი რუსი, იმას გააკეთებს მთელი რუსეთი" — აღნიშნავდა ალ. ბარიატინსკი (415, 38, 172).

ალ. ბარიატინსკის მიმართვის საფუძველზე, კავკასიის კომიტეტმა განიხილა საზოგადოების დაარსების საკითხი და აღნიშნა, რომ საზოგადოების დაფინანსება და მატერიალური უზრუნველყოფა უნდა მომხდარიყო კერძო შემოწირულობებით. ამავდროულად, კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია საზოგადოების დაარსება კავკასიაში. საბოლოოდ, პროექტს რეზოლუცია დაადო იმპერატორმა 1860 წლის 9-ივნისს (413, 1, 13-17).

მეფის მთავრობა დიდ იმედებს ამყარებდა „საზოგადოების" მუშაობაზე და მისდამი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. ალბათ ამით იყო განპირობებული „საზო-

გადოების“ ხელმძღვანელობისათვის თბილისში ადგილის გამოყოფა, რამეთუ ეს ქალაქი, როგორც კავკასიის რუსული მმართველობის ცენტრი საიმპერატორო კარისაგან გამორჩეული კონტროლით სარგებლობდა. ამავე მიზანს ემსახურებოდა მის ხელმძღვანელად არა ეგზარქოსის, არამედ მეფისნაცვლის დანიშვნა. რადგან, „საზოგადოებას“ საერო ხელისუფლება აფინანსებდა, ბუნებრივია, ის თვითმპყრობელობის წინაშე ვალდებული იყო მისი მიზნების სწრაფად განხორციელებაში (399, 245-246). იმის გამო, რომ „საზოგადოება“ მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე არ ყოფილიყო, იმპერიამ მთელს ტერიტორიაზე საგანგებო შემოწირულობანი დააწესა, რის საფუძველზეც „საზოგადოება“ სოლიდური თანხების მფლობელი გახდა, რომელიც არა მხოლოდ საკუთარ თავს აფინანსებდა, არამედ დიდ დახმარებას უწევდა საეგზარქოსო ხელისუფლებას პოლიტიკური კურსის გატარებაში. საარქივო მასალის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ 1864-1909 წლების მანძილზე სხვადასხვა წყაროებით „საზოგადოებაში“ შევიდა 1475842 მანეთი (389, 182). გარდა ზემოაღნიშნულისა, ცარიზმმა ამიერკავკასიაში მიწის სავარგულებიდან „საზოგადოებას“ გამოუყო 100000 დესეტინა მიწა.

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა, რომელიც რელიგიურ მისიასთან ორგანულად იყო შერწყმული. ცარიზმის ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკური გაბატონების მიუხედავად, მისი მოსახლეობა სრულად არ ემორჩილებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას და ეს საქმე ეკლესიას უნდა გამოესწორებინა კავკასიელთა შორის ქრისტიანული მიძღვრების დამკვიდრების მეშვეობით. კავკასიის მცხოვრებლებში სასულიერო ფენას უნდა შეეტანა ისეთი ცოდნა, რომელიც მათ რუსულ ტრადიციებთან ჯერ

დაახლოვებდა, ხოლო შემდგომ მის ორგანულ ნაწილად აქცევდა, დაარწმუნებდა მათ თვითმპყრობელური რუსეთის კავკასიისადმი კეთილგანწყობილებაში (364, 255).

„საზოგადოებამ" იმთავითვე მოქმედების ორი მიმართულება გამოკვეთა:

1). სარწმუნოებრივ-სამისიონერო, რომლის მოვალეობაც იყო კავკასიის მთიანეთში ეკლესია-მონასტრების რესტავრაცია — მშენებლობა და სახარების ადგილობრივი მოსახლეობის ენებზე თარგმნა;

2). სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელსაც თვითმპყრობელობის ერთგული თაობა უნდა აღეზარდა და, რისთვისაც კავკასიაში უნდა გახსნილიყო სამრევლო სკოლები, სასწავლო უჯრედები, დადგენილიყო სტიპენდიები და სხვ. (415, 56, 179).

რუსეთის იმპერიის განაპირა რეგიონებში და მათ შორის კავკასიაშიც, რუსიფიკატორული პოლიტიკის იარაღად საეკლესიო-სამრევლო სკოლები გადაიქცნენ, რომელთა ქსელი უკიდურესი სისწრაფით იზრდებოდა. აქ, მთელი სიმძაფრით იდევნებოდა მშობლიური ენა. გარუსებული სკოლების მეშვეობით ხელისუფლება ცდილობდა კავკასიელი ხალხების ეროვნული ტრადიციების, კულტურისაკენ მძაფრი ლტოლვის შეჩერებას, მათში ეროვნული თვითშეგნების ამოძირკვას (131, 50-51).

1885 წელს უწმინდესი სინოდის განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ კავკასიის სამრევლო სკოლებში დაამტკიცა კავკასიური ენების სწავლების სამწლიანი კურსი. რაც შეეხება შერეული ერების სკოლებს, აქ სწავლება პირდაპირ რუსულ ენაზე წარმოებდა ე.წ. „მუნჯური მეთოდით" (321, 2).

რუსიფიკატორული სასულიერო განათლების კავკასიაში დანერგვის საქმე ხელისუფლებამ „საზოგადოებას" დააკისრა, რომლის ხელმძღვანელობა კურირებდა რუსული

ენისა და რუსული შემეცნების დანგრევას სამრევლო სკოლებში, სცემდა სასულიერო ხასიათის სასწავლო შემეცნებით ლიტერატურას, პერიოდულ გამოცემებს, ბიბლიას, საგალობელთა ნოტების ბეჭდვას და სხვ. (324, 3).

„საზოგადოების" მიერ დაარსებული სკოლები პირველ ეტაპზე ვერ უზრუნველყოფდნენ მთიელთა მოთხოვნილებებს განათლების მიღებაზე. აღნიშნულს სერიოზული დაბრკოლებებიც ჰქონდა, რაც მდგომარეობდა კავკასიის მკაცრ ბუნებრივ გარემოში, ძირდა სოფლებს შორის მოსახლეობის მიმოსვლა, განსაკუთრებით ზამთრის სეზონზე, მით უფრო, რომ რამდენიმე სოფელს ერთი სკოლა ემსახურებოდა; ამასთან, აუცილებელი იყო ადგილობრივი ენების ცოდნაც, რისთვისაც 1866 წელს „საზოგადოების" ხარჯზე თბილისში გაიხსნა ალექსანდროვის პედაგოგიური სემინარია, 1863 წელს კი ვლადიკავკაზის სამკლასიანი ქალთა სასწავლებელი (415, 38, 180).

ამრიგად, „საზოგადოების" იურისდიქციაში XIX საუკუნის მიწურულისათვის მთელს კავკასიაში იყო 58 კაცთა და 7 ქალთა სკოლა; აქედან აფხაზეთში —9, სვანეთში — 7, ახალციხის მაზრაში — 4, ოსეთში —18, ზაქათალას ოლქში — 3, თიანეთის მაზრაში — 8, დუშეთში — 2, ქ. თბილისში — 1 (415, 38, 184).

„საზოგადოების" ხელმძღვანელობამ კავკასიაში მოქმედების არეალი ორ ნაწილად გაყო. უპირველესად, ყურადღება გაამახვილა სამხრეთ კავკასიის მთიელებზე, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზაზე ცხოვრობდნენ და, რადგან რუსეთის იმპერიისათვის ამ გზას პოლიტიკურ-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა, საეგზარქოსომაც თავის საქმიანობა აქ მცხოვრები მთიელებით დაიწყო. მეორე ეტაპზე, აქცენტი გაკეთდა კავკასიის იმ რეგიონების მიმართ, სადაც ისტორიული ძნელბედობის გამო ისლამმა გაიმარჯვა, ან მართლმადიდებლური ქრისტიანობა უკი-

დურეს შევიწროვებას განიცდიდა და დაცემის გზაზე იდგა (413, 2, 22-23). ასეთთა რიცხვში იყო კავკასიის ის ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებოდნენ მაჰმადიანურ სამყაროს. „საზოგადოების" პროგრამით ქრისტიანობას სამურზაყანოდან უნდა შეეღწია აფხაზეთში, სვანეთიდან — ბალყარეთსა და ყარაჩაეთში, სამაჩაბლოდან ჩრდილო ოსეთში, თუშეთიდან ქისტებსა და ჩეჩნეთში და ა.შ. (413, 2, 22-23).

ზემოაღნიშნული მიზნით „საზოგადოებამ" XIX საუკუნის მიწურულს კავკასიაში დააარსა 137 რუსული სამრევლო. აქედან, აფხაზეთში — 20, სამურზაყანოში — 17, სვანეთში — 14, სამაჩაბლოსა და ჩრდილო ოსეთში — 54, თუშ-ფშავში — 19, ზაქათალის ოლქში — 4, ახალციხის მაზრაში — 5, ერევნის გუბერნიაში — 4 (413, 1610, 1; 365, 200).

კავკასიის ხალხთა რუსულენოვან მოსახლეობასთან შერწყმისათვის, საეგზარქოსოს მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ქრისტიანობის რუსულ ენაზე ქადაგება, მაგრამ, როდესაც ამ მიმართულებით მუშაობისას სამღვდელოება სერიოზულ დაბრკოლებებს წააწყდა, იძულებული გახდა დამწერლობის სისტემები შეექმნა იმ ეთნოსებისათვის, რომელთაც მანამდე ის არ გააჩნდათ. ამავდროულად, ასეთი პოლიტიკა კიდევ უფრო დიდ ვერაგობას ისახავდა მიზნად: ცარიზმის მოხელეთათვის ცნობილი იყო კავკასიის ხალხებზე ქართული კულტურის ისტორიულად დიდი გავლენა, ამიტომ თავად საქართველოში კუთხურობის გასაღვივებლად და კავკასიელი ხალხების დასაპირისპირებლად დაიწყო სხვადასხვა ეთნოსთა დამწერლობის შექმნა (413, 2, 2). მაგალითად, სვანებისათვის რუსულ დამწერლობაზე დაყრდნობით შეიქმნა ანბანი — „...ჩვენთვის სასარგებლოა სვანებში შემოვიღოთ მღვდელმსახურება რუსულ ენაზე, რომელიც დააკავშირებს ამ ხალხებს ჩვენთან" — წერდა

ერთ-ერთი რუსი ეპისკოპოსი 1864 წელს (63, 27). ასეთივე ანბანის შექმნის მცდელობა იყო აფხაზებისა და მეგრელებისთვისაც (67, 44-45).

კავკასიის ათვისების საქმეში, რუსეთის თვითმპყრობელობის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო რუსულ ენობრივ პოლიტიკას. კავკასიის ყველა ეთნოსისადმი რუსეთის სარწმუნოებრივ-კულტურულ პოლიტიკასთან მიმართებაზე, თავის დროზე იაკობ გოგებაშვილმა კონკრეტულად ქართული ენისადმი შენიშნა — „ჩვენნი წინაპარნი, იბრძოდნენ მხოლოდ სარწმუნოებისათვის და ამ ბრძოლაში უკანასკნელს სარისხამდე გაიწვრთნენ და სიმტკიცე ფოლადისა მოიპოვეს. ენისათვის ბრძოლა კი მათ სრულიად არ იცოდნენ... ბევრი ქართველი ვერა გრძნობს, ვერ ამჩნევს ხიფათს და განსაცდელს, რომელიც მოელის მის დედაენას". ზემოხსენებული აზრი ი. გოგებაშვილმა რუსული ენობრივი პოლიტიკის მისამართით გამოთქვა თავის ნაშრომში — „ეროვნული სენის მიზეზი და წამალი" და ბუნებრივია, შორს იდგა იმ აზრისაგან, თითქოს ქართველმა ერმა არ იცოდა მშობლიური ენის, დამწერლობის ფასი და მისი დატვირთვა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. ნიშანდობლივია ის, რომ, არც ერთი გარე ძალა, ფაქტობრივად, თითქმის არასდროს ცდილა მიზანმიმართული ბრძოლა ეწარმოებინა ქართული ენის წინააღმდეგ, ისე, როგორც ამას თვითმპყრობელური რუსეთი ახორციელებდა. ამ შემთხვევაში, ქართველი მოღვაწე აქცენტს აკეთებდა რუსული ანტიქართული პოლიტიკის განსაკუთრებულობაზე და ერს სიფხიზლისაკენ, გონივრული ქმედებისაკენ მოუწოდებდა.

აღნიშნული იმითაც იყო განპირობებული, რომ რუსული ენობრივი პოლიტიკა განსაკუთრებული აგრესიულობით სამხრეთ კავკასიელი ერებისადმი გამოირჩეოდა, რომელთაც უძველესი დამწერლობითი სისტემა გააჩნდათ, იმ

მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩრდილო კავკასიის ეთნოსები ამ სიმდიდრეს ვერ ფლობდნენ. ენობრივი და დამწერლობის კულტურის უძველესი ტრადიციის მატარებელ სამხრეთ კავკასიელთა შორის იყვნენ ქართველები, სადაც კუთხური ნიშნით ერის დაყოფა ყველაზე ხელსაყრელი აღმოჩნდა რუსეთის ხელისუფლებისათვის; და ცარიზმის ხელისუფლებამ იმპერიული პრინციპის „დაშალე და იბატონეს" პოლიტიკა აამოქმედა; ქართველთა ტომობრივი დაშლის მიმართულებით მუშაობა გააჩაღა. აღნიშნული განხორციელდა ქართული ენის დევნით; ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აკრძალვით, საეკლესიო-სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის განდევნით და სალვთისმეტყველო ლიტერატურის რუსულ და კუთხურ ენებზე მთარგმნელობითი საქმიანობით.

ამ მხრივ, რუსეთისათვის საინტერესო იყო სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის რეგიონები. თვითმპყრობელურმა აპარატმა შემთხვევით არ შეაჩერა მათზე ყურადღება, რაც რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული:

1). სვანეთი და აფხაზეთი ემიჯნებოდნენ ჩრდილო კავკასიას, სადაც მთიელთა რუსული პოლიტიკისადმი არასტაბილური დამოკიდებულება საფრთხეს უქმნიდა იმპერიის ამ რეგიონში ბატონობას, ხოლო ანტირუსული დამოკიდებულების სვანეთის და აფხაზეთის გზით სამხრეთ კავკასიაში შემოღწევა კიდევ უფრო დაამძიმებდა ზემოაღნიშნულ გარემოებას: აქედან გამომდინარე, ეს კუთხეები ცარიზმისათვის საიმედო დასაყრდენი და მთიელებში სიმშვიდის გარანტი უნდა ყოფილიყო.

2). სვანეთის და აფხაზეთის მეშვეობით, რუსეთის ხელისუფლებას რუსული მართლმადიდებლობის მყარად დადგინება უნდა მოეხდინა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებში. იმპერიის ძირითადი ინტერესი გარეუბნებში რუსული იდეოლოგიის დამკვიდრება იყო. ეს მეტად საპასუხისმგებლო, ფაქიზი და ფრთხილი საქმე საიმპერატორო კარმა

რუსეთის ეკლესიას დააკისრა; ადგილზე კი მის განმხორციელებლად საქართველოს საეგზარქოსო მოგვევლინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის სისრულეში მოყვანისათვის კი საჭირო იყო თავად სვანეთის და აფხაზეთის გადაგვარება-გარუსება. ამ პროცესს კი წინ უნდა წაძღოლოდა მოსახლეობის ისტორიული მეხსიერების ამოძირკვა. სვანეთს და აფხაზეთს უნდა ერწმუნა ის, რომ მისი მოსახლეობა არაქართული წარმომავლობის, ქართული კულტურისათვის უცხო ელემენტი იყო. ამ ვერაგული პოლიტიკის აქტიურად ამუშავება რუსეთის მთავრობამ XIX საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო. ნიშანდობლივია, რომ ეს პოლიტიკა ემთხვევა „დიდი კავკასიური ომების" ხანას, როდესაც განმათავისუფლებელ ბრძოლებში ჩართულ კავკასიელ მთიელებს დასაყრდენი არ ჰქონოდათ არც აფხაზეთში და, არც სვანეთში. ამ მიზნით, რუსეთისა და კავკასიის მთავრობამ ამ კუთხეებში რუსი სამღვდელოების მზვერავთა ჯგუფი აამოქმედა, რომელთაც საგანგებო მასალა უნდა შეეკრიბათ რეგიონებში არსებულ გარემოებასა და მოსახლეობის რუსული პოლიტიკისადმი დამოკიდებულებაზე.

სვანეთსა და აფხაზეთს ოდითგან საქართველოს სახელმწიფოებრივ სისტემაში მნიშვნელოვანწილად დიდი დატვირთვა ჰქონდა პოლიტიკურ-კულტურული და საეკლესიო-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით.

ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკის განსაკუთრებული სიმკაცრე თავს სწორედ ამ რეგიონებს ატყდებოდა; დანარჩენ ქართველობასთან უპირისპირებდა. ხელისუფლება ონსტატური შეფარვით ცდილობდა მათ მოსახლეობაში ეროვნული კულტურის ალმოფხვრას, რასაც მათთვის დამწერლობის განყენებული სისტემის შექმნით, სკოლებიდან ქართული ენისა და ქართველი პედაგოგების განდევნით, ეკლესია-მონასტრებში ქართული ღვთისმსახურების აკრძალვით ესწრაფვოდა. სვანები და აფხაზები ოფიციალურ

სახელმწიფო დონეზე განსხვავებულ ეთნოსებად გამოეცხადდნენ, რისი დასაბუთების საშუალებაც დამწერლობის „ახალი სისტემების" შექმნა იყო ე.წ. „ძველი და გარე კულტურის (ქართული — ქ. პ.) მსხვერპლად ქცეული „ერებისათვის". ამგვარი იდეოლოგიის ჩამოყალიბებისთანავე, აქტიური, მრავალმიმართულებიანი მუშაობა გაჩაღდა და მათთვის დამწერლობის შემუშავება გადაუდებელ ამოცანად დაისახა. საამისოდ, მიზანმიმართულად მუშაობდნენ იმპერიის სამეცნიერო ჯგუფები, მოგზაურები, სასულიერო პირები და სხვ. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რუსი ისტორიკოსების: რიტიხის, სტოიანოვის, ტუპცოვის, რუს სახელმწიფო მოხელეთა: უსლარისა და ბართლომეის ნაშრომები; მიროპიევის, ლიხაჩოვის, კერსკის, ვოსტორგოვის და სხვათა პასკვილები; ხოლო „ლიბერალური" საეკლესიო წრის ერთ-ერთი წარმომადგენლის, უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის ვ. საბლერის შეხედულებები ხელისუფლების კურსის ნათელი დადასტურება იყო და სახელმწიფო მოხელეთა სამოქმედო პროგრამაც — „სახელმწიფო პოლიტიკური ერთიანობისათვის ხელისუფლება ვალდებულია რუსული ენა და კულტურა აქციოს დომინანტად იმპერიაში შემავალი ხალხების გაერთგვაროვნების მისაღწევ საშუალებად... ეკლესიას თავისი პირდაპირი მიზნებისათვის სასარგებლოდ და საჭიროდ არ მიაჩნია ქადაგების შეზღუდვა ერთი რომელიმე ენით..." — აღნიშნავდა ვ. საბლერი.

სვანეთის, აფხაზეთის და სამეგრელოს ერთიანი ქართული ორგანიზმიდან ჩამოშორებისათვის ხელისუფლება ნაირგვარ პროექტებს ადგენდა და ღონისძიებებს ატარებდა. მათ შორის ჩინოვნიკთა წრეში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა საეკლესიო რეფორმები. მაგალითად, ხელისუფლებამ სვანეთთან და აფხაზეთთან მიმართებაში საინტერესო მიდგომის თეორია შეიმუშავა: ცარიზმის მთა-

ვრობა მიიჩნევდა და ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ ლეჩხუმის მაზრა, ანუ სვანეთი სახელმწიფო მიზნებისა და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ეკლესიურად სოხუმის ეპარქიას უნდა შერწყმოდა და არა სამეგრელოს საეკლესიო იურისდიქციაში ყოფილიყო. ასეთი პოლიტიკით იმპერია ერთდროულად ორ საქმეს აგვარებდა:

1) აქტიურად რთავდა სვანეთს და აფხაზეთს ჩრდილო კავკასიის მთიელთა სტაბილიზაციის საქმეში, ამიტომ სვანეთი, აფხაზეთი, სოხუმის ოლქი, მუდმივ ფეთქებად მდგომარეობაში იყო რუსეთთან მიმართებაში.

2) აფხაზეთსა და სვანეთში ერთდროულად ხორციელდებოდა დექრისტიანიზაციის პროცესი და, როგორც მთავრობა მიიჩნევდა, აქაურ მოსახლეობაში „გადაგვარების" სერიოზული შედეგიც იყო სახეზე. რუსეთის ეკლესიამ ხომ ორ ნაწილად დაყო მთიელები: ა) ისინი, ვინც მიატოვა ქრისტიანობა და გამაჰმადიანდა; და ბ) ისინი, ვის ქრისტიანობასაც წარმართული ელემენტი ერწყმოდა. ამ უკანასკნელში მოიაზრებოდა სვანეთი და აფხაზეთი.

საეკლესიო რეფორმაზე ამგვარ მოსაზრებას ხელისუფლება იმით ხსნიდა, რომ სვანეთისაკენ გზა მხოლოდ ზაფხულობით იყო გამოსადეგი, რომელიც გადიოდა ან ქუთაისსა და რაჭაზე, ან შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროდან მდინარე ენგურით. რუსეთის მთავრობამ ამ უკანასკნელზე შეაჩერა ყურადღება. ამიტომ შინაგან საქმეთა და სახელმწიფო ქონების სამინისტროებმა ამ რეგიონში შოსეს გაყვანისათვის 120000 მანეთი გამოყვეს. ხელისუფლების ახსნით, ამ გზის მეშვეობით სოხუმის ეპარქიიდან სვანეთი ნებისმიერ სეზონზე მისადგომი გახდებოდა. საქართველოს საეგზარქოსოს ანგარიშით კი სვანეთიდან ქრისტიანობას ბალყარეთსა და ყარაჩაეთში უნდა შეეღწია. ზემოხსენებული პროექტი შესანიშნავ საბაბად იქცა რუსული სამისიონერო მოღვაწეობის განვრცობისათვის აფხაზეთიდან სვა-

ნეთში. ამ საქმის განხორციელებაში საიმპერატორო კარმა აქტიურად ჩართო „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება". „საზოგადოებამ" თავის მხრივ მრავალმიმართულებითი მოღვაწეობა გააჩაღა, რაც გულისხმობდა სვანეთისა და აფხაზეთის მოსახლეობის ე.წ. „განმანათლებლობას": დამწერლობის შექმნას, ამ დამწერლობაზე სალვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნას; რუსული სასულიერო ლიტერატურის დანერგვას, სვანეთის და აფხაზეთისათვის ქართული სასულიერო ლიტერატურის რუსულით ჩანაცვლებას, სვანი და აფხაზი ახალგაზრდობის მისიონერებად მომზადებას, რუსი სამღვდელოებით ქართველი სასულიერო კრებულის ჩანაცვლებას, ამ კუთხეების ეკლესია-მონასტრებიდან ქართული ღვთისმსახურების გამოდევნას და რუსულის დამკვიდრებას და ა.შ. ზემოჩამოთვლილთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და ხელისუფლების უკიდურესი ზრუნვის საგანი იყო დამწერლობის შექმნა, რომელიც უშუალო კავშირში აღმოჩნდა სალვთისმეტყველო ლიტერატურის მთარგმნელობით საქმიანობასთან. გაურკვეველ დამწერლობასა და ამ დამწერლობაზე შექმნილ ლიტერატურაზე დაყრდნობით მათ სკოლებში უნდა მომხდარიყო განათლების შეტანა და ამ გზით მათი რუსიფიკაცია.

ზემოხსენებული სამუშაოების ჩატარების მიმართულებით „საზოგადოებას" სერიოზული პრობლემები შეექმნა. მისი ხელმძღვანელი ბარონი ა. პ. ნიკოლაი 1867 წლის 13 მაისს №497-ით იუწყებოდა, რომ საეკლესიო-სლავიანურის სწავლება რუსული თარგმანით სვანეთში და აფხაზეთში თითქმის წარმოუდგენელი იყო და ყველანაირი მცდელობა უნაყოფო იქნებოდა. ცარიზმი ამგვარი დასკვნის საფუძველზე იძულებული იყო ისეთი გზა მოენახა, რაც სწრაფად და შედეგანად განახორციელებდა სახელმწიფო პოლიტიკას. საკითხის საფუძვლიანად შესწავლა საიმპერატორო კარმა

დააკისრა სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, რუს ენათმეცნიერსა და კავკასიურ ენათა მკვლევარს ბარონ პეტრე უსლარს და გენერალ მაიორს ბართლომეის. ჩრდილო კავკასიასთან საქართველოს სასაზღვრო რეგიონების — აფხაზეთისა და სვანეთის საგანგებოდ შესწავლის შემდგომ, უსლარმა და ბართლომეიმ დაწერილებითი ანგარიში წარუდგინეს საიმპერატორო კარს, სადაც აღნიშნული იყო სვანეთში და აფხაზეთში ქრისტიანობის დეგრადირებული მდგომარეობა, ანუ ე.წ. წარმართულ-ქრისტიანული ნაზავით ჩამოყალიბებული ზნე-ჩვეულებანი და ყოფა. პ. უსლარი შენიშნავდა — „მათთვის გაუგებარია ბიბლია. მათ ენაზე არა თუ ევანგელიე, არამედ არც ერთი ლოცვანი არ თარგმნილა არასდროს; არც ღვთისმსახურება მოუსმენიათ სვანურ და აფხაზურ ენებზე. მათი მღვდლები ბერძნული წიგნებით სარგებლობენ".

ბართლომე და უსლარი სამომავლო მოქმედებების ირგვლივ ხელისუფლებას საკუთარ კურსს სთავაზობდნენ — „ძველი ტაძრების აღდგენით, ახლების აგებით, სამღვდელოთა ხელფასების ზრდით არ შეიძლება დიდი წარმატების მიღწევა. საჭიროა მომგებიანი საქმის წამოწყება". ისინი ითხოვენ მოქმედებაში ჩართულიყო ერთობლივად კულტურული და სარწმუნოებრივი ფაქტორი. მათ სწორ და უტყუარ საშუალებად ბიბლიისა და სასულიერო ლიტერატურის კუთხური ენებზე თარგმნა მიაჩნდათ — „ეს საქმე ყველაზე საჭირო იარაღია მუსულმანთა წინააღმდეგ... ამას პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, რადგან ღვთის სიტყვასთან ერთად, ამ ხალხში რუსული გავლენაც შევა... მშობლიურ ენაზე წიგნების გაცნობა მათ გაუადვილდებათ და აქედან, რუსული წიგნების კითხვაც გამარტივდება... თანდათანობით მთიელებში გავრცელდება რუსული" — შენიშნავდა ბართლომეი. ზემოხსენებული დოკუმენტი უთარიღოა, მაგრამ მასში გადმოცემული აზრი აშკარად მიგვითი-

თებს იმაზე, რომ ასეთი აზრის ფორმირება მხოლოდ „დიდი კავკასიური ომის" დროს უნდა მომხდარიყო, როდესაც რუსული ორიენტაციის სვანებს, აფხაზებს და მეგრელებს ანსაკუთრებული დატვირთვა მიენიჭებოდათ კავკასიელი მთიელების განმანთავისუფლებელი ბრძოლების წინააღმდეგ ქმედებებში.

XIX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში „კავკასიურ ომში" რუსეთის გამარჯვებით დასრულებამ, იმპერიის როგორც საშინაო, ისე საგარეო კურსის რაფინირება მოითხოვა. საიმპერატორო კარს რეალური საშუალება მიეცა ბართლომეისა და უსლარის რჩევების რეალიზებისათვის: როგორც კი 60-იანი წლების დასაწყისში „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება" შეიქმნა, ხემოხსენებული პოლიტიკის გატარებაც მათ დაევალათ. „საზოგადოების" დროებითი კომიტეტის ხელმძღვანელმა ვ. ნისარსკიმ მიიღო გადაწყვეტილება სვანური და სხვა მთიელთა ანბანის შექმნასა და მთარგმნელობით საქმეში ადგილობრივი განათლებული ფენის ჩართვაზე და ნებართვის მისაღებად მიმართა მეფისნაცვალ ა. ბარიატინსკის. ამ უკანასკნელის ბრძანებულების საფუძველზე 1861 წლის 23 მარტს თბილისში შეიქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მთიელთა ანბანები უნდა შეედგინა. კომისიის წევრებისათვის სავალდებულო იყო ადგილობრივი და რუსული ენის ცოდნა. მხარის სამოქალაქო მოწყობის დროებითი განყოფილების რედაქტორის თანაშემწეს კი დაევალა კურირება გაეწია რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების კავკასიელ მთიელთა ენობრივი ლექსიკონებისათვის, რათა ისინი დაჩქარებული ტემპით შედგენილიყო.

განსაკუთრებული კომიტეტის წამყვან სპეციალისტებად დასახელდნენ იდეის ავტორები: უსლარი და ბართლომეი. „საზოგადოებას" ბართლომეიმ იმთავითვე განუცხადა,

რომ ანბანების შექმნაში გასათვალისწინებელი იყო ენათმეცნიერ პ. უსლარის სამეცნიერო დასკვნები, კერძოდ ის, რომ საგანგებო ნიშნების შემოღებით რუსული ასოები სავსებით უცვლელად მიესადაგებოდა სვანურ და აფხაზურ ენებს.

იმპერატორის ბრძანებულებით 1860 წლის 3 სექტემბერს კომიტეტს მთიელთა ენებზე ბიბლიის თარგმნისა და სასწავლებლების გახსნისათვის სახელმწიფო ხაზინიდან გამოეყოთ 55738 მანეთი. კომიტეტში სამუშაოდ თბილისში ჩამოიყვანეს ქართული და რუსული ენის მცოდნე პირები. მათ დაენიშნათ ჯამაგირი თვეში 70 მანეთი.

რუსეთის ვერაგული პოლიტიკა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ის მაქსიმალურად ცდილობდა ზემოხსენებულ საქმეში ქართველი ინტელიგენციისა და სამღვდელოების ჩართვას და ამით სვანეთის, სამეგრელოს და აფხაზეთის მოსახლეობაში საქართველოს ეკლესიისა და მისი კრებულის ავტორიტეტის დაკნინებას. 1861 წლის 6 ივნისის კომიტეტის სხდომის ჟურნალში დაფიქსირებულია ამ მიმართულებით ბართლომეის მეცადინეობა. ბართლომეი ურჩევდა კომიტეტს იმერეთის მთავარეპისკოპოსის გაბრიელის (ქიქოძე), არქიმანდრიტ ალექსანდრეს (ოქროპირიძე), კეთილდამწყსველების: დავით მაჭავარიანისა და იოსებ კოლოევის ჩართვას. ეს მაშინ, როდესაც ისინი მთელი პრინციპულობით აყენებდნენ ხელისუფლების წინაშე კუთხური დამწერლობის და ამ ენებზე სასულიერო ლიტერატურის შეთხზვის მიზანშეუწონლობას.

ნიშანდობლივია, რომ „საზოგადოებამ" მთიელთა ანბანისა და სღვთისმეტყველო ლიტერატურის გამოსაცემად XIX საუკუნის 70-80-იან წლებში პირადი ფონიდან გამოყო 831 მანეთი და 30 კაპიკი, ხოლო რუსული სკოლების უზრუნველსაყოფად 22412 მანეთი და 68 კაპიკი, ეკლესია-მონასტრების სასულიერო წიგნებით მომარაგებისათ-

ვის — 4630 მანეთი და ა.შ. ნიშანდობლივია, ისიც, რომ მიუხედავად უსლარისა და ბართლომეის არგუმენტირებული დასაბუთებისა, ანბანი სვანებისათვის, მეგრელებისა და აფხაზებისათვის აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა. სვანეთის სოფლის ერთ-ერთი სკოლის მაგალითზე ბესარიონ ნიჟარაძე აღნიშნავდა — „დღესაც ხელუხლებლად დგას აქ რამდენიმე სხვადასხვა სასწავლო ნივთით გამოტენილი ყუთები, მომეტებულად „ლუშნუ ანბანით".

ამრიგად, რუსეთის იმპერიის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში სვანეთს და აფხაზეთს როგორც საქართველოს სასაზღვრო რეგიონს მნიშვნელოვანი სტრატეგიული და სარწმუნოებრივ-კულტურული ადგილი ეკავა. ამიტომ რუსული იმპერიული რეჟიმის განმტკიცება საქართველოში ხელისუფლების უპირველესი ამოცანა იყო. რუსიფიკაცია-კოლონიზაციის გაძლიერებას ემსახურებოდა ქართველი ხალხის ეროვნული ერთობის დაქსაქსვის მთავრობისეული გეგმები. ამ გამთიშველი პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად იქცა რეგიონის მოსახლეობისათვის დამწერლობის სისტემის შექმნის, მათთვის სასკოლო სახელმძღვანელოების, სასულიერო ლიტერატურის თარგმნა და სხვ.

ქართველი ინტელიგენციისა და სამღვდელოების, სვანეთის, სამეგრელოს და აფხაზეთის მოსახლეობის მტკიცე და ცალსახა პოზიციამ, თვითმპყრობელური რუსეთის ამ საქმეშიც აშკარა მარცხი გამოიწვია. აგრეთვე, ქართული ეკლესიის რღვევისაკენ, მრევლისა და სამღვდელოების გაუცხოებისაკენ იყო მიმართული სასულიერო ლიტერატურის ამ ენებზე თარგმნის აქტიური და მიზანმიმართული კამპანიაც, რაც ფაქტობრივად, საერთო ეროვნული სხეულიდან მათი ჩამოცილების უშედეგო მცდელობად დარჩა.

კავკასიელთა შორის რუსული ეკლესიის ავტორიტეტის დამკვიდრებისათვის საეგზარქოსო ფართო საქველმოქმედო ღონისძიებებს სახავდა: ეწეოდა მოსახლეობის საპე-

დიცინო დახმარებას, ხსნიდა მოხუცების, ინვალიდების და უდედმამო ბავშვებისათვის თავშესაფრებს (338, 3).

ცარიზმის სარწმუნოებრივი პოლიტიკა განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა კავკასიის მაჰმადიანი მოსახლეობისადმი. ეს უკანასკნელნი ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს მტრებად გამოცხადდნენ და მაჰმადიან სახელმწიფოებთან ჯაშუშურ საქმიანობაში დადანაშაულდნენ. ასეთთა რიცხვში აფხაზეთის მაჰმადიანი მრწამსის მოსახლეობაც მოხვდა. მთავრობის მიზანი იყო აფხაზეთის დედა საქართველოსა და მისი კულტურისაგან მოწყვეტა (338; 333; 335; 336; 385).

კავკასიის ხალხებს და განსაკუთრებით ქართველ საზოგადოებრიობას მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა რუსეთის სასულიერო პოლიტიკისადმი, რამაც ყველაზე მკაფიო გამოვლინება ჰპოვა იმ რეგიონებში, სადაც არამართლმადიდებელი მოსახლეობა ცხოვრობდა. ამ მხრივ, ყველაზე სავალალო მდგომარეობა აფხაზეთის რეგიონში შეიქმნა. რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის დაინტერესებული იყო ამ რეგიონის ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოყენებით. აფხაზეთის მეშვეობით რუსეთი ცდილობდა გავლენის მოპოვებას ჩრდილო კავკასიაზე და მის სამხრეთის საზღვრებზე მშვიდობის დამყარების გარანტად მოიაზრებდა, ამიტომ რუსეთის მთავრობა აფხაზეთის ათვისებას ერთ-ერთ „ურთულეს საკითხად" მიიჩნევდა (28, 210-223).

აფხაზეთში იმპერიული მიზნის მისაღწევად, საეგზარქოსომ სხვადასხვა სახის სამოქმედო პროგრამა შეიმუშავა. იმ ადგილებში, სადაც რუსი და აფხაზი მოსახლეობა ცხოვრობდა განაწესა რუსი სამღვდელოება, ხოლო სამურზაყანოში, ქართველთა სიმრავლის გამო განწესდნენ ქართველი სასულიერო პირები, რამეთუ ისინი ფლობდნენ ადგილობრივ ენებს და იცნობდნენ მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს (21; 401, 12, 16).

მაჰმადიანური სამყაროსაგან აგრესიული პოლიტიკის შედეგად, XIX საუკუნის დამდეგისათვის ქრისტიანობა უკიდურესად დეგრადირებული იყო აფხაზეთში, რომელიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან დაიწყო „მთის ჩამოწოლის" შედეგად ბარში. აღნიშნულმა განაპირობა ნ. ბერძენიშვილის აფხაზეთის ამ მიმართულებით შეფასება — „მეთხუთმეტე საუკუნიდან აფხაზეთი უკვე წარმართობს" — აღნიშნავდა მეცნიერი. XVI-XVIII საუკუნეების მანძილზე კი ოსმალთა პოლიტიკის დამსახურებით აფხაზეთში რელიგიათა კონგლომერატია — წარმართობა, წინაქრისტიანობა და მაჰმადიანობა ერთდროულად იყო.

აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენის პროცესი რუსეთის მიერ მისი დაპყრობით (1810წ.) იწყება. 1831 წელს შეიქმნა არქიელის სასულიერო კათედრა[1], რომელიც 1866 წელს შეუერთეს იმერეთის ეპარქიას. 1834 წლიდან აფხაზეთში დაიწყო ქრისტიანობის აქტიური პროპაგანდა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცაგერის არქიმანდრიტი ანტონი (დადიანი). საარქივო მონაცემებით, 1834-1836 წლებში მოინათლა 2000 აფხაზი (413, 56, 7-9).

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან რუსეთის ხელისუფლებამ გაააქტიურა რუსიფიკატორული პოლიტიკა აფხაზეთში, რაც გამოვლინდა ქართველი სამღვდელოების რუსებით ჩანაცვლებაში. 1840 წლის მარტში კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა ევ. კოცებუმ საქართველოს ეგზარქოსის წინაშე დააყენა საკითხი აფხაზეთში რუსი ეპისკოპოსის განწესების აუცილებლობაზე, რაშიც მას კავკასიის მთავარმართებელი გოლოვინიც დაეთანხმა. განსხვავებული კურსი შეიმუშავა

---

[1] ამ დროიდან აფხაზეთის თავადურმა ელიტამ დაიწყო ეკლესია-მონასტრების მშენებლობა. ეს პროცესი დააჩქარა „ოსეთის კომისიამ", რომელმაც 30-50-იან წლებში აფხაზეთში ააშენა — 13, სამურზაყანოში — 16 ეკლესია.

აფხაზეთის მიმართ მეფისნაცვალმა ვორონცოვმა. პოლიტიკური გართულების თავიდან აცილების მიზნით, მან საიმპერატორო კარისაგან მოითხოვა „აფხაზეთის მისიის" ქართველი სამღვდელოების განკარგულებაში დატოვება (371, 67-71). ვორონცოვის რჩევით უწმინდესმა სინოდმა 1851 წელს გახსნა სოხუმის ეპარქია და მის სათავეში ქართველი ეპისკოპოსი ჩააყენა. 1851-1869 წლებში ამ ეპარქიას მართავდნენ ეპისკოპოსი: გერმანე (გოგოლაშვილი), გერონტი (პაპიტაშვილი), ალექსანდრე (ოქროპირიძე) (101, 59).

ასეთსავე პოლიტიკურ კურსს ატარებდა რუსეთის მთავრობა კავკასიის დანარჩენ სასაზღვრო რეგიონებში: სამცხე-ჯავახეთში, საინგილოში, აჭარაში, სვანეთში და ა.შ. ამ მხრივ, განსაკუთრებული ინტერესის სფეროში იყო მოქცეული ჭარ-ბელაქანი, ანუ იგივე საინგილო, რომელიც ცარიზმის ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად კვლავინდებურად ჩამოშორებული იყო საქართველოს. მუსულმანური მოსახლეობის გარემოცვაში დარჩენილი ინგილოების მიერ აშკარად და ოფიციალურად ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებას დიდი სირთულეები ხვდებოდა. გარდა აღნიშნულისა, თვით რუსეთის მთავრობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, XIX საუკუნის 50-60-იან წლებამდე, სანამ იგი კავკასიის საბოლოო დაპყრობისათვის იბრძოდა, ერიდებოდა ამ მხარეში აქტიური მისიონერული მუშაობის გაშლას, რათა ამით არ გამოეწვია ჭარ-ბელაქანში მცხოვრები მუსლიმური მოსახლეობის უკმაყოფილება. იგი ქრისტიანობის აშკარა აგიტაციას ამ მხარეში ნაადრევ პროცესად მიიჩნევდა. ინგილოების გაქრისტიანების პროცესის გააქტიურება მხოლოდ XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო.

რუსეთის იმპერიის გლობალური პოლიტიკური მისწრაფებები მის რეალურ შესაძლებლობებს აშკარად

სცილდებოდა და, მიუხედავად ამისა, მის საგარეო პოლიტიკურ კურსში მოქცეული ახლო აღმოსავლეთის საკითხი, რომელიც უკავშირდებოდა რუსეთის ბატონობას კავკასიაში, მთელი XIX საუკუნის მანძილზე აქტუალურ პრობლემად რჩებოდა; რელიგიური ფაქტორი კი მარადიულ გორდიის კვანძად, რომლის გახსნასაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა.

კავკასიის რელიგიური ფაქტორის გადაჭრაში, რუსეთისათვის სერიოზულ ბარიერს ქრისტიანობის სექტანტური მიმართულებებიც წარმოადგენდა. კავკასიელი ქრისტიანები რამდენიმე ჯგუფად იყოფოდნენ: რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებული კოლონისტი სექტანტები, აღმოსავლეთის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან სადაო ტერიტორიებზე (ირანი — ქ. პ.) მცხოვრები ქრისტიანი სექტანტები და კავკასიის მკვიდრი ერესული დაჯგუფებები. მათ შორის რუსული ეკლესიის მისიონერული მუშაობის სერიოზული ობიექტი იყო ამიერკავკასიაში მცხოვრები ქრისტიანი ნესტორიანელები, რომლებიც რთული პოლიტიკური გარემოცვის შედეგად ხან ირანის და, ხანაც ბიზანტიის პოლიტიკურ ინტერესთა სფეროში მოიაზრებოდნენ.

საუკუნეების მანძილზე, გარეშე ქვეყნის პოლიტიკური სიძლიერიდან გამომდინარე ნესტორიანელ-ქრისტიანებში რელიგიურ-საგანმანათლებლო პოლიტიკას უძღვებოდნენ ხან ბიზანტიელები, ხან ქართველები, ხან სპარსელები (მაზდეანური ირანის ეპოქა — ქ. პ.), ხანაც მაჰმადიანური სახელმწიფოები. XIX საუკუნიდან, ამ მხრივ სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა რუსეთიც და აქტიური მისიონერული პოლიტიკის გზას დაადგა.

ნესტორიანელი ქრისტიანებით რუსეთის ხელისუფლების დაინტერესებამ გამოავლინა ამ უკანასკნელის ინტერესი მისი მოწინააღმდეგე, დამარცხებული ქვეყნების (ირანი — ქ. პ.) მოსახლეობისადმიც. რუსეთ-ირანის ომების (1804-1813

და 1826-1828წ.წ.) შემდგომ, დამარცხებული ირანის ტერიტორიაზე მცხოვრები ნესტორიანელებით იმპერიის ხელისუფლება დაინტერესდა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი). სპარსეთის ურმის პროვინციაში, სპარსეთის სირო – ქალდეველ ქრისტიანებში რუსეთმა საგანგებო სასულიერო მისიაც კი განაწესა (144, 132).

სირო-ქალდეველებში მისიონერული მუშაობის დაწყება უკავშირდება საქართველოს და მის სასულიერო კრებულს, რაც გამოწვეული იყო XVIII საუკუნეში მაჰმადიანური სამყაროს კულტურულ-პოლიტიკური გავლენის ზრდით მახლობელ აღმოსავლეთსა და ჩრდილო კავკასიაში (209, 32). საარქივო წყაროების თანახმად, მაჰმადიანური იდეოლოგიით შევიწროვებულმა ნესტორიანელებმა დახმარებისათვის კავკასიის მაშინდელ ავტორიტეტს – ერეკლე მეორეს მიმართეს და სასულიერო მისიის დადგინება ითხოვეს (361, §172, 178-179). იმ ეტაპზე, ნესტორიანელთა თხოვნა ვერ შესრულდა, რასაც მრავალმა ფაქტორმა შეუშალა ხელი: ერეკლე მეორის გარდაცვალებამ, საქართველოსადმი რუსეთის აგრესიუმა დამოკიდებულებამ, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევებმა. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ნესტორიანელები თანადგომას კავკასიის მთავარმართებლის ციციანოვისა და გენერალ ტორმასოვისაგან ითხოვდნენ (361, §172, 690).

ირან-ოსმალეთის ომის შედეგად, რუსეთის იმპერიამ შეიერთა ერევნის სახანო. იმ დროისათვის, ნესტორიანელები ცდილობდნენ ამიერკავკასიაში გადასახლებას, რაც ირანის ხელისუფლებამ ძალის გამოყენებით შეაჩერა. მიუხედავად ამისა, 3000 აისორელმა მაინც შეძლო რუსეთის ჯარის დახმარებით ერევნის სახანოში შესვლა. ისინი იმპერიის მთავრობამ კომპაქტურად ჩაასახლა მართლმადიდებლურ დასახლებებში და მიწის ნაკვეთებითაც დააკმაყოფი-

ლა. ნესტორიანელთა სამრევლოები (7) XX საუკუნის 10-იან წლებამდე ფუნქციონირებდნენ (144, 133).

პირველ ეტაპზე, რუსეთის ეკლესიამ ნესტორიანელთა მისიონერულ საქმიანობაში ქართველი სამღვდელოება ჩართო. ამ მხრივ, თავი გამოიჩინა აისორების წმინდა თომას სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა, პროტოიერმა დავით გურგენიძემ, რომლითაც იმპერიის ხელისუფლება დაინტერესდა თურქული, სომხური და აისორელთა ენების ზედმიწევნითი ცოდნის გამო. დ. გურგენიძის მოღვაწეობის შედეგად, XIX საუკუნის 60-იან წლებში მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე 167 აისორი მოექცა (263, 403-405).

XIX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულიდან რუსეთის ხელისუფლებამ აისორებში მუშაობისათვის ქართველები რუსი სამღვდელოებით ჩაანაცვლა და დაიწყო კოლონიზატორულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება ნესტორიანელთა შორის. აღნიშნულმა პოლიტიკურმა კურსმა სრულიად მოშალა საეკლესიო ცხოვრების ტრადიცია, შეწყდა სასულიერო სკოლების ფუნქციონირება და დაიწყო აისორების გარუსების პროცესი. ყოველივემ გამოიწვია აისორების ძველ, ნესტორიანულ სქიზმაში დაბრუნება, რითაც ისარგებლეს ევროპულმა მისიონერულმა ორდენებმა, კერძოდ, ამერიკის პრესვიტერიანულმა ორდენმა, საფრანგეთის წმინდა ლაზარეს სახელობის ძმობამ და ინგლისის მისიონერთა ორდენებმა (415, 51, 5).

ევროპის სასულიერო აგრესიისაგან დაცვის მიზნით, ნესტორიანელთა სამღვდელოებამ დახმარებისათვის მიმართა იერუსალიმის რუსული სასულიერო მისიის ხელმძღვანელს ეპისკოპოს კირილეს, უწმინდეს სინოდთან შუამდგომლობისათვის მღვდელმთავრის დადგინების მიზნით, სპარსეთსა და აზიურ თურქეთში მცხოვრები აისორების დახმარებისათვის. იმ ეტაპზე, რუსეთის ხელისუფლებამ თავი შეიკავა ნესტორიანელებში სამისიონერო საქმიანობის გააქტიურებისაგან,

რაც განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით: ცარიზმის მმართველობის სისტემის კრიზისით, დაპყრობილ ხალხებში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებით, მაჰმადიანთა აგიტაციის გაძლიერებით და ა.შ.

XIX საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის მთავრობამ ნესტორიანელების საქმე გადასცა საქართველოს ეგზარქოსებს. ვითარების დარეგულირების საქმეში იმთავითვე ჩაერთვნენ ეგზარქოსები პავლე, შემდგომ პალადი, ირკუტსკის მთავარეპისკოპოსი ბენიამინე, არხანგელსკის ეპისკოპოსი სერგი. საქართველოს ეგზარქოსის ვლადიმირის 1895 წლის 16-27 მარტის დადგენილებით (412, 1427, 20-22) სპარსეთში გასაგზავნ კანდიდატებად შეირჩნენ ერევნის მიძინების ტაძრის მღვდელი ვიქტორ სინადელი და მღვდელი ნავრუზლუ, რომელთა ძალისხმევითაც მართლმადიდებლობაზე დაახლოებით 1000 აისორი მოექცა. აისორთა სამრევლოს მღვდელმთავრად დადგენილ იქნა ეთნიკურად აისორი იოანე. ყოფილი ნესტორიანელთა ეპარქია შედიოდა საქართველოს საეგზარქოსო იურისდიქციაში.

ამრიგად, რუსეთის მისიონერულ-საგანმანათლებლო საქმიანობა სირო-ქალდეველებში იმპერიის მახლობელი აღმოსავლეთისადმი პოლიტიკური ინტერესებით იყო გაჯერებული. ეს პროცესი მთელი XIX საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა და რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ამ საქმეში, უნებლიედ თავად ნესტორიანელებიც ჩაერთვნენ, რამეთუ ისინი მაჰმადიანური აგრესიისაგან ხსნის გზას მართლმადიდებელ რუსეთში ეძებდნენ; როდესაც მათთვის აშკარა გახდა იმპერიის კოლონიზატორული ინტერესები, რაც გადაგვარებით ემუქრებოდა აისორელთა ეროვნულ თავისთავადობას, ისინი მწვავედ დაუპირისპირდნენ ცარიზმის მისწრაფებებს და იმპერიის მიერ დაპყრობილ სხვა ხალხებთან ერთად ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაერთიანდნენ.

ამრიგად, XIX საუკუნის დასაწყისში კავკასიაში მიმდინარე შიდა და გარე პოლიტიკურმა პროცესებმა გარკვეულწილად შეცვალა ამ რეგიონის კულტურული ცხოვრებაც; სერიოზული ძვრები განხორციელდა კავკასიელი ხალხების ურთიერთშორის კულტურულ კავშირებშიც. კავკასიის შიდა ცხოვრებაში რუსეთის იმპერიის შეჭრის ფაქტორმა განაპირობა კავკასიურ კულტურაზე ზემოქმედება და ამ უკანასკნელის დადებითი და უარყოფითი შედეგებით განსხვავებული სახე და მასშტაბები შესძინა. კავკასიაში რადიკალური ცვლილებები განიცადა ტრადიციული კულტურის თითქმის ყველა სფერომ: ყოფა-ცხოვრებამ, მეურნეობამ, ხელოვნების სხვადასხვა დარგმა და ა.შ. და ძველი კავკასიური კულტურის განახლების პროცესი XIX საუკუნის მიწურულისათვის ახალი კულტურის შექმნით დასრულდა. ამ პროცესში ჩართული იყო მსოფლიოს ცივილიზაციური სამყარო, მაგრამ წამყვანი ადგილი რუსეთის იმპერიას ეკავა.

რუსეთის მიერ კავკასიის პოლიტიკური დაპყრობის რეალური განხორციელება უშუალოდ უკავშირდებოდა მხარის კულტურულ ათვისებას. ამ უკანასკნელის მეშვეობით, კავკასია რუსეთს სულიერ-ხორციელად უნდა შერწყმოდა, რაც თავის მხრივ, მისი ხალხების ეროვნული ცნობიერების გადაგვარება-განადგურებას გამოიწვევდა.

კულტურის დარგში გატარებული ანტიკავკასიური პოლიტიკით რუსეთი ხელოვნურად ცდილობდა კავკასიელი ხალხების კულტურული ერთობის რღვევას, რათა მათი დაშლა-დანაწევრებით ადვილად განეხორციელებინა იმპერიის მრავალრიცხოვან მოსახლეობაში მათი ასიმილაცია.

კულტურული რეფორმაციისათვის რუსეთის ხელისუფლება ნაირგვარ საშუალებებს მიმართავდა: სამოქალაქო, სამხედრო სამსახურები, საგანმანათლებლო სფერო, მართლმადიდებელი ეკლესია და ა.შ.

რუსეთის იმპერიის კავკასიისადმი განხორციელებული კულტურული ზეწოლა ცალსახა და ცალმხრივი არ ყოფილა. თავის მხრივ, კავკასიური ძველი კულტურაც ახდენდა ზემოქმედებას ევროპულ კულტურას ნაზიარებ რუსულ ტრადიციულ კულტურაზე, რაც ნათლად აისახა მის ლიტერატურაზე, ხელოვნებასა და საზოგადოებრივ აზრზე; კავკასია რუსი კულტურის მოღვაწეთათვის შემოქმედებით წყაროდ, შთაგონების უწყვეტ ნაკადად იქცა. მაგრამ ყოველივეს ძირითადი საფუძველი კავკასიური კულტურის, ტრადიციის დაახლოება უნდა ყოფილიყო რუსულ კულტურასთან, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, კავკასიას უნდა განეცადა მოდერნიზაციის პროცესი იმგვარად, რაც მას გათქვეფდა რუსეთის იმპერიულ ცხოვრებაში. აღნიშნული კი, ბუნებრივია, კავკასიელი ხალხების კულტურას ტრადიციულ სახეს დააკარგვინებდა და მას რუსეთის კულტურული ცხოვრების ფერხულში ჩააბამდა.

რუსეთის იმპერიის ანტიხალხურ-ანტიკავკასიურ პოლიტიკას ძლიერი იდეოლოგიური ბაზისი გააჩნდა, რომელმაც თავი იჩინა სწორედ კულტურული რევოლუციის დროს. რუსული კულტურის იდეოლოგთა შემოქმედება კავკასიაში მხოლოდ იმპერიული ინტერესების დამკვიდრებას ემსახურებოდა. საამისოდ კი, უწყვეტად მიმდინარეობდა კავკასიის კულტურის ყველა სფეროს საფუძვლიანი ათვისება; საგანგებო მუშაობა კავკასიელთა ელიტარულ ნაწილზე, რათა ისინი თავიანთ მხარეში რუსიფიკატორული პოლიტიკის განმხორციელებლებად ჩამოყალიბებულიყვნენ.

რუსეთის იმპერიის ხელისუფალთა ამგვარი პოლიტიკა კავკასიელთა საზოგადოებრივი აზრის დაშლა-

დაქუცმაცების, მათი ურთიერთწაკიდების პრინციპებზე იყო აგებული.

კავკასიის კულტურულ რეფორმაციაში რუსეთის იმპერიისათვის ყველაზე რთულ სფეროს რელიგია წარმოადგენდა. კავკასიის რელიგიური მრავალფეროვნება იმპერიისათვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა, ამიტომ ბუნებრივია, მთავრობამ კულტურული მოდერნიზაციის პროცესში წამყვანი დატვირთვა რელიგიური მიმართულებით მუშაობას მიანიჭა. რადგან, რუსეთის იმპერიისათვის მისაღები იყო მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანობა და ის სახელმწიფოს იდეოლოგიას წარმოადგენდა, ბუნებრივია, მართლმადიდებლობა არა თუ წამყვანი, არამედ ერთადერთი რელიგია უნდა ყოფილიყო იმპერიის მთელს სივრცეში. ასეთ აზროვნებაზე დაყრდნობით, ხელისუფლებამ შეიმუშავა საგანგებო საეკლესიო პოლიტიკური კურსი, რომლის განხორციელებისათვის ის არაფერს იშურებდა.

ინტერესმოკლებული არ არის ცარიზმის რელიგიური კურსის ევოლუციური გზა, რომელიც მართალია რიგი სირთულით, მაგრამ მაინც ერთგვარი წარმატებით მიმდინარეობდა; ეტაპობრივ ცვლილებებს განიცდიდა საეკლესიო კურსიც, რაც თავისთავად ნაირსახოვან პოლიტიკურ პროცესებს ესადაგებოდა: ერთის მხრივ, ცარიზმი ანგარიშს უწევდა იმ რელიგიის განსხვავებულ მიმართულებებს და მათ სასულიერო იერარქიას, რომლებიც ხელისუფლების სამსახურში იდგნენ და მეორეს მხრივ, ზეწოლას ახდენდა მათ მიმართ, რომლებიც ეროვნული კულტურისა და თვითმყოფადობის დაცვისათვის იბრძოდნენ.

კავკასიის იდეოლოგიური ათვისებისათვის მეცადინეობას ცარიზმის ხელისუფლება კავკასიური საეკლესიო უჯრედის — საქართველოს საეგზარქოსოს ფორმირებით ახორციელებდა. ამ უკანასკნელის დაფუძნება კი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ნიადაგზე უნდა

მომხდარიყო. საამისოდ, საქართველოს ეკლესიის მოდერნიზაცია დაიწყო, რაც თვითმპყრობელობის მიერ ქართულ ეკლესიაში გატარებული რეფორმებით მიმდინარეობდა. ცარიზმის ხელისუფლების პირველ ამოცანას ქართული ეკლესიის გადაგვარება-გარუსება წარმოადგენდა, რომლის მეშვეობითაც მთელი კავკასიის რელიგიური მოდერნიზაცია განხორციელდებოდა. მთელი თავისი ბატონობის მანძილზე კავკასიაში, საქართველოს საეგზარქოსომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა თვითმპყრობელობის პოლიტიკურ-იდეოლოგიური გაბატონება სრული სახით მომხდარიყო კავკასიაში.

რუსული სასულიერო ორგანიზაცია (საქართველოს საეგზარქოსო — ქ. პ.) კავკასიაში, ცარიზმის ბიუროკრატიული წყობილების ნათელი გამოვლინება იყო და ბუნებრივია, ის ვერ მიესადაგებოდა კავკასიელი ხალხების ტრადიციულ, კულტურულ მოთხოვნილებებს. საეგზარქოსოს იმპერიის ხელისუფლებისაგან მნიშვნელოვანი დავალებების აღსრულება დაეკისრა: პოლიტიკური, ეკონომიკური, საეკლესიო, იდეოლოგიური და კულტურული. ამ დავალებათა განხორციელებით უნდა მომხდარიყო: ცარიზმის მმართველობის სისტემის დანერგვა კავკასიაში; თვითმპყრობელური იდეოლოგიის დაწესება; ეროვნული ეკლესიისა და განსხვავებულ რელიგიათა სასულიერო კათედრების იმგვარად მოწყობა, რომ სამღვდელოებას რუსული მონარქიზმის გასამართლებელი იდეოლოგია ექადაგათ კავკასიის ხალხებში და ბოლოს, ეკონომიკურ ამოცანაში მოიაზრებოდა ყველა რელიგიის ადგილი რუსეთის იმპერიის ეკონომიკურ სივრცეში.

კავკასიაში რუსული იმპერიის სასურველი სარწმუნოების დასანერგად, საეგზარქოსოს ხელისუფლებამ ნაირგვარ მეთოდ-ხერხებს მიმართა. საგანგებოდ არსდებოდა იმგვარი სასულიერო მისია — ორგანიზაციები, რომლებიც

რუსული საეკლესიო პოლიტიკის სწრაფ დამკვიდრებას უზრუნველყოფდა კავკასიის მხარეში. ასეთთა რიცხვში მოიაზრებოდა ორი დიდი სასულიერო მისია: „ოსეთის სასულიერო კომისია" და „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება". თავად ამ ორგანიზაციების, საქართველოს საეგზარქოსოს და ზოგადად რუსული ეკლესიის თვითმპყრობელურმა მისიამ, მათმა იმპერიის სახელმწიფო სამსახურში დგომამ, სასულიერო მისიათა უკიდურესმა გასახელმწიფოებრიობამ სერიოზული უარყოფითი შედეგები მოუტანა როგორც ცარიზმის მმართველობასა და მის ეკლესიას, ისე კავკასიელი ხალხების სულიერ და კულტურულ ცხოვრებას. ასეთი პოლიტიკის შედეგად, კიდევ უფრო დაიძაბა ურთიერთობა რუს და კავკასიელ ხალხებს შორის, გაღრმავდა კავკასიელთა დაპირისპირება რუსული მმართველობის წინააღმდეგ.

რუსეთის იმპერიის საეკლესიო პოლიტიკას სერიოზულ ბარიერს უქმნიდა არა მხოლოდ შიდა კავკასიურ-რელიგიური წინააღმდეგობანი, არამედ გარე კულტურულ-სარწმუნოებრივი ფაქტორიც. ამ შემთხვევაში, იმპერიის ხელისუფლებას სერიოზული დაპირისპირება მოუხდა კავკასიაში უკვე მრავალი საუკუნის მანძილზე მოღვაწე სხვადასხვა სახის კათოლიკური აღმსარებლობის მისიებთან.

რუსეთის იმპერიის განაპირა რეგიონებში და მათ შორის კავკასიაშიც, რუსიფიკატორულ-რუსული საეკლესიო პოლიტიკის ძირითადი იარაღი კულტურის დარგში სასულიერო სასწავლებლები იყო. მათი დანიშნულება რუსული თვითმპყრობელობის ერთგული, გადაგვარებული თაობის აღზრდა იყო. ამავდროულად, დასახული მიზნის განხორციელების გვარდით და მისი წარმატებიანი შედეგებისათვის, მთელი ძალით წარმოებდა ყოველგვარი ეროვნულის: ენის, სარწმუნოების, ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, ისტორიის, ლიტერატურისა და სხვათა გარდაქმნა — დეგრადირება.

ნიშანდობლივია, კავკასიის სასულიერო მისიის პოლიტიკის ლავირებითი კურსიც. საეგზარქოსოს ხელისუფლება ქვეყნის შიდა და გარეუბნებში მიმდინარე პროცესების შესატყვისად მოქმედებდა ისე, რომ თვითმპყრობელობის კურსისათვის არ გადაუხვევია. სახალხო მღელვარებათა პერიოდებში სასულიერო ხელისუფლება კომპრომისის გზასაც ადგებოდა და შეფარვითი პოლიტიკით ცარიზმის დავალებათა აღსრულებას აწარმოებდა. რაც შეეხება რეაქციების ხანას, ასეთ შემთხვევაში მას ისეთივე მკაცრი, დაუნდობელი პოლიტიკა გააჩნდა, როგორც იმპერიის შიდა სამოქალაქო ხელისუფლებას. მათი ჰარმონიული თანამშრომლობა კავკასიის სრული დაპყრობისაკენ იყო მიმართული და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდებოდა ის დამსჯელი ღონისძიებები, რომლებსაც მთელი XIX-XX საუკუნეების პირველი ათწლეულის მანძილზე ჰქონდა ადგილი კავკასიის მოსახლეობის წინააღმდეგ.

XX საუკუნის დასაწყისიდან თვითმპყრობელურმა რუსეთმა კიდევ უფრო გაამკაცრა თავისი რუსიფიკატორული პოლიტიკა კავკასიაში. ამ პერიოდში, კულტურის დარგში გატარებული ანტიხალხური ღონისძიებებით, მეფის რუსეთი ხელოვნურად ცდილობდა წინ აღდგომოდა როგორც კავკასიელ ეთნოსთა შიდა ერთობას, ისე კავკასიელი ხალხების ტრადიციული კულტურული ერთიანობის განმტკიცების პროცესს, რათა გაადვილებოდა ისტორიული ურთიერთობების რღვევა და თითოეული ეთნოსის ასიმილაცია იმპერიის მრავალრიცხოვან მოსახლეობაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ხელისუფლებას მრავალი საშუალება გააჩნდა: სამოქალაქო სამსახური, სამხედრო სამსახური, საგანმანათლებლო ქსელი, და ეკლესია, რომელსაც სხვა საკითხების გვერდით, კულტურული-რელიგიური ამოცანების გადაჭრაც ევალებოდა. მის კომპეტენციაში აღმოჩნდა ყველა ის სფერო, რასაც კი რაიმე კავშირი ჰქონდა

ეროვნულობის საკითხთან. ეკლესიის ამ მიმართულებით საქმიანობა ბუნებრივია, დიდ საფრთხეს უქმნიდა კავკასიის ხალხების ეროვნულ კულტურას, მის განვითარებას და მთლიანობაში იწვევდა ამ ერების გადაგვარებას (21, 227).

კავკასიის რუსიფიკაციის მიზნით, ხელისუფლებამ ერთის მხრივ, აქტიური ბრძოლა გააჩარა ტრადიციული დამწერლობის მქონე ენების მიმართ და მეორეს მხრივ, კუთხური ნიშნით დამწერლობის სისტემის შექმნა დაიწყო კავკასიის იმ ერებისათვის, რომელთაც ის არ გააჩნდათ. ამავდროულად, აიკრძალა მშობლიური ენებისა და ამ ენებზე სწავლება ყველა ტიპის სასწავლებლებში; რეპრესიებს განიცდიდნენ ის სასულიერო თუ საერო პედაგოგები, რომლებიც მოსახლეობაში აღვივებდნენ მშობლიური ენის სიყვარულს.

მშობლიური ენის მიზანმიმართულმა და სისტემატიურმა დევნამ, შესამჩნევად შეაფერხა კავკასიელი ერების გონიერ-სულიერი განათლების დონე, რაც თავის მხრივ, აფერხებდა სწავლა-განათლების გავრცელებას კავკასიის სხვადასხვა ერებში. მიუხედავად აღნიშნულისა, მეფის ხელისუფლებამ მაინც ვერ შეძლო კავკასიელი ხალხების ლტოლვის შეჩერება ეროვნული კულტურისაკენ.

ცარიზმისა და საქართველოს საეგზარქოსო აპარატმა XX საუკუნის დასაწყისიდან დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა პრესასა და პუბლიცისტიკას. ისინი უმკაცრესი მეთოდებით დევნიდნენ ეროვნული მიმართულებების გამოვლინების ამ მეტად მნიშვნელოვან საშუალებას. 1908 წელს უწმინდესი სინოდის ბრძანებულების საფუძველზე, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ბაზაზე გაიხსნა საცენზურო კომიტეტი. ამ უკანასკნელის მუშაობის შედეგად, კავკასიის პერიოდიკის ფურცლებზე შეზღუდულით იბეჭდებოდა თანამედროვე კავკასიური რეალური ცხოვრების ამსახველი მოვლენები.

მთელი XX საუკუნის პირველი ათწლეულის მანძილზე მეფის ხელისუფლებას კულტურის არც ერთი სფერო არ დაუტოვებია, რომელსაც ცარიზმის მტარვალი ხელი არ შეხებოდეს; ნადგურდებოდა ხელოვნებისა და ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები, მიმდინარეობდა ეროვნული ისტორიის ფალსიფიკაცია, გადაგვარებას განიცდიდა ეროვნული მუსიკა, მხატვრობა და ა.შ.

კავკასიის მოსახლეობა, მისი პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი ნათლად ხედავდა თვითმპყრობელობის პოლიტიკით შექმნილ დიდ ეროვნული გადაგვარების საშიშროებას, ამიტომ ერების მოწინავე, საუკეთესო ძალები მედგრად აღუდგნენ წინ მეფის რუსეთის პოლიტიკურ ზრახვებს და მკაცრი ბრძოლა გამოუცხადეს მათ.

ეროვნული კულტურის დაცვისათვის ბრძოლაში, კავკასიელი ხალხები ერთსულოვანნი იყვნენ, ისინი საერთო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი დროშის ქვეშ დაირაზმნენ და მთელი 1900-1917 წლების მანძილზე არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ცარიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლასთან ერთად, კავკასიის ხალხები მთელი ძალისხმევით იცავდნენ უფლებააყრილ ეროვნულ კულტურას, ექომაგებოდნენ მშობლიურ ენას, ეროვნულ მუსიკას, ფერწერას, ჟურნალისტიკას, ისტორიას, ლიტერატურას და ა.შ.

# თავი მეშვიდე
# საქართველოს ადგილი კავკასიის რუსული მოდერნიზაციის პროცესში
# (XIX-XX საუკუნეების 10-იანი წლები)

როგორც უკვე აღინიშნა, კავკასიის გეოსტრატეგიულმა და გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ იმთავითვე განსაზღვრა მისი დანიშნულება საერთაშორისო პოლიტიკაში. ამ მნიშვნელოვანმა ფაქტორმა ერთობ სახასიათო დამოკიდებულება შეუმუშავა მსოფლიოს ქვეყნებს კავკასიის რეგიონისადმი. ყოველივემ კი ჩამოაყალიბა კავკასიის ისტორია, რომელიც თავის თავში მოიცავდა როგორც დადებით, ისე უარყოფით თავისებურებებს. თავის მხრივ, სახასიათო ნიშნით განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან ის ქვეყნები და ეთნოსები, რომლებიც კავკასიის რეგიონში ცხოვრობდნენ და ეროვნულ-სარწმუნოებრივ ისტორიებს ჰქმნიდნენ. კავკასიური სახელმწიფოების თანაარსებობა, მათი ტრადიციული მეზობლური ურთიერთობები განსაზღვრავდა თითოეული მათგანის პოლიტიკურ-ეთნიკურ და კულტურულ ცხოვრებას.

კავკასიის სახელმწიფოების დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამყაროთა მიჯნაზე მდებარეობამ, ბუნებრივად შეუწყო ხელი გარე ფაქტორის ამ ქვეყნებით დაინტერესებას, რის გამოც ამ რეგიონის სახელმწიფოებს მუდმივად უხდებოდათ ბრძოლა თავისთავადობის შენარჩუნებისა და სამომავლო ბედის განსაზღვრისათვის. აღნიშნული კი, ხორციელდებოდა არა მხოლოდ ფიზიკური წინააღმდეგობის გამოვლინებით, არამედ თავდაცვისათვის სახასიათო კულტურის შექმნით, ერთიანობა-იდეოლოგიის ფორმირებით, კავკასიური მენტალიტეტის ჩამოყალიბების მცდელობით და ა.შ.

ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისათვის ბრძოლის ყველაზე მომგებიან საშუალებად ისტორიამ აჩვენა ერთიანი კავკასიური იდეის ფორმირების მიმართულებით მუშაობის გაშლა. ამ შემთხვევაში უნდა გამოვლენილიყო ის წარმმართველი ძალა (სახელმწიფო), რომელიც იტვირთავდა კავკასიის გაერთიანებას, ერთიან სხეულად ჩამოყალიბებას და შეძლებდა არა თუ გარე ძალის მოგერიებას, არამედ დაასაბუთებდა მის უძლეველობასაც.

კავკასიაში ჰეგემონის გამოკვეთისათვის მეცადინეობას დიდი ძალისხმევა არ დასჭირებია, რამეთუ აქ უნდა გათვალისწინებულიყო წამყვანი ძალის როგორც თავად კავკასიის წიაღში მომგებიანი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რითიც გარე ელემენტიც იყო დაინტერესებული, და მისი განვითარების ისტორია და კულტურა. კავკასიელი ხალხი კარგად მოიაზრებდა უცხო ქვეყნების ინტერესებს ერთიანი კავკასიის შესახებ, რომ მათი ინტერესი იყო მხოლოდ კავკასიის ასეთი სახით დაქვემდებარება, რომელსაც თავისი ლიდერი სახელმწიფო ეყოლებოდა და, რომელსაც კავკასიის მართვაში წამყვანი დატვირთვა ექნებოდა. აქედან გამომდინარე, თავად კავკასიელები ცდილობდნენ წინ წამოწევას ისეთი ჰეგემონის, რომელიც გაითვალისწინებდა კავკასიელი ეთნოსების ისტორიულ-კულტურულ თავისებურებებს და ამავდროულად, მათი დაცვა-განვითარების გარანტი იქნებოდა.

კავკასიის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ დაასაბუთა, რომ კავკასიის გაერთიანების იდეა ისტორიის ყველა თანამედროვე ეტაპზე პერსპექტიული იყო. მისი ფორმირება კავკასიის სამხრეთის წიაღში დაიწყო და ფაქტობრივად, ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც. აღნიშნულის მიზეზი საძიებელია იმ ფაქტორში, რომ რეგიონის ან ნაწილში უძველესი დროიდან არსებობდა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები (ქართლი, ეგრისი, სომხეთი, ალბანეთი – ქ.

პ.), რომელთაც თავიანთი განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს.

კავკასიის დაპყრობით დაინტერესებული სახელმწიფოები თავიანთ საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში ოდითგან პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს ფაქტორს. თავის მხრივ, საქართველო შიდაკავკასიურ სივრცეშიც საშინაო გაერთიანების ინიციატორის როლითაც გამოირჩეოდა. ეს უკანასკნელი კავკასიელ ხალხებში მაღალი ავტორიტეტითა და დიდი ნდობით სარგებლობდა. აღნიშნული, კავკასიელი ხალხების ზეპირსიტყვიერებაშიც ნათლად აისახა.

მრავალი საუკუნის მანძილზე, კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები უშუალოდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან და საერთაშორისო პოლიტიკაშიც სწორედ საქართველო განსაზღვრავდა მთლიანად კავკასიის არსებობა-განვითარების ბედს. აღნიშნულის დასტურად მოიაზრება სხვადასხვა ეპოქაში ჩრდილო კავკასიის ხალხების სტრატეგიულ კურსში საქართველოს ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის გათვალისწინება.

ადრეულ შუასაუკუნეებში, საქართველო განსაკუთრებით სარგებლობდა კავკასიის მთიელი მოსახლეობის სამხედრო ძალით როგორც საშინაო ვითარების დარეგულირებისათვის, ისე საგარეო ძალის მოსაგერიებლად. ამასთან, უწყვეტი სახე ჰქონდა საქართველო-კავკასიის ხალხებს შორის კულტურულ-ეკონომიკურ კავშირებს, რასაც დაწვრილებით წინა თავებში შევეხეთ.

საქართველოს როლი ჩრდილო კავკასიის ხალხების ისტორიაში, კარგად იყო ცნობილი გარე სახელმწიფოებისთვისაც, რომელთაც გააზრებული ჰქონდათ, რომ კავკასიაში სრული ბატონობისათვის საჭირო იყო მისი მხარეების — ჩრდილო და სამხრეთ ნაწილების გამიჯვნა, მათი ტრადიციული ნათესაურ-მეზობლური ურთიერთობების

მოშლა, ურთიერთწაკიდება. ამ საქმეში კი გადამწყვეტ დარტყმას საქართველოს სახელმწიფო იღებდა. XIII საუკუნიდან მოყოლებული ყველა დამპყრობელი ამ მიმართულებით ილვწოდა, რომელთა შორის განსაკუთრებულად ვერაგული პოლიტიკით ყიზილბაშური ირანი და ოსმალეთის სახელმწიფოები გამოირჩეოდნენ (78, 57-59). ამ ორი ქვეყნის ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში გაბატონებისათვის მეცადინეობა განსაკუთრებულად მწვავე ხასიათს იღებდა ამიერკავკასიის ქვეყნებთან და კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებაში. მიმდინარე პოლიტიკური ვითარების შედეგად საქართველო თურქეთ-ირანის მხრიდან ბლოკირებულ ქვეყანას წარმოადგენდა, რაც კავკასიის ერთიან ბრძოლას გარე დამპყრობთა წინააღმდეგ გამორიცხავდა; ერთადერთ საკონტაქტო გზას გარე სამყაროსთან ჩრდილო კავკასიის ხაზი წარმოადგენდა და, — „საქართველო ჩრდილოეთით კავკასიონის ქედებს დარჩა მიკრული". პარალელურად, სერიოზული ძვრები მიმდინარეობდა ჩრდილო კავკასიაშიც, რომლის ხელთ გდებას სამი სახელმწიფო ერთმანეთს ექიშპებოდა: თურქეთი, ირანი და რუსეთი. არასტაბილური ვითარება იყო თვით კავკასიის მთიელებშიც, სადაც პირველობისათვის თავდაუზოგავი ბრძოლები მიმდინარეობდა. ჩრდილო კავკასიაში პირველობისათვის დაპირისპირებანი უარყოფითად ზემოქმედებდა კავკასიის ისტორიული ჰეგემონის — საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე; და პირველად ისტორიაში კავკასიის რეგიონში რეალური გარემოება შეიქმნა იმისათვის, რომ გარე სამ ფაქტორს გადაეწყვიტა კავკასიაში გაბატონებული შიდა ძალა (155, 198-199). ასეთ ვითარებაში, XVI საუკუნიდან რუსეთის ფაქტორმა გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა და ამიერკავკასიის დაპყრობამდე, მისი ძალისხმევით ყაბარდო დაწინაურდა ჩრდილო კავკასიაში, რაც მის მიერ რუსული ორიენტაციით გამოვლინდა. ამ უკანასკნელ-

მა მოვლენამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საერთო კავკასიური ორიენტაციის შექმნაში. მიუხედავად აღნიშნულისა, რუსეთისათვის კავკასიაში გაბატონებისათვის საქართველოს ყველაზე დიდი დატვირთვა გააჩნდა (90, 253-257). ეს უკანასკნელი სამხრეთ კავკასიაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა, ისე, როგორც ყაბარდო ჩრდილო კავკასიაში. რუსეთი ამ მიზნის მიღწევას ეტაპობრივად ახორციელებდა: ერთის მხრივ, მუშაობას აწარმოებდა ჩრდილო კავკასიაში ყაბარდოზე,[1] ხოლო მეორეს მხრივ, დაქუცმაცებულ, ურთიერთდაპირისპირებულ საქართველოს სამეფო-სამთავროებში აქცენტს კახეთის სამეფოზე აკეთებდა. რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოსათვის ჩრდილო კავკასია სამხრეთ კავკასიაში ფეხის მოსაკიდებელი პლაცდარმი იყო, ხოლო საქართველოზე გამარჯვება კი კავკასიაში გაბატონების გარანტი.

რუსული სახელმწიფოს ინტერესების განხორციელებას რამდენიმე საუკუნე დასჭირდა. ამ ხნის მანძილზე მას არ შეუცვლია თავისი ინტერესები კავკასიისადმი და მხოლოდ ეპოქების შესატყვისად იცვლებოდა რუსეთის ხელისუფლების მოქმედების მეთოდები და ხერხები. ფაქტობრივად, დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ XVI საუკუნიდან რუსეთმა დაიწყო ერთიანი კავკასიის შექმნისა და მასზე გაბატონებისათვის მიზანდასახული მუშაობა; ვიდრე XVIII საუკუნემდე, რუსეთისათვის გაურკვეველი იყო კავკასიაში

---

[1] XVII საუკუნეში კავკასიის პოლიტიკური გაერთიანებისთვის რუსეთმა აქცენტი დაღესტანზე გააკეთა მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. მისი მეშვეობით რუსეთის მიზანი იყო ირანთან პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირება. აღნიშნული კი ერთგვარ მიზეზად იქცა, იმისა, რომ რუსეთი საქართველოსათვის იმ ეტაპზე ვერ იცლიდა; ამასთანავე, ერიდებოდა ირანის განაწყენებას და პოლიტიკური თამაშის კურსი ეკავა საქართველოსთან მიმართებაში (იხ. ცერცვაძე კ., დასახ. ნაშრომი, გვ. 23-24).

ჰეგემონობის საკითხი, ის მოთმინებით ეწეოდა პროპაგანდით საქმიანობას და ეძიებდა რუსული პოლიტიკის ერთგულ მოკავშირეს (6, 14; 211, 23). ამავდროულად, რუსეთის ხელისუფლებას გასათვალისწინებელი ჰქონდა კავკასიის ავტორიტეტის ფაქტორიც (5, 4). უკვე XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ასეთი ფიგურა გამოიკვეთა ერთმორწმუნე საქართველოს სახით. ამ უკანასკნელისათვის მძლავრი, მართლმადიდებელი რუსეთი ერთადერთი დასაყრდენი იყო აგრესიული მაჰმადიანური სამყაროს წინაალმდეგ ბრძოლაში. მიმდინარე გარემოებით, რუსეთის იმპერიამ კარგად ისარგებლა და ფარული, თუ აშკარა პოლიტიკური მეთოდებით საქართველოზე დაიწყო მუშაობა.

XVII-XVIII საუკუნეებში კავკასიაში ბატონობის სურვილმა რუსეთ-თურქეთ-ირანის ურთიერთობები კიდევ უფრო დაძაბა. თითოეული მათგანისათვის ერთიანი კავკასიის ხელთგდება იყო მთავარი ამოცანა, მაგრამ ისინი კავკასიის ჰეგემონის საკითხს განსხვავებულად ხედავდნენ: თურქეთისათვის კავკასიაში გაბატონების დასაყრდენი ყაბარდო იყო და ის იქ ცდილობდა თავისი იდეოლოგიის დამკვიდრებას, ალბათ, ამიტომაც ისწრაფოდა რუსეთი ყაბარდოზე ძალაუფლების მოპოვებისაკენ; რაც შეეხება ირანს, მისთვის კავკასიაზე ბატონობის გასაღები სამხრეთ კავკასიაში — საქართველოში იყო და, ისიც ქართლკახეთში. რუსეთისათვის კი მოწინააღმდეგე მხარეთა არჩევანი ორივე მხრივ მისაღები და სასურველი იყო, ყაბარდო — ტერიტორიული სიახლოვით, საქართველო — ერთმორწმუნეობით (მართლმადიდებლური მრწამსის გამო — ქ. პ.) — „საამისო ბიძგს კი მას ამ მხარეებთან ურთიერთობის ისტორია აძლევდა" — აღნიშნავდა თ. ბოცვაძე.

კავკასიის დაპყრობის რუსულმა ვარიანტმა ხორცის შესხმა დაიწყო XVIII საუკუნის მიწურულიდან, რაც უკავშირდებოდა რუსეთ-თურქეთის ომს (1768-1774 წწ.).

ქუჩუკ-კაინარჯის ზავით (1774 წ.) რუსეთმა აშკარად განიმტკიცა პოზიციები ჩრდილო, ცენტრალურ კავკასიის რეგიონებში და საქართველოში აქტიური პოლიტიკის გატარება დაიწყო. აღნიშნულს კი შედეგად 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი მოჰყვა (94, 55-65). ზოგადად XVIII საუკუნის მიწურულში რუსეთის სახელმწიფომ მკვეთრად შეცვალა ამიერკავკასიისადმი თავისი პოლიტიკა — „...ვასალურ სახელმწიფოთა პოლიტიკიდან, რომელსაც იგი ადრე ახორციელებდა, ახლა ამ ქვეყნების მიწა-წყლის აშკარა ანექსიაზე გადავიდა და აქაურ ქვეყნებს უშუალოდ იპყრობდა..." (117, 344-349).

XVIII საუკუნის 80-90-იანი წლებიდან, ევროპის მოვლენები რუსეთის აქტიურ პოლიტიკას კავკასიაში სულ უფრო ანელებდა. სამეფო კარის პოლიტიკოსებს განსხვავებული აზრი გააჩნდათ კავკასიურ პოლიტიკაზე. მათი ნაწილი არ მიიჩნევდა ამ ეტაპზე აქტიურ პრობლემად კავკასიის საკითხს და პრიორიტეტს ანიჭებდა ევროპის ამოცანების გადაჭრას. 1786 წელს ლონდონში რუსეთის ელჩი გრაფი ს.რ. ვორონცოვი ზედმეტად მიიჩნევდა რუსეთის ჩათრევას ამიერკავკასიის კონფლიქტებში — არ მესმის რა ინტერესია ქართველების თანადგომა, უმჯობესია მივხედოთ რუსეთის მახლობელ შვეციას და გადავჭრათ ბალტიის ვაჭრობის საკითხი" (16, 28-29).

რუსეთის პოზიციების გამტკიცებას სამხრეთ კავკასიაში ვერ ეგუებოდა მაჰმადიანური სამყარო (ირანთურქეთი — ქ. პ.). საქართველოს პრორუსული ორიენტაცია და ჩრდილო კავკასიაში ყაბარდო-დაღესტანზე უფლებების დაკარგვა მაჰმადიანური ქვეყნების განდევნის მომასწავებელი იყო კავკასიიდან. მათმა იდეოლოგიის კუთხით მოღვაწეობამ კავკასიის სამუსულმანო გარემოსთან (დაღესტან-აზერბაიჯანის სახანოები — ქ. პ.) თავისი შედეგი გამოიღო და მათ შემტევითი პოლიტიკა დაიწყეს საქართველ-

ლოს მიმართ — „...ამ მისიების ამოცანა იყო ამ ქვეყნების გამოყენება საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ..." (154, 28-29).

გეორგიევსკის ტრაქტატით, რუსეთის მიერ საქართველოს შეფარვითმა, ერთი შეხედვით შეუმჩნეველმა ანექსიამ დასაბამი დაუდო კავკასიის ჩრდილო ნაწილში რუსეთის პოლიტიკური დამკვიდრების პროცესის დასაწყისს. მხოლოდ რუსეთის საქართველოში მკვიდრად დადგინებას შეეძლო უზრუნველეყო კავკასიის ხაზი და დაეკავებინა სახარბიელო პოზიცია ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში (141, 336-338).

რუსეთის სახელმწიფო საბჭომ 1801 წელს 22-27 აპრილს იმსჯელა საქართველოს საკითხზე, სადაც თავიანთი შეხედულებები წამოაყენეს ძმებმა პ. და ვ. ზუბოვებმა, თავადებმა — გ. გოლიცინმა, პ. ლოპუხინმა, დ. ტროშინსკიმ და სხვებმა, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვრების გამაგრებით. სახელმწიფო საბჭოს წევრები მიიჩნევდნენ, რომ საქართველო ტერიტორიულად ყოფდა ამიერკავკასიაში მაჰმადიანური მრწამსის ხალხებს და თუ ის ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცეოდა, მაშინ მთელს ამიერკავკასიაში „ქრისტიანული სამფლობელოები" განადგურდებოდა და მთიელი კავკასიელები თურქეთის იურისდიქციაში აღმოჩნდებოდნენ. ასეთ შემთხვევაში, რუსეთი საერთოდ ველარ შეძლებდა ჩაეკეტა გზები მთიდან წინა კავკასიის ბარისაკენ და კავკასიის ხაზის შენარჩუნებას.

XIX საუკუნის დასაწყისშივე, საიმპერატორო კარზე საერთაშორისო პოლიტიკური საკითხების მსჯელობისას, პრეროგატივა ენიჭებოდა საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის ფუნქციას. კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარსარდლის კ. ფ. კნორინგისაგან მთავრობა ითხოვდა

თავისი მოსაზრების გაზიარებას საქართველოს საკითხზე (224, 106-107).

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია და საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობა რუსეთს კავკასიაში მტკიცე პოზიციების დადგინებას უწყობდა ხელს; ამასთან, ამ ფაქტმა უდიდესი ზემოქმედება იქონია ამ რეგიონში მის შემდგომ სტრატეგიულ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე; განსაკუთრებით გააქტიურდა რუსეთის პოლიტიკა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, სადაც ირანის შაჰი ცდილობდა თავისი ძალაუფლების დამკვიდრებას.

პარალელურად, რუსეთის იმპერია ასევე ცდილობდა დასავლეთ საქართველოზეც პოლიტიკური უფლების მოპოვებას, რომლის განხორციელებითაც რუსეთი ამიერკავკასიას ზღვითაც დაუკავშირდებოდა და დასაბამი მიეცემოდა ოსმალეთის პრეტენზიების საბოლოო აღკვეთას სამხრეთ კავკასიის მიმართ.

დასავლეთ ამიერკავკასიაში აფხაზეთს რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკისათვის სტრატეგიული პოზიცია ეკავა. თავის მხრივ, აფხაზეთის ხელისუფლებაც ხედავდა თურქეთთან შედარებით რუსეთის პოლიტიკურ უპირატესობას და ამ უკანასკნელისაკენ ორიენტაციას იკავებდა. აღნიშნული კი, როგორც ცნობილია, აფხაზეთის მთავრის ფარული ქვეშევრდომობით დასრულდა (1803წ.) რუსეთის სახელმწიფოსთან (191, 130-140). რუსეთი უკიდურესად დაინტერესებული იყო აფხაზეთის გამოყენებით ოსმალეთა წინააღმდეგ ომში. ამასთან, აფხაზეთის შერწყმით რუსეთი იმედოვნებდა თავისი გავლენის განვრცობას ჩერქეზებზე და ამით, მშვიდობიანობის დამყარებას სამხრეთის საზღვრებზე. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთის საკითხს რუსეთის დიპლომატია „ურთულეს პრობლემად" მიიჩნევდა და მისი გადაწყ-

ვეტისათვის ხშირ შემთხვევაში კომპრომისულ პოლიტიკასაც ეწეოდა აფხაზი მთავრების წინაშე.

ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთის პრობლემის გადაჭრით, რუსეთის ხელისუფლება რამდენიმე საკითხს ერთდროულად წყვეტდა: 1) რუსეთი კავკასიაში გაბატონებისათვის მებრძოლ პრეტენდენტს — თურქეთს გზიდან იცილებდა; 2) შავი ზღვის სამხრეთით გასასვლელ გზას ამაგრებდა და მასზე თავის სრულუფლებიან იურისდიქციას ავრცელებდა; 3) კავკასიის დასავლეთ საზღვარზე მყარად მკვიდრდებოდა და ჩრდილო კავკასიაში ძლიერად იკიდებდა ფეხს; 4) აფხაზეთის ათვისებით ერთიანი საქართველოს სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი ხდებოდა, ხოლო ამ უკანასკნელის მეშვეობით ამიერკავკასიის პოლიტიკურ დაპყრობას მთლიანად ასრულებდა, ე.ი. XIX საუკუნის დასაწყის ეტაპზე, რუსეთის იმპერიისათვის კავკასიაში გაბატონების გასაღები აფხაზეთში იყო; მაგრამ ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებამ (1829 წ. 2 სექტემბერი) გამოავლინა რუსეთის იმპერიის მორიგი პოლიტიკური გამარჯვება ამიერკავკასიაში. რუსეთისათვის გაიხსნა შავ ზღვაზე მიმოსვლის გზა და ოსმალეთი საბოლოოდ განდევნილ იქნა მდინარე ყუბანსა და მდინარე ჩოლოქს შორისი ტერიტორიიდან, შავი ზღვის ნაპირებიდან. ამით, საქართველოსათვის ბრძოლა ოსმალეთსა და რუსეთს შორის არ დასრულებულა. საქართველოს დაპყრობას უნდა გადაეწყვიტა ორივე მხარისათვის მთლიანად კავკასიის კუთვნილების საკითხი, ამიტომ იყო, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ უფრო მწვავედ განვითარდა მათ შორის მიმდინარე მოვლენები (236, 315; 408, 110-111).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კავკასიისათვის ბრძოლაში ევროპის წამყვანი ქვეყნებიც ჩაერთვნენ. 50-70-იან წლებში მმართველობის სისტემაჩამორჩენილ (ფეოდალური წყობილება — ქ. პ.) რუსეთს, ბურჟუაზიულ-

დემოკრატიულ ევროპასთან მოუწია დაპირისპირება. კავკასიისათვის დაპირისპირებულ ყველა მხარეს ზედმიწევნით ჰქონდა გააზრებული ამ საკითხში საქართველოს ადგილი, რომელმაც განსაკუთრებული დატვირთვა მიიღო რუსეთის მიერ მისი ანექსიის შემდგომ. ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი იყო რუსეთის პოლიტიკური მისწრაფებანი ამიერკავკასიაში, რომლის ხარჯზეც უნდა გაზრდილიყო იმპერიის საზღვრები და განმტკიცებულიყო მისი მმართველობის სისტემა მთელს კავკასიაში, მაგრამ იმ ეტაპზე, საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მრავალი საუკუნის მანძილზე თურქეთის მიერ მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნება. ამით იყო განპირობებული, რომ საქართველოს საზოგადოებრიობამ თურქეთის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში მის დამპყრობელ ქვეყანას — რუსეთს დაუჭირა მხარი და მასთან ერთად მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში (137, 53).

რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას კავკასიაში მრავალი ფაქტორი განაპირობებდა. მათ შორის არც თუ უმნიშვნელოს წარმოადგენდა ეკონომიკური ფაქტორი. წინა თავებში დაწვრილებით განვიხილეთ კავკასიის ადგილი საერთო რუსულ სახელმწიფოებრივ-ეკონომიკურ სივრცეში და აღვნიშნეთ, რომ ეს სფერო წარმოადგენდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს ძირითად ინტერესს კავკასიასთან მიმართებაში. მთელი XVI-XVII საუკუნეების მანძილზე რუსეთის სახელმწიფო ყველა ღონეს ხმარობდა კავკასიაში ეკონომიკური საფუძვლის დადგინებისათვის. ასეთი ინტერესების წყაროს კი წარმოადგენდა ის ცოდნა, რომელიც რუსეთის ხელისუფლებას გააჩნდა კავკასიელი ხალხების ეკონომიკურ ცხოვრებაზე. რუსეთს კარგად უწყოდა, რომ კავკასიის მთიანეთისა და იმიერკავკასიის მთისძირა ქვეყნებს საუკუნეების განმავლობაში მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან.

XIX საუკუნიდან რუსეთის პოლიტიკურმა ინტერესებმა კავკასიისადმი შეცვალა მისი ეკონომიკური მოთხოვნილებებიც. მიმდინარე პოლიტიკურმა გარემოებამ (ცარიზმის მიერ კავკასიის პოლიტიკური დაპყრობა — ქ. პ.), ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის თანდათანობითმა შეჭრამ იმპერიაში, კავკასიის ეკონომიკურმა დატვირთვამ ახალ განზომილებაში გადაინაცვლა; შესატყვისად შეიცვალა კავკასიელი ხალხების ურთიერთეკონომიკური კავშირებიც. თუ XIX საუკუნემდე ეკონომიკის სფეროში ეს ურთიერთობები გაცვლა-გამოცვლით ვლინდებოდა და მისი სისტემატიური ხასიათი დამოკიდებული იყო კონკრეტულ ისტორიულ პირობებზე, XIX საუკუნის დასაწყისიდან ეს კავშირები უშუალოდ იმართებოდა რუსეთის კავკასიური ადმინისტრაციის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, საგარეო ურთიერთობების მსგავსად, რუსეთის ხელისუფლებას ეკონომიკაშიც ესაჭიროებოდა კავკასიის იმ ქვეყნის პრეროგატიობის აღიარება, რომელსაც იმპერიის საერთაშორისო და საშინაო სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში განსაკუთრებულად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნდა. ასეთ ქვეყნად კი, რუსეთისათვის ისევ საქართველო მოიაზრებოდა.

უკვე XVIII საუკუნეში გამოიკვეთა რუსეთის იმპერიისათვის კავკასიის უსაზღვროდ დიდი ეკონომიკური შესაძლებლობანი, რაც თავის მხრივ, ცარიზმის პოლიტიკური ინტერესების განმსაზღვრელიც იყო; ისე, რომ ამ ორი სფეროს ინტერესები ვერ ემიჯნებოდნენ და იმპერიის ხელისუფლებაც ერთდროულად ცდილობდა ორივე პრობლემის გადაჭრას. კავკასიიდან სპარსეთის გავლით, რუსეთი ისწრაფოდა ინდოეთის ვაჭრობის ხელთგდებისაკენ; ინდოეთთან კომერციული ინტერესები კი ამ უკანასკნელის დაპყრობის გასამართლებელი საბუთის ფუნქციას შეასრულებდა. იმ ეტაპზე, ასეთი გეგმის განხორციელებისათვის

ეკონომიკური ძალა რუსეთს არ შესწევდა, მაგრამ ის ახლო ხიბლავ მომავალ გეგმად ესახებოდა (105, 49-50).

ვითარება რადიკალურად შეცვალა საერთაშორისო პოლიტიკურმა გარემოებამ, როდესაც XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიამ ახლო აღმოსავლეთთან მიახლოების სტრატეგიული გეგმები განახორციელა და კავკასიის ეკონომიკური ათვისების რეალურ ქმედებებზე გადავიდა. კავკასია რუსეთის პროდუქციის გასაღების ბაზარი უნდა გამხდარიყო, მაგრამ რუსეთის ცენტრალურ ნაწილს აღარ შესწევდა უნარი ბაზრის ძველი მასშტაბებით დაკმაყოფილებაზე, რის გამოც იმპერიამ დაიწყო ბაზრების ძიება ფარგლებს გარეთ — ახალ დასახლებებს შორის. რუსეთი თანდათანობით ითვისებდა ნოვოროსიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ ვოლგისპირეთს, ამიერკავკასიას, ჩრდილო კავკასიას, ციმბირსა და ა.შ. (382, 220). მათ შორის იმპერიისათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო კავკასია და კერძოდ, ჩისი მთიანი რეგიონი, რადგან აქ თავს იყრიდა ცენტრალური გუბერნიებიდან წამოსული მოსახლეობა ასათვისებელი მიწებისა და სამუშაოს საძებნელად. ჩასახლებული მოსახლეობა ერთის მხრივ, აწარმოებდა პროდუქციას გასაყიდად, ამასთან სამუშაო ძალას წარმოადგენდა, მეორეს მხრივ, მიმდინარეობდა „კუსტარული" ხელოსნობის განდევნის პროცესი, რომელიც კონკურენციას უწევდა იმპერიის სამრეწველო ნაწარმს.

იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთი ისწრაფოდა კავკასიის ეკონომიკური პოზიციების განმტკიცებისაკენ, რადგან სწორედ ამ გზით უნდა მოეხერხებინა ამ რეგიონს არა მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებების უზრუნველყოფა, არამედ ყოფილიყო რუსეთის ერთიანი ეკონომიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედიც (87, 152).

საერთოკავკასიურ ეკონომიკურ პოლიტიკაში, ისევე როგორც საერთაშორისო არენაზე, აქაც საქართველოს

როლი განუსაზღვრელი იყო. როგორც ცნობილია, კავკასიის გეოპოლიტიკური მდებარეობა მრავალმხრივ მიმზიდველი იყო მსოფლიოს ქვეყნებისათვის, მათ შორის სავაჭრო ურთიერთობებითაც. გვიანი შუასაუკუნეებიდან მოყოლებული, ეს პროცესები უნდა განხილულ იქნეს როგორც საქართველოსთან, ისე რუსეთთან მიმართებაში, ხოლო განვითარების მსვლელობა და პირობები კი ამ უკანასკნელის მიერ იყო ნაკარნახევი. აღნიშნულ პროცესებში კი წამყვანი დატვირთვა გააჩნდა საკომუნიკაციო საშუალებებს — გზებსა და ტრანსპორტს. ეს ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ როგორც შიდაკავკასიურ სახალხო ურთიერთობებში, ისე საერთაშორისო მასშტაბის სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებში (300, №296; 308).

კავკასიაზე გამავალი სავაჭრო გზების მეშვეობით ოდითგან ერთმანეთს მრავალი ქვეყანა უკავშირდებოდა, ხოლო ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების დროს (XIX საუკუნიდან) კავკასიის საუღელტეხილო — საბილიკო გზებმა კიდევ უფრო დიდი დატვირთვა შეიძინა — „...ეს გზა ძველთაგანვე უკავშირდება საქართველოს როგორც ჩრდილოეთს, ასევე სამხრეთსაც, იყო რა ისტორიულ გზათაგან ერთი უმთავრესი, იგი ჩრდილო კავკასიიდან დარიალის ხეობის გამოვლით სამხრეთით მიდიოდა ირანისაკენ და შემდგომ ძველ-აღმოსავლური ცივილიზაციის მოწინავე აზიური კერებისაკენ. გარდა ამისა, ამ გზას უმთავრესი სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთანავე ცნობილია, რომ დარიალის გადასასვლელს არც თუ მცირე მნიშვნელობა ენიჭებოდა უცხო სახელმწიფოთა (რომი, სპარსეთი, ბიზანტია) საგარეო გეგმებსა და მისწრაფებებში" (14, 77). აღნიშნულ გზებს საუკუნეების მანძილზე სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდათ (356, 156-335; 47, 21; 138, 4). ამ მხრივ, გამორჩეული იყო „დარიალის გზა, რომლის ძარღვიც საქართველოს ტერი-

ტორია იყო. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც საერთო კავკასიურ ეკონომიკურ-პოლიტიკურ და სამხედრო ინტერესებში ჩაერთო რუსეთიც (XVI-XVIII საუკუნეები) — „წინაკავკასიის ცენტრალური რაიონებიდან დარიალით საქართველოში შემომავალი გზების საწყისი პუნქტი იყო სოფელ ზაურის მიმდებარე ტერიტორიები (მოგვიანებით აქ აღმოცენდა ქალაქი ვლადიკავკაზი), სწორედ ამ ადგილიდან მოდიოდა მთელი რიგი გზები, როგორც ყაბარდოს ტერიტორიებიდან, ისე თერგის პირა მოსახლე რუსების დასახლებიდან. ყველა ეს გზები, სოფელ ზაურის ახლოს ერთდებოდნენ ერთ გზად, რომლის მიმართულება იყო პირდაპირ საქართველოს სამხრეთით, ბალტის — ჩმის — ლარსის გავლით, რომელმაც მოგვიანებით საქართველოს სამხედრო გზის სახელწოდება მიიღო" (126, 387) — აღნიშნავდა ვ. გამრეკელი. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ჩრდილო კავკასიის მსხვილი დასახლებული ციხე-სიმაგრეების მოზდოკის დაარსებით, რომელიც ყიზლართან შედარებით ახლოს იყო საქართველოსთან რუსეთის ჩრდილო კავკასიაში მომძლავრების გამო — ნაკლებ სახიფათო გახდა (84, 19). XIX საუკუნის დასაწყისიდან კი რუსეთის პოლიტიკური ბატონობის მოპოვებისთანავე კავკასიაში დარიალის გზამ (საქართველოს სამხედრო გზა — ქ. პ.) რუსეთ-ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ეკონომიკურ კავშირებში სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა, ხოლო საქართველომ ამ პროცესების განმსაზღვრელი როლი. აღნიშნულზე ნათლად მეტყველებს რუსეთის იმპერიის მხრიდან გზის სისტემატიური შეკეთებისათვის სახელმწიფო ხაზინიდან სოლიდური ფინანსების გაცემა (300, №29; 301; 306), ხოლო ფიზიკურ სამუშაოებში სრულიად კავკასიის მოსახლეობა იყო იძულებით ჩართული — გზის გაწმენდა თოვლის საფარისაგან დიდ ენერგიას მოითხოვდა, დროსა და მატერიალურ ხარჯებს. ადგილობრივი მოსახ-

ლეობის, ქართველებისა და ოსების გარდა, აქ ჩრდილო კავკასიელი სხვა ხალხებიც მოდიოდა" (151, 305; 161, 109-110).

რუსეთ-კავკასიის ეკონომიკურ ურთიერთობაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სარკინიგზო მშენებლობამ, რომელსაც საფუძველი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩაეყარა[1] და 80-იან წლებში განხორციელდა (74, 60-61; 110, 10-11), ხოლო როსტოვ-ვლადიკავკაზის რკინიგზის მაგისტრალმა (1875 წელი) საქართველოს მეშვეობით რუსეთი კიდევ უფრო დააკავშირა კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებს; ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ დააჩქარა რუსული კაპიტალის შეჭრა კავკასიაში და იქ შემორჩენილი ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმათა რღვევა (138, 1).

რუსული ეკონომიკური ინტერესების კავკასიაში გატარების მიზნით, ხელისუფლება ინტენსიურად სწავლობდა კავკასიელი მკვიდრი მოსახლეობის ეკონომიკის ყველა სფეროს. მათ შორის მისთვის უაღრესად საინტერესო სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა იყო. მიწათმოქმედების სამინისტროსათვის კარგად ცნობილი იყო, რომ კავკასიის მთიანეთი ძირითადად მესაქონლეობას ეწეოდა, ბარში კი მიწათმოქმედებას ენიჭებოდა უპირატესობა. ორივე დარგი კი თავის მხრივ, მხარის რეგიონებს ურთიერთ ავსებდა და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მჭიდროდ

---

[1] XIX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს როსტოვი დაუკავშირდა სარკინიგზო ხაზით ხარკოვსა და ვორონეჟს, ამიტომ შეიქმნა აუცილებლობა, რომ როსტოვი სარკინიგზო ხაზით დაკავშირებოდა ჩრდილო კავკასიის რეგიონს — „რკინიგზა, რომ როსტოვიდან ვლადიკავკაზზე წამოვიდეს, აქედან გავა პეტროვსკზე, პეტროვსკიდამ კასპიის პირით ბაქოსა და ბაქოდან ტფილისში. ეს გზა ყველა გზაზე სასარგებლო, იაფი და მოხერხებული იქნება" — იუწყებოდა გაზეთი „დროება" (1869წ, №15).

უკავშირებდა ერთმანეთს. ბუნებრივია, ასეთი პროცესები კავკასიელი ხალხების მჭიდროდ დაახლოებას უწყობდა ხელს და მათ მატერიალურ ყოფას აუმჯობესებდა. სამხრეთ კავკასიელ ხალხებს შორის ამ საქმეშიც დიდი როლი ენიჭებოდათ ქართველებს; ოსებსაც უძველესი მიწათმოქმედი ხალხის სახელი ჰქონდათ — „...ბოსტნეულის თესვამოყვანას ოსები გაეცნენ საქართველოს მეშვეობით" (80, 14). ბუნებრივია, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ჩრდილო კავკასიის ხალხებისათვის არ იყო დამახასიათებელი მიწათმოქმედების კულტურა, მაგრამ ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო ამ მხრივ სერიოზულად ჭრელ რუკას ჰქმნიდა. მაგალითად, ჩეჩნებსა და ოსებს შორის განვითარებული იყო როგორც მესაქონლეობა, ისე მიწათმოქმედება, გამომდინარე იქიდან, თუ მხარის რომელ მონაკვეთში სახლობდნენ ისინი (160, 32; 122, 38-47).

კავკასიის ეკონომიკური განვითარების, მისი იმპერიული სისტემის ეკონომიკაში დატვირთვისა და ამ საქმეში საქართველოს განსაკუთრებულ როლზე ნათლად მეტყველებს რეგიონში მიმდინარე ინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის პროცესები. ზოგადად კავკასია და განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთის მხარე იმ რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, სადაც ცარიზმის რეფორმის შემდგომ ეპოქაში ინტენსიურად მიმდინარეობდა ჩასახლების პროცესები, რაც XIX საუკუნის უკანასკნელ სამ ათწლეულში ორჯერ გაიზარდა; 1897 წელს მოსახლეობის აღწერით დადგინდა, რომ აქ დაახლოებით 4,5 მილიონი კაცი ცხოვრობდა (201, 70-75). აქაური მოსახლეობის რიცხობრივი ზრდის მიზეზი კი სხვადასხვა რეგიონებიდან მცხოვრებთა ნაკადის ინტენსიური დინება იწვევდა. მათი უმრავლესობა მოედინებოდა რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან: უკრაინიდან (2025, 80) სამხრეთ კავკასიიდან და განსაკუთრებით კი საქართველოს იმ რაიონებიდან, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებოდ-

ნენ კავკასიის მთიანეთს. მთიანი კავკასიის მოსახლეობის რაოდენობასა და დასახლების სიმრავლეზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში სერიოზულ ზეგავლენას ახდენდა ე.წ. მუჰაჯირობა (ემიგრაცია ისლამურ ქვეყნებში, გადასახლების პროცესი – ქ. პ.). ნახევარი საუკუნის მანძილზე, ჩრდილო და სამხრეთ კავკასია დიდი რაოდენობით მაჰმადიანმა კავკასიელმა დატოვა და უცხო მხარეში გადასახლდა. ამრიგად, XIX საუკუნის 60-90-იან წლებში კავკასიაში ინტენსიურად მიმდინარეობდა როგორც მოსახლეობის მოზიდვა, ასევე მათი გასახლება მხარიდან, რაც აისახებოდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებზე.

კავკასიის მხარეთა (ჩრდილო და სამხრეთ – ქ. პ.) ურთიერთმეზობლობას ბუნებრივია, ორივე რეგიონისათვის სარგებლობა მოჰქონდა. აღნიშნული განსაკუთრებით ითქმის საქართველოსთან ეკონომიკურ კავშირებთან მიმართებაში, კონკრეტულად კი, კახეთისა და რაჭის მხარეებზე. რაჭის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედზე გადის და ცხადია, მათ შორის სამეურნეო კონტაქტებსაც ოდითგან სისტემატიური ხასიათი გააჩნდა (70, 79). აღნიშნული კი მიგრაციულ პროცესებს აძლიერებდა, რომლის მიზეზიც საძიებელია კაპიტალისტური ურთიერთობების კავკასიაში სწრაფი ტემპით შეჭრაში და ამით გამოწვეული მთისა და ბარის ურთიერთდამოკიდებულებაში. ყოველივე ეს ბარის მოსახლეობის განსაკუთრებულ როლზე მიგვანიშნებენ მთიელთა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 80-იანი წლების დასაწყისიდან (საქართველოს, რაჭის მაგალითზე – ქ. პ.) (320, №53, 2) – „მიწისა და სარჩოს სიმცირემ, უგზოობამ და ცხოვრების სხვა მრავალმა სიდუხჭირემ აიძულა არსებობისათვის მებრძოლი მთის რაჭველი, გადაელახა კავკასიონის მყინვარწვერები და ჩრდილო კავკასიაში შეჭრილიყო" (57, 47-48).

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ თავისი კვალი დაამჩნია კუსტარული მრეწველობის დარგებს, რომელიც ესოდენ ტრადიციული იყო კავკასიის მოსახლეობისათვის. რუსეთის ეკონომიკურმა პოლიტიკამ კავკასიაში წარმოშვა ე.წ. ხელოსანი მეწარმეები, — „...რომლებიც დაქირავებულ შრომას იყენებდნენ თავიანთ სახელოსნოებში" (87, 170). ამ მიზნით ფართოდ გავრცელდა მთიელთა ე.წ. „საშოვარზე სიარული" — სეზონურ სამუშაოებზე გასვლები, რომლებიც წვრილ ხელოსნურ წარმოებას მისდევდნენ — „...იწყება დაღესტნელ მთიელთა მუდმივ სამუშაოზე ჩამოსვლა თბილისში, თელავში, სიღნაღში და საქართველოს სხვა ქალაქებსა და თუ სოფლებში" (268, 80-91). მიმდინარე პროცესებს იმდროინდელი პრესა აქტიურად ეხმაურებოდა — „...ამჟამად ქალაქში იქნება ათი-თხუთმეტი დუქანი დაღისტნის ლეკებისა, საკუთრად შორიდგან მოსულებისა... ლეკების დუქანში, რომ შეიხედოთ აქ სულ სხვას ნახავთ, ვიდრე ჩვენებურ დუქნებში... სახმარებელი იარაღები ლეკებს უფრო უკეთესი აქვთ ჩვენებურისაზე..." (300, №16, 2-3), ან კიდევ — „...კაპიტალიზმის ჩასახვასთან ერთად ფართო ხასიათი მიიღო დაღესტნელთა საშოვარზე სიარულმა, სექტემბრის დადგომასთან ერთად ისინი მოედებოდნენ ამიერკავკასიის პროვინციებს..." (330, 15).

მიგრაციული პროცესების ინტენსიურმა ხასიათმა, კავკასიაში ჩასახლებული ახალი მოსახლეობის სოციალურმა სიჭრელემ[1], თავის მხრივ, ხელი შეუწყო კაპიტალისტური მეურნეობის სწრაფ განვითარებას.

მიუხედავად აღნიშნულისა, არც ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ნაწილს, არც ჩასახლებულთ არ გააჩნდათ აუცილებელი პირობები და გამოცდილება, რათა მოეწყოთ

---

[1] ჩასახლებულთა დიდ ნაწილს არ გააჩნდა წარმოების საშუალებები, ხოლო მეორე ნაწილი იყო შეძლებული მესაქონლე და მიწათმოქმედი.

ინტენსიური სოფლის მეურნეობის წარმოების გარემო. ყოველივეს ისიც ერთვოდა, რომ კავკასიის მოსახლეობას თავისი ტრადიციული მეთოდები გააჩნდა სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის, რაც ბუნებრივია, ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარებისათვის დამაბრკოლებელი იქნებოდა. ტრადიციულ წარმოებაში კი წამყვანი იყო მარცვლეულის კულტურათა წარმოება, რომლის მიმართულებითაც მიმდინარეობდა კაპიტალისტური ფორმაციის დანერგვა კავკასიელთა სოფლის მეურნეობაში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის სტეპურ და სამხრეთ ნაწილში გაჩნდა ამ მხარისათვის უცხო კულტურათა დანერგვის მცდელობანი. მათ შორის: სიმინდის, მზესუმზირისა და თამბაქოს კულტურები. იმთავითვე ზემოხსენებულ კულტურათა უხვი მოსავლიანობისათვის ხელსაყრელ გეოგრაფიულ-კლიმატურ გარემოდ მიჩნეულ იქნა საქართველო, რომელიც დაწინაურდა კიდეც ამ საქმეში.

XIX საუკუნეში, სოფლის მეურნეობის სფეროში მიწათმოქმედებასთან ერთად განსაკუთრებული ადგილი უკავია მესაქონლეობას, სადაც ასევე შეინიშნება განვითარების შესამჩნევი და ძირეული ცვლილებები. აღნიშნულ პროცესს განსაკუთრებული გამოვლინება საუკუნის მეორე ნახევარში აქვს, როდესაც მესაქონლეობას მიენიჭა ერთ-ერთი წამყვანი სავაჭრო მნიშვნელობა (386, 62).

კავკასიის მთიანი რეგიონი მესაქონლეობის განვითარებისათვის უხვ ხელსაყრელ პირობას მოიცავს, რაც დარგის განსაკუთრებულად დაწინაურების არაჩვეულებრივ გარემოს ჰქმნიდა. იმპერიის ხელისუფლება აღნიშნულ ვითარებას ნაყოფიერად იყენებდა და კავკასიის მთიანი მხარის მოსახლეობა იმთავითვე ჩართო საერთო რუსულ ბაზარში — „...ეკონომიკის უმთავრესი დარგი მთის ჩეჩნებისათვის, ინგუშებისათვის, ოსებისათვის და ბალყარებისათ-

ვის იყო მესაქონლეობა. მიწათმოქმედება მათ სამეურნეო ცხოვრებაში მეორეხარისხოვანი იყო" (170, 17).

კავკასიის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ტრადიციული მეურნეობის დარგთა სიჭრელე კიდევ უფრო აძლიერებდა ამ ხალხების ურთიერთობებს. კავკასიის უკიდურესი ჩრდილო მთიელი მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ბართან კავშირს, რამეთუ მთის მცირემიწიანობისა და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მოსავალი აქ ძალზედ მცირე იყო (320, №80, 2); ამიტომ ჩრდილო კავკასიელი მთიელები „საკვების უქონლობის გამო ხარ-ძროხას ჩალის ფასად ჰყიდდნენ, თავიანთ საზრდოდ კი სიმინდს ეზიდებოდნენ ბარის რაიონებიდან" (91, 53-54) — იუწყებოდა გაზეთი „ივერია". ქართული პერიოდიკის ესოდენ ინტერესი ჩრდილო კავკასიის ამ დარგის მეურნეობის მიმართ და აღნიშნულ საკითხებზე ხშირი ინფორმაციები საქართველოს პერიოდული გამოცემების ფურცლებზე (91, 51-54) მიგვანიშნებენ იმ ფაქტზე, რომ კავკასიის მთიელთა დიდი ლტოლვა სამხრეთ კავკასიისაკენ განპირობებული იყო მათი გადარჩენით, მატერიალური ყოფის ელემენტარული გაუმჯობესებით. კავკასიის ორივე მხარისათვის ურთიერთობის ეს ფორმა, სამხრეთ კავკასიის ბაზრით სარგებლობა აუცილებელი ნიშანი იყო, რამეთუ, თუ ჩრდილო კავკასიელებისათვის ამიერკავკასიის ბაზარი (ცენტრი — თბილისი — ქ. პ.) როგორც გასაღების, ასევე შეძენის ადგილი იყო, სამხრეთ კავკასიისათვის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების საუკეთესო ადგილს წარმოადგენდა. ამ საქმეში, რომ საქართველოს წამყვანი ადგილი ეკავა აშკარად ადასტურებს მრავალსაუკუნოვანი წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაცემები. თბილისის ხელსაყრელი გეოგრაფიული გარემო კიდევ უფრო მომგებიან დატვირთვას იძენდა რუსეთისათვის და

ქალაქს კავკასიის ძირითად სავაჭრო-ეკონომიკურ ბირთვად აქცევდა.

რუსეთის ეკონომიკაში, კავკასიური მესაქონლეობისათვის წამყვანი დატვირთვის მინიჭება განპირობებული იყო თავად იმპერიაში მიმდინარე კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებით, რაც გამოწვეული იყო რუსულ მესაქონლეობაში მიმდინარე სტრუქტურული ძვრებით. იმპესიის შიდა და გარე ბაზრების სწრაფმა ზრდამ მესაქონლეობის პროდუქციისათვის სავაჭრო მესაქონლეობის ფორმირებას შეუწყო ხელი; განვითარების სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა სახორცე ჯიშის მსხვილფეხა საქონლის მოშენების პროცესი. მიმდინარე მოვლენებმა კი დააჩქარა კავკასიაში ტრადიციულად დამკვიდრებული ნატურალური მეურნეობის სისტემის რღვევა (24, 359-360).

როგორც ცნობილია, ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად ვაჭრობა მოიაზრება. კავკასიაში კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტთა შეჭრამ და, თუნდაც, მისი ნელი ტემპით განვითარებამ, სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ჩასახვამ, სარკინიგზო მშენებლობამ უდიდესი როლი შეასრულა ამ დარგის განვითარების საქმეში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე სავაჭრო ურთიერთობათა მკვეთრი შემობრუნება არ შეინიშნებოდა და კავკასიის ცალკეულ რაიონებს შორის ტრადიციულად ძველი, ნაცადი ურთიერთობების ნიადაგზე გრძელდებოდა სავაჭრო კავშირები. აღნიშნული განსაკუთრებით ითქმის საქართველო-ჩრდილო კავკასიის ხალხების სავაჭრო კონტრაქტებზე — „...უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველოს იმიერკავკასიაში მცხოვრებ ერებთან ჰქონდა სავაჭრო დამოკიდებულება და ხშირი კავშირებიც" (70, 112). XIX საუკუნიდან ამ მხრივ, ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა, რადგან მართალია, საქართველო კვლავინდებურად წამყვანი

ქვეყანა იყო ჩრდილო კავკასიასთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში, მაგრამ ამ საქმეს არა თავად კავკასიელი ხალხები არეგულირებდნენ, არამედ რუსეთის ხელისუფლება კურირებდა კავკასიის საერთო სავაჭრო კავშირების სფეროს როგორც კავკასიის შიგნით, ისე ამ რეგიონის საერთო სავაჭრო სივრცეში ჩართვის მხრივ — „... რეფორმის შემდგომ ხანაში კავკასია რუსული სავაჭრო სამრეწველო ცენტრების გავლენის ქვეშ მოექცა" (70, 11).

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან სავაჭრო ურთიერთობების განსაკუთრებული აღმავლობა ვლადიკავკაზის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას უკავშირდება, რამაც ჩრდილო კავკასიის სავაჭრო ფუნქცია კიდევ უფრო გაზარდა; დაწინაურდნენ ჩრდილო რეგიონის სავაჭრო ქალაქები: ნოვოროსიისკი, ეკატერინოგრადი, არმავირი, სტავროპოლი, და სხვ., რომელთა სავაჭრო წარმატებები უშუალოდ საქართველოს სავაჭრო ქალაქებთან კავშირზე იყო დამოკიდებული. ამ ქალაქების ურთიერთობამ განაპირობა უკიდურესი მთიანი რეგიონის ქალაქების სავაჭრო ცენტრებად ჩამოყალიბება, როგორებიც იყო: გროზნო, პიატიგორსკი, მაიკოპი, გეორგიევსკი, ლაზინსკი, მოზდოკი და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე კი, კავკასიის ვაჭრობის განვითარება XIX საუკუნის მეორე ნახევარში იწვევდა რუსეთის იმპერიაში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებას. იმპერიაში სულ უფრო დიდი რაოდენობით შედიოდა ნედლეული, რომელიც ქვეყნის საფაბრიკო მრეწველობის გადასამუშავებელ მასალას წარმოადგენდა. აღნიშნული კი რუსეთს უამრავი რაოდენობით პროდუქციას უქმნიდა, რომლის გასაღებისათვის ქვეყანა გამუდმებით ეძებდა ბაზარს საერთაშორისო სავაჭრო არენაზე; ამიტომ, ის მთელი ძალით იბრძოდა ევროპისა და აზიის ქვეყნებთან სავაჭრო-საკონტაქტო გზების მოპოვებისათვის.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში, სავაჭრო ურთიერთობები მწვავე პოლიტიკურ ხასიათს ატარებდნენ და კავკასიელი ხალხების პოლიტიკურ ორიენტაციაში გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ. ასეთ დროს ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისას, განსაკუთრებით მთიელები ვაჭრობის საბურველით პოლიტიკურ შეთანხმებებს დებდნენ რუსეთის იმპერიის მტრებთან და ცარიზმის კავკასიაში ინტერესებს სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნიდნენ. ასეთ შემთხვევაში, სავაჭრო ურთიერთობები ხშირად განსაზღვრავდნენ რუსეთის იმპერიის საერთო კავკასიური პოლიტიკის ხასიათს.

საიმპერატორო კარის დაზვერვითი სამსახური სისტემატიურ მუშაობას აწარმოებდა ამ მიმართულების ასალაგმავად და ვითარების გამოსწორების გზებს ეძიებდა. ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთი ნაწილი აკრიტიკებდა იმპერიის სავაჭრო ურთიერთობების კურსს კავკასიისადმი. მათი ამგვარი დამოკიდებულება მომდინარეობდა კავკასიის მმართველობის წარმომადგენელთა დაკვირვებისა და დასკვენებისაგან — „...მხოლოდ თავისუფალ ვაჭრობას შეუძლია შეწყვიტოს მთიელთა საიდუმლო კავშირები თურქეთთან, განავითაროს მთიელებთან საიდუმლო კავშირები თურქეთთან, განავითაროს მთიელებთან ჩვენი მშვიდობიანი ურთიერთობა და ამით საფუძველი ჩაუყაროს მათ ნამდვილ დამორჩილების საწყისს" (91, 61) — აღნიშნავდა ცარიზმის ერთ-ერთი ჩინოვნიკი 1846 წლის სამთავრობო მიმართვაში.

ზემოაღნიშნული გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კავკასიაში სავაჭრო-ეკონომიკური ექსპედიციისა; თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ გრძელდება ცარიზმის ძველი, XVIII საუკუნეში მიმდინარე ერთგვარი ლმობიერი სავაჭრო კავშირები კავკასიელ მთიელებთან, რაც ვლინდებოდა მათი საბაჟო ტარიფებიდან განთავისუფ-

ლებით[1] XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კავკასიელებს აბსოლუტურად მოეხსნათ ყოველგვარი სავაჭრო შეღავათები (386, 305).

კავკასია, როგორც არაერთგზის აღინიშნა, თავისი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობით ვაჭრობისათვის ხელსაყრელი რეგიონი და რუსეთისათვის განსაკუთრებულად სარგებლის მომტანი იყო. ამ მხრივ, ყველაზე მომგებიანი ქვეყანა საქართველო იყო. ყოველივე კი, თავის მხრივ, აჩქარებდა ცარიზმის ინტერესების რეალიზაციას მხარეში (126, 6). კავკასიის ორივე მხარის ურთიერთსავაჭრო კავშირების გაღრმავებისათვის მეცადინე რუსეთი, მიუღებელი ელემენტი იყო კავკასიელი ხალხებისათვის, რამეთუ ეს კავშირები მხოლოდ გარეშე ძალის ინტერესებს ემსახურებოდა და ტრადიციულ კავკასიურ სავაჭრო კავშირების გამოცდილებას არ ეყრდნობოდა. ამასთან, არაბუნებრივი ეს პროცესები „ხალხთა დაშალე და იბატონეს" პრინციპზე იყო აღმოცენებული, რაც უკიდურესად მიუღებელი აღმოჩნდა კავკასიელთათვის.

ნიშანდობლივია, რომ ცარიზმის ხელისუფლება თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობდა კავკასიის ორივე რეგიონში ისეთი მეურნეობის დარგები განევითარებინა, რაც მათ სავაჭრო კავშირებს გააღრმავებდა და საერთო კავკასიურ ბაზარს საქონლით უზრუნველყოფდა. მაგალითად, მართალია, მეღვინეობის დარგი უპირატესად ამიერკავკასიაში იყო განვითარებული, მაგრამ რუსულმა მმართველობამ ის ამიერკავკასიაშიც დანერგა — „...მიზნად დაისახა მოსახლეობაში ღვინის უკეთესად დაყენების ცოდნის გავრცელება და აქაური ღვინის რუსეთში გასაღების მოწესრიგება" (24, 400). ასევე, თამბაქოს წარმოება რუ-

---

[1] ტრადიციულად, თბილისის ბაზრებზე შემოტანილი საქონლის „პოშლინებისაგან" განთავისუფლებულები იყვნენ ოსები, ლეკები, ყაბარდოელები (იხ. АКАК, т. 1, §583, стр. 481).

სეთის ხელისუფლებამ ამიერკავკასიას და კერძოდ, საქართველოს დააკისრა, ხოლო ნედლეულის გადასამუშავებისათვის კი თერგის ოლქში საგანგებო თამბაქოს ფაბრიკები დააარსა – „...ხელმწიფე იმპერატორმა კავკასიის კომიტეტის გადაწყვეტილებით, ინება დამტკიცება, რომლითაც ნება იძლევა ტფილისიდან გაკეთებული საზღვარგარეთული თამბაქოს გატანა ვლადიკავკაზის გზით თერგის მაზრის თამბაქოს ფაბრიკებისათვის. სხვები კი უწინდელივით აღკრძალულია კავკასიის აქეთა მხრიდან გაკეთებული თამბაქოს გატანა" (311, 1). აღნიშნული მიმართულების ღონისძიებები ემსახურებოდა კოლონიური მხარის – კავკასიის ეკონომიკურ ასიმილაციას და იმპერიის ფართო წიაღში შერწყმას; კავკასიის ქვეყნების შიდა ეკონომიკური მოწყობა იმგვარად იყო განსაზღვრული, რომ ისინი ერთმანეთზე ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი და ყველა ერთად კი იმპერიულ რუსეთზე. ამგვარი პოლიტიკის დანერგვის არაჩვეულებრივი საშუალება კი სხვადასხვა ადგილებში წარმოებული პროდუქციის სავაჭრო გზით გაცვლა იყო. მაგალითად, რუსეთის ხელისუფლებისათვის კარგად იყო ცნობილი ჩრდილო კავკასიელთა ისტორიული ტრადიცია – მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირები კახეთთან, ამიტომ იყო, რომ კახეთში მასიური სახე მიეცა არა მხოლოდ ძველი ბაზრების ამოქმედებას, არამედ ახლების გახსნასაც. აქ მთავარ მიზანს წარმოადგენდა პოლიტიკურად უკვე დაპყრობილი ტერიტორიების ეკონომიკურადაც ათვისებისათვის გატარებული ღონისძიებების დანერგვა. ასეთთა რიცხვში იყო: ალავერდის ბაზრობა, რომლის ძირითადი დანიშნულება იყო დაღესტანთან ვაჭრობა და მთიელებთან მჭიდრო კავშირების დამყარება – „...არაფერი არაა უფრო კეთილმოქმედი, ვინემ ეს კომერციული კავშირი მთიელებთან და არსად არაა ამისათვის ამაზე უკეთესი ადგილი" (228, 152-153) – აღნიშნავდა პლატონ იოსელიანი. კავკასიის მთიელთა სავაჭრო

კონტაქტებს სამხრეთის ქვეყნებთან და მით უფრო საქართველოსთან უაღრესად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხარის მოსახლეობისათვის. პროფესორი თ. ბოცვაძე აღნიშნავდა — „...მწირი, მთიანი დაღესტნის მოსახლეობისათვის მიწათმოქმედებითა და ხელოსნობა-ვაჭრობით განვითარებულ საქართველოსთან ვაჭრობა, სადაც ადგილობრივთან ერთად უხვად იყრიდა თავს აგრეთვე თურქული, სპარსული და სხვა მახლობელი თუ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების საქონელი არც თუ ისე უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო" (15, 194-195).

როგორც წინა თავებში აღინიშნა მიგრაცია — ემიგრაციულ პროცესებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნდა კავკასიის რეგიონისათვის; აღინიშნა ამ პროცესების ძირითადი მიზეზებიც, რომელიც განპირობებული იყო სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური ხასიათის მომენტებით. ამავდროულად, დავახასიათეთ მისით გამოწვეული შედეგები. ამ ეტაპზე კი შევეხებით მიმდინარე პროცესებში საქართველოს ფაქტორს და აღნიშნულით გამოწვეულ შედეგებს.

კავკასიაში მიგრაცია-ემიგრაციის პრობლემის განხილვისას, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს შიდა კავკასიური გადასახლებების მნიშვნელობა, იმდენად, რამდენადაც ის საქართველოსაც შეეხო. სხვა გადასახლებებისაგან განსხვავებით, ამ ფაქტის გამომწვევი მიზეზები მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის იყო, ხოლო ამ უკანასკნელის ძირითადი მიზეზი კი თვითმპყრობელური რუსეთის ბატონყმური პოლიტიკის შედეგად უკიდურესად მძიმე სოციალურ-მატერიალური ყოფა და აუტანელი ვითარება.

ჩრდილო კავკასიის რუსეთთან ტერიტორიული სიახლოვე და სავაჭრო ქალაქების სიმრავლე, მათი ბაზრების სიუხვე ერთობ მომგებიანი იყო საქართველოს მთის მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით კი იმ ნაწილისათვის,

რომელიც ხელოსნობით იყო დაკავებული — „...ხშირად შეხვდებით ხოლმე იქაურ მცხოვრებთ ზამთრობით ჩრდილოეთ ოსეთში, ყაბარდო და ბალყარიაში...” (310, 3) — იუწყებოდა გაზეთი „დროება”. „...გლეხი ცდილობს ბაზარზე გაიტანოს საქონელი არსებობის ბრძოლის ამ გრძნობამ უკარნახა მთის ქართველს ხელი მოეკიდა ხელოსნობისა და ვაჭრობისათვის და გადაელახა კავკასიონის მყინვარწვერი, რასაც ხელს უწყობს მისივე გეოგრაფიული მდებარეობაც...” (57, 45) და ა.შ. ბუნებრივია, რომ მიგრაციულ პროცესებში, არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებდა საუკუნეების მანძილზე ქართველებსა და კავკასიის მთიელთა შორის ნათესაურ-მოყვრობითი კავშირებიც.

მიუხედავად აღნიშნულისა, მიგრაციულ პროცესებს კავკასიაში დადებითი და უარყოფითი შედეგებიც ჰქონდა. ქართველი პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებრიობისათვის ამ პროცესებს შესაძლებელი იყო ტრაგიკული შედეგები მოეტანა ქვეყნისათვის; გარდა ამისა, რთულად მიმდინარეობდა ჩასახლებულებსა და დამხვდური, ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთთანაცხოვრების რთული მდგომარეობის დარეგულირების პროცესებიც; მაგრამ, მიუხედავად ასეთი უარყოფითი მხარისა, გადასახლებებს დადებითი მხარეებიც გააჩნდა — „...თუ საქართველოს მთიანეთის ოსი მოსახლეობა სახლდებოდა ქართლისა და კახეთის ბარის რაიონებში (XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ადგილი აქვს ვლადიკავკაზისაკენ — ჩრდილო კავკასიაში გადასახლებას, მაგრამ მას მაშინ მასიური ხასიათი არ მიუღია), საქართველოს მთიანეთის ქართული მოსახლეობა ჩრდილო კავკასიაში — ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე სახლდებოდა და იქაც ხდებოდა მათი დაახლოება კულტურული თვალსაზრისით” (39, 65). ქართველების დასახლებით ჩრდილო კავკასიაში ყალიბდებოდა ქართული კულტურის კერები, რაც უდიდეს გავლენას ახდენდა ჩრდილო კავკა-

სიელი ხალხების კულტურულ განვითარებაზე. აღნიშნული საკითხს ქვევით უფრო დაწვრილებით შევეხებით.

განსახილველი პერიოდის შიდაკავკასიურ კულტურულ ურთიერთობებში, საქართველოს გამორჩეული ადგილი ეჭირა და რუსეთის იმპერიული მიზან-დანიშნულებანი ამ საქმეში იყო შემდგომი დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების პროცესის გააქტიურება; მეორეს მხრივ, იყო გარე ფაქტორის კერძო იმპერიული ინტერესებიც და მისით გამოწვეული შედეგები.

XIX საუკუნის მანძილზე, მიმდინარე პროცესები ბუნებრივია სერიოზულ არეკვლას ჰპოვებდა კავკასიის მოსახლეობის კულტურაზეც. ყოფითი პოლიტიკური კატაკლიზმების მიუხედავად, კულტურულ-ისტორიული კავშირები არ წყდებოდა კავკასიელ ხალხებს შორის, სადაც ჰეგემონის ფუნქციით ისევ საქართველო გამოდიოდა. ამ უკანასკნელის დატვირთვას კულტურულ ურთიერთობებში განაპირობებდა რუსეთის პოლიტიკური აგრესია კავკასიის ყველა ეთნოსის მიმართ და მას თავისებურ მიმართულებას აძლევდა. ასეთ შემთხვევაშიც კი, კულტურის განვითარების ისტორიულად მაღალ დონეზე მდგომი საქართველოს როლი კიდევ უფრო იზრდებოდა და ის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებით რაზმავდა მთელს კავკასიას აგრესიული ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში (77, 204-205).

ქართული კულტურა ძველთაგანვე იკვლევდა გზას კავკასიის მთიელთა შორის — ქართული ენა და ქართული წიგნები, ქართველთა კულტურული მონაპოვარი; პოეზია, ხელოვნება, ფილოსოფია და ისტორია, საყოფაცხოვრებო წესები და ადათ-ჩვეულებანი, უმთავრესად თავისი პროგრესული ხასიათისა და შინაარსობრივი მიმზიდველობის გამო, ძლიერი ძალით არღვევდა ეროვნული კარჩაკეტილობის ძველ ზღუდეებს და არა მარტო კავკასიელთა,

არამედ ბევრი სხვა ხალხის შემოქმედებითი ინტერესის საგნად და მისი შესწავლის ობიექტად ხდებოდა" (73, 30).

რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, კავკასიის ხალხების და მათ შორის ქართველი ერის ცხოვრებაც ახალი მიმართულებით წარიმართა. რუსული კულტურის ზეგავლენით, თანდათანობით წარსულისა და აწმყოს ერთმანეთთან შეზავებით კულტურა ღებულობდა ახალ თავისებურ ფორმას (45, 181). ახალი კულტურა უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა-განახლების შედეგი იყო. ახალი კულტურის დამკვიდრებაში უდიდესი დატვირთვა გააჩნდა ქართველი ერის კულტურული კავშირების გაღრმავებას და ახალი ფორმით გამოვლინებას მეზობელ ერებთან: სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, ოსებთან, დაღესტნელებთან, ახლო თუ შორეულ აღმოსავლეთსა და დასავლეთის ხალხებთან. მართალია, საქართველო კარგად იცნობდა აზიისა და ევროპის ქვეყნების კულტურულ მონაპოვრებს ჯერ კიდევ რუსეთთან შერწყმამდე, მაგრამ XVIII–XIX საუკუნეების მიჯნიდან კულტურული ორიენტაცია დასავლეთზე გამოიკვეთა და, რადგან ამ უკანასკნელზე გამავალი გზა რუსეთზე იყო, ამიტომ ზოგადად ამიერკავკასიის ხალხების კულტურა ევროპულ-რუსული კულტურის რკალში მოექცა.

XIX საუკუნიდან კიდევ უფრო გაძლიერდა სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის კულტურული დაახლოებისაკენ ლტოლვა, ქართველ ხალხსაც კულტურული ურთიერთობანი უპირველეს ყოვლისა კავკასიელ ხალხებთან უხდებოდა. აღნიშნულს ისიც განსაზღვრავდა, რომ საქართველოში თავს იყრიდა კავკასიის თითქმის ყველა ერის წარმომადგენელი. აქედან გამომდინარე, მათი ცხოვრება-არსებობაც ერთგვარ გარემოებაში მიმდინარეობდა; მათ ერთობლივადაც უხდებოდათ ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისათვის. შუასაუკუნეებიდან მოყოლებული

საქართველოს დედაქალაქი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ძლიერი კულტურის ცენტრად მოიაზრებოდა, ხოლო რუსეთის ბატონობის ეპოქაში კავკასიის ადმინისტრაციული ბირთვის ფუნქცია მას კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა კავკასიის კულტურული მოდერნიზაციის საქმეში.

კავკასიაში გააქტიურებულმა მიგრაცია-ემიგრაციის პროცესებმა არა ერთი ახალი კულტურის კერას დაუდო საფუძველი, განსაკუთრებული სიმძლავრით გამოირჩეოდნენ ჩრდილო კავკასიაში აღმოცენებული ახალი ქართული კულტურის კერები, რაც მთიელთა კულტურის დონის ამაღლებას უწყობდა ხელს. ამ მხრივ მიმდინარე პროცესებს აქტიურად აშუქებდა რუსული და ქართული სახელმწიფო და კერძო პერიოდული გამოცემები (120, 301).

XIX საუკუნის კავკასიის ხალხების კულტურული განვითარების საქმეში განსაკუთრებული დატვირთვა გაჩნდა კავკასიის ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს — თბილისს. აქ აქტიურად ერწყმოდა ერთმანეთს აღმოსავლური და დასავლური კულტურის მიღწევები, საიდანაც ისინი განივრცობოდა კავკასიელ ეთნოსთა შორის (220, 86). უპირველეს ყოვლისა, თბილისი კავკასიელთა განათლების კერად იქცა, სადაც აქტიურად ფუნქციონირებდა სამხრეთ კავკასიის ხალხებისათვის განკუთვნილი სასწავლებლები. აქვე განათლებას იღებდნენ მთიელებიც: დაღესტნელები, ჩეჩნები, ადიღელები და სხვ. (19, 835-836; 289, 198). მაგალითად, თბილისის სასულიერო სემინარიაში (1818წ.) მოსწავლე ახალგაზრდობას შორის სიმრავლით ოსები გამოირჩეოდნენ — „თბილისში, ქართველების სემინარია როცა გახსნეს 1818 წელს, მაშინ იგი ოსების სემინარიადაც გახლდათ დანიშნული. ასევე იმავ დროს, გორში გახსნილი სასულიერო სასწავლებელი იყო ოსების სასულიერო სასწავლებელიც;" (95, 228); „უკვე

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარშივე, საქართველოს დედაქალაქი თბილისი მთელი კავკასიის კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი გახდა. თბილისის სასულიერო სასწავლებელსა თუ სემინარიაში მრავალმა ოსმა მიიღო განათლება, რომელთაც შემდეგ აქტიური მოღვაწეობა გააჩაღეს ოსეთში კულტურის ასპარეზზე" – (39, 70) აღნიშნავს მკვლევარი გ. თოგოშვილი.

ქართული კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა დიდი ავტორიტეტის გამო, კავკასიის მოსახლეობა თბილისის კულტურის კერებს უშურველად ეტანებოდა. მათ კარგად უწყოდათ კავკასიის ცენტრის მაღალი დონე და დანიშნულება, ამიტომ შემთხვევითი არ გახლდათ ისიც, რომ ქართველები არასდროს არ ყოფილან გულგრილნი მეზობელი ხალხების განათლებისადმი, რამეთუ კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ – „საკუთარი კეთილდღეობა ჩვენის მეზობლის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული, რომ მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება, ვერ აშენდება" – იუწყებოდა გაზეთ „ივერიის" კორესპონდენცია (317, 2-3).

ქართველ მოღვაწეთა შორის, ვინც დიდი როლი შეასრულა კავკასიელი ხალხების კულტურული ურთიერთობების განმტკიცებაში, მათი ისტორიის მეცნიერული კვლევის განვითარებაში იყვნენ: თერგდალეულთა პლეადა, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, მოსე ჯანაშვილი და სხვ. (262, 216). განსაკუთრებით დიდია ქართველი მეცნიერ-ისტორიკოსების წვლილი კავკასიელი ხალხების კულტურული კავშირების შესწავლის მხრივ. მათ მეცნიერულ დებულებებში აშკარად შეინიშნება კეთილსინდისიერი და ობიექტური დამოკიდებულება კავკასიელი ხალხების ისტორიის შესწავლის მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის შედეგად, საქართველოში, ქართულ მწიგნობრულ ტრადიციებზე აღზრდილმა კავკასიის სხვა-

დასხვა ერის წარმომადგენლებმა უდიდესი როლი შეასრულეს თავიანთ ერებს შორის ქართული კულტურის ელემენტთა დანერგვის საქმეში. მაგალითად, ოსმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ი. იალღუზიძემ (1770-1830 წწ.) ქართულ ასოებზე დაყრდნობით შექმნა ოსური ანბანი, თარგმნა ქართულიდან ოსურ ენაზე არა ერთი ნაწარმოები და აღსანიშნავია, რომ ლექსებს ქართულ ენაზე თხზავდა. ქართული კულტურის მოღვაწედ არის აღიარებული აფხაზი გიორგი შარვაშიძე. უსაზღვრო იყო ქართველ მოღვაწეთა დახმარება აფხაზი ხალხის განათლებისადმი, მაგალითად 1892 წელს კ. მაჭავარიანმა დ. გულიასთან ერთად გამოსცა აფხაზური ანბანი; თბილისში დაიბეჭდა პირველი აფხაზური ანბანი (1865 წ.) და ყაბარდოელი ისტორიკოსის შ. ნოგმოვის (1801-1844 წ.წ.) ნაშრომი „ადიღე ხალხის ისტორია“ (1861 წ.).

კავკასიის ხალხების კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთთანამშრომლობა ბუნებრივად უწყობდა ხელს ამათი კულტურების ურთიერთგამდიდრება-დაახლოების საქმეს, რაც ცარიზმის კოლონიზატორული ინტერესების ჩარჩოებში არ თავსდებოდა. მისთვის მიუღებელი იყო ქართული კულტურის პრესტიჟული მდგომარეობა კავკასიელთა შორის, რამეთუ ის სერიოზულ კონკურენციას უწევდა რუსულ კულტურას და ამით თვითმპყრობელობის პოლიტიკურ კურსს სერიოზულ ზიანს აყენებდა. ყოველივეს ერთვოდა კავკასიელი ხალხების აგრესია ცარიზმის მმართველობის სისტემის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, რუსეთის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ქართული კულტურის ზემოქმედების ალაგმვას კავკასიელთა შორის, რაც მათი ურთიერთდაპირისპირების მიმართულებით გატარებულ სამთავრობო ღონისძიებებით ვლინდებოდა. ასეთი სახის დაპირისპირებები თავს იჩენდა კულტურის დარგშიც, მაგალითად, ქართველ-სომეხთა კულტურული პოლემიკა და

სომეხ-აზერბაიჯანელთა ეროვნულ-რელიგიური ურთიერთაგრესია.

როგორც აღინიშნა, რუსეთის ინტერესებში იყო ერთიანი კავკასიური სივრცის შერწყმა იმპერიის საზღვრებში. ამ საქმეში კი წამყვან ფაქტორს კულტურულ-რელიგიური ასპექტი წარმოადგენდა. ამ მიმართულებითაც კვლავინდებურად საქართველოს წამყვანი ადგილი ეკავა, რამეთუ ის იმპერიის განაპირა რეგიონში (კავკასია — ქ. პ.) ერთადერთ მართლმადიდებელ ქვეყანას წარმოადგენდა. ეს მისია საქართველოსა და მის ეკლესიას ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჰქონდა ნატვირთი.

ქრისტიანობის გავრცელება კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში და მართლმადიდებლობის დამკვიდრება სამხრეთში თავისთავად ყოველთვის გულისხმობდა ერთიანი კავკასიის დაფუძნებას საერთო ეკონომიკური და კულტურული სივრცით. აღნიშნული გააზრებული ჰქონდა გარე დამპყრობელს და კავკასიის წიაღში დაწინაურებულ ჰეგემონ სახელმწიფოსაც. რადგან ეს უკანასკნელი ისტორიულად საქართველო იყო, ის თავისთავად თავისი ინტერესების რეალიზების საქმეში ითვალისწინებდა მეზობელი კავკასიელი ხალხების რელიგიურ ფაქტორს; და, მიუხედავად ასეთი გათვალისწინებისა საქართველოს ეკლესია და საერო ხელისუფლება არასდროს წყვეტდა ქრისტიანობის გავრცელებით სამუშაოებს კავკასიის მთიანეთში.

ამ მხრივ, ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით ქართველ საერო და სასულიერო მოღვაწეთ — ,,მას უნდა შეესრულებინა კავკასიის მთის ხალხებში ქრისტიანობის განმტკიცების ამოცანა, რადგან იგი საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ანგარიშით, სამართლიანად მიჩნეული იყო ამ ხალხთა თავის პოლიტიკურ გავლენაში მოქცევის იარაღად (39, 254; 171, 393). აღნიშნულის გათვალისწინებით, რუსეთის ხელისუფლება ამ შემთხვევაშიც ცდი-

ლობდა კავკასიის მთიელებს შორის ქართული ეკლესიის მაღალი ავტორიტეტით ესარგებლა და მოეხდინა მათი კაქრისტიანება, სულიერად იმპერიის მორჩილებაში მოეყვანა – „რუსეთის მთავრობა ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა ქართული კულტურის ტრადიციული გავლენით ოსებსა და ინგუშებზე, ქართველ მისიონერთა ავტორიტეტით მათ შორის და ამასთან დაკავშირებული სხვა ხელსაყრელი ფაქტორების არსებობით" (84, 83).

ზემოაღნიშნულ მიზნებს ემსახურებოდა რუსეთის მიერ საქართველოში ამოქმედებული აურაცხელი კულტურულ-საგანმანათლებლო რელიგიური მისიები, რომელთა სათავეში ხელისუფლებამ მთელი XVIII-XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე ქართველი სამღვდელოება ჩააყენა (364, 172) ამ საკითხის ირგვლივ ზევით უკვე გვქონდა საუბარი და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ამ ეტაპზე კი, წინ წამოვწევთ საქართველოს ეკლესიისა და ქართველი სამღვდელოების დატვირთვას კავკასიის მთიელთა შორის იმპერიის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი კურსის განხორციელებაში.

ქართული კულტურისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდეს გავლენაზე მეტყველებს კავკასიის მთიანეთში საუკუნეების მანძილზე ნაგები ქართული ეკლესია-მონასტრები (267, 77; 125, 91-104). მათი აღდგენა-განვითარების მიმართულებით მუშაობამ კი განსაკუთრებულად ინტენსიური ხასიათი XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიძინა. იმ პერიოდიდან, როდესაც საქართველო დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისაკენ ილტვოდა რუსეთთან, აქტიურად ჩართო საქმეში სასულიერო ფენაც. მათ ჩრდილო კავკასიის რუსულ საეპარქიოებში უხდებოდათ მოღვაწეობა, საიდანაც არა ერთი ქართველი სასულიერო პირი დაწინაურდა რუსეთის ეკლესიის იერარქიის კიბეზე და ქართულ საქმეს ემსახურებოდა. მათ

რიცხვში გამორჩეული ადგილი უკავია გაიოზ არქიმანდრიტს.[1] არქიმანდრიტი გაიოზი ჩრდილო კავკასიის ხალხთა განმანათლებლად მოიაზრება, რომელიც პირველად საისტორიო წყაროებში ჩნდება ერეკლე მეორის რუსეთში გაგზავნილ ელჩობის წევრთა შორის არქიდიაკონის ხარისხით – „...საქართველოდან რუსეთის გზაზე პირველი რუსული ეპარქია იყო ასტრახანის. იმ დროისათვის მასში შედიოდა წინაკავკასიის ყველა ქალაქი, ამიტომ ჩრდილოეთში გადასული ქართველები ამ ეპარქიას გზას ვერ უვლიდნენ" (207, 5). ამ ეპარქიაში დაიწყო შემდგომ გაიოზ არქიმანდრიტმაც თავისი მოღვაწეობა (225, 370) მას შემდეგ, რაც 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო და სამშობლოში აღარ დაბრუნებულა (204, 451). რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის გამო დევნილი მოღვაწე კარგად მიიღო – „დიდი პატივით მიიღეს, დანიშნული იყო უცხო ქვეყანათა კოლეგიის ნაწილში ქართული ენის მთარგმნელად" (97, 35; 117, 170). 1784-1793 წლებში გაიოზ არქიმანდრიტი იყო „ოსეთის სასულიერო კომისიის" წამყვანი წევრი (316, №9, №8, №10), ხოლო 1784 წელს კავკასიის ხაზის სარდლის პავლე პოტიომკინთან სიახლოვის გამო ის ნოვგოროდის მიტროპოლიტმა არქიმანდრიტად აკურთხა (115, 93; 415, 12, 19; 281; 193, 53); 1793 წელს კი მოზდოკის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი გახდა (98, 279) – „...მიიღო მუნ არხიელობა ნებითა იმპერატრიცა ეკატერინესათა და დაიდგინა მწყემსმთავრად". (346, 191; 351, 31).

---

[1] გაიოზ არქიმანდრიტის ვინაობისა და მისი მრავალმხრივი საქმიანობის ირგვლივ მრავალი სამეცნიერო ნაშრომი დაიწერა და ბევრიც საკვლევია. მათ შორის მისი გვარის ირგვლივ მრავალი ვერსია არსებობს და დღესაც ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევას საჭიროებს.

გაიოზ რექტორს ოსეთში მოღვაწეობა მოუხდა იმ პერიოდში, როდესაც რუსეთმა დაიწყო თავისი ადმინისტრაციული მმართველობის ეტაპობრივი დამკვიდრება ჩრდილო კავკასიაში და ამ საქმეში მთიელთა შორის გაიოზ არქიმანდრიტის ავტორიტეტი უდიდეს დახმარებას გაუწევდა. ამიტომ იყო, რომ გაიოზი „ოსეთის კომისიის" წამყვან წევრად დაინიშნა. ფაქტობრივად, ამ კომისიის საქმიანობა ქართველი სამღვდელოების მხრებზე იდგა (95; 144, 100).

როგორც უკვე აღინიშნა, ქართველ კულტურის მოღვაწეთ ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით მთიელი ხალხების დამწერლობის შექმნის საქმეში. ამ მხრივაც გამორჩეულია სასულიერო კრებული და მათ შორის გაიოზ რექტორი, კერძოდ, ის ერთ-ერთი იყო, ვინც პირველმა შეუქმნა ოსებს ანბანი — რუსულ (სლავიანურ) ასოებზე დაყრდნობით — მან პირველმა დაუდო სათავე ოსურ ანბანზე დაფუძნებით ოსურ დამწერლობას, რომელიც 1798 წელს დაიბეჭდა მოსკოვში, სინოდალურ კანტორაში. ოსურ ანბანზე დაყრდნობით მან ოსებს შეუდგინა საეკლესიო სლავიანური ასოებით გამოხატული ალფავიტი, ხოლო ზოგიერთი ბგერის გამოსახატავად, გამოიგონა ახალი ასონიშნები ორი-სამი სლავიანური ასოს შერწყმით. ასეთი სახის ანბანის დახმარებით ოსურ ენაზე ითარგმნა „საღვთო წერილის შემსწავლელთათვის დაწყებითი სახელმძღვანელო" (280, 5; 241, 386). გაიოზ არქიმანდრიტს ამ მეტად წარმატებული და რთული საკითხის გადაჭრაში დახმარებას უწევდა კავკასიური და რუსული ენების საფუძვლიანი ცოდნა — „...გაიოზ ეპისკოპოსი იყო რუსული და კავკასიის მთიელთა ენების კარგი მცოდნე" — აღნიშნავდა მ. ჯანაშვილი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოსური დამწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, განმანათლებელი და ოსური ანბანის ფუძისჩამყრელი იყო გაიოზ რექტორი. ქართველ სამღვდელოებას კი ზოგადად კავკა-

სიის მთიელთა რუსულ და ქართულ კულტურებთან დაახლოებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის.

ასტრახანის საეპარქიოში ქართველი სამღვდელოების მოღვაწეობამ დადებითი შედეგი მოუტანა საიმპერატორო კარს. ასტრახანის ქართველი ეპისკოპოსები „ასტრახანისა და კავკასიის" არქიელის სტატუსის მატარებლები იყვნენ და ეს ფაქტი არც შემთხვევითი ყოფილა, რამეთუ რუსეთის ცენტრისაკენ მიმავალ ამ ჭიშკარ-ქალაქში საჭირო იყო ისეთი გამოცდილი სასულიერო პირების მოღვაწეობა, რომელთაც დიპლომატიური ალღო გააჩნდათ.

რუსულ ისტორიოგრაფიაში ფართო ადგილი უკავია ქართველი სამღვდელოების პირთა რუსულ ეკლესიაში მოღვაწეობის ისტორიას. მათ შორის გამორჩეულია ისევ გაიოზ არქიმანდრიტი, რომლის სახელსაც უკავშირდება ჩრდილო კავკასიაში ეკლესია-მონასტრების სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება (11, 7-8).

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ქართველი სამღვდელოება ჩრდილო კავკასიაში თავმოყრილი სამხრეთ კავკასიელთა შემაერთებელი რგოლიც იყო და მათი ერთგვარი შუამავალი და მარეგულირებელი მათსა და რუსეთის სამეფო კარს შორის. მათი ძალისხმევით ჩრდილო კავკასიის ქალაქებში ამოქმედდა სომხური და ქართული სასწავლებლები ამიერკავკასიის ლტოლვილი მოსახლეობისათვის. (241, 78; 194, 16). კრემენჩუგსა და მოზდოკში გაიხსნა ქართული სტამბები, სადაც ქართული წიგნები იბეჭდებოდა (360, §172, 199, 1061).

რუსული ხელისუფლების კავკასიაში დამკვიდრებასთან ერთად, საქართველოს როლი ჩრდილო კავკასიათან ურთიერთობაში გაიზარდა და ხშირ შემთხვევაში ქართული ენა რუს მოხელეთაგან საურთიერთო გახდა. ქართული ენის შეღწევა კავკასიელ მთიელთა ლექსიკაში განპირობებული იყო ქართველი მისიონერების მოღვაწეობითაც მთაში —

„მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე ჩრდილო ოსეთში გვხვდებიან ქართულის მცოდნე პირები, რომლებიც ხშირ შეთხვევაში რუსეთთან ურთიერთობაში და სხვა საქმიან მიმოწერაში ქართული დამწერლობით სარგებლობდნენ. მისიონერების აღზრდილი მოწაფეები რიგ ადგილებში მღვდლებად და დიაკვნებად მუშაობდნენ" (39, 29-30) „...ანწუხელებმა და კაპუჭელებმა კახეთთან უწყვეტი ურთიერთობის გამო კარგად იციან ქართული ენა" (39, 32) – აღნიშნავდა ი. ნორდენსტამი დაღესტნის ერთ-ერთი აულის მოსახლეობის აღწერისას.

ამრიგად, ქართული კულტურის გავლენა კავკასიის მოსახლეობაზე ისტორიის მთელი მსვლელობის მანძილზე განუზომლად დიდი იყო, რაც ხელს უწყობდა საერთოკავკასიური კულტურული ცხოვრების წინსვლა-აღმავლობას. საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ამ მხრივ ცნობილი კავკასიოლოგი და ქართველოლოგი მარი ბროსე – „...თუ უნდა ვიმსჯელოთ რომელიმე ქვეყნის კულტურული განვითარების დონეზე ლიტერატურული სტატისტიკის მიხედვით, უპირველეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ საქართველო, რომლის ლიტერატურა დაფუძნებულია პოეზიასა და ისტორიაზე და, რომლებმაც დაიპყრეს კავკასიის ყველა მწვერვალი" (265, 274-300).

ამრიგად, მრავალი საუკუნის მანძილზე, კავკასიის ბედს საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველო განსაზღვრავდა, რაც დასტურდება ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში კავკასიის ხალხების სტრატეგიული კურსის გატარებაში საქართველოს ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის გათვალისწინება. აღნიშნული გარემოება არც კავკასიით დაინტერესებულ სახელმწიფოებს გამოჰპარვიათ, რის გამოც ისინი ოდითგან პრიორიტეტულ მნიშვ-

ნელობას ანიჭებდნენ საქართველოს ფაქტორს. ასევე ინტერესებით მოქმედებდა კავკასიის დაპყრობის რუსული ვარიანტიც, რომლისადმიც დაპირისპირებულ მხარეებს (თურქეთი, ირანი ქ.პ.) XIX საუკუნეში კარგად ჰქონდათ გააზრებული საქართველოს ადგილი კავკასიის ათვისების საქმეში.

კავკასიით დაინტერესებული მოწინააღმდეგე მხარეები განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ორიენტაციით და თუ XIX საუკუნემდე მათდამი ვასალური დამოკიდებულებით კმაყოფილდებოდნენ, შემდგომ პერიოდში მასზე აგრესიული პოლიტიკის განხორციელებას აწარმოებდნენ. რუსეთის იმპერიისათვის აღნიშნული საკითხის გასაღები საქართველოში იყო, რომლის შეუმჩნეველმა ანექსიამ (გეორგიევსკის ტრაქტატი – 1783წ.) დასაბამი დაუდო კავკასიის ჩრდილო ნაწილში რუსეთის პოლიტიკური დამკვიდრების პროცესს. საქართველოს ფაქტორს გადამწყვეტი ფუნქცია ეკისრებოდა რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკაში. მისი ათვისებით დასაბამი მიეცემოდა ოსმალეთის პრეტენზიების სამუდამო აღკვეთას სამხრეთ კავკასიის მიმართ, ხოლო საქართველოს სამხედრო გზაზე, უფლების მოპოვებას. ამასთან, რუსეთის კავკასიაში მტკიცე პოზიციების დადგინებას უწყობდა ხელს. ამ ფაქტმა უდიდესი ზემოქმედება იქონია რეგიონში. ამის შემდგომ, სტრატეგიულ და პოლიტიკურ მდგომარეობაში განსაკუთრებით გააქტიურდა რუსეთის პოლიტიკა ამიერკავკასიაში და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, რომლისადმიც პრეტენზიები ოდითგან გააჩნდა ირანის შაჰის ხელისუფლებას.

საქართველოსათვის ბრძოლა რუსეთ-ირან-თურქეთს შორის მთელი XIX საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა. სწორედ მის კუთვნილებას უნდა გადაეწყვიტა ორივე მხარისათვის მთლიანად კავკასიის კუთვნილების საკითხი.

რუსეთის საგარეო ურთიერთობის მსგავსად, რუსეთის ხელისუფლებას ეკონომიკაშიც ესაჭიროებოდა კავკასიის იმ ქვეყნის პრეროგატიულობის აღიარება, რომელსაც იმპერიის საერთაშორისო და შიდაიმპერიულ სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში განსაკუთრებულად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნდა. ასეთ ქვეყნად კი რუსეთისათვის საქართველო მოიაზრებოდა. ამ უკანასკნელის მეშვეობით უნდა შექმნილიყო საერთო კავკასიური ეკონომიკური სივრცე, ხოლო თავად მხარე კი, როგორც განაპირა რეგიონი იმპერიის საერთო ეკონომიკის ქვაკუთხედად ჩამოყალიბებულიყო.

XIX საუკუნის მანძილზე მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები ბუნებრივ არეკლას ჰპოვებდა კავკასიის მოსახლეობის კულტურაზეც. ისტორიულად, კულტურის განვითარების მაღალ დონეზე მდგომი საქართველოს როლი კიდევ უფრო იზრდებოდა და ის კულტურული კავშირების გაღრმავებით რაზმავდა მთელს კავკასიას გარე კულტურულ-პოლიტიკური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

XIX საუკუნეში კავკასიის ხალხების კულტურული განვითარების საქმეში განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნდა კავკასიის ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს — თბილისს. აქ ერთმანეთს ერწყმოდა აღმოსავლური და დასავლური კულტურის მიღწევები, საიდანაც ის განივრცობოდა კავკასიის ეთნოსთა შორის. საქართველო, კავკასიის ხალხების კულტურისა და რუსეთ-ევროპის კულტურათა ურთიერთზიარება-დაახლოების აქტიურ რგოლად იქცა.

აღნიშნულის შედეგად, კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი შეიძინა კავკასიის ხალხების კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთთანამშრომლობამ, რაც ბუნებრივია, ხელს უწყობდა მათი კულტურების ურთიერთგამდიდრება-

დაახლოების საქმეს. ასეთი მიმართულების პროცესები რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის ინტერესებში არ თავსდებოდა და საქართველოს კულტურის მოღვაწეთა საქმიანობა სერიოზულად აბრკოლებდა რუსეთის პოლიტიკური კურსის განხორციელებას კავკასიაში. აქედან გამომდინარე, იმპერიის ხელისუფლება ერთის მხრივ, ცდილობდა საქართველოს გადაგვარებული კულტურის (გარუსებული, ეროვნულ თვითმყოფადობას ჩამოშორებული კულტურა – ქ.პ.) მეშვეობით სრულიად კავკასიის კულტურულ ექსპანსიას და მეორეს მხრივ, მთელი ძალისხმევით ებრძოდა ქართული კულტურის ელემენტთა დანერგვის საქმეს კავკასიის სხვა ეთნოსებს შორის.

კავკასიის კულტურული ექსპანსიის პოლიტიკაში რუსეთმა ჩართო თვითმპყრობელობის სანდო და მისი ერთგული რუსული ეკლესია, რომელსაც იმპერიის პოლიტიკა კავკასიური უჯრედის – საქართველოს საეგზარქოსოს მეშვეობით უნდა განეხორციელებინა. ამ შემთხვევაში, წამყვანი დატვირთვა კავკასიის ერთადერთ მართლმადიდებელ ქვეყანას – საქართველოს დაეკისრა. საამისოდ კი, მისი ეკლესია გადაგვარებულ, რუსული ყაიდის ეკლესიად უნდა ჩამოყალიბებულიყო.

რუსეთის იმპერიის იდეოლოგიური ბერკეტის – მართლმადიდებლური ქრისტიანობის სრულიად კავკასიაში დამკვიდრება თავისთავად ნიშნავდა ამ მხარეში იმპერიის იდეოლოგიურ გამარჯვებას. აღნიშნული კარგად ჰქონდა გააზრებული იმპერიის ხელისუფლებას და, რადგან კავკასიის მრავალსარწმუნოებამატარებელ მოსახლეობასთან საქართველო ისტორიულად არეგულირებდა ურთიერთობას, ბუნებრივია, ხელისუფლება ქართული ეკლესიისა და მისი სასულიერო კრებულის ავტორიტეტს მთიელებში აქტიურად იყენებდა.

# თავი მერვე
# საქართველო და „ახალი რუსეთის" კავკასიური საეკლესიო გლობალიზაცია (1918-1921 წწ.)

თითქმის საუკუნის მანძილზე მიმდინარე რევოლუციურმა სიტუაციებმა, განხორციელება 1917 წლიდან დაიწყო. ამ წლის მანძილზე, რუსეთის ძლევამოსილმა იმპერიამ კრიზისის კულმინაციას მიაღწია და მან თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგად, სამეფო ტახტის დამხობით არსებობა შეწყვიტა. ამავდროულად, ამ უკანასკნელმა საფუძველი დაუდო სრულიად განსხვავებული სახელმწიფოებრივი სისტემის მშენებლობას, რომელიც იმავე იმპერიულ პრინციპებს ითვალისწინებდა და, რომელიც საბოლოოდ სახელმწიფოებრივი კრიზისით დასრულდა.

რევოლუციის განხორციელებისთანავე, რუსეთში დროებითი მმართველობის მთავრობა ამუშავდა ერთობ ორიგინალურ ვითარებაში, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ დროებითი ხელისუფლება ატარებდა იურიდიულ სტატუსს, ხოლო ჯარი ექვემდებარებოდა რევოლუციის შედეგად აღმოცენებულ სახელისუფლებო ორგანოებს — ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოებს. ორივე ხელისუფლებას ერთხელისუფლებიანობის მიღწევისათვის სერიოზული ნაკლი გააჩნდათ: დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას არ შესწევდა უნარი დეპუტატთა საბჭოების განადგურებისა, ხოლო საბჭოები კი კარგად იაზრებდნენ თავის უუნარობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებაში (23, 74-75). ამრიგად, რუსეთს უხდებოდა ორხელისუფლებიანობის პირობებში არსებობა.

ზემოაღნიშნულის გარდა, მონარქიის დამხობამ, რუსეთის იმპერიულ სტრუქტურას სხვა მრავალი პრობლემაც შეუქმნა — იმპერია დაშლის რეალური ფაქტის წინაშე

დაიდგა, რადგან მასში იძულებით გაერთიანებულ ერებს თვითგამორკვევისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესაძლებლობა შეექმნათ.

რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა თავისი ხასიათით კონტრრევოლუციური აღმოჩნდა. მის ინტერესებში არ შედიოდა იმპერიის მიერ დაპყრობილი ხალხებისათვის თავისუფლების მინიჭება. მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, რუსეთის ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა მაქსიმალურად ცდილობდა ახლებური მეთოდ-ხერხებით შეენარჩუნებინა დაპყრობილი ტერიტორიები და მის მოსახლეობაზე ძალაუფლება — „რუსეთის დროებით მთავრობას არაფერი გაუკეთებია ერთა ნაციონალური საკითხის გადასაჭრელად. იგი კვლავ იცავდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" ცარიზმისდროინდელ პრინციპებს" (9, 205).

რუსეთის დროებითი მთავრობის საქმიანობამ ცხადჰყო, რომ ე.წ. „ახალი რუსეთის" მიზანი იყო უკვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოში შემუშავებულიყო მმართველობისა და ბატონობის ისეთი ფორმები, რაც ხელს შეუწყობდა ყოფილი იმპერიის რესტავრაციას ახალი ელფერით. ამგვარი მიმართულებით რუსული პოლიტიკის წარმართვამ შედეგად მოიტანა ყოფილი იმპერიის ხალხებს არა ეროვნული თავისუფლება, არამედ ჩაგვრის ძველი, უხეში მეთოდების შეცვლა ახალი, უფრო დახვეწილი, მოქნილი და ვერაგული ფორმებით (66, 260-266). მიუხედავად აღნიშნულისა, ყოფილი იმპერიის განაპირა რაიონებში სისტემატიური ხასიათი შეიძინა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციამ ნაციონალური თავისუფლებისათვის. სხვა ხალხების გვერდით, განსაკუთრებული აქტიურობით კავკასიელები გამოირჩეოდნენ საქართველოში პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო"; აზერბაიჯანში — იმძლავრა ეროვნულმა პარტიამ „მუსავატმა",

კავკასიელთა შორის აქტიურად იხილებოდა საკითხი მათი შესვლის ფორმაზე რუსეთში: ფედერაციული ერთეულის, ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის, თუ კონფედერაციის საწყისებზე. ნიშანდობლივია, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მხარი დაუჭირა ერთა თვითგამორკვევის საკითხს სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობამდე. რაც შეეხება დროებით მთავრობას, მან რადიკალურად საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა, რამეთუ მიაჩნდა, რომ რუსეთის იმპერიული პრინციპების უარყოფა მხოლოდ რუსეთის დეცენტრალიზაციას გამოიწვევდა (33, 145).

ასეთ გარემოებაში, რუსეთის სახელმწიფო დაშლის რეალური ფაქტის წინაშე დადგა, რამეთუ მისი ხელისუფლების წინააღმდეგობრიობა სულ უფრო აძლიერებდა ჩაგრული ერების მიზანმიმართულ მოძრაობას თავისუფლებისაკენ. მათ შორის სამხრეთ კავკასიის ეთნოსებს: ქართველებს, სომხებს და აზერბაიჯანელებს აღარ აკმაყოფილებდათ რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიური უფლება. მიმდინარე ვითარებამ მოამწიფა სამხრეთ კავკასიის ხალხების გადაწყვეტილება და მათი არჩევანი შეჩერდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნაზე, რაც რუსეთისაგან გამიჯვნის ობიექტურ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. მანამდე კი, 1917 წელს 15 ნოემბრიდან თბილისში მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის კომისარიატმა (34, 43). ამ უკანასკნელმა, ფაქტიურად რუსული კანონიერი ხელისუფლების (დროებითი მთავრობა) აღდგენამდე მმართველობის ფუნქცია იტვირთა სამხრეთ კავკასიაში. აღნიშნულის შედეგად, ორი მიზანი ერთდროულად განხორციელდა: 1) ამიერკავკასია არ გამოეყო რუსეთს; 2) გაემიჯნა ბოლშევიკების ხელისუფლებას.

როგორც ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უმაღლესი ორგანო და რუსეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენლობითი დაწესებულება რეგიონში, ის უშუა-

ლიდ დროებით ხელისუფლებას ექვემდებარებოდა და მისი პოლიტიკის გამტარებელი იყო სამხრეთ კავკასიაში. აღნიშნული კი იმის დასტურია, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი ცარიზმისდროინდელი მეფისნაცვლობის ინსტიტუტის მსგავსად, რუსეთის ნების აღმსრულებელი ორგანო იყო.

ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიები ამხელდნენ განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკოვი) მისიას კავკასიაში — „ოზიაკომმა არა თუ ხელუხლებელი დატოვა მეფისდროინდელი დაწესებულებები, არამედ ძველ ბიუროკრატიულ მექანიზმს კიდევ ახალი დაუმატა და საქმე არივდარია. იმის მაგიერ, რომ განეხორციელებინათ ფართო ერთობა, შექმნეს აღმასრულებელი კომიტეტები. ყველა ესენი სტროგატები იყვნენ დროებითი ხასიათისა" — აღნიშნავდა საქართველოს მენშევიკური პარტიის გაზეთი „ერთობა" (313, 2).

1918 წლის დასაწყისიდან რუსეთში ვითარება რადიკალურად შეიცვალა, რისი მიზეზიც ნაწილობრივ საძიებელია დროებით მთავრობის უუნარობაში. რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შესაძლებლობა სულ უფრო მცირდებოდა. 1918 წლის იანვარში რუსეთში მომძლავრებულმა საბჭოთა ძალებმა ამიერკავკასიის ოკუპაცია სცადეს. რუსეთის მხარიდან დემოკრატიული პოლიტიკის მომლოდინე ამიერკავკასიის ხალხები რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ და რუსეთის მთავრობის თანადგომის იმედი დაჰკარგეს. აღნიშნულ გარემოებაში, ამიერკავკასიის კომისარიატი იძულებული გახდა ახალი პოლიტიკური კურსი შეემუშავებინა. 1918 წლის 22 იანვარს შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც იმავე წლის 9 აპრილს გამოაცხადა ახალი, ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. აღნიშნული ფაქტით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფის ფაქტის კონსტატაცია მოახდინეს (34, 44),

მაგრამ ამ უკანასკნელმა, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა არ ცნო (34,45).

რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენება სერიოზულ დაბრკოლებად იქცა რუსეთის ახალი ხელისუფლებისათვის (საბჭოთა იმპერიის შექმნის პროცესისათვის — ქ.პ.). აღნიშნულმა პროცესმა განსაკუთრებულად აქტიური ხასიათი შეიძინა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის (1918 წ. 3 მარტი) შემდეგ. რუსეთის ხელისუფლებას ამ მხრივ, სირთულეები შეექმნა ჩრდილო კავკასიაშიც, სადაც მაჰმადიანი მრწამსის მოსახლეობა სჭარბობდა სხვა აღმსარებლობის ხალხებს. ასეთ შემთხვევაში, ყოფილი იმპერიის განაპირა მხარეებში მცხოვრები რუსების საპროტესტო მოძრაობა დაიწყო, რაც საბჭოთა ხელისუფლების მიერ იყო პროვოცირებული. მოძრაობის აქტივისტები იყვნენ რუსი სამღვდელოება და ოფიცრები.

მოგვიანებით, ორივე ფენის ამბიციები აშკარა გახდა: ერთნი ისწრაფოდნენ კავკასიაში ახალი სასულიერო ორგანოს დაარსებისათვის, მეორენი კი — სამოქალაქო ომის მეშვეობით, „ახალი რუსეთის", ბურჟუაზიული სახელმწიფოს გამარჯვებას. აღნიშნული მოძრაობა განსაკუთრებით აქტიური იყო აზერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიაში (33; 146-147).

1917 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ჩრდილო კავკასია რუსეთის შიდა ძალების (ბოლშევიკები და თეთრგვარდიელები) დაპირისპირების ასპარეზად იქცა. ურთიერთანტაგონისტური ძალები ისწრაფოდნენ ჩრდილო კავკასიაში თავიანთი ხელისუფლების დამკვიდრებისათვის და 1919-1920 წლების მანძილზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ წითელარმიელები და თეთრგვარდიელები. კავკასიის მთიელი მოსახლეობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. აღნიშნულ გარემოებაში, მთიელთა პირველ ამო-

ცასად წამოიჭრა დამოუკიდებლობის მოპოვება, რომლის აღსრულებას სერიოზული დაბრკოლებები ახლდა – «Горские народы поставлены были трагическое положение. Их счастье заключалось бы в том, если бы им была дана возможность полного свободного национального самоопределения. Очевидно судьбе это не угодно было» – აღნიშნავდა გაზეთი „ვოლნი გორეცი" («Вольный Горец»). (327, 2).

რუსული ძალების ძალმომრეობითი პოლიტიკა ჩრდილოი კავკასიაში საფრთხეს უქადდა სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებლობის გზაზე მდგომ რესპუბლიკებს. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა ეხებოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამ უკანასკნელის საზღვრები ემიჯნებოდა ჩრდილო კავკასიას, სადაც განუკითხავი ქაოსი სუფევდა. როგორც თეთრგვარდიელები, ისე ბოლშევიკები მოიწევდნენ საქართველოსაკენ, რათა მისი გავლით სამხრეთ კავკასიაში შეეღწიათ. ასეთ გარემოებაში, საქართველოსა და კავკასიის მთიელთა ძირითადი ამოცანა გახდა რუსეთის ძალების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა, რათა გადაერჩინათ ეროვნული თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობა. იმიერ და ამიერკავკასიის ურთიერთობები და ურთიერთდახმარება გამოიხატებოდა იარაღის მიწოდებით, ჯარით და ა.შ. 1920 წელს ქართული არმიის შესვლას ინგუშეთსა და დაღესტანში ადგილობრივი მოსახლეობა სიხარულით შეხვდა: «к начальнику прузинского отряда генералу Кереселидзе в Баку прибыл представитель от Совета обороны республика Северного Кавказа с целью узнав, какие причины задерживают грузинский отряд от виступления на территорию Дагестана. Представитель заявил, что совет оборонных хочет, чтобы отряд скорей прибыл на место назначения и что Дагестан ждёт братской помоши Грузии» (327, 3; 92, 12-13).

ამრიგად, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში 1918-1921 წლებში განვითარებული მოვლენები ცხადჰყოფენ, რომ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად რუსეთის ყოფილ იმპერიაში წარმოშობილი ბოლშევიკური ძალები და დროებითი მთავრობა, შემდგომ, თეთრგვარდიელები „ახალი რუსეთის" საზღვრებში მოიაზრებდნენ ერთიან გლობალურ კავკასიას, რომლის განხორციელებასაც სხვადასხვა გზებით ცდილობდნენ; ბოლშევიკური ძალები: პროვოკაციებით, კავკასიის რუსი მოსახლეობის მოძრაობით და ა.შ. რუსეთის დროებითი მთავრობა: ცარიზმისდროინდელი ინსტიტუტების ამოქმედებით, რომელთაც მხოლოდ სახელწოდება ჰქონდათ შეცვლილი; თეთრგვარდიელები: სამხედრო ოპერაციებით კავკასიაში. ყველა ზემონახსენებ ძალას კავკასიის გლობალიზაციის პროექტის თავისებური ხედვა გააჩნდა და მის გაერთიანებაში ჰეგემონობის ამბიცია ამოძრავებდა.

თავის მხრივ, კავკასიის მოსახლეობაც ცდილობდა გაერთიანების მიღწევას გარე ძალის წინააღმდეგ ბრძოლაში. შიდა კავკასიურ გაერთიანებაში კავკასიელი ხალხები ჰეგემონად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მოიაზრებდნენ. ისევე, როგორც ისტორიულ წარსულში, 1918-1921 წლებშიც საქართველო წამყვან როლს ასრულებდა საერთო კავკასიურ ცხოვრებაში. ის რუსეთისა და თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ ცდილობდა სრულიად კავკასიის დარაზმვას, პარალელურად, საკუთარ პოლიტიკას უსადაგებდა კავკასიური ეთნოსების დამოუკიდებლობას. კავკასიელი ხალხები სრულ ნდობას უცხადებდნენ საქართველოს ხელისუფლებას და ღრმად სწამდათ, რომ საერთო კავკასიური პოლიტიკის შემუშავების ისტო-

რული ფუნქცია საქართველოს ჰქონდა და, მხოლოდ მას კავკასიის წინამძღოლის როლის აღდგენით შეეძლო კავკასიაში არსებული პრობლემატური საკითხების მოგვარება (93, 40-41).

ამრიგად, 1918-1921 წლებში კავკასიის გლობალიზაციისათვის ერთდროულად მეცადინეობდა ორი ძალა: გარე და შიდაკავკასიური ძალები. თავის მხრივ, მათ ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ინტერესები ამოძრავებდათ: ერთნი კავკასიური გლობალიზაციით დაინტერესებულნი იყვნენ იმდენად, რამდენადაც მას თავიანთი სახელმწიფოებრივ საზღვრებში მოიაზრებდნენ; მეორენი კი — შიდაკავკასიური ძალები, გაერთიანებისაკენ მიისწრაფოდნენ დამპყრობლური ძალების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის. ნიშანდობლივია, რომ კავკასიური გლობალიზაციის მოსურნე გარე ძალა თავის მხრივ, ერთმანეთისაგან განსხვავებული კერძო ინტერესებით მოქმედებდა: რუსეთის ბოლშევიკური, თეთრგვარდიული ძალები და თურქეთის სახელმწიფო. ისინი ურთიერთშორისი დაპირისპირებით და ნაირგვარი მეთოდით ცდილობდნენ კავკასიაში სრული გაბატონების მიღწევას. ყველა ძალისათვის მისაღები იყო მხოლოდ ერთიანი, გლობალური კავკასია თავის სახელმწიფოს საზღვრებში.

პოლიტიკური გლობალიზაციის გვერდით, გარე ძალების ინტერესის საგანს რელიგიური გლობალიზაცია წარმოადგენდა; თუ თურქეთის სახელმწიფოსათვის ამ მხრივ სამოქმედო ასპარეზი ჩრდილო კავკასიის მუსულმანი მოსახლეობა იყო, რუსეთისათვის საეკლესიო გლობალიზაციის გააქტიურებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა

სამხრეთ კავკასიაში. მიუხედავად, საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებისა, რუსეთის ხელისუფლება კავკასიაში საეკლესიო ძალაუფლების შენარჩუნებაში მაინც არ ჰკარგავდა იმედს და მიზანმიმართულად ილვწოდა კავკასიური საეკლესიო გლობალიზაციის მიღწევისათვის ახალი საეკლესიო უჯრედის დადგინებით. ამ უკანასკნელს, საეკლესიო სულიერების კუთხით უნდა განეხორციელებინა კავკასიის ეთნოსთა ასიმილაცია და მათი მომზადება „ახალ რუსეთში" შერწყმისათვის. რაც შეეხება შიდაკავკასიურრელიგიურ გლობალიზაციას, ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია და, რამეთუ ჩვენი კვლევის ობიექტი რუსული საეკლესიო კავკასიური გლობალიზაციის ფაქტორია, ამდენად, ამ უკანასკნელზე მოვახდენთ აქცენტირებას.

კავკასიის საეკლესიო გლობალიზაციის პოლიტიკის განხორციელებას რუსეთი სახელმწიფო გადატრიალების დღიდან (1917 წლის თებერვალი – ქ. პ.) შეუდგა და ამ საქმეში თვითმპყრობელური ხელისუფლების მსგავსად ჩართო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უჯრედი – საქართველოს საეგზარქოსო.

რუსეთის თებერვლის რევოლუცია დიდმნიშვნელოვანი მოვლენა აღმოჩნდა როგორც რუსული ბურჟუაზიისათვის, ისე რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. ეს უკანასკნელი იმედოვნებდა, რომ „ახალი რუსეთის" ხელისუფლება დაიცავდა ეკლესიას რევოლუციური აგრესიისაგან, დაუბრუნებდა მას დაკარგულ, გარევოლუციონერებულ მრევლს, გაანთავისუფლებდა სახელმწიფო ბიუროკრატიისაგან და დაუბრუნებდა საუკუნენახევარ დაკარგულ პატრიარქობის ინსტიტუტს.

რუსეთის ეკლესიის თანადგომას მიჩვეულმა ქართველმა სამღვდელოებამ თამამად მიმართა საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლებას ავტოკეფალიის აღიარების შუამდგომლობისათვის უწმინდესი სინოდის წინაშე. პირველად, სწორედ ამ მოვლენამ გამოამზეურა რუსეთის ეკლესიის რეალური ინტერესები კავკასიისადმი, „ახალი რუსეთის" დროებითი მთავრობის თანამშრომლობა რუსეთის ეკლესიასთან და მათი ერთობლივი გეგმები კავკასიასთან მიმართებაში. საქართველოს საეგზარქოსო ფრთხილი პოლიტიკით რუსეთის ახალ მთავრობასთან შეთანხმებით მოქმედებდა. რუსეთის საეკლესიო უჯრედის მისია გახდა ახალ სახელმწიფოში მმართველობა-ბატონობის ახლებური მეთოდებისა და ხერხების შემუშავება, რაც კავკასიას პოლიტიკურად შეუნარჩუნებდა რუსეთს, ხოლო რუსეთის ეკლესიას კი კავკასიაზე საეკლესიო ბატონობას. ამრიგად, ორივე ორგანიზაციას როგორც სამოქალაქოს, ისე სასულიეროს საერთო ინტერესები ამოძრავებდათ და ურთიერთთანამშრომლობით მიზანმიმართულად ისწრაფოდნენ კავკასიის „ახალი რუსეთის" საზღვრებში მოქცევისათვის.

საქართველოს საზოგადოებრიობამ იმთავითვე აუღო ალღო ახალი რუსეთის პოლიტიკას და გამოწვევას უპასუხა საქართველოს ეკლესიის თვითმოწესეობის „თვითნებური" აღიარებით (1917 წლიე 12 მარტი) და ეს მოვლენა უმნიშვნელოვანეს ფაქტად აქცია საქართველოს ისტორიაში; ამავდროულად მან აშკარა ბრძოლა გამოუცხადა კავკასიაში რუსულ საეკლესიო გლობალიზაციის პროექტსაც.

ქართველი სამღვდელოება რუსეთის სინოდთან ურთიერთობის დარეგულირებას ამიერკავკასიის კომისარიატისაგან ითხოვდა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას ელოდა რუსეთის ეკლესიის მხრიდან. კომისარიატის გადაწყვეტილებამ დაადასტურა მისი თანამშრომლობა რუსეთის დროებით მთავრობასთან და ქართველი სამღვდელოების მოთხოვნა გაურკვეველი დროით გადადო.

1917 წლის 27 მარტს რუსეთის დროებითმა მთავრობამ და უწმინდესმა სინოდმა განიხილეს საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი და ცნეს მისი ეროვნული ხასიათი ტერიტორიული იურისდიქციის განსაზღვრის გარეშე. ამ გადაწყვეტილებას უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორმა შემდეგი ახსნა მოუძებნა: „საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია ხელუხლებელი არ იქნება, ვინაიდან ვერ შევთანხმდებით. რუსები უარს ამბობენ დაემორჩილონ თქვენს კათალიკოსს, ბერძნები ავტონომიურ ეპისკოპოსს ითხოვდნენ, აფხაზები უეპისკოპოსო ავტონომიას, რომლებიც ზოგი თქვენსკენ იწევს, ზოგიც რუსებისაკენ, სულ სხვა საქმეა კულტურულ-ნაციონალური ავტონომია“ (31, 14-15). ამ ფაქტით, რუსეთის დროებითი მთავრობა ორი დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობას აკანონებდა კავკასიაში, რაც აშკარა დარღვევა იყო მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობისა. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების ასეთი აგრესია ბუნებრივი რეაქცია იყო რუსული ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებდა არა თუ შეზღუდვას რუსული ეკლესიის უფლებებისა კავკასიაში, არამედ ამ უფლებათა განმტკიცებით საერთო პოლიტიკური მიზნების განხორციელებას სრულიად კავკა-

სის მასშტაბით. აღნიშნულით იყო განპირობებული, რომ დროებითი მთავრობა უდიდეს ანგარიშს უწევდა უწმინდესი სინოდის მოთხოვნებს და რუსულ საეკლესიო საკითხს კავკასიაში მის სასარგებლოდ წყვეტდა. დასახელებულმა ინტერესებმა რეალიზება ჰპოვა კავკასიის საეგზარქოსოს შექმნაში. ამ უკანასკნელის მეშვეობით რუსეთის ეკლესია თავის გავლენას შეინარჩუნებდა კავკასიაში და იქ „ახალი რუსეთის" ბატონობის სრული გარანტი გახდებოდა.

კავკასიის რუსული საეკლესიო გლობალიზაციისათვის, დროებითი ხელისუფლება „ახალი რუსეთის" სამოქალაქო მმართველობის შესატყვის საეკლესიო მმართველობის დადგინების გზებს ეძებდა. ახალ საეკლესიო უჯრედს კავკასიაში ერთდროულად რამდენიმე ამოცანის გადაწყვეტა უნდა განეხორციელებინა: 1) დაეკმაყოფილებინა რუსული ეკლესიის ინტერესები, რაც მდგომარეობდა კავკასიაში რუსული ეკლესიის უფლებების შენარჩუნებაში; 2) რუსულ ეკლესიას მტკიცე საყრდენი უნდა შეექმნა „ახალი რუსეთის" გაბატონებისათვის კავკასიაში; 3) რუსულ საეკლესიო უჯრედს კავკასიაში შეესრულებინა ბურჟუაზიული რუსეთის იდეოლოგიური სამსახური და მისი პოლიტიკის გამტარებელი ყოფილიყო; 4) ფაქტობრივად, კავკასიის ახალი საეკლესიო უჯრედი თავისი შინაარსით არ უნდა განსხვავებულიყო მეფის რუსეთის დროინდელი საქართველოს საეგზარქოსოსაგან; სხვაობა მხოლოდ მუშაობის მეთოდებითა და ხერხებით უნდა გამოვლენილიყო.

კავკასიის ახალ საეკლესიო ორგანიზაციას ეწოდა კავკასიის საეგზარქოსო. მისი მმართველობის იურისდიქცია უნდა განვრცობილიყო კავკასიის ყველა მართლმადიდებელ

ეთნოსზე ქართველთა გამოკლებით, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ საეგზარქოსო აღნიშნულ გარემოებას დაკმაყოფილდებოდა. მისი მთავარი ამოცანა იყო ქართული ეკლესიის აღდგენილი ავტოკეფალიის ჩამორთმევა და, რაც მთავარია, კავკასიის მაჰმადიანი და წარმართული მოსახლეობის მოქცევა, მათი რუსული ეკლესიის დაქვემდებარებაში ჩაყენება. მხოლოდ ამ პროგრამის მეშვეობით იქნებოდა შესაძლებელი ერთიანი კავკასიის ფორმირება ბურჟუაზიული რუსეთის სახელმწიფო საზღვრებში.

მანამდე კი, კავკასიაში შექმნილი რთული გარემოების გამო ჯერ კიდევ მეტ-ნაკლები აქტიურობით მოქმედ საქართველოს საეგზარქოსოს უკიდურესად მძიმე ჟამი დაუდგა, ფაქტობრივად, მისი მდგომარეობა ტრაგიკული შეიქნა. საეგზარქოსოს ხელისუფლება დამოუკიდებლად ვერ ახერხებდა არსებობის შენარჩუნებას და დახმარებისათვის დროებით მთავრობასა და უწმინდესი სინოდის ხელისუფლებას მიმართავდა. რუსეთში შექმნილი ქაოსი, შიდა ძალებს შორის მიმდინარე დაპირისპირებანი და ძალაუფლებისათვის ბრძოლა, დროებით ხელისუფლებას არ აძლევდა მოცლას კავკასიის საკითხისათვის. აღნიშნული კი, რუს სამღვდელოებას კავკასიაში ხელისუფლებისაგან უყურადღებო მდგომარეობაში აყენებდა. ცენტრის ასეთი დამოკიდებულება უკიდურესად აშფოთებდა საეგზარქოსოს ხელისუფლებას და ის კავკასიაში რუსული გავლენის შესუსტებაში ბრალს დროებით მთავრობასა და უწმინდეს სინოდს სდებდა — „...უწმინდეს სინოდს, რომ თავის დროზე თავისი ავტორიტეტული სიტყვა ეთქვა კავკასიის საეკლესიო ცხოვრებაზე და ამასთან დაკავშირებით გაეტარებინა შესატყვი-

სი ღონისძიებები და მხოლოდ დროებითი მთავრობა არ დაეყენებინა პირისპირ ამ ანტიკაონონიკური მოვლენების წინაშე, მაშინ თავიდან აიცილებდა უსიამოვნო შედეგებს... ისტორია თავის დროზე გამოავლენს უწმინდესი სინოდის დუმილში დამნაშავეებს" (143, 27).

დროებითი მთავრობის მხრიდან გაგულისებულმა საეგზარქოსოს ხელისუფლებამ, დამოუკიდებლად დაიწყო თავის გადარჩენისა და სახელმწიფო მისიის აღსრულებისათვის ბრძოლა. 1917 წლის 22 მარტს კავკასიის რუსი სამღვდელოების კრებაზე გადაწყდა სრულიად რუსი სამღვდელოების კავკასიური გაერთიანების შექმნა. კრებამ დაადგინა:

1) კავკასიაში დაფუძნებულიყო რუსული ეკლესია რუსეთის უწმინდესი სინოდის დაქვემდებარებაში;

2) კავკასიის საეკლესიო ორგანიზაციის საკითხის მოწყობის მიზნით, შექმნილიყო რუსი სამღვდელოებისა და მრევლის აღმასრულებელი კომიტეტი 12 წევრისაგან ეგზარქოს პლატონის თავმჯდომარეობით (418, 43).

კავკასიის რუსული საეკლესიო კრების გადაწყვეტილება კავკასიის კომისარიატის მთავრობამ უფლებამოსილად ცნო და აღნიშნული აცნო დროებით მთავრობასა და უწმინდეს სინოდს. მათ 1917 წლის 10 ივლისს №4423-ის დადგენილებით შეიმუშავეს კავკასიაში რუსული ეკლესიის დროებითი წესები, რომელიც ვრცელდებოდა თითქმის მთელს კავკასიაზე (თბილისის, ელიზავეტპოლის, ბაქოს, ერევნის, ქუთაისის და შავი ზღვისპირეთის გუბერნიები; ყარსის, ბათუმის, სოხუმის, ართვინის, ზაქათალის და იმ-

იერკასპიისპირეთის ოლქები). უწმინდესმა სინოდმა განაჩინა:

1) კავკასიის საეგზარქოსოს მრევლი უნდა ყოფილიყო რუსი და სხვა არაქართველი მოსახლეობა;

2) კავკასიის საეგზარქოსოს საკათედრო რეზიდენციად დადგინდა ქ. თბილისი;

3) კავკასიის ეგზარქოსმა მიიღო თბილისის მიტროპოლიტის ხარისხი;

4) საეგზარქოსოს ეპარქიები უნდა დაქვემდებარებოდა კავკასიის ეგზარქოსს და ა.შ.

უწმინდესი სინოდის განჩინება უპირობოდ დაამტკიცა რუსეთის დროებითმა მთავრობამ და დადგენილება კავკასიის ეგზარქოსს გაუგზავნა (411, 23269, 1; 412, 60358, 4).

ამრიგად, ფაქტია, რომ რუსეთის ხელისუფლება ისწრაფოდა კავკასიაში შეექმნა ისეთი რელიგიური პოლიტიკა, რომელიც იქაურ მოსახლეობას ახალი რუსეთის სანდო ელემენტად ჩამოაყალიბებდა. ნიშანდობლივია, რომ ამ რელიგიურ პოლიტიკაში მოიაზრებოდა პირველ ეტაპზე კავკასიის მთიელთათვის მაჰმადიანური ორგანოს შექმნა, რომელიც მოსახლეობაზე იმუშავებდა ბურჟუაზიული რუსეთის სასარგებლოდ.

კავკასიის საეგზაროქოსოს ხელისუფლებას დავალებათა სისრულეში მოყვანისათვის სათანადო სახსრები ესაჭიროებოდა, რომლით უზრუნველყოფის შესაძლებლობები ეპოქით შექმნილ რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ გარემოებათა გამო, რუსეთის დროებით მთავრობას არ გააჩნდა. აღნიშნულის გამო, საეგზაროქოსოს ხელისუფლება იძულე-

ბული გახდა თავად ეზრუნა საარსებო და მისიის აღსრულებისათვის საჭირო ფინანსებზე. საამისო გზა საქართველოს ეკლესიის ქონებისაკენ მიდიოდა, რაც რუსული და ქართული ეკლესიების ურთიერთდაპირისპირებას პრობლემად ჩამოაყალიბებდა.

მეფის რუსეთის საეკლესიო რეფორმის შედეგად, საქართველოს ეკლესია იმპერიის საერთო ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედად იქცა. საეკლესიო რეფორმამ საქართველოს ეკლესიას 150 მილიონი მანეთის ღირებულების ქონება დააკარგვინა და მიუხედავად ამისა, მისი უძრავი ქონებიდან ამონაგები სისტემატიურად მაინც შედიოდა რუსეთის სახელმწიფო ხაზინაში. საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალიის აღდგენისთანავე დააყენა ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხი, რამეთუ მის გარეშე ქართული ეკლესია დამოუკიდებლად არსებობას ვერ შეძლებდა და ისევ უწმინდეს სინოდზე დაქვემდებარებული დარჩებოდა. სწორედ აღნიშნულის წინააღმდეგ გამოდიოდა საეგზარქოსო, რამეთუ კარგად უწყოდა, რომ ეკონომიკური სახსრის გარეშე ეკლესია ვერ შეძლებდა არსებობას; ამასთან, კავკასიის სასულიერო ხელისუფლება დაინტერესებული იყო ქართული ეკლესიის ფინანსებით და მიიჩნევდა, რომ XIX საუკუნის მანძილზე საქართველოში შენარჩუნებული სასულიერო ორგანიზაცია რუსეთის სამეფოსა და წმინდა სინოდის დამსახურება იყო.

1917 წლის 27 მარტს რუსეთის კავკასიური საეგზარქოსოს წარმომადგენლობამ და ქართველმა სამღვდელოებამ კავკასიის კომისარიატს მოსთხოვა ეკლესიათა ქონების გაყოფის საკითხის შემსწავლელი კომისიის შედგენა, მა-

გრამ კომისარიატმა მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილა დროებით მთავრობასთან შეთანხმების გარეშე. ამ უკანასკნელს კი შიდა პრობლემების გამო კავკასიის სასულიერო მოწყობისათვის არ ეცალა. ამასობაში, ეკლესიათშორისმა დაპირისპირებამ უკიდურესად მწვავე ხასიათი შეიძინა. შექმნილი ვითარების განმუხტვის მიზნით, კომისარიატის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ქონების გამყოფი კომისია შეედგინა და რუსეთის დროებითი მთავრობისათვის ეცნობებინა — «...Участившияся последнее время недорозумения между русскими и грузинами по церковным делам настоятельно требуют немедленного разрешения вопросов по управлению церковью и по распределению церквей и монастырей между грузинами и русскими.

Видах устранения нежелательных осложнений ожидаемых эксцесов, прощу возможно скоро утревердить положение по управлению церковью и распределению церквей и монастырей между этими народностиями» (422, 62).

კავკასიის საეგზარქოსო ხელისუფლება უკმაყოფილებას გამოთქვამდა რუსეთის დროებითი მთავრობის, კავკსიის კომისარიატისა და უწმინდესი სინოდის წინაშე, რომ ისინი არ უწევდნენ დახმარებას საეგზარქოსო დაკისრებული ამოცანის გადაჭრაში.

1918 წლიდან საეკლესიო ქონების გაყოფის საკითხი ჩიხში შევიდა; საეკლესიო დაპირისპირებამ პოლიტიკური ხასიათი შეიძინა და კიდევ უფრო დაძაბა ვითარება ქვეყანაში. ამ საკითხში აქტიურად ჩაება საქართველოს ეროვ-

ნული საბჭოს კომიტეტი და გამყოფი კომისიის მუშაობაში ჩართო შინაგან საქმეთა სამინისტრო (419, 1).

საქართველოს ეროვნული საბჭოს კომიტეტის საეკლესიო საკითხით დაინტერესება განპირობებული იყო საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი მდგომარეობით, რომელშიც ჩართული აღმოჩნდა კავკასიაც. 1918 წლის მიწურულს მსოფლიო ომის პროცესში განსაკუთრებული დატვირთვა მიენიჭა ე.წ. სამხრეთის ფრონტს (184, 114). სოციალისტურ რუსეთზე შეტევა კონტრრევოლუციურ თეთრგვარდიელთა ძალებს სამხრეთ კავკასიიდან უნდა განეხორციელებინათ. აღნიშნული ძალა არ ცნობდა მეფის რუსეთიდან გასულ და დამოუკიდებლობის გზაზე მდგომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს და მათ „ახალი რუსეთის" საზღვრებში მოიაზრებდა (81, 623). რუსეთის კონტრრევოლუცია მწვავე ოპოზიციაში იყო საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან და მისგან ითხოვდა თეთრგვარდიული ძალაუფლების აღიარებას მეფის რუსეთის ძველ საზღვრებში რაზეც საქართველოს მხრიდან კატეგორიულ წინააღმდეგობას იღებდა.

დემოკრატიულ საქართველოს ერთდროულად დაუპირისპირდა ორი, ერთმანეთისადმი დაპირისპირებული იდეოლოგია: ბოლშევიკურ-სოციალისტური და თეთრგვარდიულ-კონტრრევოლუციური. ორივე იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა. ერთისათვის საქართველო მეფის რუსეთის დროინდელი გუბერნიით მოიაზრებოდა და მას ახალი, ბურჟუაზიული იმპერიის ნაწილად მიიჩნევდა, ხოლო მეორისათვის საქართველო საბჭოთა, მომავალი იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო. საქართველოს

დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლ ამ ორი ძალის გვერდით იდგა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო (ეკლესიისა და სარწმუნოების დევნა — ქ. პ.) ვერ ეგუებოდა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკას და მასთან მწვავე დაპირისპირებაში იყო. ასეთ შემთხვევაში, რუსეთის ეკლესია თანადგომას უცხადებდა კონტრრევოლუციურ ძალას. რუსული ეკლესიის ნდობას ბურჟუაზიული ხელისუფლებისადმი თავისი ობიექტური მიზეზებიც გააჩნდა. ეს უკანასკნელი კავკასიასა და მათ შორის საქართველოს ყოფილი მეფის რუსეთის საზღვრებში მოიაზრებდა და რუსეთის ეკლესიას თავისი იდეოლოგიის გამტარებლად მიიჩნევდა კავკასიაში. მას ამ მხარეში სრული ბატონობის გარანტიას აძლევდა. ხელისუფლებისათვის ერთგული სამსახურის სანაცვლოდ ეკლესია ითხოვდა პატრიარქობის ინსტიტუტის აღდგენას.

ამრიგად, 1918-1921 წლების მანძილზე, კავკასიასთან მიმართებაში, რუსეთის „ახალ სახელმწიფოში" კვლავინდებურად შედგა ხელისუფლებისა და ეკლესიის იერარქთა კავშირი იმპერიული ინტერესების განხორციელებისათვის (66, 173-134). ამ კავშირში ორივე მხარე სარგებლიან მდგომარეობაში იყო და ერთმანეთის ინტერესებს ავსებდა: ერთი — პოლიტიკური გაბატონებისათვის, ხოლო მეორე — სულიერი ძალაუფლების მოპოვებისათვის მეცადინეობდა. როგორც საერო, ისე საეკლესიო ხელმძღვანელობას ესაჭიროებოდა ერთმანეთის თანადგომა: საერო ხელისუფლება გარანტი იყო რუსული ეკლესიის უპრობლემო ბატონობისა კავკასიის რეგიონში, ხოლო ეკლესია კი „ახალი იმპერიის"

იდეოლოგიისა და პოლიტიკური ინტერესების დამცველ-გამტარებელი.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მმართველობისა და კავკასიაზე საბჭოთა ხელისუფლების მწვავე პოლიტიკის პირობებში ბუნებრივია, კავკასიის საეგზარქოსოს მოღვაწეობა ვერ იქნებოდა თანმიმდევრული. მას სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნიდა კავკასიის არასტაბილური, ფეთქებადი გარემოება. რუსეთის ეკლესიის ინტერესების რეალიზაციის ერთადერთი იმედი იყო თეთრგვარდიელთა მიზნები კავკასიისადმი. რუსეთის ეკლესია სამოქალაქო ომის პირობების მაქსიმალურად თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობდა.

საქართველოს სახელმწიფოსათვის ბუნებრივია, მიუღებელი იყო რუსეთის როგორც ბოლშევიკური, ისე კონტრრევოლუციური ინტერესები, მით უფრო ამ უკანასკნელის საეკლესიო გზით საქართველოში ხელახალი გაბატონების მიზნები. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა რუსეთთან მიმართებაში მწვავე პოლიტიკის გზას დაადგა და საქართველოში რუსეთის ყველა ორგანიზაციას ბრძოლა გამოუცხადა; მათ შორის კავკასიის საეგზარქოსოსაც. 1918 წლის 2 აგვისტოს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ რუსეთის დაწესებულებათა ლიკვიდაციის კანონი მიიღო. დადგენილების რეალიზაციისათვის რესპუბლიკის მთავრობას დაევალა:

„1) საჭიროების მიხედვით განხორციელდეს ნაწილობრივი ან სრული ლიკვიდაცია საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი რუსეთის, კავკასიის, ან ამიერკავკასიის საერთო დაწესებულებათა ან მათი ადგილობრივი განყოფი-

ლებებისა, არა უგვიანეს 1918 წლის დეკემბრის პირველ ნახევრამდე.

შენიშვნა: კანონი ეხებოდა უპირველეს ყოვლისა იმ დაწესებულებებს, რომლებიც ანტიქართულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ატარებდნენ" (355, 47).

კავკასიის საეგზარქოსო მიმართ ზემოაღნიშნული დადგენილება მოგვიანებით, 1920 წელს გავრცელდა. ამ ხნის მანძილზე, მისი ხელისუფლება აქტიურად აგრძელებდა ანტიქართულ საერო და სასულიერო პროპაგანდას საქართველოში, ამხედრებდა ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას, ეწეოდა რუსული ბურჟუაზიული მთავრობის აგიტაციას ხალხში. რუსი სამღვდელოების პროპაგანდის ამბიონი თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი გახდა, რის გამოც 1919 წლის 10 იანვარს საქართველოს სამხედრო მინისტრის ბრძანებულების საფუძველზე, ტაძარზე უფლებამოსილება შეუწყდა კავკასიის საეგზარქოსოს ხელისუფლებას და ის საქართველოს ეკლესიას გადაეცა (420, 1-2). აღნიშნული ფაქტით, საქართველოს მთავრობამ აშკარად გამოხატა თავისი დამოკიდებულება რუსული საეკლესიო პოლიტიკისადმი საქართველოში და შეუდგა მისი ლიკვიდაციის მიმართულებით საქმიანობას.

კავკასიის საეგზარქოსოსადმი საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას ერთვოდა მისი უნიათო მდგომარეობაც, რაც განაპირობებდა მისი შიდა კრიზისის გაღრმავებას. დროთა ვითარებაში გამოვლინდა კონტრრევოლუციური ძალის უნიათობაც და საეგზარქოსო ფაქტობრივად დარჩა პოლიტიკური ძალის თანადგომის გარეშე.

აღნიშნულის გარდა, საეგზარქოსოში უკვე სახეზე იყო შიდა პრობლემებიც: 1) კავკასიის საეგზარქოსო ფაქტობრივად აღარ გააჩნდა იდეურ-მატერიალური სახსარი ბურჟუაზიული მთავრობისაგან. ის მარტო აღმოჩნდა უცხო ქვეყანაში არსებული მისდამი მწვავედ დაპირისპირებული ძალების წინაშე; 2) კავკასიის საეგზარქოსო ელემენტარულ არსებობაზეც კი ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა რევოლუციების შედეგად მთელს ყოფილ იმპერიაში არსებული სრული პოლიტიკური ანარქია, სამოქალაქო ომის მსვლელობა, პოლიტიკური ძალაუფლებისათვის მიმდინარე ინტენსიური ბრძოლა და ა.შ.

ზემოაღნიშნული პროცესის შეჩერების მიზნით, კავკასიის საეგზარქოსო ხელისუფლება შეუდგა თავის გადარჩენის მიმართულებით საქმიანობას, მაგრამ რეალური ვითარება უკიდურესად მძიმე აღმოჩნდა: შემცირებული იყო რუსული სამრევლოები და მათი მრევლის რიცხობრივი მაჩვენებელი; გაუქმებული ან გაუკაცრიელებული იყო რიგი სამრევლო; რესტავრაციას საჭიროებდნენ ეკლესია-მონასტრები; იძარცვებოდა საკათედრო ტაძრები; უკონტროლო გახდა საეგზარქოსო ხარჯთაღრიცხვის წარმოება და ა.შ. ფაქტობრივად, აბსოლუტურად მოიშალა საეგზარქოსო ორგანიზაციული მმართველობა. ვითარების გამოსწორების მიზნით, 1919 წლის 28 მარტს შედგა კავკასიის სინოდალური კანტორის სხდომა, სადაც გადაწყდა მიმდინარე მიზეზთა შემსწავლელი კომისიის შედგენის საკითხი (417, 10). ასეთ შემთხვევაში 1920 წლის 17 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სხდომაზე მოისმინა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება კავკასიის სინოდა-

ლური კანტორის გაუქმების შესახებ; შედგა კანონი და რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ის იმავე წლის 21 თებერვალს მიიღო (421, 16). მიღებულ კანონს საფუძვლად დაედო მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობა, რომელიც კრძალავდა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ორი მართლმადიდებელი ეკლესიის მოქმედებას.

ამრიგად, 1920 წლის თებერვლიდან, საქართველოს ტერიტორიაზე შეწყდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქცია, ხოლო არაქართველი მრევლი გადავიდა საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში (421, 21). ამ ფაქტით, „ახალი რუსეთის" კავკასიურ საეკლესიო ერთობას წერტილი დაესვა, ისევე, როგორც თავად რუსულმა ბურჟუაზიულმა ხელისუფლებამ პოლიტიკური არსებობა შეწყვიტა. რუსეთის სახელმწიფოს სათავეში მოსულმა ხელისუფლებამ სოციალისტური სისტემის მშენებლობასთან ერთად, დაიწყო რელიგიური საკითხის მოგვარების მიმართულებით მუშაობა. ეს უკანასკნელი წინა მთავრობების საეკლესიო პოლიტიკის ანალოგი იყო, განსხვავება მხოლოდ მოქმედების მეთოდ-ხერხებში გამოვლინდა.

# თავი მეცხრე
# საბჭოთა სარწმუნოებრივი პოლიტიკა – საეკლესიო გლობალიზაციის საბჭოური მოდელი და კავკასია

რუსეთში სახელმწიფო გადატრიალებისთანავე (1917 წლის თებერვალი) სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკური ფრთა შესამჩნევად გააქტიურდა, მაგრამ, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, მათი მიზნების განხორციელების მიმართულებით მუშაობა 1921 წელს თეთრგვარდიულ ინტერვენციამდე სუსტი და უშედეგო იყო. კავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც სახელმწიფოებრიობის განვითარების პროცესი განსხვავებული მიმართულებით მიმდინარეობდა. კავკასიის ხალხებში ეროვნულ პოზიციებზე მდგომი შიდა ძალები ცდას არ იშურებდნენ, რომ მასებში ნაციონალური პროპაგანდის მეშვეობით ავტონომიის იდეა მოემწიფებინათ. მას შემდეგ, რაც ძალაუფლება ხელში საბჭოებმა აიღეს, ყოფილი იმპერიის საზღვრებში სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესმა რადიკალურად განსხვავებული მიმართულება შეიძინა. პროგრესული ძალები როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ კავკასიის მომავალს ბურჟუაზიული რუსეთის შემადგენლობაში მოიაზრებდნენ დამოუკიდებელი განვითარების უფლებით, მაგრამ ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ კავკასიაში მოღვაწე პოლიტიკურ ძალებს შორის მომავალი კავკასიის ბედზე ურთიერთგანსხვავებული ორიენტაცია არსებობდა: ნაწილს — პროდასავლური, ნაწილსაც — პრორუსული ორიენტაცია გააჩნდა. თუ ამ დამოკიდებულებას დავუმატებთ რელიგიურ ინტერესებსაც, გასაგები იქნება ის სირთულეები, რომელიც კავკასიის აზრობრივ ერთობას თან ახლდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კავკასიის ერების ერთობას და მათი დამოუკიდებლობის იდეას მაშინდელი მსოფლიო არ ცნობდა თა-

ვისი კერძო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, გასაგები იქნება ამ მხრივ, კავკასიაში შექმნილი უკიდურესად დაძაბული ვითარება.

ზემოაღნიშნული გარემოების ფონზე მიმდინარეობდა ბოლშევიკური ძალების მიზანმიმართული მუშაობა კავკასიაში გაბატონებისათვის, რამაც ფაქტობრივად, 1921 წლის ზამთარში დასრულებული სახე მიიღო. კავკასიის ხალხების სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესი რადიკალურად განსხვავებულ ფაზაში შევიდა. მოკლე დროის მანძილზე, მაგრამ აქტიური ძალისხმევის შედეგად მეტ-ნაკლები სისრულით მოპოვებული კავკასიელი ერების დამოუკიდებლობა საბჭოთა იმპერიის პოლიტიკურ ინეტერესებს შეეწირა.

რუსეთის ახალი, საბჭოური მთავრობის პოლიტიკური კურსი არაფრით განსხვავდებოდა მისი წინამორბედი ხელისუფლებებისაგან. საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებდა მძლავრი, ერთიანი, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობას და მის ფარგლებში მოიაზრებდა ყოფილი მეფის რუსეთის ჩაგრულ ერებს. იგივე პრინციპი კავკასიასთან მიმართებაშიც მოქმედედა.

კომუნისტურმა ხელისუფლებამ იძულებით დამორჩილებული ერების ნაციონალურ ღირებულებებს მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა. მათ შორის მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური მრწამსი აღმოჩნდა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა რადიკალურად გაემიჯნა (20, 24). კომუნისტებმა მიზნად დაისახეს რელიგიის ადგილის დაკავება საზოგადოების ცნობიერებაში და, რადგან მათთვის რელიგიის ავტორიტეტი ერთობ დამაბრკოლებელ ბარიერს წარმოადგენდა სოციალისტური მიზნების განხორციელებაში, ამიტომ შეუდგნენ ე.წ. ახალი, რელიგიური რეალობის ფორმირებას (კომუნისტური იდეოლოგია — ქ. პ.). ბოლშევიკების განცხადებით, კომუნისტის პირდაპირი მოვალეობა იყო ეწამა ახალი მიმდინარეობის, რომელიც აყალიბებდა

ახალ ადამიანს, საზოგადოებას გარკვეული რწმენის საფუძველზე და ეს რწმენა უნდა ყოფილიყო კომუნისტური პარტია და იდეოლოგია. ასეთ შემთხვევაში, კომპარტიას ესაჭიროებოდა ე.წ. „ახალი რელიგიის" მეცნიერული დასაბუთება, რომელიც საბჭოთა ქვეყნის ანტისარწმუნოებრივ პოლიტიკას გაამართლებდა.

„ახალი რელიგის" საზოგადოების აზროვნებაში დამკვიდრება იმთავითვე დაიწყო თავად რელიგიის და განსაკუთრებით ქრისტიანული მოძღვრების დამცრობით. რეალიგია გამოცხადდა გაბატონებული ფენის იარაღად ხალხის ჩაგვრისათვის და ეროვნული თვითგამორკვევის მტრად, რამეთუ, როგორც კომუნისტები აღნიშნავდნენ ქრისტიანულ მრწამსს არ გააჩნდა ეროვნულობის ნიშანი, ამიტომ ის ერების ათქვეფას, მათ ერთ ერად ჩამოყალიბებას ქადაგებდა ქრისტიანული მრწამსის გარშემო. ასეთი იდეოლოგიის პასუხად სოციალისტებმა თავიანთი მსოფლმხედველობა შეიმუშავეს ერთა თვითგამორკვევის შესახებ — „... თუ ჩვენ გვსურს ჩავწვდეთ ერთა თვითგამორკვევის მნიშვნელობას ყოველგვარი იურიდიული დეფინიციის და ყოველგვარი აბსტრაქტული განსაზღვრების გარეშე და ანუ განვიხილავთ ეროვნული მოძრაობის ისტორიულ ეკონომიკურ პირობებს, მაშინ მივალთ დასკვნამდე: ერთა თვითგამორკვევაში იგულისხმება ცალცკეული ერების გამოყოფა დანარჩენი ეროვნებებისაგან, ამავე დროს ახალი, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება" (172, 5) — აღნიშნავდა კომუნისტების ბელადი ვ. ი. ლენინი. ეს უკანკასკნელი ერთა თვითგამორკვევას საბჭოური ინტერესებიდან გამომდინარე მოიაზრებდა და პარტიის წევრებს აღნიშნულის შესატყვისი დავალებაც მისცა: ერთ ნაწილს მოუწოდა არარუს ერებში თვითგამორკვევის პროპაგანდისაკენ, ხოლო მეორეს — არარუსი ერების ერთიან საბჭოთა რუსულ სახ-

ელმწიფოში გაერთიანებისაკენ ახალი ქვეყნის მშენებლობისათვის (107, 17-18).

ამრიგად, კომუნისტურ იდეოლოგიუაში იმთავითვე გამოიკვეთა საბჭოეთის ხალხთა პოლიტიკური გლობალიზაციის პროექტი, რომელიც ოსტატურად იყო შენიღბული ერთა თვითგამორკვევის საბჭოური თეორიის საბურველით. მოგვიანებით, აშკარა გახდა, რომ ამ თეორიის პრაქტიკაში დანერგვას სერიოზულ თეორიულ კონკურენციას ზოგადად რელიგიის მიმდევრები უწევდნენ. ასეთ შემთხვევაში, საბჭოთა ხელისუფლების კულუარებში დაიწყო მსჯელობა რელიგიური ნიშნითაც შემუშავებულიყო გლობალიზაციის პროექტი. მიმდინარე პროცესის დროს, დაიწყო ჯერ თავად სსრკ-ს ხალხთა რელიგიების დევნა და „ახალი რელიგიის" (კომუნისტური იდეოლოგია —ქ. პ.) ფორმირების მეშვეობით საბჭოური გლობალიზაციის პროექტის შედგენა, მოგვიანებით კი, ზემოაღნიშნულის შეცვლა ტრადიციული რელიგიების მოდერნიზაციით (წითელი რელიგიების ჩამოყალიბება — ქ. პ.).

საბჭოთა სახელმწიფოს ფორმირების საწყის ეტაპზე, ბოლშევიზმის ლიდერებმა ევროპული ათეისტური აზროვნება სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზე აიყვანეს და რელიგია „თვითმპყრობელური" სისტემის გადმონაშთად გამოაცხადეს, რამეთუ მას სოციალიზმის მშენებლობასთან შეუთავსებლობაში მოიაზრებდნენ. კომუნისტებისათვის საბჭოთა ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეთნოსის სარწმუნოება აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა, მაგრამ განსაკუთრებულად დაუშვებელი მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული ავტორიტეტის მატარებელი იყო საბჭოეთის ყველაზე მრავალრიცხოვან მასაში, რაც ხელსაყრელი აღმოჩნდა კომუნისტებისათვის იმ თვალსაზრისით, რომ ქრისტიანული ეკლესიის ადგილის დაკავე-

ბა დიდძალი მოსახლეობის მიმხრობის სწრაფი და შედეგიანი საშუალება იქნებოდა.

ზემოაღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის, ახალმა სახელმწიფომ ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბება რელიგიისა და კონკრეტულად ქრისტიანული ეკლესიის დისკრედიტაციით დაიწყო და საბჭოთა სახელმწიფოს სტრატეგიულ გეგმად აქცია. მიმდინარე პოლიტიკას განსაკუთრებულ სიმძაფრეს სძენდა რელიგიის საბჭოთა სისტემისადმი ცალსახად საწინააღმდეგოდ მუშაობა. ეს უკანასკნელი კი შესანიშნავ გამამართლებელ საბაბად იქცა იმ ანტისაწრმუნოებრივ, უმკაცრესი პოლიტიკისათვის, რომელსაც ატარებდა საბჭოთა ქვეყნის ხელისუფლება.

საბჭოთა სახელმწიფოს ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკა მწვავე ფორმებით აისახებოდა ყველა აღმსარებლობის ორგანიზაციათა ცხოვრებაზე; განსაკუთრებული წნეხის ქვეშ მართლმადიდებელი ეკლესია აღმოჩნდა: მასიურად იხურებოდა ეკლესია-მონასტრები, მათი ქონება კი სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა; უმძიმესად იბეგრებოდა საეკლესიო ინვენტარი და კულტმსახურების ნივთები; განსაკუთრებული სისასტიკით იდევნებოდნენ ღვთისმსახურები „ხალხის მტრების" ბრალდებით.

1922 წლის შემდგომ, საბჭოთა მთავრობის სარწმუნოებრივმა პოლიტიკამ გარეგნული იერსახე იცვალა. ეს პერიოდი სტალინური საეკლესიო პოლიტიკის საწყის ეტაპად მოიაზრება, რომელიც განსაკუთრებული სიფრთხილითა და წინდახედულობით გამოირჩევა, თუმცა მას შემტევითი და კომპრომისული ხასიათიც გააჩნია.

მთავრობის „საეკლესიო პოლიტიკის" ახალი ფაზა რადიკალურ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა წინა წლების საეკლესიო პოლიტიკასთან (ტროცკის ბანაკი და მისი რელიგიური კურსი, რომელიც ითვალისწინებდა ზოგადად რელიგიის სრულ ლიკვიდაციას – ქ. პ.), მაგრამ, აღნიშ-

ნული არ ნიშნავდა იმას, რომ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ათეისტური იდეოლოგია დათმო, პირიქით, მისი გაღრმავება-განმტკიცება სცადა ახალი საეკლესიო პოლიტიკის დანერგვის მეშვეობით.

განვლილმა წლებმა ხელისუფლებას დაანახა რელიგიური კურსით მიღებული მწვავე შედეგები: მასების დაპირისპირება, კომუნისტური იდეოლოგიისადმი წინააღმდეგობრიობა და, რაც მთავარია რელიგიის მტკიცე ადგილი საზოგადოებაში. ასეთ შემთხვევაში, საბჭოთა მთავრობისათვის საეკლესიო კურსის გადახედვას სასიცოცხლო მნიშვნელობა მიენიჭა; მთავრობის წრეში გაჩნდა აზრი ეკლესიის საბჭოთა ქვეყნის მშენებლობაში ჩართვაზე, რამეთუ მისთვის სულ ერთი არ იყო ეკლესიის პოლიტიკური პოზიცია.

საეკლესიო კურსის რეფორმაცია ი. სტალინის ხელისუფლების აბსოლუტურ გაბატონებას უკავშირდება და მასთან მოიაზრება საბჭოთა სივრცეში საეკლესიო მოდერნიზაციის პროექტიც. ი. სტალინის ხელისუფლებაში მოსვლიდან ფაქტობრივად მოხდა მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიული ფუნქციის გააზრება და მისი საბჭოთა სისტემის დამკვიდრებისათვის გამოყენება.

სტალინისეული საეკლესიო მოდერნიზაციის პროექტი ითვალისწინებდა ტრადიციული ეკლესიის რღვევას და ისეთი „ახალი ეკლესიის" ფორმირებას, რომელიც საბჭოური სისტემის იდეოლოგი იქნებოდა მასებში. ამადროულად, მუშაობა უნდა გაშლილიყო ხალხში ტრადიციული ეკლესიის ავტორიტეტის შელახვის მიმართულებით. ახალ საეკლესიო კურსს მორწმუნეთათვის უნდა დაენახვებინა, რომ ისტორიული ეკლესია ვერ პასუხობდა თანამედროვე ეპოქის (საბჭოტა ეპოქა — ქ. პ.) შესატყვის მოთხოვნებსა და აშკარად რეფორმაციას ითხოვდა. საბჭოეთის ლიდერისთვის ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ ასეთ ქმედებას და თეორიას მოჰყვებოდა დიდი სქიზმა („ობნოვლენური" —

„განმაახლებლური", მწვალებლობა რუსეთის ეკლესიაში – ქ. პ.) მართლმადიდებლურ ეკლესიაში და მის ავტორიტეტს დაეცემდა მორწმუნე მრევლში, რაც განხორციელდა კიდეც.

საეკლესიო მოდერნიზაციის პროექტში წამყვანი ამოცანა იყო ხელისუფლების მხარდამჭერი სამღვდელოთა ჯგუფის შექმნა, რომელიც ტრადიციული ეკლესიის სასულიერო კრებულს დაუპირისპირდებოდა. მთავრობის მომხრე სამღვდელოების ჯგუფის ფორმირებამ ეკლესიაში საფუძველი დაუდო ე.წ. „განახლების მოძრაობას". მოძრაობა საბჭოთა იმპერიის ისტორიაში შევიდა სხვადასხვა, მაგრამ ერთმნიშვნელოვანი სახელით: „რევოლუციონერები", „პროგრესისტები", „რეფორმატორები". მათ ეკლესიას კი, კომუნისტები „ახალ ეკლესიას" უწოდებდნენ.

საბჭოთა მთავრობისათვის არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი „განმაახლებლების" პოლიტიკაში აქტიური ჩართვა.

„ახალი ეკლესიის" სამღვდელოებამ იმთავითვე მიიღო დავალება ხელისუფლებისაგან ქრისტიანული მოძღვრების შინაარსისა და ხასიათის შეცვლაზე, ანუ მოძღვრების „შემკობაზე" კომუნისტური იდეალებით და ამ მიმართულებით ფართო მუშაობა გაშალა. თავის მხრივ, საბჭოთა მთავრობაც ძალას და ენერგიას არ იშურებდა „განმაახლებელთა" თანადგომისათვის.

„განახლების მოძრაობის" მარცხიც და წარმატებაც ერთნაირად მომგებიან მდგომარეობაში აყენებდა საბჭოთა ხელისუფლებას: თუ „განმაახლებლები" შეძლებდნენ ტრადიციული ეკლესიის სამღვდელოების გადაბირებას საბჭოთა ხელისუფლებისაკენ, ამით ეკლესიის დაშლა უმტკივნეულოდ მოხდებოდა და საეკლესიო მოდერნიზაციაც განხორციელდებოდა, ხოლო, თუ ტრადიციული ეკლესია გამარჯვებას მიაღწევდა საბჭოთა ეკლესიასთან ბრძოლაში, მაშინ ხელისუფლებას საშუალება მიეცემოდა მკაცრი მეთოდებით

მოეხდინა ეკლესიის სრული ლიკვიდაცია. ეს უკანასკნელი უკიდურესად მწვავე პროცესებს გამოიწვევდა მორწმუნე მრევლში, ხელისუფლება კი ვითარების გართულებას ერიდებოდა. ამით იყო განპირობებული მთავრობის ესოდენ დიდი დაინტერესება „განახლების მოძრაობით".

ამრიგად, ეკლესიაში „განახლების მოძრაობის" ალიარებით საბჭოთა ხელისუფლებამ საფუძველი დაუდო საბჭოთა იმპერიაში მოქმედ ახალ ეკლესიას სახელწოდებით — „ცოცხალი ეკლესია", იგივე „წითელი ეკლესია", რომელმაც ეს უკანასკნელი სახელი მას შემდეგ შეიძინა, რაც სრულად იტვირთა სოციალიზმის იდეოლოგის ფუნქცია.

„ცოცხალი ეკლესიის" იურისდიქცია მხოლოდ რუსეთის ტერიტორიებზე განვრცობას არ ითვალისწინებდა. მის დაქვემდებარებაში უნდა მოქცეულიყო საბჭოთა იმპერიის ყველა მართლმადიდებლური ეკლესია, ხოლო მათში გაერთიანებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ეთნოსის მართლმადიდებლური „ცოცხალი ეკლესიის" მრევლი. აღნიშნული მიზნის რეალიზაციისათვის დაწყებულმა მუშაობამ მთავრობაში დააყენა საკითხი პოლიტიკური საბჭოური გლობალიზაციისათვის მიეცათ საეკლესიო ერთიანობის სახე და ამ დროიდან დაიწყო შემუშავება ე.წ. საბჭოურმა საეკლესიო გლობალიზაციის მოდელმა.

მართლმადიდებელი რუსეთის იმპერიის ექსპანსიურ-გლობალიზაციურ პროექტებზე მუშაობა XVIII საუკუნიდან იწყება და ის ორი სახით არსებობდა: 1) შიდა იმპერიული და 2) საგარეო იმპერიულ გლობალიზაციური პროექტები. XX საუკუნის დასაწყისიდან, ორივე სახის პროექტმა განსაკუთრებულად აქტიური ფორმა მიიღო. საგარეო თვალსაზრისით ის ვრცელდებოდა ამერიკის კონტინენტზე, მახლობელ აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპაზე, ხოლო შიდა იმპერიული თვალსაზრისით კი, ქვეყანაში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსებზე და ძირითადად საერთო მრწამსის

მაცხოვრებელ ხალხებზე. ამ შემთხვევაში, იმპერიის ხელისუფლების პოლიტიკის მუდმივი სამიზნე კავკასია და განსაკუთრებით მისი სამხრეთ ნაწილი გახდა.

საბჭოთა იმპერიის ლიდერისათვის (სტალინი — ქ. პ.) იმთავითვე უტოპიას წარმოადგენდა „მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკის" შექმნა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ საბჭოეთის ფარგლებში არ განხორციელებულიყო ერთობის იდეა და ახალი გლობალიზაციის კონტურების ფორმათა მოხაზვა, რომელიც სულ უფრო მკაფიო სახეს იძენდა. ფაქტობრივად, ამ უკანასკნელის სისრულეში მოყვანა გამოიწვევდა კომუნისტური იდეოლოგიის გამარჯვებას მსოფლიო მასშტაბით. აღნიშნულ პროექტში, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას წამყვანი ადგილი ეთმობოდა ზევით უკვე აღინიშნა, მაგრამ მისი სრული აპოგეა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის პროცესში დაიწყო.

საბჭოთა ეპოქის საეკლესიო გლობალიზაციამ საერთაშორისო დატვირთვა შეიძინა და ის სამამულო ომის (1941-1945წ.წ.) წლებში სააშკარაოზე გამოვიდა. აღნიშნულის დასტურია ყირიმის კონფერენციაზე (1943წ.) მსოფლიოს სამი წამყვანი სახელმწიფოს ლიდერთა შეხვედრა ომისშემდგომი სამყაროს მოწყობის მიზნით, რომელსაც ძალთა გადანაწილება უნდა მოეხდინა ერთის მხრივ, საბჭოთა კავშირსა და მეორეს მხრივ, კაპიტალისტურ დასავლეთს შორის. მანამდე კი, ი. სტალინმა ერთმანეთის მიყოლებით ორი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო: 1) დაითხოვა მესამე ინტერნაციონალი და თითქოს მასში შემავალ კომუნისტურ პარტიებს თავისუფალი მოქმედების უფლება მიანიჭა; და 2) აღადგინა მართლმადიდებლური ქრისტიანობის ოფიციალური სტრუქტურები.

საბჭოთა მთავრობის მიერ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქო ინსტიტუტის აღიარება ითვალისწინებდა ხელისუფლების სამსახურში მის ყოფნას:

ი. სტალინი მოსკოვის საპატრიარქოს მოიაზრებდა „მართლმადიდებელ ვატიკანად" და მისგან მსოფლიოს მართლმადიდებლებზე იურისდიქციის დადგინებას ითხოვდა. ამ საქმეში კი ის ეყრდნობოდა ადგილობრივ კომუნისტებს და სასულიერო პირებს („ცოცხალი ეკლესიის" მიმდევრებს — ქ. პ.).

მეორე მსოფლიო ომის დასასრულისათვის (1945 წლის მარტი) რუსეთის საეკლესიო საქმეთა საბჭოს თავმჯდომარემ გ.გ. კარპოვმა ი. სტალინის უშუალო მითითებით შეიმუშავა საბჭოური საეკლესიო გლობალიზაციის პროექტი. გეგმა ითვალისწინებდა საბჭოთა ეკლესიის იერარქთა მივლინებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკლესიებში (ბელგრადი, სოფია, ბუქარესტი) ეკლესიათა „დიდი დაახლოების" მიზნით.

მიუხედავად აღმოსავლეთის ეკლესიების იერარქთა წინააღმდეგობისა, XX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულისათვის რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სტრუქტურულ ორბიტაში მოექცნენ ბულგარეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ეკლესიები. იმდენად, რამდენადაც დასავლეთის „სოციალისტურ ბლოკში" შემავალი ქვეყნების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასავლური ეკლესიის (კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიები — ქ. პ.) მრევლი იყო, საბჭოთა ხელისუფლების „ზრუნვის" საგანი ისინიც გახდნენ. საბჭოთა ხელისუფლებას შესანიშნავად ესმოდა, რომ ვატიკანის განადგურება, როგორც მსოფლიოში კათოლიციზმის ცენტრისა — მის შესაძლებლობას აღემატებოდა, მაგრამ ის მაინც იყო შესაძლებელი, რომ კათოლიკე მრევლი მოეწყვიტა ვატიკანისაგან და პროტესტანტების მსგავსად თავის ზედამხედველობაში აეყვანა. მოგვიანებით, საარქივო დოკუმენტებმა ცხადჰყო, რომ მთავრობის ამ მიმართულებით მეცადინეობამ მარცხი განიცადა და კათოლიკე და პროტესტანტი მრევ-

ლის სარწმუნოებრივი თავისუფლებისათვის ბრძოლა გამოიწვია (1953 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1956 წელს პოლონეთსა და უნგრეთში, 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში და ა.შ. – ქ. პ.). 1948 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის აღნიშნულ საკითხებში საგანგებო მრჩეველი მ. ტეილორი დაჟინებით ცდილობდა პროტესტანტული კონფესიის ხელმძღვანელობის დარწმუნებას იმაში, რომ არ მიეღოთ მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში მართლმადიდებელი რუსეთი, რამეთუ ის იყო „მხოლოდ საბჭოთა კავშირის ხელისუფლების ერთ-ერთი აგენტი".

ი.სტალინის საგარეო გლობალიზაციის ფაქტობრივად განხორციელებულმა პროექტმა საბჭოეთის ბელადის სიცოცხლის ბოლომდე იმოქმედა. მისმა მემკვიდრემ ნ.ს. ხრუშჩოვმა არსებითი ცვლილებები შეიტანა საბჭოურ-იმპერიულ გლობალიზაციის ტაქტიკაში. აღნიშნული პრობლემა ცალკე კვლევის საგანია და ამ ეტაპზე ჩვენს სამეცნიერო ინტერესს არ შეესაბამება.

რაც შეეხება შიდა იმპერიულ საეკლესიო გლობალიზაციას, მასში მართლმადიდებლური ეკლესიის ადგილს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნდა. გლობალიზაციის ეს პროექტი ძირითადად იმპერიის მართლმადიდებლურ მრევლზე ვრცელდებოდა და, რადგან საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ამ მხრივ მრევლის სიმრავლით საქართველო გამოირჩეოდა და მისი ეკლესიაც განსაკუთრებულად მდგრადი მართლმადიდებლური ტრადიციის მატარებელი იყო, ბუნებრივია, საბჭოთა ხელისუფლებას მის მიმართ გამორჩეული საეკლესიო-პოლიტიკური კურსი გააჩნდა. მთელს კავკასიაში ერთადერთ მართლმადიდებელ ეკლესიას რუსული ეკლესიის ხელმძღვანელობით უნდა განეხორციელებინა მთელი კავკასიის მართლმადიდებელი მრევლის ერთობა რუსული რელიგიური ნიშნით. საამისოდ კი, უპირ-

ველეს ყოვლისა, თავად საქართველოს ეკლესიას უნდა განეცადა მოდერნიზაცია, როგორც ეს რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში განხორციელდა.

საქართველოს ეკლესიის მოდერნიზაციული პროცესი ერთობ თავისებური ნიშნით ხასიათდებოდა და მეტად მტკივნეულად მიმდინარეობდა. საეკლესიო განახლების მხარდამჭერთ საქართველოში „ქუთათურების" სახელით იცნობენ, ქ. ქუთაისში ამ მიზნით მოწვეული საგანგებო საეკლესიო კრების გამო, ხოლო განახლებულ ეკლესიას კი ხელისუფლება „ახალი ქართული ეკლესიის" სახელით იხსენიებდა.

ე.წ. „პროგრესისტი" ქართველი სამღვდელოება იმთავითვე ორი დაჯგუფების სახით ჩამოყალიბდა: 1) რუსი სამღვდელოების ჯგუფი, რომელიც „ობნოვლენური სინოდის" („განახლებული" რუსული ეკლესია — ქ. პ.) იურისდიციაში იყო; 2) ქართველი სამღვდელოების ჯგუფი, რომელიც ეროვნული ეკლესიის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად საბჭოთა მთავრობის ინტერესების გათვალისწინებას მიიჩნევდა.

საქართველოს „რეფორმატორი" სამღვდელოების ორივე ჯგუფს ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ინტერესები ამოძრავებდათ: თუ პირველი დაჯგუფების მიზანი იყო საბჭოური კავკასიის საეკლესიო გლობალიზაციის პროექტის სისრულეში მოყვანა „ცოცხალი ეკლესიის" ეგიდით, მეორე დაჯგუფების ინტერესი იყო მეფის რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შედეგების აღმოფხვრა და ამ ნიშნით ქართული ეკლესიის ტრადიციული იერსახის აღდგენა. აქედან გამომდინარე, რუსეთის „ახალი ეკლესიის" ინტერესებით „პროგრესისტი" ქართველი სამღვდელოების ამოქმედება ფაქტობრივად აბსოლუტურად გამორიცხული იყო; ამიტომ იყო, რომ რუსული საეკლესიო განახლების

იდეამ განვრცობა მხოლოდ საქართველოს არაქართველ სამღვდელოებასა და მრევლზე ჰპოვა.

საქართველოს რუსი აქტივისტი სამღვდელოების მიერ დაწყებულმა საეკლესიო განახლების მოძრაობამ შედეგად ის მოიტანა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველი მრევლი სამი ეკლესიის უფლებამოსილებას შორის აღმოჩნდა გადანაწილებული:

1) მსოფლიო საეკლესიო კანონების ჭეშმარიტად დამცველი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციას დაქვემდებარებული მრევლი.

2) ტრადიციულ რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე დაქვემდებარებული;

3) „ცოცხალი ეკლესიის" („განმაახლებელთა მოძრაობის" — ქ. პ.) უწმინდეს სინოდს დამორჩილებულნი.

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ერთდროულად სამი დამოუკიდებელი ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა: ქართული მართლმადიდებლური, რუსული ტრადიციული მართლმადიდებლური და „განმაახლებლურ-ობნოვლენური" ეკლესიები. ორივე რუსული ეკლესია უარყოფით ზემოქმედებას ახდენდა საქართველოს ეკლესიაზე და მისი კანონზომიერი განვითარების პროცესს აფერხებდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეფორმაციით კავკასიის საეკლესიო გლობალიზაციის განხორციელება თანდათან ჩიხში შედიოდა. საბჭოთა ხელისუფლება რთული ამოცანის წინაშე დადგა; საჭიროება ითხოვდა გლობალიზაციის პროექტის გადასინჯვას. ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკის საყრდენად აფხაზეთი იქცა.

ისტორიულად, საქართველოს სასაზღვრო რეგიონი — აფხაზეთი გარე დამპყრობლის ყველაზე ხელსაყრელი ადგილი იყო საქართველოში და ზოგადად კავკასიაში თავისი

პოლიტიკის გამარჯვებისათვის. რუსეთის იმპერიამ, ამ მხრივ, თავისი ინტერესი XIX საუკუნის დასაწყისიდანვე გამოააშკარავა, ხოლო საუკუნის მიწურულს კი აფხაზეთში თავისი მძლავრი სასულიერო კერაც დააფუძნა ე.წ. ახალი ათონის — წმინდა პანტელეიმონის მონასტრის სახით. ამ რუსულ კერას იდეოლოგიური ნიადაგი უნდა შეემზადებინა აფხაზეთის ქართული სინამდვილისაგან გამიჯვნისა და მისი იმპერიის წიაღში შერწყმისათვის. რუსეთის მიზანმიმართულმა მუშაობამ თავისი საქმე გააკეთა და უკვე XX საუკუნის 20-იანი წლებისათვის აფხაზეთის მოსახლეობაში რუსიფიკაციის პროცესის შედეგად, მომძლავრდა პრორუსული ორიენტაცია, ხოლო კოლონიზაციამ კი ამ რეგიონში ჭრელი ეთნოსის მოსახლეობა მოამრავლა. ამიტომ არ იყო უცხო ის ფაქტი, რომ რუსული ინტერესების წარმატებიანი განხორციელების შემთხვევები სწორედ აფხაზეთში ხდებოდა. არც „განახლების მოძრაობისადმი" დარჩენილა გულგრილი აფხაზეთის არაქართველი მრევლი და სასულიერო კრებული.

კავკასიის საეკლესიო მოდერნიზაციას აფხაზეთის მართლმადიდებელი მრევლის გაუსაძლისად მძიმე მდგომარეობაში ჩაყენება მოჰყვა. აფხაზეთის რუს სამღვდელოებაში უკიდურესად მწვავე ვითარება შეიქმნა; ფაქტობრივად, ისინი ორ ბანაკად გაიყვნენ: ტრადიციული რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მორჩილნი და „განმაახლებელთა" წმინდა სინოდს დაქვემდებარებულნი. აფხაზეთის ეკლესია ფაქტობრივად მათ შორის ცილობის საგანი გახდა; და მიუხედავად მათ შორის არსებული მწვავე დაპირისპირებისა, მათ მაინც აფხაზეთთან მიმართებაში ერთი, საერთო ინტერესი ამოძრავებდათ — აფხაზეთი რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში უნდა მოქცეულიყო. ერთნი საეკლესიო გლობალიზაციას მეფის რუსეთის დროინდელი პროექტით ახორციელებდნენ, ხოლო მეორენი

კი — საბჭოური მოდელის მიხედვით. რომელი ბანაკიც მოიპოვებდა ძალაუფლებას რუსულ ეკლესიაში, მისი საეკლესიო მოდელი ჰპოვებდა გამარჯვებას აფხაზეთში. მოგვიანებით განვითარებულმა მოვლენებმა, მთავრობის საეკლესიო გლობალიზაციის პროექტში მთავარი მოქმედი პირი შეცვალა და საბჭოურმა მოდელმა მოქმედების განსხვავებული მიმართულება ჩამოაყალიბა. ამ შემთხვევაში, იგულისხმება „განმაახლებელთა" ჩამოშორება საეკლესიო პოლიტიკისაგან და ტრადიციული მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქების ჩაბმა საეკლესიო მოდერნიზაციის პროექტში.

XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში დასრულდა მოდერნიზაციის პროცესი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში და „განახლების მოძრაობამაც" თავისი მისია ამოწურა. მისი მეშვეობით, ხელისუფლებამ ეკლესიაში კონტრრევოლუციური ფრთა გაანადგურა და შექმნა მისთვის მისაღები, ე.წ. „წითელი ეკლესია". ეს უკანასკნელი, ყოფილი ტრადიციული რუსული ეკლესიის იერარქებით იყო დაკომპლექტებული. სწორედ მათთან განახორციელა საბჭოთა ხელისუფლებამ გარიგება რუსულ ეკლესიაში პატრიარქობის ინსტიტუტის აღდგენისათვის, რომელიც მთავრობის აბსოლუტურ დაქვემდებარებაში უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთის ეკლესიაზე სრულ გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ ვერ შეძლო მისი მეშვეობით იმპერიის მართლმადიდებლურ ეკლესიათა მოდერნიზაცია, ანუ საეკლესიო გლობალიზაციის მოდელის ცხოვრებაში რეალიზაცია. კავკასიასთან დამოკიდებულებაში საეკლესიო ერთობის პროექტმა სრული კრახი განიცადა მას შემდგომ, რაც ვერ მოხერხდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის „განახლება".

საქართველოში საეკლესიო მოდერნიზაციის წარუმატებლობის მიზეზი, საძიებელია ქართველი სამღვდელოებისა და საეკლესიო ქართველი იერარქების გონივრულ პოლიტიკაში. საქართველოს ეკლესიამ სწორად აუღო ალღო ხელისუფლების პოლიტიკურ სვლებს და აბსოლუტურად უარყო განახლების იდეა ეკლესიაში. ქართველი სამღვდელოებისათვის აშკარა გახდა, რომ სოციალისტური საეკლესიო იდეოლოგია „ახალ ეკლესიას" აშენებდა იმ მიზნით, რომ მოდერნიზაციის გზით მოეხდინა ტრადიციული მართლმადიდებლური ეკლესიის დამცრობა, საეკლესიო გლობალიზაციის მეშვეობით განეხორციელებინა იმპერიის ერთიანი ახალი საზოგადოების ფორმირება და არა თვითმპყრობელობის მანკიერი მხარეების აღმოფხვრა ეკლესიაში და მისი რეალური სახის აღდგენა.

საქართველოს ეკლესიაზე განხორციელებული წარუმატებელი ექსპერიმენტის გამო, საბჭოთა მთავრობა მას „მკვდარ ეკლესიად" მოიხსენიებდა თავისი „ჩამორჩენილობისა" და „კარჩაკეტილობის" ბრალდებით. მომავალში განვითარებულმა მოვლენებმა კი დაადასტურა, რომ საქართველოს ეკლესიას შესწევდა ძალა მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობის ზედმიწევნითი სიზუსტით დაცვით მედგარი წინააღმდეგობა გაეწია საბჭოთა მთავრობის ნებისმიერი პროვოკაციისათვის.

## თავი მეათე
## საბჭოთა საეკლესიო გლობალიზაცია, იდეოლოგიური ბრძოლა და სასულიერო ემიგრაცია (XX საუკუნის პირველი ნახევარი)

როგორც უკვე აღინიშნა საბჭოთა საეკლესიო გლობალიზაციის პროექტი ორი ფაქტორით განისაზღვრებოდა. ის თავის თავში მოიცავდა საგარეო და საშინაო გლობალიზაციის მიმართულებებს. მიმდინარე თავის კვლევის ობიექტი საგარეო საეკლესიო გლობალიზაციაა. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა მრავალ გადასაჭრელ ამოცანას: 1) კომუნისტური იდეოლოგიის გავრცობას მსოფლიო მასშტაბით საეკლესიო გლობალიზაციის მეშვეობით; 2) ემიგრანტული ეკლესიისა და მისი სასულიერო კრებულის ლიკვიდაციას და მათ დაბრუნებას რუსეთის საეკლესიო წიაღში; 3) რუსული მონარქიზმისა და საბჭოური იდეოლოგიის ბრძოლაში უკანასკნელის გამარჯვება; 4) სოციალისტური სისტემის ავტორიტეტის დამკვიდრება, მისი უპირატესობის იძულებითი აღიარება კაპიტალისტურ სამყაროში საეკლესიო რუსული ორგანიზაციის დახმარებით.

ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებას მრავალ დაბრკოლებათა გვერდით, სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა უცხოეთს თავშეფარებული რუსეთის იმპერიის სასულიერო ფენა. აქედან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლებისათვის დასახული მიზნის აღსრულების გზაზე, გადაუდებელ საკითხად იქცა ემიგრანტული ეკლესიის პრობლემის მოგვარება. ამ უკანასკნელმა კი განსაზღვრა საგარეო საბჭოთა საეკლესიო გლობალიზაციის ამოცანაც.

ემიგრანტული სამღვდელოების გააქტიურება პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა საბჭოთა იმპერიის სარწმუნოებრივ პოლიტიკასთან, მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიმდინარე სამთავრობო ღონისძიებებთან და აღნიშნულის გამო, ქვეყნის გარეთ დარჩენილ სამღვდელოებასა და საბჭოთა მთავრობას შორის არსებული იდეოლოგიური დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდა.

მეფის რუსეთის დამხობისთანავე, საზღვარგარეთ წასული იმპერიის სამღვდელოების მიერ ფორმირებული ეკლესია იმთავითვე გაემიჯნა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. უცხოეთის რუსულმა ეკლესიამ საბჭოეთში მოქმედი ეკლესიისაგან რადიკალურად განსხვავებული საეკლესიო კურსი აირჩია და ერთობ პოლიტიკური ხასიათი შეიძინა. საზღვარგარეთის რუსულმა ეკლესიამ ფაქტობრივად საფუძველი დაუდო საეკლესიო კუთხით სოციალიზმისა და იმპერიალიზმის იდეოლოგიურ ბრძოლას უცხოეთში. მისი ფართომასშტაბიანი მუშაობით, აქტიურად ამოქმედდა კაპიტალისტური სამყაროს პროპაგანდითი სამსახური სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ. ამრიგად, XX საუკუნის 10-იანი წლების მიწურულიდან იდეოლოგიურ ომში არა თუ აქტიურად ჩაერთო ეკლესია, არამედ ამ ბრძოლის ერთგვარი ლიდერი და მისი წარმმართველი ძალაც გახდა.

საზღვარგარეთის იდეოლოგიურ გამოწვევას, საბჭოთა სახელმწიფომ მწვავე, აქტიური და მიზანმიმართული აგრესიით უპასუხა და ამ საქმეში ქვეყნის მართლმადიდებლური ეკლესია ჩართო. დასახული მიზნის მიღწევისათვის, საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი ერთგული ეკლესიის დადგინებისათვის რეფორმაციის გზას დაადგა, რასაც უცხოეთის

რუსული ეკლესიის კიდევ უფრო მძაფრი რეაქცია მოჰყვა. საბჭოთა ხელისუფლებას საზღვარგარეთის რუსული ეკლესიის კონკურენტუნარიანი საეკლესიო იერარქია ესაჭიროებოდა, რომლის ფორმირებასაც ბოლშევიკებმა ათწლეული მოანდომეს. ნიშანდობლივია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე პროცესები, საბჭოთა ხელისუფლების საეკლესიო კურსის ევოლუციას მოითხოვდა. ამით იყო განპირობებული კომუნისტური პარტიის კომპრომისული ნაბიჯები უცხოეთის ემიგრანტული ეკლესიისადმი და მეცადინეობანი მასთან შერიგების მიზნით.

რუსეთის მართლმადიდებელი სამღვდელოება ოქტომბრის გადატრიალებას მტრული განწყობით შეხვდა. ემიგრაციაში წასული სამღვდელოების ერთადერთ იმედად კონტრრევოლუციური ძალა რჩებოდა, რომელმაც სამღვდელოების იმედი ვერ გაამართლა. თითქმის სამწლიანმა სისხლისმღვრელმა სამოქალაქო ომმა ვერ შეძლო მსოფლიოში ე.წ. „რუსული გარღვევის" ლიკვიდაცია — „ჩვენ ყველა შემოტევას გავუძელით და გავიმარჯვეთ" (38:4, 11) — სიამაყით აღნიშნავდა ბოლშევიკების ლიდერი ვ.ი ლენინი.

ზემოაღნიშნული კრახის შედეგად, ფაქტობრივად უცხოეთის რუსი სამღვდელოება უნდა დაშლილიყო, მაგრამ მათ არ სურდათ იდეოლოგიური ზემოქმედების დაკარგვა ემიგრაციაში მყოფ მრევლზე, რომლის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წარმართვაში ხედავდა თავის დანიშნულებას. ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ უცხოეთში შეიქმნა „საზღვარგარეთის უმაღლესი საეკლესიო მმართველობა", რომელსაც უნდა ეთავა რუსი ემიგრა-

ციის ხელმძღვანელი ცენტრის ფუნქცია და გაეჩაღებინა მათში რელიგიურ-პოლიტიკური მუშაობა. 1921 წლის 20 ნოემბერს ქალაქ კარლოვში გამართულმა საეკლესიო კრებამ საეკლესიო ცენტრს დამაჯერებელი ეკლესიურობის მინიჭების მიზნით სახელწოდება შეუცვალა დაუწოდა „სრულიად საზღვარგარეთის რუსული საეკლესიო სინოდი", იგივე „კარლოვის წმინდა სინოდი" (146, 255).

კარლოვის საეკლესიო კრება ყველა თვალსაზრისით კონტრრევოლუციური ხასიათის იყო: კრების მონაწილეთა მთელი ყურადღება გადატანილი იყო პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის მიმართულებით, ანუ საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და სოციალისტური წყობილების განადგურებისაკენ; შემდგომ კი მონარქიის აღდგენისაკენ.

სასულიერო ემიგრაციის პოლიტიკური მოღვაწეობის საფუძველი იყო საბჭოური, სოციალისტური სისტემისადმი ღრმა სიძულვილი. სწორედ ამ სიძულვილმა მიიყვანა ისინი თეთრგვარდიელ-კონტრრევოლუციონერებთან, ხოლო ანტისაბჭოურობა კი მის ოფიციალურ იდეოლოგიად ჩამოყალიბდა.

კარლოვის დაჯგუფების ანტისაბჭოური კონცეფციის მთავარი მომენტი იყო სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობის დაკნინება და მისი უარყოფითი ზეგავლენის მხილება ქვეყნის მომავლისა და მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე. სოციალისტურ რევოლუციას მიიჩნევდნენ ისტორიის შემთხვევით მოვლენად და საზოგადოებრივი ცხოვრების საწინააღმდეგო ფაქტად, რომელმაც დაარღვია ისტორიული პროცესის ნორმალური მსვლელობა; რევოლუციას მოიხსენიებდნენ „შეთქმულებად", „ზედაფენის გა-

დაჭრიალებად", რომელიც არ ატარებდა საერთო სახალხო ხასიათს.

სასულიერო ემიგრაცია ფართო იდეურ-თეორიულ მუშაობას ეწეოდა ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ. მათი იდეოლოგიური ბრძოლა წარიმართა კომპარტიისა და სოციალისტური სახელმწიფო პოლიტიკის მსოფლმხედველობითი საფუძვლისაკენ. კარლოველებისათვის ცნობილი იყო, რომ მხოლოდ უარყოფა კომუნისტური იდეოლოგიისა არ იყო საკმარისი მისგან განთავისუფლებისათვის, საჭირო იყო პოზიტიური პროგრამა, რომელიც კონკრეტულ პერსპექტივებს დასახავდა — „სოციალიზმის კრიტიკა არ არის საკმარისი, საჭიროა აქტიური მონაწილეობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოწყობაში, როგორც ახალი იდეალისა, რომელიც სოციალიზმს უნდა დაუპირისპიროთ“ (133, 95) — აღინიშნა კარლოვის დაჯგუფების მეორე საერთაშორისო საეკლესიო კრებაზე (1938 წ.). კარლოველი იდეოლოგები მომავლის ისეთ პერსპექტივებს სახავდნენ, რომელიც ერთნაირად მომხიბვლელი იქნებოდა ზედა და ქვედა ფენებისათვის, ემიგრანტებისა და საბჭოთა მოსახლეობისათვის. ასეთად კარლოველებს „წინანდა მართლმადიდებელი რუსეთი" ესახებოდათ, რომელსაც საზოგადოებას უსახავდნენ რუსეთის იმპერიის „ოქროს ხანის" სახით, როგორც რუსული სახელმწიფოებრიობის იდეალური მდგომარეობა. ასეთ სახელმწიფოს ახასიათებდნენ, როგორც ქრისტიანულ პრინციპებზე მდგომ ქვეყანას.

კარლოველების პროგრამის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო მონარქიული სახელმწიფოებრიობის რესტავრაცია და

მართლმადიდებლობისა და თვითმპყრობელობის კავშირის აღდგენა. სასულიერო ემიგრაციის მღვდელმთავრები დაბეჯითებით არწმუნებდნენ მრევლს, რომ თვითმპყრობელური სისტემის სახელმწიფოებრივი მმართველობის იდეალი მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოება იყო; მონარქიზმის უარყოფა კი მიჩნეული იყო ანტისაეკლესიო საქმედ და ა.შ. – „...წმინდა მამების სწავლების თანახმად, მონარქიული ხელისუფლება ეკლესიის დამცველია"(133, 100) – განცხადდა კარლოველების საეკლესიო კრებაზე 1938 წელს.

საბჭოთა ქვეყნის მართლმადიდებელ ეკლესიაში მიმდინარე მოდერნიზაციის პროცესი ემიგრანტული ეკლესიის აღშფოთებას იწვევდა. „განახლების მოძრაობის" წმინდა სინოდის ფორმირებამ და ტრადიციონალისტი სამღვდელოების რეპრესიებმა, ემიგრანტულ ეკლესიას მძიმე შედეგები მოუტანა. საბჭოთა ეკლესიის იერარქიებმა ყოველგვარი კონტაქტი გაწყვიტეს უცხოეთის სამღვდელოებასთან. რაც გამოიხატა მოსკოვის საპატრიარქოსა და ემიგრანტული ეკლესიის ევქარისტული კავშირის უგულვებელყოფით. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია იძულებული იყო მკაცრი შეფასება მიეცა კარლოვის სინოდის მოღვაწეობისათვის, რაც თვალნათლივ აისახა უწმინდესი სინოდის დადგენილებაში (1924 წ. 8 აპრილი) და პატრიარქ ტიქონის ანდერძში (გამოქვეყნებული 1925 წლის აპრილში) – „...დიდი წუხილით აღვნიშნავთ, რომ რუსეთის ზოგიერთი შვილი, თვით მღვდელმთავრები და წინამძღვრებიც კი, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით დატოვეს სამშობლო, ხელი მიჰყვეს მათთვის შეუფერებელ საქმიანობას საზღვარგარეთ, რაც ჩვენი ეკლესიისთვის ზიანის მომტანია. სარ-

გებლობენ რა ჩვენი სახელით და ავტორიტეტით, ისინი ეწევიან კონტრრევოლუციურ, მავნე საქმიანობას. ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ: ჩვენ მათთან არანაირი ურთიერთობა არ გვაკავშირებს, როგორც ამაზე ჩვენი მტრები იუწყებიან; ისინი ჩვენთვის უცხონი არიან და ვკიცხავთ მათ მავნე საქმიანობის გამო... მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ მათი ასეთი საქმიანობა გამოიწვევს ჩვენი მხრიდან მათთვის ღვთისმსახურების აკრძალვას და კარლოვის სინოდის საეკლესიო სასამართლოსათვის გადაცემას" (218, 102). აღნიშნული გადაწყვეტილება ემიგრანტულ ეკლესიას დამკვიდრების ყველანაირ პირობას ართმევდა; სცემდა მის ავტორიტეტს მორწმუნეთა შორის; მართლმადიდებლურ ეკლესიებთან კავშირს კრძალავდა და ა.შ. (399, 2-3).

XX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულისათვის, საბჭოთა ხელისუფლებამ მეტ-ნაკლებად გაარღვია ტრადიციულ სამღვდელოებასთან ურთიერთობის ბარიერი და ემიგრანტულ ეკლესიასთან მიდგომის მეთოდები და ხერხებიც დაიხვეწა (133, 31-32).

საბჭოთა ხეისუფლებისადმი ეკლესიის ლოიალური კურსის გამტარებელი იყო პატრიარქის თანამოსაყდრე, მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი), რომელმაც სამღვდელოებასა და მრევლისადმი მიმართვით (1927 წლის 29 ივლისი) მოუწოდებდა მათ გადაეხედათ საბჭოთა მთავრობისადმი დამოკიდებულების მათეული კურსისათვის. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ის სამღვდელოება, რომლისთვისაც მიუღებელი რჩებოდა სოციალისტური წყობა — ჩამოშორებოდნენ სასულიერო საქმეს, ხოლო დანარჩენთ მოუწოდებდა მკაცრად დაეცვათ ლოიალური ურთიერთობა

საბჭოთა ხელისუფლებასთან — „...ჩვენ გვსურს ვიყოთ მართლმადიდებლები და ამავდროულად ვცნობდეთ საბჭოთა კავშირს ჩვენს სამოქალაქო სამშობლოდ...” (294, 60-61) — აღნიშნული იყო მოსაყდრე სერგის მიმართვაში.

მიტროპოლიტ სერგის მიმართვაში საგანგებო ადგილი ჰქონდა დათმობილი მოთხოვნებს ემიგრანტული სამღვდელოებისადმი — „...Ярко противосоветские выступления некоторых наших пастирей и архипастирей за границей, сильно вредившее отнощениям между правительством и церковю, как известно, заставили почившего патриарха упразднить заграничным синод (5.V–23.VI. 1922г.). Но синод до сих пор продолжает существоват, политически не меняясь, чтобы положить этому конец, мы потребовали от заграничного духовенства дать писменное обязательство в полной лояльности к советскому правитеьство во всей своей общественной деятельности...” (294, 62-63). ასეთი მიმართვის საფუძველზე, ემიგრანტული ეკლესია არჩევანის წინაშე დადგა და მან მიიღო გადაწყვეტილება მოსკოვის საპატრიარქოსადმი სრულ დაუმორჩილებლობაზე. ამრიგად, ემიგრანტული ეკლესია გაემიჯნა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკურ ორიენტაციას და ჩამოსცილდა მოსკოვის საპატრიარქოს და ის „კარლოვალური სქიზმის” სახელით დამკვიდრდა.

რუსული საეკლესიო ემიგრაციის ანტისაბჭოურ მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა შიდა კონტრრევოლუციური ძალების გაძლიერებით სამუშაოებს. ემიგრანტი სამღვდელოებისათვის გასაგები იყო, რომ საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო შიდა ინტერვენციის და-

საჭრდენი ხელისუფლებისადმი ოპოზიციაში მდგომი სოციალური ფენა იყო, რომელთა გაძლიერებისათვის სათანადო ძალისხმევა იყო საჭირო, მით უფრო მას შემდეგ, რაც საკარეო კონტრრევოლუციურმა ძალამ (თეთრგვარდიული ინტერვენცია – ქ. პ.) სერიოზული მარცხი განიცადა. ასეთ შიდა ორგანიზაციულ სტრუქტურად მოიაზრებოდა საბჭოეთის მართლმადიდებლური ეკლესია – „Есть реальная сила и организация, которая свергнет больщевиков, это православная русская церковь. Она имеет своих агентов в каждой деревне" (196, 160) – აღნიშნავდა კარლოვის წმინდა სინოდის მიტროპოლიტი ანტონი საეკლესიო კრებაზე 1921 წელს. სასულიერო ემიგრაცია თანადგომას უცხადებდა ანტისაბჭოურ სამღვდელოებას, მაგალითად, ტრადიციული ეკლესიისაგან განშტოებულ „ობნოვლენურ" მიმართულებებს: „იოსებიანელებს", „გრიგორიანელებს", რომლებიც საბჭოური ორიენტაციის სამღვდელოებას უპირისპირდებოდნენ (284; 285).

XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულისათვის აშკარა გახდა, რომ საბჭოთა იმპერიაში არ მოიძებნებოდა ის სოციალური ძალა, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა კონტრრევოლუციის დაყრდნობა. საბჭოთა ქვეყანაში სულ უფრო მზარდი მასშტაბებით მიმდინარეობდა სოციალიზმის მშენებლობა.

მიმდინარე ვითარებამ, განაპირობა სასულიერო ემიგრაციის მუშაობაში ცვლილებების შეტანა. მათ არსებული გარემოება რეალურად აღიქვეს და ასეთივე შეფასება მისცეს. ასეთ შემთხვევაში, მათ ყურადღება საგარეო ძალებზე გადაიტანეს. ფაშისტური იდეოლოგიის ლიდერი ა.

ჰიტლერიც კი ქრისტიანული ცივილიზაციის მცველად, „რუსეთის მხსნელად" და ულმერთო ბოლშევიზმისაგან განმანთავისუფლებლად გამოაცხადეს. პარალელურად, არ შეჩერებულა აგენტურული მუშაობა საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიაზე, რის გამოც კიდევ უფრო გააქტიურდა რეპრესიები მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ. საბჭოთა მთავრობის დაზვერვითი საქმიანობის შედეგად გამოვლინდა „იმიასლაველი ბერების ჯგუფი", რომელიც კავკასიაში აქტიურ ანტისაბჭოთა მუშაობას ეწეოდა. სასამართლო პროცესზე ბერებმა აღნიშნეს, რომ — „ჩვენ ვისახავდით მიზნად ხელისუფლების ყველა ამოცანის ჩაშლას, კერძოდ ჯარში გაწვევისათვის; ეკლესიის გარშემო ვიკრებდით მასებს, ვამზადებდით საჭირო მომენტში იარაღით ხელში გამოვსულიყავით, ეკლესია ჩვენთვის მხოლოდ შირმა იყო" (400, 14). ასეთივე სახის შვიდი საეკლესიო დაჯგუფება იქნა გამოვლენილი თბილისში, კერძოდ, დიდუბის, ავლაბრის, რიყის, ვერის და სხვა უბნებში, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან მოქმედებდნენ. ხელისუფლების განცხადებით, ამ ტაძრებთან კავშირი ჰქონდათ „ძველ რეაქციონერ ელემენტებს: ვაჭარ-ხელოსნებს და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც თავიანთ ლოცვებში იხსენიებდნენ მეფეს, მის ოჯახს და ძველ მხედრობას. ამ ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ მალული ურეაქციონერესი ბერები" (400, 14).

საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებამ მეორე მსოფლიო ომში, ე.წ. სოციალისტური ბანაკის შექმნამ და ამით ფაშისტური იდეოლოგიის მარცხმა, სერიოზული პრობლემები შეუქმნა ემიგრანტული ეკლესიის არა თუ მხოლოდ იდეო-

ლოგიას, არამედ თავად მის ორგანიზაციულ სტრუქტურასაც. საბჭოური საეკლესიო გლობალიზაციის პროექტის ფაქტობრივმა განხორციელებამ (აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებელი ეკლესიების დაქვემდებარება მოსკოვის საპატრიარქოზე — ქ. პ.) გაანადგურა სასულიერო ემიგრაციის ანტისაბჭოური იდეოლოგია, რომლის პროპაგანდა მრავალი წლის მანძილზე კარლოვის წმინდა სინოდის იდეოლოგიური საქმიანობის საფუძველი იყო. ამავე პროექტის რეალიზაციამ ჩაახშო რუსული ეკლესიის წიაღში ანტისაბჭოთა მიმდინარეობის აქტიურობა.

ამრიგად, რევოლუციის შედეგად ემიგრაციაში წასულმა რუსეთის იმპერიის სამღვდელოებამ იმთავითვე დაისახა მიზნად ემიგრაციის კონსოლიდაცია და საამისოდ შექმნა უცხოეთში საეკლესიო ცენტრი — „რუსული მართლმადიდებელი ეკლესია საზღვარგარეთ", რომელიც დროთა ვითარებაში ჩამოყალიბდა კონტრრევოლუციურ ძალთა სასულიერო ცენტრად. მათი მიზანი იყო ბურჟუაზიული რუსეთის აღდგენა და „ულმერთო ბოლშევიკების" ლიკვიდაცია.

სასულიერო ემიგრაციის ანტისაბჭოთა მოღვაწეობას წარმართავდა ბურჟუაზიული ემიგრაცია, მაგრამ მათ მისწრაფებებს განხორციელება არ ეწერა; საბჭოთა წყობილება სულ უფრო ძლიერდებოდა და ტოტალიტარულ სახელმწიფოდ ყალიბდებოდა. აქედან გამომდინარე, უცხოეთის რუსულმა ეკლესიამ ვერ შექმნა დასაყრდენი სოციალისტურ საზოგადოებაში და ყურადღება საგარეო ძალთა ფაქტორზე გადაიტანა, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილნი საბჭოთა წყობილების მიმართ. ამით იყო განპირობებული ემიგრანტული ეკლესიის კავშირი ჯერ თეთრგვარ-

დიელ კონტრრევოლუციონერებთან და შემდეგ გერმანულ ფაშიზმთან.

ემიგრანტული ეკლესიისა და საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიურმა ომმა კულმინაციას მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას მიაღწია. სასულიერო ემიგრაციას ომმა იმედი ჩაუსახა სოციალისტური სისტემის ლიკვიდაციისა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლებას კი საბაბი მისცა დაეგმო მწვავე კრიტიკით უცხოეთის ემიგრანტი სასულიერო კრებულის ანტიმამულიშვილური საქმიანობა; ამავდროულად, სახელისუფლებო კულუარებში მუშავდებოდა პროგრამა სასულიერო ემიგრაციასთან კავშირის დამყარებისათვის, ამ უკანასკნელის რუსულ ეკლესიასთან შერწყმის მიზნით. არც სასულიერო ემიგრაციის და, არც სახელმწიფო სტრუქტურის ზემოაღნიშნულმა პროგრამებმა რეალიზება ვერ მოახერხა. უცხოეთის რუსული ეკლესიის მარცხი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სოციალისტური ბანაკის შექმნითა და აღმოსავლეთის ეკლესიებზე რუსული ეკლესიის იურისდიქციის განვრცობით გამოვლინდა. ეს კი საბჭოთა საგარეო საეკლესიო გლობალიზაციის ერთ-ერთი განსაკუთრებული მოდელი იყო და მან თითქმის საუკუნის მანძილზე იარსება.

# დ ა ს კ ვ ნ ა

1. კავკასიის გეოსტრატეგიულ-გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ იმთავითვე განსაზღვრა მისი დანიშნულება საერთაშორისო პოლიტიკაში. ამ ფაქტორმა, თავისებური დამოკიდებულება გამოუმუშავა რეგიონისადმი მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე მდებარე კავკასიას, სახასიათო ისტორიაც შეუმუშავა. კავკასიის არსებობასა და განვითარებაში პირდაპირ, თუ ირიბად ჩართული იყო გარე ფაქტორი და მისი ბედის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

აღნიშნული გარემოების გამო, თავისი არსებობის მრავალი საუკუნის მანძილზე, კავკასიის მოსახლეობას თავისუფლების შენარჩუნებისათვის მუდმივი ბრძოლა ესაჭიროებოდა. ყოველივემ კავკასიელ ხალხს გამოუმუშავა თავდაცვის საინტერესო კულტურა და მისი მენტალიტეტი მომართა გადარჩენის გზების ძიებისაკენ. აღნიშნულის დასტურია ისეთი საერთო იდეოლოგიის ფორმირება, რომელიც კავკასიას გააერთიანებდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საერთო იდეოლოგიის ძიებაში კავკასიელმა ხალხმა მრავალ საშუალებას მიმართა: საერთო წარმომავლობის თეორიის ფორმირებას, დინასტიურ ქორწინებებს, მატერიალური და სულიერი კონტაქტების გაღრმავებას და სხვ. ყოველივეს შედეგი კი უნდა ყოფილიყო ისეთი იდეის ფორმირება, რომელიც ჩამოაყალიბებდა ერთიან კავკასიურ სახელმწიფოს.

ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს იდეის ფორმირებამ მეტად რთული და სახეცვალებადი ევოლუციური გზა გაიარა. მისი ქრონოლოგიური ჩარჩო შესაძლებელია განვსაზღვროთ V-XVIII საუკუნეებით.

გლობალური კავკასიური იდეის ფორმირება მიმდინარეობდა საერთაშორისო პოლიტიკის გათვალისწინების ფონზე. იდეის დაბადება მხოლოდ კავკასიის წიაღში არ ხდებოდა. ამ იდეით ინტერესდებოდნენ დიდი სახელმწიფოებიც, რამეთუ კავკასიის ფლობა მათთვის უპირველეს პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა. ორი სამყაროს დამაკავშირებელ კავკასიაზე გაბატონება იმპერიული ძლიერების აბსოლუტური გარანტია იყო.

2. გარე სამყაროსთან უნებლიედ დაპირისპირებულ კავკასიას სასიცოცხლოდ ესაჭიროებოდა ერთობა, რომელიც მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. მათ შორის იყო მატერიალურ-კულტურული სიახლოვე. ამ სიახლოვის მიზეზი საძიებელია იმ გეოგრაფიულ გარემოში, რომელშიც კავკასიელ ხალხებს სამყაროს დასაბამიდან უხდებოდათ ცხოვრება. განსხვავებულ ცივილიზაციათა გზასაყარზე მდებარე კავკასია მრავალი კულტურის ზემოქმედების ობიექტი იყო და საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა როგორც უცხო კულტურების, ისე ერთმანეთის კულტურათა ათვისება, გადამუშავება და ეროვნულ კულტურაში დანერგვა. განსხვავებულ კულტურათა გათავისებამ, კავკასიელ ხალხებში სახასიათო ფსიქოლოგიური მენტალიტეტი ჩამოაყალიბა, რომელიც ერთის მხრივ აახლოებდა კავკასიელ ხალხებს ერთმანეთთან და, მეორეს მხრივ, განასხვავებდა მათ დანარჩენი ხალხებისაგან.

კავკასიელი ხალხების მატერიალურ-სულიერი ერთობის პირველ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ იმ იდეოლოგიის ფორმირება, რომელიც მათ ერთობას დაასაბუთებდა და ამავდროულად, ძლიერ პოლიტიკურ ნიადაგს შექმნიდა გარე დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში. მეორე ნიშანია, კავკასიელი ხალხების ადათ-წესებში დანერგილი ელემენტების იდენტობა; მესამე ნიშნად მოიაზრება კავკასიელთა ნათესაური სიახლოვე, დინასტიური საქორწინო ურთიერ-

თობები, რომლებიც ძირითადად პოლიტიკური ფაქტორით იყო განპირობებული.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასია სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა ეთნოსისა და კონფესიის მატარებელი ხალხებით დასახლებული რეგიონია, მათ ტრადიციებში, მითოლოგიაში, ბევრი რამ საერთოა. დასტურდება კავკასიელთა პილიგრიმობა ერთმანეთის სალოცავებში, როგორც სხვადასხვა ერების კომუნიკაბელობის ღია არხი, რომელიც ხელს უწყობდა სხვადასხვა კონფესიების მატარებელ ხალხთა დაახლოებას, ადამიანთა ურთიერთობის ნორმალიზებას.

კავკასიის ხალხებში ტრადიციათა საერთო ნიშნები საუკუნეების ურთიერთობებითა და ისტორიული მეხსიერებით იყო გამოწვეული და არა იძულების მეთოდით ერთისა მეორის მიმართ. ამრიგად, კავკასიის ხალხების მატერიალურ-სულიერ კულტურათა სიახლოვეს შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავდა:

1) პოლიტიკური — გარე სამყაროსგან თავდაცვის მიზნით, ერთიანი კავკასიის ფორმირებისათვის ბრძოლა;
2) სოციალ-ეკონომიკური ფაქტორი — ურთიერთობები ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ხალხებს შორის;
3) ეროვნულ-ფსიქოლოგიური სიახლოვის ფაქტორი — გარე დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ინტერესები.

3. მსოფლიოს მძლავრი სახელმწიფოების გვერდით, კავკასიასთან მიმართებაში ყველაზე მძლავრი ამბიციები რუსეთის სახელმწიფოს გააჩნდა. ქრისტიანობის „დამცველის" სახელით საერთაშორისო ასპარეზზე გამოსული რუსეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ერთიან, გლობალურ სამყაროზე ბატონობას. რუსული გლობალიზაციის პროექტში იმთავითვე სერიოზული დატვირთვა მიენიჭა კავკასიის ფაქტორს; და რადგან რუსეთის

სახელმწიფო იდეოლოგია მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო. ბუნებრივია, გლობალიზაცია მართლმადიდებლური მრწამსის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. კავკასიასთან მიმართებაში საეკლესიო გლობალიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რამეთუ მისი ხალხების „დაცვა" მაჰმადიანური აგრესიისაგან შესანიშნავი საბაბი გახდა რუსეთისათვის ორი ცივილიზაციის შემაერთებელი კავკასიის ხელთგდებისათვის.

4. მსოფლიოს სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, რუსეთის იმპერიას ერთობ დახვეწილი საეკლესიო გლობალიზაციის პროექტები ჰქონდა. ეს პროექტები ეპოქების შესატყვისად ევოლუციას განიცდიდნენ და თანამედროვეობასთან შესატყვისობაში მოქმედებდნენ.

5. რუსულ საეკლესიო გლობალიზაციაში აქტიური დატვირთვა ჰქონდა საეკლესიო დიპლომატიას, რომელიც რამოდენიმე მიმართულებით წარიმართა: აღმოსავლეთ ევროპისაკენ, მახლობელი აღმოსავლეთისაკენ და კავკასიისაკენ.

6. რუსეთის სახელმწიფოსათვის კავკასია გაუმიჯნავი ერთეული იყო. ამ რეგიონში გაბატონება რუსეთმა ჩრდილო კავკასიით დაიწყო, რასაც თავისი ახსნა მოეძებნება. რუსეთისათვის ცნობილი იყო, რომ კავკასიის მთიელი მოსახლეობა შუასაუკუნეებიდან მაჰმადიანური აგრესიის ზეწოლას განიცდიდა, რაც გადაგვარებით ემუქრებოდა მის თვითმყოფადობას. აღნიშნული, რუსეთის ხელისუფლებამ ნაყოფიერად გამოიყენა და მთიელთა „გადარჩენისა და დაცვის" ეგიდით დაიწყო მიზანმიმართული თავისი პოლიტიკური ინტერესების ეტაპობრივი განხორციელება.

7 კავკასიელთა „დაცვა-გადარჩენის" ლოზუნგს ესაჭიროებოდა საგანგებო პოლიტიკური კურსის შემუშავება, რომელიც საგანგებო იდეოლოგიითა და თეორიით იქნებოდა გამყარებული. ასე შემუშავდა ე.წ. „კავკასიელთა გადარჩე-

ნის თეორია", რომლის საფარქვეშ ეტაპობრივად ხორციელდებოდა რუსეთის შიდაკავკასიური პოლიტიკის გამარჯვებისაკენ სვლა.

8. „კავკასიელთა გადარჩენის თეორიის" საფუძვლები საძიებელია რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტერესებში ჩრდილო კავკასიის მიმართ, მაგრამ ეს ინტერესები ცალსახა არ ყოფილა. განსაკუთრებით აქტიურობდა კავკასიის მთის მოსახლეობა, რომელიც რუსული სამხედრო ძალის დახმარებით ცდილობდა მაჰმადიანური სამყაროს მოგერიებას. ამით კავკასიის მთიელები თავიანთი ხელით აკეთებდნენ რუსულ საქმეს, როდესაც ისინი მზადყოფნას გამოთქვამდნენ მიეღოთ რუსეთის ქვეშევრდომობა. ყოველივე კი აჩქარებდა რუსეთის გაბატონებას კავკასიაში.

9. კავკასიური პოლიტიკის მოქმედებისას „გადარჩენის თეორია" ყოველთვის არ ამართლებდა. რუსეთს ხშირად პრობლემას უქმნიდა კავკასიის ეროვნული ორიენტაციის მოსახლეობა. ამ ნაწილს პრეტენზია ჰქონდა სამხრეთ კავკასიაზეც, ანუ სურდა ჰეგემონობა ერთიან კავკასიაში.

10. „კავკასიის გადარჩენის თეორიაში" მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ეკონომიკური ფაქტორი. რუსეთი მაქსიმალურად ცდილობდა მთიელებთან სავაჭრო კავშირების გაღრმავებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ ფაქტორმა რუსეთის საგარეო პოლიტიკაშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, ხელისუფლების წინაშე დადგა საკითხი სამხრეთ კავკასიის ათვისებისათვის საგანგებო პროექტის შემუშავებისათვის. ამ დროიდან, საქართველომ, რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა.

11. რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტერესებს სამხრეთ კავკასიისადმი მოჰყვა დაპირისპირება დასავლეთით თურქეთის იმპერიასთან და ყირიმელ თათრებთან; აღმოსავლეთით ირანთან და შიდაკავკასიურ ძალებთან. ეს ძალე-

